ეროვნული ბიბლიოთეკა

ალითერი

114/2

1

1973

88

ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ
ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 48-Ე | № 1 | ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1973 Წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

12147

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲡᲣᲚᲐᲙᲐᲣᲠᲘ — ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲕᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ. ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 3

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ — ᲗᲔᲗᲠᲘ ᲒᲐᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘ. ᲠᲝᲛᲐᲜᲘ. ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ 10

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘ — ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲝᲜᲔᲒᲘᲜᲘ. ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲭᲔᲚᲘᲫᲔᲛ . . 67

ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲔ — ᲒᲖᲐᲖᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ. ᲠᲝᲛᲐᲜᲘ. ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ . . . 78

ᲒᲐᲙᲭᲘᲚᲘᲓᲔ — ᲣᲛᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲜᲣ ᲗᲔᲗᲖᲔᲕᲡᲘ. ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲛ 137

[illegible]ᲝᲜᲘᲝᲡ ᲠᲝᲓᲝᲡᲔᲚᲘ — ᲐᲠᲒᲝᲜᲐᲕᲢᲘᲙᲐ. ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲛᲐ 141

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

[illegible]ᲡᲒ ᲒᲠᲘᲜᲑᲔᲠᲒᲘ — ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲤᲠᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲖᲘᲡ ᲓᲘᲜᲯᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ . . 151

ᲗᲐᲛᲐ[illegible]ᲠᲝᲛᲘᲫᲔ — Ლ. Შ. ᲕᲘᲒᲝᲪᲙᲘᲡ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲗᲐᲠᲖᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ . . 163

[illegible]ᲡᲘᲚ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ — ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ 167

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ

[illegible] ᲚᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲒᲝᲠᲙᲘᲡᲗᲐᲜ 180

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

[illegible]ᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ — ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲥᲔᲗᲔᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲔᲑᲘ 183

„ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ“ 1972 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ 188

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ძლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. ფულუკიძე, ო. ჯილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 14/XI-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/I-73 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 01706. ტირაჟი 12.600. შეკვ. 3689.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრჩილ სულაკაური

ლირიკული რვეულიდან

ერთხელ...

გიორგი ლეონიძის მონატრება

მინდა, ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო.
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო!

მივდივარ და სად მივდივარ,
სადაური საითა?
ლელო ერთხელ გავიტანე,
განა კიდევ გავიტან?!

გუმბათს ერთხელ ჩამოვკიდე
მოგუგუნე ზარები
და დარუბანდს მხოლოდ ერთხელ
ჩამოვხსენი კარები.

მხოლოდ ერთხელ აღვაშენე
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დიდგორისკენ
მხოლოდ ერთხელ დავძარი.

მხოლოდ ერთხელ დამესიზმრა
სიყვარულის სიზმარი
და განმეხვნა ერთხელ მხოლოდ
კარნი სამოთხისანი.

მინდა, ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო.
ვაი, როგორ გამიფრინდა
ჩემი ჟღალი მიმინო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაური სად გაფრინდა,
ვის ცერზე ზის ტიალი?
ვის შეუდგა და ვის ასმევს
შარბათს ოქროს ფიალით?

ახლა გუმბათს მან დაჰკიდოს
მოგუგუნე ზარები
და დარუბანდს ახლა ერთხელ
მან ჩამოხსნას კარები!

ახლა სხვამან აღაშენოს
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დასძრას დიდგორს,
როგორც ერთხელ დავძარი!

ახლა სხვასაც დაესიზმროს
სიყვარულის სიზმარი
და განეხვნეს ერთხელ სხვასაც
კარნი სამოთხისანი.

მინდა, ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო.
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო!

1972

ვ ე ღ რ ე ბ ა

ბევრი ვიარე აღმა და დაღმა,
ამხედრებული მოვწყდი იალაღს
და პირიქითის ალაზნის ტალღამ
მხურვალე მკერდზე გადამიარა.

ნაყავიჩოდან გავხედე ფარსმას.
იქ პაპის სახლზე ორბები ისხდნენ
და, როგორც კვამლი ან როგორც ჯვარცმა,
აღმართულიყვნენ კოშკები ცისკენ.

— შენ, წინაპართა კეთილო სახლო,
ბავშვობისა და ყრმობის სიზმარო,
შენც თუ ოდესმე სიზმარში მნახო,
სიზმრის ახდენა არ დაიზარო!

შენი ფესვები ჩემი მგონია,
შენი ორბები მასხედან მხარზე,
მე კი, რაც არ მაქვს, არცა მქონია
და არც მექნება, იმასაც გაძლევ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპისა ჩემის კეთილო სახლო,
ბავშვობისა და ყრმობის სიზმარო,
თუკი ოდესმე მწყურვალი მნახო,
წყლის მოწოდება არ დაიზარო!

არ დაიშურო ჩემთვის სამარე,
თუნდ მივიწყებულ საფლავთა ახლოს, —
ამას გვედრი და ამას გავალებ,
შენ, წინაპართა მაღალო სახლო!

1972

* * *

ზოგჯერ მგონია, ზღვის ფსკერზე ვცხოვრობ,
განმარტოებით,
ჩემთვის ვცხოვრობ ყრუ სიჩუმეში
და მესმის მხოლოდ შენი დუმილი,
სხვა არაფერი,
არავითარი სხვა ხმა არ მესმის.

ზოგჯერ მგონია, ზღვის ფსკერზე ვცხოვრობ
რვაფეხასავით...
და, რაც ჩემში და ჩემს გარე ხდება, —
არკი ვჭვრეტ გონით,
არკი განვიცდი, —
ვგრძნობ საცეცებით, როგორც რვაფეხა.

ანდა უბრალოდ:
ზოგჯერ მგონია, ზღვის ფსკერზე ვცხოვრობ,
ვით დალეწილი ძველი ხომალდი
და მესმის მხოლოდ შენი დუმილი,
სხვა არაფერი,
არავითარი სხვა ხმა არ მესმის...

1971

ქუთაისი. შემოდგომა

პირველადქმნილი,
ცისფერი დღეა...

ვხედავ ბაგრატის ნანგრევებიდან,
ვითა ეთერი მზეთუნახავი
შემოდგომის დღე თრთის და ცახცახებს.

და, როგორც ეტლით გეგუთის გზაზე გასეირნება,
მომენატრება აკაკის ლექსი.

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ღრუბელი

სიმონ ჩიქოვანის მონატრება

გადაიარა მამულზე წვიმამ,
ბურუსმა,
სევდამ
და დაღლილობამ,
და ახლა მხრებით ღრუბელი მიმაქვს,
რომ შევიხვიო ძველი ჭრილობა.

გზა დამექანცა და დამეღალა,
ლაქაში,
თქორი,
გუბე-გუბელი,
ვარ ნაწვიმარი და ნამეხარი
და მხრებით მიმაქვს ჩემი ღრუბელი.

შენ კი,
მე ვიცი,
სადღაც ციმციმებ,
სადღაც უკვდავი სულით ენთები.
მე მოხრილ მხრებზე მაწევს სიმძიმე
და შენკენ მაღლა ვერ ვიხედები.

გული მაქვს შენი ნაპერწკლით სავსე,
მინდოდა ერთხელ ცეცხლიც დაგენთო,
მაგრამ არსაით შემომხვდი გზაზე,
მარადიულო და ერთადერთო.

გადაიარა მამულზე წვიმამ,
ნისლმა,
ნაღველმა
და დაღლილობამ
და ახლა მხრებით ღრუბელი მიმაქვს,
რომ შევიხვიო ძველი ჭრილობა.

1972

* * *

ძველი რვეულიდან

სოფლად შემოვა მალე სიმინდი,
ცა გაიღიმებს თვალებმზიანი.
მე ის პირველი ალერსი მინდა,
თუ სადმე მსგავსი ალერსი არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფიქრებული მიდის ორღობე
ბროწეულებში,
მაყვლის ბარდებში.
ზის აივანზე ჭრელი ხოხობი
და ეზოს არხევს ჩრდილის ფარდები.

მერმე იწყება ბილიკი ვიწრო,
მინდორი,
კბოდე
და თბილი ფონი...
მე ამ სოფელში ვერავინ მიცნო
და რასაც ვეძებ, ველარ ვიპოვნი.

1948

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘ

მე დავიძინებ ახლა ღრმა ძილით
და გევედრები, ნუ გამაღვიძებ...

არა იმიტომ, რომ დავიღალე
და მინდა ძილში მოვითქვა სული.

მე ისევ მჯერა,
მომეახლება ძველი სიზმარი,
ძველი სიზმარი, რომელიც მზრდიდა,
მაჩვევდა სივრცეს,
ფრენას და ფერებს...

მაინც რამდენი?
მაინც რამდენი?
ათი,
თუ ოცი,
თუ ოცდაათი,
იქნებ ორმოცი წელი გავიდა,
რაც ველარ ვხედავ იმ პირველ სიზმრებს?!

მეც ისე,
როგორც ყველა მოკვდავი,
ყოველ საღამოს ვწვები,
ვიძინებ,
ოღონდ ეს ძილი ძლიერ ჰგავს სიკვდილს,
წყვდიადით მოცულ პატარა სიკვდილს,
სიკვდილს დილამდე.
დაღამებიდან გათენებამდე
მე ისე მძინავს, როგორც შავეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომნატრებია ძველი სიზმრები,
დავიწყებული,
ძველი სიზმრები.
ძველი სიზმრები, რომლებიც მზრდიდნენ,
მაჩვევდნენ სივრცეს,
ფრენას თუ ფერებს,
აღმომიჩენდნენ უცხო ნაპირებს,
უცხო ვარსკვლავებს და ცისარტყელებს...

მე დავიძინებ ახლა ღრმა ძილით
და გევედრები, ნუ გამაღვიძებ...

არა იმიტომ, რომ დავიღალე
და მინდა, ძილში მოვითქვა სული.

ო, ღმერთო, ერთხელ მაჩვენე კიდევ
ძველი სიზმარი,
ო, ერთხელ,
ვიდრე
მარადიული ძილი მეწვევა!..

1971

* * *

შენ ეძებ იმას, რაც არ გჭირდება
არც შენ და არც სხვას,
ქვეყნად არავის.
მოგეახლება ფუჭი დიდება,
დამთრგუნველი და გულშემზარავი.

მე შემიძლია გითხრა ბოლომდე
ის, რაც არვისთვის მითქვამს აროდეს.
რაა კეთილი,
რაა ბოროტი,
რა უნდა გწყინდეს,
რა გიხაროდეს;

რა არის სივრცე,
რა არის ჟამი,
რატომ მოსულხარ ქვეყნად აბუჩი,
რად მიმზერს შენი თვალებით ღამე
და რატომ ვცხოვრობ გამოქვაბულში!..

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპარა კაცო

პატარა კაცო!
მინდოდა ადრე მოგსალმებოდი, მაგრამ ცოტათი შემაგვიანდა.
პატარა კაცო!
რად გინდა ასე მაღალი სკამი, ფეხებს რომ ვეღარ აწვდენ იატაკს?!

არ ვიცი, აქვს თუ არა აქვს აზრი,
რომ პირველ იყო ამქვეყნად სიტყვა და სიტყვა იგი თვით იყო ღმერთი!
სიტყვით სიტყვამდე ძაღლივით დავძრწი,
რომ შევაბრუნო ოდნავ ბორბალი ჩემი არსობის და ჩემი ბედის.

პატარა კაცო!
შემაგვიანდა ცოტათი, ადრე მინდოდა მეთქვა სალამი შენთვის.
არ ვიცი, აქვს თუ არა აქვს აზრი,
რომ პირველ იყო ამქვეყნად სიტყვა და სიტყვა იგი თვით იყო ღმერთი!

ვარ უშურველიც და შურიანიც
მხოლოდ შენ გამო, რადგან ცხოვრებას დასწაფებიხარ ცვედანის ვნებით
და, როცა გესმის ფრთების შრიალი,
შენ გეღიმება და არა გჯერა, რომ ქვეყნად კიდევ არსებობს ფრთები.

1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ დუმბაძე

თეთრი ბაირაღები

რომანი

ისევ—ვაი, თუ?!

დედა მართალი გამოდგა. ერთი კვირის თავზე ახალმა გამომძიებელმა დამიძახა. იგი გაგუაზე ოდნავ ახალგაზრდა იყო. არც გამარჯობა უთქვამს, არც სკამზე დაჯდომა შემოუთავაზებია და არც სიგარეტი მოუწოდებია. ყველაფერი მე თვითონ გავაკეთე — ჯერ გამარჯობა ვუთხარი, მერე სკამზე დავჯექი, ბოლოს მაგიდაზე დაგდებული კოლოფიდან სიგარეტი „ივერია“ ამოვიღე, ფეხი ფეხზე გადავიდე, თითქოს უდარდელად ვიყავი, და გავაბოლე. არ ვიცი რატომ ვიქცეოდი ასე თავხედურად, ალბათ იმიტომ, რომ ახალი გამომძიებლისათვის მეგრძნობინებინა, არაფერ შუაში ვარ და არც არავისი მეშინიამეთქი. ან ხაზი გამესვა იმისათვის, რომ დავიღალე, აღარ შემიძლია და დღეიდან ხელი ჩავიქნიე, რაც გინდათ და როგორც გინდათ ისე მოიქეცითმეთქი, თუმცა კარგად მახსოვდა დედის თხოვნა, თავი შემეკავებინა და წესიერად მოვქცეულიყავი, მაინც გამომწვევად მეჭირა თავი. გამომძიებელი ოდნავ გაღიმებული და დამცინავი თვალებით მიყურებდა, ეტყობა ამ ჩემს უმარტივეს და უპრიმიტიულეს სვლას, რომელიც, ალბათ, ათასჯერ უნახავს, მიმიხვდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. უბრალოდ მათვალიერებდა. ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგრძენი თავი და წესიერად დავჯექი.

— მე ხელაძე ვარ, — გამომიცხადა მან. — შენი და ამილახვრის საქმე მე გადმომცეს ხელახალ ძიებაში!

— ძალიან სასიამოვნოა! — გავუღიმე მე.

— რატომ სასიამოვნო? — მკითხა მან.

— არ ვიცი!

— თუ არ იცი, რაღას ამბობ?

— ისე, ზრდილობისათვის ვთქვი!

— ეგ კარგია! — თქვა ხელაძემ და ისევ დუმილი ჩამოვარდა, ხელაძე არაფერს მეკითხებოდა, მე აბა, რა უნდა მეთქვა? ერთი სიგარეტი ბოლოში ჩავიყვანე, სხვა კი აღარ იყო. ხელაძემ შემატყო, რომ კიდევ მინდოდა სიგარეტი, საკუთარი ამოიღო, ერთი თვითონ ჩაიდო პირში და მეორე მე მომაწოდა.

— გმადლობთ! — ვუთხარი მე.

— არაფრის! — მითხრა მან და ცეცხლი გამომიწოდა.

— ჯერ თქვენ მოუკიდეთ! — გადავიქეცი ზრდილობად.

დასასრული. იხ. „მნათობი“, 1972 წ. № 12.

— მე არ ვეწევი! — მითხრა ხელაძემ და სიგარეტი მაგიდაზე გააგორა. — ხუთი წელია აღარ ვეწევი, ისე, იცოცხლე, სიზმარში ვაბოლებ და ვაბოლებ.

— ციხიდან რომ გავალ, მეც გავანებებ! — დავპირდი მე. ხელაძეს გაეცინა. მივხვდი, რომ სისულელეს ვლაპარაკობდი. მაგრამ რაზე უნდა მელაპარაკა, როდესაც თვითონაც სისულელეს მელაპარაკებოდა და საქმეზე კრინტს არ ძრავდა. მეორე სიგარეტიც რომ ბოლოში ჩავიყვანე, მოთმინების ფიალა აივსო.

— დავიწყოთ, ბატონო გამომძიებელო! — ვუთხარი მე და სიგარეტი საფერფლეზე დავაჭყლიტე.

— რა დავიწყოთ? — მკითხა მან და ჩვენს საქმეს უზარმაზარი ტორი დაადო.

— საქმე დავიწყოთ! — ავუხსენი მე.

— რა საქმე? საქმე 5 თვეა დაწყებულია! — მიპასუხა მან და გამიღიმა.

— დამკითხეთ! — დავაკონკრეტე.

— ახალი რამე გაქვს სათქმელი? — მკითხა მან.

— ახალი არაფერი! — ვუპასუხე და თავი ჩავღუნე.

— მაშ ძველი აქ არ წერია? — მკითხა ხელაძემ და ახლა მეორე ტორი დაადო საქმეს. არ ვიცოდი რა მეპასუხა.

— მაშ რისთვის მობრძანდით?

— ისე მოვედი, მენახეთ მინდოდა — შენც და ამილახვარიც! — თქვა მან და ფანჯარაში გაიხედა.

— რაღას მოდიოდით, სურათი მანდ არ გქონდათ? — ათასჯერ გადაგვიღეს! — ვუთხარი მე და ის პატარა იმედი, რომელიც თავიდან მომეცა, შევატყვე, რომ თვალსა და ხელს შუა მეკარგებოდა. ხელაძემ საქაღალდე გახსნა და საქმეში ჩაიხედა, უყურა, უყურა, მერე ისევ დახურა.

— ნაკაშიძე, სუდათში მკვლელსა გავხარ! — მითხრა მან. მკლავებსა და ყვრიმალებზე ბუსუსებმა დამაყარა, ასეთი ბოხი და გამჭვალავი ხმა ჰქონდა. — დავუჯერო სურათს? — მკითხა დუმილის შემდეგ და თვალი თვალში გამიყარა. ბევრი ვეცადე თვალი არ დამეხამხამებინა, როგორმე გამეძლო, მეჯობნა, მაგრამ ვერ მოვერიე, ვერ მოვერიე და ავარიდე თვალი, ოღონდ საც ისევ შევხედე, მისი გამოხედვა გამარჯვებას არ ზეიმობდა, თვალები სევდანარევი კითხვით ჰქონდა სავსე!

— რა ვქნა, ნაკაშიძე?

— რასაც სინდისი გიკარნახებთ, ბატონო, ის ქენით!

— საქმეს რა ვუყო?

— რასაც საქმე და სინდისი გიკარნახებთ, ის ქენით!

— შენს სასარგებლოდ მხოლოდ სამი ფაქტორი ლაპარაკობს, ნაკაშიძე!

მე პირველად გავიგონე, რომ თურმე რაღაც ჩემს სასარგებლოდაც ლაპარაკობს და ვიდრე მეტყოდა გამომძიებელი თუ რას გულისხმობდა ამ სამ რაღაცაში, გული კინაღამ ბუდიდან ამომივარდა. მაგრამ ხელაძე არ ჩქარობდა.

— რა, რა ლაპარაკობს ჩემს სასარგებლოდ? — ვერ მოვითმინე მე.

— პირველი ის, რომ ამილახვრისა და შენი ჩვენებები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს, ერთმანეთთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების დრო და საშუალება კი, როგორც საქმის მსვლელობა ადასტურებს, თქვენ არა გქონდათ. მეორე — თქვენ ბრალად გედებათ დაზარალებული ხარაბაძის ფულის, 1500 მანეთის მითვისება, რაც აგრეთვე გამორიცხულია, რადგან მებუფეტემ თქვა ნისიად ქეიფობდა, ვიცნობდი და ვენდეო. და ყველაზე მთავარი—მესამე, ამ დილით ამილახვარმა დანაშაული თავის თავზე აიღო. აი, ჩვენებაც! — თქვა ხელაძემ და ამილახვრის ჩვენება წინ დამიდო. მე პირი გამიშრა, ენა ველარ მოვაბრუნე რამე რომ მეთქვა, აკანკალებული ხელით ამილახვრის ჩვენება ავიღე და კითხვა დავიწყე. ეს იყო გაუგონარი დამაჯერებლობით დაწერილი გაუგონარი სიცრუე.

— ეს არ არის სიმართლე, ბატონო გამომძიებელო! ამილახვარს სინდისი აწუხებს ჩემს გამო, რადგან მან ჩამიყვანა რესტორანში და მან დაარტყა ხარაბაძეს. მისი მიზეზით დაკარგა ხარა-

ბაძემ მეტყველება და იგი არის ერთადერთი მოწმე, რომელსაც შეუძლია ჩვენი გამართლება, მაგრამ რადგან ეს არ ხერხდება, ამიტომ ამილახვარი თავისთავზე იღებს ყველაფერს, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გადარჩენის მიზნით. მკვლელი კი ხარაბაძეა, ხარაბაძე, ხარაბაძე!!! — ავყვირდი მე, ამილახვარის ჩვენება ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე და მაგიდაზე დავყარე. — დაწერეთ, დაწერეთ, რასაც გეუბნებით, ერთადერთი სიმართლე ისაა, რასაც მე ვამბობ, თუ არა და, დამანებეთ თავი, დამაბრალეთ რაც გინდათ, მიმიფურთხებია თქვენი სამართლისათვის, თქვენი გამოძიებისათვის, თქვენი ჰუმანიზმისათვის და კოდექსისათვის, მე მოვკალი ის საწყალი კაცი და იმის მოკვლას ის ღორი ხარაბაძე მომეკლა, მერჩია, მაგრამ ვერ მოვასწარი, ვერა და, რომ გავალ, მოვკლავ, და თუ ჩაძაღლდა მანამდე, მოკვდეს, ჩაძაღლდეს, ახია მაგაზე, ახი. თქვენ კი გვიჭერდეთ კი არა, ორდენებს უნდა გვაძლევდეთ მე და ამილახვარს, საპატიო ნიშნის ორდენებს, პრემიებს, ჯილდოებს, მედლებს, ძეგლს უნდა გვიდგამდეთ გმირთა მოედანზე ასეთი ნაძირალას ცემისთვის, მაგრამ სად არის სამართალი, შემირცხვენია თქვენი სამართალი, მიმიფურთხებია. დაწერეთ, რას უყურებთ, დაწერეთ! რას ერიდებით, ვის ერიდებით, ხარაბაძეს? გიყიდეს? აგავსეს ოქროებით? მოეფერეთ, მოეფერეთ, არ დაღუპოთ, არ გაგიცივდეთ, ნიავი არ მიაკაროთ ხარაბაძეს, ნიავი, ტვინის შერყევა არ გაურთულდეს უტვინოს, კრეტინს, წნევა გაუსინჯეთ, დღემი სამჯერ, ამერიკიდან ჩამოუტარეთ წამალი, მისწერეთ საელჩოს — იღუპება საქართველოს სინდისი და ნამუსი, ხელიდან გვეცლება ბურჯი და მოამაგე-თქო, მისწერეთ, მისწერეთ, ჩვენ კი გვაწამეთ და ამოგვალპეთ. რატომ არ წერთ, დაწერეთ! — აღიარა ნაკაშიძემ დანაშაული. — ძიება დამთავრდა და საქმე დაიხურა-თქო!.. დასწერეთ!!!

...მე ილაჯგამოცლილი დავეგდე სკამზე, მთელი სხეული მიკანკალებდა, თვალებში მოწოლილი სისხლი ჭუთუთოებს მწვავდა, გული შერეოდა: ჩემი თავშეუკავებლობის, საქმის, როსტომის ჩვენების, გამომძიებლის, ციხის, ხარაბაძის, თამბაქოს, თავისუფლების, ჰაერის, იატაკის, საკნის, ჭერის, სკამის სისხლის, ყელში მომდგარი ბოღმის, გაწეპილი და გამომშრალი ხახის, ოფლის, და ყველაფრის გამო. ახლა სიკვდილი მინდოდა, მხოლოდ სიკვდილი, ყველაფერს მოწყვეტილი, ყველაფრის უარმყოფელი და არაფრის ბადალი.

მთელი ეს დრო ხელაძე თავაუღებლად მიგდებდა ყურს, თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როდესაც ამილახვრის ჩვენება დავხიე და თავზე გადავაყარე, იგი ნელა შეუდგა ჩვენების ნაგლეჯების მოგროვებას და შეკოწიწებას, არაფერი რომ არ გამოუვიდა, ისევ მოხიკა და სანაგვე კალათში ჩაყარა.

— რა დღეში გაქვს, ბიჭო, ნერვები, თავი არ გეცოდება? — მკითხა მან და სინანულით გაიქნია თავი.

—მაპატიეთ! — ვთხოვე მე, ცოტა გონს რომ მოვედი.

— ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთ დღეში გექნებოდა ნერვები... — თქვა მან, ადგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— მაპატიეთ, ბატონო გამომძიებელო, ჩემი ბრალი არ არის, თქვენ ალბათ თქვენით ზომავთ, ციხეში კი... აქ სხვა საზომებია, ნერვები დაწყვეტაზე გვაქვს, ჩვენგან დამოუკიდებლად, საკუთარ თავს ვერ ვერევით, მე გარეთ რომ ვიყავი, უფრო დინჯი და ძლიერი მეგონა ჩემი თავი, მაგრამ არ ვყოფილვარ...

— რაც მთავარია, ნაძირალა არ ყოფილხარ... სხვას შეეძლო ასეთ შემთხვევაში დაეღუპა ამილახვარი.

— ამილახვარს არ მოუკლავს და როგორ დავაბრალებდი?! — ვკითხე მე გაკვირვებულმა.

— ნაკაშიძე, გამოძიების პრაქტიკაში არის რამდენიმე ფრაზა: „შეიძლება“, „მაგრამ“, „არ დამინახავს“, „კარგად არ მახსოვს“, „ზუსტად ვერ მოგა-

ხსენებთ“ და სხვა, რომელიც ძალიან ჰგავს გათქმას. ხანდახან ეს ნახევრად არგათქმაც საკმარისია თავის გადასარჩენად...

— მე რასაც ვამბობ, იმას დაგიწერთ კიდევაც...

— მე შენთან დასაკითხავად არ მოვსულვარ, ნაკაშიძე... მე შენი ჩვენება არ მჭირდება, რაც ახლა ილაპარაკე, იმაზე უკეთესს შენ ვერაფერს იტყვი...

— აბა, რისთვის მობრძანდით, ბატონო გამომძიებელო? — ვკითხე მე.

— უნდა დამეხმარო და რჩევა მომცე! — მითხრა მან და ისევ გამიყარა თვალი თვალში, კვლავ უსიამო ჟრუანტელმა დამიარა, ესეც მე მატყუებს... გავიფიქრე, აღარ არის საშველი, სად გაგონილა გამომძიებელი რჩევას თხოვდა პატიმარს? ან რომელი გულუბრყვილო პატიმარი დაუჯერებს ამას გამომძიებელს. ჯერ არ დაბადებულა ისეთი გამომძიებელი, არ შეპირებოდეს პატიმარს — თქვი და გაპატიებთ, თქვი და შეგიმსუბუქებთ დანაშაულს, თქვი და ვერავინ გაიგებს, დაგვეხმარე და დაგეხმარებით, შეგვიწყვე ხელი და შეგიწყობთ ხელსო — ყველაფერი ეს მოსმენილი მაქვს ასჯერ და ათასჯერ, მეც და ყველა პატიმარს, პატიმრის და გამომძიებლის გაჩენის დღიდან არსებობს ეს დაპირება, მაგრამ ის, რომ გამომძიებელს რჩევა ეთხოვოს პატიმრისთვის, პირველად მესმოდა, და ისიც საკუთარი გამომძიებლისაგან!

— რჩევას გთხოვ, ნაკაშიძე, როგორ მოვიქცე? — გამიმეორა მან, თან თვალს არ მაცილებდა, ერთ ხანს ისევ შევყოყმანდი, კინაღამ გამექცა თვალები, კინაღამ კვლავ ვერ გავუძელი მის მზერას, მაგრამ ახლა, სწორედ ახლა უნდა მეცქირა მისთვის თვალებში, ახლა უნდა გამეძლო მისი გამჭვალი, შანთივით გავარვარებული გამოხედვისათვის, თვალებიც რომ ამომშრეტოდა, რომ დავფსებულიყავი, დავბრმავებულიყავი იმის ფასად და უნდა გამეგო რას ფიქრობდა იგი ამ წუთში, ალალი იყო თუ არა მისი სიტყვები... ღმერთო, გამაძლებინე მისი მზერისათვის და თუ სტყუის ის, დაე, ძან პირველმა ამარიდოს თვალი, პირველმა... ღმერთო... და მე გავუძელი მის მზერას, მან კი, არ ამარიდა თვალი არა, და მე მივხვდი, რომ იგი ნამდვილად მთხოვდა რჩევას.

— მე აბა რით უნდა დაგეხმაროთ? — ვკითხე დაბნეულმა.

— იქნებ რამე დეტალი გაიხსენო, პატარა ხავსი მომეცი, რომ მოვეკიდო, კენჭი დამიგდე, რომ ფეხი გამოვდო, არ დავცურდე, არა და, ამ ჩვენებების მიხედვით წყალს მივყავართ, ბიჭო, შენც და მეც. — თქვა მან და საქმე ხელში აიღო.

— ეს თვეები მეტს არაფერს არ ვფიქრობ, ბატონო გამომძიებელო, ერთადერთი იმედი ხარაბაძეა, გონს თუ მოვიდა, ის იტყვის...

— იტყვის კია? — თავისთვის დაეჭვდა გამომძიებელი. — მე აღარაფერი არ ვუპასუხე, რადგან უკვე აღარაფრის იმედი აღარ მქონდა, აღარაფრის აღარ მჯეროდა და, საერთოდ, ხარაბაძის გადარჩენის იმედიც არ მქონდა. თავი ჩავღუნე.

— გუშინ ვიყავი საავადმყოფოში, ხარაბაძე გონს მოდის, მაგრამ ჯერ დაკითხვა არ შეიძლება, — გამომძიებელი თავისთვის ლაპარაკობდა, — ერთ კვირაში, როგორც ექიმი ამბობს, მთლიანად დაუბრუნდება აზროვნებაც და მეხსიერებაც, მაგრამ გაიხსენებს კი? მოინდომებს იმ ამბის გახსენებას? რომ გაიგებს მისი ხელიდან კაცი მოკვდა, იტყვის სიმართლეს? ან იქნებ იცის უკვე, რომ კაცია მკვდარი... — გამომძიებელი დაფიქრდა და მე შემომხედა.

— არ იცის, არა, ბატონო გამომძიებელო, საიდან ეცოდინება, როგორც კი ისროლა მეორე ბოთლი, ამილახვარმა დაარტყა...

— რა დაარტყა ასეთი, რა მუშტი აქვს იმ ამილახვარს, ექსპერტმა დასკვნა გადმომცა მძიმე, ბლაგვი საგანი აქვს ჩარტყმული თავშიო...

— არა, მუშტი დაარტყა, ბატონო გამომძიებელო.

— მაშ, შენ ამბობ, რომ არ იცის? — მკითხა მან.

— არ იცის, ბატონო გამომძიებელო, არ იცის...

— ხომ გაიგებს?

— არ უნდა გაიგოს!

— როგორ?

— არ უთხრათ!

— მოვატყუილოთ?

— ეგ ტყუილი არ იქნება, ბატონო გამომძიებელო. მას ხომ კაცის მოკვლა არ უნდოდა; რომ გაიგოს, შეშინდება და არ იტყვის სიმართლეს, არ უთხრათ, ბატონო გამომძიებელო, თქვენი ჭირიმე, გეხვეწებით, გეძუდარებით, არ უთხრათ. ნუ ეტყვით, თორემ შეშინდება და აღარ იტყვის მართალს, ბატონო გამომძიებელო, არ უთხრათ! — ვემუდარებოდი მე.

— ჰო, დაწყნარდი, არ ვეტყვი, არ ვეტყვი, დაწყნარდი, არ ვეტყვი, — მამშვიდებდა გამომძიებელი. — არ ვეტყვი, თუ არ უთხრეს უკვე. — თქვა მან. თავზარი დამეცა და მხრები მოწყვეტილივით ჩამომიცვივდა. ხელაძე ერთ ხანს ფიქრობდა, მერე საქმე აიღო, იღლიაში ამოიდო და წასვლა დააპირა, უცებ საქმე მაგიდაზე დააგდო და ყურმილი აიღო, ნომერი აკრიფა სასწრაფოდ.

— ალო, მიმინოშვილი, ხელაძე ვარ, ახლავე კამოს ქუჩაზე სასწრაფოში კაცი გააგზავნე, ჰო, მილიციელი, მერვე პალატასთან დადგეს და ვიდრე მე არ მივალ, კაციშვილი არ შეუშვას, გესმის, კაციშვილი! მერვე პალატასთან! ხარაბაძეა ავადმყოფი... მარტო წევს... არავინ... არც ჭირისუფალი, არც ექიმი... — ხელაძემ ყურმილი ჩამოკიდა და ახალი ნომერი აკრიფა:

— თუ შეიძლება მთავარი ექიმი... გამარჯობათ, ბატონო შალვა. ხელაძე გაწუხებთ, გამომძიებელი ხელაძე... გამარჯობათ, ბატონო შალვა... მე მილიციელი გამოვგზავნე. თქვენც გთხოვთ, არავინ არ შეუშვათ ხარაბაძის პალატაში... თქვენ იცით, მერვეშია... დიახ, მალე მოვალ და ყველაფერს მოგახსენებთ.. არავინ, არავინ. გმადლობთ, ბატონო შალვა!.. — ხელაძემ მილი დაკიდა, ხმამაღლა ამოისუნთქა და შუბლზე დაყრილი ოფლი მოიწმინდა სახელოთი. მერე ელექტროღილაკს დააჭირა თითი. ოთახში ზედამხედველი შემოვიდა.

— წაიყვანეთ! — უბრძანა მან და ისე წავიდა, არც გამომშვიდობებია.

ყოფნა-არყოფნა

ტიგრან გულიანი დაკითხვიდან ნაცემი ძაღლივით კუდამოძუებული და ყურებჩამოყრილი დაბრუნდა. იგი პირდაღმა დაეგდო ნარზე და, ჩვენი ლაპარაკი რომ არ გაეგო, ბალიში თავზევიდან დაიდო. თანაგრძნობისა თუ სოლიდარობის გამო, ერთ ხანს ვდუმდით. დუმილი ჭეიშვილმა დაარღვია:

— მდაა, მძიმე სურათია! — თქვა მან.

— რაო, ტიგრან? — ვკითხე მე.

— თავი დაანებეთ, ვერა ხედავთ, რომ კაცი გუნებაზე არ არის! — ჩაერია ლაპარაკში შოშია, — დაუწყებენ ახლა რაო, ტიგრან, რა გითხრაო, შენ რა უთხარიო, იმან რა გკითხაო, რამდენს გისჯიანო, დახვრეტას თუ გადაურჩი, თხუთმეტ წელიწადს მოგცემენო, გამომძიებელს ტიგრანა ფეხებზე ჰკიდიაო, რატომ ჰკიდიაო, კაცს რომ კლავდი, მა რა გეგონაო, კაცის მოკვლას, ჩემსავით ფული გაეფლანგა, ის არ ერჩიაო, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ასი ათასს რომ ასცდება, აქაც და იქაც ხვრეტენო, ცოლ-შვილს რა ეშველებაო, მაგაზე ადრე უნდა გეფიქრაო, ვაი, ტიგრანაო, უი, ტიგრანაო... მაინც რაო, ტიგრან, რა გითხრა იმ შობელ-

ძაღლმა?!! — ვეღარ მოითმინა თვითონ შოშიამ.

— რაო და, შოშია გოგოლაძის ოხერი დედაც ვატირეო! — ამოყო თავი ბალიშიდან ტიგრანამ.

— ეგრე გითხრა? — ჰკითხა გამშრალმა შოშიამ.

— ჰო, ეგრე მითხრა, მილიონ შჩემტა გაფლანგვაზე, რომ ზის, აი, იმ შოშია გოგოლაძის ოხერი დედაც ვატირეო. გაიგე? — მარცვალ-მარცვალ გაუმეორა ტიგრანამ.

— რათაო, მე მართლა მაგისი ოხერი დედაც ვატირე და მაგის ყველა პატიმარი ვნახე გაქცეული, ყველა საქმე დაუმთავრებელი და თვითონ მაგი, იმ მეტყევესავით, ყელგამოღადრული ტიგრანა გულოიანის ხელით. — იკითხა ისევ შოშიამ.

— ეგრეო და აბა რა ვიცი! — მხრები აიჩეჩა ტიგრანამ.

— აღარ იტყვი რა მოხდა? — ჰკითხა დევდარიანმა.

— რაღა რა მოხდა, ლიმონჯან თვრამეტ კაცში ამომიცნო ერთმა დედაბერმა.

— ვავა! — თქვა ჭეიშვილმა.

— შენს ამოცნობას რა უნდა ბიჭო, გაჭყლეტილ ნავთის ბიტონს გიგავს თავი! — უთხრა შოშიამ.

— შოშია, შენს ხასიათზე არა ვარ! — გააფრთხილა ტიგრანამ. შოშია დადუმდა.

— მერე? — ჩაჰკითხა დევდარიანმა.

— მე ვუთხარი, ეგრე როგორ იქნება-მეთქი, ამოსაცნობებში ჩვიდმეტი რიეა რუსი იყო, ერთი მე ვიყავი, ტარაკანივით შავი სომეხი. გამომძიებელი ეუბნება — დედიჯან, აბა, გამოიცანი, ამ ბიჭებში ტიგრან გულოიანი რომელიაო?!!

— იმან რაო?

— რა რაო! მოვიდა და პირდაპირ ხელი დამადო, ეგ არისო. მე ვუთხარი, დედიჯან, ნუ აჩქარდები, დაფიქრდი და ისე დამადე ხელი, ხომ იცი, რომ მღუპავ-მეთქი!

— მერე?

— ვიცი, შვილო, რომ გღუპავ, მაგრამ რა ვქნა, შენ იყავი, შენ სახეს რა დამავიწყებსო.

— ესეც მე ვარ? — თქვა კმაყოფილმა შოშიამ. ტიგრანამ გახედა, მაგრამ არაფერი უთხრა, სიტყვა გააგრძელა. — მე ვუთხარი — მაინც დაფიქრდი-მეთქი!

— კარგი, შვილო, დავფიქრდები და ამ რუსს დავადებ ხელს, მაგრამ შენ არ შეგრცხვებაო? მკითხა. მე ვუთხარი — შენ მიდი, ხელი დაადე და შემრცხვება თუ არა, ეგ მე ვიცი-მეთქი... გიჟი არ იყო, მაინც მე დამადო ხელი.

— მერე?

— რა მერე, ტაში დავუკარი საღოლ დედიჯან, როგორ მიცანი-მეთქი.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა ჭეიშვილმა.

— რას ვაპირებ? თბილი ტანსაცმლის შეგროვება უნდა დავიწყო. ერთ კვირაში სასამართლოა, ალბათ თხუთმეტ წელს მომცემენ.

— თხუთმეტს? — ვკითხე მე.

— ჰო, განზრახ ხომ არ მომიკლავს, შემომაკვდა, წესით არ უნდა დამხვრიტონ! — ისეთი სიმშვიდით თქვა ტიგრანამ, რომ სიცივემ დენივით დამირბინა სხეულში. იგი დაიხარა, ცალი ფეხსაცმელი წაიძრო, იქიდან რამდენიმეჯერ გაკეცილი გაზეთის საფენი ამოიღო და დიდი სიფრთხილითა და სასოებით დაუწყო გაშლა. — გამომძიებელს მოვპარე, მიდი, ზაზა, წაგვიკითხე. — თქვა მან და გაზეთი გადმომაწოდა.

— ახალია? — ვკითხე მე.

— რა მნიშვნელობა აქვს, ამ წლის გაზეთი ჩვენთვის ყველა ახალია. — თქვა ტიგრანამ და ახლა გულაღმა წამოწვა ნარზე, ხელები თავქვეშ ამოიდო და მოსასმენად გაემზადა. მე გაზეთს დავხედე, მაისის თვისა იყო, პირველი, მეორე და მესამე გვერდი სტატისტიკური საბმართველოს ცხრილებით იყო სავსე, „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შესრულე-

ბის მიმდინარეობა“, კიროვის 10-ით იყო აწყობილი სათაური.

— ღობალი არ გინდა? სულ ცხრილებია! — ვთქვი მე.

— ბოლო გვერდი ნახე! — მირჩია დევდარიანმა.

გაზეთი გადმოვატრიალე:

„სიახლე სოფლის ტექნიკაში“ — წავიკითხე მე.

— მიდი, მიდი! — გამამხნევა შოშიამ.

„გურჯაანის რაიონის სოფელ თელიანის აგრონომ-მექანიკოსმა გივი ივანეს ძე ბატიაშვილმა მოიგონა საკუთარი კონსტრუქციის, ერთდროული მოქმედების ვაშლის სათლელი და ნიგვზის სატეხი მანქანა. მანქანის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. თუ წინათ ერთი ტონა ვაშლის გათლას ათი კაცი 4 სამუშაო დღესა და 8 საათს ანდომებდა, მანქანა ამას ერთ დღეში აკეთებს. ამრიგად, ახალმა მანქანამ ამ მძიმე სამუშაოდან გამოანთავისუფლა 9 მუშახელი და მეხილეობის რაიონებს მილიონობით მანეთის ეკონომია მისცა. როგორც აღვნიშნეთ, მანქანა ვაშლის თლასთან ერთდროულად ნიგოზსაც ამტვრევს, თუ წინათ ერთი ტონა ნიგვზის (კაკლის) მტვრევას 8 კაცი (ნიგვზის მტვრევაზე ძირითადად ქალები მუშაობენ) ორ დღეს ანდომებდა, ახლა ამას მანქანა ერთ დღეში აკეთებს. მართალია, მანქანა ჯერჯერობით დამტვრეულ კაკალს ვერ არჩევს, მაგრამ, როგორც ბატიაშვილი გვპირდება, მალე მანქანა მოდერნიზებული იქნება... მანქანა მარტივი კონსტრუქციისაა, იგი 120-ვოლტიან დენთან შეერთებულ დაზგაზე მიმაგრებული ვაშლის სათლელი რამდენიმე დანისა და ნიგვზის სამტვრევი ორი მექანიკური ჩაქუჩისაგან შედგება. მანქანისადმი ვაშლისა და ნიგვზის მიწოდება ჯერჯერობით არ არის მექანიზებული, უახლოეს დროში მანქანა ფართოდ დაინერგება ჩვენი სოფლის მევაშლეობისა და მეკაკლეობის რაიონებში“.

— სახელმწიფო პრემიაზე იქნება წარდგენილი! — თქვა ჭეიშვილმა.

— არ ვიცი, აქ მეტი არაფერი არ წერია. — ვთქვი მე.

— მეტი რაღა უნდა ეწეროს. — თქვა შოშიამ.—რაც შეეძლო გაუკეთებია იმ კაცს, აუშენებია თავისი რაიონი და ეგ არის.

— ღმერთს ქვეყნად ადამიანზე ზარმაცი არაფერი გაუჩენია. — ჩაერია ჩვენს საუბარში ბატონი ისიდორე, — საცოდავი, კაცობრიობის გაჩენის დღიდან, რას არ შვრება, წელებზე ფეხებს იდგამს, ოფლად იღვრება, იტანჯება, ოთხში ძვრება, დღე და ღამეს ასწორებს, რას არ იგონებს — ატომს, გასაოცარ მანქანა-იარაღებს, რობოტებს, მექანიკურ ძრავებს, მუსიკის დამწერ, რომანის დამწერ, ლექსის დამწერ, წიგნის წამკითხველ, თავის მოსაფხან, ფეხის საბან, ყურის გამოსაჩიჩქნ მანქანებს და რობოტებს. ფანტასტიკურ ენერგიას ხარჯავს, დედამიწის გულში მიძვრება, ზღვის ფსკერზე ჩადის, მზეზე ადის და რისთვის? არ იკითხავთ? ბოლოს მხართეძოზე რომ წამოწვეს და არაფერი რომ არ აკეთოს, ტყუილად რომ იყოს, არ იშრომოს, ხედავთ? ბატიაშვილს ნიგვზის გატეხვაც და ვაშლის გათლაც არ უნდა, ეზარება, მანქანა მოუგონებია. მე რომ ვიყო, პრემიას კი არა, იმ ვაშლის ხეზე ჩამოკიდებდი მაგ მაიმუნს — თქვა აღელვებულმა ისიდორე ბატონმა და ნარზე წამოჯდა.

— მართალია, საღი გონებით თუ მივუდგებით საკითხს, მოვლენათა ლოგიკური კავშირი იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ საბოლოო ჯამში ან სულ გადავგვარდებით და გადავშენდებით, ან მოვსპობთ ერთმანეთს, ან ღმერთი თვითონ მოგვსპობს როგორც გახრწნილებს და კვლავ იმ ტალახად გვაქცევს, რომლიდანაც მოგვზილა. — გადაუსვა ხაზი კაცობრიობას ჭეიშვილმა.

— ტალახიდან მოზელილი და ფურთხიდან გაკეთებული შენ თვითონ ხარ,

ჭეიშვილო! მე მამაჩემის გაკეთებული ვარ! — ეწყინა შოშიას.

— რა უნდა ველაპარაკო, ბატონო ისიდორე, ამ ბნელსა და გაუნათლებელ ანტრაციტს? — ჰკითხა ჭეიშვილმა ბატონ ისიდორეს.

— მე ვარ ანტრაციტი? — ჰკითხა დაბნეულმა შოშიამ ჭეიშვილს.

— შენ ხარ, შენ, ბრიყვო და გაუნათლებელო, ორი წიგნი არ გაქვს ერთმანეთზე მიყოლებით წაკითხული.

— შენ რომ ჩერნიშევსკი გაქვს წაკითხული, იმიტომ ვერ ზიხარ აი, ჩემს გვერდით, შე ალიმენტის ურჩო გადამხდელო! — დატუქსა შოშიამ ჭეიშვილი.

— მე ვამტკიცებ, რომ ადამიანები ერთმანეთს მოსპობენ, მით უმეტეს, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებული აქვთ ტიგრან გულოიანსა და ზაზა ნაკაშიძეს, — გააგრძელა თავისი თეორია ჭეიშვილმა და ხელი ჩვენსკენ გამოიშვირა, ისე როგორც გიდები იშვერენ ხოლმე ხელს ზოოპარკში ექსკურსიის დროს მტაცებელი ცხოველებისაკენ.

— ჭეიშვილო, ახლა მოკეტე, თორემ, ხომ იცი, სასამართლოსათვის სულ ერთია — გინდა ბატალიონი მომიკლავს, გინდა ერთი კაცი. — გააფრთხილა ტიგრანამ. შეშინებულმა ჭეიშვილმა ნერწყვი გადაყლაპა.

— ცუდი არაფერი მითქვამს, მე ვამბობ, ან ერთმანეთს დავერევით და გავწყვეტთ, ან ღმერთი მოგვსპობს-მეთქი. დამიმოწმეთ, ბატონო ისიდორე, რომ მართალი ვარ! — თხოვა მან ბატონ ისიდორეს.

— ღმერთს არ შეუძლია მოსპოს კაცობრიობა. — თქვა ისიდორე ბატონმა.

— რატომ? — ჰკითხა ჭეიშვილმა.

— ადამიანმა აღმოაჩინა ღმერთი და იმ დღიდან ღმერთი გახდა ღმერთი. იმ დღიდან არსებობს იგი კაცობრიობის შეგნებაში, იმ დღიდან განივთდა იგი ადამიანში და ახლა რომ მოსპოს კაცობრიობა, თავადაც შესწყვეტს არსებობას.

— ვერ გავიგე, ბატონო ისიდორე, ხომ მოსპო ერთხელ ღმერთმა კაცობრიობა? — შეეკითხა ისევ ჭეიშვილი.

— როდის? — ჰკითხა ისიდორემ.

— წარღვნა რაღა იყო? — თავის მხრივ ჰკითხა ჭეიშვილმა.

— წარღვნა ბლეფი იყო.

— როგორ?

— წარღვნა მაშინ იქნებოდა განკითხვის დღე, ნოეც რომ ზედ მიეყოლებინა, მაგრამ ღმერთს ნოე ფეხებზე ეკიდა, ამით მან თავი გადაირჩინა.

— არ ბრძანდებით მართალი, ბატონო ისიდორე, ხომ არსებობდა ღმერთი სამყაროს გაჩენამდე?

— მერე და, ვინ იცოდა ეს? — ჰკითხა ისიდორე ბატონმა. ჭეიშვილმა, როგორც ეტყობა, არ იცოდა, თუ ვინ იცოდა ღმერთის არსებობა სამყაროს შექმნამდე, ამიტომ მხრები აიჩეჩა, ქვედა ტუჩი გადმოაბრუნა და ხელები გაშალა. — მხოლოდ მან იცოდა ეს, თვითონ ღმერთმა და მეტმა არავინ. მაგრამ ერთი გამრავლებული და გაყოფილი ერთზე ერჩია, ამიტომ უბრალო არითმეტიკა იყო საჭირო, მიმატება. ჯერ მიმატება და შემდეგ გამრავლება. ღმერთს არ აწყობდა მხოლოდ თავისთავში არსებობა და თავისთავისადმი დიფირამბების გალობა. იგი კიდევ რაღაცაში უნდა განსახიერებულიყო და გავრცობილიყო, რომ ეარსება მარად...

— ბატონი ისიდორე მართალს ამბობს, — თქვა ტიგრანამ. — მე რომ მოვკვდები, ჩემთვის აღარც ღმერთი იქნება, აღარც პროკურორი, აღარც მოსამართლე. გინდა მიუმატე, გინდა გამოაკლე, ბოლოს ყველაფერი ნულია. რას იტყვი, შოშია? — ჰკითხა ქანდარაზე შემომჯდარ შოშიას.

— შენისთანა სულელი, ტიგრანჯან, ღმერთს სამი მილიარდი ჰყავს, 2000 წელს კი რვა მილიარდი ეყოლება. — არ დაეთანხმა შოშია.

— ჩემისთანა? — გაუკვირდა ტიგრანას.

— ჰო, შენისთანა და უარესიც.

— რვა მილიარდი?

— ნუ, რვა თუ არა, ნახევარი მაინც ეყოლება?

— ნახევარი მილიარდი?

— არა, იმ რვის ნახევარი, ოთხი მილიარდი.

— ღმერთმა მოახმაროს! — დაილოცა დევდარიანი.

— ვაა, ოთხი მილიარდი ტიგრანას გაძლება არ გინდა? — გაუკვირდა თვითონ ტიგრანას.

— ამიტომ ვამბობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო ტიგრანად გადაიქცევა, ღმერთს შერცხვება თავისი ნახელავისა და მოსპობს კაცობრიობას. — დააგვირგვინა ჭეიშვილმა კამათი.

— ჭეიშვილო, შენ კარანტინში ნემსი თუ გაგიკეთეს? — ჰკითხა უცებ დევდარიანმა.

— რა ნემსი?

— აი, ჩვეულებრივი ნემსი, თუ გაგიკეთეს კარანტინში?

— ნემსი რა შუაშია?

— რომ გეკითხები, ალბათ არის! — იდუმალი ხმით უთხრა დევდარიანმა.

— გამიკეთეს, მერე რა? — უპასუხა ჭეიშვილმა.

— პატარა თუ დიდი?

— დიდი! — სწრაფად უპასუხა ჭეიშვილმა.

— ჰოოო... — დიდმნიშვნელოვნად გააგრძელა დევდარიანმა.

— რა ჰოო? — დადარაჯდა ჭეიშვილი.

— რაო, რისთვის გიკეთებთო, რა გითხრეს? — განაგრძო დაკითხვა ლიმონამ.

— ეპიდემიის, კერძოდ ტიფის, შავი ჭირისა და ხოლერის, საწინააღმდეგოდ.

— ჰაჰა! — ნაძალადევად და ირონიულად გაიცინა დევდარიანმა.

— რაშია საქმე, დევდარიანო, რას ხედავთ ამაში ცუდს? — ანერვიულდა ჭეიშვილი.

— გამოდის, რომ სამი ნემსი გაგიკეთეს? — ჰკითხა ისევ დევდარიანმა.

— არა, ერთი აცრა და ორი ნემსი, — დააზუსტა ჭეიშვილმა.

— აუჰ! — შემოირტყა ხელი თავში დევდარიანმა.

— აღარ მეტყვით, რაშია საქმე, დევდარიანო? მეც ადამიანი ვარ! — ხმა აუკანკალდა ჭეიშვილს. დევდარიანი სდუმდა და თან თავს აქეთ-იქით იქნევდა სინანულით. ბოლოს ისეთი თვალებით შეხედა ჭეიშვილს, რომ პირადად მე გული ამიჩუყდა და რაღაც მოულოდნელობისა და შიშის გრძნობამ შემიპყრო, რადგან ის ნემსი, რომელზედაც დევდარიანი ასეთი ტრაგიკული ტონით ლაპარაკობდა, მეც მქონდა გაკეთებული და, ალბათ, ყველას.

— ან მომკალი, ან თქვი, რაშია საქმე, დევდარიანო! — შეეხვეწა ჭეიშვილი.

— რამდენი ხანია, ჭეიშვილო, სიზმარში ქალი არ გინახავს? — ჰკითხა დევდარიანმა ბოლოს და ბოლოს გამოცვლილი ხმით. ჭეიშვილს ჯერ გაეღიმა, მერე გაეცინა, ცოტა ხანს ასე იცინოდა, მერე უცებ გაფითრდა და ყბა ჩამოუვარდა.

— დევდარიანო, ნუთუ?!.. — აღარ დააბოლოვა კითხვა ჭეიშვილმა, დევდარიანმა უზომო სინანულში გამოხატული თავის დაქნევით დაუდასტურა ეჭვი.

— ტყუილია, ტყუილია, ტყუილია! — თანდათან აუწია ხმას ჭეიშვილმა და დაფეთებული თვალებით გადმოგვხედა. — როგორ? — იკითხა ბოლოს.

— რამ შეგაშინა, ჭეიშვილო, გაივლის ათი წელი და!.. — დაამშვიდა ლიმონამ.

— როგორ თუ ათი წელი?!

— ასე, ძვირფასო, თითო ნემსი ხუთ წელიწადზეა განსაზღვრული. ვერც გაამტყუნებ ციხის ადმინისტრაციას, ჩვენ აქ მამაკაცები ვართ, მოგეხსენებათ, მამაკაცი როგორ განიცდის უდედაკაცობას. საუბედუროდ ჩვენდა, პა-

ტიმართა მომსახურების ნუსხაში არ არის აღნიშნული მათი დედაკაცებით მომსახურება, ამიტომ ჩვენი ნერვული სისტემის უსაფრთხოების მიზნით...

— К черту нервы!

— იკივლა ჭეიშვილმა. — ვის უნდა მაგათი ნერვები. ათი წელიწადი ცვედანი, საჭურისი, სკაპეცი, ევნუხი, დაკოდილი, ვის უნდა ათი წლის შემდეგ სიცოცხლე, რა უფლება ჰქონდათ, სადაური რასპუტინი მე მნახეს, ან ჩეზარე ბორჯია, დასაოკებელ ნემსებს რომ მიკეთებდნენ — Произвол! ათი წლის შემდეგ, ათი წლის შემდეგ მე თვითონ გავიკეთებ მაგ ნემსებს. აწი ვაპირებ მე ოჯახის შექმნას, რას გავს ეს, რატომ უნდა იყოს დამოკიდებული ჩემი შთამომავლობის ყოფნა-არყოფნა ვიღაც ვიგინდარა, უზნეო ციხის უფროსის ნება-სურვილზე, როდის შევაწუხე, ბატონო, ჩემი ტემპერამენტით? არა, თქვენ გეკითხებით, რატომ დუმხართ, ხალხო! თქვენ რა, თქვენთვის არ გაუკეთებიათ ნემსები? — მოგვვარდა ჭეიშვილი. — შენ რას იღიმები, სულელო, შენთვის არ გაუკეთებიათ? — ჰკითხა მან შოშიას.

— მე რა, ორი შვილი უკვე მყავს, თანაც ისეთი მუხლით ვზივარ, ქალი კი არა, ანგელოსი რომ დამანახო, ადგილიდან ვერ დამძრავ. ჩემი ცხოვრება გათავდა! — გადაუწურა წყალი შოშიამ.

— თქვენ, ისიდორე ბატონო? — ეცა ისიდორეს ჭეიშვილი, ისიდორემ ირონიულად გაუღიმა და ჭაღარა, მოხუც თავზე მოისვა ხელი. ჭეიშვილი გაწითლდა.

— შენ? — მომიბრუნდა ახლა მე.

— მე პატარა ნემსი გამიკეთეს! — ვთქვი ანგარიშმიუცემლად.

— პატარა?

— ჰო!

— პატარა რას ნიშნავს, დევდარიანო! — ეცა ჭეიშვილი.

— პატარა ერთწლიანია! — განუმარტა ლიმონამ.

— ჩემი, ჩემი ნემსი გაუკეთებიათ შენთვის, მე ვარ ერთწლიანი, შეშლიათ, რაც არ უნდა გაწელონ, ერთ წელიწადზე მეტს ვერ მომისჯიან. პატარა ნემსი უნდა გაეკეთებიათ, რა ვქნა ახლა მე? — გაშალა ხელები სასოწარკვეთილმა ჭეიშვილმა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, ნარზე დავემხვე და თავი ბალიშში ჩავრგე, რომ არ გადამეხარხარა.

— განცხადება! — შეაშველა ვიღაცამ ტვინი.

— რა განცხადება? — იკითხა განცვიფრებულმა ჭეიშვილმა.

— რა და, რომ აღგიდგინონ მამაკაცობა. — უთხრა დევდარიანმა.

— ამდენ ხანს სად იყავით, ახლა რაღას მიშველის განცხადება? — იკითხა განწირული ხმით ჭეიშვილმა.

— განცხადება-მეთქი, სანამ დროა! — დააჩქარა დევდარიანმა.

— ქაღალდი! — იყვირა ჭეიშვილმა. — მიაწოდეს. — ფანქარი! — ისიც მიაწოდეს. იგი მიუჯდა მაგიდას, ცოტა ხანს იფიქრა, ფანქრის ბოლოს ღრღნა დაუწყო და უცებ იკითხა: — ვის სახელზე დავწერო?

— ციხის უფროსის!

— პროკურორის!

— პრეზიდენტის!

— ექიმის!

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის!

— რასპუტინის! — ეძახდნენ აქეთიქიდან.

— მაო ძე-დუნის სახელზე დაწერე, იმას ჟენ-შენი აქვს, ამბობენ, ძალიან უხდებაო! — ურჩია ბოლოს შოშიამ.

— Провокатор! — თქვა ჭეიშვილმა და მზერა კვლავ დევდარიანს მიაპყრო.

— ციხის უფროსის სახელზე, ეცადე რაც შეიძლება მკაცრი და კატეგორიული იყოს!

— კაცი ხარ, ლიმონ! — ცრემლნარევი ხმით უთხრა ჭეიშვილმა. — კაცი, დანარჩენები პირუტყვები არიან — გადაგვავლო თვალი და გამალებით შეუდგა განცხადების წერას.

— ზაზაჯან, ვიდრე ეგ წერს, შენ გა-

ზეთი გააგრძელე! — მთხოვა ტიგრანამ. სიცილმა ცოტათი გადამიარა და გაზეთი ავიღე.

— **„ადამიანი ჯანმრთელი რომ იყოს“** — დავიწყე მე.

— სწორედ ეგ გვჭირდება! — თქვა შოშიამ და სმენად გადაიქცა.

„ძნელად თუ მოიძებნება ისეთი კაცი, რომელსაც თავის ტკივილი არ განეცადოს“.

— ტყუილია, მე არ ამტკივებია არასდროს თავი! — შემაწყვეტინა ტიგრანამ.

— აქ ადამიანებზეა, ტიგრან, ლაპარაკი! — ვუთხარი და კითხვა გავაგრძელე: „უმრავლესობას თავის ტკივილი ხანმოკლე, მსუბუქი აქვს. სხვა საქმეა მკვეთრი, მტანჯველი ტკივილი, რომელიც შრომის უნარზეც მოქმედებს. ეს, როგორც წესი, დაავადების ნიშანია. ამიტომ მიმართეთ ექიმს. ასევე უნდა მიმართოთ ექიმს თუ უმიზეზოდ მოგდით ოფლი, გტკივათ კბილი, ბრმანაწლავი, კუჭი, ღვიძლი, გაქვთ სერიოზული მოტეხილობა და ინფექციური დაავადებები, მუცლის ტიფი, ყვავილი, ქოლერა. თვითმკურნალობა სპობს ადამიანის ჯანმრთელობას“. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ექიმი დოლგორუკოვი.

— ეს გაზეთი სულ გაგიჟდა ამ ბოლო დროს! — თქვა ბატონმა ისიდორემ.

— კარგ რამეებს წერს, აი, ახლა ეგ რომ არ იცოდეს, ხომ დაიღუპება კაცი? — ჰკითხა ტიგრანამ ლიმონას. ლიმონამ თავი დაუქნია.

„საინტერესო ამბების სამყაროში“ — წავიკითხე ახალი სათაური.

— მიდი, მიაწექი! — გამამხნევა შოშიამ.

დავიწყე: „მეტად საინტერესო გამოკვლევები ჩაატარეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორნითოლოგებმა“.

— ორნითოლოგებმა რა არის, ზაზაჯან? — მკითხა ტიგრანამ.

— არ ვიცი, ტიგრანჯან! — ვუპასუხე მე.

— ორნითოლოგია ფრინველების შესახებ სწავლა-მეცნიერება გახლავთ! — თქვა მექანიკურად ჭეიშვილმა და კვლავ განცხადებაში ჩარგო თავი.

— ვა, კროსვორდია? — გაუკვირდა ტიგრანას.

— „რომლებმაც მაგალითებით დაამტკიცეს, რომ არა მარტო ქალაქის, არამედ ტყის ფრინველებიც ბუდეებისათვის ტრადიციულ მასალებთან ერთად იყენებენ ულტრა-თანამედროვე მასალებს, — გავაგრძელე მე, — ალუმინს, პენონპოლიუტერანის, პოლიეთილენის ნაჭრებს, საიზოლაციო სადენებს, მინაბამბას, ნეილონის ბოჭკოს“.

— აგურს არ ხმარობენ? — მკითხა შოშიამ. მე ყურადღება არ მივაქციე.

„ბელურის ერთ-ერთ ბუდეში აკურატულად იყო ჩაქსოვილი რადიოდეტალების წვრილი ვერცხლის მავთულები“.

— ტყუილს ამბობ, ნაკაშიძე, რაღაცას მასხარაობ, ეგრე არ ეწერება. — მითხრა დევდარიანმა.

— ჩემს დედას გეფიცები, თუ ეგრე არ ეწეროს! — დავირტყი გულზე მჯიღი.

— მაშინ მაგ ბელურას ტელეფონიც ექნება და, თუ ძმა ხარ, ნომერი მითხარი, რომ გავალ აქედან, უნდა დავურეკო! — მთხოვა დევდარიანმა. საკანში ხარხარი ატყდა.

— გაგახარა ღმერთმა, ამდენი არ მიცინია. რაღაც მეწყინება. — თქვა შოშიამ.

„სასარგებლოა, იცოდეთ“ — წავიკითხე ახალი სათაური.

პატიმრებმა ყურები ცქვიტეს.

„თუ ჩაიდანში მინადუღი წარმოიშვა, მასში ძმრიანი წყალი ჩაასხით და ადუღეთ, თუ არ უშველოს, მაშინ მინადუღი ჩაქუჩით ან დანით ამოამტვრიეთ“.

— გვატყუებ და ლაზღანდარობ! — არ დამიჯერა ბატონმა ისიდორემ.

— თუ არ გჯერათ, თქვენ თვითონ

წაიკითხეთ! — მეწყინა მე და გაზეთი გადავაწოდე.

„თუ ზაფხულის ცაზე ბამბის ქულასავით თეთრი ღრუბლები ნება-ნება დაცურავენ, ხოლო ტყეში გუგული გამალებით გაიძახის გუ-გუს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ცუდი ამინდი არ არის მოსალოდნელი“. — გააგრძელა კითხვა ბატონმა ისიდორემ.

— თუ ჭექა-ქუხილია, ელვა, გრიგალი და ბულბულები არ ფშტვენენ, უამინდობაა მოსალოდნელიო, არ წერია? — იკითხა შოშიამ და ნარზე გულაღმა გადავარდა. ბატონმა ისიდორემ გაზეთი დამიბრუნა და პირსახოცი თეთრი ბაირაღივით ასწია მაღლა — გნებდებიო. მე გაზეთი გავშალე.

— დაანებე თავი! — მითხრა დევდარიანმა.

— რას მიჰქარავ, ქვეყნის რაღაცეები ვისწავლე. მიდი, ზაზაჯან! — გამამხნევა ტიგრანამ.

„როგორ უნდა მოვიქცეთ სტუმრად“, — წავიკითხე კიდევ ერთი ახალი სათაური.

— ეგ ჩვენ რაში გამოგვადგება! — თქვა შოშიამ.

— მიდი, კაცო, იქნებ სასწაული მოხდეს, ქვეყანა გადაბრუნდეს და გაგვიშვან! — თქვა ოცნებით ტიგრანამ.

„არასდროს სტუმრად ყოფნისას მაპინძელზე ადრე არ მიუსხდეთ გაწყობილ სუფრას, არც ბოლო ლუკმა აიღოთ თეფშიდან. გახსოვდეთ, რომ ბოლო ლუკმა უზრდელისა და ღორმუცელასია. აცალეთ სხვამ აიღოს!“

— ვინ სხვამ? — მკითხა გაკვირვებულმა შოშიამ.

—მე რა ვიცი, ჩემო შოშია, ასე წერია სხვამ აიღოსო, — გულწრფელად გამიკვირდა მეც.

— კი ბატონო იყოს უზრდელი და ღორმუცელაო, ის სხვა ვიღაცა მაგრამ ის სხვა ვიღაცა ვინღა არის? — იკითხა დევდარიანმა.

— ალბათ ის, ვინც ამ გაზეთს არ კითხულობს! — თქვა ბატონმა ისიდორემ.

— შეწყვიტეთ, შეწყვიტეთ კითხვა! — წამოხტა ჭეიშვილი.

— რაშია საქმე? — შემაცივდა ხელში გაზეთი.

— დავამთავრე! — თქვა ჭეიშვილმა და ძალიან ღრმად ამოისუნთქა. სამარისებური სიჩუმე გამეფდა საკანში. ჭეიშვილი ძალზე აღელვებული ჩანდა, სახე აჭარხლებოდა და ცხვირი ოფლით ჰქონდა დაცვარული. ხელი, რომელშიც განცხადება ეჭირა, ოდნავ უთრთოდა, მისი ღელვა ყველას გადმოგვედო... ისეთი სიწყნარე იყო, რომ წყალის ქვაბის ონკანიდან გამონაჟური წყლის წვეთის ცარიელი ვედროს ფსკერზე ვარდნა დოლის ცემასავით ისმოდა.

— დაიწყე! — ღამის წყვდიადში მტრის ზურგში ჩაწოლილ პარტიზანთა სადივერსიო ჯგუფის მეთაურის იდუმალ ბრძანებასავით გაისმა დევდარიანის ათრთოლებული ხმა და ჭეიშვილმა დაიწყო:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, დროებით ძიებაში მყოფ პატიმართა ორთაჭალის საპატიმროს (ციხის) უფროსს

— მოქ. ა. ი. გაბედავას

დროებით პატიმრობაში და სავსებით უსამართლოდ, უდანაშაულოდ აყვანილ, ძიებაში მყოფ, ამჟამად ოჯახური პირობების გამო არსად არ მცხოვრებ, თქვენდამი რწმუნებული ციხის მეხუთე კორპუსის მეათე საკნის, ვიმეორებ — სავსებით უდანაშაულოდ მოთავსებულ „პატიმრის“ გალაქტიონ ვარლამის ძე ჭეიშვილის

კატეგორიული მოთხოვნა-განცხადება

მოგახსენებთ, რომ 1950 წლის, ესე იგი დაბადებიდან 24 წლისთავზე, ჩემდა სავალალოდ, დავარღვიე რა ჩვენი ქართული, უაღრესად არქაული, პატრიარქალური და უზურპატორული, ოჯახის დაჟანგებული, დახავსებული და დაობებული ტრადიციები, ჩემი მომავალი ცხოვრება დავუკავშირე სხვა ეროვნების, ერთი შეხედვით სანდომიანი სახის და თვინიერი ხასიათის მქონე, ჩემივე ასაკის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის კურსმოსმენილ ასულს, შეგნებულად ვიკავებ თავს ისეთი სპეტაკი გამოთქმებისაგან, როგორიც არის „ქალწული“ და თუნდაც „მანდილოსანი“, რისთვისაც დავკარგე ნათესავები და მშობლები. ამის შემდეგ ბუნებრივია, შეგვეძინა, სიტყვა შეგვეძინას პირობითად ვხმარობ, რადგან ჩემი უმტკიცესი რწმენით ეს პროცესი არ შეიძლება ორთავეს მოგვეწეროს, რადგან ორთავე შემთხვევაში ჩემს მიერ ჩატარებული სასიყვარულო თავდავიწყების აქტი, არავითარ და არც ერთ შემთხვევაში არ ემთხვევა ორი სრულიად უმანკო და უდანაშაულო არსების დაბადებას. ამიტომ ხაზგასმით აღვნიშნავ, ჩემს მეუღლეს შეეძინა, სხვადასხვა დროს, ორი ვაჟი, რომელთა წარმოშობის ჩემთავადი საწყისი გამოვრიცხე და ბავშვთა ჩემისეულობა უარვყავი, ანუ უარი ვთქვი ბავშვების მამობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ცოტათი მგვანან კიდევაც, მაგრამ ეს თავისთავად არაფერს არ ნიშნავს, რადგან ბრძნული ქართული ანდაზა ღაღადებს: ხარი ხართან რომ დაბა, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო, რის გამოც უარი ვთქვი ოჯახზეც, ბავშვებზეც, ალიმენტზეც და რის გამოც ახლა აქ ვზივარ, მაგრამ ახლა ამას არ მოგახსენებთ, ამ საათსა, და თუ შეიძლება ამ წუთში, ჩემთვის ცნობილი გახდა, სრულიად ავტორიტეტულ და კომპენტენტურ პირთაგან,— ჭეიშვილმა ამაყად გადახედა დევდარიანს, დევდარიანმა თანხმობისა და მხარდაჭერის ნიშნად დინჯად დაუქნია თავი. ჭეიშვილმა განაგრძო: — ესე იგი, ფრიად ავტორიტეტულ და კომპეტენტურ პირთაგან ჩემთვის ცნობილი გახდა, ერთი შეხედვით ჰუმანური, მაგრამ მეორე მხრივ, ჯერ არსმენილი, აუწერელი თავისი ბარბაროსული კაცთმოძულური ხასიათისა და საწყისშივე მალთუსის შემაძრწუნებელი თეორიის მატარებელი აქტი, რომლის მსხვერპლნი ვართ ჩვენ, ამ შემთხვევაში კი პირადად მე, ძიების დამთავრებისა და ჩემი „დანაშაულის“ ვადის დადგენის მიუხედავად. საქმე იმაშია, რომ კარანტინში ყოფნის დროს თქვენი განკარგულებით გამიკეთეს ანტისქესობრივაღმგზნებადი ნივთიერება, იმის გაუთვალისწინებლად, რომ ჩემი სასჯელი, უკიდურეს შემთხვევაში, არ აღემატება ერთ წელს, ისიც იძულებით მუშაობას, რომლის ნახევარი, თქვენი საგამომძიებლო ორგანოების, ასე ვთქვათ, „ენერგიული“ მუშაობის გამო, ჩემთვის შეუფერებელ მდგომარეობაში გავატარე. ნემსი გამიკეთეს დიდი, რომელიც, როგორც ირკვევა, გათვალისწინებულია ხანგრძლივ პატიმრობაზე, კერძოდ 10-15 წელზე, გამოდის, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ 14 წლის განმავლობაში მე უძლური უნდა ვიყო და თქვენი წინდაუხედაობის გამო უნებურად უარი უნდა ვთქვა უმაღლეს ადამიანურ გრძნობაზე, რომელიც, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აუცილებელი პირობაა ბუნების განვითარების უწყვეტი ციკლის შენარჩუნებისა და მამრი და დედრი სქესთაშორისი აუცილებელი ბალანსის რეგულირებისათვის. თქვენ შეგიძლიათ უარყოთ ეს შემზარავი ფაქტი, მაგრამ მამხილებელი ფაქტი სახეზეა, აი, უკვე 5 თვეა, ჩემი ორგანიზმი, ჩემდა საუბედუროდ, არავითარ ემოციონალურ ფიზიკურ სქესობრივ იმპულსებს არ ამჟღავნებს, რასაც შეიძლება ტრაგიკული შედეგი

მოყვეს. მე, როგორც ჯერჯერობით სრულიად ჯანსაღი და სრულყოფილი მამაკაცი, რომელიც აწი ვაპირებ ნამდვილი ჰარმონიული ოჯახის შექმნას, რომელსაც ჯერ არ მომიხდია ჩემი მამაკაცური ვალი ჩვენი საგვარეულოს წინაშე, შთამომავლობის გენეტიკური გაგრძელების თვალსაზრისით, ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ და კატეგორიულად მოვითხოვ მიიღოთ რაც შეიძლება სასწრაფო და ენერგიული ზომები ჩემი მამაკაცური ღირსების, ანუ სქესობრივი პოტენციის, აღდგენის საკითხში, ხოლო დამნაშავე პირები სასტიკად დასაჯოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაცხადებ შიმშილს.

განმცხადებელი გ. ჭეიშვილი
თბილისი ციხე
1972 წ.

საკანში შემზარავი სიჩუმე ჩამოვარდა, ხმას არავინ იღებდა. ყველა მიხვდა, რომ მოხდა რაღაც საშინელი გაუგებრობა, რომელიც ხუმრობიდან რაღაც ამაზრზენ, საოცრად გულუბრყვილო და ტირილისმომგვრელ, ტრაგიკულ ძნელად ასახსნელ, საცირკო ნომრად იქცა. საცირკო ნომრად იქცა, მაგრამ ის უფრო ძნელი გასაგები იყო. ჩვენ ვიყავით ჯამბაზები და ტაკიმასხარები, თუ ეს, ჯერ კიდევ აღგზნებული, გონსმოუგებელი, პატარა ტანისა და ტვინის კაცი, რომლის გაფითრებული სახიდან ორი დაფეთებული, დამფრთხალი და ანთებული თვალი დაცოცავდა ჩვენს დაბლადახრილ, შერცხვენილ თავებზე. მე აღარ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს დუმილი, მე უბრალოდ ვიჯექი, თავჩაღუნული, გულში რაღაც ლურსმანივით მქონდა გარჭობილი და სუნთქვა მეკვროდა.

— ახლა ეს რომ ექიმებს გაასინჯო, ჯანმრთელიაო იტყვიან! — გავიგონე ტიგრან გულოიანის გაბზარული ხმა.

— გულოიანო ტიგრან! — თქვა უცებ ისიდორე ბატონმა — ძალიან დაბალი ხმით, — ნაძირალა ხარ შენ და მეზიზღები! — ტიგრანას ხმა არ ამოუღია, თავი ჩაღუნა, — დევდარიანო, შენც ნაძირალა ხარ და შენც მეზიზღები. — დევდარიანი კედლისკენ გადაბრუნდა. შენც ნაძირალა ხარ, ნაკაშიძე, შენც შოშია და ორთავე მეზიზღებით. — გაფითრებულმა შოშიამ თვალი აარიდა და ქუჩაში დაიწყო მზერა, მე კი, რომ არ მეტირა, თავი ბალიშში ჩავრგე. — შენც ნაძირალა ხარ და შენც მეცოდები, შე უბედურო! — მიუბრუნდა იგი ჭეიშვილს. — მაგრამ ყველაზე მეტი ნაძირალა მე ვარ და ყველაზე უფრო ჩემი თავი მეზიზღება! — თქვა ბატონმა ისიდორემ და თავი სინანულით დაიქნია.

— რაშია საქმე, ბატონო ისიდორე? — იკითხა შეშინებულმა ჭეიშვილმა, მერე უცებ მიხვდა რაღაცას, ყბა საოცრად ირონიულმა, საცოდავი, მოტყუებული კაცის ღიმილმა მოუქცია, მკლავები ჩამოუცვივდა, პატარა თავი მხრებში ჩაუვარდა და თავის ნარზე ჩამოჯდა. ერთ ხანს ასე იჯდა, მერე ნაკუწ-ნაკუწ ნელა, უგულოდ დაუწყო ხევა განცხადებას და არაფრის მთქმელი გამომეტყველებით იკითხა:

— რა არის ეს, რა ქვია ამას?!

— არაფერი არ ქვია, შაგას სახელი არა აქვს! — უპასუხა ბატონმა ისიდორემ. მერე ურდულის ხმა გავიგონე, კარი გააღო ზედამხედველმა, სარძევე ქვაბით უხორცო ხარჩო შემოიტანა და, როგორც ყოველთვის, შუა საკანში დადგა. საჭმელს რომ არ მივცვივდით, გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. საღამოს, ქვაბის წასაღებად რომ მოვიდა და ქვაბი ხელუხლებელი დახვდა, უფრო გაუკვირდა.

— ჰა, ეგეთები არ იყოს, შიმშილობა ხომ არ გამოაცხადეთ? — იკითხა შეშინებულმა.

— ნუ გეშინია, წაიღე და მზარეულს უთხარი, ხორცის ჩაყრა დაგვიწყებიათქო. — დაამშვიდა დევდარიანმა. ზედამხედველმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— ხბოს ხორცს ინებებთ თუ ბატკნისას? — ჰკითხა მან ღიმილით დევდარიანს.

— კაცის ხორცს! — უპასუხა დევდარიანმა. ზედამხედველმა სასწრაფოდ გაიხურა კარი.

წყარო დაბეჭდული

ერთი კვირის წინ ჭეიშვილს თავის ბარგი-ბარხანიანად დაუძახეს. იმ შემთხვევის შემდეგ ხმას არ გვცემდა არც ერთს. ზედამხედველმა, კარი რომ გააღო და მისი გვარი ამოიკითხა დავთარში, ჭეიშვილმა უნდობლად შემოგვხედა. ესეც ჩვენი მოწყობილი ოინი ეგონა, როდესაც დააჩქარეს, — ბარგი აიღე და მალე გამოდი, შენს გარდა სხვა საქმეც გვაქვსო, — დაიბნა, ხან რას ეცა, ხან რას, ხან რა გაუვარდა ხელიდან და ხან რა, როგორც იქნა, მოხიკა თავისი ნივთები და კარებისკენ დაიძრა, მერე უცებ მობრუნდა, სათითაოდ ჩამოგვიარა, ჩაგვკოცნა, გული აგვიჩუყა და, ვიდრე რამეს ვეტყოდით, გარეთ გავარდა. ხუთნიღა დავრჩით საკანში — მე, ტიგრანა, ლიმონა, შოშია და ბატონი ისიდორე. პატიმრის საკნიდან წასვლა სიხარულიც არის და სევდაც განუზომელი, თავისებური შურიც, ამ დროს ყველას ავიწყდება საკუთარი დანაშაულის სიმძიმე და სინანულითა თუ იმ უბოროტო შურით ფიქრობს თავისთვის — რა იქნებოდა, ამის მაგივრად ჩემი გვარი ამოეკითხა ზედამხედველსო, თუნდაც ეს სასწაულს უდრიდეს, მაინც ასე ფიქრობს ყველა პატიმარი, სიკვდილმისჯილი პატიმარიც კი ასე ფიქრობს, რადგან არ არსებობს ქვეყნად სულიერი, რომელსაც პატიმარზე უფრო სჯეროდეს სასწაულის.

წავიდა ჭეიშვილი და ხუთნიღა დავრჩით, არც არავინ მოყავთ ჩვენს საკანში. არც არავინ მიჰყავთ, ერთი რამ უცნაური თვისება გააჩნია ციხეს, პარადოქსალური და ყველაფერთან შეუსაბამო თითქოს. რაც უფრო მეტი პატიმარია საკანში, მით უფრო მარტო ხარ და უკაცრიელი გგონია ქვეყანა, მით უფრო მოწყვეტილი ხარ სამყაროს და პატარა, მივიწყებული ნემსივით ხარ გაბნეული უამრავ ნივთებსა და საგნებს შორის, ისე ჩაივლის ხოლმე შენს გვერდით ათასი მოვლენა და ათასი კაცი და ისეთი შეუმჩნეველი რჩები მისთვის, როგორც შენ თვითონ შესულხარ ხოლმე ძველი ნივთებითა, ხარახურითა და ნაგავ-ნუგავით სავსე საკუჭნაოში გაღუნული ლურსმნის საძებნელად, ათასჯერ გადაგიქოთებია იქაურობა, თავდაყირა დაგიყენებია ყველაფერი, და მაინც ვერ გინახავს ხოლმე ის გაღუნული და ჟანგიანი ლურსმანი, რომელიც თურმე შენს ცხვირწინ დევს. ასეა ციხეშიც. ახლა კი, როდესაც ხუთნიღა დავრჩით, თითქოს ყველაფერი გაიტანეს საკნიდან: მაგიდაც, სკამებიც, კედლის კარადაც, წყლის ქვაბიც, ვედროც, ჭადრაკიც, დომინოც, პარაშაც, უფრო მეტი, თითქოს სამოსიც კი გაგვხადეს და ბადეს მოყოლილი ხუთი თევზივით ამოგვყარეს ჭერეხზე და ლაყუჩებში კაკვები გაგვიყარეს. ჩვენ ახლა, როგორც არასოდეს, ვგრძნობდით ტკივილს, როგორც არასდროს, ისე ვხედავდით ერთმანეთს და, როგორც არასდროს, ისე ვკითხულობდით ერთმანეთის ფიქრს. სიტყვაძვირები, პირქუშები და გაუტანლები გავხდით. მე ვატყობ, რომ უკვე ერთი-მეორის ნერვებზე ვმოქმედებთ და არაადამიანური ენერგიის და ნერვების ფასად გვიჯდება წონასწორობის შენარჩუნება. საოცარია, საკანში, რომელიც 30 კაცზეა გამიზნული, ხუთი კაცი ვეღარ ვეტევით. ერთი რამ, მხოლოდ ერთი რამ გვაკავებს, კაცობრიობის კერპი, სალოცავი, ხატი და საგალობელი, პური ჩვენი არსობისა — პური.

არ არსებობს მსოფლიოში ტაბლა უფრო მირონცხებული, უფრო საპატიო

და სათაყვანო, ვიდრე პატიმართა ტაბლა. ცნება — ერთად პურის ჭამა, ერთად პურის გატეხვა აქ რელიგიის ხარისხშია აყვანილი, ციხეში ერთად პურნაჭამი ხალხი, ფიცვერცხლნაჭამ ხალხს უდრის, — ციხის პური, ფიცვერცხლია, ციხის პური — მირონია. ციხის ტაბლაზე სიტყვა — ბოლო ლუკმა უსინდისოსია — არ არსებობს რადგან თვით ბოლო ლუკმა არ არსებობს, ბოლო ლუკმას ყველა ერთად ჭამს, ყოფს ორად, სამად, ათად, მერე ერთად იღებს და ერთად ჭამს. ამიტომ ციხეში ბოლო ლუკმა არასოდეს არ არსებობს. ბოლო ლუკმა მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საკანში მხოლოდ ერთი პატიმარია.

პატიმრები ამანათს ჭირისუფლებისაგან ადრე ათ დღეში ერთხელ იღებდნენ, შემდეგ ეს შუალედი, გაურკვეველი მიზეზის გამო, ოცი დღით გაიზარდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, ზედამხედველმა ციხის ადმინისტრაციის ახალი ბრძანება გამოგვიცხადა, რომლის შინაარსის ღრმა ანალიზისა და საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ შინიდან მოსული ამანათები პატიმრებში მწარე მოგონებების, ისტერიკების, აპათიისა და ცრემლის გარდა თითქმის არაფერს არ იწვევენ, ხოლო სახელმწიფო მსგავსი ოჯახური დახმარებისაგან მაინცდამაინც ვერაფერ ეკონომიურ შეღავათს ვერ ხედავს. ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პატიმრებმა დღეიდან ამანათი ექვს თვეში ერთხელ მიიღონ, ისიც მხოლოდ და მხოლოდ იმ ჰუმანური მოსაზრებით, რომ ზოგიერთს, ფაქიზი და დახვეწილი კულინარული გემოვნების პატიმარს დედის ან მეუღლის გაკეთებული საჭმლის გემო არ დაავიწყდეს. სხვა მხრივ სახელმწიფოს მის მიერ ერთ პატიმარზე გამოყოფილი ულუფა თავისი კალორიული შემადგენლობით სრულიად საკმარისად მიაჩნია იმისათვის, რათა პატიმარი, ვიდრე იგი ციხეშია, ნათლად ხედავდეს მის გარშემო შექმნილ სიტუაციას, კარგად გრძნობდეს მის გარშემო არსებულ გარემოს და კარგად ახსოვდეს რისთვის ზის. ასე რომ, მეც, შოშიასაც და ბატონ ისიდორესაც ჩემს სახელზე დღეს დილით მიღებული ამანათი თავისუფლად შეგვეძლო ამ წელს უკანასკნელად მიღებულ ამანათად ჩაგვეთვალა, რადგან ფაქტიურად ამანათებს მხოლოდ ჩვენ სამნი ვღებულობდით. დევდარიანი და გულოიანი ადმინისტრაციის ამ ბრძანებას მაინცდამაინც არ აუღელვებია, რადგან, როგორც დევდარიანმა ამიხსნა, ამანათი კი არა, დევდარიანთა გენეალოგიის, საგვარეულო ხის ის ტოტი, რომელზედაც მისი სახელისა და გვარის აღმნიშვნელი ფირფიტა ეკიდა, საერთოდ მოხერხა მისმა, მისგან თავლაფდასხმულმა ამპარტავანმა ნათესაობამ. ტიგრანას კი... ტიგრანას, თურმე, ერთადერთი მამიდა ჰყავს ამ ქვეყანაზე, ისიც ლენინაკანში გათხოვილი და ძალიანაც რომ უნდოდეს ამანათის გამოგზავნა საწყალს, სულ ერთია, ტოლმა თბილისამდე გზაში გაფუჭდება. ესეც არ იყოს, მიჩვევის საქმე არ არის? ცოდვა გამხელილი ჯობია, ტიგრანასა და ლიმონას სახლში იმის მეათასედიც არ უსადილიათ, რაც ციხეში, და ისე შეეჩვიენ აქაურ საჭმელს, გარეთ რომ არიან ხოლმე, ისე მოენატრებათ თურმე აქაურობა, ერთი სული აქვთ როდის დაიჭერენ.

ვიდრე მე დედაჩემის გამოგზავნილ პატარა ბარათს ვკითხულობდი, შოშია უკვე ხელების ფშვნეტით აწყობდა სუფრას. ამანათს ყოველთვის მოყვებოდა პატარა ბარათი, ოღონდ შიგ არაფერი ეწერა, გარდა გამოგზავნილი პროდუქტების სიისა.

შვილო ზაზა! — მწერდა დედა. — გიგზავნი შემდეგ პროდუქტებს:

1) პური — 1 ცალი.

2) კატლეტი — 8 ცალი.

3) მწვანილი — (ხახვი, ნიორი, ტარხუნა, წიწმატი, ბოლოკი თითო კონა)

4) ვაშლი — 4 ცალი.

5) ძეხვი — 1 ცალი.

6) შაქარი — 1 კოლოფი.

7) თამბაქო — 2 კოლოფი.

მაპატიე, დედიკო. გკოცნი.

წერილი ბავშვური ხელით, მრგვალი ლამაზი ასოებით იყო დაწერილი, რვეულის გაქონილ ფურცელზე და მე ახლა ჭამა კი არა, სულ მარტო ყოფნა და გულამომჯდარი ტირილი მინდოდა.

— საზოგადოებას სუფრასთან ვთხოვ! — მიგვიპატიჟა შოშიამ. წერილი ჯიბეში ჩავიდე და მაგიდას მივუჯექი. ყველანი მოვიდნენ და უხმოდ მოუსხდნენ მაგიდას. ერთ ხანს მონუსხულივით ვუცქერდით პურ-მარილს, უცხოს რომ შეეხედა ეგონებოდა, მღვდლისაგან სუფრის კურთხევას ელოდებიანო. მერე, თითქოს დათქმული გვქონდაო, ყველამ ერთად გადავყლაპეთ ნერწყვი.

— დაიწყე! — მთხოვა შოშიამ.

— მე რატომ უნდა დავიწყო? — ვკითხე შოშიას.

— დედაშენის ნახელავია, დაიწყე, თორემ დამახრჩო ნერწყვმა. — ისევ მთხოვა შოშიამ.

— თქვენ დაიწყეთ, ბატონო ისიდორე! — ვთხოვე მე. ბატონმა ისიდორემ წიწმატის მოზრდილი, ლორთქო ღერი აიღო, მარცხენა ხელისგულზე დაიცოცხა, მერე ოთხად გაკეცა, მარილში ჩააწო და ისე მადიანად შეახრამუნა, გიჟებივით ვეცით სუფრას, სულმოუთქმელათ და გამალებით ვჭამდით, მეორე მისვლა უფრო დინჯი და საზრიანი გვქონდა, მესამედ რომ წავიღეთ ხელი სუფრისაკენ, სამი კატლეტი და ძეხვის პატარა ნაჭერიღა ეგდო ზედ.

— მალე გათავდა! — ვთქვი მე დამნაშავესავით და გავწითლდი.

— ჩვენ ნახევარ-ნახევარს შევჭამთ, შენ კი მთელი შეჭამე. — თქვა დევდარიანმა.

— ალბათ, დედაშენს გონია, აქ მარტო ჭამას გაცლიან, არა? — სიცილით მკითხა ტიგრანამ.

— ალბათ! — ვუთხარი მე.

— თუნდაც ეგრე იყოს, რვა კატლეტი ერთ კაცსაც არ ეყოფა. — თქვა შოშიამ. გული ჩამწყდა. უცებ დედაჩემი წარმოვიდგინე საღამოს, ბაზარში, მეხორცის დახლთან მდგარი, როგორ ეხვეწებოდა ფაშვგადმოგდებულ და ქამარში უზარმაზარ დანაგაყრილ, ბრიყვთვალებიან ყასაბს, სამ მანეთად მიეცა დახლზე დაყრილი, დარჩენილი ხორცგაცლილი ძვლები.

— შოშია, რვა კატლეტზე მეტს ბევრი ფული უნდა! — ვუთხარი დაბოღმილმა და რამე ცუდიც რომ არ მიმეყოლებინა, ჩემი წილი კატლეტი ჩავიტენე პირში.

— ფულის მეტი რა არის, ჩემო ზაზა, ფული აი, ასეა, ერთ ადგილას! — თქვა შოშიამ და ხელი წარბებს ზევით გაისვა ხერხივით.

— სად? — დაინტერესდა ტიგრანა.

— ლომის უკანალში, ოღონდ ხელის შეყოფა უნდა და გამოღება, მეტი არაფერი! — ასწავლა შოშიამ.

— მეტი არაფერი, ხელის შეყოფა და გამოღება? — ჩაჰკითხა გაწბილებულმა ტიგრანამ.

— ჰო, მეტი არაფერი, აი, ასე, ხელის შეყოფა და გამოღება. — შოშიამ მარჯვენა სახელო კისრამდე დაიკაპიწა და აჩვენა ტიგრანას, როგორ უნდა გამოეღო ფული ლომის უკანალიდან.

— რა ჩიტიცა ხარ ისეთ გალიაში ზიხარ, შე დამპალო! — გადააფურთხა ტიგრანამ. შოშიამ არაფერი არ უპასუხა. მაგიდაზე სასწაულად გადარჩენილი ბოლოკი აიღო, მარცხენა ხელისგულზე დაიდო, როგორც ჰამლეტმა საფლავიდან ამოგდებული თავის ქალა,

მარჯვენათი მიგვითითა ზედ და მწარედ წარმოთქვა:

— ეს გახლავთ, მეგობრებო, ის წითელი წერტილი, რომელიც დღეს საბოლოოდ დაესვა ჩემს ცხოვრებას. ვაი, შე საწყალო შოშია, ვაი თქვენ, ჩემო სიჭაბუკის ზმანებანო და ოცნებანო, ვაი შენ, ჩემი ბედის ბორბალო, მთაზე სიმწრით აგორებულო და უკან დაგორებულო, უმოწყალოდ ისე, ისე უმოწყალოდ დაგორებულო, რომ ვერაფერი ქვის შეყენება ვეღარ გიშველის და შეგაჩერებს. ორმოცი წელიწადიდან, რომელიც ჩემშია, ოცდაათი წელიწადი ხახვით, ბოლოკით, მდოგვითა და შავი პურით მქონდა ამომწვარი თავღრანჭი და ცხვირ-პირი. ხალხო, ორმოციდან ოცდაათი წელი მესიზმრებოდა თეთრი პური, კარაქი, ხიზილალა ჩაქაფული, ბატკნის მწვადი, ბასთურმა, სუკი, მწყერი და ხოხობი, ორსართულიანი რვაოთახიანი სახლი, ფიქალით გაწყობილი აბაზანით, სამზარეულოთი და საპირფარეშოთი. ორმოციდან ოცდაათი წელი მესიზმრებოდა შავი ვოლგა, მწვანე ათთუმნიანები, ლურჯი აგარაკი შავ ზღვაზე, ბამბასავით თეთრი ქალი და ბროწეულივით ლოყაწითელი შვილები. ოცდაათი წლის სიზმარი ათ წელიწადში ცხადად ვაქციე და მერე როგორ ცხადად... რომელ თქვენთაგანს უჭამია სამნაირი ხიზილალა, შავი, წითელი და ყვითელი, შემწვარი კარაქი გიჭამიათ? წვერის გაპარსვაში თუმანი გადაგიხდიათ? ათთუმნიანი ჩაგიკუჭიათ მედუდუკისათვის დუდუკის ტუჩში? ბოზი დედაკაცის ძუძუების ღარიდან შამპანიური დაგილევიათ? არა? ახლა ეს ბრიყვი ტიგრანა მკითხავს — საიდან ამდენი ფული, შოშიაო? იმ ლომის უკანალიდან, ტიგრანჯან, იმ ლომის უკანალიდან. ახლა შენ მეტყვი, დევდარიანო, ჩვენც ეგრე არა ვართო? ჩვენ ფული ლომის უკანალიდან გამოგვაქვსო, მართალია, მაგრამ თქვენ ხელით გამოგაქვთ, მე კი თავით. თქვენ იმ ლომმა დიდი-დიდი ხელი მოგაჭამოთ, მე კი თავი, თავი უნდა მომაჭამოს, ახლა ბატონი ისიდორე მკითხავს რისთვისო? იმისთვის, ჩემო ბატონო ისიდორე, რომ ათი წლის შემდეგ ის შავი პური, ბოლოკი, ხახვი, მდოგვი და ლობიო, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში კუჭ-ნაწლავს მილპობდა და მწვავდა, ათი წლის შემდეგ ისევ სანატრელი გამხდომოდა, ყველა ის სიზმარი წყალს წაეღო და ორსართულიანი რვაოთახიანი სახლი, ოთხსართულიან, ხუთკორპუსიან, ასსაკნიან ბინათ გადამქცეოდა და ამ დიდი სასახლის მეათე საკანში მეცხოვრა პარაშას ხელმარჯვნივ, ჩემი ლამაზი ცოლ-შვილის ნაცვლად, თქვენისთანა მახინჯებთან, ბინძურებთან და ნაძირალებთან, რომ იცოდეთ, რას გიგავთ სიფათები, თქვენს დანახვას ვეღარ ვიტან. კიდევ ხომ არ გაქვთ შეკითხვები, ბატონებო?— გვკითხა მან და მდაბლად დაგვიკრა თავი.

— მასხარა ხარ შენ, შოშია! — უთხრა დევდარიანმა.

— მე, მასხარა კი არა, სასიკვდილოდ გახაზირებული კაცი ვარ, დევდარიანო!

— თუ გგონია, გული მწყდება, შოშია, და თვალებს დავითხრი შენს პანაშვიდებზე ტირილით, ცდები, ტყუილად იჭაჭები, გულს მაინც ვერ ამიჩუყებ.

— რატომ, დევდარიანო?

— მე და შენ აი, ესეც, — ხელი გაიშვირა მან ტიგრანასკენ, — უნდა დავიხოცოთ.

— ლიმონჯან, შენ შენს მძორს მიხედე, მე როდის მოვკვდები, ეგ მე და ჩემმა მოსამართლემ ვიცით.

— მოიცა, ტიგრან. — თხოვა დევდარიანმა, — ოღონდ შენ ცოტა ჩემზე ადრე უნდა მოკვდე. — მიუბრუნდა ის შოშიას.

— რატომ? — ჰკითხა შოშიამ.

— იმიტომ, რომ შენ ყველა სიზმარი აგხდენია, მე კი ჯერ არც ერთი, ამხდენია კი არა, ჯერ ნახევარი არც კი დამსიზმრებია...

— ეგ რა მიზეზია, მე მაინც არ მინდა

სიკვდილი, — იუარა შეშინებულმა შოშიამ.

— რატომ? — ჰკითხა თავის მხრივ დევდარიანმა.

— მე ჯერ უამრავი საქმე დამრჩა გასაკეთებელი... — თქვა შოშიამ.

— მაინც რა საქმე? — ჰკითხა დევდარიანმა. შოშია დაფიქრდა.

— ბევრი საქმე, ლიმონ! — დაიწყო მან ფიქრის შემდეგ. — ძალიან ბევრი საქმე... სახლი დასამთავრებელი ცხვარიჟამიაში, — ჩაღუნა ერთი თითი შოშიამ, — მეორე სახლი გადასახურავი მარტყოფში, სიდედრის სოფელში. — მიაყოლა მეორე თითი, — ორი ბიჭი ერთად უმაღლესში მოსაწყობი. — ორი თითი ერთად მოღუნა შოშიამ. — ახლა იმათი ამხანაგობაში შეყვანა... მამაჩემის ოროთახიანი ბინა სოლოლაკში, უნდა გადამეცვალა ჩემს ზევით სართულზე ერთოთახიანში, მერე მე უნდა ავსულიყავი იმ ერთოთახიანის გვერდით სამოთახიანში, რომელშიც ორი ოჯახი ცხოვრობს, ერთისთვის ჩემი ოროთახიანი ბინა უნდა მიმეცა, მეორესთვის— სიდედრის ერთოთახიანი იზოლირებული, მაგრამ მეორე არ ჩამოდის, აი ის, რომელიც ორ ოთახში ცხოვრობს, ამბობს: — ეს, რომელიც ერთ ოთახში ცხოვრობს ბებერია, მალე მოკვდება, ეს ერთი ოთახი მაინც მე დამრჩება და რაღა ზევით-ქვევით ვირბინო, ბარემ მოვიცდიო, — ვეუბნები, ტელეფონს დაგიდგამ! არ შვება, ათი ათასს დაგიმატებ! არ შვება. რემონტს გაგიკეთებ! არ შვება! მაშ, მოკვდი და მე დაგმარხავ-მეთქი ვუთხარი, თან დედა, ჯილაგი, საგვარეულო, სამოყვრო, სანათლო და სამირონე მივუკურთხე. არ მოვკვდები შენს ჯინაზეო, ვირიშვილმა... ეს საქმე მოსაგვარებელი არ არის? არის! ახლა ჩვენი ცეხი უნდა დახურულიყო, იქიდან წილი ხომ უნდა გამომეტანა და სხვაგან შემეტანა... მერე ის ვოლგა, ცოლისძმის სახელზე რომ მაქვს გამოტანილი, ჩემი რიგი რომ მოვა, ხომ უნდა გადავაფორმო სხვაზე, რომ ორი ვოლგა...

— შენ საქმე არა გქონია, ჩემო შოშია, შეგიძლია მშვიდად მოკვდე! — შეაწყვეტინა ბატონმა ისიდორემ.

— როგორ თუ საქმე არა მქონია, ძია ისიდორე, ამდენი რამე რომ ჩამოვთვალე, საქმე არ არის? — ჰკითხა გაკვირვებულმა შოშიამ.

— საქმეს, რომელსაც უშენოდაც გააკეთებენ, საქმე არ ჰქვია. საქმე ის არის, უშენოდ რომ არ გაკეთდება. შენს მეტი სხვა რომ ვერავინ ვერ გააკეთებს, ის საქმე, რომელიც მხოლოდ შენთვისაა გაჩენილი და მხოლოდ შენი ხელიდან გამოვა.

— ასეთი რა საქმეა?

— ცოტა, ძალიან ცოტა, თითებზე ჩამოსათვლელი. ერთი ოჯახის დაშთამომავლობის შექმნა, შვილების გაჩენა, ოღონდ ჰეიშვილივით კი არა, საკუთარი შვილების გაკეთება, ისეთების, დროს რომ ემთხვეოდეს და შენ რომ გგავდნენ. მეორე, მეორე... — ძია ისიდორე დაფიქრდა. — მეორე ციხეში ჯდომა და მესამე სიკვდილი, მეტი არაფერი.... ისიც იმდენად არის შენი საქმე, რამდენადაც უშუალოდ შენ გეხება, მხოლოდ შენ ერთს და მეტი არავის.

— მაშ სამსახური? მისვლა-მოსვლა? შენება? ნგრევა? ფულის კეთება? ბავშვების გაზრდა?

— აკი გითხარი, საქმეს, რომელსაც უშენოდაც გააკეთებენ, საქმე არ ჰქვია.

— მაშ რა ჰქვია?

— არაფერი, უბრალოდ ადამიანთა ურთიერთობა, თანამშრომლობა ადამიანებს შორის. გასაგებია?

— არა! — ჯიუტად გაიქნია თავი შოშიამ.

— ასეც ვიცოდი! — თქვა ისიდორემ და სუფრიდან ადგა. ადგა შოშიაც და თავის ქანდარაზე აძვრა.

— გამოდის, რომ სიკვდილის გარდა სხვა საქმე აღარ დამრჩენია? — თქვა მან თავისთვის, ფანჯარაში გაიხედა და ძალიან ღრმად ამოისუნთქა. იგი გაფითრებული იყო და რომ შეეხედე შემეცოდა, დაპატარავებული, მუშტის-

ხელა, მობუზული იჯდა თავის ნარზე, როგორც შეცივებული, მშიერი და დაავადმყოფებული, გაქუცული ჩიტი გალიაში და ნაღვლიანი იცქირებოდა სადღაც, აგვისტოს ბუღით დანისლულ სივრცეში.

— ნუ გეშინია, შოშია, გეხუმრება ძია ისიდორე! — ვუთხარი მე. — ხომ ეხუმრე, ძია ისიდორე? — ვკითხე ახლა ძია ისიდორეს და თვალებით ვთხოვე დამთანხმებოდა. ისიდორე ბატონმა მწარედ გაიღიმა.

— ვეხუმრე, ზაზა, ვეხუმრე! — თქვა მან და ნარზე წამოწვა.

— გაიგე, შოშია? — ვკითხე შოშიას რიხიანად.

— გათავებულია შოშიას სიმღერა!— თქვა შოშიამ ისე, რომ ჩემსკენ არც გამოუხედავს.

— ამას რა ვუყო? — მკითხა ტიგრანამ და ბოლო დარჩენილი კატლეტი მაჩვენა.

— შეჭამე! — დავრთე ნება. ტიგრანამ კატლეტი ხელში შეათამაშა და ადგილზე დადო.

* * *

საღამოს საკნის კარი გაიღო და ზედამხედველმა შემოიხედა. ყველანი სასწრაფოდ წამოვჯექით საწოლებზე.

— წევხართ? — გვკითხა მან. ხმა არ გავეცით. — კარცერი ხომ არ მოგენატრათ? — ისევ გვკითხა მან ისე უხალისოდ, რომ მივხვდი სულ არ უნდოდა ახლა ამის თქმა, მაგრამ, რადგან ზედამხედველი იყო, ხოლო ჩვენ ძილის საათამდე ნარზე წოლისათვის კარცერით ვისჯებოდით, მოვალე იყო ეთქვა. ისევ არ გავეცით ხმა. მაშინ დავთარში ჩაიხედა, იყურა, იყურა შიგ, მერე დაღლილი თავი ასწია და გვკითხა:

— მამასახლისი ვინ არის?

— არ გვყავს მამასახლისი! — უპასუხა დევდარიანმა.

— რატომ?

— ადრე გოგოლი გვყავდა და გაიყვანეს, მერე არ აგვირჩევია და არც გვჭირდება.

— როგორ თუ არ გჭირდებოთ, წესი წესია! — მკაცრად უნდოდა ეთქვა ზედამხედველს, მაგრამ ისე თქვა, რომ მივხვდი, ესეც მხოლოდ იმიტომ თქვა, რომ ზედამხედველი იყო.

— ხუთ კაცს რად გვინდა მამასახლისი? — ვკითხე მე.

— შენ რა გვარი ხარ? — მკითხა ზედამხედველმა და დავთარში ჩაიხედა.

— ნაკაშიძე! — ვუპასუხე მე.

— შენ იქნები მამასახლისი! — დამნიშნა ზედამხედველმა. — თქვენ ხომ არა ხართ წინააღმდეგი? — მიუბრუნდა იგი ჩემს ამხანაგებს.

— თუ აუცილებელია, მას თუ უნდა და თანაც შენ თუ გინდა, იყოს! — თქვა დევდარიანმა.

— მაშინ მოხიკე ზეწრები და ბალიშისპირები და წამოიღე, უნდა გამოგიცვალოთ. — მითხრა ზედამხედველმა და გარეთ გავიდა. ზეწრები და ბალიშისპირები მოვაგროვე და ზედამხედველს გავყევი.

* * *

ლოგინებს ყოველ ათ დღეში გვიცვლიან აბანოსთან ერთად. ზეწარი და ბალიშისპირიო რომ ვამბობ, გაქათქათებული, ქარზე მოტკარცალე თეთრი ბაირაღივით და იალქანივით გაშლილ ზეწარი არ უნდა წარმოიდგინოთ. ჩვენი ზეწრები და ბალიშისპირები ნაცრისფერი ნაჭრისაგან არის შეკერილი და ასეც უნდა იყოს, ჭუჭყი რომ ადრე არ დაეტყოს, ათ დღეში მათი გამოცვლა კი საკმაოდ ნორმალურია.

პატიმრისათვის ზედმეტად მუხლს გაშლა და ზედამხედველის თანხლებით ეზოში გავლა, გარეთ მყოფი კაცის პირობებს თუ შევუდარებთ, უცხოეთში მოგზაურობას თუ არა, რუსთაველის პროსპექტზე შეყვარებულთან ერთად გასეირნებას მაინც უდრის, ამიტომ ზედამხედველს დიდის ხალისით გავყევი. ზედამხედველი იგივე იყო, ადრე და-

კითხვებზე რომ დავყავდი. დერეფანი უსიტყვოდ გავიარეთ, კიბეზე დავეშვით. ზედამხედველი ხმას არ იღებდა, მე მით უმეტეს. ეზოში გავედით და აბანოსკენ გავუხვიეთ, რადგან სამრეცხაო აბანოს გვერდით იყო, სარდაფში, საიდანაც ორთქლი ამოდიოდა და ქალების გნიასი ისმოდა ხოლმე, ახლა რატომღაც სიწყნარე იყო. ცოტაღა გვაკლდა სამრეცხაომდე, რომ მთავარი კორპუსიდან პატიმარი გამოიყვანეს.

— კედელთან! — მითხრა ჩემმა ზედამხედველმა. მე გავჩერდი და კედლისკენ მივბრუნდი. ის ზედამხედველი და პატიმარი მოგვიახლოვდნენ. ვიცანი, ისევ ის ზედამხედველი იყო, ადრე რომ შეხვდა ჩემსას.

— არსენს გაუმარჯოს! — მოესალმა ჩემსას.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ჩემმა.

— რაღაც ხასიათზე ვერა ხარ! — უთხრა მან.

— მამა მიკვდება! — უთხრა ჩემმა და თვალები ცრემლებით აევსო.

— რა მოუვიდა? — შეწუხდა ის.

— კვდება!

— ექიმი არ მიუყვანე?

— მივუყვანე, მაინც კვდება.

— რაო ექიმმა?

— გათავდაო, გაცვდაო.

— რამდენი წლისაა?

— ოთხმოცდაექვსის! — უთხრა არსენამ.

— შე კაცო! — გაუღიმა მან.

— მაინც მამაა, ხომ იცი! — იმართლა თავი ჩემმა.

— როგორ არ ვიცი!

— შენი ბიჭი როგორღა არის? — ჰკითხა უცებ ჩემმა.

— კარგად, გამოკეთდა, ისეთი ვირეშმაკაა მამაძაღლი რო! — თვალები აენთო სიხარულით.

— ღმერთმა გაგიზარდოს! — დალოცა ჩემმა.

— აი, გუშინ... — დაიწყო ამბის მოყოლა მან.

— მოიცა, — გააჩერა იგი არსენამ, — ჩადი სამრეცხაოში, უთხარი მეხუთე მეათედან ვარ-თქო და მოგცემს სარეცხს, ეგ თვლით ჩააბარე და ხელიც მოუწერე. გაიგე? — მომიბრუნდა მე.

— ქურდია? — ჰკითხა მან.

— არა, მკვლელობას აბრალებენ. შენი?

— ჩემი მორფინისტია!

— რას მიყვებოდი? — ჰკითხა ჩემმა.

— ჰო, იმას გეუბნებოდი, გუშინ ვხედავ, მოდის სახლში, მარცხენა ყური წითელი აქვს და გასიებული. ვეუბნები...

— რაღას უყურებ, წადი! — მომიბრუნდა არსენა. მე წავედი. კიბეზე რომ ჩავედი, უცებ ორთქლის მეავე, სველი სარეცხის, გავარვარებული უთოს, დამწვარი ტილოსი და კიდევ რაღაცის სუნი მეცა ერთმანეთში არეული. ანაზდად უკან დავიხიე, მერე, რომ შევეჩვიე სუნს, კარი ფეხის კვრით გავაღე და სწრაფად შევედი, კარი ზამბარებზე იყო და ძლივს შევასწარი, სარაგველასავით გაადინა ჭახანი ჩემს უკან. სარდაფში ბურუსი იდგა. ჯერ ვერაფერი დავინახე, მერე თანდათან თვალი შევაჩვიე. სარდაფი ოროთახიანი აღმოჩნდა. პირველში მე ვიდექი ზეწრებითა და ბალიშისპირებით ხელში, მეორე, სამრეცხაო ოთახი კი უფრო ღრმად იყო, ამ ოთახის მიღმა, სამრეცხაოში გასასვლელი კარი ღია იყო და იქიდან ნახევრად გაგრილებული ქვაბების შიშინი ისმოდა. ეტყობოდა, რეცხვა დამთავრებულიყო და პატიმრები თავთავიანთ საკანში წაეყვანათ. ამ ოთახის მარჯვენა კუთხეში, რომელშიც მე ვიდექი, უზარმაზარი ხის მაგიდა იდგა, მაგიდაზე დასტა-დასტად დაწყობილი დაუთოვებული ზეწრებისა და ბალიშისპირების გორები ეწყო, წელზევით შიშველი, უზარმაზარი თახთახა მკლავებით, გასკდომაზე დაჭიმული ვენებერთელა ძუძუებით გატენილი ლიფითა და ლამაზ, სისხლით სავსე, შავთმაჩამოშლილ სახეზე ოფლდასხმული, ორმოციოდე წლის დედაკაცი იდგა.

თავბრუ დამეხვა და რომ არ წავქცეულიყავი, იქვე უზურგო, გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. მას ჩემი შემოსვლა არ დაუნახავს, მხოლოდ მაშინ შემომხედა, აკოჩებული სკამის ხმა რომ გაიგონა. არც შეუკივლებია, არც თავისი სიშიშვლის შერცხვენია, უბრალოდ განცვიფრებული და უზომოდ ცნობისმოყვარე თვალებით შემომხედა. თანდათან თვალებში გაკვირვება გაუქრა და ის გაკვირვება ცნობისმოყვარეობად ექცა, შემდეგ სითბოდ და შემდეგ სიხარულად. ეს ყველაფერი ან ერთ წამში მოხდა, ან მომეჩვენა.

— მე მეხუთე მეათედან ვარ, აი, სარეცხი მოვიტანე! — ვუთხარი მე ენის ბორძიკით. მან არაფერი მიპასუხა, ისე გაიღიმა, რომ ვიგრძენი როგორ გადამევლო გულზე მდუღარე. — აი, ეს არის სულ, ხუთი ზეწარი და ხუთი ბალიშის პირი. სად დავდო?

— დადე მანდ! — მითხრა მან და კარებისაკენ გაიხედა. — მარტო ხარ?

— გარეთ იცდის, ამხანაგს ელაპარაკება! — ვუთხარი მე და სარეცხი სკამზე დავაწყვე.

— რა გქვია?

— ზაზა!

— მოდი! — იგი ღრმად სუნთქავდა და თვალს არ მაცილებდა. მე შევცბი და უკან, კარებისაკენ გავიხედე.

— ნუ გეშინია, მოდი!

— სად დევს ჩვენი სარეცხი, მითხარი!

— მოდი ჩემთან!

— მომეცი თეთრეული და წავალ!

— მოდი!

— სად დევს მეხუთე მეათეს თეთრეული?

— მოდი და წაიღე! — მე მივუახლოვდი.

— სად, სად დევს, ხელი უნდა მოვაწერო ჩაბარებაზე...

— მოდი ჩემთან. — მან უთო დადო და ხელები ჩემსკენ გამოიწოდა. მე ადგილზე გავშეშდი.

— მოდი, სულელო, სანამ დროა, მოდი. — მას ხმა უთრთოდა და გაშიშვლებულ მკერდზე წითელი ლაქები დაეყარა. — მოდი, მოდი მალე, მოდი ჩემთან... — ჩურჩულებდა იგი და მე მივედი.

ჯერ მისი ათრთოლებული და სველი და მხურვალე ძლიერი მკლავები ვიგრძენი მხრებზე და ყელზე. მერე მისი ნაკვერჩხლებივით გავარვარებული სქელი და სველი ტუჩები, შემდეგ გახურებული მკერდი, ოფლიანი, გახურებული და ათრთოლებული მთელი სხეული, სასიამოვნო, უზომოდ, უსაშველოდ, უსასრულოდ, სასიამოვნო სისველე, სიმხურვალე, სუნი, მერე ვიგრძენი როგორ მომეკვეთა მუხლები, როგორ დავეშვით ორთავე სველ იატაკზე, როგორ ავიზილეთ ოფლში, ხვნეშაში, კვნესაში, ჩურჩულში, ალერსში, ცრემლებში, როგორ გახდა ყველაფერი ვარდისფერი, როგორ ვცურავდი ამ ვარდისფერ ლოკოკინასავით სლიპ, და უფორმო სიმხურვალეში, რომელიც თანდათან მისხლტებოდა ხელიდან და ჩვენ ჩქარა, ძალიან ჩქარა, თითქოს გვეშინოდა ერთმანეთისადმი უთქმელი არ დაგვრჩენოდა რამე, ვიდრე ეს ვარდისფერი სიცოცხლე გაგვისხლტებოდა ხელიდან, ვეჩურჩულებოდით ერთმანეთს:

— სიცოცხლეო!

— შენი ჭირიმე!

— სად იყავი ამდენ ხანს?

— თავს მოვიკლავ!

— მოვკვდები!

— შენი ჭირიმე!

— მზე ხარ ჩემი, ხომ ხარ? მითხარი, მითხარი, მითხარი...

— ვარ, ვარ, ვარ, ვარ!

— ღმერთო.... მომკალი, ღმერთო!..

— რა კარგი ხარ, ღმერთო!..

— შენი ჭირიმე!.

— არ წახვიდე...

— არა..

— ხომ არ წახვალ?!

— არა, არა, არა...

— შენი ჭირიმე, შენი...

მერე უცებ ტვინში ორი ნერვი შეერთდა, ძლიერმა დენმა დაიარა სხეულის ყველა უჯრედში, ყველა ფოსოში და ყველაფერი თავის ადგილზე დაბ-

რუნდა. უცებ საოცარი სიგრილე ვიგრძენი, თითქოს საიდანღაც სიომ დაუბერა. შევხედე, იგი იღიმებოდა და ათრთოლებული ხელით მწმენდდა შუბლიდან ცივ ოფლს.

— რა გქვია? — ვკითხე მე.

— ადექი, თორემ ჩამოვა.

— რა გქვია?

— მარო!

— რაზე ზიხარ?

— ადექი, თორემ ჩამოვა...

— სარეცხი უნდა ჩაგაბარო!

— ჩაბარებულია, ადექი.

— ხელი უნდა მოვაწერო რაღაცაზე!

— არ გინდა, ადექი! — მე ავდექი. — აი, იქიდან აიღე ხუთი ზეწარი, ხუთი ბალიშისპირი და წადი.

— რაზე ზიხარ, მარო?

— საპონი მოვიპარე! — გაიღიმა მან.

— ტყუილია.

— მილიციელს ენა გამოვუყავი...

— თქვი რაზე ზიხარ...

— შენ პატიმარ ხარ თუ პროკურორი?

— მაინტერესებს.

— მე ხომ არ გეკითხები, რაზე ზიხარ-მეთქი, შენც ნუ მეკითხები. აიღე თეთრეული და წადი.

— ვეღარ გნახავ? — ვკითხე.

— რამდენი წლისა ხარ?

— ოცის!

— ეტყობა! მითხრა მან ღიმილით.

— ვერც გარეთ? — ვკითხე საქციელწამხდარმა.

— წადი, გარეთ თუ მომენატრე, მოგნახავ. — გამიღიმა მან და წამოდგა მთელი თავისი უზარმაზარი, ლამაზი და ჯანსაღი სხეულით. მივედი და ლოყაზე ვაკოცე, ლოყა ნამიანი ჰქონდა და გრილი.

გარეთ რომ გამოვედი, ზედამხედველები ისევ ლაპარაკობდნენ. გამიკვირდა, ამდენ ხანს რაზე ლაპარაკობენ-მეთქი.

— მორჩი? — მკითხა ჩემმა.

— ჰო! — ვუთხარი მე.

— ასე მალე? — გაუკვირდა მას, და მერე მივხვდი, რომ ყველაფერი რამდენიმე წუთში მოხდა.

—ჰო! — ვუთხარი და შეგიდად ამოვისუნთქე.

— რა გეჭირს, კაცის ფერი არ გადევს! — მკითხა ზედამხედველმა.

— ცუდი ჰაერია იქ! — ავუხსენი მე.

— მართალია, ჭირის დღესავით მეზარება იქ ჩასვლა, ქალების სუნია აუტანელი. წავედით! — მითხრა მან. — კარგად იყავი, გოგი, — დაემშვიდობა იგი მეორე ზედამხედველს.

— კარგად, არსენ! — დაემშვიდობა ისიც.

საკანში რომ შევედი, დევდარიანი და გულოიანი ჭადრაკს თამაშობდნენ. ბატონი ისიდორე წიგნს კითხულობდა, შოშია კი მუმიასავით იჯდა და ჭერს მიშტერებოდა.

— რა ჰქენი? — მკითხა დევდარიანმა.

— მოვიტანე! — ვუპასუხე, თეთრეული ნარზე დავყარე და ღონემიხდილი წამოვწექი.

— ქალები ნახე? — მკითხა მან.

— რა ქალები? — ვკითხე მე.

— მრეცხავი ქალები!

— არა, წასულები იყვნენ...

— ჰოო, ერთხელ ვიყავი მეც საცვლის ამოსატანად, საშინელებაა წელზევით შიშველი ქალების ყურება, ნამდვილი ანანიზმია, ნერვები დამაწყდა... — თქვა დევდარიანმა და წამოდგა.

— სად მიდიხარ, ითამაშე! — გააჩერა ტიგრანამ.

— რა უნდა ვითამაშო, ერთ სვლაში მატი გაქვს, კრეტინო! — უთხრა დევდარიანმა და ნარზე წამოწვა.

* * *

მე და დევდარიანი გვერდი-გვერდ *ვწევართ. იგი თითქმის ყოველთვის თავქვეშ ხელამოდებული* და თვალდახუჭული წევს ნარზე. ვერ გაიგებ, ძინავს თუ არა. დავაკვირდი, ქუთუთოებს ქვეშ თვალებს თუ ამოძრავებს, ესე იგი არ

სძინავს-მეთქი. არ ამოძრავებს. მაშასადამე, სძინავს. მე კი დღევანდელი ამბის შემდეგ არ მძინავს, ან რა დამაძინებს, ვინმესთან საუბარი მინდა, იმიტომ კი არა, რომ მომხდარი მოვუყვე, არა, ეგ ამბავი რომ მოვყვე, იაედაც ბოლმით ყელამდე სავსე ბიჭებს გულები დაუსკდებათ, ან არ დამიჯერებენ, ესეც არ იყოს, ასეთი ამბების მოყოლა არც მიყვარს. დევდარიანს სძინავს, შოშია სადილის შემდეგ მკვდარივით არის, იქნებ არც სძინავს, მაგრამ მაგასთან ლაპარაკი არ ღირს, მაგასთან რომ ვლაპარაკობ, სულ ტირილი მინდა, თავი მეზარება, სიკვდილი მენატრება და კაცობრიობა მეცოდება. ტიგრანა ნამდვილი ავაზაკია, რა ამბავსაც არ დაიწყებს, უეჭველად მკვლელობით ამთავრებს. ერთი კია, კაცის მოკვლის ამბავს ისე მოგიყვება, იფიქრებ, რა ადვილი ყოფილა სიკვდილი. ასეთი კაცი ონკოლოგიურ საავადმყოფოში უნდა მუშაობდეს მთავარ ექიმად. იცოცხლე, ისიდორე ბატონთან საინტერესოა საუბარი, მაგრამ სძინავს, ისე ხვრინავს, რომ უეჭველად ძილშია, წყალი არ გაუვა. ამოვიოხრე და გვერდზე გადავბრუნდი, თვალი ავარიდე ამ მარადიულ ნათურას, ვერ იქნა და ვერ შევეჩვიე, ნერვებს მიშლის.

— რა მოგივიდა, ბიჭო! — მკითხა დევდარიანმა. გამეხარდა, ასეც ვიცოდი, რომ არ ეძინებოდა.

— არ მეძინება, ლიმონ!

— შეყვარებული ხარ?

— რა ვქნა, ლიმონ, საკმარისია ერთხელ ვნახო ქალი, დაველაპარაკო, გამიღიმოს და მიყვარდება.

— უბედური კაცი ყოფილხარ!

— კიდევ უარესი, ეს კაცში რომ ვიდგე და ლამაზმა ქალმა გაიაროს და შემოგვხედოს ასევეს, ასე მგონია მე შემომხედა, შევუყვარდი და, რომ ვივიდე და ვთხოვო, ცოლად თუ არა, ერთი ღამით მაინც გამომყვება, ჩემგან გონებადაკარგული და ჭკუადაკარგული. ვიცი რომ სულელი ვარ, მაგრამ რა ვქნა.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ! — ამოიოხრა ლიმონამ.

— რატომ? — ვკითხე.

— თუნდაც იმიტომ, რომ იცი, სულელი რომ ხარ.

— აი, დღეს, მრეცხავი ქალი ვნახე და შემიყვარდა, სულ თვალწინ მიდგას. — ვთქვი მე.

— ნუნუ ექიმი აღარ გიყვარს? — მკითხა დევდარიანმა.

— ისიც მიყვარს, მაგრამ ეს უფრო ნაღდად მიყვარს, მარო...

— მარო ჰქვია?

— ჰო!

— ლამაზია?

— რაც ციხეში ვარ, ულამაზო ქალი არ მინახავს. ამ დასაწვავში, ყველა ლამაზია.

— ეგ ეგრეა.

— ალბათ. — დუმილი ჩამოვარდა. მერე ლიმონამ დაიწყო, ისე დაიწყო, თითქოს მე კი არა, თავის საკუთარ თავს უყვებოდა.

— ის, ასე არ იყო, მართლა ლამაზი იყო, მერე და, როგორი ლამაზი... — ლიმონა თავის წარსულს იგონებდა. ისე გავინაბე, თითქოს ქვეყნად აღარ ვარსებობდი. მივხვდი, რაღაც დიდი, ბევრი წლების მანძილზე დაგროვილი და დაგუბებული გადმოდიოდა ჯებირს, რაღაც უსაშველო აღსარება იწყებოდა.

— მერე და როგორი ლამაზი... — გაიმეორა მან. — და განაგრძო: — მოედანში ერთი მწითური ურია ცხოვრობდა, ბაბალიკაშვილი ეფრემა, ნაჯიბგირალი, ჩემთან ერთად დარბოდა 10 ნომერ ტრამვაიზე. მერე ოქროთი ვაჭრობა დაიწყო. ახლა ისრაელში წავიდა. იმან ერთი საქმე მომცა სოლოლაკში, კოჯრის ქუჩაზე, კბილის ტექნიკის ბინა. ის კბილის ტექნიკი, თურმე, ეფრემასგან ყიდულობდა ოქროს. მომცა და ავიღე. ათი წლის წინანდელი ამბავია, გუშინდელივით მახსოვს. ივნისი იყო, ჩრდილში 40 გრადუსს უჩვენებდა, მთელი თბილისი ათესილი იყო აგარაკებზე. ის კბილის ტექნიკი კი იმ პაპანაქებაში სახლში იჯდა და მუშაობდა. ბე-

ლეტაეზე ცხოვრობდა. შაბათი დღე იყო, მიღება ჰქონდა. საქმეზე მარტო წავედი. ყბაახვეული მივედი და მოსაცდელ დერეფანში გრძელ, ხის სკამზე ჩამომწკრივებულ, სახედაღმეჭილ ავადმყოფებს მოვუჯექი. — ბოლო ვინ არის-მეთქი, მაინც ვიკითხე ზრდილობისათვის. პასუხი რომ არავინ გამცა ამ სულელურ კითხვაზე. დავჯექი. არსად ადამიანები ისე ზრდილობიანად არ ეპატიჟებიან ერთმანეთს — არა თქვენ შიბრძანდით, ბატონო, პირველი, არა თქვენო, როგორც კბილის ექიმის კარებთან. იმდენი ზრდილობა გამოვიჩინე, ყველა ჩემს შემდეგ მოსული შევაგზავნე ექიმთან. ჩემი რიგი რომ მოვიდა, დაბნელდა. ოთახიდან ჩია ტანის, სისხლით მოსვრილხალათიანი და მკლავებდაკაპიწებული, სახედაჭმუჭნილი კაცი გამოვიდა. დერეფანში სინათლე აანთო, ერთ ხანს მიყურა, მერე თავის გაქნევით მანიშნა შემომყევიო. მე შევყევი. კარი რომ გავიხურე, სწრაფად და შეუმჩნევლად გასაღები გადავატრიალე და ჯიბეში ჩავიდე. ექიმი სავარძელთან მივიდა და ხელით მანიშნა, დაჯექიო. კბილის საბურღავი მანქანა და კბილის დასაძრობი ხელსაწყოები რომ დავინახე, ბავშვობიდან გამოყოლილი ინსტინქტით შემაჟრჟოლა და შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. მაინც ჩავჯექი. ექიმმა შუბლზე ნიკელის პრიალა თეფში გაისწორა, ყბაზე აკრული სახვევი მომხსნა, თეთრზეწარგადაფარებულ ტახტზე დააგდო, ნიკაპზე მარჯვენა ხელის ცერი დამაჭირა, ქვედა ყბა ჩამომიწია და გულმოდგინედ ჩამხედა პირის ღრუში.

— რომელი კბილი გტკივათ? — ოდნავ გაკვირვებულმა მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— არც ერთი! — ვუთხარი მე, როდესაც ცერი ამიშვა ნიკაპიდან და დალაპარაკების საშუალება მომეცა.

— მაშ რაზე მობრძანდით? — მკითხა ახლა ნამდვილად გაოცებულმა.

— როგორ მოგახსენოთ... — დავიწყე მე.

— ამხანაგო, ძალიან დაღლილი ვარ, თან არ მცალია, მითხარით, რა გინდათ?! — მითხრა მან, მკაცრად და ხალათის გაძრობა დაიწყო. სავარძლიდან წამოვდექი. მართალი გითხრა, ვღელავდი, მუხლებიც მითრთოდა ოდნავ და ხმაც, ხელები კი, არ ვიცოდი სად წამეღო. ასეთ საქმეზე პირველად ვიყავი, მარტო, თან საქმემ ისეთი ხასიათი და ტონი მიიღო, კინოში გადაღებულ დეტექტივს ემსგავსებოდა თანდათან.

— მე ფული მინდა! — გამოვუტყდი როგორც იქნა. ექიმს თვალები შუბლზე აუვიდა. — ოქროც! — დავაყოლე მე. და გამშრალი ტუჩები ენით გავილოკე.

— რომელი ფული და ოქრო? — გაგიჟდა ექიმი.

— ქაღალდის ფული და ბაჯაღლო ოქრო! — გავუღიმე მე.

— თქვენ სულელი ხომ არ ხართ? — მკითხა მან საოცარი გულწრფელობითა და ცნობისმოყვარეობით. სხვა გზა აღარ მქონდა, პიჯაკი გავიხსენი და ქამარში გაჩრილი ნაგანი ამოვიღე... კბილის ექიმი მოულოდნელობისაგან ჯერ გაფითრდა, მერე სავარძელში ჩაჯდა, რომ არ წაქცეულიყო, და დაელამდა. ოდნავ რომ მოსულიერდა, მინის კარადაზე მიმითითა და მთხოვა:

— ის ბოთლი მომაწოდეთ, თუ შეიძლებაო. ვიდრე მივაწოდებდი ცხვირთან მივიტანე, ნიშადურის სპირტი აღმოჩნდა, უნებლიედ გამეღიმა და გადავეცი. გაღიმებული რომ დამინახა, ცოტა იმედი მიეცა, სპირტს უყნოსა, მერე ვაჭრობა და დროს გაყვანა დაიწყო.

— რამდენი გნებავთ? — მკითხა მან.

— მე აქ ფულის სასესხებლად არ მოვსულვარ, რაც გაქვთ, სუყველა მინდა და რაც შეიძლება სწრაფად!

— ვიყვირებ! — დამემუქრა ის.

— აქ ყვირილი არ გამოვა, კბილის ტექნიკის ბინაა და ყველა იფიქრებს, კაცს კბილს აძრობენო! — ავუხსენი მე. ექიმს საქციელი წაუხდა.

— არ მაქვს არც ფული, არც ოქრო! — თქვა მან გამქრალი ხმით.

დრო სწრაფად მიდიოდა. სპექტაკლიც

უნდა დასრულებულიყო, სხვა გზა აღარ მქონდა, ნაგანი ფეხზე შევაყენე და დავუმიზნე. ნაგანს, გარდა იმისა, რომ უტყუარია, სხვა იარაღთან ის უპირატესობა აქვს, რომ შიშველ ქალს ჰგავს, მისი ლულიდან კბილდაკრეჭილი სიკვდილი გიყურებს, ბარაბანიდან შვიდივე ტყვია ჩანს და ეფექტიც საოცარია. ამიტომ ყველა საქმეში მხოლოდ ნაგანი დამაქვს ხოლმე. ამ შემთხვევაშიც თავისი გააკეთა ნაგანმა, ექიმი სავარძლიდან ჩამოცურდა და მუხლებში ჩამივარდა...

— არა, თქვენ არ მომკლავთ მე... რა სისულელეა, რა ოხრად მინდა ფული, ოქრო, ვერცხლი, პლატინა, სპილენძი, მიირთვით, აი, ფული! — იგი მივარდა კარადას, ასმანეთიანების შეკვრა წინ დამიგდო, მერე უჯრა გამოაღო და ოქროს რამდენიმე გადამდნარი ზოდი დამიდო წინ, — ესეც ოქრო, წაიღეთ, წაიღეთ, — მერე მეორე ოთახში გავარდა, — აი, ჩემი, ჩემი ქალიშვილის ოქროს საათი, სამაჯური, საყურე, ბრილიანტის ბეჭედი, ორკარატიანია, ოცდაათი ათასი ღირს, წაიღეთ, წაიღეთ... — მე უკან დავყვებოდი ჭკუაზეგადასულ ექიმს და ყველაფერს ჯიბეებში ვიწყობდი... — კიდევ რა? კიდევ რა მაქვს, აი, ბროლის ჭურჭელი, წაიღეთ, წაიღეთ... — შან ბუფეტის ორთავე კარი გააღო და თითქოს საკომისიო მაღაზიის დირექტორი ყოფილიყოს, ისე მიქებდა საქონელს. — ჩეხური ბროლია, ოქროს ფასი აქვს. ...წაიღეთ, წაიღეთ! — უცებ საშინელი ზიზღი ვიგრძენი ამ კაცისა და ჩემი თავის მიმართაც, რაღაც აუწერელი სიბინძურითა და ჭუჭყით სავსე მომეჩვენა ეს სახლი, რომლის შუაგულში ვიდექი ყელამდე ჩაფლული და ვიხრჩობოდი, ექიმს ზურგი შევაქციე და კარისაკენ წავედი სწრაფად და აქ მოხდა ის, რაც არც ერთ ჩემს ამქარს არ სჯერა და თუ სჯერა, სასაცილოდ არ ყოფნის... — დევდარიანი დადუმდა. მე ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი, რომ მისი ფიქრი არ გამეწყვიტა. დევდარიანმა ისევ დაიწყო: — ...იმათ კი არა, ხანდახან თვითონ მეც არ მჯერა, არადა, იმ დღემ გახადა ყველა ჩემი სიზმარი აუხდენელი... შეიძლებოდა კი სულ სხვანაირად წასულიყო საქმე... ექიმი ისევ რაღაცას ქაქანებდა, მე უკვე აღარ მესმოდა, ყურს აღარ ვუგდებდი, ნაგანი ქამარში გავირჭვე, პიჯაკი შევიკარი და, წასვლას რომ ვაპირებდი, ოთახის კედელზე ჩამოკიდებულ ვეებერთელა სარკეში დავინახე საკუთარი თავი, ცოტა დავმშვიდდი. შენ ახლა შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ არაფერი ისე არ ამშვიდებს ადამიანს, როგორც საკუთარ ორეულთან შეხვედრა და საუბარი. მე ბევრჯერ მილაპარაკია სარკეში საკუთარ თავთან ხმამაღლა და ხელებით, მიჩხუბია კიდევაც და მიგვემია კიდევაც საკუთარი თავი სარკეში. და ახლაც რომ დავინახე საკუთარი თავი, ცოტათი დავმშვიდდი, რადგან სარკიდან უფრო ლამაზი, უფრო უშიშარი და ძლიერი კაცი მიყურებდა, ვიდრე ამ წუთში ვიყავი მე. ასე მეჩვენებოდა, ყოველ შემთხვევაში, რადგან სარკეში უსულო კაცი იდგა და ამ უსულო კაცმა, როგორც ცივი ტილო გახურებულ შუბლზე, ისე შემახო თავისი სარკესავით ცივი ხელი შუბლზე და დამამშვიდა... სარკის კუთხეში, როგორც იციან ხოლმე ნახევრადპროვინციულ ოჯახებში, ორი ყელმოღერებული ქალიშვილის ყავისფერი ფოტოსურათი იყო შეკვეხებული. შევხედე და თვალები დამიბნელდა... სურათიდან ჩემი ღვიძლი და ლეილა მიყურებდა. სურათი მოვგლიჯე სარკეს და ექიმს მივუტანე. ის განცვიფრებული მიყურებდა.

— ვინ არის ეს ქალიშვილი? — ვკითხე მე ხმის კანკალით.

— ეს, მარჯვნივ, ჩემი ქალიშვილია, დინარა, ეს კი მისი უნივერსიტეტის მეგობარი — ლეილა დევდარიანი. — მიპასუხა მან. მე უხმოდ დავაგდე სურათი, როიალის თავზე და ჯიბიდან ნაძარცვი ნივთების ამოლაგება დავიწყე, ჯერ ფული დავდე როიალის თავზე.

— რაშია საქმე?!! — დაიბნა ექიმი.

— თქვენთან არავინ არ ყოფილა! — ვთქვი მე. ფულს ოქრო მივაყოლე...

— არა, ბატონო!

— თქვენთან არავინ არ ყოფილა! — ოქროს გვერდით ჯერ ოქროს სამაჯური დავდე, მერე ოქროს საათი.

— როგორ გეკადრებათ!

— არავინ! — საათს ბრილიანტის საყურე მივუწყვე გვერდით.

— არავინ, ბატონო! — ჩურჩულებდა ექიმი. მე აღარ მახსოვს რას ვაკეთებდი, გადმოვიტრიალე ყველა ჯიბე — პიჯაკისაც და შარვლისაც. ექიმი რაღაცას ჩურჩულებდა...

— ეს ჩვენი არ არის, — მითხრა მან და პორტსიგარი და ოქროს ბეჭედი დამიბრუნა. — ეს ჩვენი არ არის, ეს თქვენია, პორტსიგარი ჩემი არ არის, მე არ ვეწევი... არც ბეჭედია ჩვენი... თქვენ იგი თითიდან წამოიძვრეთ, ეს ცხვირსახოციც და ასანთიც თქვენია!.. — მე მექანიკურად ჩამოვართვი მოწოდებული ნივთები და კარებისაკენ დავიძარი...

— ნახვამდის, ბატონო, რაშია საქმე, ცუდად ხომ არ ხართ? რამე ხომ არ დაგალევინოთ?... — კარებს მივადექი და უცებ დარეკა ზარმა. შევცბი, ფანჯრისაკენ გავიხედე, გაქცევა უაზრობა იყო, ფანჯრები მაჯისსიმსხო გისოსებით იყო ამოჭედილი, როგორც ყველგან პირველი სართულის ფანჯარა თბილისში. ექიმიც შეკრთა და შეშინებული თვალებით შემხედა.

— ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ, არაფერია, ოღონდ თქვენ არაფერი ჩაიდინოთ, მე არაფერს არ ვიტყვი, გეფიცებით პატიოსნებას, არაფერს არ ვიტყვი, ალბათ ავადმყოფია, ან მეზობელი, ნუ გეშინიათ, მომეცით გასაღები, აი, ნახეთ, მე არაფერს არ ვიტყვი! — გასაღები გადავეცი. ექიმმა კარის გასაღები გადაატრიალა და კარი გაიღო.

— აი, ხომ გითხარით, ეს ჩემი ქალიშვილი დინარაა! — თქვა მან უზომოდ ბედნიერი ხმით. კარებში შავი საყელოთი, შავი სამაჯურებითა და შავი ქამრით გაწყობილ თეთრ კაბაში შემოსილი ანგელოსი იდგა და მიღიმოდა.

— გამარჯობათ! — თქვა მან. დევდარიანი გაჩუმდა. გავიდა წუთი, ორი, სამი, იგი ხმას არ იღებდა. საკანში პატიმრების ზომიერი ფშვინვა ისმოდა. მე ამბის დასასრულს ველოდებოდი, დევდარიანი კი ხმას არ იღებდა. ხომ არ ფიქრობს, რომ დამეძინა? გავიფიქრე და ხმაურით გადავბრუნდ-გადმოვბრუნდი. დევდარიანი მაინც სდუმდა. თვითონ ხომ არ დაეძინა, გამიელვა თავში, მაგრამ უცებ მივხვდი, რომ სისულელეს ვფიქრობდი. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო.

— მერე, მერე რა მოხდა, ლიმონ?— ვკითხე ვედრებით.

—...იმ დროს სახლიდან წასული ვიყავი... — დაიწყო მან ცოტა ხნის შემდეგ. — ორი წლის წასული ვიყავი. ამ ორი წლის განმავლობაში დედაჩემს სამჯერ ვყავდი ხატზე გადაცემული დიდუბის ეკლესიაში. და, ლეილა, ჩუმად მხვდებოდა ხოლმე ხან სად და ხან სად, უფრო ხშირად ვაკეში, მრგვალ ბაღთან. მოვიდოდა, მაკოცებდა, გამლანძღავდა, გამთათხავდა, მიწასთან გამასწორებდა, ჯიბგირს, დედის მკვლელს, გველს, ეგოისტს, კაციჭამიას და პირუტყვს მეძახდა, მერე დამადებდა თავს მხარზე და დიდხანს, დიდხანს ტიროდა, ამბობდა, თავმოყვარეობა არა მაქვს და იმიტომ გვხვდები, დედამ რომ გაიგოს, მომკლავსო. შენ ალბათ გაგიკვირდება კიდევაც, მაგრამ ვატყობდი ჩემი და ყველაფერ ამას რომანტიკულად უცქეროდა და ცოტას ამაყობდა კიდევაც ჩემნაირი ძმა რომ ჰყავდა. დედა ამაყი ქალია, ოი, რა ამაყი, ინალიფას ქალი. და მაინც ვიცოდი, რომ მისი გამოგზავნილი იყო ჩემი და, თვითონ კი სადღაც, რომელიღაც სადარბაზოში იდგა და ქურდულად მიყურებდა, ისე, რომ არ დამენახა. ამას გუმანით ვხვდებოდი, რადგან ჩემი და მარტოს არასოდეს მოვებდა ბაღში, ვიდრე არ წავიდოდი, თვითონ არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა. პირველი მე უნდა წავსული-

ყავი, ის კი დარჩენილიყო. და კიდევ იმით ვხვდებოდი დედის სიახლოვეს, რომ ბავშვობაში ცივი კატლეტი მიყვარდა გაგიჟებით, თეთრ პურთან ერთად, და ის ცივი კატლეტი და თეთრი პური სულ თან მოჰქონდა ჩემ დას. ერთხელ, ბაღში რომ ვიჯექით, ვკითხე, რატომ არ თხოვდები-მეთქი და — შენი შიშით ვერც ერთი ბიჭი ვერ მეკარებაო, მითხრა. ლამაზი იყო ჩემი და ძალიან, ახლა გათხოვილია, სამი შვილი ჰყავს. ლამაზი იყო ჩემი და... — თქვა დევდარიანმა... — მაგრამ ის დინარა ზღაპარი იყო... — ისევ დადუმდა დევდარიანი, ისევ დაიწყო მოლოდინის დაუსრულებელი წუთები.

— ნუ მომკალი, დევდარიანო, მერე? — შეევედრე მე.

— მერე, გამაბედინა იმ დინარამ და ჩემი დის დაბადების დღეზე მივედი 29 აგვისტოს, იმ იმედით, რომ დინარა იქ მოვიდოდა.

— მერე?

— დილით მივედი სახლში. კარი ლეილამ, ჩემმა დამ გამიღო და იკივლა. მერე სამზარეულოში მთელი საათი ვეგდე დედაჩემის ფეხებში და აღარ მახსოვს, რას ვლუღლუღებდი, პატიებას, ბოდიშს, გამოსწორებას, ცხოვრების თავიდან დაწყებას, თუ ათასგვარ სისულელეს, რაღაცას სიყვარულზეც ვლაპარაკობდი, აღარ მახსოვს... მერე დედაჩემის ბედნიერი სახე მახსოვს. საღამომდე... მხოლოდ საღამომდე... საღამოს სტუმრებმა იწყეს მოსვლა, სტუმრებმაო ვამბობ, თორემ რა სტუმრები იყო ლეილას ხუთიოდე ამხანაგი გოგონა და სამიოდე ბიჭი. ზოგიერთმა მათგანმა იცოდა ჩემი ამბავი და ცოტა დაბნეულები მესალმებოდნენ, ზოგიც პირველად მხედავდა... უცებ კარებში გამოჩნდა ის, დინარა, ზუსტად ისე ჩაცმული, როგორც იმ დღეს, შემოვიდა და ქალღმერთივით შემოანათა. გვერდით შავ დაკრონის კოსტუმში და თეთრ პერანგში გამოწყობილი მოხდენილი ვაჟი ედგა. დინარას რაღაც კერამიკა ეკავა ხელში. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მის კუპრივით შავ თვალებში ჯერ განცვიფრება, ხოლო შემდეგ აუწერელი შიში გამოიხატა, იგი გაფითრდა და ახლა ჩემს დას მიაშტერდა. მე დავმუნჯდი და დავბრმავდი. მისი შეშინებული შავი თვალების მეტს ვერაფერს ვეღარ ვხედავდი.

— გაიცანი, ეს ჩემი ძმაა კაკო, ეს კი ჩემი მეგობარი დინარა თავისი მეუღლით. — გვაცნობდა ერთმანეთს ჩემი და. მერე მე დავინახე როგორ გაუვარდა დინარას ხელიდან კერამიკა და როგორ დაიმსხვრა მის ფეხებთან, დავინახე მხოლოდ და არ გამიგონია, მერე მან თვალებზე ხელები აიფარა, შებრუნდა და კარებში გავიდა.

დევდარიანი დადუმდა.

— მერე? — ვკითხე მე ჩურჩულით.

— მერე ყველაფერი გათავდა, სახლი დაცარიელდა, ყველანი წავიდნენ, არავინ არ იცოდა რა მოხდა, ვიცოდი მხოლოდ მე და გუმანით ხვდებოდა რაღაცას ჩემი და. ახლა დედაჩემი ეგდო ჩემს ფეხებში და ტირილითა და გოდებით მთხოვდა არ წავსულიყავი, სახლიდან არ წავსულიყავი, და თუ წავიდოდი, ჯერ და და დედა დამეხოცა, სახლისთვის ცეცხლი წამეკიდებინა და შემდეგ წავსულიყავი.

— და მაინც წადი? — ვკითხე მე.

— წავედი! — თქვა ლიმონამ.

— პირუტყვი ხარ, შენ, დევდარიანო! — ვუთხარი მე.

— ვიცი! — მშვიდად მიპასუხა მან.— ქურდებზე უნებისყოფო ხალხი ქვეყნად არ არსებობს. ტყუილად ჰგონია ხალხს, თითქოს ქურდებს დიდი ნებისყოფა გვაქვს. გვაქვს, ოღონდ იქ არა, საიდანაც საჭიროა, სულ სხვა მხრიდან, გვაქვს ნებისყოფა.

—მაინც საიდან? — ვკითხე მე.

— უკუღმიდან! — მიპასუხა მან და ზურგი შემაქცია.

გთხოვთ ადგეთ, სასამართლო მოდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში მხოლოდ ერთი კაცი ადგა. ისიც ბრალდებული. თავმჯდომარემ სევდიანი თვალები მოავლო ცარიელ დარბაზს, მჯიღში ჩაახველა და თავის დაქნევით ანიშნა ბრალდებულს — დაბრძანდითო. ბრალდებული დაჯდა.

— სასამართლო წინასწარ უაღრესად დიდ ბოდიშს იხდის დამსწრე საზოგადოებისა და ბრალდებულის წინაშე. რადგან სერიოზული და ფრიად საპატიო, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ აქვს საშუალება მთლიანად დაიცვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მისი ყველა მუხლის ყველა პუნქტი და, აქედან გამომდინარე, სამსჯავრო სხდომის ნორმალური მსვლელობის სრული ეთიკაც. — თავმჯდომარემ შუბლზე მომდგარი ოფლი მოიწმინდა სახელოთი. დარბაზში თავიდანვე დუმილი იყო.

— დღეს, — დაიწყო ცოტა ხნის შემდეგ მან, — 1972 წლის 12 აგვისტოს, განიხილება საქმე სისხლის სამართლის ბრალდებისა გამო ისიდორე იოსების ძე სალარიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლით. — ისევ დუმილი. თავმჯდომარე დაჯდა.

— ბრალდებულო, ადექით ფეხზე! მიმართა მან სალარიძეს. სალარიძე ადგა.

— რა გვარი ხართ?

— სალარიძე!

— სახელი, მამის სახელი!

— ისიდორე იოსების ძე.

— ასაკი?

— 1910 წლის 11 მაისს დაბადებული ქალაქ ხაშურში, დილის ექვს საათზე. განათლება მაქვს უმაღლესი. ვიცი ორი უცხო ენა — ფრანგული და გერმანული. პროფესიით ვარ ეკონომისტი, ვმუშაობდი სტატისტიკურ სამმართველოში. ვიყავი ცოლ-შვილიანი, მეუღლე გარდამეცვალა 1960 წელს, დამრჩა ქალიშვილი და შვილიშვილი. ვცხოვრობდი ვამლოვანის ქუჩა № 151-ში. ვარ პარტიის წევრი 1930 წლიდან. — მიაყარა ბრალდებულმა, რათა რაც შეიძლება მალე მოღებოდა ბოლო ფორმალურობას.

— იყავით პარტიის წევრი! — შეაწყვეტინა თავმჯდომარემ. ეტყობოდა მას არსად არ ეჩქარებოდა.

— ვარ! — ჯიუტად გაიმეორა ბრალდებულმა. თავმჯდომარემ არაფერი არ უპასუხა.

— სამართალში მიცემულო სალარიძე, ჩაგბარდათ თუ არა საბრალდებულო დასკვნა და როდის? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— დიახ, ჩამბარდა, გასულ კვირას.

სამართალში მიცემულო სალარიძე, სასამართლო სამარჩიელო ბიურო არ გახლავთ, დააზუსტეთ რიცხვი! — გაოფრთხილა თავმჯდომარემ. სამართალში მიცემულმა ჭერს მიაპყრო თვალები და ტუჩები აამოძრავა, ეტყობოდა, 12 აგვისტოდან შვიდ დღეს ითვლიდა უკან გუნებაში.

— ხუთ აგვისტოს! — დააზუსტა სალარიძემ.

— გაეცანით თუ არა საბრალდებულო დასკვნას?

— დიახ, გავეცანი!

სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ თქვენდამი წაყენებულ ბრალდებაში?

— არა! — ეტყობა ასეთი პასუხი მოულოდნელი იყო თავმჯდომარისათვის, მან დაბნეული სახით გადახედა მაუდგადაუფარებელ ხის გრძელ მაგიდასთან, მის გვერდით მსხდომთ და რაღაც ჰკითხა თვალებით, მათ თანხმობის ნიშნად თავები დაუქნიეს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე ცარიელ დარბაზს მიუბრუნდა:

— ვიწყებთ საქმის განხილვას. საქმეს განიხილავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი

სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

1. ნაკაშიძე — თავმჯდომარე
2. დევდარიანი — სახელმწიფო ბრალმდებელი
3. გულოიანი — სახალხო მსაჯული
4. გოგოლაძე — სახალხო მსაჯული

ყველაფერ ამას თავმჯდომარე, რატომღაც, თავჩაღუნული ამბობდა. სასამართლოს შემადგენლობის ჩამოთვლას რომ მორჩა, დადუმდა. ისევ მოავლო სევდიანი თვალები ცარიელ დარბაზს, დიდხანს უცქირა უზურგო ხის სკამზე (ტაბურეტზე) შეციებულ ბეღურასავით მობუზულ ქუთუთოებდასიებულ და უპეებჩამოცვენილ, ხანში შესულ სამართალში მიცემულს, ნელ-ნელა მზერა სასამართლოს შემადგენლობაზე გადაიტანა, ისევ ჩაახველა მჯიღში და განაგრძო:

— სამართალში მიცემულო სალარიძე, აცილება ხომ არა გაქვთ სასამართლოს ზემოთ მოხსენებული შემადგენლობის რომელიმე წევრის მიმართ?

— არა! — წამოდგა სამართალში მიცემული.

— სხვა რამ პრეტენზიები ხომ არ გაგაჩნიათ სასამართლოს მიმართ?

— არა!

— როგორც სასამართლოსათვის ცნობილია, საქმის წინასწარი გამოძიების დროს თქვენ უარი განაცხადეთ დაცვაზე!

— დიახ!

— ხომ არ გნებავთ სასამართლომ სახელმწიფოს ხარჯზე ახლა დაგინიშნოთ დამცველი?

— არა!

— ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, მისცეთ სასამართლოს ჩვენება წაყენებული ბრალდებისა და საქმის იმ გარემოებათა შესახებ, რომელნიც თქვენთვის ცნობილია. — თავმჯდომარე იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, თავი ხელებში ჩარგო, თვალები მოჭუტა და მოსასმენად მოემზადა. მოსასმენად მოემზადნენ სახელმწიფო ბრალმდებელი და სახალხო მსაჯულებიც.

სამართალში მიცემულმა დაიწყო:

— ღამის პირველი საათი იქნებოდა. ზარის გაბმულმა ხმამ გამაღვიძა. მივხვდი, ჩემი სიძე იყო და ყურადღება არ მივაქციე, თუმცა დაველოდე, როდის ადგებოდა ჩემი ქალიშვილი, ეტყობა ეძინა. სიძე ელექტროზარიდან თითს არ იღებდა. ბოლოს ფეხის ხმა გავიგე. კარი ჩემმა ქალიშვილმა გაუღო. ღიღინით შემოვიდა.

— გძინავს, არა?.. არ მელოდებით? — თქვა სიძემ გამომწვევი ხმაურით და რაღაც ნივთი დააგდო.

— ნუ ხმაურობ, ხალხს ძინავს, გვიანია ახლა, დაწექი და დაიძინე! — უპასუხა წყნარად ჩემმა ქალიშვილმა.

— ვინ ხალხს? მამაშენ ეკონომისტს? ისვენებს, ძინავს და ნუ გააღვიძებ არა? — ჰკითხა სიძემ ჩემს ქალიშვილს.

— ბავშვსაც ძინავს! — უპასუხა ჩემმა ქალიშვილმა.

— ბავშვი ჩემია, მინდა გავაღვიძებ, მინდა არა! — ისევ გამომწვევად თქვა ჩემმა სიძემ და ხმაურით გაიარ-გამოიარა კარის წინ. მივხვდი, ნასვამი იყო... შემდეგ ისინი თავიანთ ოთახში შევიდნენ. კვლავ დიდხანს მესმოდა იქიდან ხმამაღალი ლაპარაკი, სიტყვებს ვერ ვარჩევდი, ჩემი ქალიშვილი რაღაცას ეხვეწებოდა, ბოლოს მუდარაზე გადავიდა, იგი არ ცხრებოდა, რაღაცას ამტვრევდა, რამდენჯერმე ჩემი ქალიშვილის შეკივლებაც მომესმა, ბოლოს ბავშვის ტირილიც გავიგონე. მივხვდი, სცემდა. ვეღარ მოვითმინე. ავდექი, დერეფანში სინათლე ავანთე და ქალიშვილისა და სიძის ოთახში შევედი. ჩემი ქალიშვილი საწოლზე იჯდა, გამსკდარ ტუჩიდან გამოდენილ სისხლს იწმენდდა ცალი ხელით, მეორეთი კი ბავშვს აწყნარებდა.

— დაგხოცავთ, თქვენი უმადური დედაც ვატირე! — ყვიროდა იგი აღელვებული, ტახტზე იჯდა პერანგის ამარა.— გაეთრიე გარეთ! — მიღრიალა მან, როდესაც დამინახა და ფეხზე წამოდგა.— გაეთრიე გარეთ, შენი ბებერი ოხერი დედა ვატირე! — გაიმეორა. მე სილა

გავაწანი. იგი უცებ გაშრა მოულოდნელობისაგან. მერე, როდესაც გონს მოეგო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დამარტყა და იატაკზე დამაგდო. ჩემმა ქალიშვილმა შეკივლა და საწოლიდან წამოხტა. მე უცებ წამოვდექი, თავბრუ მეხვეოდა.

— მხეცო, ნადირო, პირუტყვო! — ქვითინებდა ჩემი ქალიშვილი. — ბაბუ, არ წახვიდე! — წიოდა ჩემი შვილიშვილი. მე ბარბაცით გავედი ჩემი ქალიშვილისა და სიძის ოთახიდან, ჩემს ოთახში შევედი და კედლიდან ორლულიანი 12 ყალიბრის სანადირო თოფი ჩამოვხსენი. — სამართალში მიცემულმა ცოტა ხნით სული მოითქვა და ისევ განაგრძო. — თოფი ჩამოვხსენი და სიძესთან შევედი... თოფით რომ დამინახა გაშტერდა.

— გაეთრიე ჩემი სახლიდან! — ვუთხარი მე.

— დააგდე თოფი! — თქვა ჩემმა სიძემ.

— გაეთრიე ჩემი სახლიდან! — გავიმეორე მე.

— დააგდე თოფი, ბებერო იდიოტო!!! — ისევ თქვა მან და ჩემსკენ წამოვიდა.

სახალხო მსაჯულ გულოიანს კისერზე და შუბლზე ძარღვები დაებერა, მერე უცებ მიტკალივით გაფითრდა და ფეხზე წამოდგა. სახელმწიფო ბრალმდებელმა დევდარიანმა მხარზე ხელი დაადო და ძალით დასვა, თავმჯდომარე ათრთოლებულ თითებზე ფრჩხილებს იკვნეტდა.

—მე თოფი მუცელზე მივიბჯინე და ორთავე ჩახმახი ფეხზე შევაყენე! — განაგრძო სამართალში მიცემულმა. სახალხო მსაჯული ისევ ადგა ფეხზე, ამჟამად სახელმწიფო ბრალმდებელმა დევდარიანმა ვეღარ დასვა. — იგი ორთავე ხელით ჩააფრინდა ლულას და ჯაჯგური დამიწყო და მაშინ მე ორთავე ჩახმახის სასხლეტი დავუშვი... — სახალხო მსაჯული გულოიანი დაჯდა. — მე თოფის ხმა არ გამიგონია, დავინახე მხოლოდ, როგორ გადავარდა გულშეღონებული ჩემი ქალიშვილი და როგორ იფეთქა სისხლმა ჩემი სიძის პირიდან. სულ ბოლოს დავინახე ჩემი ბატარა შვილიშვილის გადარეული თვალები და ყოველივე ეს სიზმარი მეგონა, არ იყო კაცი დედამიწაზე, რომელიც იმ წუთში დაიჯერებდა, რომ ეს ყველაფერი ცხადად მოხდა...

— რატომ? — ჰკითხა აკანკალებული ხმით თავმჯდომარემ.

— საქმე იმაშია, რომ თოფი ცარიელი იყო!.. — სამართალში მიცემულმა ისე შვებით ამოისუნთქა, თითქოს დედამიწა იმ წუთამდე მის მხრებზე ესვენა და ახლა ვიღაც შეეშველაო.

განცვიფრებული სასამართლო კრინტს ვერ ძრავდა!

— როგორ თუ თოფი ცარიელი იყო?! — ჰკითხა ბოლოს ჩურჩულით თავმჯდომარემ.

— თოფი ცარიელი იყო, ორი დღის წინ მე გავწმინდე, ჩემი ხელით, თოფი ცარიელი იყო.

— მერე და, ვინ ჩააწყო შიგ ტყვიები?

— ჩემმა სიძემ.

— ვინ გითხრათ?

— თვითონ მითხრა, სიკვდილის წინ, მკლავზე რომ მეწვა, თვალებით მითხრა, მე მივხვდი, რომ მითხრა, სხვა ვერავინ მიხვდებოდა, სხვა ვერავინ...

— ვინ დაგიდასტურებს ამას? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— არავინ! — უპასუხა სამართალში მიცემულმა და მწარედ გაიღიმა.

— შემდეგ?

— შემდეგ ყველაფერი უჩემოდ მოხდა, მე მეტი არაფერი არ ვიცი!

— არაფერი არ გაქვთ დასამატებელი?

— არაფერი!

— სულ არაფერი? — გაუკვირდა მოსამართლეს.

— სულ არაფერი! — დაუდასტურა სამართალში მიცემულმა. მოსამართლემ მხრები აიჩეჩა და სახელმწიფო ბრალმდებელს გადახედა. იმანაც მხრები აიჩეჩა.

— იქნებ მაინც გაიხსენოთ რაიმე დეტალი, ბრალდებულო? — სთხოვა თავმჯდომარემ.

— რა დეტალი? — გაუკვირდა ბრალდებულს.

— თავის გასამართლებელი დეტალი, ბრალდებულო!

— არ არსებობს ასეთი დეტალი! — გაიღიმა ბრალდებულმა მწარედ.

— ასეთ შემთხვევაში, ნება მომეცით სიტყვა სამართალში მიცემულის დასაკითხავად სახელმწიფო ბრალმდებელს. იუსტიციის უფროს მრჩეველს, პროკურორ დევდარიანს გადავცე! — მიმართა ცარიელ დარბაზს თავმჯდომარემ. — გთხოვთ! — მიუბრუნდა იგი პროკურორს, შემდეგ წინანდელი მდგომარეობა მიიღო და კვლავ მოსასმენად მოემზადა. პროკურორი სამართალში მიცემულის დაკითხვას შეუდგა:

— სამართალში მიცემულო სალარიძე. თქვენ ბრძანეთ, რომ არ იცოდით იყო თუ არა თოფში ვაზნები, თქვენ თოფი ცარიელი გეგულებოდათ.

— დიახ.

— მაშინ ხომ არ აგვიხსნით, რატომ გახვედით თქვენი ქალიშვილის და სიძის ოთახიდან თოფის მოსატანად?

— სიძის შესაშინებლად!

დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ სიძეს ცარიელი თოფის შეეშინდებოდა?

— არა, ჩემ სიძეს ცარიელი თოფით ვერ შეაშინებდა კაცი.

— მაშ რაღად მოიტანეთ თოფი?

— ჩემმა სიძემ არ იცოდა, რომ თოფი ცარიელი იყო.

— მაშინ ის უნდა ცოდნოდა, რომ თოფი დატენილი იყო.

— არც ეს უნდა ცოდნოდა!

— სალარიძე, დაფიქრდით, რას ლაპარაკობთ, ჯერ ისეთი თოფი არ გამოუგონებიათ, რომ ერთდროულად დატენილიც იყოს და დაუტენელიც. — გააფრთხილა სახელმწიფო ბრალმდებელმა. სალარიძე დაფიქრდა.

— მართალი ბრძანდებით, ჩემი სიძე დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ თოფში ტყვიები ულაგა.

— რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას თქვენთვის, სალარიძე, თუ თქვენ იცოდით, რომ თოფი ცარიელია? — ჰკითხა პროკურორმა.

— მე მეგონა, რომ იგი შეშინდებოდა და პატიებას ითხოვდა.

— მაგრამ ეს არ მოხდა!?

— არ მოხდა!

და რომ მომხდარიყო, თქვენ აპატიებდით ქალიშვილისა და საკუთარ შეურაცხყოფას? — სალარიძე დაფიქრდა და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ თავი დაქნია.

— ვაპატიებდი, ვაპატიებდი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავინახავდი მუხლებზე დაცემულს...

—სალარიძე, როგორც თქვენი ჩვენებიდან ირკვევა, სიძეს არ შეეშინდა და თქვენზე წამოვიდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დარწმუნდა, რომ თოფი ცარიელი იყო?

—დიახ!

— მაშ რაღად შეაყენეთ ჩახმახები ფეხზე, რა აზრი ჰქონდა ამას, თუ თქვენც და თქვენი სიძეც ორთავე დარწმუნებული იყავით, რომ თოფი ცარიელი იყო?

— მე, მე უკანასკნელი ცდა გავაკეთე, შეიძლება უაზრო, მაგრამ მაინც.

— რატომ გაგაფრთხილათ სიძემ, რომ დაგეგდოთ თოფი, თუ მას თოფის არ ეშინოდა?

— არ ვიცი.

— როდესაც სასხლეტი დაუშვით, დარწმუნებული იყავით, რომ თოფი არ გავარდებოდა?

— დიახ...

— მაშ, რაღად დაუშვით სასხლეტი?

— მექანიკურად!

— რომ არ გავარდნილიყო თოფი, რას აპირებდით?

— არ ვიცი.

— ხომ დარწმუნებული იყავით, რომ სიძე წაგართმევდათ თოფს? — სალარიძე დაფიქრდა.

— დიახ! — თქვა მან ბოლოს.

— სალარიძე, დაუშვებდით თუ არა სასხლეტს, თოფში ტყვიები რომ ყოფილიყო? — სალარიძემ წყალი მოითხოვა, ერთ-ერთმა მსაჯულმა დაუსხა, სალარიძემ გამშრალი ხახა გაისველა და უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— არ ვიცი! — სიტყვით კი ასე თქვა.

— სალარიძე, ადრე თუ გიფიქრიათ იმის შესახებ, რომ ადამიანის მოკვლა შეგეძლოთ.

— არ არის კაცი, რომელსაც ამაზე არ ეფიქროს! — თქვა სალარიძემ.

— რა.დასკვნამდე მისულხართ?

— შედეგი თუ გაინტერესებთ, ფაქტი სასაფლაოზეა, ჩემი სიძე მკვდარია! — მწარედ გაიღიმა სალარიძემ.

— ფაქტი სასაფლაოზეა, სალარიძე, მაგრამ ჩვენ ის გვაინტერესებს, განზრახ მოხდა ეს თუ უნებლიეთ. — თქვა პროკურორმა თავისთვის. სალარიძემ არაფერი უპასუხა. — კიდევ ერთი კითხვა, სალარიძე, ხმარობდა თუ არა თქვენი სიძე თქვენს თოფს?

— დიახ, ხმარობდა!

— რადგან ასეა, ერთ შეკითხვასაც მოგცემთ, ხომ არ გაუფრთხილებიხართ თქვენს სიძეს სულ ბოლო წუთში, თუნდაც სულ ბოლო წამში, რომ თოფში ტყვიებია?

— არა, არა! — იყვირა სალარიძემ, — ეს ყველაფერი მითხრა შემდეგ, ისიც თვალებით, გესმით თუ არა თქვენ? თვალებით... მითხრა და მე მივხვდი, სხვა ვერავინ მიხვდებოდა, რადგან იგი ჩემს მკლავზე იწვა და ჩვენ ერთმანეთს ვუყურებდით თვალებში. — სალარიძეს თავი ჩაუვარდა მხრებში და სახეზე ორთავე ხელი აიფარა.

— ბატონო თავმჯდომარე, მე დაკითხვა დავამთავრე, მეტი შეკითხვა აღარ მაქვს. — მიუბრუნდა თავმჯდომარეს სახელმწიფო ბრალმდებელი. თავმჯდომარემ თავი დაუქნია და თავის მხრივ მსაჯულებს მიუბრუნდა.

— თქვენ ხომ არ გექნებათ, ბატონებო, *შეკითხვები?!* — *გაფითრებულმა* გულოიანმა თავი გაუქნია უარყოფის ნიშნად, სახალხო მსაჯულმა გოგოლაძემ კი თანხმობის ნიშნად — ბრძანეთ! — დართო ნება თავმჯდომარემ.

— სამართალში მიცემულო სალარიძე, მიპასუხეთ, მოსულა თუ არა შინ თქვენი სიძე მთვრალი ისე გვიან, როგორც შემთხვევის დღეს?

— დიახ, მოსულა.

— თქვენ როგორღაც სთქვით, რომ „მივხვდი, ჩემს ქალიშვილს სცემდაო“, ხომ არ გნებავდათ ამით ის გეთქვათ, რომ ადრეც ხშირად უცემია თქვენი ქალიშვილი თქვენს სიძეს? — სალარიძე უხერხულად შეიშმუშნა.

— ცემის რა მოგახსენოთ, მაგრამ ბოლო დროს ცუდი სიმთვრალე დასჩემდა, ხშირად ჩხუბობდა.

— დააზუსტეთ, ხშირად სვამდა, ხშირად ჩხუბობდა, თუ სცემდა?

— ვაზუსტებ, ბოლო დროს ხშირად სვამდა და ხშირად ჩხუბობდა, — ნერვიულად თქვა სალარიძემ.

— სამართალში მიცემულო სალარიძე, ტყუილად ნერვიულობთ, ჩვენ ვეძებთ თქვენი დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებებს, ასე რომ, ნუ გვიჯავრდებით, როდესაც ასეთი წვრილმანი შეკითხვებით გაწუხებთ, ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ კეთდება. — გააფრთხილა სახალხო მსაჯულმა გოგოლაძემ.

— გმადლობთ! — უფრო ნერვიულად უპასუხა სალარიძემ.

— დიახაც მადლობელი უნდა იყოთ, — დააყვედრა ამაგი სახალხო მსაჯულმა. — ახლა მიბრძანეთ, რას ნიშნავს ბოლო დროს ხშირად სვამდა და ხშირად ჩხუბობდა?

— კარგად ვერ გავიგე! — ჯიუტად თქვა სალარიძემ.

— სალარიძე, რომ ამბობთ „ბოლო დროსო“, როდის დაიწყო ეს „ბოლო დრო“? — შარშან, შარშანწინ, იმის წინ თუ გუშინ? — განუმარტივა კითხვა გოგოლაძემ.

— შარშან, ერთი წლის წინ! — დააზუსტა სალარიძემ.

— როგორ ფიქრობთ, რა მოხდა ერ-

თი წლის წინ, რა უნდა ყოფილიყო, თქვენი სიძის შეცვლის მიზეზი? — სალარიძე თავჩაღუნული იჯდა და ხმას არ იღებდა.

— მოახსენეთ, სალარიძე, სასამართლოს, რა უნდა ყოფილიყო, თქვენი აზრით, ამის მიზეზი?

— არ ვიცი!

— აი, თქვენ როგორღაც ხაზგასმით აღნიშნავთ ხოლმე, ჩვენების მოცემის დროს, ჩემი ქალიშვილისა და სიძის ოთახიო, მე გაკვირდებით, თქვენ ყოველთვის ჯერ თქვენს ქალიშვილს ამბობთ, შემდეგ სიძეს.

— დიახ, სიძეს შემდეგ ვამბობ.

— რატომ?

— იგი ჩემთან ზედსიძედ იყო შემოსული.

— გასაგებია! — თქვა მსაჯულმა.

— რა არის გასაგები? — იფეთქა სამართალში მიცემულმა, —მაშ როგორ უნდა მეთქვა, — ჩემი სიძის და ჩემი ქალიშვილის ოთახში? და, თქვენის აზრით, ეს უფრო სწორი იქნებოდა?

— არა, უფრო სწორი იქნებოდა ასე რომ გეთქვათ „მათი ოთახი". — სალარიძემ ამოიოხრა.

— ახლა ეს მითხარით, როდესაც პატივცემული სახელმწიფო ბრალმდებელი გეკითხებოდათ, თქვენ ბრძანეთ, რომ სიძეს ასე მიმართეთ: „გაეთრიე ჩემი სახლიდან"-ო, მართალია?

— დიახ, ვუთხარი!

— სამართალში მიცემულო სალარიძე, ადრეც ხომ არ გიგრძნობინებიათ სიძისათვის, რომ იგი სხვის სახლშია, უცხოა და სტუმარია?

— ეს მან უჩემოდაც იცოდა, რომ სხვის სახლში ცხოვრობდა.

— სხვის სახლში, არა?

— ვიდრე მე ცოცხალი ვარ, ის სახლი ჩემია და როდესაც მოვკვდები... — სალარიძე მიხვდა, რომ რაღაც საოცრად ურიგოს, უაზროს და სულელურს ამბობდა და გაჩუმდა... მსაჯული მიხვდა, რომ ეს სისულელე მან ათქმევინა და ახალი კითხვა შეაგება გამარჯვებულის ფერით:

— ხომ არ ფიქრობთ, სალარიძე, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი ბოლო დროს თქვენი სიძის ხშირი სიმთვრალისა და უხასიათობისა?

— არა, არა მგონია! — ჯიუტად თქვა სალარიძემ.

— მაშ რა, მეგობრები?

— არა!

— ღვინო?

— არა!

— ქალები?

— არა!

—ოჯახზე გული აიცრუა?

— არა.

— საყვარელი გაიჩინა?

— უარესი.

— რა?

— ფული! — სახალხო მსაჯულს სახე მოეღრიცა.

— ფული?

— დიახ, ფული! — დაუდასტურა სამართალში მიცემულმა.

— არ მესმის! — დაბნეულად თქვა მსაჯულმა.

— ერთი წლის წინ, — დაიწყო სალარიძემ, — ჩემი სიძე აბრეშუმის ჭიასავით თვინიერი, უხმო და უწყინარი ბიჭი იყო, ერთი წლის წინ. — გაიმეორა მან. — ერთ დღეს იგი ნასვამი მოვიდა, შუა ოთახში დადგა, ოდნავ შემცბარი, გაფითრებული, მაგრამ მაინც ამაყი იმით, რომ ეს დღეც დადგა მის ცხოვრებაში და მაგიდაზე 25-მანეთიანების დასტა ისროლა.

— რა არის ეს? — ჰკითხა ჩემმა ქალიშვილმა.

— ჩემი წილია! — უპასუხა მოკლედ ჩემმა სიძემ. ჩემმა ქალიშვილმა ფული აიღო და თავის ოთახში გაიტანა.

— საიდან? — ვკითხე მე.

— ვეფხვის უკანალიდან — ასე მიპასუხა მან, პატივცემულო სახალხო მსაჯულო. — მიუბრუნდა იგი გოგოლაძეს. გოგოლაძეს ხმა არ ამოუღია. — ივ დღიდან დაიწყო ჩვენი ოჯახის ნგრევა. ერთი კვირის თავზე მან შეამჩნია, რომ სადილად ხაშლამა არ იყო, შემდეგ მან, როგორღაც სთქვა, რომ ის ოჯახი რა

ოჯახია, სადაც სარდაფში ერთი ტონა ღვინო, ათი ყუთი ბორჯომი და ოცი ყუთი პილზენის ლუდი და ათი აცმა ვობლა და ტარანი არ აგდიაო. შემდეგ ფულის მოტანაზე, როდესაც ვკითხე საიდან-მეთქი, მან კვლავ ვეფხვის უკანალში მიმასწავლა, თან დაუმატა, რომ მე სამსახურში ადგილს ვაცდენ და რომ ჩემმა თაობამ ცხოვრება არ იცის...

— უკაცრავად! — შეაჩერა იგი მოსამართლემ. — სამართალში მიცემულო, თქვენი ქალიშვილი თუ ეკითხებოდა თქვენს სიძეს, ფული საიდან მოგაქვსო?

— საუბედუროდ, ცოლები არ ეკითხებიან მაგას ქმრებს! — თქვა სამართალში მიცემულმა. — სახალხო მსაჯულმა გოგოლაძემ ბრალდებულს თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად და ცალყბად გაიღიმა.

— შემდეგ? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— შემდეგ მე გავაფრთხილე იგი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას დაიჭერენ. ყველაფერ ამას უკლებლივ მოკითხავენ. ამაზე მან მიპასუხა, რომ ჩვენ ყველანი უკვე დიდი ხანია დაჭერილები ვართ და სასჯელს ვიხდით, ოღონდ, ვერ ვგრძნობთო, როდესაც ვუთხარი, რომ მე არავითარ სასჯელს არ ვიხდი, და რომ ჩემი პატიოსნება მაძლევს იმის უფლებას, ღამით მშვიდად ვიძინო-მეთქი, იგი სიცილით მოკვდა.

— რატომ? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— წნევა 180-100-ზე, მძაფრი სტენოკარდია, მარილების დაგროვება, ბრონქიალური ასთმა, ემფიზემა, მთელი ღამე ხროტინი, რომელ წუთში გაგძვრება სული, არ ვიცით მე და შენმა ქალიშვილმა, ეს არის მშვიდი ძილი? ამას ეძახი შენ მშვიდ ძილსო? — ასე მიპასუხა, — თქვა სამართალში მიცემულმა. მოსამართლეს გაეღიმა უნებურად და სამართალში მიცემულს რომ არ შეემჩნია, თავი ჩაღუნა და მაგიდის ქვეშ დაუწყო განგებ რაღაცას ძებნა. — შემდეგ... — განაგრძო სამართალში მიცემულმა, — ერთ დღეს მან ისიც შეამჩნია, რომ თურმე ჩემს ქალიშვილს დაბალი წელი, ოდნავ მეჩხერი კბილები და საკმაოდ პატარა ცხვირი აქვს და, როგორც ზოგიერთი ქალი, ისიც ჭორიკანა და კაროჟნაა, წიგნებს დღედაღამე იმიტომ კითხულობს, რომ საზოგადოებაში კამათში ჩაებას და ნაკითხი ქალის შთაბეჭდილება დატოვოს. მთელი ამ ხნის განმავლობაში არც მე, არც ჩემს ქალიშვილს მისთვის ერთჯერაც არ შეგვიხსენებია, რომ იგი ჩვენს ოჯახში დაკერებული შარვლით, დახეული ფეხსაცმლითა და გადაბრუნებული პიჯაკით მოვიდა და არც ის, რომ იმ სამსახურში, საიდანაც ახლა მისი სიკვდილის ფასად ღირებული ფული მოჰქონდა, ჩემი გამონაცვალი შარვლით მივიდა.

— ადამიანებს ცუდი მახსოვრობა აქვთ! — ჩაურთო სიტყვა თავმჯდომარემ.

— პირიქით, ადამიანებს იმდენად კარგი მახსოვრობა აქვთ, რომ არ ავიწყდებათ ყველაფრის დავიწყება, აბსოლუტურად ყველაფრის.

— უკან მოხედვა არავის არ უყვარს, რადგან ეშინია წინ რამეს არ შეასკდეს, ან ორმოში ფეხი არ ჩაუვარდეს. — თქვა სახელმწიფო ბრალმდებელმა.

— ამიტომ უნდა გაჩერდე და ისე მოიხედო, თან წინ სირბილი და თან უკან ცქერა არ გამოდის, უნდა გაჩერდე და ისე მიიხედო უკან, მით უმეტეს, თუ წინ გზა აღარ არის, ხრამია; ჭაა, ორმოა, უფსკრულია... გასაგებია? — იკითხა სამართალში მიცემულმა.

— სამართალში მიცემულო საღარიძე, შეკითხვებს აქ თქვენ კი არა, ჩვენ ვიძლევით! — შეახსენა თავმჯდომარემ და უხერხულად შეიშმუშნა.

— ბოდიშს ვიხდი! — თქვა სამართალში მიცემულმა.

— განაგრძეთ! — უთხრა თავმჯდომარემ. სამართალში მიცემულმა თავი დაუქნია, ცოტა ხანს ფიქრობდა, ალბათ, იმას იხსენებდა, სად გავჩერდიო და რომ გაიხსენა, განაგრძო:

— ერთ დღეს ისიც თქვა სინანულით,

რომ ჩემი ქალიშვილი სულ მე მგავს. იგი კატასტროფული სიჩქარით იცვლებოდა ცუდისაკენ და ხელიდან გვეცლებოდა. მოჰქონდა სახლში უამრავი საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, მარტო ნახევარ წელიწადში უყიდა ჩემს ქალიშვილს სამი ქურქი, ათი წყვილი ჩექმა და ფეხსაცმელი და ოცი კაბა, ძალიან ძვირფასთვლიანი ბეჭდები და საყურეები. ყველაფერი ეს მოჰქონდა მთვრალს, დგებოდა ბარბაცით შუა ოთახში და ნანადირევივით ყრიდა იატაკზე. მე სერიოზულად შევშინდი. ერთ დღეს შეშინდა ჩემი ქალიშვილიც და მაშინ... გაილახა ის პირველად. ერთ ღამეს სიძემ მოულოდნელად დაჭრა მაკრატლით ცოლისათვის მისი მოტანილი ყველა კაბა და ქურქი, დაჩეხა ნაჯახით მისი მოტანილი ყველა ფეხსაცმელი და ჩექმა და სახლიდან წავიდა. ერთი თვის თავზე დაბრუნდა ამხანაგებით, ბევრი ფულითა და ტირილით. ჩემი ქალიშვილი დადნა, ლანდად იქცა, უზარმაზარი თვალები გაუხდა, თვალს მარიდებდა შეხვედრისას და თუ უნებურად შემხვდებოდა, განგებ მიღიმოდა, თავს იყოჩაღებდა და ასეთ დროს მე ტირილი და თავის მოკვლა მინდოდა, რადგან იგი საკუთარ უბედურებას შეგუებულ და საკუთარი ბედით კმაყოფილ, გამოთაყვანებულ, უსაშველოდ უიმედო გიჟს გავდა. ეს შემდეგ ორჯერ განმეორდა და ორივეჯერ ცემით დასრულდა. ყველა ასეთ შემთხვევაში მე ვიჯექი ჩემს ოთახში თავლაფდასხმული, კაცობაშეგინებული, სულში ჩაფურთხებული, მიწასთან გასწორებული, ტალახში ამოსვრილი, საკუთარი ქალიშვილის თხოვნით, ხელებს ვიჭამდი, გულში მყავდა ჩაკრული შვილიშვილი და ვცდილობდი ბავშვს არაფერი გაეგონა.. მაგრამ მას ყველაფერი ესმოდა და ესმოდა ჩემზე კარგად, რადგან მას უნდოდა გაეგო რა ხდებოდა იქ—დედისა და მამის ოთახში... და ეს ასე გრძელდებოდა იმ დღემდე... ის დღე მესამე შემთხვევა იყო და იმ ღამეს დამთავრდა ყველაფერი... მეტი მე არაფერი არ ვიცი. — თქვა სამართალში მიცემულმა, დაჯდა და ამის შემდეგ ... ბოლოო სიტყვა არ მისცეს. ... ამდგარა.

სხდომის მონაწილენი თავჩაღუნული ისხდნენ და შეთქმულებივით სდუმდნენ. სამართალში მიცემულმა, რაც იცოდა ბრალდების გამო თქვა და ახლა მისგან დამატებით რაიმეს გაგება უაზრო მოქმედებას ნიშნავდა. ერთი შეხედვით, თითქოს კიდევ და კიდევ უამრავი საკითხი იყო გასარკვევი, კიდევ და კიდევ უამრავი გამოუცნობი საკითხი ტივტივებდა ამ საოცარი დანაშაულის ზედაპირზე, მაგრამ ყოველივე ეს ერთი შეხედვით გამოიყურებოდა ასე, ფაქტიურად, საკითხი მთლიანად — ამოწურული იყო.

— პატივცემულ სახელმწიფო ბრალმდებელს ან სახალხო მსაჯულებს ხომ არ სურთ შეავსონ სამსჯავრო გამოძიება და თუ სურთ, სახელდობრ, რითი? — ისე იკითხა თავმჯდომარემ, რომ თავი არ აუწევია.

— არა!

—არა!

— არა! — სთქვეს ცალ-ცალკე ბრალმდებლებმაც და მსაჯულებმა.

— ასეთ შემთხვევაში ნება მიბოძეთ სამსჯავრო გამოძიება დამთავრებულად ჩავთვალო და სიტყვა კამათისათვის მივცე სახელმწიფო ბრალმდებელს, იუსტიციის უფროს მრჩეველს, პროკურორ დევდარიანს. გთხოვთ! — მიუბრუნდა იგი დევდარიანს. დევდარიანი ადგა:

— დიდად პატივცემულო საზოგადოებავ, პატივცემულო მოსამართლევ, პატივცემულო მსაჯულებო! უხსოვარ დროში, როდესაც ადამიანი კანიბალი იყო, ადამიანის მიერ ადამიანის მოკვლას საზოგადოების თვალში რაღაც გამართლება ჰქონდა, მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ ერთმანეთის ხორცს აღარ ვჭამთ, ადამიანის მიერ ადამიანის მოკვდინება ყოვლად გაუმართლებელ და ყოვლად შეუწყნარებელ ცოდვად მიმაჩნია. ცივილიზაციის ისეთ მაღალ საფეხურზე, როგორზედაც დღეს ჩვენ ვიმ-

ყოფებით, როდესაც შექმნილია არა თუ ადამიანთა, არამედ კატათა, ძაღლთა, თაგვთა, თევზთა, ზღარბთა, მაჩვთა, ფრინველთა, ხოჭოთა, ბუზთა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეწარმავალთა დაცვის კომიტეტები და საზოგადოებები, ადამიანის მკვლელს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ კანიბალი — კაციჭამია! პრეისტორიულ ხანაში, კაცის მოკვლის სამიოდე ხერხი თუ არსებობდა მუშტი, კეტი და ქვა. შემდეგ ცივილიზაციის უსაშველო განვითარებასთან ერთად კაცის კვლის საშუალებათა ფანტასტიკური ზრდა, ევოლუცია და მოდერნიზაცია მოხდა, კერძოდ: პატეფონის ნემსიდან ვიდრე წყალბადის ბომბის რადიაქტიული წვიმამდე. ყველაფერი ეს, ამ თითქოს სასწრაფო და გადაუდებელი საქმის სამსახურში ჩადგა. დღეისათვის უკვე კაცის მოკვდინების იმდენი ხერხი არსებობს, რამდენი კაციც ცხოვრობს და დადის ამ ცოდვილი დედამიწის ზვრგზე. ამ ხერხებს შორის ისეთი პარადოქსალური ხერხიც არსებობს, როგორიც დღევანდელი სამსჯავროს მსჯელობის საგანი გახლავთ, კერძოდ, — ადამიანის მოკვლა ცარიელი თოფით!!. — პროკურორმა ცარიელ დარბაზს მოავლო თვალი, თითქოს მსმენელთა რეაქციას ელისო, მაგრამ მხოლოდ გაკვირვებული ბრალდებულის თვალებს რომ შეხვდა, თავი ჩაღუნა და ისე განაგრძო.

გულუბრყვილოა ფაქტი იმისა, თითქოს ელექტრონის სკამი, სახრჩობელა, ან ტყვია სავსებით მოსპობს მკვლელობებს, მკვლელობა ძალადობის ისეთი კატეგორიაა, რომელიც თვით სიკვდილსაც კი არ ექვემდებარება. რაც შეეხება ადამიანის მიერ ადამიანის უნებლიედ მოკვდინებას, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ეს მოვლენა ისეთივე მარადიულია, როგორც ბუნებრივი კვდომა. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანის უნებლიეთ მკვლელის მიმართ სასჯელის ზომა განკიცხვით, საზოგადოებისაგან მოკვეთით ან სხვა წმინდა ზნეობრივი ფაქტორით უნდა განისაზღვროს. მაგრამ, და კიდევ მაგრამ, ვაითუ ადამიანმა ისწავლა ყველა მკვლელობის განსაკუთრებით კი განზრახ მკვლელობის უნებლიე მკვლელობად კვალიფიცირება და ეს ფაქტი ბოროტად იქნეს გამოყენებული პროფესიონალი მკვლელების მიერ.

მე ვერ ვიტყვი, თითქოს დღევანდელ სამსჯავროზე გახხილული მკვლელობის ფაქტი უპრეცედენტო იყოს, მაგრამ იგი საკმაოდ ორიგინალურია და მართლაც უნებლიე მკვლელობის ილუზიას გვიქმნის. მკვლელობის ეს ფორმა იმდენად ორიგინალურია, რომ მკვლელობის საყოველთაოდ ცნობილი ფორმულის „შემომაკვდას“ ყალიბშიაც კი არ ეტევა. მკვლელობის ეს შემთხვევა გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე დამნაშავის მიერ აღიარებული განზრახ მკვლელობა. რადგან აღიარებული განზრახ მკვლელობის დროს სამსჯავროს მიერ უსამართლო განაჩენის გამოტანის შესაძლებელი კოეფიციენტი თითქმის ნულზეა დაყვანილი. უნებლიე მკვლელობის დროს კი ასი გამოტანილი განაჩენიდან ორმოცდაათი საეჭვოა და პატიმრისათვის უმართებულო, დამღუპველი და საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს. დაშვებული შეცდომა ადვილი შესაძლებელია ასევე დამღუპველი აღმოჩნდეს საზოგადოებისათვისაც.

როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

როგორ უნდა იყოს არჩევანი?

საზოგადოება თუ პიროვნება?

თუ გადავხედავთ კაცობრიობის ისტორიას, ძნელია არჩევანის გაკეთება, რადგან ბალანსი დაახლოებით ერთნაირია. ისტორიაში უამრავი მაგალითია იმისა, თუ როგორ ეწირებოდნენ საზოგადოების ინტერესებს მზესავით ნათელი ინტელექტები, ღმერთის ბადალი პიროვნებები, სწორუპოვარი გენიოსები და სათაყვანებელი კერპები. არანაკლები მაგალითია იმისა, თუ როგორ ეწირებოდნენ ქვეყნები, ქალაქები, სოფლები, ერები და ცივილიზაციებიც კი პიროვნებათა ვნებებს, სიბრიყვესა და ამღვრეული გონების ნებასურვილს. აქ

ძნელია არჩევანის გაკეთება. მე მთელი არსებით მეზიზღება მკვლელი, თუნდაც იმ უპირატესობის გამო, რომ მას შეუძლია კაცი მოკლას, მე კი არ შემიძლია. პირადად მე იმდენად წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი სისხლიანი ძალადობისა და იმდენად დიდ დანაშაულად და ცოდვად მიმაჩნია ადამიანის მიერ ადამიანის მოკვდინება, მისთვის ღვთის მიერ მინიჭებული და ნაბოძარი სიცოცხლიდან თუნდაც ერთი მზიანი დღის წართმევა, რომ ჩემთვის მხოლოდ ერთი არჩევანია და სხვა არჩევანი არ არსებობს: მე, კაკო დევდარიანი, პირველ რიგში, როგორც მოქალაქე, ხოლო შემდეგ, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი მოვითხოვ: — სამართალში მიცემული სალარიძე მიჩნეულ იქნას დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლით გათვალისწინებული სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა! — პროკურორი დაჯდა და დადუმდა. იგი გაფითრებული იყო. ხელები უკანკალებდა და ამიტომ სიგარეტს დიდხანს ვერ მოუკიდა ცეცხლი. ბოლოს როგორც იქნა, გააბოლა. არანაკლებ გაფითრებულმა და აღელვებულმა თავმჯდომარემ მსაჯულებს გადახედა, გულოიანი ნერვიულად იკვნეტდა ფრჩხილებს, გოგოლაძეს კი პირი დაეღო და შეშინებული თვალებით უცქერდა სახელმწიფო ბრალმდებელს, მხოლოდ ბრალდებული სალარიძე იჯდა თავჩაქინდრული, მას თვალები დაეხუჭა და ისე იყო საკუთარ ფიქრებში ჩაფლული, ისე ირხეოდა სკამზე, თითქოს პატარა ნავით ზღვაში იყო გასული ძალიან შორს, შორს და, რაც ამ ქვეყანაზე ხდებოდა, სრულებითაც არ ეხებოდა მას.

— სამართალში მიცემულო სალარიძე! — თქვა თავმჯდომარემ. სამართალში მიცემულს არ ესმოდა.

— სამართალში მიცემულო სალარიძე! — ახლა უფრო ხმამაღლა გაიმეორა თავმჯდომარემ. სალარიძემ თავი ასწია და დაბნეულმა შეხედა თავმჯდომარეს.

— სამართალში მიცემულო სალარიძე, თქვენ გეძლევათ საბოლოო სიტყვა! — სალარიძე ერთხანს გაშტერებულ უცქერდა თავმჯდომარეს, მერე უცებ თავი დაუქნია. თანხმობის ნიშნად და თითქოს მადლობას ეუბნება თავმჯდომარესო, გაუღიმა და სწრაფად წამოდგა.

— მე საბოლოო სიტყვა არ მაქვს! — თქვა მან ჩაწყვეტილი ხმით. — მე მაქვს თხოვნა, ხუთი თვის წინ, ვაშლოვანის ქუჩაზე № 151-ში, მე დავტოვე კუბოზე დამხობილი ორი ადამიანი — ჩემი ქალიშვილი ნათელა და შვილიშვილი მეგი. ბიჭებო, დედას გაფიცებთ, გაფიცებთ ყველაფერს, რა საფიცარიც გაქვთ ამ ქვეყანაზე, თუ გეღირსათ აქედან გასვლა, მიმიხედოთ იმ ორ ადამიანს! — სამართალში მიცემულმა ისევ გაიღიმა უხერხულობისა თუ მადლობის ნიშნად, ისევ დაჯდა და ისევ ძველებურად დაიწყო რწევა, თითქოს კვლავ ნავში ჩაჯდა და ნაპირიდან შორს, შორს გასცურა. თავმჯდომარემ თვალები მოისრისა და ყელში მობჯენილი ცრემლნარევი ნერწყვი გადაყლაპა.

— სასამართლო გადის სათათბირო ოთახში განაჩენის დასადგენად! — თქვა მან და ადგა.

— მოიცა, ნაკაშიძე! — შეაჩერა იგი ტიგრან გულოიანმა. — მოიცა, განაჩენი არ იქნება! — იგი უცებ დევდარიანს მიუბრუნდა. — ეგ რა ჰქენი, ლიმონ? მაშ ქვეყნად სამართალი აღარ არსებობს, მაშ გული აღარ გაქვს, ეგ არის შენი კაცობა, ეგ არის შენი კარგი ბიჭობა, ეგ არის შენი მართალი სიტყვა? ლიმონას განთქმული ოქროს სიტყვა? ეს რა ჰქენი, ლიმონ? — ლიმონა დევდარიანი განცვიფრებული უცქერდა ტიგრანას.

— ტიგრან, ეგ ყველაფერი ფარსია, წარმოდგენა, სპექტაკლი. — უთხრა შეწუხებულმა დევდარიანმა.

— რა არის ფარსი და სპექტაკლი, მაშ შენ ნამდვილ სასამართლოს რაღას ეძახი, ერთი წუთის წინ ჩემს თვალწინ კაცი მოჰკალი. — თქვა გულოიანმა და

სალარიძეზე მიუთითა. — — შეხედე!

—მორჩი ახლა ბაზარს, გეყოფა მაიმუნობა! — გააფრთხილა დევდარიანმა.

—არა, განაჩენი არ იქნება! — თქვა გულოიანმა ჯიუტად, მერე ადგა, მაგიდას შემოუარა, თავჩაღუნულ სალარიძესთან მივიდა, წინ ჩაუცუცქდა და აღელვებული ხმით დამშვიდება დაუწყო:

— ნუ გეშინია, ძია ისიდორე, არაფერიც არ მოხდება. შენ ლიმონას რას უყურებ, ლიმონა გიჟია, სასამართლოც გიჟი ხომ არ იქნება? ა, ძია ისიდორე, ნუ გეშინია, არადა, მე დამაბრალე იმ შენი ნაბიჭვარი სიძის მკვლელობა, მე დამაბრალე, მე ვკისრულობ მაგის ხიკვდილს, მაგის ოხერი დედაც ვატირე, მე დამაბრალე, ძია ისიდორე, შენი ჭირიმე, ჩემთვის სულ ერთია, გინდა ერთი მომიკლავს და გინდა ორი, გესმის, ძია ისიდორე, მე დამაბრალე, მე ვკისრულობ შენი სიძის მკვლელობას. ოღონდ შენ თქვი სასამართლოზე, რომ მე მოვკალი, გესმის, ძია ისიდორე, ოღონდ შენ თქვი! — ბავშვივით ეხვეწებოდა მის წინ დაჩოქილი გულაჩუყებული ტიგრანა გულოიანი ისიდორე ბიძიას. ბიძია ისიდორე თავზე ხელს უსვამდა მის მუხლებში თავჩარგულ და ატირებულ ტიგრანას, თვითონ ისიდორეც ტიროდა. ტიროდა სასამართლოს მთელი შემადგენლობა:

სამართალში მიცემული — სალარიძე.

სასამართლოს თავმჯდომარე — ნაკაშიძე.

სახელმწიფო ბრალმდებელი, — დევდარიანი.

და სახალხო მსაჯულები — გულოიანი და გოგოლაძე.

* * *

— ადექით, ადექით, ადექით!!! — ჩამესმა ძილში. ჯერ სიზმარი მეგონა და წავუყრუე.

— ნაკაშიძე, ადექი, დევდარიანო, გულოიანო, გოგოლაძე, ადექით!!! — დაჟინებით იმეორებდა ხმა. მივხვდი, რომ სიზმარი არ იყო და სწრაფად წამოვჯექი ნარზე. დევდარიანი, გულოიანი და გოგოლაძე უკვე წამომსხდარიყვნენ და თვალებს ისრესდნენ. გაკვირვებულები, შუა საკანში საცვლების ამარა, მოჩვენებასავით სიფრიფანა და გამჭვირვალე ბატონი ისიდორე იდგა.

— გაიღვიძეთ? — გვკითხა მან.

—რაშია საქმე, ძია ისიდორე? — ვკითხე მე განცვიფრებულმა. ბატონმა ისიდორემ თავი დახარა, ასე თავდახრილი იდგა დაახლოებით 5 წუთს, რომელიც მაშინ 5 საათად მომეჩვენა, ასეთი საშინელი შემაძრწუნებელი და შემზარავი დუმილი ჩემს სიცოცხლეში არ მომისმენია და საოცარმა შიშმა ამიტანა. ბიჭებს გადავხედე, ისინი ჩემზე უფრო შეშინებულები და გაფითრებულები იყვნენ. ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერ ვბედავდით. უცებ ისიდორე ბატონმა თავი ასწია და სრულიად გამოცვლილი, ჟრუანტელის მომგვრელი, სუფთა, დაწყნარებული, მშვიდი და ღვთაებრივი ხმით დაიწყო:

— დასაბამიდან ყველა დროშა თეთრი იყო, თეთრი, სპეტაკი. შემდეგ შეიღება იგი სხვადასხვა ფერად: ჩალისფრად, შინდისფრად, წითლად, შავად, ყვითლად, ლურჯად, ნარინჯისფრად ან უბრალოდ გაჭუჭყიანდა და მიწისფერი გახდა. თეთრი ფერი უკეთილშობილესი ფერია დედამიწაზე, ხოლო თეთრი ბაირაღი უკეთილშობილესი ფერის ბაირაღი. იგი თავიდან, თავისი სისპეტაკით მშვიდობას, სიყვარულს, ძმობასა და სათნოებას გამოხატავდა. შემდეგ ვიღაც ვიგინდარა ადამიანებმა იგი უძლურების, მონობისა და მორჩილების სიმბოლოდ აქციეს, ოცი საუკუნე იქით და ოცი საუკუნე აქეთ თეთრი დროშები თავისას მოითხოვენ და მოელიან, თეთრი დროშები თეთრი თოვლიანი მწვერვალების მსგავსად სამყაროს თავზე უნდა იყვნენ აღმართულნი.

ერთი დიდი, თეთრი ბაირაღი უნდა ფრიალებდეს ამაყად ჩომოლუნგმაზე ნიშნად უსაზღვრო სათნოებისა, სიკეთისა და სიყვარულისა, ერთი თეთრი დროშა, ვეებერთელა თეთრი ბაირაღი!

ახლა დაწექით და დაიძინეთ, ჩემო

მეგობრებო! — თქვა მან პატარა პაუზის შემდეგ. თითქოს მისი ბოლო სიტყვები არ გაგვეგონოს, ისე პირდაღებული ვუცქერდით ბატონ ისიდორეს. ხმა რომ არ გავეცით, მან თავისთვის დაიქნია თავი, არ ვიცი კმაყოფილების, თანხმობისა თუ უკმაყოფილების ნიშნად. მერე უცებ შეტრიალდა, თავის ნართან მივიდა და დაწვა. ძილი დიდხანს, დიდხანს არ მოდიოდა. არ მახსოვს, რომელმა როდის დავიძინეთ, ის კი მახსოვს, ასე ცარიელი, ასე ყველაფრისაგან დაცლილი და უსიზმრო ძილი ჩემს სიცოცხლეში არ მქონია.

დილით კვლავ ყვირილმა გამაღვიძა, მაგრამ ეს უკვე შოშია იყო:

— ბანდიტებო, გათახსირებულებო, ვირიშვილებო, შობელძაღლებო, სულთამხუთავებო, მკვლელებო, ადექით. ადექით, შეხედეთ!!! — კიოდა ოვი ქანდარიდან. გიჟებივით წამოვცვივდით.

ბატონი ისიდორე თავის ნარზე იწვა მიტკლისფერი და ძალიან მშვიდი სახით. მკლავები აქეთ-იქით გადაეყარა, ორთავე მაჯა გადახსნილი ჰქონდა, ტიგრანას სამართებელი მარჯვენა ხელის ქვეშ ედო, იატაკზე კი შედედებული სისხლის გუბე იდგა. ცივმა ოფლმა გამომჟონა და მთელი სხეული სველი ჩვარივით გამიხდა.

— ჩვენი ბრალია! — თქვა შოშიამ.

— ჩემი ბრალია! — თქვა ტიგრანამ.

— მაგის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი! — თქვა დევდარიანმა, მერე მივიდა და კარებზე მუშტების ბრახუნს მოჰყვა მთელი ძალითა და ღონით.

ᲐᲠ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲔ, ᲨᲝᲨᲘᲐ!

ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე ატარეს ტიგრანა გულოიანი სასამართლოზე. მეოთხე დღეს, დილით ადრე, შოშიას სთხოვა — შოშია, რაღაც გული მიგრძნობს, უკანასკნელად გხედავთ და, თუ ძმა ხარ, საიათნოვა მიმღერეო. შოშიამ თვალები დახუჭა და სიმღერა დაიწყო, ისე დამწვრისად იმღერა შობელძაღლმა, რომ ციხის კედელი ხომ ქვისაა? აი, ის ციხის, ქვის კედელიც კი აატირა. საღამოთი გულოიანი საკანში აღარ დაბრუნებულა. მარტო ზედამხედველი მოვიდა და მისი ბარგი წაიღო. მივხვდით, გულოიანის სასამართლო დამთავრდა, მაგრამ რამდენი მიუსაჯეს, სად გადაიყვანეს, ან რა მოუვიდა, ვერ გავიგეთ. ღამით დევდარიანმა მისჯილების საკანში დააკაკუნა. არავინ არაფერი იცოდა. დილით თვითონ დევდარიანი გაიყვანეს სასამართლოზე და საღამოთი არც ის დაბრუნებულა. საკანში მარტო მე და შოშია დავრჩით.

* * *

შოშიას მოთმინება თითქმის გაუთავდა, შოშიას იმ მთავარი ნერვთაგან შემაერთებელი თითქმის ყველა ნერვი დააწყდა. ალბათ ამიტომ შოშიამ დღეს ბოლომდე გამიღო გულის კარი და შიგ შემახედა:

— შოშიას მამა კლიმენტი გლახუნის ძე გოგოლაძე 1925 წლის 13 იანვარს. დილის 6 საათზე, ქალაქ სამტრედიაში, მისი უფროსი და ერთადერთი ვაჟის შოშია კლიმენტის ძე გოგოლაძის მშობიარობას გადაყვა... ჰო, ჰო, მშობიარობას გადაყვა და აქ სასაცილო და გასაკვირი არაფერი არ არის. 1925 წლის 13 იანვრის დილის 6 საათზე, როდესაც ბებია ქალმა კლიმენტი გოგოლაძეს ქვეყნად შოშია გოგოლაძის მოსვლა ახარა, სიხარულისაგან ჭკუაზე გადასულმა კლიმენტი გოგოლაძემ ზალის კედლიდან უხმარი ფილთა თოფი ჩამოხსნა, აივანზე გამოიტანა, ფეხზე შეაყენა და ცაზე ობლად შერჩენილ თავის ბედის ვარსკვლავს დაუმიზნა. თოფი გას-

კდა და ლულამ კლიმენტი გლახუნის ძეს თავის ქალა ახადა. ზუსტად წლისთავზე შოშიას დედა მარიამი ქელეხზე მოსული ნათესავებისა და სტუმრების უჩუმრად მაგიდიდან ადგა, ზალის კარებში გარედან როკის სარი გაუყარა წაბლის ოდას ნავთი შეასხა და ცეცხლი მისცა. ძლივს გამოამტვრიეს კარ-ფანჯარა და ძლივს გამოასწრეს აბრიალებული სახლიდან სატირლად მოსულმა ჭირისუფალმა და სტუმრებმა. იმ ღამით შოშია მამამისი კლიმენტის ნათესავებმა თბილისში წაიყვანეს, ჭკუას გადამცდარი დედამისი მარიამი კი — სურამში.

შოშიას უმაღლესში არ უსწავლია. იმიტომ კი არა, რომ შოშია ზარმაცი იყო, არა, შოშია ობოლი იყო. ესეც რომ არ ყოფილიყო, იქ, სადაც შოშია მუშაობდა, უმაღლეს განათლებას არავინ ითხოვდა, რაც მთავარია, შოშიამ თვლა ისწავლა, ჯერ ათამდე, მერე ასამდე, მერე ათასამდე, მერე კი მილიონამდე და უფრო ზევით.

შოშია ულამაზოა, იმიტომ, რომ კაცია და ჩიტსა ჰგავს. აი, შოშია რომ ჩიტი ყოფილიყო, მაშინ ლამაზიც იქნებოდა, რადგან შოშიასა ჰგავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც შოშიამ მილიონამდე და უფრო ზევით თვლა ისწავლა, შოშია უცებ ლამაზი გახდა, ჭკვიანი გახდა, შოშიამ ორი უმაღლესი დაამთავრა, ლამაზი ქალი შეირთო, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი შვილები გაუჩნდა, მანქანა გაუჩნდა, აგარაკი გაუჩნდა, შოშიას იმდენი ქონება გაუჩნდა, რომ მარტო მისი ოჯახი ვერ მოერია და საყვარელი გაიჩინა შოშიამ — სირანა. რა მოხდა ასეთი შოშიას თავზე?

რა მოუვიდა შოშიას?

ნატვრისთვალი იპოვა შოშიამ?

არა, შოშიამ ოქროს თევზი დაიჭირა. — გამიშვიო, სთხოვა ოქროს თევზმა და რასაც ინატრებ აგისრულებო. — ჯერ ამისრულე და მერე გაგიშვებო, — არ ენდო შოშია. კარგი, ინატრეო, — უთხრა თევზმა და ინატრა შოშიამ, ინატრა შოშიამ და ვეღარ მოისვენა, ვეღარ გაჩერდა, მუხრუჭები მოეშალა შოშიას. დიდხანს ფიქრობდა შოშია ყოველ-ვრა ვინატროო და ვიდრე — ფიქრობდა, თევზის გაშვება დაავიწყდა, ხელში ჩაკვდა ოქროს თევზი შოშიას.

ახლა ორი ნატვრაღა დარჩენია შოშიას, მხოლოდ ორი ნატვრა. ფაქტიურად ეს ორი ნატვრა ერთი ნატვრაა, ხოლო ყველა დანარჩენი იმ ერთიდან გამომდინარე. პირველი ნატვრა მაშინ გაუჩნდა შოშიას, ნარზე გულაღმა რომ იწვა და უყურებდა, როგორ ეშვებოდა თავისსავე აბლაბუდათი ობობა ჭერიდან, — ობობად უნდა იქცეს შოშია ერთი საათით მაინც. თუმცა ერთი საათი რას ეყოფა, ერთ საათში მეხუთე სართულის ფანჯრიდან ბაწრით უნდა დაეშვას, ეზო გაიაროს, ადმინისტრაციის კორპუსში შევიდეს, იქ ქვეყნის ხალხი ირევა, მთავარ ჭიშკრამდე ვიდრე მივა, იქნებ ვინმემ ფეხი დააბიჯოს და გაჭყლიტოს ობობა—შოშია, ამიტომ ჭერ-ჭერ და კედელ-კედელ უნდა იაროს. არა, რა თქმა უნდა, ერთი საათი არ ეყოფა, ორი საათი მაინც უნდა შოშიას. ნეტავი ორ საათს ობობად აქცია შოშია, მეტი არაფერი უნდა... ორ საათში მთავარ კართან მივა, გავა და... იქიდან სახლამდე რაღაა... იმასაც ფიქრობს შოშია, სულ ობობა ხომ არ იქნება, ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა იქცეს კაცად შოშია. მერე რაღას იზამს შოშია?.. ამიტომ შოშიას შოშიად გადაქცევა ურჩევნია, გაშლის ფრთას შოშია, გაფრინდება და ჰაიდა... სად ობობად ყოფნა და სად ჩიტად ყოფნა, თუ ძალიან გაჭირდა, სულაც არ უნდა კაცად ქცევა შოშიას, იყოს ჩიტი შოშია, დარჩეს ჩიტად, დღეში ორჯერ სამჯერ მიფრინდება შოშია სახლში, შვილებს დახედავს, იჭიკჭიკებს, იჭიკჭიკებს, მერე ისევ გაფრინდება, მერე ისევ მიფრინდება და ასე იფრენს, ვიდრე არ მოკვდება შოშია. სულაც არ უნდა კაცად გადაქცევა შოშიას, რითია ცუდი შოშიობა? მაგრამ ვაითუ მოკლეს შოშია, ან თოფით მოკლეს, ან შურდულით თავისსავე შვილებმა. სისუ-

ლელეა, შოშიას ვინ კლავს, პირიქით, სახლებს უშენებენ და საკენკს უყრიან შოშიებს, მაგრამ რად უნდა ან ერთი, ან მეორე, ან ობობობა, ან ჩიტობა. კაცად უნდა შოშიას დარჩენა, კაცად ყოფნა ურჩევნია შოშიას, ოღონდ ახლა თავი დაანებონ შოშიას და ახალ ცხოვრებას დაიწყებს, ახლად დაიბადება შოშია, სახელსაც გამოიცვლის და მერე უყურეთ თქვენ შოშიას...

მაგრამ კაცი ხელახლა რომ დაიბადოს, ამისათვის ჯერ უნდა მოკვდეს. ვაი რომ ასეა და ვაი რომ შოშიამ ეს არ იცის...

* * *

გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო,
არა მკითხო, რა ზარია, რა არი,
ორთაჭალის ციხის დარბაზებიდან
მოისმინე ჩემი დილის საარი...

უწმინდესო ზარო სიონისაო,
ხიზანი ვარ ციხის კედლებისაო,
გაყიდული ერთგულ მეგობრისაო,
არ გეგონოს ჩემი ფეხით მოვედი...

დიდო მტკვარო, ამ ამღვრეულ
დროშია,
როგორც ღლავი ბადეს მოჰყვა
შოშია.
აღარ შერჩა აღარც ერთი გროშია,
ახლა ზის და რა იღონოს არ იცის...

სამარისკენ გამქცევია თვალია,
თან მიმყვება უთვალავი ვალია,
თუმცა არ ვარ ქვეყნად შესაბრალია,
შემიბრალე, მოდი, ფრთები მომეცი..

ზის შოშია ქანდარაზე და მღერის, ფრთებს ნატრობს შოშია, მაგრამ სად არის ფრთები. ფრთები ახლა შოშიას კი არა, თვითონ ანგელოსებს აღარ აქვთ და შოშიას ფრთებს ვინ მოუტანს. ეს იცის შოშიამ, მაგრამ მაინც მღერის. ახლა რომ ტიგრანა აქ იყოს, ეტყოდა, — შოშიაჯან, ეგ ლექსი ხომ იეთიმ გურჯისაა, ოღონდ ეგრე არ არისო, — ესეც იცის შოშიამ. მაგრამ მაინც მღერის, რადგან იეთიმ გურჯი თავისას სტიროდა, შოშია კი თავისას სტირის.

— შოშია, თუ ძმა ხარ, ნუ სტირი, რამე მხიარული იმღერე ან მოყევი. — ვეხვეწები შოშიას.

— დაჭერამდე ერთი ადგილი მქონდა ამოჩემებული თათრის მოედანში. — ყვება შოშია. — ის ადგილი ქართველებიდან მე და რამდენიმე კაცმა ვიცოდით. ადრე არ გეტყოდი, ახლა აზრი აღარ აქვს, რომ დაგიმალო, ციხიდან რომ გახვალ, უეჭველად მიდი, ჩემი სახელი ახსენე, რა დროც არ უნდა იყოს, კარს გაგიღებენ.

— ციხიდან მე ვინ გამიშვებს, შოშია!

— შენ გაგიშვებენ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ უდანაშაულო კაცი დაჭერაზე დიდი ცოდვა და დანაშაული არ არსებობს.

— ვითომ მე პირველი და უკანასკნელი ვარ, შოშია?

— არა, ზაზა, არც პირველი ხარ, არც უკანასკნელი, რაც მსოფლიოში პატიმარია, ნახევარი ტყუილად ზის, ყოველ შემთხვევაში შემთხვევით, შენ კი, შენზე გული მიგრძნობს, დღეს არა და ხვალ გაგიშვებენ. — ისე მითხრა შოშიამ, თითქოს ჩემი განთავისუფლების ქაღალდი ჯიბეში ედო და იმიტომ მიმალავდა, რომ მარტო დარჩენა ეზარებოდა.

— ღმერთმა კარგი ყურით გისმინოს! — დავილოცე მე.

—იმას გეუბნებოდი, დაჭერამდე ერთი ადგილი მქონდა ამოჩემებული. ჭრელი აბანოების ზევით, აქედან რომ მიდიხარ ხელმარცხნივ, ერთსართულიანი სახლია, ლურჯად შეღებილი ხის ჭიშკარი აქვს და ნიკოლოზის შაურიანის ხელა ეზო. აზიზა ჰქვია იმ კაცს, აზიზა, დაიმახსოვრე, თათარია, თავისი კერძო საჩაიე აქვს, თავისი, თექვსმეტი წლის გოგოებითა, 56 წლის დედაკაცებით. მე იქ, თუ დამიჯერებ, მარტო ჩაისათვის დავდიოდი, დღისითაც და ღამითაც კარგია ჩაი დალოცვილი, მაგრამ ახლა მა-

გას არ ვამბობ. ერთი ოთახი აქვს აზიზას, სადაც მუშტარს ღებულობს.

— როგორ, კაცო, კერძო დუქანი აქვს, დუქანი კი არა ბარდელი და არავინ იჭერს? — გამიკვირდა მე.

— ეჰ, ჩემო ზაზა, რამდენი წესით იმის დამჭერი რომ უნდა ყოფილიყო, ისეთი კაცი მე იქ მენახოს, იმდენი თუმანი რომ მოგვცა ახლა მე და შენ, იმ ფულით საკუთარ ციხეს ვიყიდიდით. — ამოიოხრა შოშიამ.

— არ მჯერა! — მაინც არ დავუჯერე მე.

— რომ დაგენიძლაო, სად გადამიხდი, არა და, ხომ გეუბნები, როდესაც გახვალ აქედან, ჩემი სახელით მიდი და ყველაფერს შენი თვალით ნახავ, ოღონდ აზიზას ჩაი, უნივერსიტეტის წინ რომ საჩაიეში ჩაია, ცოტათი იმაზე ძვირი ღირს, გასაგებია? — მკითხა შოშიამ.

— გასაგებია! — ვუთხარი.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ერთი ოთახი აქვს აზიზას, სადაც მუშტარს ღებულობს. ხუთი პატარა მაგიდა დგას ამ ოთახში, მაგიდას მხოლოდ ორ-ორი კაცი უზის, უფრო ხშირად კაცი და ქალი, ჭერში ყველა მაგიდის თავზე აზიზას იადონის გალია უკიდია. ესე იგი ხუთი გალია. ამ ხუთი იადონიდან ათ ოქტავაზე ნაკლებს არც ერთი არ იღებს, ზოგი თორმეტსაც იღებს, 150 მანეთიდან 200 მანეთამდე ღირს თითო ასეთი იადონი. გეცოდინება ალბათ, ბულბული წელიწადში სამ თვეს სტვენს მხოლოდ, ვარდობის თვიდან გადათვალე, მერე დუმდება. იადონი კი სასწაულია, ზამთარ-ზაფხულ გალობს განუწყვეტლივ. ახლა წარმოიდგინე, მაგრად მოხარშული ჩაის, ჩეფირის და ათასნაირი სიგარეტის კვამლით, სითბოთი, სიყვარულითა და ჭერში გამოკიდებული ვადარეული ხუთი იადონის გალობით სავსე ოთახი და ყველაფერი ეს აზიზას თაფლში ჩაწობილი თურქული ენით შეზავებული, წარმოიდგინე? — მკითხა შოშიამ. მე თავი დავუქნიე. — ჰოდა, მე სხვა სამოთხე არც გამიგია და არც მინახავს. წამოსვლისას 100 მანეთს ვუტოვებდი აზიზას, მარტო აზიზას. ახლა არ მკითხო, გამომძიებელივით, სადან მოგქონდაო, სად შოულობდიო... ხომ იტანჯება ხალხი? ხომ ეწამება მთელი სიცოცხლე იმისათვის, რომ სამოთხეში მოხვდნენ? მეც ვეწამებოდი, ვიტანჯებოდი, რომ სამოთხეში მოვმხვდარიყავი, და ჩემი სამოთხეც ეს იყო. მაგრამ ახლა სხვა რამეს გიყვები... ის იადონები ისე არიან გალიას შეჩვეული, გარეთ რომ გამოუშვა, მოკვდება. მოკვდება იმიტომ, რომ თავისით საჭმელს ვერ იშოვის. თუ გამოდგა ათასში ერთი ისეთი იადონი, რომელიც თავისით იშოვის საჭმელს, სულ ერთია, რომ გაუშვა გალიიდან, კატა შეჭამს და არ იკითხავ რატომ? ეგ უბედური, როდესაც გალობს, ისეთი გრძნობით გალობს. თვალებს ხუჭავს და გარშემო რა ხდება ვერცა გრძნობს და ვერც ხედავა, სწორედ მაშინ ეპარება კატა. მოკლედ. იადონი და გალია განუყოფელია, იადონის სახლი გალიაა. მაგრამ ამ გალიაშიც რომ კვდება იადონი? თავისი სიკვდილით კი არა, უდროოდ. აზიზა ამბობს, — ამ იადონებმა გამყიდესო, ყველა ორ-სამ თვეში კვდებიანო. — რათა-მეთქი და — დახუთულ ჰაერს, თამბაქოს კვამლსა და ჩეფირის ოხშივარს ვერ უძლებენო. აი, მხოლოდ ის ორი იადონი შეეჩვია და მერვე თვეა უძლებენო, დანარჩენები სულ იხოცებიან და იხოცებიანო, გესმის შენ თუ არა? იადონები სამოთხეში იხოცებიან. შენ კი გინდა მე აქ გავძლო და მხიარული ამბები მოგიყვე! არ გამოვა, ზაზას ვენაცვალე, არ გამოვა, თორემ ჰო! — დაამთავრა შოშიამ.

— რა უნდა გელაპარაკო, შოშია, ტვინი უკუღმა გაქვს ჩადებული თავში. — ვუთხარი მე.

— ვიცი და მერე ვინ არის ამის უკან გადმომბრუნებელი? — მკითხა შოშიამ.

— არ ვიცი, შოშია, მაგრამ ვინც მაგ ოპერაციას ხელს მოკიდებს, ძალიან სუფთა ხელობა უნდა ჰქონდეს, ხომ იცი, ჭკუა რა აზიზია.

— არც ისე უიმედო ავადმყოფი ვარ, ჩემო ზაზა, შენ რომ გგონია, აი, ახლა, სასწაული თუ მოხდა... თუ მაპატიეს...

— რა გაპატიეს, შოშია?

— არა, კი არ მაპატიეს, ცოტა თუ მომისაჯეს...

— ცოტა რამდენია, შოშია?

— თხუთმეტი, არა თხუთმეტი ბევრია, ათი, ცხრა... შვიდი... ხუთი.— შოშიამ ნაცემი ძაღლივით შემომხედა, მე თვალი ავარიდე, შოშიას შერცხვა და ხუთზე გაჩერდა.

— რას იზამ, შოშია, ხუთი წელი რომ მოგისაჯონ? — ვკითხე მე.

— ხუთი წელი რომ მომისაჯონ, რომ დავბრუნდები, ჯერ შვილებს ვნახავ...

— მერე, შოშია?

— მერე, გინდ გათხოვილი დამხვდეს, გინდა არა, ცოლს გავაგდებ სახლიდან...

— მერე, შოშია?

— მერე მივალ სირანასთან და ვეტყვი — სირან, წამოდი ჩემთან... — ოცნებაში წასულმა შოშიამ, წელან რომ იადონზე ყვებოდა, იმ იადონივით დახუჭა თვალები. მე თავი ვერ შევიკავე და გამეცინა. დამფრთხალმა შოშიამ უცებ გაახილა თვალები და შემომხედა.

— რა გაცინებს? — მკითხა მან.

— რა მაცინებს და, მაგ შენი სირანათი იმ გიჟის ანეგდოტს გავხარ, ფანჯრებს რომ ამტვრევდა... — ვუთხარი მე.

— რომელი გიჟის?—მკითხა შოშიამ.

— ძალიან ძველი ანეგდოტია.

— მომიყევი, ჩემთვის ყველა ახალია, —მთხოვა შოშიამ.

* * *

— ერთი გიჟი დადიოდა თბილისის ქუჩებში და შუშებს ამტვრევდა. მეტს არაფერს არ აშავებდა, დადიოდა და შუშებს ამტვრევდა, სხვა მხრივ კეთილიც იყო, სუფთადაც ეცვა და სხვა გიჟებივით არ მათხოვრობდა.

— რა ჰქვიოდა? — მკითხა შოშიამ.

— ანეგდოტია, კაცო! —ავუხსენი მე.

— მერე რა, სახელი არ ჰქონდა?

— არ დააკმაყოფილა შოშია პასუხმა.

— არ ჰქონდა. — გავჯიუტდი მე.

— არ შეიძლება რამე სახელი არ ჰქონოდა. — ჩემზე უარესად გაჯიუტდა შოშია.

— ჯანდაბას შენი თავი, ალისტრახო ონოფრეს ძე სიკინჭილაძე ერქვა, გაწყობს?

— მაწყობს! — მშვიდად მიპასუხა დაკმაყოფილებულმა შოშიამ.

— დადიოდა და შუშებს ამტვრევდა...

— როგორ თუ დადიოდა და შუშებს ამტვრევდა, მერე მილიცია სად იყო? — გაუკვირდა შოშიას.

— მეც მაგას ვამბობ, თუ მაცლი... — ვუთხარი.

— მიდი! — დამრთო შოშიამ ნება.

— დაიჭერდა მილიცია, წაიყვანდა საგიჟეთში, ჰყავდათ იქ ერთი კვირა. რომ შეიტყობდნენ ცოტა დაწყნარდაო, ჭკუაზე მოვიდაო, ხელწერილს დაადებინებდნენ, ფანჯრებს აღარ დავამტვრევო და გაუშვებდნენ.

— მერე? — ვერ ითმენს შოშია.

— მერე, გაგიგონია? როგორიც შეყავდათ საგიჟეთში, ზუსტად ისეთი გამოდიოდა, დღეში 15 ფანჯარაზე ნაჯლებს არ ამტვრევდა, იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, ახლა სხვა უბანში ემტვრია ფანჯრები, რადგან ძველ უბანში უკვე იცნობდნენ.

— ვაა! — გაუკვირდა შოშიას.

— ეგრე მოიარა ერთ წელიწადში თბილისის ყველა უბანი. ახლა იანგარიშე, წელიწადში თორმეტი თვეა, თვეში ხან 30, ხან 31 დღე, იქაც თებერვლის 28-29, ერთი წინ, ერთი უკან, სულ 365 დღე, დღეში 15 ფანჯარა, ესეც შენი...

$$\begin{array}{r} \times\ 365 \\ 15 \\ \hline + \ 1825 \\ 365 \\ \hline 5475 \end{array}$$

ხუთი ათას ოთხას სამოცდათხუთმეტი ფანჯარა.

— რით ამტვრევდა, თუ ძმა ხარ, ამდენ ფანჯრებს? — დაინტერესდა შოშია.

— შურდულით! — ვუპასუხე მე.

— ვაა! — ისევ გაუკვირდა შოშიას. — მერე?

— ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ფანჯრის ჩაყენება 3-დან 5 მანეთამდე ღირს და აქედან საშუალოს ოთხ მანეთს გამოვიყვანთ, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდ ზარალს აყენებდა პატივცემული ალისტრახო ონოფრეს ძე სიკინჭილაძე ქალაქს:

$$\begin{array}{r} \times \begin{array}{r} 5475 \text{ ფანჯარა} \\ 4 \text{ მანეთზე} \end{array} \\ \hline 21.900 \end{array}$$

ოცდაერთი ათას ცხრაასი მანეთი ახალი ფულით. ეს, ჩემო ბატონო, ზოგი ერთი რაიონის წლიური ბიუჯეტია.

— ბიუჯეტს და ფულს ნუ მასწავლი, თუ ძმა ხარ! — სიტყვა ბანზე ამიგდო შოშიამ. — ამბავი მოყევი.

— ბოლოს დაიჭირეს და ისევ საგიჟეთში წაიყვანეს. ამჯერად დიდხანს ყავდათ საგიჟეთში. უცადა ალისტრახომ ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე, ერთი წელიწადი, რომ აღარ გაუშვეს, ბოლოს თვითონ მივიდა ექიმებთან და ჰკითხა.

— რას მიპირებთო.

— შენ თვითონ რას აპირებო, — ჰკითხეს ექიმებმა, — თავს როგორ გრძნობ.

— თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობდი, ახლა მით უმეტესო, — გაახარა ექიმები გიჟმა.

მიიყვანეს მთავარ ექიმთან.

— რა გვარია? — მკითხა უცებ შოშიამ. შევატყვე როგორ მომაწვა სისხლი თვალებში და როგორ დაიძრა ნელ-ნელა ტვინისაკენ.

— ანეგდოტია, შოშია, კრეტინო! — ავუხსენი კბილების კრეჭით.

— ბოდიში, ლაწირაკო, და ცოტა წესიერად მელაპარაკე, ამხელა ანეგდოტი პირველად მესმის, მოკლე შინაარსი მოყევი. — გამაფრთხილა თავის მხრივ შოშიამ.

— მიიყვანეს მთავარ ექიმთან! — ვთქვი მე და დიდი პაუზა გავაკეთე. შოშიას ერთი სული ჰქონდა, მთავარი ექიმის გვარი გაეგო, მაგრამ კითხვა ვეღარ გამიბედა, მხოლოდ მუშტის ხელა ნერწყვი გადაყლაპა. მე განვაგრძე:

— გამარჯობა, პატივცემულო ალისტრახო! — მიესალმა მთავარი ექიმი.

— გიჟს ესე იგი! — შემამოწმა შოშიამ.

— ხო, გიჟს! — დავუდასტურე შოშიას.

— გაგიმარჯოთ, ბატონო ექიმო! — მიესალმა გიჟი.

— ალისტრახო! — ისევ შემამოწმა შოშიამ.

— ალისტრახო! — გავიმეორე და შევატყვე, რომ ის მთავარი ნერვი თანდათან დამეძაბა. — როგორ ბრძანდებით. პატივცემულო გიჟო ალისტრახოო, ჰკითხა ალისტრახო გადარეულს საგიჟის მთავარმა ექიმმა.

— გმადლობთ, არა მიშავს, თქვენ როგორ ბრძანდებით, ჩემზე უფრო დიდად პატივცემულო საგიჟის მთავარო ექიმოო, — ჰკითხა ალისტრახო გიჟმა საგიჟის მთავარ ექიმს დიმიტრი იაკობის ძე გურგენიძეს!..

— აკი არ ვიცი გვარიო? — ირონიულად მკითხა გახარებულმა შოშიამ, აქაო და გამოვტეხეო.

— გადავირევი, შოშია!!! — ვიკივლე მე და თავში წავიშინე ორთავე ხელი.

— გეხუმრები, ბიჭო, რა მოგივიდა! — მეცა ხელში შოშია.

— აღარ მკითხო არაფერი, თორემ რაღაცას ჩავიდენ,შიმშილობას გამოვაცხადებ, თავს მოვიკლავ, მაგრამ არც შენ გაცოცხლებ! — დავემუქრე შოშიას. შოშიამ ცოლ-შვილი ამოიწყვიტა აღარაფერს გკითხავო.

— სად გავჩერდი? — ვკითხე ახლა მე შოშიას.

— მიდი და შენით გაიხსენე, თუ კარგია! — ხელი ამიქნია შოშიამ.

— შენ გამაწყვეტიე და შენ უნდა გამახსენო, შოშია!

— გმადლობთ, არა მიშავსო, უთხრა გიჟმა. — უხალისოდ შემახსენა შოშიამ.

— რას იზამ, ახლა ხახლში რომ გაგიშვათო? — ჰკითხა მთავარმა ექიმმა.

— იმას, რასაც თქვენ, ბატონო ექიმოო! — უპასუხა გიჟმა.

— მაინც, მაინცო! — დაინტერესდა ექიმი.

— სახლში წავალ, ბატონოო!

— უყურეთ ამასო! — მიუბრუნდა გახარებული მთავარი ექიმი სხვა ექიმებს.

— მერე? ჰკითხა ისევ გიჟს.

— მერე ჩავდგები ისეთ სამსახურში, თვეში რომ ასე, ოთხასი-ხუთასი მანეთი ვიშოვო, მეტი მე არ დამჭირდება, მარტოხელა კაცი ვარო და დავიწყებ მშვიდ ცხოვრებასო! — თქვა გიჟმა.

— უყურე შენ, მერე და ვინ მოგცემს ასეთ მშვენიერ სამსახურს შენო? — გაუკვირდა მთავარ ექიმს.

— ვითომ რატომ, ბატონო, მე სხვა გიჟებზე ნაკლები ვარ თუ რაო? — ეწყინა გიჟს.

— რატომ, რატომ, სრულებითაც არაო... — გაუღიმა მთავარმა ექიმმა გიჟს.

— ცოტა ფულს რომ მოვაგროვებ, ბინა მაქვს უვარგისი, იმას ჩავაბარებ და ვარაზის ხევში ამხანაგობაში შევალო. — განაგრძო გიჟმა.

— ვინ დააბრალა ამას გიჟობაო? — გაშალა ხელები გაკვირვებულმა მთავარმა ექიმმა და დანარჩენ ექიმებს მიუბრუნდა:

— რა ვიცი, ბატონო, ათას რამეს მიგონებენ პატიოსან კაცს, გიჟიაო. რაღაც ფანჯრებს ამტვრევსო... — აუჩუყა გული გიჟმა მთავარ ექიმს. მთავარმა ექიმმა ისევ რიგით ექიმებს გადახედა. თავის მხრივ მკურნალობის შედეგით განცვიფრებულმა რიგითმა ექიმებმა, სირცხვილნარევი სიამაყით დახარეს თავი, აქაოდა, ახლა კი მოგეწონებათ, ბატონო, თქვენ მაგი მანამდე გენახათ, სანამ მოვარჩენდითო.

— არაფერი მესმისო, — აიწურა მხრები მთავარმა ექიმმა და ისევ გიჟს მიუბრუნდა. —მერე, გეთაყვათ, მერეო?

— მერე ცოლს მოვიყვან, ბატონოო!

— ყოჩაღ, ყოჩაღ! მერეო?

— მერე ქორწილს გადავიხდიო.

— მერეო?

— მერე... მერე... — დაიმორცხვა გიჟმა, — მერე სტუმრები რომ წავლენ, მოვკიდებ ამ ჩემ ქალს ხელს, შევიყვან ოთახში, ჩავაქრობ სინათლეს და...

— გასაგებია, გასაგებიაო! — შეაწყვეტინა მთავარმა ექიმმა.

— რა არის, ბატონო, გასაგები? — ჰკითხა გაკვირვებულმა გიჟმა მთავარ ექიმს.

— საკმარისია, აღარ არის საინტერესო შემდეგ რა მოხდაო. — გაუღიმა **მთავარმა ექიმმა.**

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, საინტერესო ამბავი ახლა იწყებაო. — გააფრთხილა გიჟმა მთავარი ექიმი.

— არ გინდა, არ გინდაო! — იკივლა მთავარმა ექიმმა, ყურებში თითები დაიცო და ოთახში მყოფ ექიმ ქალებს გადახედა, თურმე, შეშინებული თვალებით, მაგრამ გიჟის გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა.

— რას ქვია გაჩერება, რაო მერე, თქვი, თორემ გადავირევი! — ჩამივარდა მუხლებში შოშია.

— სტუმრები რომ წავლენ, მოვკიდებ ხელს ამ ჩემს ქალსო, — განვაგრძე მე, — შევიყვან ოთახშიო, ჩავაქრობ სინათლესო, დავწვებით ლოგინშიო, ჯერ ქალს დავაწვენ, მერე მე მივუწვებიო...

— მერე, მერე! — სულ გადაირია შოშია.

— მერე გავხდი კაბასო, მერე პერანგსო , მერე ტრუსიკსო... — შოშიას შეაჟრჟოლა, — გამოვაძრობ ტრუსიკიდან რეზინს, გავაკეთებ რაგატკასო, მივადგები რაც თბილისში შუშებია და ვამტვრევ და ვამტვრევო... — დავამთავრე მე.

— ფუი, მაგის დედა ვატირე, არ გაუფუჭებია, ეს გიტარასავით აწყობილი საქმე?!! — სიმწრით გადააფურთხა შოშიამ და სასოებით შემომხედა, იქნებ რამე საშველი მაინც დაადგაო.

— არაფერი, ჩემო შოშია, შეაბრუნეს ისევ თავის პალატაში! გავაწბილე შოშია.

— სულ არაფერი? — მკითხა გულდაწყვეტილმა შოშიამ.

— სულ, სულ ბოლოს, კიდევ ერთი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ შენი გიჟი ალისტრახო ონოფრეს ძე სიკინჭილაძე მეშუშესთან იყო შეკრული და შოშიამ უნდობლად გამომხედა.

— მერე ჩემს ამბავთან ეს ანეგდოტი რა მოსატანი იყო? — მკითხა შოშიამ

— შენც ასე ხარ, ჩემო შოშია, რა ამბავიც არ უნდა დაიწყო, მაინც იმით ამთავრებ: გარეთ რომ გავალ, ცოლს გავუშვებ და სირანას მოვიყვანო. — ავუხსენი მე.

— მაინც ვერ ვიზამ! — თქვა ნაღვლით სავსე ხმით შოშიამ და კედლისკენ გადაბრუნდა.

ხილვა მესამე

პატიმრის სიზმარი სამოთხეს უნდა გავდეს. შიგ თორმეტ-თორმეტოქტავიანი იადონები უნდა გალობდნენ, სიზმარი ოცნება უნდა იყოს, ცისარტყელასავით ჭრელი და ლამაზი. — შენ რას იტყვი, შოშია?

სიზმარში სატრფოს უნდა ხედავდე ულამაზესს და შენს მკლავზე მონებივრეს, — რას იტყვი შოშია?

სიზმარში არწივივით თავისუფალი უნდა იყო და ქვეყანას ზევიდან უნდა დაჰყურებდე მხარგაშლილი. — რას იტყვი, შოშია?!

სიზმარში ღმერთს მაჯაზე უნდა ეჯდე ეჟვნიან მიმინოსავით და შენი შიშით შენს საირაოზე ღაჟო ვერ უნდა ფეთქავდეს. — რას იტყვი, შოშია?!

სიზმარში ყვავილები უნდა გეგოს ლეიბად, ვარსკვლავები საბნად გეხუროს და მთვარე სასთუმლად უნდა გედოს, სიზმარიც ამას ერქმევა. — რას იტყვი, შოშია?!

კაცი სიზმარში სიზმარს უნდა ხედავდეს და ისეთ სიზმარს, რომ კაცს გაღვიძება აღარ მოუნდეს. — რას იტყვი, შოშია?!

სიზმარში კაცი კი არა, მზე უნდა იყო, შენს ნებაზე ჩადიოდ-ამოდიოდე და ხალხსა და დედამიწას ათბობდე, სიზმარიც ამას ერქმევა. — რას იტყვი, შოშია?!

სიზმარში მზე კი არ უნდა იყო, მზე შენს ხელში ანთებული სანთელი უნდა იყოს, ჰო, ჰო, ჰო, მაშინ შენ რაღა იქნები, წარმოგიდგენია, შოშია?

მერე ეს ყველაფერი რომ აგიცხადდეს და თუ არ გაგიჟდი, მაშინ ხომ სიზმარიც და ცხადიც, სასწაულიც და არასასწაულიც, რასაც ხედავ და ვერ ხედავ, რაც სუნთქავს და არ სუნთქავს, რაც მოძრაობს და არ მოძრაობს, ეს ყველაფერი ხომ თვითონ შენ იქნები, — შოშია?!!

მაგრამ თუ სიზმრად ისევ ციხეში ვზივარ, თუ ისევ შენი ტირილი მესმის, თუ ისევ ჩემი ნარის ბაღლინჯო მჯიჯგნის და სისხლს მართმევს, თუ ისევ ზედამხედველის თვალს ვხედავ საკნის კარის სახედში, თუ ისევ ციხის ულუფას ვჭამ და ისევ გამომძიებლის ხელით შემოკრულ ჩემს საჟამისო ზარს ველოდები, ეგ რაღა სიზმარია, ცხადი ყოფილა და ეგ არის... — შენ თვითონ თქვი, ასე არ არის, შოშია?

აი, მე ახლაც შენ გხედავ სიზმრად, ისევ შენს ქანდარაზე ზიხარ, ქალაქს გასცქერი, შენს სევდიან სიმღერებს მღერი, ჩიტად ქცევა და გაფრენა გინდა, მერე და, მე რას მიპირებ? ნამუსი აღარა გაქვს? მარტო მტოვებ? არ გაფრინდე, შოშია!

შოშიამ ჯიუტად გაიქნია თავი.

— აღარ შემიძლია, ზაზა, აღარ შემიძლია, ძალა გათავდა, მოთმინება გათავდა, სული დაილია.

— არ გაფრინდე, ბიჭო, არ დამღუპო! — შევეხვეწე მე.

— უნდა გავფრინდე, ზაზა, უნდა გავფრინდე!

— არ გაფრინდე, შოშია!

— არ შემიძლია, ხვალ ჩემი სასამართლო იწყება, იმ სასამართლოს მე ვერ გავუძლებ.

— მერე და, როგორ გაფრინდები, მართლა ჩიტი ხომ არა ხარ. — არ დავუჯერე მე.

— გავფრინდები, აი, ახლა ვინატრებ, ჩიტად ვიქცევი და გავფრინდები!

— ვაი, რა სულელი ხარ, შოშია! — გამეცინა მე.

— ვინატრებ და ჩიტად ვიქცევი, გინდა ვინატრო და შენც ჩიტად იქცე? ერთად გავფრინდეთ, გინდა? — დამპირდა შოშია.

— ჩიტობა რად მინდა, შოშია, როდესაც კაცი ვარ! — უარი ვუთხარი შოშიას.

— არ გინდა და მიყურე! — შოშიამ მკლავები გაშალა და ჯვარცმულივით აეკრა კედელს. დიდხანს იდგა ასე, ძალიან დიდხანს, ალბათ, ნახევარი სიზმარი მაინც, მერე თანდათან დაპატარავება დაიწყო.

— რას შვები, შოშია? — ვკითხე შეშინებულმა და განცვიფრებულმა. შოშიამ არაფერი მიპასუხა, მხოლოდ გამიღიმა და ისევ დაპატარავება დაიწყო.

— შოშია, რას შვები, შოშია არ დამღუპო! შოშია! — მე საკნის კარს მივვარდი და რაც ძალა და ღონე მქონდა, მუშტები დავუშინე, თან ვტიროდი... ხმას არავინ მცემდა, ირგვლივ ისეთი სიწყნარე იყო, თითქოს ყველაფერი, ეს ციხეც, ქალაქიც, ქვეყანაც წყალქვეშ იყო ჩაძირული, შოშია კი პატარავდებოდა და პატარავდებოდა, ბოლოს სულ პატარა გახდა, მუშტის ხელა.

— შოშია, გაჩერდი, არ ქნა, შოშია, არ დამტოვო, შოშია!.. — შოშია შოშიას აღარ გავდა, იგი კაცი აღარ იყო, აღარ ლაპარაკობდა, ალბათ, არც რამე ესმოდა, და უცებ შოშია შოშია გახდა, იგი სარკმლის რაფაზე შეფრინდა და ჩემსკენ გამოიხედა გვერდულად, ისე, როგორც შოშიებმა იციან.

— ეს რა ჰქენი, შოშია? — ვუთხარი მე და მისკენ წავედი. იგი გისოსში გაძვრა სწრაფად და ახლა ფანჯრის გარეთა მხრიდან დამიწყო გვერდულად ცქერა და თავის ქიცინი, თითქოს მეპატიჟებოდა შენც გამოდიო.

— არ გაფრინდე, შოშია! — უკანასკნელად ვთხოვე მე, მაგრამ შოშიას ჩემი აღარ ეყურებოდა, ფრთები გაშალა, ფანჯარას მოსწყდა და გაფრინდა, ჯერ ციხის ეზოს შემოუარა ფრენით, შემდეგ ადმინისტრაციულ კორპუსს, შემდეგ კოშკზე მდგარ გუშაგს ჩაუქროლა და გეზი არსენალისაკენ აიღო.

— არ გაფრინდე, შოშია! — დავადევნე ხმა, მაგრამ შოშია უკვე ჩემს ხმაზე სწრაფად მიფრინავდა, იგი ჯერ კარგად სჩანდა, მერე ისევ დაიწყო დაპატარავება, წერტილს დაემსგავსა, მერე თანდათან შეუმჩნეველი გახდა და სადღაც კუკიის სასაფლაოს თავზე სულ გაუჩინარდა.

* * *

შოშიას ბარგიანად დაუძახეს.

— Гоголадзе с вещами! — კინაღამ ჭკუაზე გადავიდა, რაღაი ბარგიანად დაუძახეს, განთავისუფლების გარდა, რა უნდა ყოფილიყო, პატიმარს ბარგით სასამართლოზე არავინ ეძახის, ესეც რომ არ იყოს, ყველა პატიმარმა წინასწარ იცის როდის აქვს სასამართლო, შოშიას კი გარკვევით, გასაგებად და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაუძახეს:

— с вещами! მორჩა და გათავდა.

შოშიამ ხმა არ გასცა ზედამხედველს, თითქოს ეს სიტყვები მას კი არა, ვიღაც სხვას ეხებოდა, თან ამ საკანში

მჯდომს კი არა, სადღაც სხვა საკანში, არც ციხეში და სხვა ქვეყანაში.

— გოგოლაძე, დაყრუდი? с вещами! გაიმეორა **ზედამხედველმა და კარი** ისე მიიხურა, რომ არ ჩაკეტილიყო. ალბათ უნდოდა შოშიასათვის ბარგის მოგროვება და ჩემთან გამომშვიდობება ეცლია.

— რა თქვა? — მკითხა შოშიამ და გაფითრდა.

— ბარგით გეძახიან, შოშია! — გავუღიმე მე.

— ბარგითო? სასწაულია! — თქვა შოშიამ.

— სასწაულია! — დავუდასტურე მე.

— ვინ სთქვა, რომ სასწაული არ არსებობს? — მე უარყოფის ნიშნად თავი გავიქნიე.

— მე არ მითქვამს, შოშია!

— შენ არ გითქვამს, ვიღაცამ თქვა არ არის სასწაულიო, არის სასწაული! — თქვა შოშიამ და ტუჩები აუთრთოლდა.

— არის, შოშია!

— არის ღმერთი! — თქვა ჩურჩულით შოშიამ და მუხლებზე დაეშვა.

— ღმერთიც არის, შოშია! — ვუთხარი მე და ჟრუანტელმა დამიარა.

— ღმერთო! — თქვა შოშიამ და დადუმდა, არ ვიცი ხმა ჩაუწყდა და ვერ ამბობდა ვერაფერს, თუ გულში ამბობდა დანარჩენ ღვთის სადიდებელს, ასე იყო დამხობილი ერთ ხანს, მერე უცებ მომიბრუნდა და სხაპასხუპით დამაყარა:

— თქვი სად ცხოვრობ... თუმცა ვიცი, ხო, ვიცი, ანაგის ორმოცდაორი, ხო, ვისთან მივიდე? ვიცი, დედაშენთან, დედასთან, მერე? რა ვუთხრა? რა თქვი?.. ვეტყვი, რომ კარგად ხარ, ძალიან კარგად, დაგელოდოს, დაგელოდოს.

— ვინ, შოშია?

— დაგელოდოს, დედაშენი.

— გიჟი ხარ შენ!

— გიჟი ვარ, გიჟი. რა ჰქვია? ჰო, ანიკო, დეიდა ანიკო, ქალბატონო ანიკო... ვეტყვი, რომ კარგად ხარ, ძალიან კარგად, ისე კარგად, რომ მეტი არ შეიძლება, კიდევ რა ვქნა, მითხარი, ვისთან მივიდე? გინდა, მოკლულის დედასთან მივალ და ვეტყვი, რომ შენ არ მოგიკლავს... მივალ, ვეტყვი...

— არ მიხვიდე, შოშია!

— მივალ, მივალ!

— გოგოლაძე, გამოდი!

— მშვიდობით, ზაზა, ნახვამდის, ზაზა, შენი ჭირიმე, შენი! — შოშია წამოდგა, გულში ჩამიკრა, მერე უცებ შეტრიალდა, გიჟივით გავარდა გარეთ და დამტოვა გულადუღებული, თვალცრემლიანი და გაგუდული შუა საკანში. გაფრინდა შოშია... გაფრინდა და დამეკარგა...

საკანში მარტო დავრჩი, სულ მარტო 19 ცარიელი ნარის, ვეებერთელა გრძელი მაგიდის, პარაშის, საწყლე კასრისა და ფიქრის ანაბარა, საფიქრებელი კი უამრავი მქონდა, რომ ვფიქრობდი, იმაზე გაცილებით მეტი...

მე ახლა შოშიას ქანდარაზე ვწევარ სარკმელთან და შოშიას აღმოჩენილ თბილისის პატარა ნატეხს გავცქერი საათობით: აი, ის ლუდის ბუდრუგანა, შიგ ვეებერთელა ლუდის გამყიდველი დგას, იმხელაა, რომ დახლს ავსებს და ციხის სარკმლიდან ჩარჩოში ჩამჯდარ ოდესღაც დაწყებულ და მერე მიტოვებულ, დაუმთავრებელ პორტრეტს გავს. დაუმთავრებელს იმიტომ ვამბობ, რომ მხოლოდ კონტურებსა და მოცულობას ვხედავ მისას, ნაკვთებს ვერ ვარჩევ. ლუდხანის გვერდით აფთიაქია, აფთიაქი ხან სულ ცარიელია, ხან იმდენი ხალხია, რიგი გარეთ გამოდის. ახლაც ასეა, ალბათ ქალაქში გრიპის ეპიდემიაა, ამ დროს იცის ხოლმე. იქით საპარიკმახეროა, ყველა საპარიკმახეროშია ერთი ან ორი ფინაჩი დალაქი, ეტყობა აქაც ეგრეა, რადგან ხალხი მიდი-მოდის, ეს ორნი კი მუდამ გარეთ სხედან და რაღაცაზე მასლაათობენ, ხანდახან თეთრხალა-

თიანი ქალი შემოუერთდებათ ხოლმე, ეს ან დამლაგებელია, ან ქალების ფინაჩი პარიკმახერი, ორში ერთია. ქუდების ატელიეში ხალხი ყოველთვის ცოტაა. ალბათ იმიტომ, რომ მოდიან, მზა ნაწარმს ყიდულობენ და მიდიან. მუშტრის დენადობას ვიტრინაში გამოფენილი ქუდებით ვვარაუდობ, ვიტრინაში სულ ათი ქუდია გამოფენილი და, უბრალოდ, ვითვლი, თუ ათზე ნაკლებია, ესე იგი ვიღაცას უყიდია. ხშირად ეს რიცხვი ხუთსა და ათს შორის მერყეობს, ისე რომ ვიტრინაში ერთი ქუდი დარჩენილიყოს ან საერთოდ გამქრალიყოს ქუდები ვიტრინიდან, ასეთი შემთხვევა მე არ მქონია და ალბათ არც მექუდეებს! ვერც გაამტყუნებ: ქუდები მოდაში აღარ არის, მთელი თბილისი უქუდოდ დადის. ოღონდ არ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქუდის ტარება წინათ ნამუსის ნიშანი იყო, მით უმეტეს, რომ უქუდო, მაგრამ ნამუსიანი კაცი არც სე იშვიათი შემთხვევაა, სხვებს რომ ჰგონია. აი, კაცი, მოვიდა უქუდოდ, რა დააშავა? არაფერი. შევიდა აფთიაქში, წამალი იყიდა, გამოვიდა და ქუჩაში დადგა, გახსნა წამალი, ხელისგულზე დაიდო, ალბათ, ტაბლეტი, უყურა, უყურა, მერე უცებ ისე აიფარა ხელი დაფჩენილ პირზე, როგორც აბღავლებულ ბავშვებს აფარებენ ხოლმე მშობლები და კისერი წაიგრძელა, არ გადადის? აგერ, ბატონო, ჩაციებული ლუდი, მივიდა, ხელით ანიშნა გამყიდველს დამისხიო, და ნელა, გაბმულად წრუპა ლუდი თავის ქაფიანად, მერე სახელოთი შეიმშრალა ტუჩები, კათხა დახლზე დადგა, ფული გადაიხადა და დაფიქრდა. ნეტავი რა უნდა ქნას ახლა? როგორ თუ რა? სადალაქოს მიადგა, ერთ-ერთი ფინაჩი დალაქი ააყენა და სადალაქოში შეიყვანა, ხუთ წუთში ისევ გამოვიდა იმ დალაქის თანხლებით, ალბათ მჟავე კიტრივით გატანტალებული და იაფფასიანი ოდეკოლონით ამყრალებული. ესეც ასე... აწი რაღას იზამს? არა და, რა უნდა ქნას? წამალი მიიღო, ლუდი დააყოლა, წვერი გაიპარსა... ნორმალური კაცი ამის შემდეგ სახლში უნდა წავიდეს, უნდა წავიდეს, მაგრამ ეს კაცი რატომ არ მიდის, რატომ? აი, რატომ, კაცი ქუდების ატელიეში შევიდა... ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, ქუდს იყიდის, დაიხურავს და, ალბათ, „მეც მახურავს თავზე ნამუსის ქუდიო“, წაიღიღინებს კმაყოფილი. ქუდების ატელიეში ის კაცი ძალიან დიდხანს დარჩა, ისე დიდხანს, რომ ეჭვი შემეპარა, იქ ხომ არ მუშაობს-მეთქი, მაგრამ არა, იგი გამოვიდა... უქუდოდ გამოვიდა, გესმით? უქუდოდ. ესეც მე ვარ? აკი გითხარით, მთელი თბილისი ახლა უქუდოდ დადის-მეთქი, მერე და, რით არის უნამუსო ახლა ეს კაცი? რა თქმა უნდა, არაფრით. მაგას ვენაცვალე, რომ უქუდოდ გამოვიდა, არ გამაწბილა და არ გამაბითურა, „კაცი ვარ და ქუდი მხურავსო“ მაგან უნდა თქვას.

... თბილისის ამ პატარა ნაგლეჯზე, რომელსაც მე სარკმლიდან ვუმზერ, ზუსტად ის ხდება, რაც მთელ თბილისში, არც მეტი, არც ნაკლები. ასეა ალბათ მთელ დედამიწაზე, დადიან თავისუფალ დროს ადამიანები აფთიაქებში, ლუდხანებში, საპარიკმახეროებში, ატელიეებში და ასე შემდეგ. ციხიდან არ ჩანს რას აკეთებენ ისინი დახურულ შენობებში, მაგრამ ეს ხომ გარედანაც არ ჩანს, ასე რომ, თბილისის ამ პატარა ნაგლეჯზე მინიატურული კაცობრიობა დაფუსფუსებს. უფრო მეტიც, ალბათ მინიატურული სამყარო თავისი გალაქტიკებით, კვაზარებითა და პლანეტებით თუ სადმე სიცოცხლე მართლა არსებობს. აუუ... რამხელა მეგონა სამყარო და რა პატარა ყოფილა. აუ, ეს რა პატარა ყოფილხარ, შენ ჩემი ცოდვით სავსე, ქვეყნიერებავ...

და უცებ ტანში საოცრად თბილი და ნაღველგარეული სითხე ჩამეღვარა, ყველა ძარღვში, ყველა ფოსოში დაია-

რა ამ სითბომ და ბოლოს გულთან მოიყარა თავი ყრუ და განუწყვეტელ ტკივილად...

... „გამარჯობა, ჩემო თბილისს ქალაქო,
არა მკითხო რა ზარია, რა არი..

მღეროდა შოშია.

ეს არ იყო მოჩვენება, არც მოლანდება, არც ხილვა და არც რაიმე სასწაული, შოშია მღეროდა, ნამდვილი შოშია გოგოლაძე, მისჯილების კორპუსიდან.

„უწმინდესო ზარო სიონისაო,
ხიზანი ვარ შენი კედლებისაო,
გაყიდული ერთგულ მეგობრისაო,
არ გეგონოს ჩემი ფეხით მოვედი...“

მღეროდა შოშია და მთელი ციხე სულგანაბული, მოჯადოებული უსმენდა მის ცრემლიან გალობას.

ვინა თქვა, შოშია, ღმერთი არსებობსო? ვინა თქვა, შოშია, სასწაული არსებობსო? შენა თქვი შოშია?

— არ ყოფილა, შოშია, სასწაული!

— არც ღმერთი ყოფილა, შოშია!

გამოვედ კიდობნისაგან

დილით ნარიდან ამოჩრილ ლურსმანზე ხელი გავიხიე და ზედამხედველს ვთხოვე ექიმი გამოეძახა. თხუთმეტ წუთში ექიმი მოვიდა.

— გამარჯობა, ბოროტმოქმედო ნაკაშიძე! — კარებში მზესავით გაღიმებული ნუნუ ექიმი დგას.

— გაგიმარჯოს, ნუნუ ექიმო! — ვეუბნები და ვატყობ გულთან რაღაცა ლღვება.

— რა მოგივიდა? — მკითხა მან, ჩანთა მოიხსნა და ტაბურეტზე დადო.

— ხელი გავიფუქე, — ვთქვი მე და გაჭრილი ხელი ვაჩვენე.

— უყურე შენ! — თქვა ნუნუ ექიმმა და ჩანთის გახსნა დაიწყო.

ზედამხედველმა შეატყო საქმე ასე უცებ არ დამთავრდებოდა, კარი მთლიანად გააღო და დერეფანში გავიდა.

— მარტო დარჩი?

— მარტო. რა არის ეს?

— წყალბადის ზეჟანგი. სულ მარტო?

— სულ მარტო. — ნუნუ ექიმმა ხელისგული მომბანა და ახლა იოდი ამოიღო.

— მერე და, არ გეშინია?

— ამხელა სახელმწიფო მიცავს, ნუნუ ექიმო, თავისი ჯარით, სასამართლოთი, პროკურატურითა და მილიციით, რისი უნდა მეშინოდეს!

— ისე, ბინა მაქვსო, შენ უნდა თქვა! — შემიქო ბინა ნუნუ ექიმმა, ცარიელ საკანს თვალი მოავლო, ჭრილობაზე იოდი დამასხა, ისე ამეწვა, ტკივილისაგან თავი ძლივს შევიკავე.

— ერთი სულის პირობაზე არა უშავს, მე შენ გეტყვი, ავეჯი შემაწუხებს, ან ჩაწერაზე მომიწევს სახლმართველთან ქრთამით სირბილი. — დავუდასტურე.

— მაგის გარდა, წყალი უფასო, სინათლე უფასო, საჭმელი უფასო, ექიმი უფასო, — ამყვა ნუნუ ექიმი.

— აბა, აბა, აქედან წასვლა არ გინდა? — ვთქვი სინანულით. ნუნუ ექიმმა ხმამაღლა გაიცინა. — ხომ არ იცი, ნუნუ ექიმო, რატომ არავინ შემოყავთ, ხომ არ გაუჭირდათ, პატიმრები ხომ არ შემოელიათ? — ვკითხე მე, მზრუნველი ხმით.

— შენ უკანასკნელი ბოროტმოქმედი ხარ დედამიწაზე, ნაკაშიძე. — მითხრა მან და ჭრილობაზე ვეებერთელა ბამბის ქულა დამადო.

— მართლა, მართლა?

— ნუ გეშინია, ერთი თვეა კარანტინი გვაქვს, რომ მოიხსნება, ოცდაათ კაცს ერთად შემოგიყვანენ და გაიხარე. — თქვა მან და ჩანთიდან ბინტი ამოიღო.

— მაგ საქმეს თუ დამიჩქარებ, ნუ-

ნუ ექიმო, მადლობელი ვიქნები დიდად! — ვთხოვე მე. ნუნუმ ისევ ხმამაღლა გაიცინა.

— შენი სასამართლო როდის არის, ნაკაშიძე? — ნუნუ ექიმმა ბინტი გადამახვია ხელზე.

— ჯერ ძიება არ დამთავრებულა.

— ამბობენ, შენც მალე გაგიშვებენ, ნაკაშიძე!

— ვინ ამბობს, ნუნუ ექიმო?

— ხალხი ამბობს.

— ხალხმა რა იცის, ნუნუ ექიმო?

— ხალხმა რომ იცის, იმდენი ვინ იცის, ნაკაშიძე? — თქვა მან და ბინტის დახვევა განაგრძო.

— გიხარია, ნუნუ ექიმო?

— რა?

— ჩემი წასვლა?

— რატომ უნდა მწყინდეს, ნაკაშიძე! შენ რა, არ გიხარია?

— არა, ნუნუ ექიმო.

— რატომ, ბიჭო? — გაუკვირდა მას და ბინტის დახვევა შეწყვიტა.

— იმიტომ, რომ ყოველდღე ვეღარ გნახავ...

— რად გინდა, ნაკაშიძე, ჩემი ყოველდღე ნახვა? — გაწითლდა ნუნუ ექიმი და ბინტი რაც შეეძლო მჭიდროდ მომიჭირა, კიდევ რამე ხომ არ გტკივა? — მომცა აუცილებელი კითხვა ნუნუ ექიმმა.

— ყველაფერი მტკივა. — ვუპასუხე მე ისე, რომ თავი მაღლა არ ამიწევია. ნუნუმ მაკრატელი ამოიღო ჩანთიდან, ბინტს თავი ორად გაუჭრა და მაგრად შემიკრა.

— აი შენ ორი ტაბლეტი ლუმინალი, რადგან ყველაფერი გტკივა! — ნუნუ ექიმმა წამალი ამოიღო ჩანთიდან და გამომიწოდა.

— არ წახვიდე, ნუნუ ექიმო! — ვთხოვე მე.

— როდემდე ვიყო აქ, ნაკაშიძე? — მკითხა ნუნუ ექიმმა.

— აი, შენისთანა გოგო რომ მელოდებოდეს გარეთ... — ვთქვი მე და ნუნუს თვალებში შევხედე. მან თვალი ამარიდა.

— ნაკაშიძე, დედა ხომ გელოდება?

— დედა მოიცდის, დედა ყველაზე დიდხანს მოიცდის...

— რა გჭირს, ნაკაშიძე?

— შეყვარებული ვარ, ნუნუ ექიმო! — ვთქვი მე და გული ისევ შემეკუმშა.

— ნაკაშიძე, — დაიწყო ნუნუ ექიმმა დუმილის შემდეგ. — აქ, ციხეში, პატიმარი არ არის, მე რომ არ ვუყვარდე...

— ყველას ხომ ერთნაირად არ უყვარხარ?

— შენს ტოლებს ყველას ერთნაირად!

— რატომ?

— იმიტომ, რომ სხვა ქალი არ არსებობს აქ, მე ერთი ვარ, ერთადერთი, უბადლო და მზეთუნახავი... — მწარედ გაიღიმა მან. — გასაგებია? ადგა, წამლები ჩანთაში ჩააწყო და ჩანთა მხარზე გადაიკიდა.

— რა არის გასაგები? — ვუთხარი მე, თუმცა ყველაფერი მესმოდა.

— რომ გახვალ გარეთ, მაშინ გაიგებ! — მითხრა ნუნუ ექიმმა და კარს მიაშურა, მერე უცებ მოტრიალდა, დიდხანს მიყურა, მერე თავი დახარა და ისე მკითხა:

— ნაკაშიძე, ის პატიმარი რა გვარია?

— რომელი? — ვკითხე მე და საშინელმა ეჭვმა შემიპყრო.

— აი ის, ლექსი რომ წამიკითხა.

— არ ვიცი!

— რა ჰქვია!

— არ ვიცი!

— სად ცხოვრობს?

— არ ვიცი!

— ცოლი ხომ არ ყავს?

— არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი! — ვიყვირე მე, სახეზე სისხლი მომაწვა. ნუნუ ექიმმა მაცალა, ვიდრე დავწყნარდებოდი და თვალებში ჩამხედა. მე თვალი ავარიდე.

— თვალებში მიყურე, ნაკაშიძე! — მითხრა ნუნუ ექიმმა. მე შევხედე და მის გაფითრებულ სახეზე ორი გიშერივით ანთებული თვალი დავინახე. — თქვი, ნაკაშიძე, შენ ყველაფერი იცი! — გაწყვეტილი მშვილდივით მოვდუნდი, მოვეშვი და ნარზე დავჯექი.

— თქვი, ნაკაშიძე, შენს დედას და სიყვარულს გაფიცებ!

— დევდარიანი, ლიმონა (კაკო), უცოლო, უშვილო, — დავიწყე მე. — ყავს გათხოვილი და, სახლში ელოდება ქვრივი დედა, ცხოვრობს თბილისში, მთაწმინდაზე, არსენას ქუჩა № 15-ში.

— გმადლობთ, ნაკაშიძე!

— ქურდია! — ვუთხარი ის, რაც ნუნუ ექიმმა ჩემზე კარგად იცოდა.

— გმადლობთ, ნაკაშიძე!

— შეყვარებული ყავს.

— გმადლობთ, ნაკაშიძე.

— მაგრამ ის ქალი გათხოვილია. — ვთქვი მე. თვითონ არ ვიცი რატომ.

— გმადლობთ, ნაკაშიძე! — ნუნუ ექიმმა ჩამქრალი თვალებით ამომხედა, და კარი გაიხურა.

— მოიცა, ნუნუ ექიმო! — გავაჩერე მე.

— რა იყო კიდევ, ნაკაშიძე?

— მე და ლიმონამ მისი სასამართლოს წინა დღით, წინა დღით კი არა, ღამით, თეთრად გავათენეთ. — რატომ არ გძინავს, — ლიმონ-მეთქი, ვკითხე...

— მერე, რაო ლიმონამ? — მკითხა ნუნუ ექიმმა.

— ნუნუ ექიმი მიყვარსო, ასე სთქვა ლიმონამ. — მე თავი ჩავღუნე და დავდუმდი.

— გმადლობთ, ნაკაშიძე, კარგი ბიჭი ხარ! — თქვა ნუნუ ექიმმა და კარი გაიხურა.

* * *

შუადღეზე კარი გაიღო და პირველი პატიმარი შემოიყვანეს. მწვანე, თავმოკრული ტურისტული ზურგჩანთა ეკავა მარცხენა ხელში, მარჯვენა უკნიდან შემოევლო წელზე და მარცხენა ხელის იდაყვზე ჰქონდა წავლებული, რის გამოც წელში ოდნავ გაბნექილი ჩანდა. გამხდარი იყო, თვალები შავი და შეშინებული, თმა არ ჰქონდა თავზე. იგი შუა საკანში იდგა საქციელწამხდარი და მიყურებდა, ალბათ ჩემგან ელოდა თავისი საქციელის ნიშანს. მე გავუღიმე, მანაც გამიღიმა, ოღონდ უნდობლად. ქანდარიდან არ ჩამოვსულვარ. სარკმელში გავიხედე. რომ მოვხედე, ისევ ისე იდგა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩანთა იატაკზე დაედო. ჩემი თავი გამახსენდა, მეც ასე გამოვიყურებოდი ალბათ პირველ დღეს.

— გარეთ დარჩა ვინმე? — ვკითხე ვერ გაიგო, მხრები აიწურა.

— გარეთ თუ დარჩა ვინმე, გეკითხები! — გავუმეორე კითხვა.

— სად გარეთ? — გაუკვირდა მას.

— თბილისში!

— ვინ?

— ხალხი!

— რა თქმა უნდა!

— ბევრი?

— ძალიან ბევრი!

— აღარ თავდება, თუ იცი? — ვკითხე შეწუხებულმა.

— რა გაათავებს?! — გაუკვირდა მას.

— კარანტინი გუსკდა? — ვკითხე მე ძველმოსახლისა და საქმის მცოდნის ტონით.

— გასკდა! — მიპასუხა მან და შვებით ამოისუნთქა.

— ვარეთ რა ხდება?

— თქვენ რა გაინტერესებთ?

— ხორცი რა ღირს ბაზარში?

— ძვირია!

— პამიდორის წნილი? — ახალბედა მიხვდა, რომ დავცინოდი.

— არ ვიცი თქვენ რა გაინტერესებთ. — მითხრა მან გაბუტული ხმით.

— ამნისტიის ხომ არ ისმის რამე?

— კარანტინში თქვეს იქნებაო!

— როდისო?

— საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლის-

თავთან დაკავშირებით. — თქვა მან.

— პოლიტიკაში ერკვევი?

— თქვენ რა გაინტერესებთ?

— ყველაფერი.

— გაზეთებს იშვიათად ვკითხულობ!.. — უხერხულად გამიღიმა მან.

— ვიეტნამში რა ამბებია? — ვკითხე მე.

— ომია!

— არ გადამრიო! როდის დაიწყო? — გამიკვირდა მე. ისევ მიხვდა, რომ დაცინოდი.

— სოფლის ცხოვრებას ვკითხულობ, იქიდან მკითხე რამე! — მთხოვა მან ჩაჭრილი სტუდენტივით. შემეცოდა, მაგრამ გამეღიმა.

— კარანტინში ბევრი იყავით?

— ბევრი.

— დანარჩენები რა იქნენ?

— ქურდები იყვნენ და სპეცში ჩაიყვანეს. — გაუგია რომ განსაკუთრებით საშიში ქურდები სპეციალურ სარდაფებში ჰყავთ და თავს მაწონებს. არ ვუპასუხე. თვითონ განაგრძო.

— ამ დილით „შმონი" დაგვარტყეს ორჯერ. მე ბრიტვები მქონდა პურში, მიპოვეს. — შმონი ჩხრეკაა, ერიჰა, ამას ჩემი აყვანა უნდა, გავიფიქრე.

— რა გქვია? — ვკითხე მე.

— სანდრო! — მიპასუხა მან.

— გვარი?

— გვარი ზამბახიძე.

— კარგი გვარი გაქვს.

— არა უშავს. — დამეთანხმა იგი ღიმილით.

— მანდ დაწვები, პირველ ნარზე. — მივუთითე მე.

— პარაშასთან ასე ახლოს რატომ?

— შიშისაგან ხშირ-ხშირად მოგინდება შარდზე გასვლა და მანდვე იქნები! — ავუხსენი მიზეზი.

— საკანში ამდენი ნარია. — თქვა მან გაუბედავად.

— მაგ ნარებს ყველას თავთავისი პატრონი ჰყავს. — ვუპასუხე მე.

— მერე და, სად არიან? — მკითხა გაკვირვებულმა.

— ზოგი დახვრეტილია, ზოგი გადასახლებული, ზოგი თავისით მოკვდა, ზოგი სასამართლოზეა, ზოგიც დასჯაზე, მალე დაბრუნდებიან! — ვუთხარი მე. პატიმარმა ზამბახიძემ უნდობლად ამომხედა, მაგრამ სხვა ნარზე დაჯდომა მაინც ვერ გაბედა, სადაც მივასწავლე, იქ მოეწყო და წამოწვა.

— დაიღალე? — ვკითხე მე.

— რა დამღლიდა! — ისევ გაუკვირდა ზამბახიძეს.

— მაშინ ადექი, დღისით წოლისათვის, თუ დაგინახეს, კარცერია.

— კარანტინში გვაწვენდნენ.

— კარანტინი სხვაა, საკანი სხვაა, რასაც გეუბნები, ის გააკეთე, თორემ ინანებ. — გავაფრთხილე მე. იგი წამოდგა, გახდილი ფეხსაცმელი ისევ ჩაიცვა და დაჯდა.

— სულ ასე უნდა ვიჯდე? — მკითხა შეწუხებულმა.

— ეგ სასამართლოზეა დამოკიდებული, რომ მიგისჯიან, მერე თუ გინდა ყირაზე იარე.

— რაზე უნდა მიმისაჯონ, მიმისაჯონ რა, ლილახანა ხომ არ არის, ჩალით კი არ არის ქვეყანა დახურული! — იფეთქა უცებ ზამბახიძემ.

— სად მუშაობდი? — ვკითხე, ცოტა რომ დაწყნარდა.

— ტყავის ქარხანაში, ვმუშაობდი და ვიმუშავებ კიდევაც... — ისე მითხრა, თითქოს მე მომეხსნას და დამეჭიროს.

— მაინც რაო, რას გაბრალებენ? — ჩავკითხე ზამბახიძეს.

— უხ, მათი ჩათლახი დედა ვატირე! — შეიგინა ზამბახიძემ და ისე დაირტყა მჯიღი მკერდზე, შემეცოდა.

— ვიზე ამბობ? — ვკითხე.

— დირექტორზე და ყარაულის უფროსზე Axo-ს ეძახიან. მანდ ხომ იცი, როგორ არის. ყველა ცეხის გამგეს ტყავი გააქვს, ყიდიან და წილს დირექტორსა და Axo-ს უფროსს აძლევენ.

— შენ? — ვკითხე ისევ.

— მე რა ჩემი ფეხები მქონდა, რომ მიმეცა? — ისე გაკვირვებით მკითხა

ფითქოს ტყავი თვალითაც არ ენახოს.

— მერე?

— მერე რა, მაგათთვის ჩემი ადგილი მკვდარი იყო, აიღეს და გამყიდეს ჩემი ადგილიანად.

— რამდენად?

— ვიცი რო? დირექტორმა დამიძახა, განცხადება დაწერე და წადიო. ვიჟი ვიყავი დამეწერა? არ დავწერე...

— კარგი გიქნია! — შევაგულიანე მე.

— რა მიქნია კარგი? — გაუკვირდა ზამბახიძეს.

— რომ არ დაწერე!

— კარგი, თუ ძმა ხარ, მერე იცი რა მიქნეს?

— ვიცი ვუპასუხე მე.

— აბა რა? — მკითხა მან.

— მერე, დირექტორი და Ахо-ს უფროსი გადაგეკიდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ჩაგისაფრდნენ და შენს სიცოცხლეში რომ არავის გაუჩხრეკიხარ, უცებ გასასვლელში გაგაჩერეს, ახოს უფროსის ოთახში შეგიყვანეს და ორი მუშის თანდასწრებით გაგჩხრიკეს. გაგჩხრიკეს და წელზე შემოკრული ლანჩები და საპირე ტყავი გიპოვეს.

— კი არ მიპოვეს, მომიყარეს! — გამისწორა ზამბახიძემ.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა! — ვუთხარი მე.

— როგორ თუ არა აქვს?

— იმიტომ რომ, ჩხრეკის დროს ის ორი მუშა მოწმედ დაიყენეს.

— ცრუმოწმედ! — იყვირა ზამბახიძემ.

— ის ორი მუშა ცრუმოწმედ დაიყენეს, სურათებიც გადაგიღეს და დირექტორთან მიგიყვანეს. მართალი ვარ? — ვკითხე ზამბახიძეს.

— მართალი ხარ. — მითხრა ზამბახიძემ.

— ახლა გინდა გითხრა, დირექტორმა რა გითხრა?

— თქვი!

— რომ შეგიყვანეს, დირექტორი ისე იჯდა, ვითომ გაზეთს კითხულობდა. რომ დაგინახა, ფეხზე წამოდგა. — რაშია საქმეო, იკითხა!

— იკითხა? — ვკითხე ზამბახიძეს.

— ზუსტად ეგრე იკითხა იმ დამპალმა! — დაიქნია თავი ზამბახიძემ.

— ახოს უფროსმა მოახსენა ასე და ასეო, არა მჯერაო, შეიცხადა დირექტორმა. თუ არ გჯერათ, აბა, ეს რა არისო, და წინ ტყავი დაუყარეს. დირექტორმა, ვითომ ეწყინაო, ოხო! თქვა და დაჯდა. დიდხანს იჯდა შეწუხებული, მერე ადგა და ასეთი სიტყვა გითხრა:— ამხანაგო ზამბახიძე, ასე უნდა ქარხნის კოლექტივის, პარტიისა და ხელისუფლების ნდობის გამართლება? შვილივით მიგიღეთ, გაგზარდეთ, ცეხი ჩაგაბარეთ და შენ, იმის ნაცვლად, რომ უმწიკვლოდ ემსახურო სამშობლოს და მხარში ამოუდგე ხუთწლედის ამოცანების განხორციელებაში, იმის ნაცვლად, კაპიკს კაპიკი მიუმატო და ეკონომია მისცე ჩვენი მსუბუქი მრეწველობის ამ დარგს, რას შვები, იპარავ? მერე და, ვის პარავ? სახელმწიფოს? არა, ზამბახიძე, მაგის უფლებას ვერ მოგცემთ! შენ რაღაცა გინდოდა გეთქვა, მაგრამ აღელვებულმა დირექტორმა ლაპარაკი არ გაცალა და ხელით ანიშნა ახოს უფროსს გაიყვანეთო. მართალია?

— მართალია, მართალი!

— მერე გამოძიება რას იზამდა? ორი კაცი პირზე გადგებოდა, აიღეს და დაგაპატიმრეს, მათ ადგილზე შენც ასე მოიქცეოდი. ერთი თვე კარანტინში გამყოფეს და ახლა ჩემს გვერდით ზიხარ... — დავუმთავრე მე მარჩიელობა.

— თუ ძმა ხარ, საიდან იცი ყველაფერი ეს? — მკითხა განცვიფრებულმა ზამბახიძემ.

— მაგას რა ცოდნა უნდა, სამართალში მიცემულო ზამბახიძე? აქ ყველა ტყუილა სხედან — ტიგრანაც, ლიმონაც, ისიდორეც, ჭიჭიკოც, ჭეიშვილიც, შოშიაც და ყველა, ყველა ციხე სავსეა შენი აზრით, უდანაშაულო ხალხით, აი, შენც ხომ ტყუილუბრალოდ ზიხარ, არ-

აფრის გულისათვის? — ვკითხე მე ზამბახიძეს.

— შენ? — სიტყვა ბანზე ამიგდო ზამბახიძემ.

— მეც, რა თქმა უნდა, მეც!

— მერე, რატომ არ გიშვებენ?

— ვინ გითხრა, რომ არ მიშვებენ. აი, ნახე, ერთ საათში დამიძახებენ და გამიშვებენ. — გავუღიმე მე ზამბახიძეს. და მოხდა სასწაული, იმაზე უფრო დიდი სასწაული, რაც მოშიაშვილმა გააკეთა ამ ოთხი თვის წინ. საკნის კარი გაიღო, შიგ ჩემი ძველი ნაცნობი ზედამხედველი ჩადგა ფეხებგაფშეკილი, გამიღიმა და მთელი ხმით დაიძახა:

— Накашидзе с вещами! ნაკაშიძე სვეშჩამი... ნაკაშიძე სვეშჩამი, — დაირხა ექო ცარიელ საკანში. მე გავშრი, ერთ ხანს პირდაფჩენილ და გაკვირვებულ ზამბახიძეს ვხედავდი, მერე ისიც გაქრა, საკანი ვარდისფერი ბურუსით აივსო, სქელი ვარდისფერი ბურუსით.

— გათავდა წყლით რღუნა ქვეყანასა ზედა, — ჩამესმა ყურში ნაცნობი მოხუცის ხავერდოვანი მოალერსე და თბილი ხმა. — გამოვედ კიდობნისაგან და აღუშენე საკურთხეველი უფალსა—და მერე უფრო შორეული, მაგრამ გაცილებით უფრო ძლიერი თბილი და მოალერსე ხმა. — აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას! —

— ... ვინა თქვა, შოშია, ქვეყნად სასწაული არ არისო! არის ქვეყნად სასწაული, ღმერთიც არის ქვეყნად, შოშია...

* * *

მეცხრე, უკანასკნელი კარი გამიღო დარაჯმა და მხარზე ხელი დამკრა!

— ცოლი გყავს? — მკითხა მან.

— არა! — ვუპასუხე მე.

— აფსუს! — გაიქნია თავი დარაჯმა.

— ნახვამდის! — ვუთხარი მე.

— მშვიდობით! — მითხრა მან, და ჩემს ზურგს უკან ჭრიალით გაიხურა უზარმაზარი რკინის ალაყაფი.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ციხის გადაღმა ფილაქანზე იდგა თერმოსით ხელში და მელოდებოდა, ისევ ის გახუნებული კოვერკოტის საწვიმარი, ისევ ის თეთრკოპლებიანი ლურჯი საყელო. იდგა და მელოდა. მე გული ყელში მომებჯინა, რომ არ მეტირა, ქვედა ტუჩზე ვიკბინე და ნერწყვი გადავყლაპე. იგი იდგა და მელოდა. მაშინ მე წავედი მისკენ, გადავჭერი ქვაფენილი და ფილაქანთან მის წინ დავდექი. მან ზურგჩანთა ჩამომართვა და ფეხებთან დაიგდო, მერე მაჯაში მომკიდა ხელი და პირდაპირ ფილაქანზე დაჯდა. მეც დავჯექი მის გვერდით ძალაუნებურად. უხმოდ მოხსნა თერმოსს თავი, სახურავი მომცა ჭიქის ნაცვლად და ცხელი ყავა დამისხა, ზუსტად ისე, როგორც პაემანზე. მე ყავა მოვსვი, მოვსვი დინჯად და სრულიად აუღელვებლად. მუქი და სქელი სითხე სითბოდ ჩამეღვარა სხეულში და სისხლის ძარღვებს გაჰყვა... და უცებ გაიხსნა ყველაფერი, ქუჩა ამოძრავდა, ახმაურდა, ვიღაცამ გაიცინა, ვიღაცამ შეიგინა, ვიღაცამ დაახველა, ვიღაცამ ჩაგვიარა. და მე გავიგონე დედის აკანკალებული ხმა:

— როგორ ხარ, შვილო?

— კარგად, დედა! — მერე მან ჩაიდო მუხლებში ჩემი თავი და დიდხანს მისვამდა ათრთოლებულ ხელს თმებსა და სახეზე, მერე მე ვიგრძენი, როგორ დამეცა მისი ცხელი ცრემლი ერთი, მეორე, მესამე და როგორ გალღვა ის დარჩენილი ცივი ქვა, გარეთ რომ გამომყვა. დედაჩემი ტიროდა, ვტიროდი მეც. მოქალაქეები ჩერდებოდნენ, გაკვირვებულები გვიცქერდნენ და ისევ მიდიოდნენ, არც ერთს არ მოსვლია აზრად ეკითხა, თუ რა გვატირებდა დედა-შვილს ამ მზით, სითბოთი, ხმაურითა და სიხარულით სავსე ქუჩაში.

ჩვენ კი ვისხედით ფილაქანზე და ვტიროდით.

ვტიროდით და არავისი არ გვრცხვენოდა.

* * *

ღამით მე ისევ მზე მეახლა, სხივი ჩამაბა წელზე ოქროს ბაწარივით და თავისკენ მიმიზიდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მზეს, იგი სულ უფრო გრილი ხდებოდა, სულ უფრო გრილი. როდესაც მივუახლოვდი და ხელი შევახე, მან არ დამწვა მე, ჩვენ ერთად შევუდექით ვეებერთელა აღმართს — მედა მზე, წინ — მზე და მე — უკან. ჩვენ ავედით სულ მაღლა, მაღლა, თოვლიან მწვერვალზე, ისე მაღლა, ისე მაღლა, როგორც არავინ და მზე ველარ ადნობდა მარადიულ თოვლს.

— ეს არის ჩომოლუნგმა! — თქვა მზემ და თეთრი ბაირაღი მომაწოდა და ჩემს გვერდით დადგა. მე გავშალე ბაირაღი, მაღლა აღვმართე და ავხედე. ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი ბაირაღი ფრიალებდა, როგორც სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო.

ერთი ვეებერთელა და უსპეტაკესი თეთრი ბაირაღი ფრიალებდა ქვეყნიერების თავზე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე პუშკინი

ევგენი ონეგინი

არც ვფიქრობ ამაყ წრის შესაქცევად,
ვეტრფი გულისხმას ტოლ-მეგობართა,
მსურს საწინდარი, პატივისცემად,
შენი ღირსების სწორი მოგართვა.
ღირსსწორი სულის მშვენიერების,
ამხდარი ნატვრის წმინდა სათავის,
ცოცხალ და ნათელ ლექსის ფერების,
მაღალი აზრის და სისადავის.
მაშ ასე იყოს, ჩემგან თვალღებად
მიიღე ფერად თავთა კრებული,
ხან სასაცილო არის ნახევრად
და ხან ნახევრად დარდმორეული,
სრულქმნილ და სადა ხალხურ ჰანგებად
თავშექცევისას შთაგონებული,
უძილობისას სწრაფად ნაწერი,
უმწიფრად დამზრალ წლების ნაფიქრი,
ცივი გონების თვალით ნაზვერი
და მწუხარებად გულზე ნატვიფრი.

თავი პირველი

И жить торопиться, и
чувствовать спешит.*

პ. ა. ვიაზემსკი

I

„ბიძაჩემს, განთქმულს აღზრდით,
ღირსებით,
როცა ძალღონე აღარ შესწევდა,
წასვლა ენება პატივისცემით
და უკეთესად რაღას შესძლებდა.
მის ქცევას ბევრი სიბრძნედ იწამებს,
მაგრამ, ღმერთმანი, გულს გაგიწყალებს—
ავადმყოფს დღე-ღამ ეჯდე საწოლთან,
არ შორდებოდე წამით საცოდავს!
მონებდე მზაკვრულ ძალას უმდაბლესს,
მომაკვდავს სიკვდილს აღარ აცლიდე,
ართობდე, ჭმუნვით წამალს აწვდიდე
და უსწორებდე თავსასთუმალებს.
ოხრავდე და თან გულში ამბობდე:
ეშმაკი ლაგამს როდის ამოგდებს?“

II

ცეტი ჭაბუკი ასე ფიქრობდა
და მტვერს აფენდა ეტლი ველ-მინდვრებს,
ანდერძად ზევსის ლოცვა მიჰქონდა
ნათესავებში ყველას მემკვიდრეს.
ვინც ლუდმილას და რუსლანს აღმერთებთ!
ჩემი რომანის გმირსაც აგრეთვე,
თქვენი ნებართვით, უწინასიტყვოდ,
ახლავ, ამავე წუთში გაიცნობთ.
ონეგინია ჩემი ძმობილი,
ნევის ნაპირთან დაბადებული,
ეგებ ბავშვობა თქვენც იქ გეგულვით,
ანდა ბრწყინავდით ქვეყნად ცნობილი,
ჩემო მკითხველო, მეც ის შორეთი
მალხენდა, მაგრამ მწყენს ჩრდილოეთი.

III

სინდისიერად, წრფელად იღწვოდა,
ვალით ცხოვრობდა მისი მშობელი,

* ცხოვრებას ჩქარობს და ისწრაფის კიდეც შეიგრძნოს.

ბალს წელიწადში სამჯერ იწვევდა,
ბოლოს გაკოტრდა კეთილშობილი.
ევგენის ბედი ერთობ სწყალობდა,
ჯერ Madame-სგან ანბანს სწავლობდა,
მერე მან Monsieur-ს გადააბარა,
თავნება, მაგრამ სათნო პატარა.
Monsieur i Abbe, ფრანგი ღატაკი
არ აწუხებდა ბავშვს და თამაშით,
იოლად წვრთნიდა ყველა საგანში,
თავს არ აწყენდა მორალ-არაკით,
ცელქობისათვის ოდნავ ძრახავდა
და საზაფხულო ბაღში დაჰყავდა.

IV

ჟამი ჭაბუკურ ვნებათაღელვის
როცა ევგენის ენთო სამხილად,
ჟამი იმედის, ტკბილი ნაღველის,
მაშინ გააგდეს Monsieur სახლიდან.
შვებამ აქცია კაცად ყმაწვილი,
ახალ მოდაზე თმადავარცხნილი,
ლონდონელ dandy-ს მსგავსად ჩაცმული
და ბოლოს უკვე ხალხში გასული.
სრულად, უნაკლოდ დაუფლებოდა
ფრანგულ ენაზე წერას, საუბარს;
ლაღად ცეკვავდა იგი მაზურკას,
პირზე ღიმილი არ უქრებოდა;
მეტი რა გნებავთ? დიდებულებმა
უქეს სიბრძნე და ზრდილი ბუნება.

V

ცოტა რაღაცას ყველა ვსწავლობდით,
როგორც შეგვეძლო, სახელდახელოდ,
ჩვენში არა ჭირს, ღმერთის წყალობით,
თავი იოლად რომ ისახელოთ.
ევგენი იყო (ბევრი მათგანის
მოურიდებელ, მკაცრი ნათქვამით)
განათლებული, ოღონდ პედანტი,
მომადლებული ჰქონდა ტალანტი —
შეეძლო ლაღად სიტყვის თამაში,
ყოველ საგანზე სხარტად მსჯელობა,
მცოდნეს იერით ემარჯვებოდა
ბრძნული დუმილი ნამდვილ კამათში,
უცბად იწვევდა კეთილ დამების
ღიმილს ცინცხალი ეპიგრამებით.

VI

დღეს ლათინური გადის მოდიდან
და მართალს გეტყვით, ჩემი გაგებით,
მას ძველი ენის ცოდნა ყოფნიდა,
რომ გაერჩია ეპიგრაფები,
ეხსენებინა იუვენალი,
წერილის ბოლოს დაესვა Vale,
ენეიდადან ენის წვალებით
ზეპირად ეთქვა ლექსის ბწკარები.
ქვეყნის წარსულზე მცირეოდენი
ცოდნის წყურვილიც კი არ ებადა,
ქრონოლოგიურ მტვერს არ ქექავდა,
მაგრამ მას ძველი ანეგდოტები —
რომულის დროდან დღემდე ნათქვამი,
კარგად ახსოვდა ყველა მათგანი.

VII

დიდი განცდები არ აწამებდა,
რომ მიეტანა მსხვერპლად ლექსამდე,
იამბს ქორესგან ვერ ანსხვავებდა,
თუმცა სწავლებას ბევრჯერ ვეცადე.
ჰგმობდა ჰომეროსს, თეოკრიტესაც,
მაგრამ ადამ სმიტს ჩაჰკირკიტებდა,
ეკონომიკას კარგად იცნობდა,
მან ესე იგი განსჯა იცოდა:
ქვეყანა რარიგ, როგორ მდიდრდება,
რითი არსებობს, რატომ ან რა გზით
აღარ სჭირდება ოქროს მარაგი,
როცა პროდუქტით არ ღარიბდება.
მამას უჭირდა ამის გაგება
და მიწებს ვალში აგირავებდა.

VIII

რაც უსწავლია კიდევ ევგენის,
უცბად ჩამოთვლა არ შემიძლია,
მაგრამ რა მადლიც ეცხო გენიის,
უბადლო ცოდნად რაც შეიძინა,
რასაც წამოზრდის დღიდან მონებდა,
რაც რჯიდა, სწვავდა, სიამოვნებდა,
რასაც სწირავდა მთელ დღეს მოცლილი,
რა ნაღველითაც იყო მოცული —
მეცნიერება იყო ტრფიალის,
ნაზონმა ხოტბა რასაც შეასხა,
რითაც არყოფნად გარდაესახა
ჟამი ბრწყინვალე, ქარიშხლიანი—
შორს, მოლდავეთის ყრუ ტრამალებში,
იტალიაზე კვნესა-კაეშნით.

IX

. . . . . .
. . . . . .
. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

რა ადრე შესძლო მან მაცდურება,
გამჭვალვა იჭვით, ფარულ იმედით,
გადარწმუნება და დარწმუნება,
განგებ მოღუშვა ძალუმ მიბნედვით.
რა გულქვა იყო და რა მორჩილი,
რა ქედმაღალი და რა გულჩვილი,
ხან სდუმდა იგი, როგორც კედელი,
ხან ქადაგებდა, ვით მჭევრმეტყველი;
უსტარს თამამად წერდა ტრფიალზე,
მაგრამ ერთ ბარათს გულზე იწერდა,
რა რიგ შეეძლო თავდავიწყება!
მის მკვირცხლ მზერაში ენთო სინაზე,
კდემა, მორცხვობა, კადნიერება,
ხან ძალად ცრემლი და ცბიერება.

XI

მან რარიგ შესძლო ფერისცვალება,
ხუმრობით ყმაწვილ ქალთა დათრობა,
სასოწარკვეთის შიშით წვალება,
ქათინაურით მათი გართობა,
და გულჩვილობის წამის ჩავლებით,
გრძნობის, გონების ბასრი ბრჭყალებით
უნდობ უმანკოს როცა დასძლევდა,
ალერს ელოდა, ხან აძალებდა,
ხან სთხოვდა გულწრფელ აღიარებას,
მოსმენას გულის პირველ ჩქამისას,
კვალდაკვალ სდევდა ტრფიალს ქალისას,
ბოლოს იდუმალ დაიბარებდა
და ყუჩ ადგილას სუნთქვაგაკმენდილს
დაასწავლიდა ჩუმად გაკვეთილს.

XII

რა ადრე შესძლო მან აღელვება
კეკლუცად ცნობილ ლამაზმანების!
როცა სურვილი გაახელებდა
მას მოქიშპეთა დასამარების,
რა გესლს ატანდა ლანძღვა-ძაგებას
რარიგ ცდილობდა მახის დაგებას!
თქვენ კი, ნეტარო ქმრებო, განცხრომით
მასთან მეგობრულ სმას განაგრძობდით:
ფობლასის ძველი ნამოწაფარი
თავს ევლებოდა ჭაბუკს ცბიერი,
დაეჭვებული ქმარი ხნიერი
და თვით რქოსანთა დიდი მთავარი,
მუდამ აღსავსე კმაყოფილებით,
სადილისა და ცოლის იმედით.

XIII. XIV

. . . . . .

XV

ზოგჯერ, საწოლში დილაადრიან
შემოუტანდნენ ჩემს გმირს ბარათებს.
რაო? მიწვევენ? დიახ, ნამდვილად.
სამგან ნადიმი? თავს ვინ გაართმევს?
ერთგან ბალია, სხვაგან ძეობა,
პირველად რომელ სახლს ეწვეოდა?
სულ ერთი იყო საით გასწევდა,
ყველგან ასწრებდა იგი დასწრებას.
და ჯერჯერობით რომ მოირგებდა
დილის სამოსთან ფართო ბოლივარს,
ჩაუყვებოდა ბულვარს თოვლიანს,
უყვარდა ცხენით გასეირნება,
ვიდრე ბრეგეტის ზარი ხმატკბილი
არ მოუხმობდა: „გიცდის სადილი“.

XVI

შებინდდა: მიჰქრის იგი მარხილით,
„გასწის“ ძახილი შვენის პეწიანს
და მის საყელოს ფიფქი დაყრილი
ავერცხლისფერებს თახვის ბეწვიანს.
Talon-თან მიდის, სჯერა ნამდვილად
მას კავერინი უცდის ნადიმად.
შედის: საცობი ჭერში შეხტება,
მოჩქეფს „კომეტას“ ღვინო შხეფებად,
ორთქლავს როსტ-ბიფი სისხლით ნაცვარი,
იწვევს ტრიუფლი-ყრმობის ოცნება,
რითაც ფრანგული სუფრა ცოცხლდება,
და სტრასბურგული ცხელი ნამცხვარი
შუაში შვენის, როგორც ამალას,
ლიმბურგულ ყველს და ოქროს ანანასს.

XVII

წყურვილი ისევ სასმისს მოითხოვს,
ცხლად რომ ჩარეცხოს ქონი კატლეტის.
მაგრამ ბრეგეტის ზარი მოიხმობს, —
ვინც ტრფიალია ახალ ბალეტის.
სცენის ბოროტი კანონმდებელი,
აზრცვალებადი მადიდებელი
მსახიობ ქალთა, მათი გულისთქმა
და საპატიო წევრი კულისთა —

ჩვენი ევგენი მიჰქრის თეატრში,
სადაც თავს იშვებს დიდიც, პატარაც,
უსტვენენ ფედრას და კლეოპატრას,
entre-chat-ს ნთქავენ ტაშის გრიალში
ვიღაც მოინას უხმობს (ეგების
მზერა მიიპყროს მაყურებლების).

XVIII

ზღაპრული მხარე! სადაც ადრიან
თავისუფლების ოდა წარმტაცი
თქვა ფონვიზინმა — მეფემ სატირთა,
და კნიაჟნინი წერდა წაბაძვით.
სად ოზეროვი, ვით ხარკს უნებურს,
ცრემლებს ხალხისას, ტაშს გახურებულს
სემიონოვის ქალთან იყოფდა;
სად კატენინის ღვაწლით გვიპყრობდა
დიდი კორნელის აღორძინება,
სად შახოვსკოის ენაგესლიან
კომედიათა გუნდი გვესია,
სად ვნახეთ დიდლოს ამობრწყინება,
მეც იმ კულისთა ჩრდილში სიამით
ვქროდი ყმაწვილი ხალისიანი.

XIX

ჩემო ქალღმერთნო! სად ხართ? როგორ ხართ?
ყური დამიგდეთ სევდით ანავსებს,
კვლავ ნაზები ხართ? არ გამოცვლილხართ?
ვერ შეუცვლილხართ სულ სხვა ლამაზებს?
თქვენი გუნდის ხმას ისევ მოვისმენ?
რუს ტერპსიქორებს ვნახავ როდისმე —
მათ სულჩაბერილ მაღლა აფრენას?
თუ სევდით მზერა დამეზაფრება,
ოდეს ვერავის გპოვებთ სცენაზე,
ცივად მივაპყრობ ლორნეტს უცნობებს,
დავემსგავსები ლხენაუგრძნობელს,
არც შევირხევი მე მათ ცეკვაზე
და განხიბლული, ჩუმი მთქნარებით
ისევ წარსულში გავემგზავრები?

XX

ელავს ლოჟები სავსე თეატრში;
ზღვა დუღს პარტერის და სავარძლების;
ქანდარის სულსწრაფ ტაშის გრიალში
ისმის ხმაური ფარდის აწევის.
ბრწყინვალე, როგორც ლაჟვარდსმოჭრილი,
გრძნეულ ქამანის მონა-მორჩილი,
ნიმფების გუნდით გარემოსილი,
დგას ისტომინა ანგელოსივით.
ცალ ფეხს ეყრდნობა ცეკვით სულდგმული
და მეორეთი ბრუნავს ოცნებად,
უცებ ნახტომით სცენას მოსწყდება,
როგორც ეოლას ბაგეს ბუმბული.
ტანს ხან მოსალტავს და ხან გაშლილს
ფეხს ფეხზე სწრაფად დაკრავს ტაშივით.

XXI

ხალხი არ ცხრება. შედის ევგენი,
სავარძლებს შორის ფეხებს აწყდება,
ლორნეტის ცივი თვალის შევლებით
უცნობ დამების ლოჟებს გასცდება.
ყველა იარუსს უმზერს შესვლისას,
ყველას ტანსაცმელს, სახეს შენიშნავს,
უკმაყოფილო და უსაშველო
მიესალმება კაცებს გარშემო.
დაბნეულ მზერას აპყრობს ევგენი,
ასწონ-დასწონის სცენას თვალებით,
წამს მობრუნდება, იტყვის მთქნარებით
„შესაცვლელია ყველა ეგენი;
ბალეტი რაღა სანახავია,
დიდლოც მომბეზრდა კარგახანია“

XXII

ჯერ კიდევ სცენა ქუხს დამათრობლად,
ახტუნებს ქაჯებს, გველებს, ამურებს,
ჯერ კიდევ სძინავთ სადარბაზოსთან
ქურქში გახვეულ, დაღლილ მსახურებს,
დარბაზს ჯერაც სძრავს ციებ-ცხელება;
ცხვირის მოხვინვის ხმა და ხველება
გაისმის ტაშის ხმაში ნარევი,
ჯერ შინ და გარეთ კრთიან ფარნები;
ჯერ შეციებულ ცხენებს ათრთოლებს,
ლაგამ-მოსართავს ვეღარ ითმენენ,
ჯერ მეეტლენი ხელებს იფშვნეტენ
და აგინებენ ცეცხლთან ბატონებს.
ამ დროს სჩვევია ჩემს გმირს გამოსვლა
და ტანსაცმელის სახლში გამოცვლა.

XXIII

თუ შევძლებ ცხადად დავასურათო
მყუდრო ოთახი ძვირფასნივთება,
სადაც მოდების პირმშო უბადლო
ირთვება, იხდის და კვლავ ირთვება?
რაც ზღვა სურვილის გამო საღდება,
რასაც ლონდონი წვრილმან საგნებად,
ჩვენი ხე-ტყის და ქონის წამღები,
გვაწვდის ბალტიკის მღელვარ ტალღებით,
პარიზის ეგზომ ხარბ გემოვნებას,
რაც სასარგებლო შვენის ნაწარმი,
სიამოვნების მგვრელი რაც არის,
რაც ეამება სულს და გონებას,
რაც ფუფუნების საგნად ფოლორცობს —
ჰქონდა თვრამეტი წლის ფილოსოფოსს.

XXIV

ქარვა სტამბოლურს ამკობს ჩიბუხებს,
მოჩანს ბრინჯაო და ფაიფური,
ფაქიზ გრძნობათა მგვრელად იგუბებს
სუნამოს ბროლის თლილი ჭიქური.
ძევს მაკრატლები: სწორი, გახრილი
და ჯაგრისები დგამზე დაყრილი:
ზოგი ფრჩხილების, ზოგი კბილების,
იქვეა რვალის წვრილი ქლიბებიც.
რუსოს უკვირდა — როგორ გაბედა
მასთან (აღვნიშნავ გაკვრით, ზოგადად)
ენაბასრ გიჟთან დაუზოგავთან
ზვიადმა გრიმმა ფრჩხილის გაწმენდა.
მცველი სიმართლის, თავისუფლების
სწორი არ იყო მაშინ სრულებით.

XXV

საქმიან კაცსაც შვენის, როდესაც
არ ავიწყდება მოვლა ფრჩხილების,
რად გვინდა კიცხვა ჩვენი დროისა?
ჩვეულებს მონურად ვემორჩილებით.
ჩადაევს ჰგავდა ჩვენი ევგენიც
და მოშიშარი მწარე ენების
თავს აჩვენებდა ხალხს პედანტივით,
როგორც ამბობენ — ხახვის ფრანტივით.
იგი სამ საათს მაინც არსაით
სარკეს, ტუალეტს არ სცილდებოდა,
გამოსვლა გვიან ახსენდებოდა,
თავქარიანი ვენერასავით;
საოცრად გავდა ქალღმერთს გამოცვლილს
სამასკარადო ვაჟურ სამოსით.

XXVI

ბოლოდროინდელ მოდურ ჩაცმაზე
თქვენს მწყურვალ მზერას რომ ვაჩერებდი,
სწავლულთ წინაშე გმირის ტანსაცმელს
აღვწერდი კიდეც მთელი მშვენებით.
შემწევდა ძალა, გაბედულება,
მაგრამ რუსულში არ მეგულება
ფრაკი, ჟილეტი და პანტალონი,
არ გვაქვს სიტყვანი სხვა საბადლონი,
ვხედავ და წრფელად გებოდიშებით,
ენითაც ღარიბს ეს მენაღვლება —
ლექსი არ მომდევს უფრო ნაკლებად
აჭრელებული უცხო სიტყვებით;
აკადემიურ სიტყვარს ადრევე
თვალყური თუმცა დიდხანს ვადევნე.

XXVII

ახლა სხვა რამე მინდა ჩავითქვა:
გვიჯობს ბალისკენ თუ ავჩქარდებით,
ჩვენი ევგენი უკვე საითაც
მიჰქრის იამსკის სწრაფი კარეტით.
ბნელ სახლებიან, მთვლემარ ქუჩაზე
ფარნები წყვილად კრთიან შუქსავსე,
ერთურთს მიჯრილი კარეტებიდან
ცისარტყელები თოვლზე ბნდებიან.
და გარეშემო სახლი ლამაზი
შემოურკალავს ბრწყინავ კანდელებს,
დიდი სარკმლების მიღმა ლანდების
მიმოსვლას აფენს ფართო დარბაზი,
აჩენს პროფილებს ნაზ ქალებისას
და ახალზნიან კავალრებისას.

XXVIII

დაიძრა ჩვენი გმირი კარისკენ;
შვეიცარს გასცდა თავმოწონებით,
გრძელ მარმარილოს კიბეს აიფრენს,
ისარზე სწრაფად, თმების სწორებით;
შედის, დარბაზი სავსე დახვდება,
უკვე დაღლილი უკრავს მუსიკაც,
ხალხი ხმაურში როკავს მაზურკას,

სიმჭიდროვეში ტყდება ტალღებად;
მხედართ დეზების ისმის წკრიალი,
ფრენენ ფეხები ლამაზმანების,
მიისწრაფვიან მათ ნაკვალევზე
თვალები — მწველი ცეცხლით მზირალი;
ქალთა ჩურჩულში ჭორად რაც თქმულა —
ვიოლინოთა ხმაში ჩანთქმულა.

XXIX

ბალებს ვეტრფოდი გადარეული,
ქცეული ლხენად და გატაცებად,
მსგავსი ადგილი არსად მეგულვის
სიტყვის, წერილის გადასაცემად.
ო, მეუღლენო პატივსაცემნო!
თქვენი შველაა საქმე საჩემო;
გთხოვთ შეისმინოთ შეგონებანი:
გირჩევთ, ფრთხილობდეს ყველა თქვენგანი.
დედიკოებო, თვალი ფხიზელი
ქალიშვილთაკენ გეპყრათ ყოველთვის,
სწორად გეკავოთ თქვენი ლორნეტი!
თორემ... ო, თორემ... ღმერთო გვიხსენი!
ამას რატომ ვწერ, საკითხავია?
არ შემიცოდავს კარგახანია.

XXX

ვაი რომ, დღეებს შეუბრალებლად
ლხინს და გართობას ვანაცვალებდი,
თუმცა, ზნე-წესთა შეუბღალველად,
მეყვარებოდა ახლაც ბალები.
ვუმხელ დამთხვეულ ყრმობას სიყვარულს,
დიდ სიახლოვეს, ბრწყინავს, სიხარულს
და ლაზათიან ქალთა სამოსსაც;
ვეთაყვანები ფეხებს საოცარს;
თუმც მთელ რუსეთში ვერსად შევხვდებით,
ვერ ნახავთ სამ წყვილ სწორ ფეხს ქალისას
ეჰ, მხოლოდ ერთმა გამიხალისა
დუნე სიცოცხლე თლილი ფეხებით.
არდავიწყება მათი მაწვალებს
და სიზმარშიაც გულს მიფანცქალებს.

XXXI

რა დრო, რა მხარე ან რა უდაბნო
გადაგავიწყებს შენსავ გადამრევს?
ნაზო ფეხებო! რომელ უბადლო
ველის ყვავილებს თელავთ ნაადრევს?
გისათუთებდათ აღმოსავლეთი
და ჩრდილოეთის თოვლში არცერთი
ნაფეხურიც კი არ დაგრჩენიათ,
ლბილ ხალიჩებზე გავლა გჩვევიათ,
და ფიანდაზად მათი გაგება.
თქვენს გამო მქონდა მივიწყებული
ქების, დიდების ჟინი გრძნეული,
ჩემი მამული, დატუსაღება?
გაფრენილ იმ წლებს ვინღა შეჰყურებს,
ვით ველზე წაშლილ თქვენს ნაფეხურებს.

XXXII

ო, მეგობრებო, მშვენიერია
დიანას მკერდი, ღაწვნი ფლორასი,
მაგრამ რატომღაც მათ მირჩევნია
თლილი ფეხები ტერფსიქორასი.
მზერას წინასწარ იგი უბედებს
ზღაპრულ საჩუქარს ფასდაუდებელს
და სურვილების გუნდი თავნება
მომხიბვლელთაკენ მიექანება.
ჩემო ელვინა, ის მაქვს იმედად,
გრძელი სუფრის ქვეშ და გაზაფხულის
ბიბინა ველზე ნაზად გართხმული,
ზამთარში — ბუხრის თუჯის კიდესთან,
ძვირფას პარკეტის მბრწყინავ სარკეზე
და ზღვის ნაპირას, ფიქალ სალ კლდეზე.

XXXIII

მახსოვს ზღვის ღელვა გაავდრებამდე;
რა რიგად მშურდა შმაგი ტალღების:
ნეტავ მის ფერხთა ახლოს ვბედავდე
გაწოლას ტრფობით და გალაღებით.
რარიგ მეწადა ერთად შხეფებთან
წარმტაც ფეხებზე ბაგის შეხება.
არა, აროდეს, იმ ცხარ, წუთებში,
ჩემს დაუდეღარ სიჭაბუკეში,
არ მსურვებია მსგავსი განცდებით
არც ბაგეები ნორჩ არმიდების,
არც მკერდი-სავსე კოცნის იმედით
და არც ვარდები მწველი ღაწვების,
არა, ასეთი ღელვა ვნებათა
სულს არასოდეს არ მიბნედავდა.

XXXIV

ვიხსენებ სულ სხვა დროის სიამეს!
ზოგჯერ სანუკვარ, ტკბილ ოცნებებში
ეგზომ ბედნიერ უზანგს ვიკავებ...

და ვგრძნობ იმ ფეხის სითბოს ხელებში.
ისევ დუღილმა წარმოსახვისამ,
ისევ შეხებამ ერთი ქალისამ
აღმიგზნო ჩამქრალ გულში ალმური,
მასვა ვარამი და სიყვარული.
მაგრამ მეყოფა ყველა ქედმაღლის
ქება და ყბედი ჩანგის ჟღერება,
მათგან შთანაბერ წრფელ სიმღერებად
და გატაცებად ერთიც არა ღირს.
გრძნეულთა მზერა, სიტყვა, დასტური
მათ ფეხთა მსგავსად არის მაცდური.

XXXV

ევგენი რას იქმს?.. ეტლში მთვლემარეს
ლოგინი ელის. ბალი დამთავრდა
და სანკტ-პეტერბურგს მარად მღელვარეს
უკვე აღვიძებს დაფი დაფდაფთა.
დგება ვაჭარი, მიდის ბაყალიც,
მეეტლე ბირჟის გზით მიყანყალებს,
ოხტელი ქალი ქოთნით იჩქარის,
ფეხქვეშ უხვნეშის თოვლი ცისკარის,
ისმის სიფხიზლის ხმები ხალასი,
დარაბებს ხსნიან, კვამლი მილიდან
ლილისფერ სვეტად ამოლივლივდა.
და გერმანელი ზუსტი ხაბაზი,
რომ არ იცილებს ქუდს ქაღალდისას,
ისევ აღებდა თავის „ვასისდას“.

XXXVI

ბალის ხმაურით, ცეკვით დაღლილი
და შუაღამედ დილის მსწორები
იწვა საამო ჩრდილში ბალღივით
პირმშო განცხრომის, ლაღი ცხოვრების.
ნაშუადღევზე გაიღვიძებდა,
იგი დილამდე ასე იწყებდა
კვლავ ერთფეროვან და ჭრელ ცხოვრებას,
დღეს გუშინდელის განმეორებას.
მაგრამ ევგენის ანეტარებდა
თავისუფლებით დანამშვენები
წლები, ბრწყინვალე გამარჯვებები,
ყოველდღიური დროის ტარება?
მას ღრეობებში ეცხო ნასახიც
დაუდევრობის და სიჯანსაღის?

XXXVII

არა: ვნებათგან ადრე განელდა,
ადრე მოსძაგდა ქვეყნის გაგანი,
ლამაზებს განა დიდხანს დანებდა
მისი ჩვეული ფიქრის საგანი.
ბევრგზის ღალატმა დაამუნათა,
მობეზრდა ძმობა ძველ მეგობართა,
რადგან სუფრაზე თავგაბრუებულს
ცხელი ბივშტექსის და სტრასბურგული
ნამცხვარის შემდეგ ზოგჯერ უჭირდა
შამპანიურის ბოთლის გამოცლა
და პილპილიან სიტყვის გამოცრა,
თუმც ფიცხი იყო, მკლავიც უჭრიდა.
მაინც მობეზრდა ბოლოს ტიალი
დუელი, ტყვია და ხმლის ტრიალი.

XXXVIII

ავადმყოფობის ერთი სახეა,
რომლის მიზეზის უჭირთ მიგნება,
ინგლისელები სპლინს ეძახიან,
რუსულად მოკლედ „ხანდრა“ იქნება.
მას სენი იგი ნელა ადნობდა,
და თავის მოკვლა, უფალს მადლობა,
ვერ გადასწყვიტა და მოხუცივით
ცხოვრებისადმი გახდა გულცივი.
child-Harold-ის მსგავსად მიბნედილ
და ფერმილეულ სტუმარს ქალებიც
ჭორებით, ცეკვით და ვერც თვალების
ნაბვით და ოხვრით მოურიდებლით
ვეღარ ართობდნენ, სევდა დასჩემდა,
ირგვლივ ვერაფერს ვეღარ ამჩნევდა.

XXXIX.XL.XLI

. . . . . .

XLII

თქვენც, მაღალი წრის ბანოვანებო!
იგი ყველაზე ადრე მოგცილდათ;
გითხრათ სიმართლე, ჩვენს დროს,
საერთოდ,
ეგზომ მაღალი ტონი მოსწყინდა;
კიდევაც ნახავ დამას მშვენიერს,
სეის და ბენტამს რომ იშველიებს;
მათი მსჯელობა თუმცა წრფელია,
საერთოდ დიდი სისულელეა.
რარიგ არიან უბიწოები,
რა ჭკვიანები, რა დიადები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა წმინდანები, რა ზვიადები,
რარიგ ფრთხილები, რა რიგ სწორები,
რა მიუწვდომლად ჩანან კაცებთან,
ნახავთ და სპლინი შემოგაწვებათ.

XLIII

თქვენც, ახალგაზრდა ლამაზმანებო,
გვიანღამ ეტლით გაფრენილები
ვინც ლაღობთ, ვისაც საასპარეზოდ
გაქვთ პეტერბურგის ქვაფენილები,
ჩემმა ევგენიმ თქვენც მიგატოვათ,
დასთმო მშფოთვარე ლხენა, გართობა,
შინ ჩაიკეტა დრონატარები,
ხელი მოკიდა კალამს მთქნარებით;
წერა ეწადა, მაგრამ ეძნელა,
სძაგდა სირთულე, შრომა ალალი,
ვერაფერს ქმნიდა მისი კალამი
და მათ ამქარში ვერ ჩაეწერა,
რომელთა მიმართ აბა რა მეთქმის,
თანამზრახველნი ვართ ერთმანეთის.

XLIV

კვლავ უსაქმობა დასდევს ლანდივით,
ატკივებული სულით იცლება,
და ჯდება იგი — წრფელი წადილით
სხვათა აზრების სურს მითვისება.
წიგნებს თაროზე აწყობს დასტებად,
კითხულობს, კითხვით უქმად გაცდება:
ზოგის მოსაწყენ ბოდვებს, სიცრუეს,
ზოგის სინდისს და აზრს არ ირწმუნებს.
ყველას თავისი სძლევს ბორკილები,
სიძველეს სძალავს ძველთაძველობა;
სიძველით ბოდავს დღევანდელობა;
მან ქალებივით დასთმო წიგნები
და თაროს, მტვრიან ტომთა სამარეს,
სამგლოვიარო თავთავს აფარებს.

XLV

როს შევიცვალე წესი ცხოვრების,
ფუსფუსი მისებრ როს აღვიკვეთე,
დავუმეგობრდი მაშინ ონეგინს,
მომწონდა მისი ბევრი სიკეთე;
ოცნების მონად ვცანი და მწამდა,
უცნაურობით სხვას არ ბაძავდა,
უჭრიდა მკაცრი, ცივი გონება;
ეე რაც მამღვრევდა — მას აღონებდა;
ვნებათ თამაში ერთად მოვლიეთ,
საწუთრომ ორთავ მწარედ გვაცხოვრა,
ორთავეს სისხლმა გვიწყო დაცხრობა
და დაგველოდა გესლი ორივეს
ბრმა ფორტუნის და ადამიანთა,
როდესაც ჩვენმა დილამ ინათა.

XLVI

ვინც სცნო საწუთრო, ის ვერ შეიძლებს
ადამიანთა არშეზარებას,
ვინც განიცადა, ისევ შეიგზნებს
დაუბრუნებელ დღეთა ზმანებას.
გრძნობა ხიბლისა აღარ ებადა,
ქრავდა მას გველი გახსენებათა,
გულს სინანულის კვნესა უღრღნიდა
და ყოველივე ეს საუბრიდან
გამოსჭვიოდა მთელი მშვენებით.
ჯერ მაცბუნებდა მასთან კამათი,
მერე მომნუსხა თავისთავადი
მახვილი ენით, მჭევრმეტყველებით,
ლაღ ხუმრობაში გესლის გარევით
და ღვარძლიანი ეპიგრამებით.

XLVII

ხშირად, როდესაც ძალზე ნათელი
და გამჭვირვალე ღამე ზაფხულის
იდგა ნევაზე ათინათებით,
როცა არ იყო გამოსახული
დიანა წყალის მცინარ მინაზე,
ჩვენ ძველ რომანთა სითბო, სინაზე
გვახსენდებოდა ტრფობად, წარსულად,
ისევე ვთრთოდით ახალგაზრდულად
მგრძნობიარენი და მოლხენილნი,
სუნთქვა ღამისა ჩუმად გვატკბობდა,
და ვით ტუსაღი სატუსაღოდან
სიზმრად ხშირ ტყეში გადმოფრენილი,
ოცნებით ასე ბევრჯერ ჩავეშვით
ჩვენი სიცოცხლის ლურჯ სათავეში.

XLVIII

სასოწარკვეთით, შუაღამისას
ფიქალ გრანიტზე მკლავდაყრდნობილი
იდგა ევგენი, როგორც თავისთავს
ერთი პიიტი ხატავს ცნობილი.
ყრუ სიჩუმეში, მხოლოდ ხანდახან
ღამის გუშაგნი ერთურთს ხმამაღლ
გადასძახოდნენ და შორს დროშკებიც
არღვევდნენ დუმილს დროგამოშვებით.
ბაიდა ობლად, ნიჩბების რხევით
მიუყვებოდა მთვლემარე ნევას,

შორს იტაცებდა ჩვენს ყურთასმენას
სალამურით და ლაღი სიმღერით...
და მაინც ღამის ჰანგთა მოთავეს
ვეტრფეთ ტორკვატოს ხმატკბილ ოქტავებს

XLIX

ადრიატიკა ცისფერტალღება,
ო, ბრენტა! არა, განახავთ როდისმე
და შთაგონება კვლავ მეახლება
ოდეს ჯადოსნურ თქვენ ხმას მოვისმენ.
წმინდად რაცხს მოდგმა მას აპოლონის,
ვუმადლი ამაყ ჩანგს ალბიონის,
ის რომ გამაცნო, ვით მშობლიური
და იტალიის ღამე ღვთიური
ამავსებს ტრფობით, ამიხდენს სურვილს,—
ნორჩ ვენეციელ ქალთან დავტკბები,
მის ბაასს და მის დუმილს გავყვები,
გავწევთ იდუმალ გონდოლის ცურვით;
ამიმღერდება მისგან ბაგენი
პეტრარკას ენით — ტრფობის ჰანგებით.

L

თავისუფლება არ მეღირსება?
დროა მომხედო — მას ვეხვეწები;
ფიქრით ხომალდთა აფრებს ვიზიდავ,
დარს ველი, ზღვისპირ დავეხეტები.
გრიგალმოსხმული, ტალღებსშებმული,
ზღვის მებორძიერში გადაშვებული,
განავარდებას როსღა მოვასწრებ?
როსღა გავშორდე ნაპირს მოსაწყენს,
დავთმო სტიქია — ჩემი მოძულე
და შუადღის ზღვის ფრთონვით ვილაღო,
ჩემი აფრიკის ცისქვეშ ვინაღვლო
რუსეთი — მრუმე მწუხრით მოცული,
სადაც ვცან ტრფობა და სივაგლახე,
სადაც ტანჯული გული დავმარხე.

LI

ეწადა ჩემთან ერთად ონეგინს
ნახვა, გაცნობა მრავალ ქვეყნისა,
მაგრამ გაგვყარა ბედმა ტოლები,
შეხვედრა დიდხანს აღარ გვეღირსა.
მაშინ მოუკვდა მამა მშობელი,
და მის გარშემო გაუძღომელი
შევახშეების შემოკრბა რაზმი,
ყველამ გამოთქვა თავისი აზრი;
ევგენი მათთან კი არ დავობდა
თვისი წილ-ხვედრის იყო ყაბული,
დასთმო სამკვიდრო ადგილ-მამული,
დანაკლისს დიდად ან არ დარდობდა
ან წინათგრძნობის ამცნეს წამებმა
მოხუცი ბიძის გარდაცვალება.

LII

და უცებ, მართლაც, ბიძის ამბავი
მოურავისგან მოსდის ონეგინს,
რომ ბერიკაცი წევს მომაკვდავი —
ნატრული მასთან დამშვიდობების.
გადაიკითხავს წერილს მწუხარეს
და ჩემი გმირი ელვის უსწრაფეს
საფოსტო ეტლით გაემგზავრება,
წინასწარ თანგავს გზაზე მთქნარება.
ფულის გულისთვის ელის დღეიდან
ოხვრა-კვნესანი, თვალთმაქცობანი,
(რითაც დავიწყე ჩემი რომანი)
მაგრამ სოფელში როცა შევიდა,
მან მაგიდაზე ცხედარს ბიძისას
დახედა, ვით ხარკს დედამიწისას.

LIII

მას სამზადისით დახვდა სახლკარი;
ცხედრისკენ მძიმედ გამოემართა
მტერმოყვარეთა მთელი ლაშქარი —
ტრფიალი სხვათა გასვენებათა.
როცა დაკრძალეს მიცვალებული,
ხალხი სმა-ჭამას მიძალებული
და მღვდლები ბოლოს ისე წამოდგნენ,
თითქოს საქმეზე მიისწრაფოდნენ.
ჩვენი ევგენი გახდა სოფლელი;
ტყეთა, მიწათა, ტბათა, მინდორთა
სრული მფლობელი ერთ დროს ვიდოდა
ამრევ და მფლანგველ კაცად ცნობილი,
და სიხარულით იყო აღსავსე,
ძველ გზას რომ სცვლიდა სხვა რაღაცაზე.

LIV

ორ დღეს სიახლედ ეჩვენებოდა
მყუდრო მინდვრები ცვრით გალუმპული,
მუხნარში გრილი მწუხრი ჩეროთა
და ნაკადულის წყნარი ჟღურტული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე დღესვე მთის და ჭალაკთა
ნახვის სურვილი გაუჩანაგდა.
მერე ძილს გვრიდა მათკენ მიხედვა,
და ბოლოს იგი მწარედ მიხვდება:
თუმცა აქ სევდის, მოწყენის გარდა,
არც ქუჩებია, არც პალატები,
არც ბანქო, არც ბალმასკარადები,
არც ლექსებია და ძველი ხანდრა
დაჰყვება უკან ადევნებული,
ვით ლანდი ანდა ცოლი ერთგული.

LV

დავბადებულვარ, რომ მშვიდ ცხოვრებას,
სოფლის სიყუჩეს ვთვლიდე ედემად,
სადაც ჩანგის ხმა უფრო ცხოვლდება,
სიზმრებს მიცოცხლებს შემოქმედებად.
ყოვლად უცოდველ მოცლას ვნებდები,
უდაბურ ტბისპირ დავეხეტები,
Far niente*-ს კანონს კი არ ვივიწყებ,
და ყოველ დილით მისთვის ვიღვიძებ,
რომ ვიტკბო შვება, თავისუფლება.
ცოტას ვკითხულობ — ძილი მინდება,
არ ვდევ წარმავალ სახელ-დიდებას.
და განა ასე სულ უზრუნველად,
სულ უმოძრაოდ ჩრდილში შემდგარნი
არ გაქრენ ჩემი დღენი ნეტარნი?

LVI

სულით მოგბარდით ტრფიალს, განცხრომას.
სოფელს, ყვავილებს, მინდვრებს,
ბაღნარებს!
ჩემს და ონეგინს შორის სხვაობას
როცა ამჩნევენ, მუდამ მახარებს,
რომ არც მკითხველმა გესლის მთხეველმა,
არც რომელიმე გამომცემელმა
ცილისმწამებლურ შედავებისა,
ჩვენთა სახეთა შედარებისას
არა თქვას უღვთოდ და ირონიით,
თითქოს ვჯღაბნიდე პორტრეტს საკუთარს,
ვიმეორებდე პოეტს სანუკვარს,
რომ გულგოროზი ბაირონივით,
თითქოსდა ვერ ვწერთ სხვაზე პოემას
და ვხატავთ მხოლოდ ჩვენს პიროვნებას.

* უსაქმურობა

LVII

აქვე შევნიშნავ: ყველა პოეტი
შორით ტრფიალის მეგობარია.
ზოგჯერ საყვარელ საგანს ვპოვებდი
სიზმრად და მალულ შემომპარვია
სულში იდუმალ სახედ წვეული,
შემდეგ მუზისგან გაცოცხლებული.
რა უზრუნველად ვწერდი ყველაზე:
მთიელ ასულზე, ჩემს იდეალზე.
სალგირისპირელ ტყვედქმნილ ქალებზე
დღეს მოყვასთაგან ხშირად ჩამესმის:
„ვისი მონა ხარ, ვისი ალერსის,
შენი წუხილი ვისთვის გალექსე?
ეჭვიან ქალთა დუნგში რომელი
სცან ღირსად შენი საგალობელის?

LVIII

ზეშთაგონება ვინ აგიღელვა
მზერით და ნაზი მოალერსებით,
ვინ დაგიღონა ლაღი სიმღერა?
ვის აღმერთებდი შენი ლექსებით?"
ო, მეგობრებო, არვის, ღმერთმანი!
ტრფიალის შმაგი ვნებათკვეთანი
გამომიცდია გაუხარებლად.
ნეტარ არს იგი, ვინც უხამებდა
სიყვარულს რითმებს და გაიორა
მან სიყვარულის წმინდა ბოდვები;
პეტრარკას კვალზე თავგამოდებით
დაგვა გულისა გაიიოლა,
და თან დიდება სცნო სასურველი;
მე ტრფობით ვიყავ მუნჯი, სულელი.

LIX

ტრფიალი გაქრა, მუზა მოფრინდა,
ბნელი გონება მისგან განათდა.
მოცლილს თავშეყრა ისევ მომინდა
გრძნეულ ბგერათა, ფიქრთა, განცდათა;
ვწერ და არ გმინავს გული გვემული,
შეწყვეტილ ლექსთან აზრდაბნეული
აღარ ახატავს წვერი კალმისა
არც ფეხებს, აღარც სახეს ქალისას.
და ვნაღვლობ, ვნაღვლობ
ცრემლებგამშრალი;
ჩამქრალი ფერფლი ვეღარ იალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ნაკვალევს ნაქარიშხალევს
სულმთლად წარიშლის სული მაშვრალი:
მაშინ დავიწყებ დაუყოვნებლად
ოცდახუთ ჰანგად ახალ პოემას.

LX

ვიდრე გმირს სახელს დავანათლავდი
და გეგმა ვაგე დამაფიქრველი,
ჩამოვათავე კიდეც მანამდე
ჩემი რომანის კარი პირველი.

გადავიკითხე მკაცრად მაშინვე,
მრავალი ნაკლი აღმოვაჩინე,
მაგრამ სწორება არ მომესურვა.
გავუსწორდები თვითონ ცენზურას;
ჟურნალისტებსაც დარჩი საკვებად,
ნაყოფო ჩემო, ნაღვაწ-ნაშრომო,
გასწი ქმნილებავ, ახალნაშობო,
ნევის ნაპირებს გაჰყევ საქებად
და მომიხვეჭე ღირსი დიდება:
მითქმა-მოთქმა და ლანძღვა-გინება!

თარგმნა **ოთარ ჭელიძემ**

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

გზაზე ერთი პაცი მიდიოდა

რომანი

ზღვიდან მობერილ ქარებს ქალაქში უკვე დამპალი წყლის მქისე სუნი მოჰქონდათ. ნაპირი მორღვეულიყო, გადასხვაფერებულიყო, უცხო იერი დაჰკრავდა. ზღვა ხან ყალყზე შემდგარი, კუდით დათრეულ ურჩხულივით ღრიალებდა, იფურთხებოდა, ხან კი წყნარად, ფშვინვითა და ოხვრით მიიპარებოდა. გამწარებული ბედია ტანზე დახვეულ თოკს მოიხსნიდა ხოლმე, არა, როგორღაც გამოძვრებოდა თოკის გაბურძგნული გორგალიდან და იქამდე ცემდა, ტკეპნიდა და ჩეჩქვავდა ფეხებით, სანამ დაღლილობისაგან თავბრუ არ დაეხვეოდა. თოკის ცემით გულს რომ მოიოხებდა, გაფერთხავდა, გაასწორებდა და ისევ გადაიცვამდა, ისევ შეძვრებოდა შიგ, როგორც ლოკოკინა ნიჟარაში.

ზღვის ბალახი კვამლივით გაჰკვროდა მიტოვებულ მიწას, თუმცა აღარც მიწა ეთქმოდა და აღარც წყალი: ობმოკიდებული, აშმორებული და დაბუშტული გუბეები მთელ სიგრძეზე მოურჩენელ წყლულებივით დასეოდა. გეგონებოდათ, ვიღაც გულქვა მტერს ხრწნაგამჯდარი გვამი საფლავიდან ამოუთხრია და უპატრონოდ, თოლიების საძიძგნელად დაუგდიაო.

ქალები ზღვის ბალახს გლეჯდნენ, ტომრებით ეზიდებოდნენ და გასაშრობად სახლების წინ პირდაპირ ქუჩებში ჰფენდნენ. ბალახი მზეზე ოქროსფრად ბზინავდა და სასიამოვნოდ რბილდებოდა. ქალები ირწმუნებოდნენ: ამ ბალახით გატენილ ლეიბზე ბავშვებს უკეთესადაც ძინავთ და უკეთეს სიზმრებსაც ხედავენო.

ერთი სალეიბე ბალახი ქალუკამაც მოაგროვა, მზეზე გააღუნღულა და ზედ თავისი შვილიშვილი დააგორა. ბავშვს ყველანი კუსას ეძახდნენ, რადგან ერთხელ შუბუმ რომ დახედა, თქვა: შეხედეთ ამ მამაძაღლს, როგორ კუსავს თვალებსო. ეს სახელი ბოლომდე შერჩა კიდეც.

კუსა ჯანსაღი ბავშვი იყო და სხვები წლობით რომ იზრდებოდნენ, ის თვეობით იზრდებოდა. ერთდროულად აიდგა ფეხიცა და ენაც. იზრდებოდა და დღითიდღე მამამისს, ფილამონეს ემსგავსებოდა, მაგრამ პოპინასთან ამის თქმას, რატომღაც ყველანი ერიდებოდნენ, სანამ თვითონ პოპინამ არა თქვა: ეს არგასაჩენი, პირწავარდნილი ფილამონეაო. პოპინას ამგვარი განცხადება ოჯახის დანარჩენმა წევრებმა ფილამონეს შეწყნარებად ჩათვალეს და გაუხარდათ. ფილამონეც ხომ მათი ახლობელი იყო. ვინმე რომ იტყოდა: ნეტა-

გაგრძელება იხ. „მნათობი“, 1972 წ. № 11, 12.

ვი სად არის ახლაო, პოპინა მაშინვე უპასუხებდა: სადაც არ უნდა იყოს, ყველგან სულელად დარჩებაო.

ქალუკა იმის მადლობელიც იყო, მის შვილს რომ ახსენებდნენ, ავად თუ კარგად; მაგრამ როგორც კი ფილამონეზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მაშინვე რამე საქმეს გაიჩენდა, საუბარში არ ჩაერეოდა, თუმც მთელი გულისყური მოსაუბრეებისკენ ჰქონდა. თვითონ სხვების გასაგონად ერთხელაც არ უხსენებია შვილის სახელი. გულში კი ვერავინ ჩახედავდა. არც ჩაახედებდა. დედა-შვილის ამბავი, მარტო დედა-შვილის ამბავი იყო და მესამისთვის, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ადგილი აღარ რჩებოდა. ქალუკას არც ის წყინდა პოპინა ფილამონეს სულელს რომ ეძახდა, რადგან იცოდა, პოპინას საამისო მიზეზი ჰქონდა. ქალუკას პოპინაც შვილივით ყავდა გაზრდილი, შვილში არ გამოერჩეოდა და ამიტომაც იყო სწორედ, მშობლის უტყუარმა ალღომ თავიდანვე რომ გააფრთხილა, კი არ გააფრთხილა, დაარწმუნა, პოპინას ფილამონე უყვარსო. ქალუკა ამას შვილის დაკარგვაზე დიდ უბედურებად თვლიდა. ფილამონეს დაკარგვა მისივე სიმხდალისა და უმეცრების ბრალი იყო, ხოლო ამ სიმხდალესა და უმეცრებას, სრულიად დაუმსახურებლად და უსამართლოდ, მეორე ადამიანიც ეწირებოდა. „ჩემს შვილს ჩემს მერე ყველაზე კარგად პოპინა იცნობსო“ — ფიქრობდა ხოლმე ქალუკა. ქალებს კი ერთმანეთში ამ საკითხზე არასოდეს არ ულაპარაკიათ. უთქმელადაც უგებდნენ ერთმანეთს. როცა ქალუკამ გულშეწუხებული პოპინა აბაზანიდან ამოიყვანა და, როცა ტუჩებგადალურჯებულმა პოპინამ საწყალობლად გაუღიმა, მაშინვე გადაწყვიტა არასოდეს აღარ მიეტოვებინა იგი, მისი ფეხის მტვერი ეკოცნა, იქნებ ოდნავ მაინც გამოესყიდა მხდალი და უმეცარი შვილის დანაშაული. ამიტომაც არ გაჰკიდებია ქალუკა ფილამონეს. მას უკვე აღარ ჰქონდა უფლება, მიეტოვებინა ეს საბრალო ქალი, ძალის თვალებით რომ ემუდარებოდა შველასა და შემწეობას, სიყვარულს რომ გაეთელა და დაეკნინებინა. გარდა ამისა, სანამ ის პოპინას გვერდით იქნებოდა, პოპინასაც არ გაუქრებოდა ფილამონეს დაბრუნების იმედი. თუმცა თვითონ დარწმუნებული იყო, ფილამონე არასოდეს აღარ დაბრუნდებოდა. შიში, რომელსაც სიყვარულის გადაძლევა შეეძლო, შინისკენ მიმავალ გზასაც ადვილად დაავიწყებდა. ფილამონე შიშის წილი იყო, შიშის ბინადარი და ქალუკა გულის სიღრმეში ამასაც თვითონ იბრალებდა, რადგან თვითონ გაეჩინა, ასეთად გაეჩინა და ახლა კეთილი უნდა ენება, თავი ჩაეღუნა და სასჯელიც უსიტყვოდ და უწუწუნოდ აეტანა. იტანდა კიდეც.

ორი ერთნაირად გულმოკლული და ერთნაირად უთქმელი ქალის მთელი სითბო და სინაზე, იმედიცა და სიყვარულიც კუსას დაეფრქვია თავზე. ალღოიანი და მოუსვენარი კუსა გაჩენის დღიდანვე ორი უერთგულესი და მუდმივი მონის პატრონი გახდა. კუსამაც შეიშნოვა და ხალისიანად შეუყვა ცხოვრების აღმართს, ხალისით იზრდებოდა და ხალისით ებლანდებოდა ყველას ფეხებში. ეს სიხალისე ბოლომდე გაჰყვა, თუმცა ბევრი მისი ოცნება ოცნებადვე დარჩა და არც შესაშური ჰქონდა რამე, ერთი თვისების გარდა: კუსას ყველა განვლილი დღე უმტკივნეულოდ ავიწყდებოდა და ყველა მომავალი დღიდან უკეთესს და უკეთესს მოელოდა. თორმეტი წლის ძლივს იქნებოდა, უეცარი გამდიდრების სურვილით შეპყრობილი, ღვინის ვაჭარ ბახას რომ მიადგა და უთხრა: ქალიშვილი მომათხოვეო. ღვინის ვაჭარმა ბახამ, თავის საყვარელ სკამზე რომ იჯდა, მუხლებს შორის თავისი საყვარელი ჯოხი რომ ჩაედგა, ჯოხის მომრგვალებულ თავზე ხელები კრამიტებივით რომ დაეწყო და იმ კრამიტებზე ნიკა-

პი დაებჯინა, დიდხანს ათვალიერა სახეალეწილი ლაწირაკი, სიძეობას რომ თავაზობდა. მერე კი ჰკითხა: ქალიშვილი სამი მყავს, შენ რომელსა მთხოვო?

— ჩემთვის სულერთიაო, — არ დაუგვიანა პასუხი კუსამ.

ღვინის ვაჭარი ბახა ისევ კარგახნით გაჩუმდა. „რა სხვანაირი ხალხი წამოვიდაო“ — გაიფიქრა შიშნარევი სინანულით და როცა სახე ალეწილი ლაწირაკი ადგილზე ცქმუტვას მოჰყვა, ისევ ჰკითხა: სხვა რა შეგიძლიაო. „ჯერ არაფერი, — უპასუხა კუსამ მაშინვე, — ჯერ არაფერი შემიძლია, მაგრამ ყასბობა მინდა შევისწავლოო“.

ისევ გაჩუმდა ღვინის ვაჭარი ბახა, ისევ დიდი ხნით, მაგრამ კუსაც მოთმინებით უცდიდა საბოლოო სიტყვას. გულში კი ყასბობაზე ფიქრობდა, თავს იქებდა, ეს რა კარგი მომაგონდაო, და თანდათან ჭკუაშიც უჯდებოდა. როდის-როდის ღვინის ვაჭარმა ბახამაც გამოწირა: ყასბობას რომ ისწავლი, მერე მობრძანდიო.

— კეთილი და პატიოსანი. — უპასუხა კუსამ.

გულში კი სამჯერ ზედიზედ კიდევ გაიმეორა: კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანიო.

კუსამ ვანში სახელგანთქმულ ყასაბს ბებია მიუგზავნა. ფუშიანმა (ასე ეძახდნენ ყასაბს) ქალუკა არ გააწბილა, მაგრამ მთელი წელი ისე გავიდა და მეორეც ისე მიჰყვა უკან, კუსას დანა და ცული ხელში არც აუღია.

— ბიჭო, — ეუბნებოდა ფუშიანი — ყასბობა შენ რა გგონია...

ფუშიანი მართლაც ისე ოსტატურად ჭრიდა და ახარისხებდა ხორცს, მისი ცქერა ერთ რამედ ღირდა. შეგირდიც გაფაციცებული შესცქეროდა და ვერც კი გრძნობდა, ძვლისა და ხორცის წვრილი ნაკუწები სახეში რომ ეფრქვეოდა. კუსა ხანდახან გულისპირს განგებ მოითხვრიდა ხოლმე სისხლით, რათა შინ დაბრუნებულს მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა ქალებზე. „ამასაც პაპამისივით, სისხლი ეყვარებაო“ — ამბობდა შუბუ.

სიზმარს რომ არ შეეშალა ხელი, კუსასგან მართლაც სანაქებო ყასაბი დადგებოდა. მაგრამ სიზმარმა, ისედაც მხდალი კუსა, ისე დააფრთხო, საყასბოსკენ გახედვაც აღარ უნდოდა.

იმ ხანებში, როცა კუსა ყასბობას სწავლობდა, მთელი ქალაქი ხეიბრებით იყო სავსე. ქუჩაში ისე ვერ გაივლიდი, ფეხი რომ არ წამოგედო ძონძებისათვის, საიდანაც მაშინვე შემოგაჭყეტდა გაჩეჩქვილი შუბლი, გამოთხრილი თვალი თუ იდაყვამდე დამოკლებული მკლავი, რომელიღაც ტიტველი ცხოველის თავკისერივით რომ სავსავებდა ჰაერში. ისინი ომის ხეიბრები იყვნენ. სადღაც, ცხრა ზღვის იქით ატეხილ ომში ვანიც მონაწილეობდა. „ჯარიო“ — შემოთვალა ყველაზე დიდმა მეფემ და არც ოყაჯადომ დაუგვიანა. ვალს გადახდა უნდოდა. ზედიზედ გადიოდნენ ვანის აშმორებულ ნავსადგურიდან კოლხი მეომრებით გაძიძგული ხომალდები. იმავე ხომალდებს ხეიბრები მოჰყავდათ უკან, ხეიბრები და ომის ამბები. სამშვიდობოს გამოსული, დამახინჯებული, მაგრამ სიკვდილს გადარჩენილი ბიჭები იდაყვამდე დამოკლებული მკლავებით იჩოჩებდნენ ნაწყალობევი ღვინით სავსე ჯამებს და ყვებოდნენ, ყვებოდნენ, ყვებოდნენ გაუთავებლად. შეიძლება, სიამოვნებდათ, ეამაყებოდათ კიდეც, მათი მონაყოლი ასე რომ აშინებდა ხალხს. სანამ ხეიბრებს მსმენელი ყავდათ, თავს გარიყულად, გამორჩეულად აღარ გრძნობდნენ, რადგან ყველანი, ისინიცა და მსმენელებიც ერთნაირები იყვნენ. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვის რა ამახინჯებდა: მახვილი თუ შიში.

დიდხანს გაგრძელდა ასე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ყველას ერთად არ მოუსვეს ხელი. ხეიბრები გაქრნენ, მაგრამ მათი ნაამბობი დარჩა.

კუსას სიზმარიც ამ ხეიბრების მონა-

ყოლს გაეჩინა. სიზმარში კუსა ვითომ უკვე გამხდარიყო ყასაბი, ბოლო-ბოლო მაინც ასრულებოდა ოცნება და მიეღწია ცულის პირებით დასერილ კუნძამდე, მაგრამ ამ კუნძიდან ადამიანის თავფეხი ცვიოდა კალათებში.

გამოეღვიძა თუ არა, ცხედარივით გადაფითრებული კუსა ფუშიანთან გაიქცა და გამოუცხადა: ღღეიდან აღარ მოვალ, ამ საქმიდან ხელი ამიღიაო.

— ბიჭო, თუ იცი რა ახლოსა ხარ მიზანთან. — გულწრფელად შეუუხდა ყასაბი. მისი აზრით კუსას სულ ცოტაღა აკლდა ყასბობამდე, სულ ცოტაც და კუსა ღირსეული გამგრძელებელი იქნებოდა ამ ხელობისა, მაგრამ კუსას ისე მორეოდა შიში, აქ გაჩერებაც აღარ შეეძლო, ცულის პირებით დასერილი და ქონით გადაგლესილი კუნძის დანახვაზე გული მისდიოდა. ცოტა ხნით განუდგა ცხოვრებას, შიშით იყო ავად და სიმყუდროვე ჭირდებოდა, ჩათბუნება, ოფლის მოდენა, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც რომ გამოსვლოდა ტანიდან ეს წყეული სენი. ახლა იგი მთელი დღეები ფარნაოზის სახელოსნოში იჯდა, ჩაქუჩისა და სატეხის ხმა ამშვიდებდა, თენთავდა და ოცნებებში ხვევდა. კუსას არც ადრე მოსწონდა ბიძის საქმიანობა და არც ახლა თვლიდა კაცის საქმედ, მაგრამ აქ, ამ ფარღალალა ფიცრულში თავს უფრო მშვიდად გრძნობდა, შიშიც იოლად ავიწყდებოდა, რადგან ბიძამისს ფართო ბეჭები ჰქონდა და ხელში ჩაქუჩი ეჭირა.

ფარნაოზს თავისი „სახელოსნო" ჰოპინას სამღვბროსთვის მიეშენებინა, მამის სატრფიალო „ბარათები" კედლის გასწვრივ ჩაემწკრივებინა და ამ ქვებიდან ძაღლის თავებს აქანდაკებდა. დამარცხების შემდეგ შეაკოწიწა ფარნაოზმა ეს სახელოსნო და იმის მერე ჩაქუჩი და სატეხი აღარ გაუგდია, თითქოს ეს მიესაჯათ მისთვის, დამარცხებულისთვის, თავაუღებლად უნდა მჯდარიყო და ქვები ექუცმაცებინა. ფარნაოზიც პირნათლად იხდიდა სასჯელს. უხეიროს ტლანქი ხელეფი ამოკაწრული, თავბრუდამსვლელი ეზოებსა და სიყვარულის მღაღადებელი წარწერები სატეხის ქვეშ თანდათან იფშვნებოდნენ, იშლებოდნენ და ქრებოდნენ. ქვაზე ასხლეტილი სატეხი ნაპერწკლებს ყრიდა და ფარნაოზის წარბებს, უპეებსა და მხრებს ქვის რუხი მტვერი ედებოდა. ფარნაოზს უკვე ძაღლის რამდენიმე თავი გამოექანდაკებინა, ყველა ცუგას გავდა. კუსაც რომ მოსწრებოდა ცუგას, არც მას გაუჭირდებოდა ამ მსგავსების შემჩნევა. ფარნაოზი ახლაც ცუგას თავს აქანდაკებდა, ასე ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ბევრი რომ აღარაფერი აკლდა დამთავრებას და მხოლოდ ერთი წამით შეაჩერა ჩაქუჩი, რათა ხელის ზურგით თვალში ჩავარდნილი ქვის ნამცეცი ამოეწმინდა, სახტად დარჩა, გაოცებისგან თვითონაც პირი დააღო: ინო შემოსცქეროდა.. ფარნაოზი აღელდა, დაბნეულმა გამოხედა კუსას, მერე დაუბრუნა და ქანდაკების თვალებსა და პირის ჭრილში ჩარჩენილ მტვერს სული შეუბერა.

— ეგ გოგო მგონი მეცნობა. — თქვა კუსამ.

ფარნაოზი ახლა ამან ააღელვა, კუსასი შეეშინდა, საკუთარი დისშვილისაც, უნებურ მოწმედ რომ დახვედროდა ფარნაოზის სახელოსნოში მალულად შემოპარულ ინოს. ინო ქვიდან გამოწურულიყო, ქვა გამოერღვია, მაინც მოეღწია ფარნაოზამდე, ის კი მოწმეს ახვედრებდა. არა, არავის არ უნდა სცოდნოდა, კიდევ რომ არსებობდა ერთი ქვეყანა, სადაც ისა და ინო ერთმანეთს ძველებურად ხვდებოდნენ. იმ ქვეყანას საკუთარი დრო არ გააჩნდა და უთავბოლოდ ურევდა ერთმანეთში უკვე გარდასულ დღეებსა და შემთხვევებს. სამაგიეროდ ყველა დღესა და შემთხვევას პირველყოფილ სიცხადესა და სიცხოველეს უბრუნებდა. ამ ქვეყანას ფიქრი ერქვა, ყველა ზღაპ-

რულ ქვეყანაზე უხილავი და მიუდგომელი იყო, მაგრამ ფარნაოზს მაინც შეეშინდა, თითქოს მართლა შეეძლო ვინმეს ფიქრის აკრძალვა, აკრძალვა კი არა, წართმევა, ამიტომაც იყო, დაბნეულმა რომ ამოილუღლუღა: საიდან უნდა იცნობდე, როცა არ არსებობს, ჩემი მოგონილიაო.

აღარც კუსა ჩასციებია. კუსა აქ თავშესაქცევად, სამკურნალოდ შემოდიოდა და სხვა არაფერი აინტერესებდა. არა, მთლად ასე არ იყო, რაღაც-რაღაცეები კუსასაც აინტერესებდა ამ სახელოსნოში. მაგალითად, ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა სარგებლობის მოტანა შეეძლოთ ქვიდან გამოკვეთილ თავებს. „მერე რა უნდა ვუყოთ ამდენ ქვასო“ — არ ასვენებდა კუსა ბიძამისს, მაგრამ ფარნაოზი მხრებს იჩეჩავდა, თვითონაც არ იცოდა და იმიტომ. მთლად ტყუილუბრალოდ რომ არ დაეკარგა დრო, კუსა ფიქრებს მიეცა: შეიძლებოდა თუ არა, მართლა გამომდნარიყო რამე ამ თავშესაქცევი საქმიდან. იმდენი იფიქრა, იმდენი იფიქრა, რომ ბოლოს მოიფიქრა კიდეც.

— მაგ ძაღლის თავს ჯადო აქვს. ქურდებს აფრთხობს, — თქვა კუსამ.

ფარნაოზმა გაკვირვებულმა მოხედა. კუსამ გაიღიმა და ისევ გაიმეორა: უბრალო კი არ არის, სადაც ეგ იქნება, იმ სახლს ქურდი ვერ მიეკარებაო.

ახლა ფარნაოზმაც გაიღიმა. „რა იყო, რა გაცინებს, — უცებ გაცხარდა კუსა, — ვანის ბაზარში რაღას არ ყიდიან, შენც გაიტანე, იქნებ ვინმე გაბრიყვდესო“.

ფარნაოზი ძაღლის თავს გაყიდდა, ფულს ჩაითვლიდა, მერე იმ ფულს შავთვალება მალალოს ჩაუთვლიდა. შავთვალება მალალო ინოს გამოუყვანდა, ხოლო ავაზაკი ტაშფანდურით შეეგებებოდა ინოსა და ფარნაოზს, სადა ხართ აქამდეო.

ფარნაოზს მწარედ გაეღიმა. პირიც გაუმწარდა, მაგრამ იმედის თესლი ჯიუტი აღმოჩნდა, კლდეშიც გაიდგა ბორჯგი, მალე ტანიც აიყარა [illegible] ვარდისფერი ყვავილი [illegible] არ უნდა გაეხედა ფარნაოზს, ეს ყვავილი ეჩხირებოდა თვალში. ისეთი დიდი იყო ცდუნება, ისეთი მომხიბვლელი, ფარნაოზმაც ვეღარ გაუძლო ბოლომდე, ძაღლის თავი ტილოში გაახვია, იღლიაში ამოიდო და ვანის ბაზარს მიაშურა. „ამ ძაღლის თავს ჯადო აქვს, ქურდებს აფრთხობსო“ — გზადაგზა იმეორებდა ფარნაოზი, რადგან თვითონვე გრძნობდა, თუკი ვინმე გაბრიყვდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ ამ სიტყვებში გადაუხდიდა ფულს. მოხსნა თუ არა ტილო, მაშინვე ჰკითხა ვიღაცამ: რას აფასებ, ბიჭო, ქვასო. ფარნაოზს მაინც დასწყდა გული, მაგრამ ახლა ბუტიაობის დრო არ იყო. „ქვა კი არა, ძაღლის თავია, ვინც იყიდის, იმის სახლს ქურდი ვეღარ გაეკარებაო“ — უპასუხა ფარნაოზმა. რადგან ვანში ქურდობა ახალი ხილი იყო, ამიტომ ყველას ძალიან ეშინოდა. აქამდე ვანში კარის ჩაკეტვა რა იყო, ისიც კი არ იცოდნენ.

ძაღლის თავი მართლა გაიყიდა. ჩაუდეს თუ არა ფარნაოზს ხელში ფული, მაშინვე ცეცხლის სუნი ეცა, მიიხედ-მოიხედა კიდეც, ამ შუა ბაზარში ცეცხლი ვის უნთიაო, მაგრამ ვერაფერი დაინახა. შავთვალება მალალოს სახლამდე ეს სუნი არ მოშორებია, თითქოს ამ სუნს მიჰყავდა, რადგან თვითონ არც კი გაუგია, როგორ მივიდა სანატრელ სახლამდე, დაუკითხავად, როგორ შეაღო მძიმე კარი და როგორ აღმოჩნდა გრილსა და დაბინდულ ოთახში. „მასპინძელო“ — დაიძახა, არა, დაიჩხავლა ვიღაცამ და მხოლოდ მერე დაინახა ფარნაოზმა შავთვალება მალალო. შავთვალება მალალოს შიშველი მკლავი მაგიდაზე ჩამოედო, სანახევროდ გაშლილ თითებში ყურძნის შეუჭმელი მარცვალი შერჩენოდა და ეძინა. ფარნაოზმა ყურძნის მტევნებით თავმობმული თასიც დაინახა, თასი იქვე იდგა შიშველი მკლავის გვერდით. „მასპინძელო“ — ისევ დაიჩხავლა ვიღაცამ და

შავთვალება მალალომ თვალები უცებ დააჭყიტა, თითქოს აქამდე განგებ ჰქონდა დახუჭული. ფარნაოზს რომ შეხედა, აიმრიზა. ყურძნის მარცვალი, რომელიც ვინ იცის, რამდენ ხანს ეჭირა ასე, პირში ჩაიდო და წინა კბილებით გახეთქა. ფარნაოზი ისე შეკრთა. თითქოს სახეში შეეწუწა გამსკდარი მარცვლის წვენი. მერე გამბედაობა მოიკრიფა და ფული, რატომღაც მაგიდაზე კი არა, იატაკზე დადო, შავთვალება მალალოს ფეხებთან. შავთვალება მალალომ ფულს ფეხის ცერა თითი ოდნავ წაჰკრა. თითქოს გადათვალა, და შიშველ მკლავზე დაიმთქნარა, ბუთხუზა და გრძელკუდიანი ცხოველივით რომ დაესვენებინა მაგიდაზე.

— ფული მოგიტანე. — თქვა ფარნაოზმა, რაკი დარწმუნდა, შავთვალება მალალო მასთან გამოლაპარაკებას არ აპირებდა.

— ეგრეა. ვალს დაბრუნება უნდა. — მთქნარებას ამოაყოლა შავთვალება მალალომ.

ფარნაოზს გულში ათასჯერ ჰქონდა გადამეორებული, რაც აქ უნდა ეთქვა, რასაც, მისი წარმოდგენით, შავთვალება მალალოც უნდა აეღელვებინა, გაეხარებინა: ეს რა კარგი დღე გამითენდა, ჩემს ნაბოლარას რა ერთგული პატრონი გამოსჩენიაო. სინამდვილეში კი სხვანაირად ხდებოდა. ფარნაოზი დამუნჯებულიყო, გამოშტერებულიყო და ყველაფერი დავიწყნოდა. შავთვალება მალალო კი ამთქნარებდა და წინა კბილებით ყურძნის მარცვალს ხეთქავდა. „ფული ხომ მოგიტანე... ფული ხომ მოგიტანეო“. — უაზროდ იმეორებდა გუნებაში ფარნაოზი, ხოლო როცა შავთვალება მალალომ სიმღერის ნაცვლად ჩვეულებრივად დაილაპარაკა, გაოცებისაგან პირი დააღო.

— ჩემი გოგოები არ თხოვდებიან, — თქვა შავთვალება მალალომ და უცებ წამოდგა, კი არ წამოდგა, ახრჩოლებულ ნეშოს ბოლივით წამოიზლაზნა, იატაკზე დაყრილ ფულს გადმოაბიჯა და კარისკენ წაბაჯბაჯდა. ფარნაოზმა უნებურად იქით გაიხედა, საიდანაც შემოვიდა. არა, ეს სხვა [illegible] რომელიც ფარნაოზს აქამდე [illegible] ეჭირა, რადგან ფარდა მალავდა. ფარდაზე ქალთევზა ამოექარგათ და როცა შავთვალება მალალომ ფარდა გადასწია, უცებ გაქრა, თითქოს მართლა წყალში ჩაყვინთაო. შავთვალება მალალო კარს ფერდით მიაწვა, უხმაუროდ შეაღო ოდნავ, ღრიჭოში ფეხი ჩადგა და ფარნაოზს ანიშნა მოდიო. ფარნაოზი ბრმად დაემორჩილა. ბრძანებას, ასევე ბრმად მივიდა კარამდე და ღრიჭოში შეიხედა, თუმცა არავის უთქვამს, შეიხედეო. მიხვდა, ამისთვის რომ ეძახდნენ. მაშინვე ლოყაზე შავთვალება მალალოს უზარმაზარი მკერდი მიებჯინა და ისე შეკრთა, თითქოს ქალთევზა გაელამუნაო. ფარნაოზმა ჯერ ყურძნით სავსე თასი დაინახა, ზუსტად ისეთივე, მაგიდაზე რომ ედგა შავთვალება მალალოს, მერე ქალი და კაცი. ისინი მაგიდასთან ისხდნენ და ყურძენს შეექცეოდნენ. ქალმა უცხო თვალი იგრძნო, გამოიხედა და შეშინებულივით მკერდზე ხელები აიფარა. მართალია, ფარნაოზს ხმა არ გაუგონია, მაგრამ იმ ქალს ისეთი სახე ედო, თითქოს შეჰკივლა კიდეც. კაცმაც კარისკენ გამოიხედა. „ნეტავ ვინ არის ეს კაციო“ — დაინტერესდა ფარნაოზი, თითქოს მხოლოდ ამის გასარკვევად იყო მოსული. შავთვალება მალალო იცინოდა, ამას ლოყით გრძნობდა ფარნაოზი. ათახთახებულ მკერდზე მიბჯენილი ლოყით, და სული ეხუთებოდა, თითქოს ქალთევზას ისიც წყალქვეშ ჩაეთრია და უჰაეროდ მეტს ვეღარ გასძლებდა.

— რატომ? — ამოიხრიალა ფარნაოზმა, ისე რომ თვითონაც არ იცოდა, რას კითხულობდა, ინოს მიმართავდა თუ შავთვალება მალალოს, თუ არც ერთსა და არც მეორეს.

გამოვიდა თუ არა იმ სახლიდან, მაშინვე ცეცხლი დაინახა. ბავშვებს ხმელი ფოთლები მოეგროვებინათ და წვავდნენ. „აი, თურმე საიდან მცემდა ცეცხლის სუნიო“ — სულელურად,

სამშვიდობოზე გამოსული კაცივით გაუხარდა ფარნაოზს.

ინო იმავე დღეს დაასაფლავა. სასაფლაოზე ღამე მივიდა, სამარე გათხარა, შიგ მამის სატრფიალო ბარათიდან გამოკვეთილი ინოს თავი ჩააგდო და მიწით ამოავსო. საფლავს კუზი რომ გაუჩნდა, ზედ გადაემხო. დაქანცულიყო და მკლავები სტკიოდა. ღამე ძილღვიძილში გაეპარა, ჩათვლემდა თუ არა, ქალთევზა ესიზმრებოდა. წყლიდან მხოლოდ თავი და შიშველი მკლავები ამოეყო, ქერცლიანი კუდი კი წყალში ამაზრზენად ერხეოდა. „მოდი, ბიჭო, რა გაჩვენოო“ — ეძახდა ქალთევზა და შეშინებული ფარნაოზიც მაშინვე დააჭყეტდა ხოლმე თვალს. როცა საბოლოოდ გამოფხიზლდა, ქვეყანა ადგილზე დაუხვდა, არაფერი არ შეცვლილიყო. მამლები ყიოდნენ, ჩიტები ჟივჟივებდნენ, სადღაც სახედარი ყროყინებდა. ვიღაცას უკვე ჩაეხურებინა თონე და ცხელი პურის სუნი აქამდეც აღწევდა, სასაფლაომდეც, სადაც არავის აღარ ჭირდებოდა იგი. ფარნაოზს კი მოშივდა, პურის სურნელმა გული აუყინცილა და სახლი მოანატრა. ერთი სული ჰქონდა, როდის მიაღწევდა შინამდე.

ამის მერე ფარნაოზი თითქმის ყოველ ღამე მოდიოდა ინოს საფლავზე. ეშინოდა, მაგრამ მაინც მოდიოდა, რადგან მკვდარს მიხედვა უნდოდა, ინო კი მისი მკვდარი იყო, არა, მკვდარი ინო იყო მისი. მაშინვე საფლავს გადაემხობოდა ხოლმე და ლაპარაკობდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, უაზროდ და უსასრულოდ, ქალთევზაზე რომ არ ეფიქრა, ინოსაც რომ არ შეშინებოდა სიბნელეში, მიწის ქვეშ. „გამარჯობა, გამარჯობა, გამარჯობა, ინო“. — ჩურჩულებდა, არა, ყვიროდა ინოს საფლავზე პირქვე დამხობილი ფარნაოზი და საკუთარი ამონასუნთქით გამთბარი მიწის ხორკლიანი ზედაპირის შეხებაც შიშნარევი, მაგრამ მაინც სასიამოვნო ჟრუანტელით ავსებდა, როგორც მისი ვნებისა და ტკივილის მოზიარე, დამყოლი და სამუდამოდ დანებებული არსება. გარემო კი მართლა შეშის მომგვრელი იყო. აკლდამების ირგვლივ დაბურები წიოდნენ, მათი მუქი ლანდები სულებივით დაბორიალობდნენ, თითქოს ისინიც საფლავზე გადამხობილ ბიჭს დაეძებდნენ, თმა რომ დაეწიწკნათ, თვალები რომ დაეთხარათ და გაეძევებინათ თავიანთი სამფლობელოდან, რადგან ის ბიჭი ახალ მკვდართან გამოლაპარაკების საშუალებას არ აძლევდათ, ახლოს არ უშვებდათ, საფლავს კრუხივით გადაფოფროდა და მღეროდა. ფარნაოზი მართლა მღეროდა, შიში რომ დაეფრთხო, შიშს რომ მორეოდა და თავქუდმოგლეჯილი არ გაქცეულიყო აქედან.

დაბნეულ ფეტვის მარცვალსაააა
ვინ მოჰკრეფს წიწილის მეტიი —

მღეროდა ცრემლისგან დაგლეჯილი ხმით საფლავის ბორცვზე გადამხობილი ფარნაოზი და დარწმუნებული იყო, ინო უსმენდა.

ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც უნდა მომხდარიყო: მამამისს ფეხები უნდა მოემტვრია, ცუგა ფეხსადგილის ორმოში უნდა ჩავარდნილიყო, ინოს ვიღაც უცხო კაცთან ერთად ყურძენი უნდა ეჭამა და ფარნაოზის დანახვაზე შეეკივლა; ფარნაოზის დანახვას ისევე უნდა შეეშინებინა, როგორც ლურჯ აქლემზე ამხედრებულ სიკვდილს. განა მართლა ასე არ იყო? ფარნაოზს ყველაფერი ხელში უკვდებოდა, რადგან გაჩენამდე, თუ გაჩენისთანავე ჩაედინა ყველაზე დიდი მკვლელობა: დედა მოეკლა, სიცოცხლე. „არაფერიც არ მახსოვს, არაფერიც“ — ეუბნებოდა ხოლმე ფარნაოზი უხილავ მსაჯულს, მაგრამ რა აზრი ჰქონდა, ახსოვდა თუ არა, როგორ მოეკლა დედა. რა შეიცვლებოდა ამით? დანაშაული ჩადენილი იყო და მის დასამტკიცებლად უფრო მეტი საბუთი არსებობდა, ვიდრე უარსაყოფად. ყველაზე დიდი საბუთი კი აქვე, ამ სასაფლაოზე ესვენა, დედამი-

სის ცხედარი, ნაშთი. ფარნაოზი თავიდანვე აუჯანყდა ამ საშინელ ბრალდებას, მისმა არსებამ ვერ მიიღო, ვერ დაიჯერა, მაგრამ შეძრწუნდა, ტანმა შეაწუხა, ტანს ახსოვდა რაღაცა, რაც უგონობის ჟამს მომხდარიყო. ის იმ კაცს გავდა, წინადღის ნალოთარს გაღვიძებისა რომ ეშინოდა, არაფერი არ ახსოვდა, მაგრამ ტანი ცუდს უგრძნობდა. ფარნაოზსაც დიდხანს არ უნდოდა გაღვიძება, დიდხანს ებრძოდა, იგერიებდა სიფხიზლეს, დიდხანს იფარებდა თავზე ბალიშს, გაღვიძებული, განათებული ქვეყნის ხმები რომ არ გაეგო. სიმართლით სავსე ხმები. მას ისევ ქალუკას ტყუილი ერჩია, ხომ შეიძლებოდა, მართლა უდედოდ გაჩენილიყო, მართლა წვიმას ჩამოყოლოდა ციდან? ფარნაოზს თავიდანვე უგრძნო ბავშვურმა ალღომ, რომ ერთადერთი ხსნა, თუკი საერთოდ არსებობდა იგი, ამ ლამაზ ტყუილში იმალებოდა. ისიც ორივე ხელით ჩააფრინდა ტყუილს. დედამისი არ არსებობდა, ამიტომ ვერც მოკვდებოდა, ფარნაოზი ვერ მოკლავდა დედას, რადგან დედა არ ყავდა. საუბედუროდ, მარტო ფარნაოზი ფიქრობდა ასე, დანარჩენი, რაც კი მის გარშემო იყო, სულიერიც და უსულოც, საწინააღმდეგოს ადასტურებდა, თუნდაც ჭინჭილა, რომლიდანაც დედას უყვარდა თურმე წყლის დალევა; სკამიც, რომელზედაც ჯდებოდა ხოლმე; აფრისხელა ტილოც, რომელშიაც მისი ცხედარი ყოფილა გახვეული და რომელზედაც ახლა მამამისი ქარგავდა, მამამისიც, ყველაზე მეტად მამამისი. განა „სატრფიალო ბარათები“ მხოლოდ და მხოლოდ იმის დადასტურება არ იყო, რომ ოდესღაც მართლა არსებობდა დედა, სუნთქავდა, დადიოდა, იღიმებოდა და ისე უყვარდა კაცს, რომ ამსიმძიმე ბარათებს უგზავნიდა. ერთხელ კი პოპინამ ისიც უთხრა, დედის თვალები გაქვსო. ფარნაოზს თავზარი დაეცა, არა მარტო მოეკლა დედა, არამედ გაეძარცვა კიდეც. წყალს თვალდახუჭული სვამდა, უნებურად საკუთარი თვალები რომ არ დაენახა ჭიქაში, ჭინჭილა დაამტვრია, სკამი მოიპარა და დაწვა, მამის სატრფიალო ბარათებიდან ძაღლის თვალები გამოიჭრა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ ეგონა, რომ ეს იყო ერთადერთი გზა, ამბოხი, შეურიგებლობა, უარყოფა ყველაფრისა, რაც დედამისის არსებობას ადასტურებდა. ფარნაოზი მაშინ ბავშვი იყო და ბავშვურად, უშედეგოდ ებრძოდა სინამდვილეს. სინამდვილე სხვა იყო, ის ამ ქვეყნად სასჯელის მოსახდელად მოსულიყო, კი არ მოსულიყო, გადმოესახლებინათ, რადგან მხოლოდ აქ შეიძლებოდა სასჯელის მოხდა. დანაშაულის გამოსყიდვა, დღითიდღე, წვეთწვეთობით, უსასრულოდ. ეს ქვეყანა სასჯელის მოსახდელი ადგილი იყო. სხვა ქვეყანა არ არსებობდა მისთვის. თუ არსებობდა, უნდა დაევიწყებინა, როგორც ის ქვეყანა, საიდანაც გადმოასახლეს აქ, სადაც, ალბათ, ბედნიერიც იყო, რადგან დანაშაული ჯერ არ ჰქონდა ჩადენილი. ყველაფერი, რაც აქ გადახდომოდა და კიდევ გადახდებოდა თავს, სასჯელში შედიოდა. მას არაფერი არ ეკუთვნოდა აქ, გარდა იმისა, რაც უკვე მომკვდარიყო, ან სამუდამოდ დაკარგულიყო. ისიც ფიქრის ძონძში უნდა გამოეკრა და ყველასაგან დაემალა, როგორც მათხოვარს ერთად-ერთი ოქრო, რომლის იმედითაც უდგას სული, თუმცა ვერ მოუხმარია, რადგან გამოჩენისა ეშინია: წაართმევენ, შენ ეს ოქრო ვინ მოგაშავაო. უნდა გაჩუმებულიყო, ყველაზე გამდგარიყო, თავი ჩაეღუნა, რათა ისიც არ დაეკარგა, რაც ჰქონდა, რაც მართლა მისი საკუთრება იყო. სასჯელის მოხდის მეტი არაფერი ეკალებოდა, არც არაფერს თხოვდნენ სხვას, მაგრამ სასჯელი კი არა, დანაშაულთან შეგუება იყო ძნელი. სასჯელმა დაამშვიდა კიდეც, გაართო, საქმე გაუჩინა, მაგრამ დანაშაულის არსებობაშიც სამუდამოდ დაარწმუნა. ახლა თანაგრძნობა უნდოდა ფარნაოზს, მეტი არაფერი, მეორე კაცი, მის ბედქვეშ მყოფი, მისი ბედის მოზიარე. ეს კი ბევრს ნიშნა-

ვდა, წარმოუდგენლად ბევრს, რადგან ყველას თავისი ბედი ჰქონდა, თავისი გზა, თავისი სასჯელი. ყველა თანაგრძნობას მოითხოვდა. მამამისს ფეხები ჰქონდა მომტვრეული, ცუგას მთელი სიცოცხლის მანძილზე მხსნელის გაბინძურებული ფეხები უნდა ელოკა; ინოს უცხო კაცთან ერთად ყურძენი უნდა ეჭამა, მას კი ქვა უნდა ემტვრია სატეხითა და ჩაქუჩით. არა, მოთმინებით, მორჩილებითა და იმედით, იმედით, იმ იმედით, რომ მართლა შესძლებდა დანაშაულის გამოსყიდვას. მართლა აპატიებდა დედა! ფარნაოზმა უკვე იცოდა, დედა რომ არსებობდა ოდესღაც, ლამაზი და ბედნიერი; ისიც იცოდა, რომ მისი საბრალო ნაშთი სადღაც აქვე, ამავე სასაფლაოზე იყო დამარხული, მიწაში, ღრმად, რაც შეიძლება მეტ სინესტესა და სიბნელეში, მაგრამ დღითიდღე უფრო ახლობელი, ძვირფასი და აუცილებელი ხდებოდა მისთვის დედა. არასოდეს რომ არ ენახა, არა, როგორ არ ენახა, მაგრამ დავიწყებოდა, გაჩენისთანავე, როგორც კი მოსწყვეტოდა მის ვარდისფერ წიაღს. დედა გაღვიძებისთანავე დავიწყებულ სიზმარს გავდა, უკვალოდ რომ გამქრალიყო, თუმცა მთლად უკვალოდ არა, გულისამაჩუყებელი, სევდანარევი ბედნიერების შეგრძნება დაეტოვებინა, თვითონ კი დაკარგულიყო, მსუბუქი და ჰაეროვანი. მაგრამ სადღაც აქვე კიდევ იყო პატარა მიწა, მიწის ნაგლეჯი, რომელსაც მისი სახელი ერქვა, მისი ხორცითა და სისხლით გაჟღენთილიყო, მისი ძვლებით გამკვრივებულიყო და მისი სურნელი ასდიოდა. ფარნაოზმა ზუსტად არ იცოდა, სად იყო ეს მიწა, მიწის ეს პატარა ნაგლეჯი. არც არავისთვის უკითხავს, რადგან ეშინოდა, ერიდებოდა, ეგონა დედის ნაშთს შეაშფოთებდა, შეაწუხებდა მისი დანახვა. ან თვითონ რა პირით უნდა მისულიყო, რა ეთქვა, როგორ ეთხოვნა თანაგრძნობა მკვლელს მსხვერპლისათვის, რაც არ უნდა უნებური, შეუგნებელი, ბრმა და უმეცარი მკვლელი ყოფილიყო. ფარნაოზი ისე გაიზარდა, არასოდეს არ გასტირებია დედას. ახლა ხელფეხის ფაცაფუცი და გადაფიჩინება აღარ შეეფერებოდა, ქვეყნის სასაცილო გახდებოდა, მაგრამ მისი ბუნება, მეორე, სხვებისათვის უხილავი ფარნაოზი, ახლაც ცრემლებით ჩამოთხუპნული ბალღივით იდგა და მწარედ, გულსაკლავად, ბალღურად შესტიროდა კარს, დედას რომ სამუდამოდ გაეხურა. ფარნაოზმა, შეიძლება, ინოს საფლავიც იმიტომ მოიგონა, დედასთან რომ ახლოს ყოფილიყო, დედასაც რომ დაენახა, როგორ იტანჯებოდა მისი შვილი, მისი მკვლელი; არ გონებოდა, არ ეფიქრა, არ დაეჯერებინა, რაც მთავარია, არ დაეჯერებინა, შესაძლებელი რომ იყო მისი დავიწყება. არა, დედის დავიწყება არ შეიძლებოდა. მით უფრო მკვდრისა. ინოს დამარხვაც მკვდარმა დედამ შთააგონა ფარნაოზს. თითქოს რაკი ძვირფასი გააჩნდა, დედასავით, მიწისთვის უნდა მიებარებინა. ფარნაოზი ბავშვი აღარ იყო, ქალუკას ტყუილში ველარ ჩაეტეოდა. სხვა რამე უნდა მოეფიქრებინა, საქმისთვის უნდა მოეკიდა ხელი, როგორც მამამ ურჩია ნაავაზაკარსა და პირველი დამარცხებით დაკრუნჩხულს. საქმეს უკვე მოკიდებოდა, ის ქვისმთლელად მუშაობდა და დილიდან საღამომდე ნაცრისფერ ქვას დასცქეროდა. ამ საქმეში უხდიდნენ ფულს, რათა მასაც ყოველ საღამოს ამოეღლიავებინა საკუთარი ოფლით ნაშოვნი პური. მაგრამ ქვა ეშმაკიც იყო, პურს კი აჭმევდა, მაგრამ თავის საქმესაც აკეთებდა: ფარნაოზს ერთ ადგილზე აბამდა, მის ფიქრსა და სურვილებს იწოვდა და აქვავებდა. ამ აღმოჩენამ ფარნაოზი ცოტათი გამოაფხიზლა და როცა ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, დიდი დრო გასულიყო, საკუთარი ქალაქის ცნობაც გაუჭირდა, მისივე მოპირკეთებული ტაძრებისა და მისივე მოკირწყლული ქუჩების ცნობა. ქალაქს ისევ ვანი ერქვა, მაგრამ ფარნაოზი უცხოსავით დაბორიალობდა ქუჩებში. ბევრი რამ შეცვლილიყო, ბევრი რამ მომხდარ-

იყო მის გარშემო; იმდენხანს უკაკუნა ფარნაოზმა ქვას ჩაქუჩი, სანამ თვალი არ აეხილა უიმისოდ მომხდარ ცვლილებათა სახილველად. კუსას ორსართულიანი სახლი აეშენებინა და ბავშვობის ოცნებაც აესრულებინა: ღვინის ვაჭარი ბახას ქალიშვილი შეერთო ცოლად, მასზე ბევრად უფროსიცა და მაღალიც. „რამე თუ გამიჭირდა, ჩემი ქალის კისერზე ჩამოვიხრჩობ თავსო“ — ხუმრობდა კუსა.

ღვინის ვაჭარმა ბახამ ისევ რომ დაინახა კუსა, მაშინვე ისა ჰკითხა: რომელი გინდაო.

„რომელსაც მეტი მზითვი აქვსო“,— მაშინვე უპასუხა კუსამაც.

— უფროსს, — უთხრა ღვინის ვაჭარმა ბახამ.

— შენი სამივე ქალიშვილი ჩემზე უფროსია, — არც ახლა დაიბნა კუსა.

—მე ყველაზე უფროსზე მოგახსენებ. — თქვა ღვინის ვაჭარმა ბახამ.

— კეთილი და პატიოსანი. — უპასუხა კუსამ და გუნებაშიც სამჯერ ზედიზედ გაიმეორა: კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანიო.

კუსამ ქორწილი ახალ სახლში გადაიხადა. ისეთი სუფრა გაშალა, მეფის მოხელეს რომ ეკადრებოდა. ის ხომ მეფის სამსახურში იდგა, მეფის კაცად ითვლებოდა, ყოველ დილით სასახლეში შედიოდა და ყოველ საღამოს სასახლიდან გამოდიოდა. მარტო ესეც ეყოფოდათ მტრებს თვალების დასაბრმავებლად. მტერს კი უბნელებდა თვალს, მაგრამ რომ გეკითხათ, თვითონაც ვერ გიპასუხებდათ, რაში უხდიდნენ ფულს, რა ერქვა მის სამსახურს. ის კი უთხრეს: რაკი მეფის სამსახურში დგახარ, ყველაფრისთვის საჭირო ხარო, მაგრამ მაინც ძნელი ასახსნელი იყო, რა იგულისხმებოდა ამ „ყველაფერში“. ამიტომაც იყო, პირველი ხელფასით ტყავის ტომარა და ყველანაირი ხელსაწყო რომ იყიდა, ვინძლო უცებ დამჭირდეს, ხელთა მქონდეს. დანა, ხელეჩო, წალდი, ხერხი, ბურღი და შალაშინი ერთად ჩაჰყარა ტომარაში და ხალისით შეუდგა ბოლომდე გაურკვეველ [illegible] ზღვრელი და ამიტომაც [illegible] ველი მოვალეობის აღსრულებას. თუმცა სამსახურმა ასეთივე გაურკვეველი შიშიც გაუჩინა კუსას. შიში უმთავრესად ძილის წინ გამოუცოცდებოდა ხოლმე გათამამებულ ვირთხასავით და წითელსა და უძრავ თვალებს იქამდე არ მოაშორებდა, სანამ არ ააფორიაქებდა, სანამ გიჟივით არ წამოაგდებდა საწოლიდან.

რას არ ფიქრობდა მაშინ კუსა, რა არ ელანდებოდა. ვითომ მთელი სასახლე ხელებში შეჰყურებდა, ის კი ვერ მიმხვდარიყო, რა იყო გასაკეთებელი, რას თხოულობდნენ მისგან, როგორ მოქცეულიყო, რომელი ხელსაწყო ამოეღო პირველად. „აცალეთ, აცალეთ, თვითონ მოიფიქროსო“ — ვითომ ოყაჯადოს ხმაც ესმოდა და ეს ხმა უარესად აბნევდა, ოფლში იწურებოდა, საცოდავად აცეცებდა თვალებს, თუმცა დარწმუნებული იყო, არავინ მიეშველებოდა, არავინ უკარნახებდა, რადგან ყველას შურდა მისი წარმატება და ერთი სული ჰქონდათ, როდის წაართმევდნენ ადგილს. „ცოტაც მადროვეთ, ახლავე მოვიფიქრებო“ — უნდოდა ეთქვა, არა, ებღავლა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა, ყელიც დახშობოდა, წითელთვალება ვირთხა ჩაფრენოდა ყელში. ამგვარ ტანჯვა-წვალებაში დაათენდებოდა ხოლმე, მაგრამ დღის სინათლე ყველაფერს ერთბაშად ავიწყებდა. მხარზე გადაგდებული ტომრის სიმძიმე ხალისსა და რწმენას უბრუნებდა და გულში სიამაყისგან კროჭინობდა, მისი ტომრის ჟღრიალით გამოღვიძებული ქალაქი შეშინებული რომ აყოლებდა თვალს შუა ქუჩაში თავისუფლად, თამამად, მბრძანებლურად მიმავალ მეფის მოხელეს. ასე ჟღრიალ-ჟღრიალით შედიოდა სასახლეში, მცველებს ზედაც არ უყურებდა. კაციშვილმა არ იცოდა, რა ეწყო ტომარაში, ტომრის ხმას კი ყველა ცნობდა, მთელი ქალაქი, რადგან ქალაქს დღეში ორჯერ უნდა მოესმინა ეს ხმა, დილა-

საღამოს, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ცა რომ ჩამოსულიყო ფეხად. მთელი დღე უსაქმოდ დაბორიალობდა კუსა სასახლეში, ხან სად შეეხეტებოდა და ხან სად. სახაბაზოში პურს წაიციცქნიდა, მარანში ღვინოს მოწრუპავდა, საქალებოში ერთორ ბილწ სიტყვას შეაგდებდა ცოცხალი ბაყაყივით და ამასობაში საღამოც მოაწევდა. „კეთილი და პატიოსანიო“ — სამჯერ ზედიზედ გაიმეორებდა გუნებაში, როცა გამოუცხადებდნენ: დღეს საჭირო აღარ ხარო, ტყავის ტომარას ზურგზე მოიგდებდა და შინისკენ გამოსწევდა. შინისკენ კი არა, დილეგისკენ, ორ დედაკაცს რომ ამოეთხარა თავიანთი ცოდვის დასამალავად. დასამარხად მაგრამ კუსა იმის ჩიტი არ იყო, თავი ცოცხლად დაემარხვინებინა ვინმესთვის. ის უკვე ყველაფერს მიხვედრილიყო და თუ ისევ, თანაც საკუთარი ფეხით ბრუნდებოდა ხოლმე იმ ცოდვის დილეგში, ისიც იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდა. როცა სახლი აიშენა, მხოლოდ მაშინ აროისუნთქა შვებით, მხოლოდ მაშინ გაიმართა წელში საბოლოოდ და დარწმუნდა კიდეც, რომ უკვე შეეძლო დაუფარავად გამოემეღავნებინა ის ზიზღი, დედისა და ბებიის მიმართ რომ გასჩენოდა. დედაცა და ბებიაც, ერთიცა და მეორეც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ნაბიჭვრობას ახსენებდა კუსას. ეს კი ერთადერთი საფუძვლიანი წუხილი იყო, მოსვენებას რომ უკარგავდა, საქმეშიც რომ უბორკავდა ხელ-ფეხს, რადგან გრძნობდა, უფრო მეტს შესძლებდა, უფრო თამამად მოიხვეჭდა მოსახვეჭს ამ ორ დედაკაცს მეტი სიდინჯე რომ გამოეჩინა თავის დროზე. მარტო სამ ადამიანს, თვითონ და იმ ორ დედაკაცს რომ სცოდნოდა ეს ამბავი, კიდევ მოევლებოდა საქმეს, მაგრამ უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა მისი ნაბიჭვრობა, უკვე კი არა, მასზე ადრე, მის გაჩენამდე და ეს აცოფებდა სწორედ, უფრო ადრე რომ იცოდნენ სხვებმა ის, რაც მარტო მას ეხებოდა. ამ მართლაც გამოუსწორებელი უსამართლობის, საკუთარი დედა და ბებია, რადგან ერთმა გააჩინა, მეორემ კი დაიწვინა ის კაცი, რომლის მეშვეობითაც კუსა მოევლინა შურიანსა და დამცინავ ქვეყანას, დაუფიქრებლობის, სიბეცის, სულსწრაფობის ნაყოფი.

სახლი რომ აიშენა, ცოტა დამშვიდდა, თითქოს მართლა დილეგიდან ამოვიდა და სამარადისო თავისუფლება მოიპოვა. მართლაც ასეთი გრძნობა ჰქონდა, როცა პირველად შეიკეტა ჯერ კიდევ ნესტიანსა და მოუწყობელ სახლში და ჭუჭყიან იატაკზე გულაღმა გაიშოტა, როგორც მენახირე მინდორში.

— ახლა მე ჩემი საკუთარი სახლი მაქვს, — ცრემლნარევი მღელვარებით. თითქმის ჩურჩულით უთხრა კუსამ ჭერს, თითქოს მენახირემ ვარსკვლავებს თავისი დაფარული სიყვარული გაუმხილაო.

სანამ ცოლს შეირთავდა, კუსა აბაზანაში წვებოდა. ასე კი ორი მოსაზრების გამო იქცეოდა. ჯერ ერთი, ეთანაღრებოდა საგულდაგულოდ, ლამაზად გაწყობილი, გემბანისხელა საწოლის ყოველდღე აშლა და აწეწვა. ეს საწოლიც მისი ნაყიდი იყო და განსაკუთრებულად უყვარდა. უფრთხილდებოდა და ეცოდებოდა კიდეც, თითქოს ზედ რომ დაწოლილიყო, რამეს ატკენდა, დაამახინჯებდა. შინისკენ იმიტომაც მიუხაროდა, საწოლისთვის რომ დაეხედა, მისი სიდიადითა და სიმტკიცით მოხიბლულიყო, მისი სისუფთავით, რათა უარესად გამძაფრებოდა, გასძნელებოდა მოსალოდნელი სიამტკბილობის, მოსალოდნელი მგზავრობის მოლოდინი. საწოლიც მოთმინებით ელოდა თავის პირველ მგზავრებს, როგორც ნავსადგურში დაყენებული ხომალდი.

მეორეც ერთი, გრანიტის ცივ აბაზანაში ცოტა ეძინა და ბევრს ფიქრობდა. საფიქრალი კი მართლაც ბევრი ჰქონდა, ხელთან ერთად თავიც უნდა გაენძრია, ცხოვრებას რომ არ ჩამორჩენოდა. კუსას თავის შემთხვევით მამაზედაც უყ-

ვარდა ფიქრი და ამ ფიქრში ყოველთვის ერთსა და იმავეს ხედავდა: ფილაპონეს დაძენძილი ნაჭერი შემოეხვია თეძოებზე და ტრიალ მინდორში გარბოდა. ოფლიან ზურგზე მიწა და ხრეში ასწებებოდა, თითქოს გულალმა მძინარე ეს წუთია წამოუგდიათო. „სად გარბიხარ, სად! ნახე მაინც, როგორ ცხოვრობს შენი შვილი.“ — მისძახოდა კუსა გაქცეულ მამას და ნეტარებით ეღიმებოდა, ფილამონე დაფეთებული რომ გარბოდა ტრიალ მინდორში, უგზო-უკვალოდ, უკანმოუხედავად. ბევრჯერ სცადა კუსამ თავისი შემთხვევითი მამის წარმოდგენა, მაგრამ ყოველთვის გაქცეული კაცის ოფლიან ზურგს ხედავდა მხოლოდ. კუსას კი უნდოდა, ნატვრად ჰქონდა, ერთხელ მაინც შემოტრიალებულიყო ის გაქცეული კაცი, სახე ეჩვენებინა, რადგან სწორედ სახეში უპირებდა ჩაფურთხებას.

კუსა საქმის კაცი იყო, სად ეცალა ვიღაც დამთხვეულის სადევნელად. დრო გადიოდა, ქვეყანა დუღდა და გადმოდუღდა, საქმეს კი მოცდა არ უყვარდა. არც კუსა აცდევინებდა, ჯერ მოსინჯავდა და თუ ჭკუაშიც დაუჯდებოდა, მთელი გულითა და სულით მოეკიდებოდა ხოლმე. მისი ქორწინებაც ერთ-ერთი ამგვარი საქმეთაგანი იყო, დიდი ხნის წინად დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, რადგან მისმა სიმამრმა აღთქმული ფულის განაღდება თავის სიკვდილამდე გადაუდო, ასე უფრო შეგენახებათო. კუსას სასაცილოდ არ ეყო სიმამრის „სიფრთხილე“, მაგრამ მაინც და მაინც აღარც თვითონ გაჯიქებულა, მთავარი გაკეთებული ჰქონდა, ორმეტრიანი თამასუქი მის ხელში იყო და მართლაც, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, სად იდებოდა ფული კიდევ ერთ-ორ წელიწადს. დღეს თუ არა ხვალ ღვინის ვაჭარი ბახაც უნდა გამგზავრებულიყო იმ ქვეყანაში, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ისიც ადამიანი იყო და ბევრიც რომ სდომებოდა, მაინც ვერ გამოეკერებოდა ცას. სამაგიეროდ საქორწილო ღვინო გამოუგზავნა სიმამრმა და ამანაც გამოუკეთა გუნება, თუმცა ამანაც უმღვერდა თავის აყლაყუდა მეუღლეს, არ გეგონოთ, ყველაფერს მოვითმენო, ქორწილმა მხიარულად ჩაიარა. უჩვეულო, ასაკითაც და გარეგნობითაც ერთმანეთისთვის ყოვლად შეუფერებელმა წყვილმა ხალხი ქეიფის გუნებაზე დააყენა. მართლაც პატარძალი დედად უფრო შეჰფეროდა სიძეს, ვიდრე ცოლად. ერთიცა და მეორეც ასაკის დამალვას ცდილობდა, ერთი იკლებდა, მეორე კი იმატებდა და ამიტომაც ორივენი სასაცილონი იყვნენ. კუსა აღგზნებული აძალებდა ყველას სიმამრის ნაჩუქარ ღვინოს და არც თვითონ იკლებდა, მაგრამ მეტი მოუვიდა და ქორწინების პირველი ღამე, მეუღლის მკლავებზე გადაკიდულმა, სიმამრის ლანძღვა-გინებაში გაატარა: ფულს ვინ ჩივის, მგონი, მომწამლა იმ დამპალმა წუწურაქმაო. მაგრამ კუსამ მეუღლეს მაინც მისცა ნება, გემბანივით ფართო და მომლოდინე საწოლი აეწეწა. საწოლშიც ფულზე ლაპარაკობდნენ. კუსა მთელი ღამე შფოთავდა, შუბლზე გადაფენილ სველ ტილოს წარამარა იშორებდა და მწვანედ იფურთხებოდა. პატუ (ასე ერქვა კუსას ცოლს) უფრო არხეინად იყო, მამაჩემის ტყუილი ვის გაუგიაო, ამშვიდებდა ქმარს და მხოლოდ იმას ნანობდა, ამდენიხნის ნანატრ ღამეს ცოლობის ნაცვლად დედობას რომ უწევდა კუჭამობრუნებულ მეუღლეს.

დილით კუსას თვალის გახელის ეშინოდა, ვაი თუ პატუმ წუხანდელი ჩემი ლანძღვა-გინება ვერ აიტანა და აღარ დამხვდეს ლოგინშიო. საბედნიეროდ ასე არ მოხდა, თორემ კუსა, ალბათ, გულზე გასკდებოდა, აქამდე მოყვანილი საქმე ასე სულელურად რომ ჩაეფუშა თვითონვე. პატუ თამასუქი იყო, თამასუქს კი გაფრთხილება უნდოდა, მოვლა-პატრონობა, ყურადღება, ფერება და ლაქუცი. სანამ... სანამ თავს არ გაინაღდებდა. ამიტომაც ითმენდა, ამიტომაც წვებოდა კუსა ყოველ ღამე ღვინის ვაჭარ ბახას აყლაყუდა ქალიშ-

ვილთან, რომლისთვისაც ამ ოხერ ბუნებას სილამაზესთან ერთად ჭკუაც დაეზოგა, თითქოს მდიდარი მამის შვილს არც ერთი ჭირდებოდა და არც მეორე. ჯერჯერობით სხვაც ბევრი რამე უნდა მოეთმინა კუსას. მისმა მეუღლემ დედა მოიყოლა მზითვად. სანამ კარგად შეგეჩვეოდე, მეშინია უდედოდ არ მოვიწყინოო. მაგრამ პატუს საკმაოდ გაუგრძელდა კუსასთან „შეჩვევა". დედამისს კი ძალიან მოეწონა სიძის სახლი და ქალიშვილზე იოლად შეეჩვია უცხო გარემოს. კუსა იღიმებოდა და ცდილობდა ცუდი არაფერი ეგრძნობინებინა სიდედრისთვის, რადგან ჯერ, სანამ ფული მისგან შორს იყო, ისიც საფერებელი ყავდა.

რეხილო შემთხვევას არ უშვებდა, ჭკუა რომ არ დაერიგებინა ახალგაზრდებისთვის, დაღამებას კი ისე განიცდიდა, თითქოს პატუ პირველი ქალი იყო მამაკაცთან რომ წვებოდა. — ყველაფრის ნებას ნუ მისცემ, თორემ მერე თავზე გაუვა. კაცი თავიდანვე უნდა მიაჩვიო წესრიგსო — ეუბნებოდა რახილო პატუს. მაგრამ მის ქალიშვილს არც ესმოდა და არც აინტერესებდა დედის ლაპარაკი, კუსასთან მიუხაროდა და ღამის პერანგის ამარა ღიღინ-ღიღინით ტრიალებდა სარკის წინ. რახილო კი თავისას განაგრძობდა, რადგან თავს ვალდებულად თვლიდა, მისხალ-მისხალ გადაეცა ჯერ კიდევ გამოუცდელი შვილისთვის მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება.

— მამაშენს ჩემს იქით არც კი გაუხედავს, იმიტომ რომ... იმიტომ რომ... რა გამღერებს გოგო, რაღადროს შენი სიმღერაა! — შეჰყვირებდა ხოლმე შვილის უყურადღებობით მოთმინებიდან გამოსული რახილო.

პატუ კი მღეროდა, მღეროდა, გაუთავებლად მღეროდა ერთსა და იმავეს, მაგრამ არც იმას გაემტყუნებოდა: ემღერებოდა და რა ექნა?

მე და შენის სიყვარულსა
რა გაჰყრის სიკვდილის მეტიიი....

მღეროდა პატუ სარკის წინ და გემბანისხელა საწოლში უკვე ეარგა ხნის ჩაფუთვილსა და სანანეურად ნათვლემილ კუსას ყველაფერი ესმოდა: სიდედრის ბუზღუნიცა და ცოლის სიმღერაც. „ერთისაც და მეორისაცო" — იგინებოდა გუნებაში და ნატრობდა, ისე დასძინებოდა, მართლა რომ ვეღარ შესძლებოდა პატუს მისი გაღვიძება. პატუს სრულებითაც არ აინტერესებდა, რას ფიქრობდა მისი მეუღლე, უყვარდა თუ არ უყვარდა, სიამოვნებდა თუ არ სიამოვნებდა მასთან ყოფნა. მთავარი თვითონ იყო, უფრო სწორედ მთავარი ის იყო, რასაც თვითონ განიცდიდა და ფიქრობდა. პატუ გემბანისხელა საწოლში განცდილ სიამტკბილობას ჯილდოსავით იღებდა, პირად დამსახურებად თვლიდა, თუნდაც იმისათვის, ამდენი რომ მოეთმინა, ამდენი ხანი ქალწულად რომ შეენახა თავი. პატუ ახლა მოსავალს იმკიდა, დღესასწაული ჰქონდა და ყველანი ვალდებულნი იყვნენ, მხარი აებათ მისთვის. „პირველო და სულზე ტკბილოო" — უთქვამს ოდესღაც ღვინის ვაჭარ ბახას პატუსთვის, როცა იგი, კოხტად თმადავარცხნილი და ახალ კაბაში გამოწყობილი, დედას მამასთან ხელზე საკოცნელად შეუგზავნია. ამის მერე ერთი წუთითაც აღარ დაეჭვებულა პატუ, ყველასათვის „პირველი და სულზე უტკბილესი" რომ იყო. ბავშვის გონებამ სამარადისოდ აღიბეჭდა მამისაგან, მისთვის პირველი მამაკაცისაგან თქმული ქათინაური, აღიბეჭდა და დაიჯერა კიდეც. მერე დედაც მიეხმარა ამგვარი რწმენის განმტკიცებაში. როცა ისა და დედამისი ერთად იბანდნენ ხოლმე, რახილო ყოველთვის აღტაცებული შესცქეროდა და ეუბნებოდა: შენ ჩემზე ბედნიერი იქნები, რადგან ჩემზე ბევრად მეტი ხალი გაქვსო. პატუ დარწმუნებული იყო, კუსაც იმიტომ აშიშვლებდა თავფეხიანად, მისი ხალები რომ დაეთვალა. ხანდახან ისეთ დროს ეტყოდა ხოლმე: აი, აქაც

მაქვს ხალიო, კუსას ყოველგვარი ხალისი ეკარგებოდა. საწოლზე წამომჯდარი, თავზე ხელებდაწყობილი პატუკი ტანს აქეთ იქით ატრიალებდა, რათა მის მეუღლეს უკეთესად დაეთვალიერებინა და დაეთვალა მისი ხალები.

მე და შენის სიყვარულსა
რა გაჰყრის სიკვდილის მეტიიი...

ღიღინებდა, ღიღინებდა, უსასრულოდ ღიღინებდა პატუ. ყოველ დილით ამ სიტყვებით დგებოდა საწოლიდან, როცა კუსა უკვე კარგახნის წასული იყო, და ამ სიტყვებით წვებოდა ყოველ ღამე, როცა კუსას უკვე ეძინა, ანდა თავს იმძინარებდა. მაგრამ გემბანისხელა საწოლზე აფოფხებული პატუ უპირველეს ყოვლისა ქმარს აღვიძებდა. საამისოდ კი მრავალი საშუალება გააჩნდა: თუ შეხიცინება არ გასჭრიდა, ნაწნავის ბოლოს შეუყოფდა ნესტოში და კუსაც ბოლო-ბოლო იძულებული ხდებოდა. გაეხილა თვალი. საბოლოოდ კი მაშინ ფხიზლდებოდა, როცა პატუს ჩაეძინებოდა. რანაირ მოულოდნელ სიკვდილს არ იგონებდა კუსას გონება ღვინის ვაჭარ ბახასთვის, რანაირ წყევლასა და შელოცვას, მაგრამ არც წყევლა ჭრიდა და არც შელოცვა. და ერთ ასეთ ღამეს კუსამ შემძრწუნებლად იგრძნო, როგორი აუტანელი იყო ამ ქერქეტა ქალის გვერდით წოლა, რა ძნელი გასაძლები იქნებოდა თუნდაც კიდევ ერთი ღამე.

მეორე დღესვე კუსა შავთვალება მალალოს ესტუმრა. მისი სტუმრობა არავის გაჰკვირვებია, აქაც სცნობდნენ კუსას. ტომრის ყურიალს რომ გაიგონებდა, შავთვალება მალალო გოგოებს გასძახებდა: რომელი ხართ თავისუფალი, კუსა მოდის, ყურძენი გაუტანეთო.

ასე კი იმიტომ ამბობდა, უკვე კარგად რომ იცნობდა კუსას. რომ მოგეკლათ, მეფის მოხელე შავთვალება მალალოს კარის ზღურბლს არ გადააბიჯებდა. შავთვალება მალალომ პირველად რომ შეიპატიჟა შინ, „არა, გენაცვალეო“ — ისეთი ხმით უპასუხა კუსამ, ვითომ როგორ ეგამბედა, რა შემატყვე სამაგისოო. მერე ყველაც მასპინძლები ეპატიჟებოდნენ მაინც და მაინც, კართან კი ყურძნით ეგებებოდნენ და თვითონაც იქცევდნენ თავს, სანამ მხარზე ტომარაგადაკიდული კუსა თავისუფალ ხელისგულზე დადებულ მტევანს სიმინდის ტაროსავით ძიძგნიდა და ლაზღანდარობდა. მაგრამ ამჯერად კუსამ ჩვეულებას უღალატა. შემოგებებულ შავთვალება მალალოს, მისი წილი ყურძენი თეფშით რომ ეჭირა, მორცხვად გაუღიმა და პირდაპირ სახლში შეაბიჯა. შავთვალება მალალოც ღიმილით შეჰყვა სტუმარს, რადგან მაშინვე მიხვდა, რა ბუზანკალიც შეჯდომოდა თავპატიჟა მოხელეს.

— აბა, ყველა რომ დაკავებულია, — გულწრფელად შეწუხდა შავთვალება მალალო და ყურძნიანი თეფში ისევ მიაწოდა.

კუსამ მტევანი აიღო და ენით გაისწორა პეშვზე.

— შვიდივე? — იკითხა მერე.

შავთვალება მალალომ ცარიელი თეფში მკერდზე მიიკრა და გულიანად გადაიკისკისა, სულ გამოვშტერდი ამ სიბერეში, სწორედ მეშვიდეა თავისუფალიო.

კუსამ ცხვირი აიბზუა. სრულებითაც არ ეპიტნავებოდა შავთვალება მალალოს გაჩხინკული ნაბოლარა. მას უფროსი, ფარფაშა დები ერჩია. აქეთ რომ მოდიოდა, იმ ექვსეულზე ფიქრობდა ,ექვსივეზე ერთდროულად, რადგან ვერცერთს ვერ გამოაცალკავებდა, ისე გავდნენ ერთმანეთს. ფიქრითაც უფრო იმიტომ ფიქრობდა, თავისი საქციელი რომ გაემართლებინა: რა უჭირთ, ერთი ფარფაშა გოგოები არიანო. ინო კი ეცოდებოდა, კი არ ეცოდებოდა, შეწუხდებოდა ხოლმე, ამ გალეული გოგოს დანახვა რაღაცნაირად აბრაზებდა კიდეც, როგორც ყაირათიან გლეხს ფერდებჩაცვენილი საქონელი, ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი. „არაფერს

აკმევთო“ — მართლაც გაბრაზებულივით ეტყოდა ხოლმე კუსა შავთვალება მალალოს . და თავს ისე გადააქნევდა, თითქოს ცოდვით გული ეწვოდა.

„მასპინძელო“ — ჩასძახა კუსამ ლერწმის გალიას. თუთიყუშმა ხარიხაზე გადაინაცვლა და ყვითელი თვალი ბრაზიანად დააბრიალა.

— აკი ლაპარაკობსო? — მიუბრუნდა კუსა შავთვალება მალალოს.

— ძინავს. — უპასუხა შავთვალება მალალომ და თვითონაც დაამთქნარა.

მთავარი აქ შემოსვლა და სურვილის გამჟღავნება იყო; ყველაზე მეტად ეს ეჩოთირებოდა კუსას, მაგრამ ერთიცა და მეორეც გაცილებით იოლი აღსასრულებელი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა. სტუმარმაც და მასპინძელმაც ერთმანეთს ღიმილ-ღიმილით გააგებინეს ყველაფერი. ახლა ასე წასვლას აზრი აღარ ჰქონდა, ის უნდა მიეღო, რასაც სთავაზობდნენ. ფარფაშა ექვსეული, შეიძლება, საერთოდ არ განთავისუფლებულიყო დღეს. აქ ხომ არ დააღამებდა სულელი ქალების ლოდინში. ვითომ ინოს რა უჭირდა? „თავს მაინც შევიქცევო“ — საბოლოოდ გადაწყვიტა კუსამ და სანახევროდ შეჭმული მტევანი მაგიდაზე დადო. გაწებილი ხელი მკერდზე ჩამოისვა. სტუმარ-მასპინძელი ღიმილ-ღიმილით, სიტყვის უთქმელად გაემართნენ სხვადასხვა მხარეს. შავთვალება მალალომ თავის სავარძელს მიაშურა, კუსამ კი, კისერმოქცეულმა შეაღო ინოს ოთახის კარი.

ტყუილად იპრანჭებოდა კუსა. ისიც ტყუილად ეგონა, მთავარი აქ შემოსვლა რომ იყო. უცებ ისე აღელდა, ისე აუჩქარდა გული, თვითონვე გაუკვირდა, გაუკვირდა და რაღაცნაირად დაფრთხა კიდეც, თითქოს ადვილად ხელმისაწვდომი ქალის ოთახში კი არა, სადაც ყველაფერი მისი სურვილისამებრ უნდა მომხდარიყო, არამედ რომელიღაც მტაცებელი ცხოველის გალიაში შემოხეტებულიყო, დაუფიქრებლად, უიარაღოდ, და ახლა მისი ყოველი გაუთვალისწინებელი მოძრაობა შეაშფოთებდა, საბედისწეროც გამხდარიყო. ... ...

როლში გამოდიოდა ყოველთვის. იდგა და იღიმებოდა, არ ერეოდა კუსასა და დედა-დების ლაზღანდარობაში.

— გარეთა გაქვს დიდი გული, თუ მართლა ასეთი ვაჟკაცი ხარ, შინ შემოდი, — ეუბნებოდნენ კუსას ინოს ფარფაშა დები და ერთნაირად, ერთ ხმაზე იცინოდნენ.

— ხე, ხე, — იცინოდა კუსაც. — შინ შემოდი... კარგია მე და ჩემმა ღმერთმა.

კუსა ამას კი ამბობდა, მაგრამ გულში გრძნობდა ფარფაშა დები მართლები რომ იყვნენ, კუსა გარეთ იყო თამამი, ბევრ ქალთან უფრო ადვილი იყო ლაპარაკი, ვიდრე ერთთან დაწოლა. ერთის ეშინოდა, ერთთან, შეიძლება ვეღარ შორეოდა სურვილს, ფერი წასვლოდა ან ხმა ჩაწყვეტოდა, მოკლედ, ისე ვერ მოქცეულიყო, როგორც ამ გამოცდილ ქალებთან იყო საჭირო. ის ერთი, რა თქმა უნდა, ყველას მოსდებდა კუსას შერცხვენას და მერე აღარ შეეძლებოდა ასე თამამად დგომა ამ სახლის წინ, საიდანაც მის ფეხის ხმაზე რვა ქალი გამორბოდა. მის სიძლიერესა და უპირატესობაში დარწმუნებული. მთავარი იყო, არ აჰყოლოდა კუსა ცდუნებას, არ დაეკარგა უპირატესობა, რომელიც თავშეკავებით მოეპოვებინა. მაგრამ ბოლოს მაინც შეცდა, პატუმ შეაცდინა. აყლაყუდა პატუმ, ყველაფერს რომ ამადლიდა, ასაკსაც, სიქალწულესაც, ხალსაც კი. პატუ ჯერჯერობით ერთადერთი ქალი იყო კუსასთვის, მაგრამ კუსამ მაინც იცოდა, მაინც გრძნობდა, განსაკუთრებული რომ არაფერი ჰქონდა მის მეუღლეს, გარდა ასაკისა და სიმაღლისა. მართალია, პატუ ხშირად ეუბნებოდა, ჩემს მზეს უნდა იფიცებდე, რადგან შენზე უფროსიცა ვარ და მაღალიცო, მაგრამ კუსა არც ისეთი სულელი იყო, ბედნიერებისგან თავბრუდასხმოდა და მართლა ღვთის წყალობად ჩაეთვალა ორი თავით მაღალი დედაბერი. კუსა პატუს „ღირსებებს“ მამამისის ფულების ხათრით ითმენდა მხოლოდ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოიფიქრა, ახლა პატუსთან ანგარიშსწორებაზე ფიქრი. ... ერ იყო. თვითონაც ნანობდა, მაგრამ სინანული რაღას უშველიდა. რამე უნდა მოეფიქრებინა, მთლად რომ არ გამასხარავებულიყო ამ უშნო ქალის წინაშე. უბედურება ის იყო, რომ ეს უშნო ქალი თავგზას უბნევდა კუსას. მსგავსიც არაფერი განეცადა, პირი უშრებოდა, ფეხი ისე უცახცახებდა, თითქოს მიწა იძროდა, ყანყრატო ექავებოდა, უნდოდა ისეთ რამეს დაჰპირებოდა, თვითონვე პირი დაეღო გაოცებისაგან, იმ წუთას მართლა ყველაფერი ემეტებოდა ამ ქალისთვის,ოღონდ ახლოს მიეშვა, ხელი მოეკიდებინა, მუხლამდე მაინც აეწია კაბა, მკლავი მაინც გაეშიშვლებინა. კიდევ ერთი წუთი რომ გაგრძელებულიყო ასე, კუსა დაიღუპებოდა, ტომრიანად დაეცემოდა მუხლებზე, მართლა დაჰპირდებოდა ოქროს ქოშებს, ფარჩის კაბას, სამაჯურსა და საყურეს. „დაბნეულ ფეტვის მარცვალსაااა“ — ამოიხრიალა კუსამ და საკუთარი ხმის გაგონებაზე თავზარი დაეცა. ინოც შეკრთა, ერთი წამით შეუთრთოლდა გაქვავებული სახე, მაგრამ ეს ერთი წამიც საკმარისი აღმოჩნდა, კუსას თვალი რომ ახილვოდა, გონება რომ გახსნოდა და დაუოკებელი, დამაკნინებელი ლტოლვა ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომი ქალისადმი, რისხვითა და სიძულვილით შესცვლოდა. „ხე, ხე“ — ჩაიცინა კუსამ. წელანდელი მღელვარების ნატამალიც აღარ შერჩენოდა. ის უკვე ჩვეულებრივი კუსა იყო, ალღოიანი, საზრიანი, საქმიანი. კუსამ ერთ წამში ყველაფერი წარმოიდგინა და ახლა უკვე წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას, გამარჯვებას, რომელიც გაცილებით მეტს ნიშნავდა მისთვის, ვიდრე ერთი გაჩხინკული გოგოს გაშიშვლება და დამორჩილება. „როგორც ირკვევა ინოც ჩემზე უფროსი ყოფილაო“ — ფიქრობდა კუსა და იღიმებოდა, მშვიდად, არხეინად. ქალი, რომელმაც წელან ლამის დაა-

ჩოქა, ლამის კაბა და ქოშები გამოსტყუა, მისთვის ახლა იგივე იყო, რაც გამძღარ ობობასთვის მკვდარი ბუზი, საიმედოდ გაბლანდული ქსელში და შესაჭმელად ხვალისათვის გადადებული. კუსა დიდიხანია იცნობდა ინოს, მაგრამ რატომღაც არასოდეს არ მოსვლია აზრად, რომ ინო და ის გოგო, რომელიც ფარნაოზმა მამამისის სატრფიალო ბარათიდან გამოკვეთა, ერთი და იგივე იყო. კუსამ ერთი კი თქვა: ეს გოგო მგონი მეცნობაო, მაგრამ ბიძამისმა რომ გაუბიაბრუა, საიდან უნდა გეცნობოდეს, როცა ჩემი მოგონილიარ, თვითონაც აღარ ჩასციებია. ან რაში აინტერესებდა. ის მაშინ სხვაზე ფიქრობდა, სხვა აინტერესებდა. იმდენი უკირკიტა ამ საქმეს, სანამ მართლა არ გამოადინა წყალი. აკი ერთი ძაღლის თავი გააყიდინა კიდეც ფარნაოზს. თვითონვე უთხრა ფარნაოზმა: გავყიდე და ძველი ვალი გადავიხადეო. რა ვალი ჰქონდა ბიძამისს, არც ის აინტერესებდა კუსას, გული კი დასწყდა, მის წამოწყებულ საქმეში წილი რომ არ დაუდეს. მერე გოგოს თავიც გაქრა სახელოსნოდან, მაგრამ კუსა მაშინაც გაჩუმდა, თუმცა ეჭვი ჰქონდა, რომ ის თავიც გაეყიდა ბიძამისს. კუსა კი გაჩუმდა, ნამუსზე აგდებდა ფარნაოზს, მაგრამ გულში უკვირდა, წყინდა და ბრაზობდა კიდეც, მადლობასაც რომ არ ეუბნებოდნენ. წილში გაყვანას ვიღა ჩიოდა, უსამართლობა ხეთქავდა გულზე. უსამართლობას წონასწორობიდან გამოყავდა კუსა, ხოლო ფარნაოზი ამ უსამართლობის განსახიერებად იქცა მისთვის, მას მერე, რაც თვალი აეხილა, მიიხედ-მოიხედა და ქვეყანა უკეთესად დაინახა. ბიძამისს „ალალი ლუკმა“ და „პატიოსნება“ ეკერა პირზე, თანაც ერთიცა და მეორეც ისე ესმოდა, როგორც თვითონ უნდოდა, როგორც ხელს აძლევდა. დისშვილისა არაფერი მოსწონდა, თუმცა იმავე დისშვილის წყალობით ნაშოვნ ფულს უსინდისოდ იჯიბავდა, უდრტვინველად. იჯიბავდა კი არა, იქით აყვედრიდა, შენ შემაცდინე, შენ ჩამიყენე ბაზარშიო. კარგია, მე და ჩემმა ლმერთმა, დედაბერს აუპატიურებდნენ და თან პირში აფურთხებდნენო, ასე იყო მისი საქმეც. მაგრამ კუსას უკვე იმდენი უსამართლობა შეხვედროდა პატიოსანი ბიძისაგან, ქვის თავების ამბავი აღარც კი ახსოვდა. სამსახური რომ დაიწყო, ბიძამ უსაყვედურა, იმის ნაცვლად რომ წაეხალისებინა ახალგაზრდა კაცი, ხელი შეეწყო, მხარში ამოსდგომოდა. „გათავდა, ახლა თავშიც რომ ჩაგარტყან, გაბრაზების უფლებაც არა გაქვს, რადგან ნაწყალობევ პურსა ჭამო“ — უთხრა მაშინ ფარნაოზმა. ასე კი იმიტომ უთხრა, დისშვილის რომ შეშურდა. აბა, სად ქვების კოდვა, სად მეფის სამსახური. ფარნაოზს კი ქვების კოდვის მეტი არაფერი შეეძლო, ხოლო რაც თვითონ არ შეეძლო, სხვებისთვისაც შურდა. შურდა, დიახ, შურდა, უსამართლო იყო და იმიტომ. ასევე შეშურდა კუსას სახლიც. ჯერ იყო და ძლივს იკადრა, ძლივს მობრძანდა სანახავად, შურისაგან მილოცვაც დაავიწყდა და მოიღუშა, როგორც იცის ხოლმე. ვერც კუსამ დამალა მაშინ ღვარძლი და ყველას გასაგონად მიახალა: რა იყო, ბიძაჩემო, რა ცხვირპირი ჩამოგტირის, ცეცხლისგან გავიყარეთ, ნათესაობისგან კი არაო, ის კი უარესად იღუშებოდა და თავისას გაიძახოდა, მტერს რატომ იმატებო, რა გვჭირდა გასაყოფიო, ჩვენი სიღარიბის ლუკმა ბოლომდე უნდა გაგვეყო, როგორც გაგვიყვიაო, ტკბილი იყო თუ მწარე, ვერავინ დაგვამადლებდაო. ვერავინ! როგორ არა, თუ არ გჯერათ, პოპინასა და ქალუკას კითხეთ. ისინი დაუკრავენ კვერს. კუსა კი მაგის ჩიტი არ გახლავთ, უკეთესად იხედება. ვერავინ კი არა, პირველი თვითონ იმადლებოდა, ლუკმას პირში უთვლიდა. მერე რა, რომ არ ამბობდა. დანახვა თუ შეგიძლია, თქმა არცაა აუცილებელი. ისეთი ამბით შემოვიდოდა ხოლმე, ისეთი ამბით შემოიტანდა ოფლის სუნით

აყროლებულ პურს, ვითომ მართლა ქვეყნის ამშენებელი იყო. ერთი წუთით რომ დაეგვიანებინათ ქალებს სუფთა პერანგის მორბენინება, ერთი წუთით რომ დაჰგვიანებოდათ ფეხსაბანი წყალის შემოტანა, მამამისივით ისეთ ჭექა-ქუხილს ასტეხდა, თითქოს ქვეყანა დაიქცეოდა, ერთი საწყალი ქვისმთელელი ოფლიან პერანგში რომ დარჩენილიყო და ფეხდაუბანელი მიგდებულიყო ტახტზე. არა, პატივი უყვარდა და იშნოვებდა კიდეც. ღმერთივით მოღუშული იჯდა ხოლმე სამფეხა სკამზე, სანამ ტაშტითა და თუნგებით გარბი-გამორბოდნენ პოპინა და ქალუკა. დიდი ამბავი, მისი მოტანილი პური ძაღლსაც არ ეჭმეოდა, ისე იყო დამბალი და გაჟღენთილი კაცის ოფლით. ის კი გაბღენძილი იჯდა და უსიტყვოდ მოითხოვდა პატივისცემას, ყურადღებას, მადლობას. კუსასგანაც, რა თქმა უნდა კუსასგანაც, რადგან კუსასაც მოუტეხავდნენ ხოლმე ოფლიან პურს, ქვის მტვერი რომ ჩაკვდომოდა და კბილებში კნაწა-კნუწი გაჰქონდა. კუსას ეს პური კი არ ზრდიდა, აჩიავებდა, კი არ აღონიერებდა, აუძლურებდა, რადგან სიძულვილით ჭამდა, ღვარძლით, ძალის-ძალათი; რადგან სანამ ჭამდა, ბიძა გაღიმებული შემოსცქეროდა, მადლობის მოლოდინში. კუსა ხომ უპატრონო იყო, შემთხვევით გაჩენილი, გაუთვალისწინებელი, და აი, მშვენიერი მიზეზი ჰქონდა მადლობა რომ ეთქვა, ხელები რომ დაეკოცნა ასევე შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი, მაგრამ მისდა საბედნიეროდ, კეთილშობილი, პატიოსანი და გულუხვი მფარველისთვის, მზამზარეულად რომ დაეხვედრებინათ მისთვის ღმერთებს, მთლად არ გაეწირათ. მართლაც რა დაშავდებოდა, კუსას მადლობა რომ ეთქვა, რა მოხდა, ფარნაოზი უცხო ხომ არ იყო, ბიძა იყო, დედის ძმა. ევალებოდა კიდეც, მფარველობა გაეწია დისშვილისთვის. მაგრამ მართლა ასე იყო? მართლა არაფერი მოხდებოდა? მოხდებოდა, როგორ არ მოხდებოდა. ჯერ ერთი, მადლობის თქმა ბედთან შეგეჯახებინა, და შემთხვევითობისა და გაუთვალისწინებლობის აღიარება. მეორეც ერთი... მეორეც ერთი და მესამეც ერთი და მეასეც ერთი, კუსა არასოდეს შეეგუებოდა ამას. ის არავისზე ნაკლები არ იყო და არც არავისზე ნაკლები ეკუთვნოდა რამე ამ ქვეყანაზე. აკი დაამტკიცა კიდეც. უპირველეს ყოვლისა კი თავისიანებს დაუმტკიცა, სულელ ქალებსა და ქვისკოდია ფარნაოზს. მართალია, ფარნაოზს არც სამსახური მოსწონდა მისი და არც სახლი, მაგრამ ათი სიცოცხლე რომ ეცოცხლა, ვერც ერთს ეღირსებოდა და ვერც მეორეს, თავისი უმაქნისობისა და, რაც მთავარია, თავისი პატიოსნების წყალობით. რა თავში იხლიდა კუსა ასეთ პატიოსნებას, არც ტანსაცმლად გამოადგებოდა და არც საჭმელად. ამგვარ პატიოსნებას ბოროტების მოტანა შეეძლო მხოლოდ, გაღიზიანება, ტკბილი ლუკმის ჩამწარება და უაზრო, უსაფუძვლო მტკიცება იმისა, რის საწინააღმდეგოსაც თვითონ ცხოვრება ადასტურებდა. კუსა უკვე კაცი იყო, მთელი ქალაქი იცნობდა, იცნობდა კი არა, შიშით ელეთ-მელეთი მოსდიოდათ მის დანახვაზე: ვინ გაუბედავდა ლუკმის დამადლებას? ვერავინ! ახლა მართლა ვერავინ. ვერც ბიძამისი, პატიოსნებაზე რომ დებდა თავს, ხალხში რომ არ ერეოდა, მთელი დღე ქვას უკაკუნებდა და სახედრის საოფლესავით ბოლავდა. „ვერ მოგართვი, ბიძაჩემო, ვერა“ — გულზე სკდებოდა კუსა, რადგან მიუხედავად ყველაფრისა, სადღაც, სულის ჩაუღწეველ სიღრმეში მაინც შეშფოთებით გრძნობდა, რომ ბიძამისი სხვა იყო, სხვანაირი, რაღაცით ყველასაგან გამორჩეული და სწორედ იმ რაღაცით აცოფებდა კუსასაც.

ფარნაოზმა ცოლიც დაუწუნა, თვითონ არ ყავდა და იმიტომ. ასე იფიქრა პირველად კუსამ, როცა ფარნაოზი ჩვეულებისამებრ მოიღუშა და მოჰყვა ქადაგებას: ჯერ ახალგაზრდა ხარო,

ფულის გულისთვის ან თავს რატომ იღუპავ ან იმ დედისხელა ქალს რატომ აპამპულებო. მაგრამ კუსას ფეხებზე ეკიდა ბიძის ქადაგება, პირიქით, უარესად განუმტკიცდა რწმენა, რომ მისი არჩევანი და გადაწყვეტილება სწორი იყო. აბა, მეძავი შეერთო, მეძავის თავი ეჩორკნა ქვებისაგან? ეს უფრო პატიოსნება იქნებოდა, ვიდრე დარბაისელი ქალის შერთვა? კი ბატონო, თუ ესაა პატიოსნება, კუსა თვალს დახუჭავს, გვერდზე გადგება, არაფერში ჩაერევა და შეირთოს ფარნაოზმა ინო. არა, გვერდზე გადგება კი არა, თავს არ დაიზოგავს, არ მოისვენებს, პურს არ შესჭამს, სანამ ამ საქმეს თავს არ მოაბამს. ახლავე მოსინჯავს, ახლავე გაარკვევს, რა აზრისაა ინო ბიძამისზე და მერე საქმესაც შეუდგება. სამუდამოდ ამოვა ბიძამისის ვალებიდან, სიკეთეს სიკეთით გადაუხდის. ხე, ხე, რითია ცუდი წყვილი; ქვისმთლელი და მეძავი, სახელგანთქმული მეომრის ვაჟი და სახელგანთქმული მეძავის ქალიშვილი, რომელიც მალე დედასავით გაითქვამს სახელს, ცოტას თუ გასუქდება. ანდა კაბაში ზოგიერთ ადგილას ჭინკებს მაინც ჩაიტენის. მერე კი დავსხდეთ და ვილაპარაკოთ პატიოსნებაზე.

ასე, ანდა დაახლოებით ასე ფიქრობდა ინოს ოთახში სვეტივით აღმართული კუსა და გულში კროჭინობდა, სიამოვნებისაგან თვალები უბრწყინავდა. არცერთ დედაკაცს არ შეეძლო მსგავსი სიამოვნების მინიჭება. ინოსაც შეემჩნია კუსას უეცარი გარდაქმნა და ახლა გაკვირვებული შემოსცქეროდა, ვერ გაეგო, რატომ უღიმოდა ასე, დასცინოდა თუ აყვედრიდა, ექადნებოდა თუ ლაპარაკის ღირსადაც აღარ თვლიდა. ინო წუხდა, მოუსვენრად წრიალებდა ტახტზე და თვალებით ეეედრებოდა, ეთქვა რამე, ოღონდ ხმა ამოეღო და თუნდაც გაელანძღა, გაეთათხა, დაემცირებინა, რადგან ინოს აზრით, კუსას საამისო უფლება ჰქონდა. ის ხომ ფარნაოზის დისშვილი იყო; ან როგორ იფიქრა, კუსა მასთან დასაწოლად რომ შემოვიდოდა ერთი წუთით როგორ დაუშვა, კუსა რომ ამას იკადრებდა. არა, კუსა ბიძამისის შურის საძიებლად იყო მოსული და თუ მაინც ზოგავდა, მაინც არაფერს ეუბნებოდა, იმიტომ რომ ეცოდებოდა, ანდა მღელვარებისაგან ვეღარ მოენახა ის სიტყვა, რომელსაც ინო იმსახურებდა და რომელიც ინოს ბაღლინჯოსავით მიაჭყლეტდა ტახტზე. „თქვი ,ღირსი ვარო“ —უნდოდა ეყვირა ინოს, მაგრამ მონუსხულივით ისევ ისე იჯდა და თვალს ვეღარ აშორებდა მხარზე ტომარაგადაკიდებულ მსაჯულს. კუსა კი სხვას ფიქრობდა, სხვაგან ფრენდა მისი მოზეიმე გონება. „დაკარგე კაბა და ქოშები, ჩიტუნია, — კროჭინობდა კუსა გუნებაში. — ასეა, კუსა სხვა კაკალია, მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ ისეთ ქმარს შეგრთავ, თავზე საყრელად გექნება, რაც არასდროს გღირსებია: პატიოსნება და ოფლით აყროლებული პურიო“.

— ფარნაოზმა მოგიკითხა, — თქვა კუსამ ხმამაღლა.

კუსა ერთადერთი კაცი იყო, რომლისგანაც ინოს ფარნაოზის ამბის გაგება შეეძლო. მისი ყოველი გამოჩენა აფრთხობდა და ახარებდა კიდეც, რადგან დარწმუნებული იყო, კუსა ტყუილად არ მოდიოდა, რაღაცის მაუწყებელი იყო, მაგრამ ვერ გაერკვია რისი, ავისა თუ კარგისა. უფრო ავის მოლოდინი ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ გაურკვევლობა უარესად უწეწავდა სულს, მაინც მადლიერი იყო კუსასი, ამდენხანს რომ იკავებდა თავს, ამდენხანს რომ ზოგავდა, რადგან დარწმუნებული იყო, ადგილზე მოკვდებოდა ფარნაოზის ცუდი ამბავი რომ გაეგო. კუსა კი მოდიოდა და მიდიოდა, წელიწადის დროსავით, წელიწადის მეხუთე დროსავით და სანამ მისი სტუმრობა გრძელდებოდა, ყველაფერი იყინებოდა ირგვლივ, არა, ყველაფერი ქრებოდა, მხარზე ტომარა გადაკიდულ კუსას გარდა, რომელსაც თავისუფალ ხელისგულზე

ინოს გული ედო და დაუნდობლად, უშნოდ ძიძგნიდა, როგორც ყურძნის მტევანს.

კუსას ნათქვამმა ინოს თავზარი დასცა, არც გაჰკვირვებია, არც გახარებია, უბრალოდ გააოგნა, ვერც კი მოასწრო კარგად ჩასწვდომოდა ნათქვამის აზრს, ვერც კუსა და ფარნაოზი დაუკავშირა უცებ ერთმანეთს. ყრუ, ტლანქი დარტყმა იგრძნო კეფაში და მისმა მოშლოდინე არსებამ ტკივილი ნეტარებად აღიქვა. ინოს ისევ გაუქვავდა სახე, ჭერს მიაშტერდა, თითქოს გახსენებას ცდილობდა, იცნობდა თუ არა ვინმე ფარნაოზს, მაგრამ მალევე გამოერკვა, ტახტიდან წამოხტა და ისე მოულოდნელად გავიდა ოთახიდან. კუსას ღიმილი სახეზე შეეყინა.

კუსას არაფერი აღარ ესაქმებოდა ამ ოთახში, რაც გაიგო, ჯერჯერობით, ესეც კმაროდა, მაგრამ მაინც გაბრაზდა, ინომ ასე უბოდიშოდ რომ მიატოვა. — „რა უფლების ძალითო?“ — ღვარძლიანად გაიფიქრა კუსამ, მაგრამ ახლა აყალმაყალისთვის არ ეცალა, უცაბედად წამოწყებულ საქმეს მიხედვა ჭირდებოდა. საქმეში ეს გაბრაზებაც გამოადგებოდა, უკეთესად ასწონ-დასწონიდა ყველაფერს, საფიქრელი კი ბევრი ჰქონდა, ბევრი რამე იყო გასარკვევი, ძაფის უბრალო ნაკუწამდე, ფსკერამდე. მან ჯერ ერთი რამე იცოდა მხოლოდ: ინო და ფარნაოზი ერთმანეთს იცნობდნენ. ინო იყო სწორედ ის გოგო, ფარნაოზმა რომ გამოაქანდაკა, მერე კუსას უჩუმრად გაყიდა, ფული კი მთლიანად ჩაიჯიბა, თუმცა სამართლიანობა თუ არსებობდა, თუ ყველაფერი ბიძამისის არშინით არ იზომებოდა, მაშინ კუსასაც ეკუთვნოდა წილი იმ ფულიდან. მაგრამ ჯერ ამის დრო არ იყო, არც კუსა დაწვრილმანდებოდა ასე. ის სხვანაირად დაამტკიცებდა თავის სიმართლეს. ახლა ის იყო დასადგენი: უყვარდა თუ ძულდა ინოს ფარნაოზი. ამის დადგენასაც დრო უნდოდა, სიფრთხილე, ჭკუა, ეშმაკობა, რადგან ქალთან ჰქონდა საქმე, ხოლო ქალის სიყვარულიცა და სიძულვილიც ძალიან გავდნენ ერთმანეთს. საყვარელი და საძულველი სახელის ხსენებას ერთნაირად შეეძლო წამოეგდო ქალი ისევე, როგორც ინო წამოაგდო წეღან. ერთს კი გრძნობდა, მტკივნეულად გრძნობდა, მუწუკივით, ხორცში ჩამკვდარ ხიწვივით: უყვარდა თუ ძულდა ინოს ფარნაოზი, მაინც მასზე მეტი გამოდიოდა, მაინც მასზე მაღლა იდგა კაცი, რომლის დამცირებაცა და დამხობაც გაუნელებელ ოცნებად გადაქცეოდა. კუსა ინოსთვისაც არაფერი არ იყო, მუშტარიც კი. ხოლო ფარნაოზის ხსენებამ გიჟივით წამოაგდო, ყველაფერი დაავიწყა, მოვალეობაც, თითქოს კუსას მკვდარი გომბეშო დაენახვებინა მისთვის. „კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანიო“ — მოიღრიალებდა კუსა ქუჩაში და ერთი სული ჰქონდა, როდის იხილავდა ფარნაოზს. საინტერესო იყო, ახლა რაღას იტყოდა ბიძამისი, ახლაც ხომ ვერ მოუკიბავდა: საიდან უნდა იცნობდე ამ გოგოს, როცა ჩემი მოგონილიაო. ნეტავ ასე ეთქვა, კუსასაც ეს უნდოდა, მაშინვე მიუმღერებდა: ტყუი, ტყუი, ბიძუნაო. მერე კი... მერე კი საქმე აჩვენებდა, როგორ მოქცეულიყო და რა ეთქვა.

კუსამ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ უკვე დიდი წვლილი მიუძღოდა ინოსა და ფარნაოზის ცხოვრებაში, იმის შეკოწიწებას რომ აპირებდა, რაც თვითონვე დაემსხვრია. კუსას ჩხავილმა გამოდენა ინო და ფარნაოზი დარიაჩანგის ბაღიდან და ჭეშმარიტად **იმ** დღეს გაითიშნენ, როცა შუბუმ კუსას დაბადება აუწყათ. რაც მერე მოხდა, საბრალო და სასაცილო გაბრძოლება იყო მხოლოდ. ეს არც ინომ და ფარნაოზმა იცოდნენ. არავინ იცოდა, ბედისწერის გარდა. კუსა ბედისწერასავით გარდაუვალი იყო.

ფარნაოზი კი სასჯელს იხდიდა: ქვებს კოდავდა. დაჰკრავდა თუ არა ჩაქუჩს ქვის ხორკლიან ზედაპირს, აყაყანებული

ქალაქი სადღაც ქრებოდა. რჩებოდა მხოლოდ ქვა, ნაცრისფერი, უკაცური კუნძული და თვითონ. თვითონაც ქვის ფერი მიეღო, ქვის მტვერი ედგა თავზე და ჩაქუჩის ხმით იგერიებდა ფიქრებს, ქვის პატარა კუნძულიდან ჩამოთრევას რომ უპირებდნენ, ცხოვრების ზღვაში ჩაყურყუმალავებას. ცხოვრებას არც ამ პატარა კუნძულის დათმობა უნდოდა, ოთხივე მხრიდან შემოსდგომოდა და უტყლაშუნებდა ტალახისფერ ტალღებს. „გამანებე თავი. ხომ ხედავ, ძარტო ვარ. — ამბობდა თავისთვის ფარნაოზი. — თუ ჩხუბი გინდა, ერთი კაცი მომეცი, მხოლოდ ერთი კაცი და მერე ვილაპარაკოთ". ფარნაოზს ცხოვრებისა კი არ ეშინოდა, არამედ დამარცხების რცხვენოდა. მას უკვე ეწვნია მისი გემო და ერთხელ თუ შესძლო, დარწმუნებული არ იყო, მეორეჯერაც რომ შესძლებდა მტკიცედ, აუღელვებლად ჩაევლო ახარხარებული ხალხის წინ. დამარცხებაზე ფიქრს წონასწორობიდან გამოყავდა იგი. ისეთი გაშმაგებით დაუშენდა ხოლმე ჩაქუჩს ქვის ხორკლიან ზედაპირს, თითქოს ამ ერთადერთი თავშესაფრის დაქუცმაცებასაც ცდილობსო. მაგრამ ქვა მაგარი იყო, ხოლო კაცის სიმარტოვე უფრო აქვავებდა, აპირქუშებდა. ფარნაოზმა უკვე იცოდა, რაც მომხდარიყო; ისიც იცოდა, მისი დანაშაული სხვათა დანაშაულის გამონაყარი რომ იყო, გაგრძელება. ის დანაშაულებათა ხის ნაწილი იყო და იმ ხეს ღრმად ჰქონდა უკვე ფესვი გადგმული, ტანიც დამსხვილებოდა და დატოტვილიყო. ფარნაოზი მაღლა იყო, კენწეროში და პირველად მას დაეძგერებოდა ხოლმე ქარიცა და წვიმაც. ფარნაოზი ცას შეჰცქეროდა. როგორც არ უნდა გადაეზნიქა ქარს, როგორც არ უნდა დასწოლოდა კისერზე წვიმა, იმდენს მაინც ახერხებდა, ცისთვის თვალი არ მოეშორებინა. ძირს ჩამოხედვისა კი ეშინოდა, ეშინოდა — დაენახა ტოტი, რომელსაც აგრძელებდა, ამთავრებდა, რადგან ის ტოტი მამამისი იყო, უხეირო, ოდესღაც სახელგანთქმული მეომარი, მტრების რისხვა და პატრონის იმედი. ის ახლა გაშოტილი იწვა და ქარგავდა, ასე იგერიებდა სიმართლეს, მტრად რომ გადაჰკიდებოდა. უხეირო სიმართლეს ებრძოდა, რადგან სიმართლე მეგობრის გვამის წართმევას უპირებდა; უხეირო თავცოცხალი ვერ დაუთმობდა. ეს უბრალო გვამი არ იყო. ეს გვამი ადასტურებდა მხოლოდ, ოდესღაც ისიც ნამდვილად რომ არსებობდა, ცხოვრობდა, დადიოდა, კაცი ერქვა. ამიტომაც დამალა უხეირომ იგი აფრისხელა ტილოს ქვეშ, ამიტომაც გაიმკაცრა სახე, ამიტომაც განუდგა ცხოვრებას. არავის არ ჰქონდა უფლება, გადაექექა ძონძები, ძვირფასი გვამისთვის რომ წაეფარებინა; ის იმის მადლიერიც იყო, გვამი რომ შერჩა, ღამით მაინც რომ შეეძლო, ჩაეყმუვლა ამ გვამისთვის თავისი დარდი და უმწეობა. ფარნაოზი დარწმუნებული იყო, მამამისიც რომ მიხვედრილიყო უკვე, როგორ გაეპამპულებინა ბედისწერას, სახელოვანი მეომარი ტუტუც ბავშვად გაეხადა, რომელსაც ერთმა ძიამ მეორე ძიას ვენახი დააგლეჯინა, გასამრჯელოდ კი პანღური ამოარტყა, თანაც ისე ამოარტყა, წელში რომ ვეღარ გამართულიყო, რადგან იმ ძიას ის ტუტუცი ბავშვი ხუთი წუთით ჭირდებოდა, როგორც საღერღელ აშლილ ჯარისკაცს მეძავი, იძულებული რომაა ერთი-ორი ტკბილი სიტყვაც უთხრას, სანამ დასანახად შეძულდება. როცა ფარნაოზი ასე ფიქრობდა, სიბრაზე ისე წაეკიდებოდა გულზე, უნდოდა ჩაქუჩი გადაეგდო, მთელი სიმაღლით წამომდგარიყო ქვის კუნძულზე და დაეყვირა: შენ მამაჩემის გაბითურებაც გეყოფაო, მაგრამ მამის შეწუხებული სახე რომ წარმოუდგებოდა, პირზე მომდგარ სათქმელს ძალით ყლაპავდა, როგორც დიასახლისის ხათრით სტუმარი ყლაპავს ხოლმე უგემური კერძის დაუღეჭავ ლუკმას. „ერთი კაცი მომეცი, ერთი კაცი მომეციო" — უაზროდ და უთავბოლოდ იმეორებდა თავისთვის ქვას-

თან დაბრუნებული ფარნაოზი. ფარნაოზი მართლა ოცნებობდა მეორე კაცზე, რომლის არც დაბეზღების შიში ექნებოდა და არც დაცინვისა. ეს მეორე კაცი ჯერჯერობით მარტო ოცნებაში არსებობდა. ოცნება კი სინამდვილისაგან ისევე განსხვავდებოდა, როგორც სალამური ლერწმისაგან. ლერწამს მოჭრა უნდოდა, გამოთლა, გამოწვა, ნასვრეტების ამოღრუტვნა და კიდევ საკითხავი იყო, დაუკრავდა თუ არა. კუსამ არ გაუმართლა. ის მღვრიე წყალში თავისი თევზის დაჭერას ცდილობდა და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. ამიტომაც ის უცხოზეც საშიში იყო. არც მამასთან საუბრებს მოსდევდა რამე შედეგი. უხეირო ფარნაოზის გულისტკივილს ბრალდებად იღებდა, თავს იმართლებდა, ახლოს არ უშვებდა და წვერგაჩეჩილი, თვალებგადმოკარკლული იგერიებდა შვილს, როგორც სიმართლის, მისი ყველაზე დიდი მტრის, მოციქულს.

— ასე იმიტომ ლაპარაკობ, შუბი რომ არ გჭერია ხელში, — ყვიროდა წვერგაჩეჩილი და თვალებგადმოკარკლული უხეირო.

— მამაჩემო! — ყვიროდა ფარნაოზიც, როგორმე რომ დაეჩრდილა მამის ხმა. — მამაჩემო! ასე იმიტომ ლაპარაკობ, არაფერი რომ აღარ შეგიძლია.

ფარნაოზს ეჭვი არ ეპარებოდა, მამამისი ფეხზე რომ ყოფილიყო, პირველი ის აიღებდა იარაღს და მასაც ასწავლიდა, როგორ მოეხმარა იგი. მან ხომ მართლა არ იცოდა იარაღის ხმარება, არავის უსწავლებია, არცა სჭერია ხელში. უხეიროს შუბები მისთვის შორეული წარსულის დაშლილი ღობის სარები იყო, სევდისა და ყოვლად გაურკვეველი სიამაყის აღმძვრელი, მთელი ბავშვობა, როგორც აკრძალულ ხილს, შორიდან რომ შესცქეროდა, რადგან უხეიროს შიშით ვერავინ მიაკარებდა თითს, პოპინას გარდა. მარეხის სიკვდილის მერე მხოლოდ პოპინას ჰქონდა უფლება, გაეხეხა და გაეპრიალებინა მამისეული შუბები. ფარნაოზმა იმდენხანს უყურა ამ შუბებს, სანამ მათი მნიშვნელობა არ დავიწყდა. დაავიწყდა, რადგან მამამისსაც ასე უნდოდა; რადგან მამამისმა ყველაზე კარგად იცოდა, რა ცოდვა-ტირილის დატრიალება შეეძლოთ ამ გალურსულსა და გაპრიალებულ ჯოხებს, როგორც კი ვინმე აიღებდა ხელში.

— შენ ხომ გეშინია შენივე შუბებისა. — ყვიროდა ფარნაოზი.

და უხეიროს მართლა ეშინოდა ამ პირბასრი, ამაყად მოპრიალე და დროებით, მხოლოდ დროებით გაქვავებული გველებისა. ეშინოდა იმიტომ, რომ დაშორდა, შორიდან დაინახა ისინი. სანამ ხელში ეჭირა, ვერ ამჩნევდა, მათი გაუმაძღარი პირები ყოველთვის სხვისკენ იყვნენ მიმართულნი, მაგრამ, როგორც კი დაშორდნენ ერთმანეთს, მაშინვე გაიგო, თუ რანი იყვნენ ისინი, რისთვის იყვნენ მოგონილნი და გაჭედილნი. შეეშინდა და დადუმდა. ხოლო მისი დუმილი სხვებსაც შიშს უნერგავდა; ფარნაოზსაც. უპირველეს ყოვლისა, ფარნაოზს, რადგან მან ამ შუბების ხმარებაც არ იცოდა; ხელში რომ აეღო, შეიძლება თავი დაეშავებინა, თვალი გამოეთხარა, ანდა ყანყრატოთი დაგებოდა ზედ. უხეირო რომ ფეხზე ყოფილიყო, მაშინ სხვა იქნებოდა, მაშინ ფარნაოზიც მეომარი იქნებოდა, შუბებსაც თავიდანვე შეეჩვეოდა, სხვა თუ არაფერი, ყოველდღე მაინც ჩამოართმევდა შინ მობრუნებულ მამას.

— შენი ბრალია, მე თუ იარაღის ხმარება არ ვიცი! — ამბობდა ფარნაოზი ახლა უკვე მშვიდათ, თუმცა ჯერ ისევ ბრაზობდა.

ფარნაოზი მართალი იყო და იმიტომაც ბრაზობდა. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, მამამისი განგებ რომ მოიქცა ასე, რათა მას, ფარნაოზს, უხეიროს სისხლსა და ხორცს, არ ჰქონდა მამის შეცდომის გამოსწორების საშუალება.

— განა ასე ჯობია? განა შენ კი გინდოდა, რომ შენი შვილები... თქვი, ალიარე, რომ შეცდი! — ეუბნებოდა სახეგაქვავებულ მამას ფარნაოზი.

მამაშვილის გაუთავებელი კამათი ვერხვის ფოთოლივით ათრთოლებდა პოპინას. სიტყვები კი ესმოდა, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა. ყველაზე უფრო იმისი ეშინოდა, კუსა რომ არ შემოსწრებოდათ. გუმანითა გრძნობდა, რომ მისი მამა და ძმა მისი შვილის საწინააღმდეგო საქმეზე მსჯელობდნენ. არა, კი არ მსჯელობდნენ, უთავბოლოდ ყვიროდნენ და ეს ყვირილი უჩენდა სწორედ პოპინას ამგვარ გრძნობას. ეს ყვირილი კუსას არ უნდა გაეგო, კუსას ყურამდე არ უნდა მიეღწია, თორემ... პოპინამ ამდენი აღარ იცოდა და კარს უკან ატუზული ხელებს იმტვრევდა. თან ქუჩისკენაც ჰქონდა ყური. ის დიდიხნის შეგუებული იყო თავის ბედსა და მოვალეობას, სურვილი და ოცნება დიდიხნის წინად გამოეგავა გულიდან და ახლა ერთი სანატრელიღა ჰქონდა: არაფერი მომხდარიყო, სულ ასე ყოფილიყვნენ, როგორც იყვნენ. მას სამი მამაკაცის მოვლა-პატრონობა ევალებოდა და სამივე მამაკაცი მისთვის თანაბრად ახლობელი და ძვირფასი იყო, იმდენად ძვირფასი, რომ ყოველ დილა-საღამოს ღმერთებს მადლობას წირავდა, მაინც და მაინც ამ სამი მამაკაცის მოვლა-პატრონობა რომ დაევალებინათ მისთვის. პოპინას ფიქრი და საზრუნავი სახლის კედლებს არ ცილდებოდა და წელებზე ფეხს იდგამდა, რათა ამ სახლში ყველას ერთმანეთი ჰყვარებოდა, ყველა მშვიდი და ლმობიერი ყოფილიყო დანარჩენების მიმართ, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ სიმშვიდე, ლმობიერება და ბედთან შეგუება დაიფარავდათ უფრო დიდი უბედურებისაგან, რომელიც უნდა მომხდარიყო, აუცილებლად უნდა მომხდარიყო და მოხდებოდა კიდეც, თუკი დროულად არ მოეგებოდნენ გონს, არ გაანებებდნენ თავს ამ გაუთავებელ ჩხუბსა და ყვირილს. პოპინა ამას გუმანითა გრძნობდა, ეს ქალის უტყუარი გუმანი იყო და მაშინვე ასტეხდა ხოლმე ვანგაშს, როგორც კი მამა-შვილი ხმას აუწევდნენ. მაგრამ ვინ აქცევდა ყურადღებას მის შიშსა და წინათგრძნობას. ანდა (ასე კი ხშირად ფიქრობდა ხოლმე) კაცები იმისთვის იყვნენ გაჩენილნი, უბედურებას რომ გადაჰყოროდნენ, უბედურება რომ დაეტეხათ სხვებისთვისაც. ეს შიში პოპინას სიყმაწვილიდან დასჩემდა, იმ დღის მერე, როცა ფილამონემ სამღვბროში მიიმწყვდია და გააუპატიურა. პოპინამ ვერც მაშინ გაიგო და ახლაც არ ესმოდა, რატომ მოექცა ფილამონე ასე. ამ მართლაც უცნაურ საქციელს არავითარი ახსნა არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ფილამონეც კაცი იყო და უბედურება მოჰქონდა. პოპინას ყველაფერზე მეტად უბედურებისა ეშინოდა და ამიტომაც გაუჩნდა ყველაფრისადმი მორჩილების გრძნობა. ეს გრძნობა ასულდგმულებდა და აბედვინებდა კიდეც, ყოველ დილით ფეხი რომ გადმოედგა საწოლიდან. მან უკვე იცოდა, პატარა, უმნიშვნელო არსება რომ იყო, ცხოვრების დანამატი, რომელსაც არ შეეძლებოდა საკუთარი ფიქრი და ოცნება ჰქონოდა, რადგან სხვათა ფიქრსა და ოცნებას უნდა შესწირვოდა. ყველას შეეძლო გაეთელა იგი, ფიქრი თუ გაიტყუებდა, ოცნებას თუ აჰყვებოდა, რამეს თუ ინატრებდა, თუნდა სხვათა უჩუმრად, თავისთვის, გულის სიღრმეში. გათელვა კი მტკივნეულიც იყო და ამაზრზენიც, მან ეს უკვე კარგად იცოდა და ცდილობდა, არაფერზე არ ეფიქრა, არაფერზე არ ეოცნება, არაფერი არ ენატრა, გარდა ამ სამი მამაკაცის სიმშვიდისა, ჯანმრთელობისა და ბედნიერებისა. პოპინას მამაკაცებში ჩაბუდებული ძალის ეშინოდა, რომელიც სხვათა მორჩილებას მოითხოვდა და არა სიყვარულს. სიყვარული აბრაზებდათ, აღიზიანებდათ და თავგზას უბნევდათ. მართალია, სამივე მამაკაცი მისი ახლობელი, მისი სისხლი და ხორცი იყო, მაგრამ პოპინას მაინც ეშინოდა მათი, ისე ეშინოდა, ალბათ, არც გაუკვირდებოდა, რომელიმე მათგანი ისევე რომ მოქცეოდა, როგორც ფილამონე მოექცა ერთხელ. საბედნიეროდ, ამის მსგავსი არაფერი მომხდარა ჯერჯერობით,

მაგრამ ეს სრულებითაც არ იყო საკმარისი, პოპინას რომ რწმენა შესცვლოდა.

ტომრის ჟღრიალს რომ გაიგებდა, პოპინა მაშინვე უხეიროს ოთახში შევარდებოდა, კუსა მოდისო, მიაძახებდა ყვირილისგან სახეალეწილ მამაშვილს და უკანვე გამორბოდა, რათა ახლა შვილს მიჰგებებოდა.

კუსა ყოველთვის გაღიმებული შემოდიოდა, მიიხედ-მოიხედავდა, თითქოს სხვაც უნდა დახვედროდა ვინმე. ის სხვა მამაშვილის საუბარი იყო, მოულოდნელად შეწყვეტილი, დაფეთებული რომ დაეძებდა ოთახიდან გასასვლელს და უარესად ხმაურობდა. გაღიმებული კუსა დედას გამოხედავდა. კართან ატუზული და გულხელდაკრეფილი პოპინა თავს უაზროდ აიქნევდა ხოლმე, თითქოს თვალზე ჩამოშლილი თმის გადაგდებას ცდილობდა. კუსა კი იღიმებოდა, იღიმებოდა, იღიმებოდა და სიამოვნებისგან კაკანებდა, მისი მოულოდნელი სტუმრობით დაბნეული მამაშვილი ერთმანეთს რომ შეჰყურებდა. „კარგია. ასე უნდაო". — ზეიმობდა კუსა გუნებაში. ყველას და მათ შორის მის პაპა-ბიძასაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაენერგა გონებაში, რომ ის ფილამონეს ნაბიჭვარი კი არა, მეფის მოხელე იყო და უფრო მეტი მოეკითხებოდა, ვიდრე სხვებს ეგონათ.

კუსა ახლაც გაღიმებული შემოვიდა, გადატანილი მღელვარების ნასახიც არ შერჩენოდა.

— რა პირკატა გეცემათ ხოლმე. გამარჯობათ, — თქვა კუსამ და ტომარა ფეხებთან დაიდო.

უხეირო საქარგავს მიუბრუნდა, კუსა ფარნაოზს შეატოვა. ფარნაოზმაც, სხვა რომ ვერაფერი მოიგონა, დისშვილი მოიკითხა.

— მააადლობთ, — გააგრძელა კუსამ.

ცოტახნის მერე კი დაუმატა: არც ისე ცუდად ვარ, როგორც თქვენ გინდათ და არც ისე კარგად, როგორც მე ვინატრებდიო.

— შენი ცუდი აქ არავის გაუხარდება, — რატომღაც მკაცრად, უხეშად უპასუხა ფარნაოზმა და ოთახიდან გავიდა.

კუსამ უხეიროს შეხედა. უხეირო ქარგავდა, სახე დამშვიდებოდა, რადგან უკვე შეეღწია თავის ქვეყანაში და ამქვეყნისა აღარაფერი ესმოდა. კუსამ მხრები აიჩეჩა და ტომარას დასწვდა.

კუსა ფარნაოზს ქუჩაში დაეწია, გვერდში ამოუდგა და თითქოს დიდი ხნის დაწყებულ საუბარს აგრძელებდა, უთხრა: ტყუილად მებუტები, იქ თუ დავდივარ, ისევ შენი გულისთვის. ვინ იცის რას არ ეუბნებიან პატუს, მაგრამ რა ვუყო, ილაპარაკონ. მე რაც მევალება იმას ვაკეთებო.

ფარნაოზმა გაკვირვებულმა შეხედა, მაგრამ მაინც არ გაჩერებულა, პირიქით უფრო აუჩქარა ფეხს, თითქოს საფრთხე იგრძნო და ცდილობდა დროულად გასცლოდა აქაურობას. ფარნაოზმა მართლა იგრძნო რაღაც საფრთხის მაგვარი, არასასიამოვნო, შემაწუხებელი, და უნებურად დაიძაბა. მღელვარება გულსაც გადაედო და ბუდიდან ამოხტომას ცდილობდა, თითქოს გველი დაენახა, მისკენ გამოცოცებული. კუსა ისევ წამოეწია და მხარზე ხელი დაადო. ფარნაოზი გაჩერდა. კუსამ გაუღიმა, პირი ყურთან, რაც შეეძლო ახლოს მიუტანა, შეთქმულივით მიიხედ-მოიხედა და სხაპასხუპით ჩასჩურჩულა: მე ყველაფერი ვიცი, ახლაც იქიდან მოვდივარო.

— საიდან? — ვეღარ მოითმინა ფარნაოზმა, თუმცა უკვე იცოდა, რასაც უპასუხებდა კუსა.

— ხე, ხე, საიდან! — გაიმეორა კუსამაც.

— ახლა არ მცალია, სხვა დროს ვილაპარაკოთ. — უცებ აჩქარდა ფარნაოზი და თვითონაც მოათვალიერა ქუჩა, თითქოს მათი ერთად გამოჩენა აკრძალული იყო, სახიფათო, ყოვლად წარმოუდგენელი.

ფარნაოზმა წასვლა დააპირა, მაგრამ კუსამ ისევ მხარზე დაადო ხელი, — რა ცალები გკიდიაო, — თითქმის უყ-

ვირა, მაგრამ მაშინვე დაუწია ხმას და ჩურჩულით გააგრძელა: — რა ცალეში გკიდია, როდემდე უნდა იყო ასეო.

„ეგ რაღა შენი საქმეა“, — გაიფიქრა ფარნაოზმა, თქმით კი არაფერი უთქვამს, გაკვირვებული შესცქეროდა დისშვილს, როგორც ბავშვი ჯადოქარს, რომელსაც ციცრის კვერცხი პირში ჩაედო და ყურიდან გამოეღო.

— თუმცა შენ რა გენაღვლება, გოგომ იკითხოს, — თქვა კუსამ.

ფარნაოზმა იგრძნო, როგორ წითლდებოდა, თითქოს კუსას რაღაც უხამსობა ეთქვა, თითქოს მისი დამალული სენი აღმოეჩინა და ახლა საქვეყნოდ აპირებდა მოყოლას. ფარნაოზს კი უფლებაც აღარ ჰქონდა გაეჩუმებინა, პირზე აეფარებინა ხელი, რადგან თავის დროზე არ გაუფრთხილებია, ესა და ეს მჭირს, ოღონდ ნუ გამთქვამ, ხომ იცი ხალხის ამბავი, ათასნაირ კუდს გამოაბამენო. ფარნაოზი არ ენდო კუსას, კუსამ კი მაინც გაიგო მისი საიდუმლო და ახლა, ალბათ, აღარ დაზოგავდა, თუნდაც უნდობლობისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ გარეთ შეეტყო ის, რისი გაგებაც საკუთარ სახლშიც შეეძლო, სხვებზე ადრე. ფარნაოზს კუსასი რცხვენოდა, იმისიც რცხვენოდა, ასე რომ იდგა: დაბნეული, უმწეო, ენაგადაყლაპული. აქამდე ერთი წუთითაც არ უფიქრია, სხვასაც თუ ეხებოდა მისი და ინოს ამბავი, მათი სიყვარულის გვამი ისე საგულდაგულოდ ეგონა დამარხული, ეჭვიც არ გასჩენია, როდისმე ვინმე თუ მიაკვლევდა. კუსას კი მიეკვლია, ცუდათ იყო დამარხული და იმიტომ, ნაუცბათევად, ფაცაფუცით. ფარნაოზი იმ დაშნაშავეს გავდა, რომელსაც მსაჯულისა უფრო რცხვენოდა, ვიდრე ჩადენილი დანაშაულისა, რადგან დანაშაული დაუფიქრებლად, ბრმად ჩაედინა გაშმაგებულს და მხოლოდ ახლა, სამართლიანი და კეთილი მსაჯულის წყალობით გაეგო, რა შედეგი მოჰყოლოდა მის დაუფიქრებლობას, სიბრმავესა და გაშმაგებას. კუსას ნალაპარაკევიდან ისე გამოდიოდა, თითქოს ფარნაოზს ინო მოეტყუებინა, ეღალატნა, გაებრიყვებინა, „იქ“ დაეტოვებინა, საიდანაც აუცილებელი იყო მისი გამოხსნა, საიდანაც მხოლოდ მას შეეძლო გამოეხსნა იგი, მაგრამ რატომღაც საამისოდ ფარნაოზი თითსაც არ ანძრევდა, როცა ინოს თვალი გზისკენ რჩებოდა, კიდევ ჯეროდა მისი, კიდევ არ კარგავდა იმედს და თუმცა ფარნაოზის ნაცვლად, ერთადერთი მხსნელისა და პატრონის ნაცვლად, მისი დისშვილი გამოეცხადებოდა ხოლმე, ისიც ათასში ერთხელ, ამასაც დიდ ბედნიერებად თვლიდა, ღვთის წყალობად და მზად იყო, კიდევ აეტანა ტანჯვა და დამცირება, თავზე საყრელად რომ ჰქონდა იქ, გულხარბი დედა-დების ხელში. კუსას ერთი თბილი სიტყვა მხნეობას უბრუნებდა საწყალ გოგოს და მართლა იჯერებდა, ფარნაოზი კიდევ რომ აპირებდა მის გამოსყიდვასა თუ მოტაცებას. კუსა კი იმიტომ ატყუებდა ასე უსინდისოდ, ბიძამისის მაგივრად რომ რცხვენოდა, პატიოსანი ბიძის მაგივრად, სხვებს რომ არიგებდა ჭკუას, სხვებივით რომ არ ვარდებოდა წუმპეში, რადგან სხვებისგან განსხვავებით მარტო გაძღომაზე არ ფიქრობდა, სხვებზე მეტი ესმოდა და სხვებზე მეტიც მოეთხოვებოდა. რასაკვირველია გოგოს მოტყუებას დიდი ამბავი არ უნდოდა, მაგრამ კუსას ფარნაოზისაგან უკვირდა, ფარნაოზისგან არ ელოდა და ამიტომაც ჭირდებოდა ათასნაირად ეთვალთმაქცა, ათასნაირად დაეყვავებინა საწყალი გოგოსთვის, რათა მასაც არ შესცვლოდა აზრი ფარნაოზზე. ფარნაოზს არ უნდა გაჰკვირვებოდა და არც უნდა სწყენოდა დისშვილის საყვედური, რადგან კუსას მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობა ალაპარაკებდა ასე, მაგრამ კუსა, რა თქმა უნდა, ბოლომდე მაინც ბიძის მხარს დაიჭერდა, თუკი ბიძა არ ითაკილებდა მის დახმარებას. კუსა სხვებს ეხმარებოდა, სხვებს უმართავდა ხელს და რა გასაკვირი იყო ბიძასაც გამოსდგომოდა; ბიძას უფლებაც ჰქონდა ებრძა-

ნებინა მისთვის, სხვა თუ არაფერი, მისი წყალობით გაზრდილიყო კუსა, მისი ოფლიანი პურითა და გამონაცვალი პერანგით. მართალია ბიძამისს ბევრი რამ არ მოსწონდა კუსასი, მაგრამ უმადურობას ვერ დასწამებდა. არც მიუხვედრელი იყო კუსა, ყველაფრის გაგებაც შეეძლო და დაფასებაც. მამამ არ იკადრა, ბიძა კი გადაჰყვა, ფეხზე დააყენა, კაცი გამოიყვანა. ახლა ბიძამისს უფლება ჰქონდა მკლავები დაეკაპიწებინა და მოემკა მოსავალი. მისი ერთი სიტყვაც საკმარისი იყო, კუსა ცეცხლში რომ ჩამდგარიყო, შავთვალება მალალოს კი არა, ურჩხულს მოსტაცებდა ინოს, თუკი ფარნაოზი დაავალებდა, მხოლოდ დაავალებდა, რადგან ამ საქმეში თვითონ არც უნდა გარეულიყო, სახელს უნდა გაფრთხილებოდა, კუსასთვის კი სულერთი იყო, რას იტყოდნენ მასზე, მთავარია, ბიძის გული გაეხარებინა, დაებრუნებინა მისთვის ის, რაც ეკუთვნოდა, რაც მისი იყო, მაგრამ ბუნების უსამართლობისა და საკუთარი პატიოსნების, მორიდებულობისა თუ მოუხერხებლობის გამო დაეკარგა. „შენ ოღონდ მითხარი, ბიძაჩემო, ხე, ხე, ქალის მოტაცებას რა უნდაო“ — ამბობდა კუსა და ფარნაოზს უარესად რცხვენოდა, ესიკვდილებოდა ამ საკითხზე კუსასთან ლაპარაკი, რომელიც უკვე თანამზრახველივით ამოსდგომოდა გვერდით, თუმცა ფარნაოზი ვერაფერს ვერ ხედავდა, თავში ავარდნილ სისხლს დაებრამეებინა და მართლა ბრმასავით უმწეო გამხდარიყო; კუსას ხმა ტლანქი მეგზურივით ეჯაჯგურებოდა, მაგრამ უიმისოდაც აღარ შეეძლო, ქუჩაზეც ვერ გადავიდოდა, ან ორმოში ჩაუვარდებოდა ფეხი, ანდა ეტლი გაიტანდა.

— ინო მოკვდა. ინო ჩემთვის აღარ არსებობს. — როგორც იქნა ამოილუღლუღა ფარნაოზმა, თითქოს მტერს შეევედრა, ნუღარ დამკრავ, დამზოგე, ისედაც ბრმა ვარო.

წამიერი სიბრმავე ფარნაოზს საუკუნედ ეჩვენებოდა, რადგან მაინც აწუხებდა კუსას მომღიმარი სახე, თითქოს ამ სახით ჰქონდა თვალები ავსებული და თუ ვეღარც მას ხედავდა, სამაგიეროდ გამუდმებით გრძნობდა, როგორც ნამოჩაჩულსა და გაბინძურებულ სახვევს.

„ინოს ვუყვარვარ, ინო მელოდება, ინოს ჩემი იმედი აქვს, — ფიქრობდა ფარნაოზი, — არა, არ შეიძლება, ინო ხომ მკვდარია. რამდენი ხანია არ გავსულვარ სასაფლაოზე, ალბათ, ბალახმა გადაჭამა იქაურობა. ბალახიც ვერ მოვუგლიჯე, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, ასეთი ვარ, უნდილი და მშიშარა, სიყვარულისაც შემრცხვა, დაცინვისა შემეშინდა, ხალხი რას იტყვის-მეთქი. კუსას კი არ შეეშინდებოდა, უკან არ დაიხევდა; აკი თვითონვე ამბობს, ფეხებზე მკიდია, რას იტყვიან ჩემზეო. ვიღაცასთან ხომ უნდა იყო მართალი? ვიღაცასთან უნდა იყო სწორედ მართალი, რადგან სხვებმაც დაინახონ შენი სიმართლე. მეკი ერთს ბევრი ვამჯობინე, მხდალი ვარ და იმიტომ; პატიოსანი მხდალი, არავის რომ არ ჭირდება, რადგან უკვე იციან, რისი მაქნისიცაა. ამიტომაც მისცეს ნება. გვერდზე გამდგარიყო, ამიტომაც დაავიწყდათ მისი არსებობა, არაფერს აღარ ელოდებიან მისგან, რადგან თავიდანვე დარწმუნდნენ გამოუსადეგარი, მაგრამ უწყინარი ცხოველი რომ იყო. აკი მართლაც პირველსავე შეყვირებაზე დააგდებინეს პური, საერთო ხარიხიდან რომ ჩამოიღო უკითხავად, რადგან ჯერ არ იცოდა იმ პურის მნიშვნელობა, არ იცოდა, რომ ის საერთო პური იყო და მარტო მაინც ვერ მოერეოდა. ამას რომ მიმხვდარიყო, ერთი შეყვირება აღმოჩნდა საკმარისი, ერთი დაცაცხანება. ისიც მაშინვე გვერდზე გადგა, თავი მოიმკვდარუნა და იმ ფიჩხაზეც უარი თქვა, ალბათ, მასაც რომ შეახვედრებდნენ. არა, უარი კი არა თქვა, თავისი წილი ფიჩხა გვერდზე გაათრია და მიწაში დამარხა, როგორც წუწკმა მელამ მონარჩენი საჭმელი“.

„ის თავი რა იქნა, ბიძაჩემო, აი მამაშენის ქვიდან რომ გამოჩორკნე“ — ჩა-

ესმა უცებ კუსას ხმა და ისე გულწრფელად უპასუხა: ის თავიც სასაფლაოზე მარხიაო, — თითქოს ფიქრს აგრძელებდა. მაგრამ კუსას ხმამ მაინც გამოარკვია და თუმცა მხედველობა ჯერ კიდევ არ დაბრუნებოდა, აღარ დაუცდია, ბრმასავით თავაღერილი გაუყვა ქუჩას. „შენ ოღონდ მითხარი, ბიძაჩემო, ხე, ხე, ქალის მოტაცებას რა უნდა“. —მისძახოდა კუსა და ისიც უნებურად ფეხს უჩქარებდა.

ერთი კვირის თავზე შავთვალება მალალოს სასტუმროს დაკოდილი მეჯინიბე მიადგა. ამ ამბავმა სასტუმროში დიდი ჟრიამული გამოიწვია. ხალვათად ჩაცმული გოგოები მთავარ ოთახში გამოეფინენ. მართლაც, რა უნდა ყოფილიყო ამ ქალებისთვის უფრო საოცარი, საინტერესო და თავშესაქცევი, ვიდრე სტუმარი, რომელიც ყველაფრით კაცს გავდა, მაგრამ მაინც არ იყო კაცი. დაკოდილი მეჯინიბის სტუმრობა უფრო წარმოუდგენელი იყო მათთვის, ვიდრე... ვიდრე ოყაჯადოს მობრძანება. მართალია, მისი ამბავი უკვე გაგებული ჰქონდათ და შეჩვეოდნენ კიდევაც, როგორც მოლაპარაკე თუთიყუშს, მაგრამ საკვირველი სხვა იყო, თუთიყუში თავის ადგილას იყო, გალიაში, მეჯინიბე კი სწორედ იქ მოსულიყო, სადაც არაფერი ესაქმებოდა. ყველას ისეთი სახეები ედოთ, თითქოს პატარა გოგოები იყვნენ და ვიღაცას უზარმაზარი თოჯინა მოერთმია მათთვის, თანაც უბრალო კი არა, მოლაპარაკე და მოსიარულე თოჯინა, რომელიც ისე გავდა ცოცხალს, დიდი თავშეკავება იყო საჭირო, ხელი რომ არ მოგეკიდა, არ შეჰკითხვოდი რამეს, აბა მეც მიპასუხებს თუ არაო. მოკლედ, შავთვალება მალალოს სასტუმროში დიდი ჟრიამული იდგა. მეჯინიბეს ტილოშემოხვეული მძიმე საგანი ეჭირა. საგანი აშკარად მძიმე იყო, რადგან ხშირხშირად აშველებდა მუხლს და კისრის ძარღვებიც დასჭიმვოდა. მეჯინიბემ თავი მაღლა ასწია, ყვითელი, ნაფოტა კბილები დაკრიჭა, დაბერილი ნესტოებით ჰაერი ხრიალით შეისრუტა, გაბმულად დაიჭიხვინა და ფეხების ბაკუნით ადგილზე დატრიალდა, მერე, ქალების ტკრციალი ცოტათი რომ ჩაწყნარდა, იკითხა: ინო რომელიაო, და როცა დებმა მკვდარივით გადაფითრებული ინო წინ გამოაგდეს და მიაძახეს: ბედი გქონია, შენ აგირჩიაო, ტილოშემოხვეული საგანი ორივე ხელით წინ გაიშვირა და უთხრა: ფარნაოზმა მოგართვაო. დებმა ამაზედაც გადაიკისკისეს, რადგან ისე განწყობილიყვნენ საცუღლუტოდ, რაც არ უნდა ეთქვა და გაეკეთებია მეჯინიბეს, ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებოდათ. ინო კი ნადირივით ეცა მეჯინიბეს ხელებში, მტაცებელი ნადირის მოულოდნელობითა და დაუნდობლობით, თითქოს ტილოშემოხვეული საგანი კი არ მოერთმიათ მისთვის, არამედ წართმევას უპირებდნენ. ინოს ვერც კი გაიგო, როდის აღმოჩნდა თავის ოთახში. ტახტზე იჯდა და მძიმე, ტილოშემოხვეული საგანი ჯერ ისევ მუხლებზე ედო. მუხლები მაინც უცახცახებდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. დიდი ოთახიდან კი ისევ ისმოდა მეჯინიბის ჭიხვინი და დების ტკრციალი. „ახლა გამიშვითო“ — ამოიხვიხვინებდა ხოლმე მეჯინიბე, მაგრამ უცებ ისეთი წიოკობა ატყდებოდა, აშკარა იყო ქალები ძალით აკავებდნენ, კალთებზე ებღაუჭებოდნენ და ისიც იძულებული ხდებოდა, ერთხელ კიდევ დაეკრიჭა კბილები, ერთხელ კიდევ დაეჭიხვინა და ფეხების ბაკაბუკით დატრიალებულიყო ადგილზე. როდის-როდის გაბედა ინომ და მუხლებზე დასვენებულ საგანს ტილო ფრთხილად მოაშორა. მრგვალი ნაცრისფერი ქვა შერჩა ხელში, მაგრამ არ გაჰკვირვებია, თითქოს ელოდებოდა კიდეც, თითქოს უბოროტოდ გახუმრებოდნენ და თვითონაც დაბნეულად მომღიმარმა გახედა კარს, რადგან სწორედ იმ დროს მისმა ექვსმა დამ ერთდროულად გადაიკისკისა. მერე ქვა ტახტზე გადადო და წამოდგა. ტილო, რომელშიც ქვა იყო გახვეული ადრე, ისევ ხელში ეჭირა. არაფერზე არ ფიქ-

რობდა, ამ ოთახიდან უნდოდა გასვლა, მაგრამ რატომღაც ერიდებოდა, ვერ გაებედა, თავისიანებისა რცხვენოდა, არკი იცოდა რატომ. დამუშტული ხელები ათრთოლებულ ტუჩებთან მიეტანა და ოთახში წინდაუკან დადიოდა. უცებ შეჩერდა და ტახტზე დაგორებულ ლოდს გამოხედა, მერე ფრთხილად, თითისწვერებზე, ტახტისკენ წამოვიდა, თითქოს ტახტზე ბავშვს ეძინა და შიშობდა, არ გაეღვიძებინა. დიდხანს დასცქეროდა ნაცრისფერ ლოდს. დიდ ოთახში მეჯინიბე ჭიხვინებდა, მაგრამ ინოს უკვე არაფერი ესმოდა, საკუთარი გულის ბაგაბუგის მეტი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა, ჯიუტად, თვალმოუშორებლად. ის კი მონუსხულივით იდგა ტახტის წინ და ლოდს დასცქეროდა. იმის თავიც აღარ ჰქონდა ოთახი მოეთვალიერებინა, გაექარწყლებინა ეს უსიამო შეგრძნება. შეიძლება ეშინოდა კიდეც მოხედვისა, რადგან თანდათან უარესად რწმუნდებოდა, მარტო რომ არ იყო ოთახში. „რა მემართებაო“ — სცადა გამოფხიზლება ამ უეცარი გაოგნებიდან, მაგრამ არ გამოუვიდა, არ უნდოდა და იმიტომ, ეზარებოდა, როგორც დილის ძილიდან გამორკვევა, თუმცა რომელიღაც ძარღვი თუ უჯრედი განუწყვეტლივ განგაშობდა და მის დანარჩენ არსებას დაუზოგავად, მტკივნეულად მოათრევდა გაოგნების ვარდისფერ ბურანიდან, როგორც პატარა და ბასრი ანკესი უზარმაზარ თევზს. ინომ შეჰკივლა, მოკლედ, დაგუბულად. ნაცრისფერი ლოდი ლამის ცოცხალი თვალებით შემოსცქეროდა ტახტიდან. ახლა სახის სხვა ნაკვთების შემჩნევაც აღარ გასჭირვებია; მის წინ ქვისგან გამოთლილი თავი იდო, გოგოს თავი, კიკინებაპრეხილი. „ეს ხომ მე ვარო“ — გაიფიქრა და უნებურად სახეზე ხელი ჩამოუსვა ორეულს, თითქოს აღარ სჯეროდა, ქვისა რომ იყო. და უცებ, სადღაც სულის წიაღიდან დაძრულმა ღიმილმა, სევდიანმა და უღიმღამომ, ერთი წამით, მაგრამ მაინც გამოუცოცხლა სახე, თითქოს ნიაღვარმა ვარდის ფურცელი ჩაატარათ — ახლა მართლა ორნი იყვნენ ოთახში. თვითონ და ფარნაოზის ხელით ქვისგან გამოთლილი მისი თავი, ძველი ინო და ახალი ინო, ბედნიერი ინო და უბედური ინო, მარტო ფარნაოზის ინო და მთელი ქალაქის ინო. ისინი ჯიუტად შესცქეროდნენ ერთმანეთს სახეში, თითქოს ვინც პირველად დაილაპარაკებდა, წაგებულიც ის იქნებოდა. ინოს თმის ბოლო პირში ჩაეტენა, ყელში მოწოლილი ქვითინის ხმა რომ ჩაეხშო. ამ უეცარ შეხვედრას მისი ბუნება მართლა გაეორებინა, ერთდროულად ბედნიერიც იყო და უბედურიც, პატარა, კიკინებაპრეხილი გოგოც და უკვე ძრავალი მამაკაცის ხელში გამოვლილი ქალიც. ინო მუხლებზე დაეცა და ქვის გათიშილ თავს ისე მხურვალედ დაუწყო კოცნა, თითქოს მკვდარი და გასცოცხლებოდა. ანდა ხელში უკვდებოდა და სხვა რომ ვერაფერი ეღონა, ცდილობდა კოცნით გამოებრუნებინა. თან ტიროდა, მდუღარე ჩამოსდიოდა. ცრემლმა ქვას მოშავო-მონასცრისფრო ლაქები გაუჩინა, მკვრივსა და ხორკლიან ყვრიმალებზე მასაც ჩამოსდიოდა ცრემლი, ინოს ცრემლი, თითქოს ისიც ტიროდა. ტირილითა და ხვევნა-კოცნით ინომ გული რომ იჯერა, ტილო, რომელშიაც საჩუქარი იყო გახვეული, ბაგირივით დაგრაგნა და ქვის თავს გამეტებით გადაჭრა, ისე მაგრად მოიქნია ხელი, შიშისაგან თვითონვე დახუჭა თვალები, თითქოს ქვა მის დარტყმას ვერ გაუძლებდა, დაიჭეჭებდა, გასკდებოდა, დაიმსხვრეოდა და მისი ნამტვრევები ინოსაც ქვეშ მოიყოლებდა. მაგრამ ქვას არაფერი დასტყობია. ინო კი იქამდე სცემდა, სანამ მხარი არ ასტკივდა და თითები არ დაუბუჟდა. მერე გალახული თავიცა და დაფლეთილი ტილოც ტახტის ქვეშ შეაგდო და ოთახიდან ისეთი სახით გამოვიდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ნავსადგურში ძველებურად შემოდიოდნენ ხომალდები, თუმცა წყალი აღარ ჩანდა, ხომალდებიდან გადმოყრილი სიბინძურე, ლორწოვანი ხავსის ნაფლეთები და ყვითელი დუმფარა ჭაჭასავით მოეგდო თავზე; მხოლოდ ნანიჩბარში ერთი წამით გაიელვებდა ხოლმე დაბზრიალებული წყალი, რათა დაედასტურებინა, ჯერ კიდევ რომ ედგა სული ჭუჭყის სქელი საფარველის ქვეშ. მეთევზეები ახლა მთელი კვირის სავალზე შორდებოდნენ ნაპირს, თევზის დევნაში ათენ-აღამებდნენ, მაგრამ მაინც ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ შინ. ნავის ფსკერს ორიოდე წვრილი თევზი თუ უბათქუნებდა კუდს, უარესად რომ გაებოროტებინა ხელმოცარული მეთევზეები. იმათაც ისდა დარჩენოდათ, ყველაფერი ბედიასთვის, თავიანთი ყოფილი მეთაურისთვის დაებრალებინათ; იქამდე არ მოისვენა, სანამ ზღვა მართლა არ გადარიაო, — ბუზღუნებდნენ ისინი და უხალისოდ, უნდილად მოაცურებდნენ ცარიელ ნავებს. მედუზებით გაგლესილი ბადეც ბებერ კატასავით გამოუსადეგარი გამხდარიყო, ტყუილუბრალოდ დაათრევდნენ, მაგრამ მაინც ვერ გაეწირათ, ვერ შელეოდნენ ძველსა და ერთგულ მეგობარს. ქალაქი კი უცნაური სიკვდილის მოლოდინში იყო: დედოფალი კამა დნებოდა. სასახლის ეზო კარვებით იყო მოფენილი, როგორც ოდესღაც, ფრიქსეს ავადმყოფობისას, მაგრამ ვერც ახლა გაეწყოთ რამე მისნებსა და მკურნალებს; არც ასეთი სნეული ენახათ, არც ასეთი სენი. დედოფალი სითბოში შეტანილ ლოლუასავით დნებოდა, მართალია, თოვლში იწვა, ზემოდანაც თოვლი ეყარა, მაგრამ მაინც დნებოდა, ილეოდა, თვალსა და ხელს შუა იკარგებოდა. თოვლს მთიდან ეზიდებოდნენ სახედრებით. გადალურჯებული თოვლით პირმობმულ გოდრებს წყალი წურწურით გასდიოდა, მაგრამ, როგორც სასახლიდან გამოსული ხმები ირწმუნებოდნენ, გლოვა დღედღეზე უნდა გამოცხადებულიყო. სიგამხდრისგან კამას თვალები გაზრდოდა, ისე გაზრდოდა, ისმოდა კიდეც, როგორ ილვრებოდა სუსხიანი და დამაბრმავებელი სინათლე ამ თვალებიდან. სარკის შეჭირხლულ ზედაპირს მსახურები ყოველ წუთას წმენდდნენ, რამეთუ დედოფალს ჯერ კიდევ არ დაეკარგა იმედი, არ იჯერებდა, გარეთ რომ დატოვებდა, კარს რომ არ გაუღებდა სარკე. თოვლის ლეიბი ეგო, თოვლის საბანი ეხურა, თოვლის ბალიშზე მისვენებულიყო და სარკეს შესცქეროდა ჯიუტად. სარკეშიც მოეთოვა და გალურსულ თოვლზე დედოფლის თვალები ორ უზარმაზარ, მოელვარე ვარსკვლავივით ესვენა. სხვა არაფერი ჩანდა, უძირო, უსასრულო სითეთრისა და შემაწუხებელი სიცარიელის გარდა. სარკის ბინადარი კამაც უკვალოდ გამქრალიყო სადღაც. დედოფალი კი დნებოდა, უცებ ივსებოდა ტახტის ქვეშ შედგმული ტაშტი. მთიდან ჩამოზიდულ თოვლს სასახლე გრილოებისა და ხმელი წიწვის სუნით გაეჟღინთა, მაგრამ დედოფლის გაქრობამდე ქალაქი სხვა საოცრებათა მოწმე უნდა გამხდარიყო. სიკვდილმა ყველასათვის მოულოდნელად, ჯერ ღვინის ვაჭარ ბახას ჩააკითხა ორმოცსაფეხურიან სარდაფში, მთვრალების ჟრიამულსა და აყალმაყალში ისე მოხერხებულად ჩაიპარა და ამოიპარა, კაციშვილს არ გაუგია, ახლობლებმაც სამი დღის მერე შეიტყვეს მხოლოდ. ღვინის ვაჭარ ბახას სიკვდილს დარიაჩანგის ბაღის გაქრობა მოჰყვა და ქალაქს კარგახნით გადაავიწყდა სასახლეცა და მისი ბინადრებიც.

სამი დღე და სამი ღამე კიდევ იჯდა მკვდარი ბახა თავის საყვარელ სკამზე, მუხლებს შორის განუყრელი ჯოხი ჩაედგა. ჯოხის მრგვალ თავზე ხელები კრამიტებივით შემოეწყო და ზედ ნიკაპი დაებჯინა, თითქოს განვლილ ცხოვრებას გაჰყურებდა. ცხოვრება კი გრძელი იყო, მოზეიმე, ხმაურიანი, დაუქანცველი, ერთნაირად თავბრუდამხვევი თავისი სიტკბო-სიმწარით, განუმეორებლობითა და სიდია-

დით. ბახაც ზეიმისთვის იყო გაჩენილი, სიყვარულისთვის, დროსტარებისთვის. ასეც ცხოვრობდა, სანამ სიბერე და უძლურობა ორმოცსაფეხურიან სარდაფში ჩალალავდა. ცხოვრება კი იმ დღეს დაიწყო, როცა პირველი ღრეობის შემდეგ ვენახში გაეღვიძა, უცნობი, მაგრამ სასურველი ქალის გვერდით. თავზე ალისფერი, თითქოს ღვინისაგან სახეალეწილი ვარსკვლავები დასცქეროდნენ. ნიავს კუდით აეთრია ჩანავლებული კოცონის სუნი და ღობე-ყორეს ედებოდა. ჭრიჭინები სულს ვერ ითქვამდნენ; ხმელი, გახურებული ბალახი, ბუხრის წინ გატრუნულ კატასავით კრუტუნებდა. მათი ტანსაცმელი ჭიგოებზე ეკიდა და ნიავის ყოველ წამოქროლვაზე ისე ირხეოდა, თითქოს ისღა აგრძელებდა ცეკვას, რაკი პატრონებს არაქათი გამოსცლოდათ. თავთით ღვინით სავსე დოქი ედგათ, კერპივით გაფუყული და მხოლოდ ამ პატარა, ბალახებში მთვრალივით გადაქანებული დოქის სიგრილე ანელებდა ღვინობისთვის ჩახუთულ ღამეს. ატმის ხეზე მიბმული თიკნის პეტელს სიცილით ეხმიანებოდნენ სადღაც, ღამის ჩეროებში მათსავით ჩამალული წყვილები. მერე ერთმანეთს გადაება დღეები და ღამეები, კისკისა და მხიარული, როგორც ფერხულში ჩამდგარი ქალების ქვედაკაბებიდან გამოსხლტილი სიშიშვლე. სიმთვრალეს სიყვარული მოჰყავდა, სიყვარულს — სიმთვრალე, გაუნელებელი ცეცხლის სიახლოვით დაფორაჯებული და აღგზნებული. ვერც ოჯახმა დაავიწყა ბახას ერთი დღის მეგობრები და ერთი ღამის საყვარლები, თავისით რომ ჩნდებოდნენ და უსასრულოდ ამრავლებდნენ ერთმანეთს, როგორც დღეები და ღამეები. ბახას რახილოც უყვარდა, არც რახილოსთან იზოგავდა თავს, მაგრამ ის მაინც სხვა იყო, ის ცოლი იყო და სხვა ქალებივით ვერ აცეკვებდა კოცონის გარშემო, თუნდაც იმიტომ, რომ. ქმრის ფეხისხმას აყოლილ რახილოს, შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს სულ სხვა კაცის მკლავზე გაღვიძებოდა ვენახის ძირში. რახილო ბრაზდებოდა და ვერც ბრაზდებოდა, რადგან ერთი ღამით მობრუნებული ბახა ერთბაშად ავიწყებდა მთელი თვის წუხილსა და მოლოდინს. „დაიმახსოვრე, მე შენი ქმარი ვარ და ეს არც ისე ცოტას უნდა ნიშნავდეს შენთვისო“ — ეუბნებოდა ბახა რახილოს, როცა იგი ისევ ამაოდ შეეცდებოდა ხოლმე უცნაური ქმრის შეკავებას. რახილოსთვის მართლაც ყველაფერი უცნაური იყო, რითაც მისი ქმარი ცხოვრობდა, უცნაური და გაუგებარი. მამაც ყავდა და ძმებიც, მაგრამ ისე გაიზარდა, მთვრალი კაცი არ უნახავს, თუმცა სადილად უღვინოდ არ დასხდებოდნენ, პირველ რიგში ღვინით სავსე დოქს ჩადგამდნენ ხოლმე სუფრაზე. მაგრამ ასევე ხელუხლებელი გაჰქონდათ, თითქოს მხოლოდ სუფრის გასალამაზებლად ჭირდებოდათ; რახილო მდიდარ ოჯახში გაზრდილი ქალი გახლდათ და ფულის ყადრი იცოდა. რამდენჯერ გაუგონებიათ მეგობარ ქალებს: მთელი ქალაქი ბახას საყვარლებითაა დასახლებული, მთელ ქალაქს ეგ აქეიფებსო, მაგრამ რახილოს ის კი არ აწუხებდა, რაც მის მეგობარ ქალებს გაახარებდათ, არამედ ის, რაც მამამისსაც აცოფებდა: საიდან შოულობდა, ან თუ შოულობდა, რატომ ფლანგავდა ასე უაზროდ, ასე სულელურად, სიმწრითა და მოთმინებით მოსახვეჭელ ფულს ერთის სიძე და მეორის ქმარი. რახილო ორ ცეცხლს შუა ტრიალებდა, რაც მამამისს არ მოსწონდა, იმას მეგობარი ქალები უქებდნენ და უწონებდნენ, უწონებდნენ კი არა, შენატროდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, რომელი ადრე მოირბენდა რახილოსთან და სხაპასხუპით მოუყვებოდა ბახას ახალ თავგადასავალს. „იმ დღეს, თურმე, სახედარზე შემჯდარს, გოგობიჭების ამალით ჩამოუვლია ქალაქზეო“ — თვალებგაბრწყინებულნი, პირწყალმომდგარნი უყვებოდნენ ისინი რახილოს და

ბოლოს აუცილებლად დაამატებდნენ ხოლმე: კაცი თუ ხარ, ეგეთი უნდა იყო, აბა, ჩემი ქმარი ძილში რომ გაატყაოს ვინმემ, იმასაც ვერ გაიგებსო. რახილოსაც ჯეროდა და იფერებდა კიდეც შესაშური კაცის ცოლობას, ამიტომაც იკავებდა თავს, უფრო სწორედ თავსაც არ უტყდებოდა, თუ რა ძნელი მოსავლელი და მოსათმენი იყო ბახასნაირი ქმარი, ყველაფერს რომ გარეთ ფლანგავდა და ისღა მოჰყვებოდა ხოლმე შინ, რაც ვიღაც ოხრებს გადაურჩებოდათ. რახილო გულის სიღრმეში, მამისაგან დაფარულად, მაინც ისეთივე აზრისა იყო ქმარზე, როგორისაც მისი მეგობარი ქალები და, შეიძლება ამიტომაც, ვერ ხვდებოდა მათ ვერაგობას. რაც არ უნდა მწარე ყოფილიყო, სანახევროდ უქმროდ ცხოვრება, მაინც ასე ერჩია, ოღონდ მისი ბედი ყოველთვის შესაშური ყოფილიყო სხვა ქალებისთვის. რახილო ამ რწმენით ცხოვრობდა, ხოლო როცა შვილებიც გააჩინა და მათმა ჭყავილმა ამოუვსო მოხეტიალე ქმრისგან დატოვებული სიცარიელე, მერე დროც აღარ რჩებოდა, უფრო ღრმად რომ ჩაჰკვირვებოდა ცხოვრებას. მამა რომ მოუკვდა, უარესად მიეკედლა ქმარს, ქმარს კი არა, ქმრის სახელს, რადგან დამოუკიდებლობისა ეშინოდა, არ იყო მიჩვეული. სამაგიეროდ მამის უკმაყოფილებამ ახლა მის გულში გაღმოინაცვლა, უკმაყოფილებამ კი ენა გაუმწარა და გამბედაობა შესძინა, ხოლო გამოცდილებამ დაარწმუნა, მარტო ასე რომ შესძლებდა ოჯახისა და ქმრის სახელის შენარჩუნებას. ბახა შინ თითქოს მისი ბუზღუნისა და მწარე სიტყვის მოსასმენად ბრუნდებოდა, თითქოს ის ეჭაჩებოდა აქეთ, რასაც გარეთ ვერ პოულობდა. რახილო ამას გრძნობდა და არც მონატრებული კაცის ხილვისას ივიწყებდა მწარე სიტყვას, როგორც ერთადერთ იარაღს, რომლითაც ამ კაცს, ასე თუ ისე, მაინც იმორჩილებდა. „შენისთანა კაცები მამაჩემს ხელს აბანინებდნენო“ — არ ზოგავდა რახილო ქარის ამოსაღებად შინ მობრუნებულ მეუღლეს. ბახა კი იღიმებოდა, იზმორებოდა და იღუმებოდა, დაღლილი და კმაყოფილი. „მამაჩემი რომ არ ყოფილიყო, — არ ეშვებოდა რახილო, — შიმშილით ამოვწყდებოდით, შვილებიანათ“. მართალია მის ქალიშვილებს არაფერი ეტყობოდათ შიმშილობისა, მაგრამ ბახა მაინც მოიღუშებოდა ხოლმე, უცებ გამოეცვლებოდა გუნება, რადგან ერთადერთი, რისი დაყვედრებაც მართლა შეეძლო რახილოს მისთვის, სიმამრის ქონება იყო, თუმცა ბახა სხვანაირად ფიქრობდა, სხვა ყაიდის ხალხს ეკუთვნოდა და მისი აზრით ფულის დამხარჯველი არანაკლებად კეთილ საქმეს აკეთებდა, ვიდრე ფულის დამგროვებელი. ფულის დამგროვებელს ისევე ჭირდებოდა დამხარჯველი, როგორც დათოვლილ სახლს გადამბელავი. ამიტომაც იყო, ცხოვრების სახურავზე გასული, ნიჩბით რომ ფანტავდა სიმამრის ფულებს. ამით ორ კურდღელს იჭერდა: გულის ჭიასაც ახარებდა და სიმამრის სულსაც ათავისუფლებდა დაგროვილი ფულის სიმძიმისაგან. „რაც არ უნდა დაუგროვდეს კაცს, ყველაფერი ერთნაირად შემაწუხებელი და მავნებელიაო“ — ამბობდა ბახა და ისევე ცხოვრობდა, როგორც აქამდე ეცხოვრა: აოაფერს არ ინახავდა. დარწმუნებული იყო, სხვისას არ ითვისებდა, რადგან მისი სიმამრი მის შვილებს ბაბუად ეკუთვნოდათ, შვილიშვილს კი ყველაზე მეტად ჰქონდა უფლება, თუნდაც დაუკითხავად, ამოეღო პური ბაბუის კიდობნიდან. პურისთვისაც ასე ჯობდა, პურსაც ერჩია ბაიშვს შეეჭამა იგი, ვიდრე მწვანე ობსა და ვირთხას. ასე ფიქრობდა ბახა, მაგრამ ცოლის სიტყვები მაინც მწარედ გაკენწლავდა ხოლმე გულში, რადგან შვილები თავს ერჩია და ერთი დღე რომ გასჭირვებოდათ რამე, მტვირთავად დადგებოდა, გაიყიდებოდა, მაგრამ საბედნიეროდ საამისოდ არ გახდომია საქმე. ცოლისთვის რომ აღარ ესმინა და უარესად არ მოეშხამა გუნება, სამი-

ვე გოგოს ერთად დაიხვავებდა ხოლმე მკერდზე, გულაღმა გაშოტილი, და სამივეს თანაბრად უნაწილებდა მთელ თავის ავლადიდებას. „შენ ჩემი სული, შენ ჩემი თვალისჩინი, შენ კი ჩემი ჯანიო“— აპურებდა ბახა მის ფართო მკერდზე მართლაც ბარტყებივით აყივყივებულ ბავშვებს და ყველანი კმაყოფილები იყვნენ, მამაცა და შვილებიც, მხოლოდ რახილო ბუზღუნებდა ძველებურად: ამდენ მუქთახორას ერთი მკვდარი კაცი გვინახავსო, და ისეთი სახე ედო, ისე გაუშმაგდებოდა ხოლმე ხმა, თითქოს შესაძლებელი რომ ყოფილიყო, დაუფიქრებლად შეჭამდა ბახას სულსაც, თვალისჩინსაც და ჯანსაც. მაგრამ რაც რახილოს არ შეეძლო, ის დრომ შესძლო. ბახას თანდათან ჯანმაც უმტყუნა და თვალისჩინმაც; დღითიდღე უჭირდა დასწეოდა ცხოვრებას, ძველებურად შლეგი და დაუდგრომელი რომ დარჩენილიყო. მისი არც დაწევა შეიძლებოდა და არც დაჭერა, ან უნდა აჰყოლოდი, ან უნდა ჩამოშორებოდი საერთოდ. ბახა კი ასე იოლად ვერ შეელეოდა, ვერ ჩამოშორდებოდა, ვერც დაივიწყებდა, ის კი არა, ერთ დღესაც ვერ გაძლებდა, თვალი რომ არ შეევლო მისი ჯიშიანი კანჭებისთვის, მისი ხმა რომ არ მოესმინა, ღვინითა და სიყვარულით გამთბარი ხმა. საგონებელში ჩავარდნილმა ბახამ სხვა რომ ვერაფერი გააწყო, ისევ ეშმაკობას მიმართა, ისეთი რამე მოიგონა, ცხოვრებამაც ვერ გაუძლო ცდუნებას და თავისი ფეხით ეახლა. ბახამ ორმოცსაფეხურიანი სარდაფი გახსნა და ღვინის ვაჭარ ბახად იქცა, მიწისქვეშა ტაძარი ააშენა, პატარა თავშესაფარი დიდი ცხოვრებისა და ღვთაებასავით მოიკალათა შიგ. „გულს გაუფრთხილდით. არც სიხარული დაიგროვოთ, არც მწუხარება. ერთიცა და მეორეც მე მომაბარეთ. ჩემი სარდაფი თქვენი სიხარულისა და მწუხარების სალაროაო“ — ასე უთხრა ბახამ პირველ სტუმრებს და იმის მერე ორმოცსაფეხურიან კიბეზე განუწყვეტლივ ადი-ჩამოდიოდა ცხოვრება, გულს იბერტყავდა, მუხლს ასვენებდა და მეტი ხალისით მიისწრაფოდა ახალახალ თავგადასავლებთან შესახვედრად. ასე გადიოდა დრო, სანამ ერთ მშვენიერ დღეს უკვე დავაჟკაცებულმა და ჭკუაში ჩავარდნილმა იმანომ ბახას თვალწინ ღვინის კასრში წყალი არ ჩაასხა.

— რას შვრები? — გაუკვირდა ბახას.

— „რას შვრები“ — გამოაჯავრა იმანომ. — აბა, ზევით ადი, რა ამბები ხდება?

„გათავდა ყველაფერი“ — გაიფიქრა ბახამ და თვითონვე გაუკვირდა, ასე მშვიდად რომ აღიარა ის, რასაც ამდენი ხანი გაურბოდა, ებრძოდა, ემალებოდა. „გათავდა ყველაფერი“ კიდევ ერთხელ თქვა ბახამ გუნებაში, ანჯერად უფრო მტკიცედ, ჯიუტად.

სამი დღე და სამი ღამე იჯდა მკვდარი ბახა თავის საყვარელ სკამზე, თავის საყვარელ ჯოხზე დაყრდნობილი, და ვინ იცის, კიდევ რამდენხანს იჯდებოდა ასე, ვიღაც მთვრალს შემთხვევით რომ არ გამოეკრა ფეხი ბახას მრგვალთავიან ჯოხისთვის. ბოლო დროს იმდენი უცხო ხალხი ირეოდა ორმოცსაფეხურიან სარდაფში, ბევრმა არც იცოდა ღვინის ვაჭარ ბახას ვინაობა, უპატრონო მოხუცი ეგონათ, სამადლოთ რომ ინახავდა იმანო. მართალია, ღვინის ვაჭარი ბახა თავს არ უყადრებდა გალაზღანდარებულ მთვრალებს, მაგრამ გული უკვდებოდა მათი უაზრო ჟრიამული რომ ესმოდა, ანდა ვინმე, ვითომ ყველაზე კეთილი, ნაწურებს რომ მოუგროვებდა ჯამში და წინ დაუდგამდა, თან მხარზე ხელს უტყაპუნებდა და ძმაკაცივით, თანატოლივით დასძახოდა, „ალი, შე ძველო. ბახას ერთი სული ჰქონდა, შვინდის ჯოხით გაეჩეჩქვა თავი ამ ძალათ მასპინძელისთვის, მაგრამ აძავე დროს ებრალებოდა კიდეც იგი, როგორც ავადმყოფი, რომელსაც ისე მორეოდა სენი, აღარც იცოდა, რას აკეთებდა. ავადმყოფს კი ნამდვილად გავდა, არაფერი ეცხო დროსგასატარებლად ჩამოსული კაცისა. ფეხზე ძლივს იდგა, ჩამოჩაჩული და მორღვეუ-

ლი, თვალები კი არ უბრწყინავდა, ძლივსღა ებჟუტებოდა, ნავლგადაკრულ ნაღვერდლებივით, კი არ ლაპარაკობდა, ლაყბობდა, უხალისოთ, უნდილად, გამაღიზიანებლად, თითქოს ღვინის ნაცვლად შხამი დაელია და თანდათან ერეოდა, თანდათან ართმევდა ენასაც და გონებასაც. ადრე ბახას მთვრალი ხალხის დანახვაზე გული გაეხსნებოდა ხოლმე, თვითონაც აქავდებოდა საღვინე, ახლა კი შიშნარევი სიბრალულის გრძნობა ეუფლებოდა, ცდილობდა გაერკვია, რა მომხდარიყო, ხალხი შეცვლილიყო თუ ღვინო, თუ ორივე ერთად. იჯდა და ფიქრობდა, უთავბოლო ბზუილითა და ყაყანით თავგასიებული და შეწუხებული. ამ ფიქრში ამოხდა სულიც. ჯოხი რომ გამოაცალეს, ცოცხალივით წამოიმართა, თითქოს უზრდელ სტუმარს ყელში უნდა სცემოდა, ეს როგორღა გამიბედეო, მაგრამ მაშინვე, მოჭრილ ხესავით, პირქვე გადმოემხო. მიწაზე დანარცხებისას ისე დაიქუხა, სარდაფის კედლები დაიბზარა, მტვრით აივსო იქაურობა და წყალღვინისგან ისედაც გამოლენჩებული ხალხი ხველებხველებითა და ფორთხვა-ფორთხვით ამოცვივდა ორმოცსაფეხურიანი სარდაფიდან. მტვერი ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო, კუსა რომ ჩამორბოდა კიბეზე, უკან ღვინის ვაჭარ ბახას აკივლებული ცოლშვილი მოსდევდა. კუსამ მაშინვე სკივრს მიაშურა, გასაღები რომ ვერ იპოვა, ცულით ააგლიჯა საკეტი და გაოცებისაგან პირი დააღო, სკივრი ცარიელი დაუხვდა. მთლად ცარიელი. არა, სკივრის ფსკერზე ერთი კრამიტი ესვენა, ყოველმხრივ ჩვეულებრივი, ზუსტად ისეთი, როგორითაც მაშინ სახლებს ხურავდნენ ვანელები, წითელი და ხასხასა, თითქოს ეს წუთია წვიმას გადაურბენიაო ზედ. იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ყველასათვის ეს ამბავი, კუსამ ისიც იფიქრა, იქნებ კრამიტის ყალიბში ჩამოსხმული ოქროაო, კბილით კიდე ჩამოათშხინა, მაგრამ გამომწვარი თიხის გემომ ეს იმედიც უცებ გაუქარწყლა. მერე, კიდევ ერთხელ რომ დააკვირდნენ ყურადღებით, ის კრამიტი მთლად ჩვეულებრივი არ აღმოჩნდა. კრამიტს წარწერა ჰქონდა. აქამდე ატრიალეს ხელში, ისე გააწვალეს კრამიტი, სანამ მოთმინებიდან გამოსული, თვითონვე არ ალაპარაკდა.

— ჩემო სიძევ, ახლა შენ იცი და შენმა კაცობამო. — თქვა კრამიტმა.

ზუსტად ასე ეწერა კრამიტზე. ვისაც არ წააკითხეს, ყველამ იგივე დაადასტურა. გაბოროტებული კუსა მკვდარს მიუბრუნდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ღვინის ვაჭარ ბახას გვამი ისე გაზრდილიყო, სარდაფში აღარ ეტეოდა.

— შეხედეთ, სარდაფიც კი არ ემეტება ჩვენთვის! — იყვირა სიმამრის ამ ახალი ოინბაზობით უარესად გულზე გახეთქილმა კუსამ.

ბახა კი პირქვე იწვა, მშვიდი და უზარმაზარი, გეგონებოდათ სარდაფში კაცი კი არა, სპილო მომკვდარაო. კუსამ უცებ გაიხსენა ბავშვობაში ფუშიანისგან მიღებული გაკვეთილები, მკლავები დაიკაპიწა და ოინბაზი სიმამრის გვამი ნაწილ-ნაწილ ამოზიდა სარდაფიდან. როგორც ძველი და უვარგისი ავეჯი.

ორმოცსაფეხურიანი სარდაფი, თავის კასრებიანათ, იმანომ შეისყიდა. იმანოსვე მიჰყიდა კუსამ ორსართულიანი სახლიცა და გემბანისხელა საწოლიც, როცა პატუმ, ამჯერადაც, მკვდარი ბავშვი გაუჩინა. კუსამ პატუს გამოშუშებაც არ აცალა, ბოხჩა გამოუკრა და რახილოს მიჰგვარა: ჩამიბარებია, შენი ქალიშვილი ქმრისა კი არა, სიკვდილის ამხანაგი ყოფილაო; მერე გალავანს გარეთ ერთი პატარა ქოხი იყიდა და იქ გადასახლდა; თუმცა ეს ამბები უფრო გვიან მოხდა, როცა ფარნაოზი უკვე წასული იყო კრეტაზე.

ბახას მოულოდნელმა სიკვდილმა ქალაქი გამოაცოცხლა, სალაპარაკო გაუჩინა და სასეიროდ განაწყო. ამაში თვითონ ბახა იყო დამნაშავე, თითქოს მხოლოდ იმიტომ მომკვდარიყო, სიძე რომ გაეპამპულებინა. ბახასა და მისი სიძის ურთიერთობა, რაღა თქმა უნდა,

ყველამ იცოდა, კუსასი არ იყოს, მათაც ჯეროდათ, მდიდარი რომ იყო ღვინის ვაჭარი და სადღაც გულის სიღრმეში შურდათ კიდეც კუსასი, ამ სიმდიდრის პატრონი რომ გახდებოდა მალე. ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და ყველაფერი გულთან მიჰქონდათ, თავს ვალდებულად თვლიდნენ ყველაფერში ჩარეულიყვნენ, რაც მათ ქალაქში ხდებოდა. კუსას ამბავი კი განსაკუთრებულად აინტერესებდათ. კუსაც მათიანი იყო, მათ თვალწინ გაზრდილიყო, მაგრამ მაინც გამოირჩეოდა ყველასაგან. ეს განსხვავება თავიდანვე შეამჩნიეს, თავიდანვე მიიქცია მათი ყურადღება ქოჩორგადაგლესილმა და წვრილკისერა ბავშვმა, ასაკისთვის შეუფერებელ განზრახვას, გარეგნულად დაძლეულ შიშსა და მოკრძალებას ყაყაჩოსავით რომ აებრიალებინა და საქმიანი კაცივით, მტკიცედ, ჯიუტად მიაბიჯებდა ქუჩაში, რათა დროულად გამოენახა ფულიანი საცოლე და დროულად შეესწავლა სარფიანი ხელობა, თითქოს იმ დროის ამოქაჩვას აპირებდა, გაჩენამდე რომ დაჰკარგვოდა. „ყოჩაღი ბიჭიაო“ — ამბობდნენ ვანელები და მისი გამოჩენა ისევე ართობდათ, როგორც ნიღბოსანი მსახიობების ჩამოვლა. მაგრამ სანამ ისინი ერთობოდნენ, კუსა მუშაობდა, იღწვოდა, იწრთვნებოდა და ძლიერდებოდა თანამოქალაქეთა წამქეზებელ სიცილ-ხარხარში. ერთ მშვენიერ დღეს კი ეს „ყოჩაღი“ ბიჭი საშიშ კაცად იქცა, თუმცა კაცმა რომ თქვას, საამისოდ არაფერი გაუკეთებია თვითონ, გარდა იმისა, რომ ერთხელაც არ უღალატნია განზრახვისთვის, მასთან ერთად ჩასახულ განზრახვისთვის, რომელსაც ადრე, სანამ ბავშვი იყო, ყოჩაღობაში უთვლიდნენ, რადგან დაუჯერებლად მიაჩნდათ, მართლა რომ შესძლებდა მის აღსრულებას. კუსამ კი შესძლო, უფრო მეტი შესძლო, ვიდრე რომელიმე მისმა თანამოქალაქემ, რადგან არც აზიზობის დრო ჰქონდა და არც ადათწესების დასასწავლად ეცალა. კუსა საშიშ კაცად ითვლებოდა, მაგრამ ვერავინ იტყოდა, რატომ უნდა შინებოდა პირადად მას კუსასი. ასეთი წარმოდგენა თავისთავად დაბადებულიყო, დროთა განმავლობაში, და საფუძვლად, ალბათ, ის უსიამო შეგრძნება ედო, დილა-საღამოს რომ აღვიძებდა კუსას ზურგზე აბუქნავებული ტყავის ტომრის ყღრიალი. ამიტომაც იყო კუსას გამოჩენისას უხერხული, თითქოს დანაშაულის მაღიარებელი დუმილი რომ ჩამოვარდებოდა ხოლმე, როგორც ცუღლუტი ბავშვებით გავსებულ ოთახში, სადაც ბრაზიან გადიას შეეხედა მოულოდნელად. ბახას სიკვდილმა და კუსას გაბითურებამ რაღაცნაირი, საკუთარი სინდისისგანვე აკრძალული სიხარული გაუჩინა ვანელებს, თითქოს ვიღაცას მათი ჯავრიც ამოეყარა, მაგრამ ანგარიშსწორებისას მთლად სამართლიანად ვერ მოქცეულიყო. კუსა დაჩაგრული კაცის როლში გამოდიოდა, თუმცა მისი უბედურება ღიმილს უფრო იწვევდა, ვიდრე თანაგრძნობას. ხოლო კუსას გაცურება თავისთავად იმდენად ბევრს ნიშნავდა, ისეთი წარმოუდგენელი იყო, ჩვეულებრივი ოხუნჯობის ფარგლებს ცილდებოდა. ბახა კი მომკვდარიყო, მაგრამ კუსა, თანაც გამწარებული, არც მკვდარს მოერიდებოდა. ასე რომ ქალაქი დიდი ამბების მოლოდინში გახლდათ, ყველას პირზე ეკერა სიმამრის ოინბაზობისა და სიძის გაბითურების ამბავი. მაგრამ ამჯერად უნდა გაწბილებულიყვნენ და ბევრ რამეზე აზრიც უნდა შეეცვალათ. მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. კუსას თავდაჭერილობამ და სულგრძელობამ ყველას პირი მოუკუპრა. ყველანი დაანამუსა და ღრმად ჩააფიქრა. იმის ნაცვლად, უპირო და ოინბაზი სიმამრის გვამისთვის ძაღლები რომ მიექსია, ხოლო მისი ცოლშვილი ქუჩაში გამოეყარა, კუსამ ღვინის ვაჭარი ბახა მოოქროვილ სარკოფაგში ჩაასვენა, ცოლსა და ცოლისდებს საკუთარი ნელით შეაჭრა ნაწნავები და მთელ ქალაქში მოპატიჟეები დაგზავნა. „საწყალ ბა-

ხას ათი ვაჟიშვილი რომ ყოლოდა, ისინიც ვერ მოუვლიდნენ ასეო“ — ამბობდნენ გაოცებული ვანელები, შევრდომილი ტყვეებივით გულხელდაკრეფილნი, ჯგუფჯგუფად რომ იდგნენ მიცვალებულის ეზოში და თითქოს შესაფერ დროს უცდიდნენ, რათა შემწყნარებლისთვის ერთხელ კიდევ ეთქვათ მადლობა და მხოლოდ ამის მერე მიეღოთ ნაჩუქარი თავისუფლება. კუსა კი მართლა გავდა გამარჯვებულ სარდალს, ოდნავ რომ დაემწუხრებინა ღირსეული მოწინააღმდეგის დამარცხებას და ეს უფრო თვალსაჩინოს ხდიდა მის სიძლიერესა და კეთილშობილებას.

ფუშიანს მთელი ნახირი დაეხოცა, საქონლის თავფეხი ზვინებად იდგა, თვითონ კი სისხლიან ტახტზე წახრილიყო და ხორცსა კეპავდა, თან კუსასკენ იხედებოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის შეამჩნევდა ნამოწაფარი. მართალია კუსა მის ხელობას არ გაჰყოლოდა, მაგრამ გულის სიღრმეში თავის დამსახურებადაც თვლიდა კუსას წარმატებას, თუნდაც იმიტომ, რომ პატარა ბიჭი ახსოვდა, წვრილკისერა და ქოჩორგადაგლესილი. ქარიანი დღე იყო, კვამლისაგან ყველას თვალები ჩასწითლებოდა. ნავლი დაკუწულ აბლაბუდასავით დაფრინავდა ჰაერში. კუსა და ფარნაოზი შუა ეზოში იდგნენ. სახლიდან ღვინის ვაჭარ ბახას ცოლშვილის წივილ-კივილი ისმოდა.

— თავიანთ თავსა სტირიანო, — თქვა კუსამ და გაიღიმა.

მერე დაიხარა, ქვა აიღო და ძაღლს ესროლა. ძაღლი წკავწკავით წამოვარდა, მაგრამ შორს არ წასულა, თითქმის იქვე ჩაცუცქდა და ისევ ფუშიანს მიაჩერდა სისხლიან ხელებში. ფუშიანმა ხმამაღლა გაიცინა, მაგრამ კუსას არც ახლა შეუხედავს მისთვის.

— ვისია ეს ოხერი, — დაიწყო ფუშიანმა, იფიქრა ახლა მაინც გამოველაპარაკები ჩემს ნამოწაფარსო, მაგრამ კუსა ისე აიმრიზა, შეშინებულმა ფუშიანმა ლამის თითებში ჩაირტყა ცული. — მოგხვდა თუ არა, — ახლა ძაღლს გასძახა ფუშიანმა, მაგრამ ხმამ უმტყუნა, ცული იღლიაში ამოიდო, ტახტის კიდეზე შემოდგმულ ხელადას მისწვდა და მოიყუდა. ხელადასაც სისხლი მიშხეფებოდა.

— არ მიყვარს ეგ კაცი. სანაძლეოზე ცოცხალ ქათამსა ჭამს, ნაწლავებიანად. ფუი. — გადააფურთხა კუსამ ფუშიანისკენ, ტუჩები ხელის ზურგით მოიწმინდა და გააგრძელა, — სანამ თავსა ჭამს, აფართხალებული ტანი მუხლებით უჭირავს. რა გაასწორებს ამ ქვეყანას, ბიძაჩემო, ჰა?

ფარნაოზს არაფერი გაუგია, რადგან სწორედ ამ დროს ეზოში შავთვალება მალალო შემოვიდა თავის შვიდივე ქალიშვილთან ერთად. შავთვალება მალალომ ზუზუნით გადასჭრა ეზო, თან უზარმაზარ მკერდზე გველებივით გალურსულსა და აბრჭყვიალებულ მძივებს ისწორებდა. ყველაზე ბოლოს ინო მოდიოდა. უკვე კუსასაც დაენახა ისინი და ფარნაოზს გაღიმებული შესცქეროდა. „მერე რა მოხდა, სამძიმარზე მოსვლას ხომ ვერ დაუშლიდაო“ — ფიქრობდა ფარნაოზი, მაგრამ გრძნობდა, როგორ წითლდებოდა, როგორ ეფაკლებოდა სახე. ერთი შეხედვით თითქოს მართლა არაფერი იყო უცნაური, ყველას ქონდა სამძიმარზე მოსვლის უფლება, მაგრამ, რატომღაც, ერთი წუთითაც არ უფიქრია, შესაძლებელი რომ იყო ისინიც მოსულიყვნენ აქ. რაც არ უნდა ეთვალთმაქცა ფარნაოზს, როგორც არ უნდა მოეტყუებინა თავი, ისინი მაინც არსებობდნენ, ხალხში ერევნენ და ისევე ცხოვრობდნენ, როგორც სხვები, დღეობაზეც დადიოდნენ და სატირალშიც; არაფერი არ იყო ამაში გასაკვირი, ან ისინი რატომ ამოიკვეთავდნენ ფეხს, ან ქალაქი რატომ უნდა გაჰბუტვოდა მათ ერთი სულელი ბიჭის გამოპანღურების გულისთვის. რასაც ფარნაოზის გულში ღია, მოურჩენელი ჭრილობა გაეჩინა, ის ქალაქისთვის ერთი დღის თავშესაქცევი ამბავი იყო, ბავშვების ცუღლუტობა და მეტი არაფერი, და მა-

რთლაც, ფარნაოზის გულის დანახვა შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ალბათ, ყველანი გაოცებისაგან პირს დააღებდნენ, შეწუხდებოდნენ კიდევაც, მაგრამ სულელადაც ჩათვლიდნენ; ის ცინგლიანი გოგო, რომელსაც ფარნაოზის გულზე თავისი ნაკბილარები დაეტოვებინა, როგორც თაგვს ნაზუქზე, უკვე ძალიან დიდი ხნის წინათ გამქრალიყო, კი არ გამქრალიყო, გარდაქმნილიყო, საბოლოო სახე მიეღო, რადგან ასეთი ჭირდებოდა ქვეყანას, ჩამოყალიბებული და დასრულებული. ინოს სიკვდილი და დამარხვა შეურაცხყოფილი, გულმოკლული ბავშვის ოცნება იყო მხოლოდ, თავგანწირული, უკანასკნელი გაბრძოლება ბუნებისა და ცხოვრების წინააღმდეგ, რათა ის მაინც შეენარჩუნებინა, რაც სხვებისთვის არ არსებობდა, ანდა თუ არსებობდა, არავის ჭირდებოდა. რაც არ უნდა ძნელი შესალევი ყოფილიყო ეს ოცნება, დრო მაინც თავისას აკეთებდა, ყველაფერს თავის სახელს არქმევდა, აშიშვლებდა, ამქღავნებდა, ანდა სამუდამოდ ჩქმალავდა. ფარნაოზმაც რა თქმა უნდა, იცოდა ნამდვილი ინო ცოცხალი რომ იყო და სწორედ ის ცოცხალი ინო იყო ყველაზე დიდი მტერი ბავშვობიდან გადმოყოლილი ოცნებისა, ცოცხალ ინოს მართლა შეეძლო კიკინებაპრეხილი გოგოს მოკვლა, განადგურება, ამოძირკვა, თუმცა ინოსთან შეხვედრა, ინოს დანახვა უფრო წარმოუდგენელი იყო ფარნაოზისთვის, ვიდრე... მკვდრის გაცოცხლება. მაინც განუწყვეტლივ ჰქონდა ამის მოლოდინი. იმ დღის მეორე, როცა პირველად და უკანასკნელად გამოვიდა შავთვალება მალალოს სახლიდან, შეგნებულად არიდებდა თავს მეორე, ცოცხალ ინოზე ფიქრს, ქვასთან კირკიტიც თავიდანვე მხოლოდ და მხოლოდ ამ ფიქრის დასაფრთხობად იყო მოგონილი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არაფერი არ სდომებია ისე მტანჯველად, ისე აუტანლად და ისე ბავშვურად, როგორც იმ მეორე, ცოცხალი ინოს დანახვა, დაკარგული ინოს დანახვა, რომელიც ადვილი შესაძლებელი იყო, ვეღარც კი ეცნო. მკვდარ ინოზე დრო არ მოქმედებდა. ის ისევ ბალერინა, ჭორფლიანი და კიკინებში წითელჭინჭებჩაწნული გოგო იყო. სწორედ ეს სხვაობა იზიდავდა ფარნაოზს, სხვაობა მკვდარსა და ცოცხალ ინოს შორის, თავისკენ ექაჩებოდა, აფორიაქებდა, აინტერესებდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, გარდაქმნილ ინოსთან შეხვედრის იმედი საერაგოდ რომ იყო მასთან მოსული. იმედისგან ნამდვილად ვერაგობა იქნებოდა მართლა რომ შეეხვედრებინა ფარნაოზი ცოცხალ ინოსთან, რადგან ცოცხალი ინო იმ ჭორფლიანსა და კიკინებაპრეხილ გოგოს სახებასაც სამუდამოდ წაართმევდა ფარნაოზს, დაკარგულ ბეკეკასავით, ეკალბარდში გახლართულ ბეკეკასავით გამოდენიდა ფარნაოზის გონებიდან და წინ გაიგდებდა, უფრო სწორედ უკან, გარდასულ დღეთა, ჩვენებათა და გრძნობათა აშმორებულ ფარეხში გამოკეტავდა სამუდამოდ, რადგან იქ იყო მისი ადგილი. მაგრამ ცდუნებაც დიდი იყო, ძნელად მოსარევი, დაუოკებელი. ხომ შეიძლება, ხსოვნაში სამუდამოდ ჩაკირული გოგოს სახებაც მხოლოდ და მხოლოდ უძლური და უდღეური ოცნების ნაყოფი ყოფილიყო. ეს კი ყველა უბედურებაზე დიდი უბედურება იქნებოდა, რადგან მაშინ ფარნაოზის არსებობაც ეჭვის ქვეშ დგებოდა, უფრო მეტიც, საერთოდ ეკარგებოდა აზრი და მნიშვნელობა მის არსებობას, თუკი ტკივილიც, რომელსაც დაფარული, ბოლომდე გაურკვეველი სიამაყით საკუთარ დამღად, ხელშეუხებელ უფლებად და დროშად თვლიდა, მოგონილი. თითიდან გამოწოვილი აღმოჩნდებოდა. ინოსთან შეხვედრა კარგს არაფერს პირდებოდა ფარნაოზს, მაგრამ მთელი მისი არსება, დამფრთხალი და აგზნებული, ამ შეხვედრას ესწრაფოდა და აღარც იმის თავი და სურვილი ჰქონდა, საფუძვლიანად გაერკვია, რა ექაჩებოდა ასე: გაწბილების სურვილი, იმედის ვერაგობა თუ მიმზი-

დველი ძალა უბედურებისა. კუსას იმ-
დღევანდელმა გულახდილობამ კი სა-
ბოლოოდ დაარწმუნა ამ შეხვედრის
გარდუვალობაში. ინო ნამდვილად არ-
სებობდა, არა მარტო არსებობდა, ფარ-
ნაოზი ახსოვდა და თურმე კიდევ ჰქონ-
და მისი იმედი. მაგრამ მთავარი მაინც
სხვა იყო: არა ინოს არსებობის დადას-
ტურება მეორე კაცის მიერ, არამედ
თვითონ ის მეორე კაცი. კუსას იმ-
დღევანდელმა საქციელმა, თავისი მო-
ულოდნელობითა და სიდიადით რაღაც-
ნაირად დათრგუნა და აღაფრთოვანა
კიდეც ფარნაოზი, თითქოს ხანგრძლი-
ვი და დაძაბული ძებნის შემდეგ სრუ-
ლიად შემთხვევით აღმოეჩინა საგანი,
რომელიც თურმე ცხვირწინ ედო, კი
არ დაკარგულიყო, თვითონ ვერ ამჩ-
ნევდა, რადგან თვითონ იყო დაბნეუ-
ლი, უყურადღებო და, რაც მთავარია,
თავიდანვე შესჩვეოდა ამ საგნის და-
კარგვას, თუმცა მაინც ეძებდა, უფრო
სწორედ, უნებურად, ჩვეულების გამო
აგრძელებდა ძებნას, რადგან გამაღი-
ზიანებლად გრძნობდა, როგორ გადაჩ-
ვეოდა, ამხნის განმავლობაში, როგორ
დავიწყებოდა ამ საგნის მნიშვნელობა
და დანიშნულება. საგანი, რომელსაც
ფარნაოზი დაკარგულად თვლიდა, კუსა
აღმოჩნდა, მისი საკუთარი დისშვილი,
სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორ-
ცთაგანი. კუსა აღმოჩნდა, ან შეიძლებო-
და აღმოჩენილიყო ის მეორე კაცი,
ურომლისობაც ასე აწამებდა ფარნა-
ოზს. მართალია, კუსამ ბევრი მწარე სი-
მართლე უთხრა, სულის ყველაზე დამა-
ლულსა და მგრძნობიარე ადგილსაც შე-
ეხო მტკივნეულად, მაგრამ მთავარი
მაინც სხვა იყო: კუსა თანაგრძნობას
უცხადებდა, დახმარებას თავაზობდა,
ეს კი თავისთავად უკვე ბევრს ნიშნავ-
და, იმდენად ბევრს, რომ ფარნაოზს
თავზარიც კი დაეცა, თვალი დაუბნელ-
და, გაუჭირდა ერთბაშად აღექვა ყვე-
ლაფერი, რაც კუსასგან გაიგო, ხოლო
როცა აღიქვა, კმაყოფილება კი არ
იგრძნო, კი არ დამშვიდდა, რაც უფრო
ბუნებრივი იქნებოდა, არამედ შეწუხ-
და, დაიბნა და დაიმორცხვა, კიდეც,
თითქოს დაუმსახურებელ ჯილდოს
აჩეჩებდნენ, დაჯილდოვების ღირსად
თვლიდნენ, თუმცა მას საამისოდ არა-
ფერი გაეკეთებინა. დამჯილდოებელი
დამთრგუნველად გულუხვი იყო. შეგ-
ნებულად თუ უნებურად ისეთი რამე
შეერჩია ჯილდოდ, ფარნაოზსაც გაუ-
ჭირდებოდა უარის თქმა, ეკუთვნოდა
თუ არ ეკუთვნოდა იგი. ყველაზე მე-
ტად ფარნაოზს ჭირდებოდა ის, სწო-
რედ ის ჭირდებოდა, ჰაერივით, ჰაერ-
ზე მეტად და ახლა მხოლოდ მასზე იყო
დამოკიდებული, როგორ მოიქცეო-
და — მიიღებდა თუ უარს იტყოდა ჯი-
ლდოზე, რომელიც არ დაემსახურები-
ნა, მაგრამ ჭირდებოდა. უარიცა და თა-
ნხმობაც ერთნაირად ძნელი სათქმელი
იყო, ორივე თანაბრად მომხიბვლელი და
ამავე დროს თანაბრად ამაზრზენიც ჩა-
ნდა; ორივეს ცდუნების სუნი ასდიო-
და. საბედნიეროდ იმის მერე კუსა
აღარ გამოჩენილა, თითქოს მასაც ეგრ-
ძნო ბიძის გასაჭირი და მოსაფიქრებ-
ლად დროს აძლევდა. ფარნაოზისთვის
წარმოუდგენელი იყო, ვინმესთან და გა-
ნსაკუთრებით თავის საკუთარ დის-
შვილთან თუ მოუხდებოდა როდისმე
ინოზე ლაპარაკი, მაგრამ როცა მარტო
დარჩა, ტახტზე მიწვა და ფაცაფუცით
აღადგინა დილანდელი საუბარი, გული
გაუთბა, გაებერა, რულისმომგვრელი,
დამამშვიდებელი სევდა დაეუფლა და
როდის-როდის იგრძნო, რომ ტიროდა.
ამ უნებურ სისუსტეზე თვითონვე გაე-
ღიმა, ტკბილად, ბავშვურად და იმ
წუთას მართლაც გავდა ბავშვს, რომე-
ლიც ერთი წუთის წინ მარტო ეჩხუბე-
ბოდა უბნის ბიჭების მთელ ხროვას,
საკუთარი სიპატარავითა და უმწეობით
აღგზნებული და გაკერპებული, ჯიუ-
ტად, ბრაზიანად მიიწევდა უკვე ნირ-
წამხდარი ბიჭებისკენ, მაგრამ მოულო-
დნელად გამოჩენილ ქომაგს, გაუთვა-
ლისწინებელ თანაგრძნობას ისე გაე-
ბედნიერებინა, იმის თავიც აღარ ჰქონ-

და წინააღმდეგობა გაეწია ცრემლისთვის, თავისით, ღაპა-ღუპით რომ ჩამოსდიოდა დასისხლიანებულ ღაწვებზე. ის ბედნიერებისგან ტიროდა, ხოლო რადგან ბედნიერი იყო, აღარც ტირილის რცხვენოდა. რა თქმა უნდა, შემაშფოთებელიც ბევრი იყო კუსას ნათქვამში, მაგრამ მარტო იმის შეგრძნება, რომ მისი სატკივარი სხვასაც აწუხებდა, სხვასაც აფიქრებდა და აინტერესებდა, იმდენად სასიამოვნო იყო, იმდენად იშვიათი და აუცილებელი, ფარნაოზი დიდხანს არიდებდა თვალს სინამდვილის მეორე მხარეს, ერთიანად რომ გაემურა და გაეფიცხებინა საგანგაშო კოცონის ბოლსა და ალმურს. ათასში ერთხელ, ისიც ერთი წამით, ჯოჯოსავით გადაახოხდებოდა ხოლმე გულზე იმის გაფიქრება, რომ კუსა, შეიძლება, მართლა მისულიყო შავთვალება მალალოსთან და სიკეთის ნაცვლად დათვური სამსახური გაეწია. ფარნაოზი ინოს არ შეირთავდა, ამის მაგვარ აზრს ფიქრშიაც ვერ გაივლებდა, რადგან ინოზე უცხო ქალი არც არსებობდა და ალბათ არც იარსებებდა მისთვის, ხოლო ის, კიკინებაპრეხილი გოგო მართლა დიდიხნის მკვდარი იყო და მისი ჭრელაჭრელა ძონძების საქვეყნოდ გამოფრიალებას ფარნაოზი არავის აპატიებდა, კუსასაც კი, რადგან ახლა კუსა იყო მისი საფიქრალი, კუსას დაეპყრო მთელი მისი არსება, როგორც პირველ სიყვარულს სულელი და გამოუცდელი გოგო, სული რომ მისდის, როდის გაიპარება შინიდან და თავგანწირულად, ბრმად, მთელი არსებით მიენდობა მომლოდინე გულისწორს, რომელიც სულ ერთხელ უნახავს, წესიერად არც დალაპარაკებია, მაგრამ მასზე ახლობელი და ძვირფასი არავინ ეგულება ქვეყანაზე; თან იმასაც გრძნობს, მისი ასეთი ნაბიჯი მშობლებს რომ დააღონებს, პატიოსან სახელს შეუბღალავს და შეარცხვენს, მაგრამ არჩევანი მაინც აუცილებლად უნდა გააკეთოს, რადგან ორივენი, გულისსწორიცა და მშობლებიც, მასზე ძლიერები არიან, ერთი დამღუპველი სითამამით, იზიდავს მეორე კი დაკანონებული, შეჩვეული, ერთფეროვანი, მაგრამ საიმედო სიმშვიდით.

ფარნაოზს მოსვენება დაეკარგა, ვეღარც საქმეს უდებდა გულს და სუფრასთანაც კრიჭაშეკრული იჯდა, ყველაფერი აღიზიანებდა, უბრალო რამეზეც ისეთ ამბავს ასტეხდა, შეშინებული ქალები კუთხეში მიიბუზებოდნენ ხოლმე, სიტყვის შებრუნებას კი ვერავინ უბედავდა. საკმარისი იყო, პოპინას ან ქალუკას კუსა ეხსენებინა, ფარნაოზი მაშინვე პირში ეცემოდა, თითქოს ისინი კუსას მტრები იყვნენ და ფარნაოზის თანდასწრებით აპირებდნენ მის განქიქებას. „ჩვენა ვართ ცუდები, ჩვენ. კაცი შინიდან გავაგდეთ და კიდევ იქით ვსაყვედურობთო“ — ყვიროდა ფარნაოზი და იმ წუთას ისე ემსგავსებოდა მამამისს, პოპინა უნებურად უხეიროს ოთახის გამოკეტილ კარს გახედავდა ხოლმე, ღამით კი თვალდაჭყეტილი გულაღმა იწვა ტახტზე, მადლიერების გრძნობით გულაჩუყებული, და ოცნებობდა, ისეთი რამე შემთხვეოდა კუსას, ძარტო მას რომ შესძლებოდა დახმარება. ერთადერთი, რაც ამ სიამტკბილობას უშხამავდა, ისევ და ისევ ინო იყო, ცოცხალი ინო, კუსას ნაცნობი ინო, მისი იმედით რომ უწვებოდა თურმე მთელ ქალაქს და მისი უყურადღებობით რომ ამართლებდა თავის მეძაობას. „კუსას რა ბრალია, — ფიქრობდა ფარნაოზი —ალბათ ასე ეუბნებიან და იმასაც სჯერაო“. ლოგინში აწრიალებული ფარნაოზი ყოველ ღამე ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას იღებდა, უთენია დახვედროდა სასახლისკენ მიმავალ კუსას და ყველაფერი გულწრფელად მოეყოლა, აეხსნა, საქმეში გაერკვია დროულად, რათა უნებურად მართლა არ ჩაედინა ის, რისი გამოსწორებაც მერე აღარაფერს შეეძლებოდა. მაგრამ დღის

სითბო და სინათლე მის თითქოსდა მტკიცე გადაწყვეტილებასაც ჭირხლივით უცებ ადნობდა, მაშინვე რწმუნდებოდა, ასე უბრალოდ რომ ვეღარ მივიდოდა კუსასთან, შეიძლება იმიტომაც, მისი სიახლოვე, მის გვერდით ყოფნა გაუნელებელ მოთხოვნილებად რომ გადაქცეოდა. ფარნაოზი დავალებულად თვლიდა თავს კუსასაგან და ჯერ თვითონაც რამე უნდა გაეკეთებინა, რამეთი უნდა დაემტკიცებინა ერთგულება, მისასვლელი პირი რომ ჰქონდა. ცოდვა გამხელილი ჯობია და ბახას სიკვდილმა სხვანაირად გაახარა ფარნაოზი, რადგან საშუალება ეძლეოდა, უბედურების ჟამს გვერდში ამოსდგომოდა დისშვილს. მართლაც ის დღეები ერთი წუთით არ მოშორებია კუსას. ერთი წუთით არ ჩაუმუხლია, პატარა ბიჭივით დარბოდა ყოველ წვრილმან საქმეზე, თითქოს სხვები ვერ გააკეთებდნენ, ანდა ისე ვერ გააკეთებდნენ, კუსას რომ მოსწონებოდა, კუსა რომ კმაყოფილი ყოფილიყო. გაოფლილსა და მტვერში ამოგანგლულ ფარნაოზს კუსა თავს გადაუქნევდა ხოლმე, მერე, ღიმილისგან პირგახეული, გვერდზე გაიყვანდა და ეუბნებოდა: კაცო, სირცხვილია, გაჩერდი... შენ სულ სხვა რამისთვის მჭირდებიო, ამას კი ისეთი ხმითა და სახით ამბობდა, ფარნაოზს ტანი აებურძგნებოდა და ბავშვობიდან აკვიატებული შიში, მოსალოდნელი მარცხისა და გაწბილებისა, გველივით წამოუყოფდა ხოლმე თავს, სადღაც სულის ყველაზე ბნელსა და მიყრუებულ კუთხეში. ფარნაოზი ამასაც თავის თავს აბრალებდა, თვითონ მე ვარ ასეთი, ყველაფერი შებრუნებით მესმისო, ბრაზობდა წამიერი უნდობლობით აფორიაქებული და უნებურად თვალს არიდებდა დისშვილის მომღიმარ სახეს, მინის ჭურჭელივით სუფთასა და პრიალას, მოვარდისფრო სითხეს ოდნავ რომ შეუფერავს შიგნიდან.

როცა ეზოში შავთვალება მალალო და მისი ქალიშვილები შემოვიდნენ, ფარნაოზი სახტად დარჩა, ტანმა უგრძნო, რაღაც უნდა მომხდარიყო, ახალი და იდუმალი, ყველაფერს რომ შეარყევდა და შეცვლიდა თავისი სიახლითა და იდუმალებით. ფარნაოზს გაქცევა მოუნდა, როგორც მაშინ, დიდი ხნის წინათ, როცა დარიაჩანგის ბაღში შუბუმ კუსას დაბადება აუწყა. ფარნაოზი მართლა გაიქცეოდა, კუსასი რომ არ შერცხვენოდა. რატომღაც ახლა, შუა ეზოში გარინდულს. ყველაზე ძალიან კუსასი რცხვენოდა, ერჩივნა მიწა გახეთქოდა, მეხი დასცემოდა, ადგილზე მომკვდარიყო, ოღონდ კუსას არ დაენახა ისინი, ასე თამამად, ასე გამომწვევად რომ მოაბიჯებდნენ ეზოში, თითქოს ამოდენა ხალხი ბახას საპატივსაცემოდ კი არა, მათ სანახავად შეკრებილიყო აქ. ფარნაოზმა ისიც დაინახა, როგორ გამოცოცხლდა, აჩოჩქოლდა და აჩურჩულდა სამძიმარზე მოსული ხალხი, აქამდე გულხელდაკრეფილი და თავჩაქინდრული რომ იდგა. მოეჩვენა, თითქოს ყველანი მისკენ იხედებოდნენ, თითქოს ფარნაოზს მოეყვანა ისინი და თვითონ ფარნაოზსაც ასეთი გრძნობა ჰქონდა, რადგან გულის სიღრმეში თავისიანებად თვლიდა, თავისი ფიქრის ბინადრებად, მისივე უყურადღებობის გამო უდროოდროს რომ გამოხეტებულიყვნენ საამკარაოზე.

— მობრძანდნენ თუ არა?! — ჩაესმა ფარნაოზს კუსას ხმა, — კაცი არ ვიყო, ამ სულძაღლის ქელეხი ქორწილად თუ არ ვაქციოო, — ამბობდა კუსა და თან ფარნაოზს შესცქეროდა სახეში.

„ახლა რაღაც მოხდება, უნდა მოხდეს“, — გაიფიქრა ფარნაოზმა და ცოტა ხნის მერე ლოცვასავით გააგრძელა: მოხდეს რაც მოსახდენია, ოღონდ მალე, ახლავეო.

— რატომაც არა?! მადლობა თქვან, თუკი დავინათესავებთ, — ხმას აუწია კუსამ.

არა, კუსა ჩვეულებრივად ლაპარაკობდა, მარტო ფარნაოზის გასაგონად,

ფარნაოზს კი მისი ლაპარაკი ყვირილად ესმოდა და ყურები უბჟუოდა, ისიც ვერ მოეხერხებინა, დისშვილი გაეჩუმებინა, თავჩაქინდრული იდგა, რადგან დარწმუნებული იყო, ყველანი მათ უყურებდნენ. „ახლა ამის დრო არ არის, ახლა ამის დრო არ არისო“ — თავისთვის იმეორებდა ფარნაოზი, კუსა კი თავისას აგრძელებდა: ჩვენი ოჯახი სხვაა, ჩემი სიმამრი კი მეტის ღირსი მართლა არ იყოო, ცოლშვილს კი არა, ლოთებსა და მეძავებს მოუკვდა და აი, ეახლნენ კიდევაცო, თუ გგონია, რომ ამოდენა ხარჯი იმ წუწურაქისთვის გავწიე, ძალიან შემცდარხარ, შენი ნანატრი დღე უნდა გავათენო, ბიძაჩემოო... და ვინ იცის კიდევ რას არ ამბობდა კუსა. ფარნაოზი რამდენჯერმე მოკვდა და გაცოცხლდა, რამდენჯერმე განიცადა სიკვდილის ნეტარებაცა და გაცოცხლების სიმწარეც, ხოლო როცა საბოლოოდ გამოერკვა, გაუკვირდა: კიდევ არ გამოუსვენებიათო?

— ფარნაოზ! — დაუძახა კუსამ.

— ჩემი ბრალია... — თქვა ფარნაოზმა.

—ხომ არ გაგვიწვიმდება ჰა? რას იტყვი, ბიძაჩემო? — თქვა კუსამ.

ფარნაოზმა უნებურად ცას ახედა. მოწმენდილ ცაზე თეთრი, გამჭვირვალე ღრუბლები ერთმანეთს გაურბოდნენ.

— მაგ დამპალმაც პატიოსნებაზე დამიწყო ლაპარაკი, — თქვა კუსამ. — ქალთან შენ დადიოდი, ახლა ბიძას როგორღა უნდა მიათხოვოო. გესმის? საქმეში გამიყვანა. ნუ გეშინია, მეც კარგები ვუთხარი.

— ჩემი ბრალია, — გაიმეორა ფარნაოზმა.

— შენი ბრალია, რაღა თქმა უნდა, შენი ბრალია. როცა ამ ხნის კაცს ცოლი არა ყავს, აღარც ხალხს გაემტყუნება, რაღაც-რაღაცეებზე რომ დაეჭვდეს. ხე, ხე. — ჩაიცინა კუსამ, მერე ყასაბს გასძახა, როგორ მიდის საქმე, ფუშიანოო, მაგრამ პასუხს არ დაელოდა და ისევ ფარნაოზს მიუბრუნდა. — შენს სასიდედროსაც ეგრე მოვახსენე, ქალო-მეთქი, მე ცოლიც მყავს — და დღე-დღეზე შვილსაც ველოდები-მეთქი, ჯერ ბიძა დამაბინავებინე, ეგებ კიდევ ეშველოს რამე და მთლად უძიროდ არ გადაეგოს ეს პატიოსანი ოჯახი მეთქი. იცი რა მითხრა?

სწორედ ამ დროს ქუჩაზე დაკოდილმა მეჯინიბემ ჩაირბინა, ისეთი სახე ედო, გეგონებოდათ ცოფიანი ძაღლი გამოჰკიდებიაო. უცებ მოტეხილიყო, ოფლის ოხშივარი ასდიოდა, თითქოს გაცელქებულ ბავშვებს კისერზე გადაცმულ თოფრაში მუგუზალი ჩაუგდიათო. ამოდენა ხალხი რომ დაინახა, გაჩერება სცადა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და რაღაცნაირად საცოდავად წაიფორხილა ჰაერში, ფრთებშეჭრილი ქათამივით: მღელვარებისგან სულს ვეღარ ითქვამდა, თავს გიჟივით ატრიალებდა და დაკრეჭილი ნაფოტა კბილებით ჰაერს კბენდა. აშკარად რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყელიდან ხმის ნაცვლად უსიამო ხივილი ამოსდიოდა, მომაკვდავივით. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბახას ტირილში შეკრებილი ხალხიცა და შუა ქუჩაში საფრთხობელასავით გაფარჩხული მეჯინიბეც ერთმანეთს შესცქეროდნენ. მაგრამ ეს დუმილი და გარინდება დიდხანს არ გაგრძელებულა. უცებ ყველაფერი აქოთქოთდა, აწიოკდა და თითქოს მთელმა ქალაქმა ერთდროულად ამოიღრიალა: დარიაჩანგის ბაღი გამქრალაო. ხალხმა იხუვლა, თითქოს დაგუბულმა წყალმა ჯებირი გაანგრიაო, ყველაფერი ფეხქვეშ ამოიდო და დარიაჩანგის ბაღისკენ გაქანდა.

„დავიღუპე“ — გაიფიქრა კუსამ და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, ფარნაოზი გვერდით რომ აღარ ედგა. „დავიღუპეო!“ — ახლა უკვე ხმამაღლა იყვირა და აზმუვლებულ ხალხს მდუღარეგადასხმულივით გამოენთო. შიშმა ფრთები შეასხა, მგლის მუხლი გამოაბა და

მალე თვალიც შეასწრო ბიძამისის ზურგს. „დამთხვეულო! ფილამონე!“— დაუძახა კუსამ, მაგრამ მისი ხმა უკვალოდ ჩაიკარგა ხალხის ზმაილში. გასცდა თუ არა ქალაქს ხალხის ნიაღვარი, წინ ოყაჯადოს ჯარისკაცები შემოეყარა. ჯარისკაცებს ვაშლით სავსე კალათები მოჰქონდათ, თავზე ნაყოფით დახუნძლული ტოტები გვირგვინებად დაედგათ. აქანავებული, მუშტისხელა ნაყოფი გაოფლილ საფეთქლებზე სცემდათ. მოდიოდნენ და მოიმღეროდნენ; უპატრონო ჯოგივით აზმუვლებული და თვალებგადათეთრებული ხალხის დანახვაზე ოყაჯადოს ჯარისკაცებიც დაფრთხნენ, კალათები დაჰყარეს და გზა უტიეს. ვინც კალათას ვერ შეელია, ან ვერ მოასწრო დროულად გამხტარიყო გვერდზე, ხალხმა ქვეშ მოიყოლა, გადატკეპნა და გზა გააგრძელა. „რისი გულისთვის, ხალხო!“ — ღრიალებდა ნეკნებჩალეწილი ჯარისკაცი და ზურგზე დავარდნილ ხოჭოსავით საცოდავად ასავსავებდა ხელფეხს. ფარნაოზს სილაში ფეხი ეფლობოდა. ბორძიკობდა, მაგრამ მაინც ყველაზე წინ გარბოდა, ასედაც უნდა ყოფილიყო, ყველაზე ადრე ფარნაოზს უნდა მიერბინა, როგორც დედას ცეცხლწაკიდებულ სახლთან, რომელშიაც მისი შვილები გამომწყვდეულიყვნენ. დარიაჩანგის ბაღი ფარნაოზის სახლი იყო, ფარნაოზის ბავშვობა, სიყვარული, ოცნება, სიზმარი... ყველაფერი! თუმცა ამწუთას თვითონ ასე არ ფიქრობდა, საერთოდ არ ფიქრობდა, ბრმად, სტიქიურად მიშხუოდა ჰაერში, საგანგაშო ზარის ბგერასავით უხორცო და დამთრგუნავი.

კუსას შიში მიარბენინებდა, ბოლომდე ვერც ის გარკვეულიყო, რა ხდებოდა, მაგრამ უტყუარი ალღოთი გრძნობდა, ეს ამბავი ასე არ დამთავრდებოდა, სასახლის ყურამდეც მიაღწევდა, თუ უკვე არ მიეღწია და მერე გვიანღა იქნებოდა თავის მართლება. პირველ რიგში კი მას მოსთხოვდნენ პასუხს და მართლებიც იქნებოდნენ. ჩვენში რომ ვთქვათ, განა კუსა არ იყო დამნაშავე ამდენ დამთხვეულს რომ მოუყარა თავი, მაინც და მაინც დღეს, მაინც და მაინც იმ აქოთებული გვამის გასაპატიოსნებლად, მთელი ქვეყნის ლოთი და მეძავი ბუზივით რომ ეხვეოდა და მისი სიმამრი ერქვა. ანდა მაინც და მაინც დღეს რომ გადასწყვიტა ჯავრის ამოყრა ქვისკოდია ცვედანზე, ხაფანგიდან თავდაღწეულ ტურასავით ყველაზე წინ რომ გარბოდა და მაინც და მაინც მისი ალალი ბიძა იყო? არა, რამე უნდა მოეფიქრებინა, რამე უნდა ეღონა, სასახლის დასანახად მაინც, თორემ მერე... ფიქრის დროც აღარ იყო, უნდა ემოქმედა სწრაფად და საზრიანად, ყოველი წუთი მამასისხლად ფასობდა, ყოველ წუთს შეეძლო გადაეწონა მთელი მისი მომავალი ცხოვრება. სირბილისგან გულამოვარდნილმა კუსამ თოკს შეასწრო თვალი და წყალწაღებულივით წაეტანა. თოკი დაჰყვა. მოსალოდნელ საფრთხეს ისე აღეგზნო კუსა, იმ თოკის პატრონი ვერც კი დაინახა. მან მხოლოდ თოკის აქანავებულ ბოლოს მოჰკრა თვალი და გონება გაუნათდა: ყველაზე ძალიან ახლა სწორედ თოკი ჭირდებოდა, გაქცეული ბიძის დასაბმელად. სულერთი იყო შესძლებდა თუ არა ამას, მთავარი იყო, სხვებს დაენახათ, როგორ ცდილობდა ბიძის დაბმას. ეს კი იქამდე უნდა მომხდარიყო, სანამ თავისით გაჩერდებოდა ფარნაოზი, სანამ დარიაჩანგის ბაღამდე მიაღწევდა. მთელი ძალით მოქაჩულმა თოკმა ბედია ადგილზე ციბრუტივით დააბზრიალა, წააქცია და კარგა მანძილზე გაითრია, სანამ მთლად არ შემოეხსნა. სილაში პირქვე წამხობილი ბედია ნიჟარიდან გამომძვრალ ლოკოკინას გავდა, ერთდროულად უმწეოც იყო და ამაზრზენიც. წლობით შემოუხსნელ თოკის გორგალს მისი სხეული ერთიანად დაეწყლულებინა, ლაქებივით აქა-იქღა შერჩენოდა ცოცხალი, ავადმყოფურად თეთრი კანი, გეგონებოდათ ნაგვის ბორცვისთვის ვი-

ღაცას წყალში გახსნილი კირი მიუსხიაო. კუსა კი გარბოდა, მობოშებულ თოკს გზადაგზა ბოჭავდა და შიშისაგან გაუფერულებული თვალები ფარნაოზის ზურგისთვის ჭანგებივით ჩაესო. მერე ორივენი სილაში გორავდნენ. კუსა ცდილობდა, თოკი შემოეხვია ფარნაოზისთვის, მაგრამ ვერ ახერხებდა, ფარნაოზი მასზე ღონიერი იყო. კუსას შიში აძლევდა ძალასა და გამბედაობას, ფარნაოზი კი ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა, რატომ ეხვეოდა და რატომ კოცნიდა ასე გაშმაგებით ბალღივით აზლუქუნებული კუსა. კუსა კი მართლა კოცნიდა ფარნაოზს სახეში, კისერში, მხრებზე, სადაც მიწვდებოდა და თანდათან ორივენი იხლართებოდნენ ბედიას დამპალ თოკში. „შენი გულისთვის, სულელო, შენი გულისთვისო“ — ლუღლუღებდა კუსა და ცრემლში აზელილ სილას აფურთხებდა.

უცებ ყველაფერი ისევე მოულოდნელად ჩაწყნარდა, როგორც აბობოქრდა. მოსახდენი მომხდარიყო; გაქცევას აზრი აღარ ჰქონდა. ეს ორივემ ერთდროულად იგრძნო და ახლა სილაში წამომჯდარიყვნენ. მძიმედ სუნთქავდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ თვალებში. ხელისგულებზე დაყრდნობილი კუსა უკან-უკან გაჩოჩდა, თოკში გაბლანდული ფეხები გაითავისუფლა, მერე ერთბაშად წამოდგა, გატრიალდა და ქალაქისკენ წავიდა. ფარნაოზი დიდხანს უყურებდა მიმავალ კუსას, გადათეთრებულ სილაზე თხუნელას სოროს მსგავს ნაფეხურებს რომ ტოვებდა. „შვილი უნდა მოგიკლა, პოპინა, შვილი... ერთხელ თქვენც მაპატიეთ“ — ფიქრობდა ფარნაოზი და იმ წუთას ღრმად იყო დარწმუნებული მართლა რომ მოკლავდა კუსას, წამოდგებოდა თუ არა, მის ნაფეხურებს გაჰყვებოდა, გადათეთრებულ სილას თხუნელების სოროებივით რომ აჩნდნენ და სადაც მიეწეოდა იქვე გაუჩეჩქავდა თავს. ზურგს უკან დარიაჩანგის ბაღი იყო, არა, ნაბაღარი, და ამაშიც ღრმად იყო ფარნაოზი დარწმუნებული. თუმცა იქითკენ ერთხელაც არ გაუხედავს. ახლაც ესიკვდილებოდა თავის მიბრუნება, რათა კიდევ გაეხანგრძლივებინა იმედის ნატამალი, უნდილად რომ ლიცლიცებდა მის გალახულ სულში. ფარნაოზი მართლა შვილმკვდარ მამასავით იჯდა სილაში, პირქუში და საცოდავი. მან უკვე იცოდა შვილი რომ მოჰკვდომოდა, მაგრამ თავს არ უტყდებოდა, არ ჩქარობდა მკვდარი შვილის ხილვას, ან რა პირით უნდა ხლებოდა? განა უფლება კი ჰქონდა, ჩაემუხლა მის გათოშილ ცხედართან? არა, რა თქმა უნდა, არა. მომაკვდავისთვის რომ მიესწრო, კიდევ სხვა იყო, რამე რომ ეღონა, წყალი მაინც რომ შეესხა... მკვდარი იმას ეკუთვნის, ვის ხელშიაც დალევს სულს. ფარნაოზი კი კუსამ გააჩერა, გველივით მონუსხა, შხამიანი კოცნით გააბრუა და საგზალიც მოპარა. მართლაც როგორღა უნდა ევლო ფარნაოზს ასე, აღარაფერი აღარ გააჩნდა. კუსა შორს ვერ წავიდოდა, მისი ყველა ნაფეხური მართლა სოროდ რომ ქცეულიყო, მაინც იპოვიდა, მაგრამ იქნებ კუსასაც ეს უნდოდა? რომელ კარზედაც არ უნდა მიეკაკუნებინა ფარნაოზს, წყლის ნაცვლად შხამს მოაწვდიდნენ, ნაცარს შეაყრიდნენ თვალებში, ძაღლებს მიუქსევდნენ და ბავშვებს დაანახვებდნენ: აგე, იმ კაცმა საკუთარი დისშვილი მოკლაო.

სასწაულის სიდიადემ ხალხი გააოგნა. დარიაჩანგის ბაღი მართლა გამქრალიყო. მოტიტვლებულ მიწაზე ფოთოლშემჭკნარი, დალეწილი ტოტებიღა ეყარა, ტოტები და გაჩეჩქვილი ვაშლი, თითქოს ეს წუთია ამ ადგილზე ღორების კოლტს გადაუვლიაო. დუმილსა და სიცარიელეს უარესად ამძაფრებდა ზღვა, უფრო სწორედ ზღვის ის ნაწილი, რომელსაც ადრე დარიაჩანგის ბაღი ეფარებოდა. პირველად გამოჩენილი და პირველად დანახული, თვალშისაცემად ტიტველი იყო, ძალით გატიტვლებული და ამიტომაც ამაზრზე-

ნი. ხალხი ისე დაიშალა, ბალახი არ გაფაჩუნებულა, ფუტკარს არ გადაუზუზუნია. დარიაჩანგის ბაღი ფუტკრებიანად, პეპელებიანად, ჩიტებიანად გამქრალიყო, უკვალოდ და სამუდამოდ. ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაცას დაეტუქსა, თითქოს პირადად მას დამუქრებოდა ვიღაცა და მხოლოდ და მხოლოდ მის დასაშინებლად, ამოდენა, ამ ხნის ბაღი, სანთლის ალივით, სულის ერთი შებერვით გაექრო.

ამასობაში ბედიამაც მოაღწია. მოჩვენებას გავდა, ტიტველი და თმაწვერგაჩეჩილი. მობორძიკობდა და ქალივით ტიროდა: ზღვა დამეკარგა, სადმე ხომ არ შეგხვედრიათო. ვიღაცამ დაბურდული თოკი აიღო და კი არ მიაწოდა, მიუგდო, თითქოს გვამს ძონძები წააფარაო.

საღამოს კუსა მოვიდა. „კუსა მოდისო“ — თქვა პოპინამ და მერე დანარჩენებმაც გაიგონეს ტომრის ჟღრიალი. დილანდელი აყალმაყალის შემდეგ პოპინას ერთი წუთით არ განელებია უბედურების წინათგრძნობა. მართალია, უბედურება უკვე მომხდარიყო, მაგრამ ის სხვა იყო, საერთო, მთელი ქალაქის საკუთრება და პოპინას მაინც და მაინც არ ეშინოდა მისი, პირიქით, გულის სიღრმეში მხურვალედ ნატრულობდა კიდეც, ყველაფერს ამაზე გადაევლო, ამით დამთავრებულიყო, ვინმე არ გამოერჩია, ვინმე კი არა, მათი ოჯახი, მათი სახლი, პოპინას ღრმა რწმენით, ყველას თვალში რომ ეჩხირებოდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც შუბუს ჩაყრილმა კვიპაროსებმა ტანი აიყარეს და უფრო ადვილი მისაგნები გახადეს იგი. ეს წყვილი კვიპაროსი მართლაც ქალაქის ყველა კუთხიდან ჩანდა და ვანელები ხუმრობით „უხეიროს შუბებს“ ეძახდნენ. რამდენჯერ უთქვამს პოპინას, ეს კვიპაროსები უნდა მოვაჭრევინო, არ ვარგა, სევდის ხეებიაო, მაგრამ მისი ლაპარაკი ყოველთვის ლაპარაკად რჩებოდა; ვინმეს მართლა რომ აეღო ცული კვიპაროსების მოსაჭრელად, პირველი პოპინა ჩაუვარდებოდა ფეხებში არ დაანებებდა, რადგან პოპინას ამ აშოლტილი და გალურსული ხეებისაც ეშინოდა, მათში ჩასახლებული სულისა სწამდა და დარწმუნებული იყო, ცულის პირველსავე შემოკვრაზე საზარელ ურჩხულებად იქცეოდნენ, ანდა ცაში აფრინდებოდნენ და იქიდან დაატეხდნენ რისხვას მათ შემწუხებელსა და შეურაცხმყოფელს. „კარგებო, ლამაზებო, ღმერთებო“ — ეფერებოდა, ებოდიშებოდა პოპინა კვიპაროსებს, ცხელი, ორთქლიანი სისხლით რწყავდა მათ ქერცლიან წვივებს და ლოცვა-ვედრებით უვლიდა ირგვლივ, სანამ თავწაგლეჯილი ქათამი გახვრეტილ ბუშტივით ჩაეჩუტებოდა ხელებში. ხეები დუმდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ მათ ფეხებთან მოფუსფუსე დედაკაცს და მარადიული, განუკურნელი სევდის ძეგლებივით აწოწილიყვნენ ცაში. არასოდეს გახარებია პოპინას ასე ტომრის ჟღრიალის გაგონება, უცებ დამშვიდდა, თითქოს მთელი დღე ამ ხმას ელოდებოდა, ეს მისი შვილის ხმა იყო, მისკენ მომავალი, და მალე, ერთი წუთის შემდეგ ყველანი ერთად იქნებოდნენ. პოპინასაც მხოლოდ ეს უნდოდა, ყველანი ერთად ყოფილიყვნენ. დაე, ნუ ეყვარებოდათ ერთმანეთი, დაე, უბრალოდ მსხდარიყვნენ საათობით, თვეობით, წლობით, ოღონდ ერთად, ერთ ჭერქვეშ, ერთმანეთის სიახლოვეს. პოპინამ იცოდა, შვილს რომ არ უყვარდა, ისიც იცოდა, რატომ არ უნდა ყვარებოდა იგი შვილს და გულის სიღრმეში ყოველთვის ამართლებდა, ყოველთვის მის მხარეზე იყო, რადგან ეცოდებოდა მშობლისაგან გულმოკლული, ყველასაგან გამორჩეული და დასაცინი. ასეთი კუსა პოპინამ მამისა და ძმის თვალებით დაინახა, თვითონ შვილის ავკარგის შესამჩნევ თვალზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული და მარტო რომ ყოფილიყო, მამისა და ძმის შიში რომ არ ჰქონოდა, როგორც იმ წყვილი კვიპაროსისა, შეიძლება ბედნიერ დედა-

დაც ჩაეთვალა თავი. მართლაც რამდენ დედას შურდა მისი, რამდენჯერ გაწყრომიან მეზობელი ქალები, რამ დაგაბეჩავა ასე, შენი შვილის პატრონიო, მაგრამ გახარების ნაცვლად პოპინას ყოველთვის გული ჩაწყვეტია, რადგან მეზობლების შესაშურ შვილს დედისადმი ერთადერთი გრძნობა ჰქონდა, სიძულვილის გრძნობა და თუ აქამდე საერთოდ არ დაევიწყნა გამჩენი, ამ გრძნობის წყალობა იყო, ამ გრძნობის გამომჟღავნების სურვილი. პოპინას სხვების დახმარება არ დასჭირვებია შვილის სიძულვილის დასანახად. არც უცებ ახელია თვალი. თავიდანვე ამჩნევდა, თვითონვე ეძებდა და პოულობდა კიდევაც ამ სიძულვილს შვილის თვალებში, ხმაში, საქციელში და გულშიც, რადგან გულშიც ისევე შეიძლება სიძულვილის დამალვა, როგორც ჩვარში ნაღვერდლისა. პოპინა ამ სიძულვილის დედაც იყო, მან გააჩინა, მისი მუცლიდან გამოჰყვა იგი კუსას, როგორც სიბრმავე, სიყრუვე, სუსტი გონი თუ კუტი ფეხები, მაგრამ რომელ დედას მოუკლავს შვილი თანდაყოლილი ფიზიკური ნაკლის გამო, რომელს არ გასჩენია დამაბრმავებელი ოცნება სასწაულზე, მაინც და მაინც მისი შვილის განსაკურნავად რომ გამოწირავდა ბუნება ერთ მშვენიერ დღეს, რომელიც უსასრულოდ თენდება და ღამდება, ღამდება და თენდება, მაგრამ მხოლოდ ოცნებაში, იმედსა და სიზმარში. პოპინაც ამ „ერთმა მშვენიერმა დღემ" შეაცდინა, ამ „ერთმა მშვენიერმა დღემ" დააჯერა, რომ მისი შვილიც როდისმე განიკურნებოდა, განიწმინდებოდა განუკურნელი სენისაგან და, რაც მთავარია, აპატიებდა, აპატიებდა, აპატიებდა, ეაკრამ დრო საწინააღმდეგოს ადასტურებდა: სენი ძლიერდებოდა, იზრდებოდა, თავს ვეღარ მალავდა და ერთი სული ჰქონდა, როდის გადაედებოდა ყველასა და ყველაფერს. „შვილი დავღუპე, ქალუკა, შვილი, მე ბინძურმა დედაკაცმაო" — შესჩიოდა პოპინა ქალუკას, მერე თვალი გაუშტერდებოდა და ისეთი ხმით იტყოდა შვილისთვისაც ზედმეტი ვარ, რაღას ველოდებიო, ქალუკას ხორცი დაეწეწკვებოდა ხოლმე.

— შვილი არ ყავს და იმიტომ. ჯერ არ იცის მშობლის ფასი. — განგებ ხმამაღლა შესძახებდა ქალუკა, უფრო საკუთარი მღელვარების დასაფარავად, ვიდრე პოპინას დასამშვიდებლად.

პოპინა ერთ რამეში ცდებოდა: დედის მიმართ კუსას სხვა გრძნობებიც ჰქონდა, სიძულვილი ერთადერთი გრძნობა არ იყო. მაგალითად, კუსა მადლიერიც იყო პოპინასი და რაც დრო გადიოდა, მით უფრო უმტკიცდებოდა ეს გრძნობა, რადგან რწმუნდებოდა კიდეც, პოპინა ერთადერთი კარიბჭე რომ იყო, საიდანაც მას ამ ქვეყანაში შემოღწევა შეეძლო. ეს ქვეყანა კი უკვე ისე შეჰყვარებოდა, ხანდახან თავზარი დაეცემოდა ხოლმე, რა მეშველებოდა იმ დამთხვეულ ფილამონეს აღვირი რომ ამოედო თავისი საოხრისათვის და ასე არ მომხდარიყოო. კუსას შიშისაგან სუნთქვა ეკვროდა, როცა წარმოიდგენდა, ბრმა ლეკვივით ტომარაში ჩაგდებული, როგორ მიჰყავდა იგი პოპინას მდინარისკენ, ფილამონეს დანატოვარი კვალის მოსასპობად, უარესი ცოდვის ჩასადენად, ვიდრე საკუთარ მონასთან ბღლარძუნი იყო. მართლა უღრმესი მადლობა ღმერთებს, ასე რომ არ მოხდა, თუმცა პოპინას არ ჰქონდა მისი მოკვლის უფლება, პოპინას მისი გაჩენა ევალებოდა შხოლოდ. დანარჩენი თვითონ კუსაზე იყო დამოკიდებული, გაართმევდა თუ ვერა თავს სხვების გაფუჭებულ საქმეს, ერთი მხდალი სხეულიდან მეორე მხდალ სხეულში გადასახლებული, ბოლომდე ოთხად მოკაკვული, საკუთარ მუხლებში თავჩარგული დარჩებოდა, თუ მოახერხებდა დაბადებას, წელში გაშლას, თვალის ახელას. კუსამ უფრო მეტი შესძლო, კუსამ აღმოაჩინა, რომ ყველანი ერთმანეთს გავდნენ, ერთნაირები იყვნენ და კანონიერება და უკანონობა

ცარიელი სიტყვები იყო მხოლოდ, ვიღაცას ყალბი ფულებივით რომ გადაეყარა ბრბოში და თვითონ სიცილით იგუდებოდა ზედახორის შემყურე. კუსა უპირველეს ყოვლისა პოპინას მადლიერი იყო, ამის აღმოჩენის საშუალება რომ მისცა. ამ აღმოჩენამ მიზანიც გაუჩინა კუსას: სხვებისთვისაც უნდა დაემტკიცებინა ის, რაც ჯერჯერობით მარტო მან იცოდა. მან კი იცოდა, რომ ყველას ერთნაირად დაჰყოლოდათ დედის მუცლიდან ცოდვის ტყირპი, იმ განსხვავებით, რომ ზოგს ეს ტყირპი სახეზე ჰქონდა, ზოგს კი დამალულ ადგილას. „კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი“ — სამჯერ ზედიზედ იმეორებდა გუნებაში კუსა და მერე მკურნალის სიდინჯით დაამატებდა ხოლმე: მოვითმინოთ, ვნახოთ, კაცის გაშიშვლებას რა უნდაო. კუსას ეცოდებოდა კიდეც პოპინა, მაგრამ მისი სიბრალული მარტივი იყო, უსაფუძვლო, წამიერი, ზიზღნარევი. კუსას დედა მკვდარი ჩიტივით ეცოდებოდა და მაშინ ეცოდებოდა, როცა ხედავდა, ნახვით კი იშვიათად ნახულობდა. უფრო იმიტომ მოდიოდა, თავი რომ გაეხსენებინა თავისიანებისათვის, არ ეფიქრათ, ისიც ფილამონესავით ადვილად მოსაშორებელი რომ იყო, გამქცევი. არა, კუსას ადგილი აქ იყო, აქ ჰქონდა საქმე.

— გამარჯობათ, — შემოსვლისთანავე იტყოდა ხოლმე კუსა და სკამზე გაღიმებული დაეშვებოდა. იშვიათი სტუმარივით, ანდა საჩოთირო საქმეზე მოსული კაცივით ღიმილს არ იშორებდა პირიდან. პირველსავე სკამზე ჩამოჯდებოდა, ტყავის ტომარას ფეხებთან დაიდებდა, მეწვრილმანე ვაჭარივით, და იღიმებოდა. კუსა აქ ისვენებდა, ერთობოდა, სიამოვნებდა, ამდენ ხალხს ერთბაშად რომ შეაკრთობდა ხოლმე მისი მოულოდნელი გამოჩენა. ყველანი თვალებში შესციცინებდნენ, უყვავებდნენ, ებოდიშებოდნენ და დაბნეულობისაგან თვითონაც არ იცოდნენ, რას ამბობდნენ. როცა პოპინა შეეხვეწებოდა: მოშინაურდი, წყალი მაინც შეისხი პირზე, ესეც ხომ შენი სანლიაო, — კუსა უარის ნიშნად თავს იქნევდა მხოლოდ და ისევ იღიმებოდა, მაგრამ ახლა სხვანაირად, შემწყნარებლად, სულგრძელად, როგორც მდაბიურად გადაცმული მეფე, შემთხვევით, ავდრის გამო რომ შეუფარებია თავი საბრალო დედაბრის ქოხში და უხარია, ბავშვურად უხარია, საცნაური რომ დაჰკარგვიათ, ვერ მიმხვდარან, ვინ სწვევიათ სტუმრად, თორემ, როგორ გაუბედავდნენ დარწყილული ლოგინის გაშლასა და ნათაგვარი პურის მირთმევას.

— სახლიც მაქვს და კარიც. რა შემატყვეთ სამაგისოო, — იღიმებოდა კუსა.

კუსა ახლაც მოულოდნელად მოვიდა. ის იყო, ევახშმათ. პოპინას ერთმანეთზე შეწყობილი თეფშები გაჰქონდა სამზარეულოში, მაგრამ ტომრის ჟღრიალი რომ გაიგო, კარისკენ შემობრუნდა და გაჩერდა. ერთი სული ჰქონდა, როდის დაინახავდა შვილს, უვნებელსა და საღსალამათს. დარიაჩანგის ბაღის გაქრობასა და ხალხის უეცარ აღტკინებას დიდი ზარალი მოჰყოლოდა. ყველგან ამაზე ლაპარაკობდნენ. იმასაც ამბობდნენ, ოყაჯადო, პირველ რიგში თავის ხალხს დასჯის, წესრიგი რომ ვერ დაამყარესო.

— გამარჯობათ, — თქვა კუსამ.

მაშინვე სკამზე ჩამოჯდა და ტომარა ფეხებთან დაიდო. ჩვეულებრივად იღიმებოდა, თუმცა ეტყობოდა, გუნებაზე ვერ იყო. ყვრიმალები სიცხიანივით უწრიატებდა. იჯდა და იღიმებოდა, ბრაზიანად, ღვარძლიანად, მწარედ, სილანაჭამ კაცივით, ჯერ რომ თვითონაც არ იცის, როგორ მოიქცევა, ჩაყლაპავს, მოითმენს შეურაცხმყოფელს, თუ აქვე ამოიყრის ჯავრს.

— შენ ხომ არაფერი შეგხვდება? — ვეღარ მოითმინა პოპინამ.

— რაზე ამბობ? — ვითომ ვერ გაუგო კუსამ.

პოპინა უცებ აღელდა, თვალებით თავისუფალი სკამი მონახა, თეფშებიანად ჩამოჯდა და მხოლოდ მერე უთხრა: აი, დილანდელზეო.

— ხოოო — გააგრძელა კუსამ და ფარნაოზს შეხედა. — ბიძაჩემი პირველი გარბოდა.

ახლა პოპინამაც შეხედა ფარნაოზს. ფარნაოზი თავჩაღუნული იჯდა და საკუთარ ხელებს დასცქეროდა. ფარნაოზს მშრომელი კაცის ხელები ჰქონდა, ლოდის ნამტვრევებს უგავდა, მძიმე და წახნაგოვან ნამტვრევებს, გაჭირვების ჟამს იარაღის მაგივრობის გაწევაც რომ შეუძლიათ, ძალას რომ ასხივებენ, თუმცა ეს ძალა კი არ აფრთხობს მნახველს, არამედ რაღაცნაირი სევდანარევი სიმშვიდით ავსებს და აბრუებს, როგორც ცეცხლი, ანდა წვიმა, რადგან საშრომლად არის გამიზნული და არა ვინმეს მოსაკლავად. ფარნაოზი არ ელოდა კუსას გამოცხადებას, დილანდელი შემთხვევის შემდეგ. მისი წარმოდგენით, კუსა უნდა დამალვოდა, გაქცეოდა, გადახვეწილიყო, რაც შეიძლება შორს, რათა ფარნაოზს მართლა არ აღესრულებინა ის საზარელი განზრახვა, კუსასთან ბღლარძუნში რომ გასჩენოდა. თვითონ ვერაფრით ვეღარ მოიშორა მოულოდნელად, მზის ქვეშ. გახურებულ სილაში დაბადებული განზრახვა, მისი სიმხურვალისგან გარუჯულიყო, სილასავით ჩალექვოდა სულში, და მთელი სხეული ტკიოდა, უბჟუოდა, ეწიწკნებოდა, როგორც მიუჩვეველსა და ზღვაზე პირველად გასულ კაცს. მთელი დღე კუსაზე ფიქრობდა, კუსა ედგა თვალწინ, ათასნაირი კუსა: გესლიანად მომღიმარი, ბავშვივით აზლუქუნებული, სიბრაზისგან სახეგადაგლესილი და სიკვდილისგან დასაბიჩრებული. როცა ხმა გავარდა, ოყაჯადო პირველ რიგში თავის ხალხსა სჯისო, ახლა ამან შეაწუხა, რადგან ყველაზე ნაკლებად ოყაჯადოს ჰქონდა კუსას დასჯის უფლება, ყველაზე ნაკლებად კი არა, საერთოდ არ ჰქონდა, რადგან ოყაჯადო ალბათ არც იცნობდა კუსას, მას კი კუსა უყვარდა და [illegible] მართლა შესძლებდა და მოკლავდა [illegible] კუსას, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის ჯამო. ფარნაოზს სხვა მიზეზებიც ჰქონდა ამ საზარელი ნაბიჯის გადასადგმელად, მაგრამ მას ანგარიშის გასწორება კი არ უნდოდა კუსასთან, როგორც ოყაჯადოს, არამედ მისი გადარჩენა. გადარჩენით კი მხოლოდ სიკვდილი გადაარჩენდა კუსას, მისი შეცვლა და გამოსწორება ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ჰაერისგან ნიჩბის გამოთლა. კუსა ასეთად გაეჩინათ ღმერთებს და სანამ პირში სული ედგმებოდა სიძულვილის გუთნისდედა იქნებოდა, შიშის მთესველი, ქუჩაშიც, დუქანშიც, მეზობლებშიც, საკუთარ ოჯახშიც კი, რადგან თვითონ იყო მშიშარა, გამუდმებით ეშინოდა ყველაფრისა, საკუთარი ჩრდილისაც, რადგან არც საკუთარ ჩრდილს ენდობოდა; არ სჯეროდა, რომ მასაც შეიძლებოდა ჰქონოდა ჩრდილი. ფარნაოზი უკვე იცნობდა კუსას, უკვე ყველაფერს მიმხვდარიყო და კუსას ანკესზე ჩამოფლეთილი გული სიბრალულით ეწურებოდა. სიბრალულითა და ბრაზით, რადგან თუ დილანდელი აურზაურის გამო მართლა რამე უსიამოვნება შეხვდებოდა კუსას, ის უნებურად ოყაჯადოს მოკავშირე გამოდიოდა. კუსას თუ დასჯიდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, ასეთი ბიძა რომ ყავდა. მეფის მოხელის ბიძას მეტი სიდინჯე მართებდა და არა მეთულუხჩე ბიჭივით წინდაუკან სირბილი, ყველაზე ადრე რომ ცდილობს მიირბინოს წყაროსთან. ყველაზე ადრე ააცოს კოკურა და ყველაზე ადრე მიურბენინოს მუშტარსაც ახალი და ცივი წყალი. თუმცა არა, რა შედარებაა, მეთულუხჩე ბიჭი საქმეს აკეთებს, წყალში აღებული ფულით, შეიძლება, ოჯახსაც ინახავს, ავადმყოფ მშობლებს ეხმარება, უმცროს და-ძმას ზრდის, ანდა თავისთვის შრომობს, მომავალზე ფიქრობს, ერთ მშვენიერ დღეზე, როცა თვითონაც

ჩაიცვამს ახალ წაღებსა და პერანგს. ფარნაოზის დილანდელი სირბილი კი უაზრო და უმიზნო ლტოლვა იყო, მზის დაბნელებით დაფეთებული პირუტყვის გაშმაგება და მეტი არაფერი, არაფრის გამო, სისულელის გამო, რადგან მოსახდენი მაინც მოხდებოდა. აკი მოხდა კიდეც. ყველას თავისი ბუზანკალი მიარბენინებდა და იმიტომ. უმრავლესობას სასწაულის სიდიადე, დაუჯერებელი სანახაობა იზიდავდა, ბევრი იმიტომ მირბოდა, სხვები რომ მირბოდნენ, სამაგიეროდ შედეგი ყველასათვის ერთი იყო: დანაშაულის გრძნობა, განუწყვეტელი მოლოდინი სასჯელისა და სიძულვილი იმ წამიერი თავაშვებულობისა, მოუშორებელ ლაქასავით, მუწუკივით რომ გასჩენოდა მარადიულ მორჩილებას. ახლა ისინიც თავს გაბითურებულად თვლიდნენ, ვიღაცის ფეხის ხმის ამყოლებად და თვითონვე ჩაქოლავდნენ, თვითონვე გაუსწორდებოდნენ იმ ვიღაცას, თუკი ამის საშუალება მიეცემოდათ. ფარნაოზი მზად იყო, ყველაფერი, თვითონ დაებრალებინა. დილით, როცა დარიაჩანგის ბაღისკენ მირბოდა, ეგონა ამოდენა ხალხი მას მოყვებოდა, მის უბედურებას იზიარებდა და უკითხავად, უანგაროდ თავაზობდა დახმარებას. ფარნაოზს სიამაყით გული ებერებოდა, ხალხის თანაგრძნობა ფრთებს ასხამდა და სანამ კუსა თოკს გამოსდებდა, ერთი წამითაც არ დაეჭვებულა, სიგიჟე და სისულელე რომ იყო მისი ლტოლვის საბაბი, პირწავარდნილი თავხედობა რომ იყო მისი დროშა, გაწბილების შუბით დაფლეთილი, ავადმყოფური სიზმრებითა და ჩვენებებით გაბინძურებული. ვინ იცოდა, ან გინდაც სცოდნოდა, ვის რაში აინტერესებდა ორი ტიტლიკანა ბავშვის აჩრდილი, ორი მუმია, გამოურწყველი სევდითა და სინანულით დაბალზამებული, სიჯიუტის, სიბრიყვისა და შეურიგებლობის არტახებში გახვეული. ან ფარნაოზს რაში ჭირდებოდა ისინი? რომელ დღისთვის ინახავდა? რისი იმედით? იქნებ გამორჩენის იმედით? იმ მენავესავით, ხელობათ რომ გაუხდია დამხრჩვლებით ვაჭრობა, სილაში რომ მალავს წყალქვეშა ლოდებზე დასახიჩრებულსა და თევზებისგან სანახევროდ შეჭმულ გვამს, სანამ ჭირისუფლები მოაგნებენ, გამოიცნობენ და შეისყიდიან.

ფარნაოზს რცხვენოდა, საკუთარ ხელებს დასცქეროდა და იცდიდა, რას ეტყოდა კუსა, რის სათქმელად მოსულიყო. ფარნაოზი ყველაფრისთვის მზად იყო, უფრო სწორედ, რაც არ უნდა ეთქვა კუსას, ყველაფერს უდრტვინველად მოისმენდა, კუსა კი ტყუილუბრალოდ არ მოვიდოდა აქ, მას საფრთხე ელოდა და მოსალოდნელი განსაცდელი ყველაფრის უფლებას აძლევდა. კუსას რომ ეთქვა, შენს წასაყვანად მოვედი, რადგან შენ ხარ მთავარი დამნაშავე და მე სრულებითაც არ ვაპირებ შენი გულისთვის ვაგო პასუხიო, ფარნაოზი უსიტყვოდ გაჰყვებოდა. ასევე დაუფიქრებლად გაუწვდიდა ხელს, თუკი კუსა დახმარების სათხოვნელად იყო მოსული. ფარნაოზს, მართალია ხელი არ აუღია თავის განზრახვაზე, მაგრამ ამ წუთას კუსას მიმართ მხოლოდ დანაშაულისა და სიბრალულის გრძნობა ჰქონდა. ფარნაოზი საკუთარ ხელებს დასცქეროდა და ელოდებოდა, იცოდა, კუსა მასთან რომ იყო მოსული და თუ აქამდე პირადად მას არ მიმართავდა, მხოლოდ იმიტომ, თავადაც რომ ჭირდებოდა დამშვიდება, სათქმელის დალაგება, სიტყვების შერჩევა; ისიც ხომ ადამიანი იყო.

— პირველი ბიძაჩემი გარბოდა, — გაიმეორა კუსამ.

პოპინამ უხეიროს ოთახისკენ გაიხედა, თითქოს ქუხილის მოახლოვება იგრძნო. მერე გაიღიმა, ისე ვზივარ, თითქოს საქმე არ მქონდესო, უთხრა უხეიროს ოთახის გამოკეტილ კარს, მაგრამ არც წამოწეულა სკამიდან, ოღონდ უფრო მაგრად მიიხუტა მუცელზე და-

სარეცხი, ერთმანეთზე შეწყობილი თეფშები.

— ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება. — თქვა ცოტახნის მერე, ჩუმად, გაუბედავად.

— შენი ბრალია ყველაფერი, — უცებ იყვირა კუსამ და ბარძაყზე მუშტი დაირტყა.

პოპინამ უნებურად ორივე ხელი სახეზე აიფარა, როგორც დედამისმა იცოდა ხოლმე უხეიროს ხსენებისას. თავის ნებაზე მიშვებული თეფშები იატაკზე ზრიალზრიალით ჩამოშვავდა. ფარნაოზი არც ახლა განძრეულა. ჩაცუცქული პოპინა თეფშის ნამტვრევებს კალთაში იგროვებდა. ზეთის ჭრაქში ალი პარპალებდა. ალს ღამის პეპელა უვლიდა ირგვლივ. ხანდახან ნიავი თუ ოთახში მყოფთა ამონასუნთქი ალს პეპელაზე მიაგდებდა და დაფეთებული პეპელაც გვერდზე გახტოდა, რათა იმავე წამს უკან მობრუნებულიყო და გაეგრძელებინა თავბრუდამხვევი ცეკვა თავისი ღვთაების წინაშე, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, ბრმად და ერთგულად. პეპელას არ შეეძლო მოშორებოდა თავის ღვთაებას, ამ პატარა სინათლეს, თავბრუდამხვევი ცეკვითა და ტრიალით რომ გამოეხმო არარაობიდან, ორი დღის სიცოცხლეც ამისთვის უნდოდა, ღვთაება რომ ეხილა და შესწირვოდა კიდეც. ლამაზსა და მაცდურს, მომჯადოებელსა და დაუნდობელს. იატაკზე ჩაცუცქული პოპინა თეფშის ნამტვრევებს კალთაში იგროვებდა. ისიც პეპელას გავდა, ისიც თავის ღვთაებას მიეზიდა და ველარ გაეტანა ათრთოლებული ფეხები ამ ოთახიდან, სადაც კარგი არაფერი ელოდებოდა. ქალუკამ მეორე ჭრაქი შემოიტანა, მაგრამ ოთახში მაინც ბნელოდა, სხეულის ცალკეული ნაწილები მოჩანდა მხოლოდ, გატყავებული ხორცივით მოწითალო და მბზინავი.

— ნუ ჩხუბობთ, სირცხვილია, — თქვა ქალუკამ და ჭრაქი აგურის თაროზე შემოდო.

— გვაცალე, დედაკაცო! სირცხვილი თავის დროზე არ გაგხსენებია! — შეუღრინა კუსამ.

სიბნელე სრულებითაც არ აფერხებდა საუბარს. ფარნაოზი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში თავიც არ აუწევია, მაინც ყოველთვის ადვილად ხვდებოდა, ვის მიმართავდა კუსა. დედას თუ ბებიას, მაგრამ მან ისიც იცოდა, კუსა მხოლოდ მასთან რომ იყო მოსული, მასთან ჰქონდა საქმე და თუ აქამდე ქალებს ეკინკლავებოდა, ამ კინკლაობით ფარნაოზისკენ იკაფავდა გზას, გზის სისწორესა და სიმტკიცეს ამოწმებდა. ფარნაოზიც მოთმინებით ელოდებოდა.

„რას მებუტებით, ჩემი ბრალია, ბიჭად რომ გავჩნდი? — ამბობდა კუსა, — იცოცხლე, მართლა კარგი იქნებოდა, გოგო რომ ვყოფილიყავი. ერთ კაცს როგორ ვერ შევაცდენდი. სულაც ბიძაჩემი აქ არ იყო? ჩვენ ხომ ასეთი წესი გვაქვს? რაღა უცხო ვეძებოთ, შინაურთან არ ჯობია? შინაური ნამუსს შეგინახავს, უცხო კი სხვაა... ერთი რომ წაიფორხილო? ტყირპი რომ გამოგიჩნდეს? მერე რას შვრები? შენ ის მითხარი, შენი შვილის, ეგრეთ წოდებული მამაჩემის მამის სახელი თუ გახსოვს, ქალუკა, ჰა?!“

ფარნაოზმა შვებით ამოისუნთქა, მოლოდინი დასასრულს უახლოვდებოდა, ამას კუსას ხმაც ადასტურებდა და საქციელიც. კუსა სკამზე აცქმუტდა, თითქოს დაბმული იყო და თავს იშვებდა, მალე ფეხზეც წამოდგა და ამის მერე აღარც დამჯდარა, გული რომ ამოიბერტყა, ტომარა ზურგზე მოიგდო და ჟღრიალ-ჟღრიალით გავიდა ოთახიდან. სადაც სამი ადამიანის გული ცეცხლის ალზე ფრთებშეტრუსულ პეპელასავით ფეთქავდა.

— იცით. რატომ გარბოდა ბიძაჩემი პირველი? — თქვა უცებ კუსამ, ცოტა ხანს შეიცადა, თითქოს მსმენელებს აფრთხილებდა, ყურადღებით იყავით, მთავარი ახლა იწყებაო და ღიმილნარევი ხმით გააგრძელა: — იმიტომ რომ... იმიტომ რომ ფარნაოზს კუსა არ უყ-

ვარს. ბიძას დის შვილი არ უყვარს, ფეხებზე კიდია. არა, ფეხებზე კი არ კიდია, ეჯავრება. არ იცოდით? პირველი გაგებაა თქვენთვის? როგორ გეკადრებათ, ასეთ გამოცდილ ქალებს თვალები მაინც სად გქონდათ? აი, კუსა გოგო რომ ყოფილიყო, მაშინ დედაბებიის მსგავსად ნაბიჭვარი ეჯდებოდა კალთაში და მარჩენალი ბიძის ფეხის ხმაზე ძაღლივით წამოხტებოდა ხოლმე, ძაღლივით აულოკავდა ხელ-ფეხს და გინდაც წიხლი ეთავაზებინა ქვების თრევით წელში გამწყდარ ბიძას, მაინც მოურბენინებდა სუფთა პერანგს, ფეხსაბან წყალს გაუნელებდა და პირში მიაჩერდებოდა თავის ერთადერთ იმედსა და პატრონს, ოფლის სუნით აყროლებული პურის მოლოდინში. მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა, კუსამ იმედი გაუმტყუნა ბიძას. სხვებისთვის მზრუნველ ბიძას, არ მისცა საშუალება გამოემჟღავნებინა თავისი სიკეთე და კეთილშობილება. ასე არ არის, ბიძაჩემო? თუმცა არა, მთლად ასე არაა. შენი პატიოსნება, სიკეთე და მზრუნველობა, ხელმოცარული ჯამბაზის ნიღაბია და მეტი არაფერი, ამ ნიღბის უკან სხვა რამე იმალება, ჯამბაზის უნდილობა, უნდილობა და სილაჩრე. შენ ხომ ქალთან დაწოლისაც გეშინია? კუსამ კი ყველაფერში გაჯობა? ამის დანახვაც გაგიჭირდათ, თქვე კარგო ხალხო? კუსას ორსართულიანი სახლი აქვს, საკუთარი, საკუთარი ოფლით აშენებული, რადგან სხვებივით მზამზარეულად არ დახვედრია. კუსა მეფის სამსახურში დგას, ცნობილი კაცია, პატივს სცემენ, ეშინიათ, შინ კი ცოლი ელოდება, თანაც ფეხმძიმე. განა ცოტაა? განა ვინმეს გაემტყუნება, შურით რომ გულზე სკდებოდეს, მით უფრო ბიძას, უფროსს, რომელსაც ამხნის განმავლობაში ქვაზე კაკუნის მეტი ვერაფერი უსწავლია, მეძავის სამყოფი ფულიც ვერ უშოვია და ავი ძაღლივით იღრინება, სხვებსაც უშლის ყურძნის ჭამას. კაკ-კუკ, კაკ-კუკ, მიდი კოდალა, უკაკუნე, ვინც რა იცის, ის უნდა აკეთოს, მაგრამ ქვას რომ მატლი არა ყავს, რითი უნდა მოიკლა შიმშილი? თუმცა აქ არა ვარ? მე რომ არ გყავდე, რითი უნდა მოიკლა შიმშილი, ჰაა? შურით, რა თქმა უნდა, შურით. შური ადვილი საქმეა, სახლის აშენებას კი სხვა რამე ჭირდება, ქალის დაორსულებასაც. რამე-რუმე. შენ თუ არ შეგიძლია, სხვებს მაინც აცალე, დალოცვილო; საქმეში ხარ? აკი უკვე ვთქვი, ავი ძაღლივით არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს მეთქი. ყველაფერი, ეკუთვნის თუ არა, თავისთვის უნდა. ყველაფერი. იცის ალბათ, ხვდება რაზედაც ვეუბნები. როგორ არ იცის, როგორ ვერ ხვდება. ბიძაჩემი ჭკვიანი კაცია, ეშმაკიცაა, ქვეშქვეშა. სულ უბრალო არ გეგონოთ, ბრაზიანიცაა, ოოოო, რომ იცოდეთ, როგორი ბრაზიანია. ბრაზიანი და წესიერი. ერთხელ შევედი მეძავთან, ისიც მაგის გულისთვის და არ მაპატია. თვითონ ხომ გაბრაზდა და გაბრაზდა, ხალხიც ამიჯანყა, აქაო და ჩემს მაგივრად ისინი მიბრეგვავენ კუსასო, მე კი გვერდზე გავდგები, ხელსუფთა და პატიოსანიო. ხომ მართალია? ალბათ, ისიც იფიქრა, ჩემს დისშვილს მეფე გამოაპანღურებს და მერე აღარც გული ექნება და აღარც შეძლება, სხვის ვენახში ძრომიალისო. არც ესაა მართალი? — უცებ ხმას აუწია კუსამ.— ერთი კითხეთ, ვის ირთავს ცოლად. ის ოხერი ბაღი რომ არ გამქრალიყო, ახლა კახპა გეჯდებოდათ შინ. ისე კი ახი იქნებოდა. ქალი ვარო, იმანა თქვას, ყოველ ღამე მთელ ქალაქს უწვება, დილით კი ქალწულივით დგება, თქვენ კი ერთ ღამეში ამოიყორეთ მუცლები, თითქოს მოსწრებაზე იყო, თითქოს აღარ გეღირსებოდათ. არა, არც ახლა ვარ მართალი, იმ კახპას ისევე ჭირდები შენ, როგორც მჭედელს გახვრეტილი საბერველი. ჩემი თუ არ გჯერა, ერთი წადი, ისე შეიარე... ფულს მე მოგცემ. კი მაგრამ, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, შენ რა უფლების ძალით აფარებ ხელს ყველასათვის ღია კარს? შენ ხომ იმან გაგაცოფა, იქი-

დან მოვდივარო, რომ გითხარი? თუ მაინც და მაინც ჩემთვის არ შეიძლება იმ კარში შეხედვა? რა თქმა უნდა, მე ხომ შენი დისშვილი ვარ, ხალხი რას იტყვის? ფეხებზე მკიდია, რას იტყვის ხალხი. სადაც მინდა იქ შევალ, ვისი რა საქმეა; მე ცხოვრება მინდა, ცხოვრება კი ყველასია, ვინც მოიხმარს, ვისაც შნო აქვს. პატიოსნება მერე, როცა დავბერდებით, ჯერ კი ჩემი და შენი არ არსებობს. რაც გუშინ შენი იყო, ის, შეიძლება, ხვალ ჩემი გახდეს. გახდება კიდეც. არავის არა აქვს ნება, წინ გადამიდგეს, დამიშალოს, მხოლოდ იმიტომ, რომ დედაჩემმა არასწორად გამაჩინა, სიჩქარეში რაღაც გამორჩა, რაღაც დაავიწყდა. არც შენ არა გაქვს უფლება, პირველ რიგში შენ, რადგან სხვა თუ არაფერი, დედაჩემი შენი დაა, შენი სისხლი და ხორცი. რა ჩემი საქმეა, რომელმა გამაჩინეთ, ცალცალკე თუ ორივემ ერთად. ჩემთვის ორივენი ერთნი ხართ, ერთნაირები. ასე რომ მეც თქვენისთანა ვარ, თუმცა ჩვენი ცხოვრება მაინც არ შეიძლება ერთად. ასე არ არის? „ასეაო“ — უპასუხა ცოტა ხნის მერე საკუთარ თავს და ტომრის ასაღებად დაიხარა, ოთახიდან ზურგით გავიდა, თვალი არ მოუშორებია ფარნაოზის ხელებისათვის, ამ ხნის განმავლობაში მართლა ქვის ნამტვრევებივით უძრავად რომ ეყარნენ პატრონის მუხლებზე.

სანამ კუსა ლაპარაკობდა, სიბნელიდან ხან მისი წითელი ხელის მტევანი გამოხტებოდა, ხან აცახცახებული ყბა, ცხვირი თუ ყურის ბიბილო, თითქოს მდუღარე წყალი ადამიანის დაკუწულ სხეულს უთავბოლოდ ატრიალებდა. კუსას ლაპარაკმა ყველაზე მეტად პოპინა დააფრთხო. იატაკზე ჩაცუცქული, შიშისაგან უარესად დაპატარავებული, ცდილობდა, ჩოჩვა-ჩოჩვით, რაც შეიძლება შეუმჩნევლად გასცლოდა იქაურობას, დასხლტომოდა სიძულვილის იმ წებოვან გუბეს, მის შვილს რომ ამოენთხია და თანდათან იზრდებოდა, იატაკის ღრმულებს ავსებდა, უხსენებელის ჯოგივით ბზინავდა და მოცოცავდა, თითქოს პოპინას უნდა სწვდენოდა კალთაში. პოპინას გაქცევა უნდოდა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა, დაკივლება უნდოდა და პირი ვერ გაეღო, თითქოს ყველაფერი სიზმარში ხდებოდა. ფარნაოზიც ისევ უძრავად იჯდა, მოწმესავით, და გული ამაზრზენი სიბრალულით ეწურებოდა. „არა, არ შეიძლება... ასე როგორ უნდა იცხოვროსო“ — ფიქრობდა იგი.

კუსამ გული კი იჯერა, კი ამოიბერტყა, მაგრამ ფარნაოზის დუმილმა შეაშინა, ტანმა საფრთხე უგრძნო, უარესი, ვიდრე გადაეტანა, ნამდვილი საფრთხე, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის გაჩენილი, მისკენ მომავალი და არა ბრმა და განუკითხავი, ალალბედზე მოხეტიალე. კუსა ლაპარაკშივე მიხვდა, მეტი რომ მოუვიდა, ღრმად რომ შეტოპა უცნობ მდინარეში, დაუკრეფავში რომ გადავიდა, მაგრამ თავს ვეღარ მოერია, მცველის დუმილმა და გულგრილობამ გააცოფა, გაათავხედა, თუმცა იმ მცველს მძიმე და ბასრი ქვები წინასწარვე მოეგროვებინა კალთაში. „გიტყუებს, გეყოფა, ნუღა მიხვალ ახლოსო“ — განგაშობდა კუსას მეორე, მარად ფხიზელი გონება, მაგრამ კუსას აღარ შეეძლო გაჩერება, წერას აეტანა, წერა ერეკებოდა წინ.

კუსა ისე აიტანა შიშმა, შინამდე ძლივს მიათრია ფეხები. „დამიგე, ვკვდებიო“ — ზღურბლიდანვე მიაძახა ცოლს და თითქმის გაუხდელი შეწვა ლოგინში. პატუს სულელური შეკითხვებისთვის თავი რომ აერიდებინა, მაშინვე კედლისკენ გადაბრუნდა და ფიქრებს მიეცა. საფიქრალი კი ბევრი ჰქონდა. ამ მოკლე ხანში ბევრი რამე გადახდენოდა თავს, რასაც წონასწორობიდან გამოეყვანა და თანდაყოლილი სიფრთხილის გრძნობაც დაევიწყებინა მისთვის. მართლაც რა საჭირო იყო, ფარნაოზსაც სცოდნოდა, რას ფიქრობდა მასზე კუსა. განა ამით ფარნაოზს რამე დააკლდებოდა? პირიქით,

ფარნაოზი ახლა უფრო ძლიერი იყო, მან იცოდა ის, რაც არ უნდა სცოდნოდა: მტრის ვინაობა და განზრახვა. კუსამ საიდუმლო გასცა. უბრალო კი არა, გადამწყვეტი, რომელსაც უნდა წარემართა მომავალი ბრძოლის ბედი. კუსამ კი ეს საიდუმლო თავისი ფეხით მიურბენინა მტერს; ვინ მოიქცეოდა ასე, ბრიყვის მეტი. არავინ. შეიძლება ბრიყვსაც შეეკავებინა თავი. ბრიყვსაც! კუსამ კი ვერ შეიკავა, იმიტომ რომ... არა, რაც არ უნდა გაბრაზებულიყო კუსა, სიბრიყვეს ვერ დასწამებდა თავს; ისევ შიშმა, ისევ წყეულმა შიშმა აურია გზაკვალი; როცა ერთი ნაბიჯიღა აკლდა მსხვერპლამდე, უფრო ძლიერმა მხეცმა თვითონ მას გაუკეთა ნაბული. კაცმა რომ თქვას, არც შიში გაემტყუნებოდა კუსას. ბიჭი იყავი და ნუ შეგეშინდებოდა. კუსა კი არა, სასახლის ეზოში ბალახი დაჭკნა, ნაბადმოსხმული მცველები გაჭაღარავდნენ, ოყაჯადოს კი ისეთი მცველები ყავდა, ყველა მათგანი ხელდახელ მივიდოდა დათვზე. გადაფითრებულ კარისკაცებს ერთმანეთი გამოყავდათ დარბაზიდან, როგორც დაჭრილებს ბრძოლის ველიდან. „ვერ ვაწყნარებთო“ — ისეთი ხმით ამბობდნენ ისინი, ზედმეტი ჩაძიება აღარ იყო საჭირო. ჩურჩულით ნათქვამი ეს ორი სიტყვა სიკვდილის თრთოლვასავით გადაურბენდა ხოლმე მთელ სასახლეს და კიდევ ერთი წუთით რომ დაგვიანებოდათ დამნაშავის პოვნა, ძნელი სათქმელია, კიდევ რა მოყვებოდა ქეციანი ბაღის გაქრობას. სასახლის მცველთა უფროსი დაიკარგა, სამრეცხაოში ოთხი ქალი დაიხრჩო, დაიხრჩო თუ თვითონ ჩაჰყვეს თავი მდუღარეში, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, ორი მოახლე საკუთარ ნაწნავებზე ჩამოკიდული იპოვეს, სახაბაზოს ცეცხლი გაუჩნდა და ამოდენა შენობა ისე უცებ ჩაიფერფლა, კაციშვილმა ვერ მოასწრო გამოსვლა, არა, ერთმა-ორმა მაინც მოასწრო, მაგრამ ისე იყვნენ დამწვრები, ვერც თვითონ თქვეს და ვეღარც სხვებმა დაადგინეს მათი ვინაობა. ასე რომ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ვინ გადარჩა და ვინ ვერა. არა, შიში არ გაემტყუნებოდა კუსას, ეს დღე მძიმე დღე იყო მისთვის. დიდი გამოცდა. ნებისყოფამ უშველა, მხოლოდ და მხოლოდ ნებისყოფამ. დღეს მისი სული ეკიდა ბეწვზე, მისი საუნჯე, აუნაზღაურებელი, ერთადერთი, რისი მოპოვებაც არაფრით აღარ შეიძლებოდა. ხმა რომ გავარდა, დილანდელი აყალმაყალის გამო ოყაჯადო პირველ რიგში თავის ხალხს დასჯისო, კუსას სული ფეხებში გაეპარა, ისე მოიბუზა, თითქოს მართლა მისთვის უნდა ეტაცნათ ხელი, თითქოს მარტო ის იყო ოყაჯადოს კაცი, იმიტომ რომ... იმიტომ რომ ბიძამისი პირველი გარბოდა, ყოჩივით, არა, გიჟივით. მარტო კუსას კი არა, ყველას დაენახა იგი. ასეც ამბობდნენ: პირველი უხეიროს ვაჟი გარბოდაო. სასახლეს არაფერი დაემალება, მაგრამ საიდან უნდა იცოდეს სასახლემ, რომ ის მართლა გიჟი და დამთხვეული, ყველაზე ძალიან კუსას ეზიზღება. ამიტომაც იბუზებოდა, პატარავდებოდა, კედლის ბზარში მიძვრებოდა და ცოტა კიდევ რომ გაგრძელებულიყო დამნაშავის პოვნა, ველარ გაუძლებდა გული, ფეხებში ჩაუვარდებოდა ოყაჯადოს და ეტყოდა (თუკი ხმა ამოუვიდოდა ყელიდან), ის ხომ დავაბი, მეტი რა მექნა, ერთი კაცი მთელ ქალაქს როგორ მოვერეოდი. მართლა ჩალით ხომ არ არის ქვეყანა დახურული, თუკი ის დაინახეს, როგორ გარბოდა კუსას უტვინო ბიძა პირველი, ისიც დაენახათ, როგორ აბამდა კუსა თავის ქვისმტვრეველ ბიძას. საბედნიეროდ დამნაშავე მალე იპოვეს, იმან იპოვა, იმან, თორემ ხალხმა მერე შემოირტყა თავში ხელი, უიმე, ეგ არ იყო ცხენივით რომ დაიხვიხვინა, დარიაჩანგის ბაღი გამქრალაო. კარგი, სხვებს დაავიწყდა, მაგრამ კუსას როგორ მოუვიდა, როგორ შეიძლებოდა ასეთი რამის დავიწყება. ერთიც ვნახოთ და... არა, იმას არაფერი შეეშლება, მაგრამ ერთიც ვნახოთ და შეშლოდა? მაშინ

ხომ შენზედაც ახი იქნებოდა, მაშინ ხომ ღირსი იქნებოდი? ასეთ დროს „ვიცოდი და დამავიწყდა“ და „ვიცოდი და დავმალე“ ერთი და იგივეა. განა არ იციან, შენც რომ დამნაშავე ხარ?! იციან, როგორ არ იციან, მაგრამ გაპატიეს, რადგან უნებურად დააშავე, რადგან შენზე სულგრძელები არიან. ამიტომ, მთელი სიცოცხლე ამ უნებური დანაშაულის გამოსყიდვას უნდა შესწირო, უნდა დაამტკიცო, პატიების ღირსი რომ იყავი. იცოცხლე, იმ დაკოდილ აყლაყუდას კარგი დღე არ დაადგება, მაგრამ ამით კუსას რა? აღარ დაადგა საშველი მის დამშვიდებას, ვერაფრით ვერ მოიგო შიშის გული, მეფის გოშიასავით, ყეფა-ყეფით რომ ასდევნებოდა.

რაც უფრო მეტს ფიქრობდა კედელს მიშტერებული, ციებიანივით აძაგძაგებული კუსა, მით უფრო რწმუნდებოდა, ყველაფერში მისი სიმამრი რომ იყო დამნაშავე, ქალაქის მასხარა და ოინბაზი. მკვდარს როგორ აჰყვა, როგორ გაუყადრა თავი. სწორედ ეს იყო დასაცინი და არა ნაბიჭვრობა. ნაბიჭვრობა ბედისაგან ჰქონდა თავზე მოხვეული და რაც არ უნდა ეფაფხურა, ვეღარ მოიშორებდა, მაგრამ გული ხომ მის ხელში იყო, იმდენი ხომ შეეძლო საკუთარი გული საითაც უნდოდა იქით წაეყვანა, თვითონ კი არ აჰყოლოდა, როგორც მოუვიდა, ის ეტარებინა თავის ჭკუაზე. გულს აჰყვა კუსა, გულს, ორი კურდღლის დაჭერა მოინდომა, ერთ დღეს დაუპირა ანგარიშის გასწორება სიმამრსაც და ბიძასაც. ისე, ხელი რომ არ შეშლოდა, ჩანაფიქრი მართლაც კარგი იყო. აბა, მაშინ გენახათ სიცილ-ხარხარი, როცა კუსა პირველ ჭიქას ასწევდა და იტყოდა... არა, ჯერ ფარნაოზს დაეღრიჯებოდა, ბიძა ხარ, პატივი დაგვდე და გვითამადეო, მაგრამ ფარნაოზი რომ გაიპრანჭებოდა, მაშინ კუსა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმებდა და იტყოდა, რამ გამომაშტერა, სად ვაგონილა სიძეკაცი თავის ქორწილში თამადობდესო. ატყდებოდა და რა ატყდებოდა. პატარძალს დაუწყებდნენ ძებნას, მაგრამ შავთვალება მალულობა და მისი შვიდი ქალიშვილის გარდა, დედაკაცის სული არ იჭაჭანებდა გარშემო, თვალის საწიერზე. მაგრამ ვერ მიართვეს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. აჩქარდა და იმიტომ, უცებ მოინდომა ბიძა-სიმამრის ჯავრის ამოყრა, სინამდვილეში კი ჯავრი მიიმატა. დარდს მოგცემ — დარდს დაგავიწყებო, ასე მოუვიდა კუსასაც, დამნაშავე კი თვითონვე იყო, ეს ხეთქავდა გულზე, საკუთარი სხეული ეზიზღებოდა, ნამშობიარევი ძაღლივით მომჩვარული და გაოფლიანებული, სიჩქარეში ბრმა ლეკვები რომ დაეყარა და ამაზრზენი უმწეობით გრძნობდა, როგორ აღოღდებოდნენ ზედ, როგორ ულოღნიდნენ ძუძუს თავებს სიბრიყვისა და სულსწრაფობის ნაშიერნი. კუსა ისე გაიტაცა ბიძა-სიმამრის გაბითურების სურვილმა, ბევრი უბრალო ჭეშმარიტებაც კი დაივიწყა, დაავიწყდა, ყველაფერს რომ თავისი დრო აქვს, ყველაფერი რომ დროს ელოდება, დრო კი — არაფერს. ტყუილად კი არ უთქვამთ, თავის დროზე დალეული შხამიც კი ტკბილიაო. კუსამ კი დაივიწყა, შამფურს დაუწყო თლა, თუმცა წერო ცაზე მიფრინავდა. ასე ფიქრობდა კუსა და სიბრაზისაგან მართლა უღონდებოდა გული. „ვკვდებიო“ — სულთმობრძავივით ამოიქშენდა ხოლმე, მაგრამ საწოლთან მირბენილ პატუს წიხლით იშორებდა, რადგან ყველაფერი პატუს ბრალი იყო, პატუსა და მამამისის, იმ დღეს დაჰკარგა კუსამ გონება, როცა ღვინის ვაჭარმა ბახამ ამ ქვეყანას თავი დაუკრა. „ძაღლი მიგაკვდეს სულშიო“ — მიაძახა კუსამ სიმამრს, ამდენიხნის მოლოდინი წყალში რომ ჩაუყარა და მთელი ქალაქის სამასხარაო გახადა, მაგრამ ბოლოს ლამის თვითონვე მიაკვდა. იმ დღეს დაიწყო ყველაფერი, დღეს კი დაგვირგვინდა. დღეს რომ კუსამ შიში და მღელვარება გა-

დაიტანა, თავგზა დაებნეოდა კი არა, ისიც საოცრება იყო, სული როგორ შერჩა. მართალია მგელს გადაურჩა, მაგრამ ცოტას მორჩა მგლისფერ ძაღლს თვითონვე ჩაუვარდა ხახაში. კაცი რომ დიდ განსაცდელს გადაურჩება, ტროყიაანთ ბიჭივით სულელდება, ლომი ბუზად ეჩვენება, ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. თუმცა მაინც კუსაა დამნაშავე, ხომ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. კაცი კუბოშიც რომ გაღიმებული იწვება, იმისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ისე, კაცმა რომ თქვას, რა ჰქონდა სატირელი, ტაშფანდურით იცხოვრა, რაც რამე ჰქონდა, მუცელს მოახმარა, თუმცა არა, ოჯახზედაც იზრუნა, ისეთი სახედარი დაუტოვათ, არაფერს გაუჭირვებდათ. აკი ასეც დაუბარა იმ მართლა ვირსა და ოტროველას: ახლა შენ იცი და შენმა ბიჭობამო, კისერზე კი კრამიტის ნამტვრევი და ორმეტრიანი თამასუქი ჩამოჰკიდა, ნიშანი დაადო, ჩემს არ ყოფნაში, ემანდ ვინმეს არ შეგეშალოთ, ჩემი ვირიაო. ამიტომაც იღიმებოდა, არხეინად იწვა ვაზის ყლორტებით მორთულ სარკოფაგში და იღიმებოდა. თუ სამართალი არსებობდა, ახლა კუსასთვის უნდა ეცლიათ, მისი ჯერი იყო და არც აპირებდა ვალში დარჩენას, მაგრამ მკვდრის ღიმილი მოსვენებას უკარგავდა, თავისკენ ეწეოდა, გამოცანასავით კვიმატი და მიმზიდველი. კუსაც, ვინ იცის მერამდენედ, გადაემზობოდა ხოლმე სარკოფაგს და სიმამრის შეშუპებულ სახეს ჯიუტად ჩასცქეროდა. „მგონი კიდევ რაღაცას მიპირებს ეს პირქვე დასამარხიო“, ფიქრობდა კუსა და უკვე ნანობდა, პირველ გულს რომ არ დაუჯერა, ნაკუწნაკუწ რომ არ დაგლიჯა ორმეტრიანი თამასუქი და ყველას დასანახად სახეში არ მიაყარა ცხედარს. შეიძლება მართლა დააშავა კუსამ, ასე რომ არ მოიქცა, შეიძლება ესეც მორიგი ოინბაზობა იყო მისი ძვირფასი ცოლოურის მხრიდან, მაგრამ კუსამ მაინც დაცდა ამჯობინა, რადგან მის აყლაყუდა მეუღლეს, მის ორმეტრიან თამასუქს მაინც-დამაინც ახლა მოუნდა [illegible]. დიახ, პატუ ფეხმძიმედ გახლდათ და რახან სხვა არ ანაღდებდა, იქნებ თვითონვე გაენაღდებინა თავი თამასუქს და ახლა მაინც, მესამე გზობაზე მაინც, ეჩუქებინა კუსასთვის ერთი შვილი. ნაბიჭვარი კი არა, ნამდვილი შვილი, კანონიერი. სიმამრის ფულებზე კუსას ოცნების ბევრი კოშკი აეგო, ფული ყოველთვის ჭირდებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში, სიმამრის ფულებს საკუთარი შვილი ერჩია, ამჯერად შვილი უფრო ჭირდებოდა, მხოლოდ შვილი, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მისი ნაშიერი დაამტკიცებდა, ყველაფერზე უფლება რომ ჰქონდა კუსას, ყველაფერზე, რაც მოეხვეჭა და რასაც კიდევ მოიხვეჭდა; შემთხვევითი კი არ იყო ამ ქვეყანაზე, როგორც მისი მტრები ამბობდნენ, ალბათ, არამედ აუცილებელი, გარდაუვალი, რადგან ყველაფერი შეეძლო, გამრავლებაც. რაც პატუ კუსას ცოლი გახდა, უკვე ორჯერ ემშობიარა, მაგრამ ორივეჯერ მკვდარი ბავშვი გაეჩინა. „ასე იმიტომ ხდება, მამაშენი ვალებს რომ არ იხდისო“ — ეუბნებოდა გაბოროტებული კუსა, რადგან, ყველაზე მეტად ის აცოფებდა, წყალში რომ ეყრებოდა, უკვალოდ, უშედეგოდ რომ ეკარგებოდა გემბანისხელა საწოლზე იძულებით გატარებული დრო და უპირველეს ყოვლისა, გაწეული შრომა, რაც არ უნდა არასასიამოვნო და ნაძალადევი ყოფილიყო იგი. უსამართლობა, ისევ და ისევ უსამართლობა არეტიანებდა კუსას, რადგან მისი ღრმა რწმენით, გაცილებით მეტი ნაყოფი სწორედ არასასიამოვნო და ნაძალადევ შრომას უნდა მოეცა, რათა მუშაკს შესძლებოდა მისი დავიწყება, რათა მუშაკს საერთოდ არ აცრუებოდა გული შრომაზე. სინამდვილეში კი საწინააღმდეგო ხდებოდა: უნაყოფო შრომა დროსაც აბერწებდა, ძვირფასსა და განუმეორებელ დროს. კუსა თითქოს მართლა ხომალდის მგზავ-

ური იყო და ან წყალში უნდა გადამხტარიყო, ან უნდა მოეთმინა, სანამ გამოჩნდებოდა ნანატრი ნაპირი. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ნაპირი კი არ ჩანდა, ბურუსში იმალებოდა, ანდა ხომალდს დაჰკარგვოდა გეზი; და მართლაც, გზააბნეული ხომალდივით მიჭრიალებდა გემბანისხელა საწოლი მოლოდინის, გაურკვევლობისა და იმედის ღამეში. ნაპირი კი მაინც არ ჩანდა, თუმცა აქამდე უკვე ორგზის უნდა გამოჩენილიყო. მის მეუღლეს თითქოს სიკვდილთან დაედო კავშირი, სიკვდილს დაამხანაგებოდა, მაგრამ კუსას ვიღა აღუდგენდა უნაყოფოდ დაკარგულ დროს? არავინ, თუკი თვითონვე არ იზრუნებდა. ქვა უნდა გაეხეთქა, ცას უნდა შესწვდომოდა, წელებზე ფეხი უნდა დაედგა და ამიტომაც იყო, ალბათ, ცოფიანივით რომ ეძგერებოდა ხოლმე პატუს, როგორც მიწისძვრისგან ჩამოქცეულ სახლს, რომლის ქვეშაც ბავშვი მოყოლილიყო, ბავშვი კი არა, მისი შვილი. ქმრის შიში და მღელვარება თანდათან პატუსაც გადაედო, თანდათან ისიც დარწმუნდა, სამართლიანად რომ საყვედურობდა ქმარი. პატუმ ღიღინს უკლო და დედასთან სიარულს მოუხშირა. რახილოც საგონებელში იყო ჩავარდნილი, ჩემს შვილს რატომ არ უნდა უჩნდებოდეს ბავშვი, მაგრამ რახილოც უმწეო იყო ბუნების საიდუმლოებათა წინაშე და უნებურად თვალს არიდებდა შვილის შეწუხებულსა და მავედრებელ სახეს. პატუ კი ისეთი იმედითა და მოკრძალებით შესცქეროდა დედას, როგორც ბერწი დედაკაცები ნაყოფიერების ქალღმერთის კერპს. „როგორც დაგარიგე, ხომ მოიქეცი ისეო?“- ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა რახილო მის ფეხებთან ჩაცუცქულ პატუს, და როცა ისიც თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევდა, მართლა აღარ იცოდა, რა ეღონა, რაღა ერჩია ქალიშვილისთვის, ასეთი სასოებით რომ შემოსცქეროდა, ასე რომ უნდოდა დედობა. კუსა კი დღითიდღე უხეშდებოდა, გესლიანი და საშიში ხდებოდა. „თუ მართლა სიკვდილის მეგობარი ხარ, ჯერ მამაშენი წაიყვანეო“ — დაჰყვიროდა პერანგშემოხეულ პატუს, როგორც დასაკითხად შემოთრეულ ტუსაღს. ხოლო ცოლის სლუკუნს თუ გაიგონებდა, უარესად ცოფდებოდა: წინასწარ გამოგვიტირა ყველანი ამ ოხერმაო.

— იმღერე! რატომ აღარ მღერი? — ყვიროდა თვალებგადათეთრებული კუსა.

მერე დატყვევებულ ნადირივით მოჰყვებოდა წრიალს და თვითონ მღეროდა, ბოროტად, ღვარძლიანად, ხრინწიანად, პატუს გამოსაჯავრებლად: მე და შენის სიყვარულსა რა გაჰყრის სიკვდილის მეტიო.

„მამა როგორ დავწყევლოო“ — ფიქრობდა შიშისაგან მობუზული პატუ, მაგრამ ერთ დღეს ისე შეწუხდა, ისე გამწარდა, ისე მობეზრდა ყველაფერი და ისე შეეცოდა თავი, მაინც წამოცდა: მე თუ ამ დღეში ვიქნები, ან მამა რად მინდა და ან სხვა ვინმეო. იმავე საღამოს ღვინის ვაჭარი ბახა თავის ორმოცსაფეხურიან სარდაფში გარდაიცვალა, მაგრამ კუსას წინასწარ რომ სცოდნოდა, რა მოჰყვებოდა იმ პირქვე დასამარხის სიკვდილს, ძალით აცოცხლებდა, ქვეყანას დაასევდა, სიცოცხლეს მოიკლებდა და იმას მიაშავებდა, ოღონდ ამ დღეში არ ჩავარდნილიყო, ოღონდ ფარნაოზი არ სცნობოდა, საერთოდ არ ყოლოდა ბიძა, ქვისტვინა და ქვისხელება, და მართლაც, რაღა მაინცდამაინც ფარნაოზი უნდა ყოფილიყო, მაინცდამაინც დედამისის ძმა, თუ ეს უსამართლო ქვეყანა მაინცდამაინც კუსას არ ედგა კრიჭაში. „ვკვდები, არ მომეკარო, სიკვდილი მაინც მაცალეთ ჩემს ნებაზეო“ — კუთავდა, კვნესოდა, ოხრავდა კუსა, თითქოს მართლა კვდებოდა, არა უკვე მომკვდარიყო და გემბანისხელა საწოლში, როგორც საგვარეულო სამარხში, თავის მკვდრადშობილ შთამომავლობასთან ერთად დაე-

მარხათ. სინამდვილეში კუსა იბადებოდა, ხელმეორედ იბადებოდა, არა სულელი და მხდალი დედაკაცის საშოდან, არამედ საკუთარი გონებიდან, გამობრძმედილი, ჭირნახული, ჭკუანასწავლი და დაბრძენებული. დაბადებაც მტკივნეული იყო, იმდენად მტკივნეული, რომ სიკვდილში აერია, ერთი წუთით ლამის დაჰყარა კიდეც ფარხმალი, მაგრამ კედელმა გადაარჩინა, უფრო სწორად, კედლის ბზარში შეყუჟულმა ჭრიჭინამ; კუსამ შემთხვევით დაინახა იგი, შემთხვევით დაუკავშირა ერთმანეთს, გულისგამაწვრილებელი, ქვეყნის ამკლები ხმა და ეს პატარა მწერი, რტოსშერჩენილ ქლიავივით შავი და დამჭკნარი. ,ჭრიჭინამაც იგრძნო უცხო თვალი და ნირწამხდარი ჩაჩუმდა. მოულოდნელად ჩამოვარდნილმა დუმილმა კუსას გუნება გამოუკეთა, გაოფლილი და სახსრებდალეწილი, ახლა მშვიდად იწვა და იღიმებოდა, თითქოს აღთქმულ ქვეყნამდე მოეღწია, რომლისკენ დღედაღამე მოისწრაფოდა რწმენისა და შიშის ამარა. კუსას ბავშვობიდან ეშინოდა ჭრიჭინების, ისინი რატომღაც იმქვეყნიურ ხმებად ყავდა წარმოდგენილი, რომლებიც ზაფხულობით, ხვატისგან დამსკდარი მიწის ნასვრეტებიდან ამოდიოდნენ და გაუთავებლად, განურჩევლად წყევლიდნენ და აგინებდნენ ცოცხლებს, მზედაკრული გვამის სუნივით უხილავნი და შემაწუხებელნი. კუსას აქამდე არ ენახა ჭრიჭინა და შეიძლება ამიტომაც გასჩენოდა ამგვარი წარმოდგენა. ახლა იწვა და იღიმებოდა, გამოცანის სიმარტივით შემცბარი და აღფრთოვანებული. „აი, თურმე როგორი ყოფილაო“ — ფიქრობდა იგი და უკვე პირველი დასკვნებიც გამოჰქონდა საკუთარი აღმოჩენიდან. „ხე ხე, — იცინოდა კუსა, — ეგ რომ ჩანდეს, ვინ გააჭაჭანებდა აქამდეო. კაცს იმის ეშინია და იმას უწევს ანგარიშს, რისი დანახვაც არ შეუძლიაო, დიდ ძროხას ყველა დანით დასდევს უკანო, რაც უფრო პატარა ხარ, უკეთესად დაიმალები, ხოლო რაც უკეთესად დაიმალები, ხმაც აგიწევია და ფასიცო“.

— ვერ უნდა გიპოვონ, ვერა! — იყვირა უცებ კუსამ და საწოლზე წამოჯდა, მერე საჩვენებელი თითი ბზარში შეყო და ჭრიჭინა გაჭყლიტა, გამომქღავნებულ მსტოვარივით ზედმეტი და უვარგისი.

სანამ ფარნაოზი კრეტაზე წავიდოდა, ბიძა-დისშვილი ერთხელ კიდევ შეხვდნენ სალაპარაკოდ. უთენია წამომდგარ ფარნაოზს კარგა ხანს მოუწია ლოდინი ბერძნის წყაროსთან, სანამ კუსას ტომრის ჟღრიალს გაიგონებდა. ბიძა რომ დაინახა, კუსამ ნაბიჯი შეანელა, მაგრამ არ შეჩერებულა, არც ღიმილი მოშორებია, თუმცა სახე დაეძაბა, თითქოს გზაზე გაწოლილი ქოფაკისთვის გვერდი უნდა აევლო. კუსამ სწორედ წინა დღეს კრეტაზე გასაგზავნი ხელოსნების სიაში ჩააწერინა ფარნაოზი და სრულებითაც არ გაჰკვირვებია ამ დილა-უთენია მისი დანახვა. სასახლეში ნათქვამი სიტყვა ყოველთვის მთქმელზე ადრე გამოდიოდა ქალაქში, მაგრამ კუსამ ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა, რადგან იმ წუთას დარწმუნებული იყო, ორივესთვის, თავისთვისაც და ბიძისთვისაც, სასიკეთო საქმეს აკეთებდა. არც სხვებისთვის უნდა ყოფილიყო მოულოდნელი და გასაკვირი კუსას ამგვარი თავგამოდება. ხელოსანი რომ ყოფილიყო, თვითონაც ჩაეწერებოდა, რადგან, როგორც სასახლეში გაეგო და დაესწავლა, მინოსის სამსახური ყველა მოკვდავის წმიდათაწმინდა ვალი იყო. მინოსს კი, ყველაზე დიდ მეფეს, ყველაზე დიდი სასახლის მშენებლობა წამოეწყო და ხელოსნები ჭირდებოდა. განა ასე არ გამოუცხადეს: მინოსს ხელოსნები შემოუთვლია და აბა, თქვენ იცით, არავის არ უნდა ჩამოვრჩეთო? რომელი ხელოსანი დაიხევდა უკან, თუკი ასეთი ბედნიერი შემთხვევა მიეცემოდა თავისი ერთგულებისა და ოსტატობის გამოსამზეურებ-

ლად. „ხე, ხე, სირცხვილი არ არის, ამისთანა ბიძის პატრონს ჩაქუჩის დაჭერაც არ შემეძლოსო“ — ამბობდა კუსა და თვითონაც ეღიმებოდა, როცა რომელიმე კარისკაცი ხელს წაკრავდა და მიაძახებდა, შენც კარგი მამაძაღლი ხარო.

გამოჩნდა თუ არა კუსა, მაშინვე მიხვდა ფარნაოზი, ისევ რომ გაბითურებულიყო, ისევ გაბმულიყო მახეში და ისევ საკუთარი სიბრიყვის წყალობით. „ეტყობა, ვერასოდეს ვისწავლი ჭკუასო“ — ფიქრობდა იგი, მაგრამ აღარც გაბრუნება შეეძლო, უბრალოდ თავიც აღარ ჰქონდა, ერთი დღე კიდევ გაეძლო იმ მტანჯველი ფიქრებისთვის, იმ საბედისწერო შემთხვევის მერე, მაძღარი მგლებივით, თავშესაქცევად, ყასიდად რომ ძიძგნიდნენ და გულაღმა გაშოტილს პირში ჩაჰღმუოდნენ. არა, ისევ გაბითურება ჯობდა უკან მიბრუნებას. ფარნაოზს საკუთარი განზრახვა ტანჯავდა და ამაშიც თვითონ იყო დამნაშავე, რადგან ბრმად და დაუფიქრებლად თვითონვე გამოიხმო იგი სულის ყველაზე მიყრუებული კუნჭულიდან. ის ახლა ტყვეობიდან თავდაღწეული ნადირივით საშიში იყო, არავის იკარებდა, გახედვაც აღარ უნდოდა ბნელი და ნესტიანი ბუნაგისკენ, საიდანაც მისი უყაირათო მეთვალყურის წყალობით მაინც დაეღწია თავი. ფარნაოზიც ამაოდ ცდილობდა უნებური შეცდომის გამოსწორებას. განზრახვა ბრმა იყო, ყნოსვით მიიკვლევდა გზას, მაგრამ ბასრი კბილები ჰქონდა და საკმარისი იყო, თუნდაც ერთი წამით შეჰგუებოდა ფარნაოზი მის თავისუფლებას, ერთი წამით გამოეცლია პირიდან გასისხლიანებული ხელები, მის სიბრმავესა და სიჯიუტეს ვეღარაფერი აღუდგებოდა წინ. ფარნაოზს აზრი არ შესცვლია, ისევე ჯეროდა, კუსასთვის მადლი რომ იყო სიკვდილი, რადგან კუსას ყველაზე უბედურად თვლიდა. ბუნებას მისთვის გესლის ჯირყვლები გამოეყოლებინა და რამდენჯერაც არ უნდა ამოენთხია, მაინც ვერასოდეს განიწმინდებოდა მთლიანად, რადგან თვითონვე იყო გესლის წყარო. სამაგიეროდ სიცოცხლისუნარიანობითაც გამოირჩეოდა, სითავხედის კეტით მიიკვლევდა გზას, რადგან ტანი უგრძნობდა, სითავხედით უფრო ადვილად რომ დააეჭვებდა სხვებს თავიანთ სამართლიანობაში და უფრო ადვილად დაარწმუნებდა, საჭირო რომ იყო იგი, აუცილებელი, როგორც... როგორც თუნდაც გველი, ანდა მორიელი. არა, კუსა ქვის მატლი იყო, ხრწნაგამჯდარი ქვის მატლი და ამიტომაც უფრო ღირსეული პატრონიც უხეიროს უმეცრებით დანგრეული ქვეყნისა, ვიდრე ფარნაოზი, რომელსაც ამ დანგრეული ქვეყნის დანახვის უფლებაც აღარ ჰქონდა, მოვლა-პატრონობას კი არა, დანახვასაც უშლიდნენ, მტვერი რომ გადაეწმინდა, ქვები რომ გადაეწყო გვერდზე და დოქის ყური მაინც ეპოვა, როგორც უტყუარი საბუთი, უტყუარი დადასტურება, ამ ნანგრევების ქვეშ ოდესღაც მართლა არსებული ქვეყნისა, რომელსაც მისი სამშობლო უნდა რქმეოდა. საინტერესოა, იცოდა თუ არა ეს ამბავი კუსამ? ალბათ, არ იცოდა, არ შეიძლებოდა რომ სცოდნოდა. განა მატლს შეიძლება ჰქონდეს სამშობლო? მატლი ხომ მაშინ ჩნდება, როცა ყველაფერი დამთავრებულია და იმას უჩნდება, რაც აღარავის ჭირდება. ეს რომ სცოდნოდა, ფარნაოზის აზრით, კუსა თვითონვე მოიკლავდა თავს და ფარნაოზსაც გაათავისუფლებდა ამ ბინძური განზრახვისაგან, რომლის აღსრულებაც ფარნაოზს უკვე თავის მოვალეობად მიაჩნდა, მხოლოდ ამაზეღა ფიქრობდა, მკვლელობის ათასგვარ ხერხსა და საშუალებას იგონებდა და იტანჯებოდა, რადგან კუსა მაინც უყვარდა, არა, ეცოდებოდა, არ ემეტებოდა გადასაგდებად და ამიტომაც არც უფლება ჰქონდა გვერდზე გამდგარიყო, თვალი დაეხუჭა, ანდა მშვიდად ეცქირა, როგორ ფუტფუტებდა იგი სამშობლოს ცხედარზე. მარ-

თალია, კუსაც მსხვერპლი იყო, მაგრამ თანაგრძნობას არ იწვევდა, რადგან წინასწარვე, გაჩენამდე შეჰგუებოდა ამგვარ გარემოში ცხოვრებას და, რაც ყველაზე დიდი უბედურება იყო, მხოლოდ ამგვარ გარემოში შეეძლო ცხოვრება, ასეთი სენი დაჰყოლოდა და ამ სენის ამოწვა თუ ამოძირკვა კუსას არსებიდან ყოვლად შეუძლებელი იყო. კუსა ამ სენისთვის გაეჩინა ბუნებას, ამ სენის სატარებლად, გასავრცელებლად, ისე, რომ კუსამ არც კი იცოდა, როგორც ქარმა არ იცის, რომელი მცენარის თესლი გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეზე.

სამაგიეროდ, კუსას არ შეეძლო არ შეემჩნია ის შიში, რომელსაც მისი გამოჩენა ბადებდა, მისი ტომრის ჟღრიალი და სამზარეულოს დანასავით ყოველთვის საგულდაგულოდ გაპრიალებული ღიმილი. „თუ მართლები არიან, რატომ უნდა ეშინოდეთ ჩემიო“ — ფიქრობდა კუსა და გულწრფელად ჯეროდა, მთელი ქვეყანა პირადად მისი მტრებით, მისი მოშურნე და მისი მარცხის მომლოდინე ხალხით იყო დასახლებული. აკი ბიძასაც ასე უთხრა: ჩემი გშურს და იმიტომ გეჯავრებიო, მაგრამ სწორედ ფარნაოზის თვალში არაფერი ჰქონდა კუსას შესაშური; რამდენიც არ უნდა მოეხვეჭა, მაინც ყოველთვის ღატაკი იქნებოდა, რადგან ისიც არ იცოდა, რამდენი ჭირდებოდა, რა ჭირდებოდა, რისთვის ჭირდებოდა; მონახვეჭი კი არ გააძლიერებდა, როგორც ჭირნახულ გლეხს, არამედ დაასუსტებდა, როგორც მახრჩობელა გველს გადაყლაპული კურდღელი. ეს ბუნებასაც გაეთვალისწინებინა და ამიტომაც გამოეყოლებინა გესლის ჯირკვლები: მონელების ჟამს, მშობიარე ქალივით დაუძლურებული, გესლს უნდა დაეცვა იგი.

ამგვარმა ფიქრებმა ფარნაოზს ძილი გაუტეხა, სამარიდან ამოღებულს დაემსგავსა; სანამ პოპინა არ მოუკაკუნებდა ხოლმე კედელზე, უთავბოლოდ დაბორიალობდა ოთახში, თითქოს კარფანჯარა ამოექოლათ და გამოსავალს ვეღარ პოულობდა. დილით პოპინას დანახვისა ცხვენოდა და უსაუზმოდ გარბოდა შინიდან, რათა ჩქარა აცოცებულიყო თავის უკაცურ კუნძულზე და ჩაქუჩით ემტვრია ქვის ხორკლიანი ზედაპირი. არა, საზარელი განზრახვის ლიბრგადაკრული თვალები და ბასრი, გამყინავად ბასრი კბილები. „მაგ ხნის კაცები ბავშვებივით არიან, მარტო წოლა უჭირთო“ — ეუბნებოდა ქალუკა ძმის მოუსვენრობით აფორიაქებულ პოპინას. პოპინაც ასე ფიქრობდა, გული უგრძნობდა, ქალი რომ იყო გახვეული საქმეში და ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა ის, რისაც ყველაზე ძალიან ეშინოდა. პოპინას ფარნაოზის მომავალი ცოლის ეშინოდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ქალღმერთი თუ მეძავი, პოპინა მაინც ფეხებს დაუკოცნიდა, გულითა და სულით შეიყვარებდა, მაგრამ რა ვალდებული იქნებოდა ის, ან რატომ უნდა მოეთმინა ნამუსახდილი და მიგდებული დედაკაცი, რომელსაც საკუთარი ოჯახისთვის შერცხვენის მეტი არაფერი მოეტანა, რომლის მიზეზითაც ამ დასაქცევ სახლში ყველას ერთმანეთი სძულდა. რძალმა კი არა, შვილმა არ ინდომა იგი და სწორეც იყო, რადგან დედას თუ წაიყვანდა, ცოდვიანად უნდა წაეყვანა, პოპინას ცოდვას კი ერთი სახლი უკვე წაებილწა და ესეც საკმარისი იყო. აქაც მამის ხათრით აჩერებდნენ, ალბათ. არა, ფარნაოზს არასოდეს არ უგრძნობინებია, არ მსიამოვნებს შენთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაო, მაგრამ ვინაა თავდები ძალით რომ არ აკავებდა ფარნაოზი პირზე მომდგარ სიტყვას. ავს თუ არ ამბობდა, არც კარგი უთქვამს ფარნაოზს როდისმე დისთვის. მართლა არ ახსოვდა პოპინას ძმის ტკბილი სიტყვა, ხოლო კუსა რომ გაჩნდა, იმ დღის მერე გაღიმებულიც აღარ უნახავს. არ აპატია და იმიტომ. მაგრამ ფარნაოზი

მაინც სხვა იყო და ფარნაოზის ცოლი სხვა. ცოლს ბევრი რამე შეეძლო. შეიძლება ფარნაოზიც ამიტომ ითრევდა ფეხს, დას ზოგავდა, და ეცოდებოდა, მაგრამ აღარც უცოლობა შეეძლო და უხმოდ, უთქმელად იტანჯებოდა. ანდა... არა, პოპინას არ უნდოდა დაეჯერებინა კუსას იმდღევანდელი ნათქვამი. რას არ ამბობენ კაცები სიბრაზეში, მამა შვილს არ ზოგავს და შვილი მამას; მეტი რა იცოდა პოპინამ, მეტი რა მოესმინა, რამდენჯერ გადატრიალებია გული, სანამ დარწმუნდებოდა, რომ ესეც კაცების თვისება იყო. სამაგიეროდ დღემდე ჯეროდა, მის დასაშინებლად რომ იქცეოდნენ კაცები ასე, მის დასაკნინებლად რომ იგონებდნენ საზარელ სიტყვებს, რადგან თვითონ ერთი წუთის შემდეგ აღარაფერი ახსოვდათ. „ყველას ხელს ვუშლი, ყველას სიცოცხლეს ვუმწარებო“ — ზმუოდა პირმოკუმული პოპინა და დატყვევებული ჩიტივით შემკრთალი და გაკვირვებული უსმენდა, როგორ დაძრწოდა ძილგამკრთალი ფარნაოზი კედლის იქით. ფარნაოზმა ერთი პირობა გადაწყვიტა კიდეც, ეთქვა პოპინასათვის თავისი წუხილისა და მოუსვენრობის მიზეზი, მაგრამ რა სიტყვებითაც არ უნდა გამოეთქვა ეს მიზეზი, ისე დაუჯერებლად და ამავე დროს ისე საზარლად უნდა აეღერებულიყო, უკანასკნელ წამს ენას კბილს დააჭერდა ხოლმე და დას ეხვეწებოდა: თავი გამანებე, არც არაფერი მტკივა, არც ცოლის შერთვას ვფიქრობო. მართლაც როგორ ეთქვა ამ საბრალო ქალისთვის, მისი შვილის მოკვლას რომ აპირებდა და იმიტომ ვეღარ დატეულიყო საწოლში. პოპინა ერთ რამეში იყო მართალი და თავისი გაუთავებელი შეკითხვებით ფარნაოზიც მიახვედრა, რომ კუსას მკვლელობაზე ფიქრი, თავისი დაუნდობლობითა და ტკივილებით, ძალიან გავდა ინოზე ფიქრს. ფარნაოზის განზრახვას აღსრულება არ ეწერა, მაგრამ ამაზე მეტად მაინც ვერ დაიტანჯებოდა, გინდაც მართლა მოეკლა კუსა. ფარნაოზს გონებაში მკვლელობა უკვე ჩაედინა, ახლა მხოლოდ გვამის გამოტანაღა აკლდა საშკაროზე, უფრთხილესი სწორედ სასჯელი, რადგან მხოლოდ სასჯელს შეეძლო მისი დამშვიდება. ამიტომაც იყო დღემდე განუცდელი მღელვარება რომ დაეუფლა, გამაოგნებელი ნეტარება რომ მოჰგვარა ქალაქში დარხეულმა ხმამ ხელოსნების კრეტაზე გამგზავრების შესახებ. ფარნაოზს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პირადათ მისთვის გამოეტანა განაჩენი, სადღაც, ცხრა ზღვის იქით, ვიღაცას, ღმერთივით მკაცრსა და სამართლიანს, ზღვების იქითაც რომ შეეძლო კაცის გულში ჩახედვა, ფიქრის ამოკითხვა და დასჯაც. მაგრამ იყო მეორე საშიშროებაც. ხომ შეიძლებოდა, აქ ვერ მიმხვდარიყვნენ, ვისთვის იყო ეს განაჩენი გამოტანილი, ანდა სწორედ იმიტომ, რომ მიხვდებოდნენ, მის მაგიერად სხვა გაეგზავნათ, ის კი დაენდოთ, დაემალათ, როგორც უხეიროს შვილი და კუსას ბიძა. ამიტომაც იყო, ბევრი რომ არ უყოყმანია ფარნაოზს და მეორე დილასვე, უთენია წამომდგარი, ბერძნის წყაროსთან დაელოდა კუსას.

— კრეტაზე რა გინდა, ოჯახს ვის ანაბარა ტოვებო? — ხელები გაშალა კუსამ, როცა ბიძის სათხოვარი მოისმინა. გუნებაში კი გაიფიქრა: მთლად წამხდარა ეს უბედურიო.

— ქვეყანა მიდის. წავალ, ბედსა ვცდი, — თქვა ფარნაოზმა.

— კაცო, წუხელ კოლომ მოკბინა, რა შხამი ჰქონდა ამისთანა იმ ოხერს, ძუძუს ქვეშ მუშტისხელა ღუდუდო გამიჩინაო. — თქვა კუსამ და მკერდი მოიქექა.

— დანის პირი უნდა მოგესვა, — უთხრა ფარნაოზმა.

— დანის პირი რა, კრაზანას კი არ უკბენია, შე კაცო. — გაიღრიჯა კუსამ. მერე დაამატა: არ დაგზარდები ბიძაჩემო, მაგრამ ცოტა ძნელი საქმე კია, მსურველი ბევრიაო.

სანამ კუსა თვალს არ მიეფარა,

ფარნაოზი ბერძნის წყაროსთან იდგა და გაჰყურებდა.

გამგზავრების დღე რომ დადგა, ფარნაოზი გამოსამშვიდობებლად მამასთან შევიდა. უხეირო ისევ ქარგავდა, თითქოს ამხნის განმავლობაში მისთვის არაფერი შეცვლილიყო, მაგრამ ფარნაოზს მაშინვე თვალში ეცა, როგორ მოეტეხა და გაენადგურებინა დროსა და ავადმყოფობას უხეიროს უზარმაზარი სხეული. ახლა საწოლში გალეული, გაჩხინკული მოხუცი იჯდა და ფარნაოზმა მამის წვრილსა და მობოშებულ კისერს რომ დახედა, ცრემლი ყელში მოებჯინა. უხეირომ შვილს გაუღიმა, თუმცა კარგად ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო საქარგავიდან.

— შენს ჩამოსვლამდე დავამთავრებ კიდეც. მერე დავსხდეთ და ერთად წავიკითხოთ. — თქვა უხეირომ.

ფარნაოზმა ტახტთან დაიჩოქა და მამის ხელს მისწვდა საკოცნელად. უხეირომ ერთი კი სცადა, ჩვეულებისამებრ მოეღუშა სახე, მაგრამ რატომღაც მასაც ცრემლი მოერია, არც დაუმალავს, ყველას დასანახად ამოიწმინდა განუწყვეტელი ქარგვისაგან ჩაწითლებული და გაგალებული თვალები.

— ღვინო მოგვიტანე, პოპინა, — გასძახა უხეირომ ქალიშვილს და ისევ საქარგავს მიუბრუნდა.

ფარნაოზი კიდევ დიდხანს დასცქეროდა მამის გამხდარ თითებს, უზარმაზარი ჭიანჭველებივით რომ დაფუსფუსებდნენ აფრისხელა ტილოზე. პოპინას ღვინის ხელადა ბალღივით მიეხუტებინა და უხმოდ ტიროდა.

ფარნაოზი ისეთი გრძნობით გამოვიდა მამის ოთახიდან, თითქოს ვერასოდეს ვეღარ იხილავდა ამ უცნაურსა და უბედურ კაცს, რომელიც მთელი არსებით, წლების მანძილზე, ჯიუტად, თავგანწირულად ცდილობდა, არ გასტყდომოდა და არ შეგუებოდა თავის უბედურებას.

ასედაც მოხდა: ფარნაოზს უხეირო აღარ უნახავს.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაკქილიდე

ყმაწვილები ანუ თეზევსი

სტროფი I

კრეტის ვრცელ ზღვაში, სამხრეთისკენ მსრბოლი ამაყად,
მკერდით ცისფერით მიარღვევდა ტალღებს ხომალდი,
ხომალდს მიჰყავდა უშიშარი გმირი თეზევსი
და სილამაზით სხივმოსილი ახალგაზრდები:
5. შვიდი ქალწული, შვიდი ვაჟი — იონელები...
მიაქანებდნენ თეთრ იალქანს ბორეადები,
ომის ქალღმერთის საამებლად ფრთებგაშლილები.
მაგრამ კიპრიდამ, დიადემით თმაშებურვილმა,
უეცრად მინოსს ულმობელი ჯილდო არგუნა:
10. იდუმალ სტყორცნა ტრფიალების ბასრი ნესტარი
და დაჭრა მეფე გულში მძიმედ, მოულოდნელად.
აღენთო მყისვე გული ვნების მონა-მორჩილი
და მეფე ქალწულ ერიბოიას სახეს, მიმზიდველს,
მიელაციცა, ვნებით მთვრალმა მიუალერსა...
15. იკივლა ქალმა, თვალწარმტაცმა ერიბოიამ,
მეშველად იხმო შვილიშვილი პანდიონისა;
რა ესმა თეზევსს, შემობრუნდა და შავ თვალთაგან,
შავ წარბებს ქვემოთ მრისხანებით რომ აბრიალდნენ,
გამოკრთა ელვა — ლემნოსური ცეცხლი წითელი;
20. სულში ტკივილი იგრძნო გმირმა და აღშფოთებით
მიმართა მინოსს: „ძეო ცის და მიწის მეუფის,
მღელვარე გულში გიდუღს ვნება მძაფრი, ძლიერი,
მაგრამ მის საჭეს სუსტად მართავს სინდისი შენი,
როს სუსტ არსებას შეურაცხყოფ. მეფევ ზვიადო.
25. დათრგუნე ვნება, დაიოკე გული გოროზი!

ანტისტროფი I

თუკი ღმერთებმა გადაწყვიტეს ჩვენი დაღუპვა,
თუკი ჰადესის ბნელი მხარე ჩვენ გველოდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედს ხომ ვერსაით გავექცევით! შენ კი, მეფეო,
მოსდე სადავე ზრახვებს, ჩვენთა შეურაცხმყოფთა.
30. გახსოვდეს, მეფევ, თუ შენ იდის გაშლილ კალთებზე
ცათა მეუფის ტრფობის ჯილდოდ გშობა ასულმა,
განთქმულ ფენიქსის ქალიშვილმა კეთილშობილმა,—
მდაბიოთაგან არც თეზევსი დაბადებულა:
ჩემი მამაა დიდი ღმერთი, ზღვათა მფლობელი.
35. პოსეიდონის სარეცელზე მე ჩავისახე,
მშობა პითევსის ქალიშვილმა ულამაზესმა,
მდიდრულად მორთულ სასახლეში რომ აღიზარდა,
რომელსაც ჯილდოდ შავთმიანმა ნერეიდებმა
ქორწილის ღამით უძღვნეს ოქროს თავსაბურველი.
40. ამიტომ კვლავ გთხოვ, ო, კნოსელთა მეფევ ძლიერო,
თავი ანებო მაგ ქედმაღლურ ქირდვა-დაცინვას
უძლურ ბავშვისას, სირცხვილით რომ ცრემლად იღვრება.
დაე, მე ხილვა ნუ მეღირსოს შუქის ნათელის
მარად უჭკნობი და ბრწყინვალე განთიადისა,
45. თუ ჩემს თანამგზავრ ქალწულთაგან შენ რომელიმე,
მისი სურვილის წინააღმდეგ, დაუმორჩილო
შენს აღვირახსნილ და მზვაობარ ვნებათა ღელვას!—
უმალ გამოცდი ძალას ჩემი მძლავრი მკლავისას;
მერმე ჩვენდამი წილხვდენილი ბედის განაჩენს
50. ღმერთნი უკვდავნი უჩვენოდაც აღასრულებენ.

ეპოდი I

ეს თქვა და გმირმა უშიშარმა, ძალგულოვანმა,
გამბედაობით განაცვიფრა თანამგზავრები,
საშინელების მოლოდინში სულგანაბულნი.
მაგრამ პასუხად ცის მეუფის ძემ, ულმობელმა,
55. მრისხანე გულში კვლავ გაივლო ზრახვა ვერაგი,
და წართქვა: ზევსო, ო მაღალო, მეხთამტყორცნელო,
ვედრება ჩემი მოისმინე, მამავ ძლიერო!
თუ მართალია, რომ მე შენთან ტრფობის ნაყოფად
დამბადა ქალმა, თეთრხელება ფინიკიელმა,
60. მაშინ ზეციდან მოუვლინე შენს შვილს ნიშანი —
ძლიერი ელვა უსწრაფესი, ცეცხლისფრთიანი.
(თეზევსს)
— შენ კი, ო გმირო, თუ რომ მართლა ეთრამ ლამაზმა,
ლურჯთვალა სატრფომ ზღვათა მძლავრი შემარყეველის,
გშვა ტროიძენში, — მაშინ
(წაიძრობს თითიდან ბეჭედს) აი, ეს სამკაული,
65. ოქროს ბრწყინვალე ელვარებით რომ ამშვენებდა
მეფურ მარჯვენას —
(გადააგდებს ბეჭედს ზღვაში)
ზღვის ფსკერიდან კვლავ დამიბრუნე;
მშვიდად, უშიშრად გადაეშვი ზღვის ლურჯ ტალღებში, —
შენი მშობელის, ზღვის მეუფის, ლურჯ სასახლეში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ხოლო თუ ისმენს ჩემს ვედრებას ღრუბელთ მეუფე,
70. ნიშანს საოცარს შენ იხილავ დაუყოვნებლივ.

სტროფი II

ისმინა მყისვე ყოვლისშემძლე ზევსმა მაღალმა
ვედრება შვილის საყვარელის და ღრუბლებიდან,
ნიშნად დიდების შარავანდის, ვით საოცრება,
ძლიერი ელვა მოავლინა ცეცხლისფრთიანი.
75. და რა იხილა სასწაული მეფემ ზვიადმა,
აღევსო გული მედიდური კმაყოფილებით;
ცის ლურჯ ეთერში გაიშვირა ხელი ამაყად
და შეჰღაღადა: „ხედავ, თეზევს, ზევსის წყალობას,
მისგან რჩეული შვილისადმი ჯილდოდ მოვლენილს?!
80. მაშ, შენც უშიშრად გადაეშვი ზღვის ლურჯ ტალღებში,
და თუ ისურვებს უდიდესი ზღვათა მფლობელი,
ოკეანეთა სივრცეების შემარყეველი, —
ჯილდოს სასურველს მოგანიჭებს მამა მშობელი,
და მაშინ შენდა სადიდებლად აგუგუნდება
85. მწვანით მოსილი დედამიწა თვალუწვდენელი“.
ეს უთხრა, მაგრამ გმირის სული არ შერყეულა,
მტკიცედ გადადგა მძლავრი ფეხი გმირმა გემბანზე
და ზღვის ტალღებში გადაეშვა გულუშიშარი.
მშვიდად მიიღო ზღვის უფსკრულმა გმირი თეზევსი;
90. ხოლო მინოსმა აჩქარება ბრძანა ხომალდის,
მაგრამ ბედის წინ გლახ მოკვდავი არის უძლური.

ანტისტროფი II

სწრაფად გაქანდა ლურჯ ტალღებზე მძლავრი ხომალდი,
კვლავ თეთრ იალქანს უბერავდნენ ბორეადები;
მაგრამ ხომალდზე უნუგეშოდ, ობლად შთენილნი,
95. შეაკრთო შიშმა ათენელი ახალგაზრდები,
როს ზღვის უფსკრულში გადაეშვა გმირი ძლიერი.
იდგნენ გემბანზე და თვალთაგან ცრემლთა მფრქვეველნი,
უსაშინელესს მოელოდნენ ბედის განაჩენს,
გმირის დაღუპვის მოლოდინით შეძრწუნებულნი.
100. ხოლო ამავ დროს, დელფინებმა, ოდეს იხილეს
გმირი თეზევსი, გაიტაცეს დაუყოვნებლივ,
პოსეიდონის სასახლეში მყის მიიყვანეს.
შემოეგებნენ გმირს ნათელი ნერეიდები,
თვალისმომჭრელი ბრწყინვალებით დამშვენებულნი,
105. ლურჯ სასახლეში ვარდისფერად მოელვარენი;
ცეკვავდნენ მწყობრად, ერხეოდათ დალალ-კავები,
ოქროს ჩანჩქრებად ლამაზ მხრებზე დაფენილები,
და სილამაზე ამშვენებდათ მოქნილ ფეხების.
მაგრამ მეტადრე აღიტაცა და დაატყვევა.
110. გმირი ლურჯთვალა ამფიტრიტემ ულამაზესმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაოცარმა დედოფალმა ზღვათა მფლობელის,
ძვირფას პორფირით რომ შემოსა მყისვე თეზევსი.

ეპოდი II

ხუჭუჭა თმაზე გმირს დაადგა ნიშნად დიდების
წითელ ვარდებით შემკობილი უცხო გვირგვინი,
115. რომელიც თვითონ ამფიტრიტეს, ქალწულს ლურჯთვალას,
ქორწილის ღამით უსახსოვრა ჯილდოდ ქალღმერთმა,
— ოქროსთმიანმა აფროდიტემ, ეგზომ ცბიერმა...
და მოხდა უცებ საოცარი რამ სასწაული —
უკვდავთ სურვილი მოკვდავთათვის სასწაულია:
120. ხომალდის ქიმთან, კნოსელთ რისხვად და ზარდამცემად,
ოქროს გვირგვინით შემკობილი გაჩნდა თეზევსი;
მშვიდად, უვნებლად ამოვიდა ზღვის ტალღებიდან,
ღმერთთა ძვირფასი საჩუქარით დამშვენებული.
მაშინ ქალწულნი, მზის სხივებზე ულამაზესნი
125. მოულოდნელი სიხარულით აღტაცებულნი,
ყიჟინით შეხვდნენ გმირს საყვარელს, მოსილს დიდებით,
ხოლო ვაჟებმა დაჰგუგუნეს მძლავრი პეანი.
ზღვა ხმაურობდა და სიმღერას იმეორებდა,
ვაჟთა სიმღერას, თქმულს დელოსელ ღმერთის საქებრად:
130. „დიდება შენდა, დელოსელო ღმერთო, აპოლონ,
მოაპყარ ყურნი პეანს, შენდა ქებად აღვლენილს,
და მარად კეთილ თანამგზავრად გვეყავ, ნეტარო.

თარგმანი **გიორგი კალანდაძის**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპოლონიოს როდოსელი

არგონავტიკა

სიმღერა მეოთხე

მუზავ, ქალღმერთო, ზევსის ასულო, შენვე მიამბე მედეას ტანჯვა,
კოლხეთის მეფის ასულის ბედი, ამბავი მისთა ზრახვათა მწველთა!
ჩავარდნილი ვარ საგონებელში, ჩემს თავში ორი აზრი ტრიალებს:
არ ვიცი, მისი ბედუკუღმართი სიყვარულისა გითხრათ ამბავი
თუ სირცხვილისა, რომ ის გაიქცა და მიატოვა კოლხეთის მიწა.[1]

იმ დღეს აიეტს თათბირი ჰქონდა. კოლხეთის რჩეულ ვაჟკაცთა შორის
იჯდა და ბჭობდა გათენებამდე, რით დავღუპოთო გადამთიელნი.
იტანჯებოდა საკუთარ სახლში, განუზომელი ბრაზით მოცული,
რომ განიცადა ასეთი მარცხი, და თანაც ეჭვი არ ასვენებდა,
რომ ამ საქმეში ასე თუ ისე მისთა ასულთა ერია ხელი. 10

ჰერამ კი შიში განუზომელი დაუსადგურა მედეას გულში,
და კანკალებდა ქალწული ქალი, ვით ფურ-ირემი კანკალებს ტყეში,
მწევართა შიშით დაფეთებული, შმაგი ყეფით რომ ასდევნებიან.
ერთბაშად მიხვდა, რომ საიდუმლო აღარ იქნება შეწევნა მისი
და საშინელი რაღაც სასჯელი თავს დაატყდება სამაგიერო.
ცალკე მხევალთა თანამზრახველთა შიში ურღვევდა სულის სიმშვიდეს.
ქალის თვალებში ცეცხლი ღვიოდა და უწიოდა შიშით ყურები.
ასე ბორგავდა გათენებამდე, ყელს იხოკავდა, კავებს იგლეჯდა,
კაეშნითა და შიშით მოცული ასე კვნესოდა შესაბრალისად.
თავს მოვიკლავო, წამალს ეძებდა, და დაასწრებდა ბედის განაჩენს, 20
მოიწამლავდა ნამდვილად თავსა, ჩაეშლებოდა ჰერას ზრახვები,
რომ ისევ ჰერას არ ჩაენერგა ფრიქსეს შვილებთან გაქცევის აზრი.
ქალღმერთის ზრახვა რაწამს ინიშნა, ფრთები შეესხა გრძნეულ მედეას
და შეეცვალა ფიცხლავ გუნება, გადაიყარა გულიდან ზაფრა,
ყუთში ჩაყარა ბალახ-ბულახი შხამ-სამსალისა, დადგა ყუთი და

---

[1] გაგრძელება იხ. „მნათობი", 1972 წ. № 11, 12.

ჯერ სიხარულით აკოცა ლოგინს, მერე დაკოცნა კედლები, კარი,
ჩამოიგლიჯა გრძელი კულული—თმა მშვენიერი, ხავერდოვანი,
და დაუტოვა სენაკში დედას სახსოვრად თავის სიქალწულისა.
ჯერ ისე მწარედ ამოიოხრა, რომ ლამის გულიც ამოაყოლა,
მერე თქვა: „დედა, კულულს გიტოვებ, მე კი მივდივარ უცხო მხარეში. 30
ეს იყოს ჩემი სამაგიერო, და უჩემოდაც იყავი მშვიდად!
შენც, ქალკიოპე, და სახლო ჩემო, ნუ მოგაკლდებათ ბედნიერება!
ო, უცხოელო, ზღვას ჩაეყლაპე, ნეტავ, კოლხეთში შემოსვლის დღემდე!“

ასე ამბობდა, თანაც თვალთაგან ჩამოსდიოდა ცრემლთა ნაკადი.
როგორც მდიდრული სასახლის კარში გამოვარდება ჩუმად ტყვე-ქალი,
ვისთვისაც უცხო ყოფილა უწინ მონური შრომის უღლის სიმძიმე,
მაგრამ უმუხთლა ბედმა და წერამ, ჩამოაშორა სამშობლო მხარეს,
გაწვალებული, ჯაფით დაღლილი, ვერ შეეგუა სასტიკ ქალბატონს, —
ასე მედეა, მშვენებით სრული, ტოვებდა სახლსა მამისეულსა. 40
ის მიდიოდა შეუფერხებლივ, და მისი გრძნებით, სწრაფი შელოცვით
სასახლის ყველა კლიტე-ურდული ასხლტა, გაიხსნა თავისთავადა.
გარეთ გავარდა ფეხშიშველა და გაიჭრა ვიწრო ქუჩაბანდებში.
მარცხენა ხელით ეჭირა ქალწულს ნაზი პეპლოსი, და იმ სამოსით
ფარავდა ფრთხილი, შეშინებული, თავის ღვთაებრივ შუბლსა და ღაწვებს,
ხოლო მარჯვენით ქიტონის კალთა ზე აეწია და მიდიოდა,
ელდანაკრავი, ყურდაცქვეტილი, გზას ძლივს იგნებდა ვიწრო ჩიხებში.
ერიდებოდა ფართო ქალაქის მაღალ კედლებს და ნათელ მოედნებს.
გუშაგთაგანმა ერთმაც ვერ იცნო, გაუსხლტა ყველას შეუმჩნევლადა.
შემდეგ პირდაპირ სამლოცველოში წასვლა არჩია, გზაც ხომ იცოდა! 50
აქეთა მხარეს ხშირად უვლია, მიცვალებულთა გვამების ირგვლივ,
მომაკვდინებელ ფესვებს ეძებდა, ჯადო-წამალთა შესაზავებლად,
როგორც ჯადოქრებს სჩვევიათ, მაგრამ დღეს შიშით გული უკანკალებდა.*
აქ ტიტანიდმა, ქალღმერთმა მთვარემ გადმოიხედა ცის ტატნობიდან,
ნახა შემკრთალი ქალი და გული ზღვა-სიხარულით აევსო წამსვე.
ერთი ბოროტად გაიღიმა და წამოიძახა თავისთვის ასე:

„ჩანს, მარტო ერთი მე არ ვყოფილვარ გატაცებული სიყვარულითა,
რომ ენდიმიონს ლატმოსის ქვაბში ვეწვევი ხოლმე, ტრფობით დამწვარი.[2]
თუმცა, გრძნეულო, შენი რჩევითაც ხშირად ვწვევივარ მშვენიერ ჭაბუკს, —
გაგეცლებოდი, დავქათქათებდი, გამოქვაბულში მშვიდად მძინარეს, 60
და შენ კი ამ დროს, წყვდიად ღამეში მშვიდად ხარშავდი შხამს და სამსალას.
ახლა ასეთი სიყვარული და უბედურება დაგატყდა შენცა!
ღმერთმა-მტანჯველმა შენდა შავბედად შენ იაზონი გამოგიგზავნა!
რა გაეწყობა! წადი, ეახლე! თუმცა ხარ ასე ბრძენი, გრძნეული,
ვნახოთ, რამდენად შეგიმსუბუქოს ტრფობის მტანჯველი ტვირთის ტარება!“

ასე ამბობდა ტიტანი მთვარე, და მედეა კი გამალებული
მდინარის პირას ბექობს მიადგა, შეისვენა და გულზე მოეშვა:
ფაზისის გაღმა იხილა ცეცხლი, რაც გამარჯვების აღსანიშნავად
აენთოთ გმირებს და მთელი ღამე იმ უქრობ კოცონს უსხდნენ გარშემო.

---

* პროზ. თარგმანში ეს სტრიქონი არაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ მედეამ გაბმით, ხმამაღლა მათ გადასძახა ღამის წყვდიადში. 70
შორით უხმობდა ფრონტისს, დისწულსა, ფრიქსეს უმცროს შვილს, არგოსს.
ძმასა.

ფრიქსეს შვილებმა და იაზონმა მყისვე შეიცნეს ხმა ქალწულისა.
გმირებს ეოცათ ხმა უცნაური და შესცქეროდნენ ერთიმეორეს,
მერე გაჩუმდნენ, რაკი დარწმუნდნენ, რომ არაფერი მოლანდებიათ.
სამგზის შესძახა აქეთ მედეამ, სამგზის ფრონტისმა გასცა პასუხი.
ამასობაში გმირებმა გემი სასწრაფოდ დაძრეს მისადგომიდან
და მოკლე ხანში გამოღმა მხარეს გამოაცურეს ხოფების ცემით.
ჯერ ამ ნაპირზე ბაგირით მიბმა ვერც კი მოასწრეს მძიმე ხომალდის,
რომ ეზონიდი მკვირცხლი ფეხებით მაღალ ბანიდან მარჯვედ გადმოხტა.
თან მოჰყვებოდნენ ფრიქსეს შვილები, ჯერ ფრონტისი და მერე არგოსი, 80
ასე თანდათან გადმოხტა ყველა, წინ კი მირბოდა ეზონის შვილი.
ორივე ხელი მოჰხვია კაცებს მუხლებზე ქალმა და შეევედრა:

„ო, მეგობრებო, მეფის რისხვისგან მიხსენით მეცა და თქვენი თავიც!
რაც საიდუმლო გვეგონა დღემდე, ის ყველასათვის აშკარა გახდა.
აღარ არსებობს ამის საშველი! ჩქარა გავიქცეთ, მივმართოთ ზღვასა!
დავძრათ ხომალდი, ვიდრე სწრაფ ცხენებს ეტლში შეაბამს აიეტ მეფე!
მე ოქროს საწმისს ჩაგიგდებთ ხელში, მე ჩავაძინებ მის გუშაგ ურჩხულს,
მაგრამ წინასწარ ამ გმირთა თვალწინ ფიცით მითხარი შენ, უცხოელო,
ის, რაც მე შენგან მომისმენია, და მოწმედ იხმე დიდი ღმერთები,
რომ არ დამტოვებ უცხო მხარეში, როცა ვიქნები აქედან შორსა, 90
ქალს უპატრონოს, უთვისტომოსა, და სირცხვილ-ნამუსს დაიცავ ჩემსას“.

ასე ამბობდა დარდით დამდნარი. ესმა იაზონს მედეას სიტყვა
და სიხარულით აევსო გული. წამოაყენა მეფის ასული,
ნაზი ამბორით ჩაიკრა მკერდში და შეაგება ნუგეშის სიტყვა:
„ძვირფასო ჩემო, ფიცის მოწამე დე, იყოს ზევსი ოლიმპიელი,
და მასთან ჰერა, მისი მეუღლე, ვინც საქორწინო კავშირს კრავს ქვეყნად,
რომ შენ იქნები ჩემს სასახლეში კანონიერი მეუღლე ჩემი,
როგორც კი უკან დაბრუნებულნი შევდგამთ ელადის მიწაზე ფეხსა!“

ასე უთხრა და ფიცის დასტურად ხელში ჩაუდო მარჯვენა ხელი.
მაშინ მედეამ ბრძანა სასწრაფოდ გემის გაყვანა წმინდა ჭალაკში 100
ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, რათა ჯერ კიდევ გათენებამდე
მოესწროთ მისი ხელში ჩაგდება, ხელმწიფის ნების საპირისპიროდ. —
დაუყოვნებლივ აღსრულდა თქმული, მედეას სიტყვამ ხორცი შეისხა.
მყის აიყვანეს ქალწული გემზე, ახსნეს ხომალდი, ნიჩბებს დააწვნენ,
მაგრამ როდესაც ესმა მედეას მძიმე ხოფების ხმა უცნაური,
ქალმა უკანვე იბრუნა პირი, იდგა მიწისკენ ხელგაშვერილი,
და რა ეღონა, აღარ იცოდა, მაგრამ მივიდა ეზონის შვილი,
გულმოკლულ ქალწულს ნუგეშსა სცემდა, განუქარვებდა მამულის სევდას.

იმ დროს, როდესაც მონადირენი ძილს განიფრთხობენ ხოლმე თვალთაგან,
რომ უცებ თავზე არ დაათენდეთ და არ დაკარგონ ნადირთა კვალი, 110
მაშინვე იკრან ძაღლებმა სუნი, ვიდრე მზისსხივი მოხვდება ნავალს,
ფუჭად არ წახდეს ბოლო დღეების კურდღლისებური ფხიზელი ძილი, —

სწორედ იმ დროზე დატოვეს გემი იაზონმა და მისმა მედეამ,
აქ გადავიდნენ არგოს ბანიდან მწვანე ბალახით დაფარულ ველზე,
რომელსაც ხალხი ძველთაგან დღემდე ეძახის ვერძის განსასვენებელს.
ამ მწვანე ველზე მოდრიკა მუხლი პირველად ვერძმა, როცა კოლხეთში
ჩამოიყვანა ქებული ფრიქსე, ძე მინიელი ათამასისა[4].
იქ ჩანდა ფუძე გაჭვარტლული და ჩამოქცეული საკურთხევლისა,
7 რაც ეოლოსის შთამომავალმა ლტოლვილთა მფარველ ზევსს აღუმართა[5],
როცა ის ვერძი იმავე ფრიქსემ მსხვერპლად შესწირა უზენაესსა 120
მას შემდეგ, რაც მას შეხვდა ჰერმესი, მისცა ასეთი კეთილი რჩევა.
ახლა მედეა და იაზონი მარტო გაუშვეს, არგოსის რჩევით
წმინდა ჭალაკის ბილიკს დაადგნენ და ფეხაკრეფით წავიდნენ წინა,
რათა ეპოვათ უზარმაზარი ბებერი მუხა, რომლის თავზედაც
ოქროს საწმისი ეკიდა მაღლა, შესახედავად ღრუბელს რომ ჰგავდა,
14 მზის ამოსვლისას ცეცხლოვან შუქზე პორფირისფერთა სხივთა მთოველსა.
მაგრამ მუხასთან დაგრაგნილ ურჩხულს ბასრკბილებიანს დაეღო პირი,
ზე აეწია მრისხანე თავი, მოახლოებულთ აშტერდებოდა
17 თავის უძირო თვალთა მზერითა, და საზარელი სტვენა-შხუილით.
ის ხმა მსუსხავი ეფინებოდა მდინარისპირეთს და გაშლილ ჭალას.
ის ხმა შეესმათ იმ მხარეშიაც, სადაც კოლხეთის ტიტანურ ეას[6]
აურზაური აღარც კი სწვდება, მდინარე ლიკეს შესართავია:
მქუხარე არაქსს რომ დაშორდება, ეს წმინდა წყალი ფაზისში ჩადის,
შემდეგ ეს ორი მდინარე უკვე ერთ კალაპოტში მიედინება
და კავკასიის ზღვაში იღვრება ბოლოს ორივე მდინარე წყალი.
24 ესმათ შხუილი გველეშაპისა, გაუკრთათ ძილი მეძუძურ მშობლებს
25 და ჩაიხუტეს ცახცახით გულში აჩხავლებული ახალშობილნი,—
ძვალსა და რბილში გაუჯდა ყველას ის საშინელი ქშენა-შხუილი.
ულრან ტყეში რომ ხანძარი ჩნდება, კვამლი ბოლქვებად აიგრაგნება,
20 დაბლიდან მაღლა შეუჩერებლივ ურიცხვ გორგლებად აგორდებიან, 140
ღაეწევიან ერთიმეორეს, შეერთდებიან შავი ბოლქვები
და ერთ კუპრისფერ-ცეცხლოვან სვეტად მიწიდან ცამდე იკლაკნებიან, —
17 ის გველეშაპიც ასე საზარლად იგრაგნებოდა ორთა წინაშე
და მქისი ქერტლით დაფარულ გრძელ ტანს ბრუნვითა სწევდა ტოტებზე მაღლა.
ურჩხულის მზერას მედეამ თვალი გაუსწორა და ნარნარი სიტყვით
იხმო ღვთაება უზენაესი — ჰიპნოსი[8], ძილი, შემწე, მფარველი,
სთხოვა დრაკონის დაშოშმინება, თანაც ქვესკნელის დედოფალს უხმო,
12 ღამით მოარულს, და შეევედრა, მომიმართეო საქმეში ხელი.[9]
ფეხს ძლივს ითრევდა ეზონის შვილი და შესცქეროდა შიშით ჯადოსანს.
ურჩხულმა ჯადო-სიმღერის ძალით[10] იწყო მოშვება, დასორსალება,
ზამბარასავით დაეხვია და ბაგირა ტანი ექცა რგოლებად.
მღელვარე ზღვაზე ზვირთი რომ ცხრება, ხმაური წყდება, წყალი ტრიალებს
და ყრუ გუგუნით ეშვება დაბლა, ისე ცხრებოდა დრაკონის ტანიც,
თავი კი მაინც მაღლა ეჭირა, რომ დაედრიკა, მზად იყო, დაბლა,
და დამღუპველი ყბები ჩაევლო ორივესათვის ანაზდეულად.
მაგრამ მედეამ დროზე მოტეხა ღვიის ტოტი და მარჯვედ წაუსვა
მძლავრი სამსალა სასმელიანი, მიუახლოვდა ასე გველეშაპს,
ლოცვით, შელოცვით[11], გრძნებით, თილისმით, და მიასხურა გველურ თვალებზე.
სამსალის სუნმა საზარელ ურჩხულს ძილი მოჰგვარა დაუძლეველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბლა დაუშვა დრაკონმა ყბები, ბასრი კბილებით გაჭედილები. 160
კვლავ გაიშალა ურიცხვი რგოლი ფორეჯებიან გველეშაპისა,
და დაკლაკნილი მისი სხეული მთელი ჭალაკის სიგრძეზე გაწვა.
მაშინ მედეას წაქეზებული ეზონის შვილი მივარდა მუხას,
აცოცდა ზედ და მოხსნა საწმისი, ხოლო მედეა იდგა იქვე და
თან ულოცავდა, თან ასხურებდა თვალებზე ურჩხულს ძილის სამსალას,
ვიდრე დაბრუნდა იაზონი და ხელი ჩაჰკიდა, გაუძღვა გემზე.
მაშინ დატოვა მეფის ასულმა ის დაბურული არესის ჭალა.
ბადრი მთვარე რომ დაჰნათის სოფელს და სხივს, ჩამოსულს სახურავიდან
გოგონა იჭერს კაბის კალთითა, მსუბუქ ქსოვილზე ანაბზინს ნახავს
და გაიხარებს მისი მშვენებით, — სწორედ ასეთი ბავშვური შვება 170
დაუფლებოდა ეზონის შვილსაც, ხელთ რომ ეჭირა ოქროს საწმისი,
ეს სანუკვარი ოცნება მისი, ებადრებოდა ღიმილით სახე
და შავგვრემანი ნორჩი ღაწვები ეფაკლებოდა ოქროს სხივებზე.
წლიან სახარე ხბოს ფართო ტყავი ვისაც უნახავს, წარმოიდგინოს,
ან ირმის ტყავი, სოფლელი ხალხი ქორბუდა ირმის ტყავს რომ ეძახის, —
სწორედ ასეთი დიდი ზომისა იყო ის ტყავი ოქროს ვერძისა,
ხშირი და გრუზა, გრძელი, ხვეული მატყლი ზედ უხვად ეფინებოდა.
იაზონსა და მედეას იგი ჩირაღდანივით გზას უნათებდა.
გმირი მხარზე რომ დაიკიდებდა, ფეხსა სწვდებოდა ოქროს საწმისი.
ასე ეკიდა თხემით ტერფამდე და ანათებდა ტყავი მიდამოს. 180
ხან დაკეცავდა ხელახლა საწმისს, აიკეცავდა კიდეებს მაღლა,
და ეშინოდა, რომ წასართმევად თავს არ დასხმოდა კაცი ან ღმერთი.

ეოსი უკვე აფრქვევდა მიწას ციურ სხივებსა, როცა ისინი
გმირთა კრებულში დაბრუნდნენ კიდეც. ახალგაზრდობას ზედ დარჩა თვალი,
როცა იხილა ოქროს საწმისი, ზევსის ელვისებრ სხივთა მთოველი.
ყველა ლამობდა ხელით შეხებას, ხელში აღებას, კარგად გასინჯვას,
მაგრამ მეგიბრებს ეზონის შვილმა არ დაანება ოქროს საწმისი,
ნაზ მოსასხამში გაახვია და კიჩოზე დადო მოწიწებითა,
ზედ კი მედეა დასვა კრძალვითა და მიუბრუნდა მოლაშქრე გმირებს:

„ახლა კი დროა, დაუყოვნებლივ სამშობლოსაკენ ვიბრუნოთ პირი! 190
საქმე, რისთვისაც გავკადნიერდით და ასე მძიმე გზაზე გავედით,
უცხო, შორეულ ზღვებში შევცურეთ და გაჭირვება ვნახეთ ამდენი, —
აღსრულდა, ძმებო, ამ გონიერი, კეთილშობილი ქალის შეწევნით.
მე ის შინ მიმყავს, მისი თანხმობით, როგორც მეუღლე კანონიერი.
ხართ მოვალენი დაიცვათ იგი, აქაველების მოდგმის სახელით,
რადგან სიცოცხლეს და წარმატებას მას ერთს უმადლის მთელი ელადა.
ვიცი, სასტიკი აიეტ მეფე არ დააყოვნებს გამოჩენასა,
კოლხების ლაშქრით დაგვესხმის თავსა, რომ ფაზისიდან აღარ გაგვიშვას.
მაშ დაუბრუნდით თქვენ-თქვენს ადგილებს, ხელი ჩასჭიდეთ ხოფებს
ახლავე, 200
ღანარჩენებმა იფარონ ფარი, დაიცვან გემი და მენიჩბენი,
ამით დაგვიხსნან შუბთა შენისგან და უზრუნველჰყონ შინ დაბრუნება.
ახლა ხელთა გვაქვს მოხუც მშობელთა და ჩვილთა ყრმათა ბედი და წერა,
მასთან მამულის პატიოსნება; ამ საქმის ბოლო იქნება ფუძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ელადის ან შერცხვენისა, ანდა მისივე სახელ-დიდების“.
ასე თქვა გმირმა და შეიმოსა ტანზე აბჯარი, ხოლო პასუხად
ერთხმად გაისმა ქუხილი გემზე. აქ იაზონმა იშიშვლა ხმალი
და გადაკვეთა ბაგირი, რითაც იყო ხომალდი ხეზე მიბმული,
მერე კი დაჯდა აბჯარასხმული მესაჭისა და მედეას გვერდით.
ხოლო ხომალდი ხოფების ცემით დაძრეს ანაზდად, დაუყოვნებლივ, 210
რადგან ჩქარობდნენ ფაზისის წყლიდან უკიდეგანო ზღვაში შეცურვას.

ამასობაში ზვიად აიეტს ეუწყა მისი ასულის საქმე.
მთელმა კოლხეთმა გაიგო ბრძენი ქალწულის ძალა და სიყვარული.
იარაღასხმულ კოლხთა რაზმებმა მყის მიაშურეს მთავარ მოედანს.
რამდენი ტალღა აბობოქრდება, ზღვის ნიავქარი რომ ჩაუქროლებს?
რამდენი ცალი ფოთოლი ცვივა ფოთოლცვენაში ტყის ყველა ხიდან?
რომელი დათვლის? სწორედ ამდენი კოლხი გამოჩნდა მდინარის პირას*,
მოიჩქაროდნენ რისხვით, ქადილით, ხოლო მათ შორის თავს იწონებდა
აიეტ მეფე, ეტლით მოსული, მოაგელვებდა მშვენიერ რაშებს,
რომელნიც მამამ, მზე-ჰელიოსმა აჩუქა თავის საყვარელ პირმშოს, 220
და სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ ფრთამალთა ქართა, ნიავთა სუნთქვას.
მარცხენა ხელში აიეტ მეფეს მომრგვალებული ეჭირა ფარი,
ხოლო მარჯვენით უზარმაზარი ფიჭვის მაშხალა, ზეაწეული**.
გვერდით დაედო საბრძოლო შუბი, ბასრი, მაგარი და წვერმახვილი.
ეტლის სადავე თვითონ ფაეთონს, ჭაბუკ აფსირტეს ეჭირა ხელთა.
ამასობაში ხოფების ცემით ხომალდი გაშლილ ზღვაში გავიდა,
წყალუხვ მდინარის დაუღალავმა ზვირთთა დენამაც უშველა გმირებს.
გულგატეხილმა აიეტ მეფემ ტანჯვით აღმართა ხელები ცაში,
ზევსს და ჰელიოსს მოუხმო მაღლით ეგზომ ბოროტი საქმის მოწამედ,
მერე კი დაბლა დაუყოვნებლივ გაისმა მისი მკაცრი ბრძანება: 230
„თუ არ მომგვარეთ ასული ჩემი, ხელთ არ ჩაიგდეთ სადმე ხმელეთზე
ან გაშლილ ზღვაში, იმ სწრაფ ხომალდზე, ხელფეხშეკრული არ ჩამაბარეთ,
რომ დავიმშვიდო გული და სული უსასტიკესი შურისძიებით, —
თქვენ დაგატყდებათ ეს ჩემი რისხვა, ვეღარაფერი გიხსნით, კოლხებო,
ეს მთელი ჩემი ბრაზი და წყრომა თქვენსავე ზურგზე გადავა მაშინ“.

აი, რა უთხრა ხალხს აიეტმა, ხოლო კოლხებმა დაუყოვნებლივ
გამართეს ყველა საბრძოლო გემი, სწრაფად აღჭურვეს იმავე დღესა,
ზღვაში ჩაუშვეს სანაპიროზე გამწკრივებული ურიცხვი გემი.
კაცი იტყოდა: გემთა კრებული კი არ გასულა გაშლილ ზღვაშიო,
არამედ ფრთამალ ფრთოსანთა გუნდი გაფრენილაო ქვიალ-ხვიალით. 240

---

* პოეტი არსად არ ფარავს, რომ ძლევამოსილი კოლხი მხედრიონის წინაშე ბერძენ გმირთა ლაშქარი ,მთელი თავისი ბრწყინვალებისა და ღვთაებრივი ჩამომავლობის მიუხედავად, ვაჟკაცთა ერთ უმწეო რაზმად ჩანს, ფაზისში შემოსვლის წუთიდან თითქოს დიდების შარავანდედსაც ფერი გადასდის. ერთი გმირიც არაა, რომ აიეტ მეფეს შეებას. ყველანი კანკალებენ ცეცხლისმფრქვეველი ხარების წინაშე ,რომელთაც კოლხთა მეფე თავისუფლად აბამს უღელში, ახლოს ვერ მივლენ დრაკონთან, გაურბიან მდევარს და ა. შ. მთელს წარმატებას მხოლოდ მედეას უმადლიან.

** ზოგ თარგმანში გამოტოვებულია დეტალი: რომ ეს ჩირაღდანი ფიჭვისა იყო. აქ უთუოდ ლაპარაკია კვარზე, რაც საქართველოში დღემდე იხმარება. აიეტს ჩირაღდანი უჭირავს იმის ნიშნად, რომ მოხდა მოუთმენელი ამბავი, რაც შურისძიებას ითხოვს.

ჰერა ჩქარობდა, ვინძლო მედეა მალე ჩავიდეს პელაზგთა მხარეს[12],
პელიას მეფის და მისი მოდგმის დასაღუპავად, დასავსებადო,
და მისი ნებით იმ დილით ზღვაზე კეთილმა ქარმა დაჰქროლა მძლავრად.
მისრიალებდა ზურგქარში არგო და მესამე დღეს განთიადისას
პაფლაგონიის ნაპირს მიადგნენ, სადაც ჰალისის შესართავია[13].
გემი ბაგირით მიაბეს ნაპირს და იქ გადასვლა ბრძანა მედეამ,
რათა ახალი მსხვერპლის შეწირვით მოეგოთ გმირებს ჰეკატეს გული.
ხოლო მედეა რას აკეთებდა ქალღმერთის მსხვერპლად მზადების დროსა,
დაე, ნურავინ იკითხავს ამას, ნურც მე მამღერებს ამაზე მუზა,
რადგან მაშინებს ამაზე ფიქრიც! მაგრამ ის წმინდა საკურთხეველი, 250
რაც აუშენეს მაშინ ჰეკატეს გმირებმა ქვეყნის სანაპიროზე,
არ დაქცეულა, მტკიცედ ნაგები, შთამომავალთა დასანახავად.

მყის გაიხსენა ეზონის შვილმა, და მასთან ერთად სხვა ვაჟკაცებმაც,
როგორ უმისნა მაშინ ფინევსმა, სხვა გზით მოგიწევთ გაბრუნებაო.
მაგრამ ეადან წამოსულ გმირებს ვინ ასწავლიდა იმ გზას, რომელი?
არვინ იცოდა, მხოლოდ არგოსმა ასე მიმართა სმენადქცეულებს:

„მაშ გავეშუროთ წმინდა ორქომენს, საითაც უთქვამს იმ თქვენს ჭეშმარიტ
წინასწარმეტყველს, ვისაც ეასკენ წამოსულები შეყრიხართ გზაში.
არის მეორე საზღვაო გზაცა, ტრიტონურ თებეს[14] შთამომავალთა*.
უკვდავ ქურუმთა ნაჩვენებია ძველად ის დიდი გზა საიდუმლო. 260
ჯერაც არ იყო ყველა ვარსკვლავი, დღეს რომ ციმციმებს მოსარკულ ცაზე;
წმინდა დანაეს და მისი მოდგმის სახსენებელიც არ იყო ქვეყნად[15];
თუნდაც ეკითხათ, და არც ქებული დევკალიონის შთამომავალთა —
დევკალიდების იყო სუფევა პელაზგთა ქვეყნის მიწა-წყალზედა[16],
მთელს ელადაში სახლობდნენ მარტო აპიდანელი არკადიელნი[17],
ეს ტომი თურმე სელენე-მთვარის დაბადებამდე ცხოვრობდა მთებში,
და რკო იყოო მისი საჭმელი, ასე გვაუწყებს ძველი სიმღერა[18].
იმ დროს ყოფილა უკვე განთქმული მთელს ცისქვეშეთში შავი ეგვიპტე**,
უხვყანიანი და უძველესი ახალგაზრდობის მშობელი დედა,
მასთან ტრიტონის დიდი მდინარე[19], უხვი, მშვენიერტალღებიანი, 270
რომლის წყლებითაც ის დალოცვილი შავი ხმელეთი ნოყიერდება:
იქ ხომ არ მოდის ზევსის წვიმა და დედა-მდინარე აპურებს ყანას,
იქიდან მოსულ კაცს დაუვლია თურმე აზია, მთელი ევროპა,
მამაცთა რაზმის ძალით და ღონით გადმოუსერავს ზღვა და ხმელეთი;
იმ ლაშქრობაში დაასახლაო ურიცხვი დაბა, ქალაქ-სოფლები;
ზოგი მათგანი დღესაც არსებობს, ხოლო ზოგისა კვალიც აღგვილა, —
ეს ხომ შორეულ წარსულში მოხდა, საუკუნეთა წიაღთა მიღმა!
ეა კი დღესაც ურღვეველია! დგას და ცხოვრობენ იმ დიდ ქალაქში
იმ მამაც გმირთა შთამომავალნი, დიდმა მოლაშქრემ აქ რომ დატოვა[20].
შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წერილსვეტები, 280

---

* აქ თითქოს საბერძნეთის თებე უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც აგრეთვე **განთქმული** იყო მისნებით, მაგრამ ქვემოთაც ნაჩვენებია (269), რომ ესაა ეგვიპტის თებე, და **თანაც** „ტრიტონი“ — ნილოსის ძველი სახელწოდება — ამგვარ ვარაუდს ფანტავს.

** სქოლიასტის მიხედვით, იგულისხმება შავი მიწა (მერე მთელს აფრიკას **შავი ხმელეთი** ეწოდა). ბერძნები ამ ქვეყანას ევრიასაც ეძახდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმ კირბებზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა[21].
იმ წყალთა შორის ერთი მდინარე ბოლო ტოტია ოკეანისა,
თვითონ საბარგო გემებისათვის საკმაოდ ღრმა და საკმაოდ ფართო,
5 უცხო მხარეშიც იცნობდნენ იმ წყალს, შორეთს ისტროსად სახელდებულსა[22]:
ჩაუვლის მრავალ ველსა და ყანას, ერთ კალაპოტში თავსდება დიდხანს.
რიპაიოსის მთებშია სადღაც მისი სათავე, იქ, საიდანაც
ქრის ღვთაებრივი ბორეასი და ცივი ნასუნთქით ყინავს გარემოს;
ველებს გადაჰკვეთს მერე ისტროსი, აღწევს თრაკიის, სკვითიის საზღვრებს,
10 და იქ იშლება ორ ცალკე ტოტად. ერთი ჩვენს ზღვაში ჩაედინება,
ხოლო მეორე ერთ ღრმა უბეში — ტრინაკრიის ზღვის ნაწილში ჩადის[23]. 290
ეს ზღვა ხმელეთში ღრმად შეჭრილია და თქვენს ელადას ემიჯნებაო,
თუ მართალია ის გადმოცემა, რომ თქვენი ქვეყნის დიდი მდინარე,
აქელოოსი*, შორით მოსული, იმ ზღვის წიაღში ჩაედინება“.

15 არგოსმა სიტყვა რომ დაასრულა, ქალღმერთმა ჰერამ სიკეთის ნიშნად
მათ სასწაული უჩვენა ცაში, და დაიძახეს მისთა მხილველთა:
„ამ გზას გავცურავთ!“ — ეს ცისარტყელას მსგავსი ნათელი გაევლო ცაზე,
გმირებს უჩვენა მიმართულება, საითაც უნდა ეცურა არგოს.
იქვე დატოვეს ლიკოსის შვილი დასკილე, მეფემ რომ გააყოლა,
20 და სიხარულით ფრთაშესხმულებმა დაძრეს ხომალდი აფრაგაშლილი,
უკან დატოვეს პაფლაგონიის მთიანი მხარე, და კარამბისის 300
კონცხისთვის აღარ შემოუვლიათ. ნიავქარივით მიჰქროდა გემი.
არც ის ციური სხივი გამქრალა, და არც საამო ქარი ჩამდგარა,
24 ვიდრე ისტროსის ვრცელ შესართავში არ შეაცურეს გმირებმა გემი.

23 კოლხი მდევრების ერთმა ნაწილმა დიდხანს ამაო ძიების შემდეგ
ევქსინის პონტო მიატოვა და გემებით განვლო კიანის კლდენი,
ხოლო მეორე, თვითონ აფსირტეს წინამძღოლობით, ისტროსს მიადგა:
20 მოკლე გზას აჰყვა, გაუსწრო გმირებს, გასცდა მშვენიერ შესართავს გემი[25],
შემოუარა მცირე ყელს ცურვით, შეუსვენებლივ გაიჭრა წინა,
და იონიის ზღვის უკიდურეს უბეს მიადგა არგოზე ადრე[26].
იქ კუნძულია სამკუთხოვანი, პევკე, ისტროსის წყლებით ნარეცხი[27]. 310
ფართო მხარე აქვს ზღვის ნაპირისკენ**, ვიწრო — მდინარის კალაპოტისკენ.
15 მახვილი კუთხით ჰყოფდა კუნძული ისტროს-მდინარის დინებას ორად.
ერთის სახელი არის ნარექსი და მშვენიერი ქვია მეორეს,
უფრო ახლობელს, და არგონავტებს გზაც აქ მოუჭრეს მაშინ კოლხებმა.
ხოლო გმირებმა ახლა დაიწყეს მთელი კუნძულის შორით შემოვლა.
გემის უნახავ მწყემსებს ეგონათ, ზღვის ურჩხულებმა ამოცურესო,
10 დატოვეს ფარა იმ ველურებმა, თავ-კისრის ტეხვით გაიქცნენ მთებში,
რადგან არასდროს მათ არ ეხილათ ქვეყნად ხომალდის მსგავსი რაიმე —
8 არც ველურ სკვითებს, თრაკიელებთან რომ აღრეულან მთელს იმ მხარეში,

---

* აქელოოსი (Acheloos) და არა აქელოიოსი, საბერძნეთის უდიდესი მდინარეა (220 კმ სიგრძისა, უწინ თოასი, აქსენოსი, თესტიოსი, აწ ასპროპოტამოსი — თეთრი მდინარე), მიედინება აკარნანიასა და ეტოლიაში, ჩადის პატრასის უბეში, აქაიის ჩრდ.; ასე ერქვა მდინარის ღმერთსაც, რომელიც ჰერაკლემ დაამარცხა. ცხადია, ასეთი სანაოსნო გზები არასოდეს არსებობდა, პოეტს ეშლება. მისი შეცდომები ძველ დროშივე აღიარეს გეოგრაფოსებმა სკილაქსმა და მელამ (დუნაის სათავის, მისი მითიური განშტოებების ამბავი).

* პროზ. თარგმანშია „მდინარისკენ“.

არც სიგინებსა და არც გრავკინებს, არც ლავრიონის ფართო, უდაბურ 320
ველზე მცხოვრები სინდების მოდგმას ჯერ არ ენახა არც ერთი გემი[28].
კოლხებმა* სწრაფად ჩამოიტოვეს ანგურის მთა[29] და განაგრძეს ცურვა,
კვალიაკოსის კლდეც და ნაპირიც, შორს გადაშლილი, დატოვეს მალე, —
სადაც ისტროსი ორად იყოფა, სხვადასხვა ზღვებში ჩაედინება**, —
ფართო დაბლობიც ლავრიონისა ჩამოიტოვეს დაბოლოს უკან,
და მოეფინენ კრონოსის ზღვასა[30], — ამით ჩაკეტეს ყველა კუნძული,
რომ ვერაფერი ღონისძიებით ვერ დასხლტომოდათ ხელიდან მტერი.
არგონავტები კოლხებს ჩამორჩნენ, მერე ჩაცურეს დაღმა მდინარე,
ზღვაში შეცურეს და ბრიგეიდის ორ მცირე კუნძულს მიადგა გემი[31].
აქ მბრძანებელი არტემიდეა, ერთზე დგას მისი წმინდა ტაძარი, 330
მეორეზე კი არგონავტები გავიდნენ, რადგან მდევართა გუნდი
შემოსდგომოდა ყველა გასასვლელს, მხოლოდ კუნძულზე არ იყვნენ კოლხნი,
ზევსის ასულის შიშით მოცულნი ვერა ბედავდნენ იქით გადასვლას,
სხვა კუნძულები კოლხებს ეკავათ და ჩაეკეტათ გასასვლელები.
თვითონ მდინარე სალანკონამდე რაც კუნძულია, დიდი თუ მცირე,
და ნესტიელთა მხარემდეც, იქით, კოლხთა მეომრებს ეკავათ ახლა.

მცირერიცხოვან გმირთა და კოლხთა ურიცხვი ლაშქრის შეხვედრა იმ დღეს
რა სავალალოდ გათავდებოდა! დამარცხდებოდნენ მინიელები, —
მაგრამ არიდეს თავი ბრძოლასა და სამშვიდობო იწყეს თათბირი:
ოქროს საწმისი გმირებს დარჩებათ სამარადისო საკუთრებაში, 340
რადგან დაჰპირდა მათ აიეტი — თუ აჩვენებენ საგმირო საქმეს,
და პატიოსნად თუ ვერაგულად, მეფის ნებით თუ საპირისპიროდ
გამოიტაცეს ოქროს საწმისი, — ტყავი მათია კანონის ძალით,
რადგან აღსრულდა უნაკლოდ ისა, რაც დაავალა მეფემ იაზონს.
მაგრამ მედეა, — ეს იყო სწორედ მათი დავის და განსჯის საგანი, —
უნდა გავიდეს გმირთა ლაშქრიდან, ლეტოს ასულის ტაძრად შევიდეს[32]
და იქვე დარჩეს, ვიდრე ერთ-ერთი მეფე განაჩენს გამოიტანდეს
და გადაწყვეტდეს, გაბრუნდეს ქალი მამისეული სასახლის ჭერქვეშ.
თუ საბერძნეთის მიწაზე გაჰყვეს ელადის რჩეულ, დიდებულ გმირებს!

თარგმნა **აკაკი გელოვანმა**

□ გაგრძელება იქნება □

---

* აქ ზოგ თარგმანში შეცდომით წერია „არგონავტებმა". გზა ფაქტიურად ერთი აქვთ, მაგრამ გზის გადასაჭრელად კოლხები მიიჩქარიან.

** იგულისხმება შავი და ადრიატიკის ზღვები, რომელთაც თითქოს ერთვის ისტროსის (დუნაის) ორი ტოტი (სინამდვილეში ეს ფანტაზიის ნაყოფია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტებანი*

1 ავტორი მოუწოდებს ისევ ქალღმერთ ერატოს.

2 მთვარეს (სელენეს) უყვარდა ჭაბუკი ენდიმიონი. იგი ზეციდან კარიის მთაზე ლატმოსზე ჩამოდიოდა და გამოქვაბულში მძინარე ენდიმიონს ჰკოცნიდა.

3 ძველებს სწამდათ, რომ ჯადოქრებს ციდან მთვარის ჩამოყვანა შეეძლოთ.

4 ათამასის ძე — ფრიქსე.

5 ზევს ფიქსიოს.

6 ტიტანური ეა-ეას ეს სახელი ან იმასთანაა დაკავშირებული, რომ ტიტანი პრომეთე ეას მახლობლად იყო მიჯაჭვული, ან ჰელიოსთან (მზესთან), რომლის სხივებიც ეაში ძევს.

7 ლიკე — აპ. როდოსელის მიხედვით ფაზისს ერთვის. აკად. ს. ჯანაშიას იგი მდ. ჭოროხის საცილობელ სახელად მიაჩნია და პოეტის ამ ცნობას მკაფიო გეოგრაფიულ კონტამინაციად თვლის.

8 ჰიპნოსი — ძილის ღმერთი.

9 იგულისხმება ქალღმერთი ჰეკატე.

10 ტექსტში: ოიმე, რაც გრძნეულ სიმღერას ნიშნავს.

12 იგულისხმება თესალია.

13 იხ. II წიგ. შენ. 23.

14 ტრიტონური თებე —ეგვიპტის თებე, მდ. ნილოსზე.

15 დანაე-ბელეს ძე. „პაროსის ქრონიკით" ეგვიპტიდან წამოვიდა და დაეუფლა არგოსს (1511 წ. ქ. წ.).

16 დევკალიდები — დევკალიონის ნაშიერები. დევკალიონის ძე იყო ჰელენე. ჰელენეს ჰყავდა სამი ძე: ეოლოსი, დოროსი და ქსუთოსი, რომელთაგანაც ბერძენი ხალხის უმეტესი ნაწილი წარმოიშვა.

17 არკადია — ოლქი ცენტრალურ პელოპონესში.

18 ტრიტონის დიდი მდინარე — ნილოსი.

19 იგულისხმება ეგვიპტის ფარაონის სესოსტრისის ლაშქრობა. ის იყო ეგვიპტის ლეგენდარული მეფე (IV ათასწლეულში). აპ. როდოსელი არგოსის სიტყვით გადმოგვცემს ცნობას ეაში მცხოვრები კოლხების ეგვიპტელებისაგან წარმოშობის შესახებ... ჰეროდოტეც პირდაპირ ამბობდა: „მგონი, კოლხები ეგვიპტელები არიანო". ეს ცნობა დაუდასტურებელია და ალბათ კოლხეთსა და ეგვიპტეს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობაზეა აგებული.

20 ცნობა კირბების შესახებ პირველად აპ. როდოსელთან გვხვდება. არგოსის სიტყვები, რომ კოლხებს მამებისაგან დანაწერი კირბები აქვთ, კოლხთა კულტურის მაუწყებლად უნდა ჩაითვალოს ანტიკურ ხანაში... კარლ რიტტერი წერს: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება არ ეკუთვნით მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის (ა. ჭყონია, ისტ. ნარკვევი ანუ ქრესტომათია საქ. ისტორიისათვის, თბ., 1890, 124). აპ. როდოსელის ცნობიდან კირბების შესახებ ირკვევა, რომ ბერძნებს კოლხები მაღალი კულტურის ხალხად ჰყოლიათ წარმოდგენილი. ამას „არგონავტიკის" სხვა ადგილებიც ამტკიცებს (მაგ. აიეტ მეფის სასახლის აღწერა). კირბები ან სვეტებია (სქოლიასტი) ან „სამწახნაგა დაფები" (სვიდა). საიდან აიღო პოეტმა ცნობა კოლხეთში კირბების არსებობის შესახებ, გაურკვეველია.

21 ისტროსი — დუნაი.

22 იგულისხმება ჰიპერბორიელთა მთები.

23 ტრადიციულ ტექსტში „ჩვენი ზღვის" (ე. ი. ევქსინის პონტოს) ნაცვლად არის „იონიის ზღვა", რაც გაუგებრობას იწვევს. იონიის ზღვა აქ არაფერ შუაშია, არგოსი შავ ზღვას გულისხმობს.

24 ტრინაკრია — სიცილიის უძველესი სახელია, ტრინაკრიის ზღვა — ადრიატიკის ზღვაა. პოეტს ეგონა, რომ დუნაი (ისტროსი) ერთ-ერთი ტოტით ადრიატიკის ზღვას უერთდებოდა.

25 აქელოიოსი — აკარნანიის მდინარე.

26 იგულისხმება ადრიატიკის ზღვის უბე.

27 პევკე-აწინდელი პიკცინა.

28 თრაკიელი სკვითები, სიგინები, გრავკენები და სინდები — ისტროსის ბასეინში მცხოვრები ტომები.

29 ანგურის მთა — სკვითიაში, ისტროსის მახლობლად.

30 კრონოსის ზღვა — ადრიატიკის ზღვა.

31 ბრიგეიდური კუნძულები — ადრიატიკის ზღვაში (აფსირტიდები).

32 ქალღმერთი არტემიდე.

---

* პროფ. აკ. ურუშაძისა (მცირე შემოკლებით).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსეპ გრინბერგი

პოეზიის ალმაფრენა და პროზის დინჯი ნაბიჯები

მწერლის თავისებურების გაგებასა და განსაზღვრას როცა ცდილობ, გულისყურს მის მიერ გაშუქებულ ფაქტებს და ავტორის მიერ არჩეულ თხრობის ნაირსახეობას აპყრობ. ეს ბუნებრივიცაა: თემის არჩევანიცა და ამა თუ იმ ჟანრისკენ მიდრეკილებაც ერთნაირად ახასიათებენ სიტყვის ოსტატის მისწრაფებებს, მწერლის აზროვნების წყობას.

მაგრამ იშვიათად როდი ხდება, რომ ერთი და იმავე ხელით დაწერილი წიგნები სხვადასხვაგვარად არის აგებული, სხვადასხვაგვარად ელვარებენ, გვესიტყვებიან სრულიად განსხვავებულ მოვლენებსა და ხვედრზე. მოიცავენ შორი-შორ ცხოვრებისეულ მოვლენებს. ასეთ შემთხვევაში გასაგები ხდება, რომ მწერლის ინდივიდუალობაში მთავარი და გადამწყვეტია მისი მსოფლგანცდა, ზნეობრივი, იდეური პოზიცია, მისი წარმოდგენები სინამდვილეზე. ავტორის მიერ ხორცშესხმული სახეები თავიანთი სასიცოცხლო არსითაც და წყობითაც შეიძლება დიდად განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან.

ასეთია გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებაც. მისი ტალანტი გიზიდავთ შინაგანი სიმწყობრითაც, შეხედულებათა და ინტერესთა თანმიმდევრულობითაც, გამოსახვის ფორმათა მრავალფეროვნებითაც. მისი წიგნის ფურცლები თანამედროვეობითაც სუნთქავენ და შორეულ წარსულად ქცეულ წლებსაც აცოცხლებენ. მის კალამს ეკუთვნის ლექსები და რომანები, პოემები, მოთხრობები, პიესები. ეს თვითმყობადი, სრულქმნილი ნაწარმოებები სამ ათეულ წელზე მეტია ქვეყნდება. მაგრამ ეს ნაწარმოებები ერთმანეთს ეხმიანებიან, მათ ორგანულად აერთიანებს მტკიცე ორგანული ძაფები, ხანდახან არცთუ მაშინვე, ხანდახან კი დაუფარავად და გამოკვეთით შესამჩნევნი.

ორმოციანი წლების მიწურულს, სამგორის ველზე, დიდი არხის მშენებლობაზე ყოფნის შედეგად მან დაწერა ლექსების ციკლი „ლენინი სამგორში“ წარსული და აწმყო ერთმანეთის გვერდით დადგა «весомо, грубо, зримо» აქ მაიაკოვსკის სიტყვების მოშველიება გვჭირდება იმიტომაც, რომ ხანდაზმულობა ძველის-ძველი კედლებისა, რომლებზეც ლაპარაკობდა პოეტი, ცოტათი თუ დაუვარდება მონების ხელით აგებული რომის დიდებული წყალგაყვანილობის ხანდაზმულობას.

ბნელში დანთქმული, ქვესკნელს ჩაფლული,
ჩამორღვეული ქვის ციტადელი,
ახლა ჩვენს თვალწინ იდგა ზღაპრული,
ათას ხუთასი წლის წინანდელი.
და გვაკვირებდა: მე გორგასალის
მტრებთან კვეთება თავგამოდებით,
მათ — გამძლეობა ციხის მასალის
და ოსტატური წყობა ლოდების.

და შემდეგ:

ვიდექით ასე, მდუმარედ, დიდხანს,
თუმც დრო გვმიჯნავდა ათასწლეული,
ჩვენს შორის კიდევ მესამე იდგა
უსხეულო და ლანდად ქცეული.
ის, ვინც დაფნის და დიდების ღირსი
მიწამ შეჭამა ერთმა მუჭამა,
ჩვენს შორის იდგა აჩრდილი მისი,
ვინც აუშენა ვახტანგს უჯარმა.

ამ შეხვედრის მხურვალებას, მისგან გამოწვეულ მღელვარებას მყარი საფუძველი აქვს: ესაა მემკვიდრეობითობა მშენებლებისა, რომ-

ლებიც საუკუნეების განმავლობაში იღვწოდნენ სამშობლოს სასახელოდ, იცავდნენ მას. პოეტი თავის თავს გრძნობს მძლავრ მდინარ ერთიანობასთან წილნაყარად, თაობათა შეუჩერებელი ესტაფეტის მონაწილედ.

ეს ესტაფეტა კვლავ და კვლავ ახლდება. სასაზღვრო რაიონებში პოეტი მხარში უდგას იმ მშრომელებს, რომლებმაც ააღორძინეს სამცხის მიწა და იმ გმირებს, მშობლიური მიწის დაცვას ოდესღაც რომ შეეწირნენ. არხის წყლით მორწყულ დაბლობს, რომელიც ოდესღაც ბრძოლის ველი იყო, ახლა ტრაქტორების გუნდი შესევია.

შმაგი, თავნება მდინარეებიც, რომლებიც გარდასულ დროთა შფოთიანი თავადებივით დაუნდობლები და ვერაგები იყვნენ, ახლა ბეტონში მომწყვდეულან და მათი ტალღების ძალა ერთიანი სამშობლოს ბედნიერებას ემსახურება.

ასე უბრალოდ და შინაგანი აუცილებლობით იყრიან თავს ერთ კვანძში, ირწყმებიან ერთ სახეში წარსული და აწმყო. თავად სინამდვილეს მივყავართ ამ დაახლოებისკენ. თავის ავტობიოგრაფიაში გრ. აბაშიძე გვაუწყებს, რომ დაბადებულია და გაზრდილი იგი მხარეში, სადაც ფერდობები ვენახებითაა დაფარული, ხოლო მიწის წიაღი მარგანეცის მდიდარი ფენებითაა სავსე. ბნელით მოცულ მღვიმეებში ახლაც აწყდებიან ხოლმე ისტორიამდელი ადამიანის სადგომის ნაკვალევს, ცაში კი საბაგირო გზებზე დაჰქრიან პატარა ვაგონები. ხოლო, ყრმა პოეტი პირველად მოადგა თბილისს, მან კლდის წვერზე ჯვარის დიდებული მონასტერი იხილა, ქვეეით კი, ხეობაში კაშხალი და ბრინჯაოს ქანდაკება ლენინისა... გამუდმებით, კვლავ და კვლავ, ჭაბუკის თვალსაწიერში ექცეოდა წლობით განცდილი და ხილული მოვლენების, ფაქტების წყება. და რა გასაკვირია, თუ შემდგომ გრ. აბაშიძე იტყვის: „შორეული წარსულისა და დღევანდელი დღის ურთიერთ კავშირი იმდენად მაღელვებდა, რომ ბოლოს და ბოლოს იგი იქცა ჩემი პოეზიის ერთ-ერთ მთავარ მოტივად“. პროზისაც — დავუმატებდით ჩვენ... ის, რაც ლექსში შეკუმშულად, წამიერად, ელვისებურად ვლინდებოდა, მხარს შლიდა რომანში, ვითარდებოდა სივრცეში, ყოველ მხარეს. მაგრამ ამაზე შემდეგ მოგახსენებთ.

დამოუკიდებლობისათვის შეუპოვრად, მამაცურად მებრძოლი საქართველოს ისტორიაში ბევრი ფურცელია, რომელთაც შეუძლიათ პოეტის წარმოსახვის აღმაფრენა. სიუჟეტებისა და ბედ-იღბალთა ამ ზღვაში გრ. აბაშიძე იმთავითვე ირჩევს იმას, რასაც ჩვენი თანამედროვე ადამიანების გულისყურის მიპყრობა ძალუძთ. ომის წინადღეებში დაწერილი „თელავის ციხის ლეგენდის“ გმირია ერეკლე II, ვინც რუსეთთან დაახლოების პოლიტიკას განუხრელად ატარებდა. სულ მალე, ომმა რომ იქუხა და ბრძოლის აჩრდილი დაადგა მთელი ჩვენი ქვეყნის პოეტების ლექსებს, გრ. აბაშიძე იხსენებს „ქართლის ცხოვრების“ სტრიქონებს, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ როგორ „მოიღეს დროშები“ „დავითიანი და გორგასლიანი“. და ამას იმისთვის იხსენებს, რომ ქება-დიდება თქვას იმ დროშისა, რომელიც საბჭოთა არმიის მებრძოლებს წინ მიუძღოდა. ლეგენდარულ ამირანად ესახებოდა მას გამარჯვების გაზაფხული, რომელიც დაუდგა განახლებულ, გათავისუფლებულ კაცობრიობას. და შემდეგ — მშვიდობიან წლებში, ხალხის დიდებული და ჭირვარამიანი გამოცდილებით მდიდარი თქმულებები და ლეგენდები მტკიცედ მკვიდრდებიან პოეტის სახეების მწყობრში, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის სულითაა გამსჭვალული.

ვცადოთ და ღირსეულად შევაფასოთ ეს დაქინებული სწრაფვა წარსულის ასახვისკენ, გავიზიაროთ ამ გარემოების ნამდვილი მნიშვნელობა. საჭირო არაა იმის მტკიცება, თუ რაოდენ საზიანოა პატრიარქალურობის წინაშე ქედის მოხრა, ან რაოდენ შორს არის ჭეშმარიტებისაგან ყოველგვარი მიფუჩეჩება უსამართლობისა და უბედურებისა, რომელთაც წარმოშობს ექსპლოატატორული საზოგადოება, ადამიანთა მასების ჩაგვრა.

მეოცე საუკუნის მანძილზე არაერთხელ უცდიათ რეაქციული რეჟიმების შავბნელი საქმეების და დოგმების გამართლება. არაერთხელ უცდიათ გაეცოცხლებინათ დიდი ხნის წინათ დამარხული მითები, ნორმები, კანონები, რომელთა ობსკურანტიზმი უკვე წარსულის მოწინავე მოღვაწეებსაც აღაშფოთებდა.

ამიტომაც, ისტორიულ რომანებში, პოემებში, პიესებში საზოგადოებრივი განვითარების ოდინდელი თუ ახლო წარსულის ეტაპების ასახვას პირდაპირი და უშუალო კავშირი აქვს თანამედროვეობის უმწვავეს საკითხებთან. რომლებიც იდეოლოგიური ბრძოლის ყველაზე „თაკარა წერტილებში“ ვლინდება. ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა ისაა, რომ იგი უარს ამბობს წარსულის „გრიმირებაზე“, ფაქტების მიმართ ძალდატანებაზე, წინასწარგანზრახულ ცალმხრივობაზე. მეცნიერული კომუნიზმის თეორია, მისი შემოქმედებითი ათვისება მხატვარს თვალწინ უშლის ისტორიული პროცესის ჭეშმარიტებას და ეს თეორია საიმედო მოძღვარია, გზისმკვლევია ყველაზე რთული და დაძაბული ძიებების დროს. გვახსენდება ალექსეი ტოლსტოი, რომელიც „პეტრე პირველზე“ მუშაობის პერიოდში ხაზს უსვამდა მატერიალისტური დიალექტიკის კეთილისმყოფელურ გავლენას: „ისტორია წარმოგვიჩენს ხელუხლებელ, უხილავ

განძს. მარქსისტული ანალიზის წყალობით ისტორია გაცოცხლდა მთელი მისი მრავალფეროვნებით, კლასობრივი ბრძოლის დიალექტიკური კანონზომიერებით".

ხელუხლებელი განძის ათვისება გრძელდება. იგი მძლავრად, მხარგაშლით მოდის — სერგეი ბოროდინის „ვარსკვლავები სამარყანდის თავზე" ან ვერა პანოვას ვრცელი მოთხრობები კიევისა თუ მოსკოვის რუსეთზე, გიორგი გულიას რომანები ანტიკურობაზე, ან იური დავიდოვის რომანები ნაროდოოლცებზე.

ამ მწყობრში გრიგოლ აბაშიძის დილოგია „ლაშარელა" და „დიდი ღამე" საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა.

2.

მწერლის გაბედულებამ, მისმა მზადყოფნამ ძველი ამოცანების გადასაწყვეტად, თავი უკვე იმაში იჩინა, რომ მან გულისყური მიაპყრო ავბედით ეპოქას, რომელმაც დიდი უბედურებები დაატეხა ქართველ ხალხს. უეჭველი ამბავია, რომანისტისთვის უფრო სასიამოვნო და თავმოსაწონი იქნებოდა აესახა ის წარმატებები, რომლებიც საქართველომ თამარ მეფის ეპოქაში მოიპოვა. მაგრამ მან მზერა შეაჩერა ამის მომდევნო ათწლეულებზე, როცა ჯერ ჯალალედ-დინის შემოსევამ, ხოლო შემდეგ მონგოლი დამპყრობლების მოზღვავებამ აყვავებული, ამაყი, ძლიერი ქვეყანა უდაბურ, უსიცოცხლო ნანგრევებად აქცია. ამგვარი არჩევანი მწერლისგან მოითხოვდა გულწრფელობასა და ღრმააზროვნებას, გამჭრიახობასა და შთაგონებულობას, ვაქკაცურობასა და გულისხმიერებას.

დილოგიის წარმატება სწორედ ამ თვისებებმა განაპირობეს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დილოგიის რომანები სხვადასხვაგვარადაა დაწერილი. პირველში — „ლაშარელაში" — საქმე ეხება თამარის ვაჟის — გიორგი მეოთხის, ლაშად, ლაშარელად წოდებულისა და თავნება დიდებულების, ფეოდალების ურთიერთბრძოლას; აქაა სიყვარული, უშველებელი, მშვენიერი სიყვარული, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება ხალხის ზნეობის საფუძველთა საფუძველს და ამიტომაც ტრაგიკულად ბოლოვდება. „დიდ ღამეში" თხრობის შინაგანი საზღვრები ფართოვდება, თავზე დამტყდარი კატასტროფული მოვლენების წიაღ განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება ხალხის შემოქმედებითი ძალები, რომლებიც არ ჩამქრალან უცხოელთაგან დაპყრობის შედეგად დამდგარი მკაცრი, დიდი ღამის წყვდიადში. ნიშანდობლივია, რომ მხედართა გვერდით, რომლებიც ხან ავიწროებენ მათ, ხან კი ერწყმიან,— მეორე რომანის მთავარ მოქმედ პირებად გვევლინებიან ოსტატები — ხუროთმოძღვარი, მხატვარი, მეცნიერი, ოქრომჭედელი, პოეტი.

დიახ, პოეტ თურმან თორელს ჩვენ დილოგიის პირველ თავშიც ვხვდებით და ბოლო გვერდზეც. ამავე დროს, ნათელი სამყაროს მადიდებელი სიმღერა იწყება „ლაშარელა" და ბრძოლისკენ მომწოდებელი საბრძოლო სიმღერა წერტილს უსვამს „დიდ ღამეს". როგორც ვხედავთ, გრიგოლ აბაშიძემ თავის პროზაში გამოავლინა ერთგულება პოეზიისადმი, აღიარა პოეზიის შეუდარებელი ძალმოსილება.

ამასთანავე, გრ. აბაშიძე გულდაბეჯითებით დადგა რომანული თხრობის ნიადაგზე, საფუძვლიანად შეითვისა პრინციპები დიდი პროზისა — მისი რთული, განტოტებული სიუჟეტი, დრამატული სიტუაციების წყება, მონუმენტური, რელიეფური ხასიათები...

„XIII საუკუნის ქართული ქრონიკა" — ასე განსაზღვრა ავტორმა თავისი წიგნის ჟანრი. მის ფურცლებზე ვხედავთ მეცნიერ-მემატიანეს პავლიას, რომელიც აღმწერელია უზარმაზარი ძვრებისა და უბედობისა. პავლია ერთი იმათგანია, ვინც მშვენიერი ქართველი პოეტის— გიორგი ლეონიძის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ჟამთა ზღვაში წიგნი ჩადგა, როგორც ფაცერი". რაღა თქმა უნდა, გრ. აბაშიძე მისი შორეული მოძმისაგან განსხვავებულად გვესაუბრება. იგი გარდასულს შემდგომი დიდი ძვრების მწვერვალიდან დამზერს, მას შეუძლია ჩვენი მეცნიერების მონაპოვრებიც გამოიყენოს და ახლანდელი ანალიტიკური სახოვანების საშუალებებიც. და, მაინც, ეს სულაც არ უშლის ხელს ავტორს, რომ მიჰყვეს იმ გმირი წინაპრების კვალს, რომლებმაც თავიანთი სიტყვა ხალხის ბედიღბალს მიუძღვნეს. პოემა „ქართლის ჭირში" დიდი დავით გურამიშვილი გულდათუთქული წერდა:

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის,
თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გადაიქცა,
ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი.

დიახ, ამის თქმას სიბრძნე უნდოდა, მხოლოდ მისი წყალობით შეეძლო მთხრობელს ჭეშმარიტების უტყუარი, საიმედო გზების მონახვა:

აწ რომ ავი არ ვაძაგო,
კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგ სახელად რა დავარქო?

გრ. აბაშიძეს ყველა უფლება ჰქონდა, რომ ეს შესანიშნავი სტრიქონები ეპიგრაფად წარემძღვარებინა თავისი დილოგიის რომელიმე თავისთვის, როგორც წარუმძღვარა რუსთაველისა და ომარ ხაიამის, ბიბლიისა და ხალხური ლექსის სტრიქონები, მარკო პოლოს თხზულებისა და მონგოლური ეპოსის ნაწყვეტები. აქ იმდენად ყველა შესაძლებელი წყაროს ცოდნაზე კი-

არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება, არამედ ასოციაციებისა და მოვლენათა შეპირისპირებების მასშტაბებზე, იმ ძაფებზე, რომლებითაც მწერალი დაკავშირებულია სხვა ხალხებთან, ეპოქებთან.

ფართოდ გაშლილმა ჩანაფიქრმა მოითხოვა სახეთა აგების მრავალფენიანობაც. დილოგიას „ქრონიკა" კი უწოდა, მაგრამ ავტორი, სინამდვილეში თხრობის ნაირგვარ საშუალებებს იმარჯვებდა — აქ არის გმირული თქმულებების მკაცრი პათოსიც და ბატალური ფერწერის მკვეთრი დაძაბულობაც, შერწყმული დახვეწილ ფსიქოლოგიზმთან. აქ არის სატრფიალო ვნებათაღელვა, სასახლის ინტრიგის ქსელი, არის ძლიერი, დაუოკებელი ვნებების ჭიდილი... ყველა ეს განსხვავებული მოტივი ქმნის მყარ, ურღვევ დუღაბს; აქ შემდუღაბებელი ძალა აღმოჩნდა კონფლიქტი, რომელიც თანდათან და გარდაუვლად იჭრება ყველა მოვლენაში, — ამ კონფლიქტის ხმა თავიდან ყრუდ, შემდეგ კი თანდათან უფრო და უფრო ძლიერად, მრისხანედ ისმის და ბოლოს სასოწარკვეთილებისა და იმედოვნების მაღალი ნოტით მთავრდება.

ჩვენ უკვე ვიცით: ეს კონფლიქტი აყვავებიდან დაცემისკენ, სიმდიდრიდან — უპოვრობისკენ, მძლავრი თვითმყოფობიდან ქვეშევრდომობისკენ დაღმასვლის კონფლიქტია. მეცამეტე საუკუნის დასაწყისის მდიდრული, თვალის დამატყვევებელი თბილისი არაერთგზის გაიელვებს რომანში, მაგრამ განსაკუთრებული, გზაგამყოფი მნიშვნელობა იმ სცენას აკისრია, რომელშიც პოეტი თორელი, ხუროთმოძღვარი და მეომარი გოჩი მუხასძე, და ახალგაზრდა დიდებული ავაგი მაღლით დასცქერიან ძილში წასულ დედაქალაქს, ტკბებიან მისი სასახლეებისა და ტაძრების მზერით: „აბა დააცქერდით, ქალაქიც ნახატსა ჰგავს, უზარმაზარ სურათს, მის საზღვრებში ყველაფერს თავისი ადგილი და ფერი აქვს".

არცთუ დიდი დრო გადის და იგივე მუხასძე ცეცხლში გახვეული სასახლიდან, რომელიც თავად ააშენა და თავადვე მისცა ცეცხლს, შეჰყურებს თბილისს — თბილისელების მიერვე გადამწვარს: „მეტეხის კლდესთან მტკვარი შავად ბრუნავდა. ცეცხლმოდებული და უკვე დანახშირებული, წყალში ჩაცვენილი სახლების ნანგრევები მოჰქონდა მტკვარს. ქალაქის ოთხივე მხრიდან კვამლი იძროდა და ალი იფოფრებოდა, დრო და დრო ნიავი დაუბერავდა, შავი ბოლი კიდევ უფრო დატრიალდებოდა და ცაში შადრევნებად ადიოდა ურიცხვი ნაპერწკალი".

ერთიმეორის გვერდით დაყენებული ეს ორი სურათი თვალსაჩინო პლასტიკურობით გადმოგვცემს მსახვრალ ძალას საბედისწერო ძვრებისა, რომლებიც ასეთი შემაძრწუნებელი სისწრაფით ხდება.

მაგრამ ხილვითი, საგნობრივი პლასტიკის გარდა, არსებობს ფიქრების, გრძნობათა, ლტოლვათა, განცდათა პლასტიკაც და სწორედ ეს იქცა დილოგიის „განმსჭვალავ — მოქმედებად", ამან შეაძლებინა გრ. აბაშიძეს, რომ დრამატულობა მიენიჭებინა ფერწერული სცენებისთვის, ისინი ისტორიული, მოქალაქეობრივი, ადამიანური აზრით დაეტვირთა.

აქ უკვე აღინიშნა დილოგიის რომანების ნაირგვარობა. ცალკე წაკითხული „ლაშარელა" უფრო ტრადიციული, ჩვეულებრივი ჩანს: კარისკაცების ხრიკები; მბრძანებელი, რომელიც თავის ვასალს ცოლს სტაცებს; მებატონეების წინააღმდეგ ამბოხებული გლეხები ყაჩაღდებიან— ამგვარი კოლიზიები უკვე გვხვდებოდა ისტორიულ რომანისტიკაში, თუმცა, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა დროს მათ სხვადასხვაგვარი ეღერადობა ენიჭებოდა.

მაგრამ „დიდი ღამე" თითქოს პირუკუ, გამსჭვალავ შუქს ფენს ლაშას პიროვნებას, მის მცველ ლუხუმს და მათ შორის ჩამდგარ მშვენიერ ლილეს, მეფისა და დიდებულების შუღლს. ამ კოლიზიების იქით, რომელთაც შედარებით კერძო ხასიათი აქვს, სულ უფრო ცხადად არჩევს თვალი გაცილებით დიდმასშტაბურ ჭირვარამს. „ყველაფერი რიგზე როდია აგრერიგ ამაღლებულ სამეფოში" — შეეძლო ეთქვა ფილოსოფიური აზროვნებისკენ მიდრეკილ რომელიმე პერსონაჟს რომანისა. უკვე „ლაშარელას" ერთ-ერთ ფინალურ თავში ბრძენი ჩალხია (იგი კონსტანტინეპოლსა და ანტიოქიაში განათლდა, აღმზრდელი იყო უფლისწულისა, მერე კი დედაქალაქიდან მთაში წავიდა), დამპყრობლებთან ბრძოლაში დაღუპული მამაცი ლუხუმის გვერდით დაცემული ასე ეუბნება შალვა ახალციხელს, ერთ-ერთ შორსმჭვრეტელ და სამართლიან დიდებულს: „ჩვენ ყმა გლეხების თავისუფლებისათვის ვიბრძოდით და მეფემ ჩვენი თავი ისევ ყმაგლეხებს ამოაჟლეტინა, მაგრამ ეს იცოდე, შალვა, კარგი დღე არც მეფესა და ჩვენს ქვეყანას დაადგება. ეგ ლახვარი მარტო მიგრიაულს კი არა, საქართველოს ძლიერებას ჩასცეს ზურგში, რადგან საქართველოს ძლიერება მიგრიაულისთანა პატიოსან ყმაგლეხების ძალასა და სიმტკიცეზე იყო მუდამ დამყარებული!"

მოხუცი ფილოსოფოსის ეს სიტყვები გაახსენდა შალვას მონგოლებთან პირველსავე ბრძოლაში, როცა მტრების ძლევით გალაღებული ქართველი მხედრები ახლა შედრკნენ და ზურგი აქციეს მომხდურს.

იმჯერად ჩინგისხანის სარდლებს ლაშქარი არ ყოფნიდათ იმისთვის, რომ მათთვის შეუჩვეველ მთიან მხარეში ფეხი მოეკიდებინათ და უკანვე გაბრუნდნენ. მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა სამართლიანობა

ჩალხიას წინასწარმეტყველებისა და უფრო ახალგაზრდა ადამიანების თვალწინ გადაიშალა ავბედითი წინააღმდეგობები, რომლებიც ადრე არ შეინიშნებოდა. იგივე თურმან თორელი, რომელიც ტყვედ მოხვდა ჯალალ-ედ-დინთან და მისი სწავლული მდივნის ნუსევის ნება-სურვილით საქართველოს აღწერას შეუდგა, უკვე შეიმეცნებს დამპყრობლური პოლიტიკის უაზრობასა და ბოროტ ბუნებას, პოლიტიკისა, რომელსაც ადგნენ საქართველოს ხელისუფალნიც. ახლა ეს პოლიტიკა თვით მათ წინააღმდეგ შებრუნებულა: „სულ ახლახან დაიწყო ქართველობამ ადამიანური ცხოვრება, ლაღი, ბედნიერი სიცოცხლე, და ნუთუ ასე ხანმოკლე უნდა იყოს მისი ბედნიერება, ნუთუ ისევ მონის უღელში უნდა გაჰყოს თავი საქართველომ, იმ უჩინარი კანონის ძალით, რომ ქვეყნად მასზე ძლიერი გამოჩნდა და იმ ძლიერის ბედნიერება აუცილებლად თხოულობს მასზე სუსტი საქართველოს კვლავ გაუბედურებას“. გულდამწუხრებით, გაოგნებით ეკითხებოდა თურმანი თავს, ცდილობდა „გარკვეულიყო ძველი ძალების მოქმედებაში და ადამიანთა და ხალხთა ურთიერთობის აუხსნელ კანონებში“. მოვლენათა მშფოთვარე მდინარების გვერდით იკვეთება დაძაბული, მოწამებრივი სულიერი ძიებების ხაზი. ძნელად, ტანჯვით თუ ჩაწვდება კაცი ჭეშმარიტებას, ეს პროცესი ყოველთვის სიხარულს როდი ანიჭებს ადამიანს, მაგრამ ვაჟკაცებს კიდევ უფრო ძლიერებს ხდის, რწმენით აღავსებს, გააზრებულად, მიზანსწრაფულად ამოქმედებს, კითხვას აღუძრავს — რას ვესწრაფვი და რის მიღწევა ძალმიძსო. თავდაპირველად, როცა გლეხების მიერ იარაღის ხელში აღების ამბავი უსმენდა, ლუხუმს ესმოდა, თუ რამ გააყაჩაღა ისინი — უნდა აღკვეთილიყო თავგასულობა მებატონეებისა. შემდეგ თორელმა — სულ სხვა ყაიდის კაცმა სხვა ვითარებაში გაიგო, თუ რა მოხდა მის .მშობელ ქვეყანაში. აქ მართლაც იგრძნობა ადამიანის ფიქრის ძალა!

ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტი მომხდარ მოვლენებში გარკვევისას ხედავს, თუ რამ დააუძლურა საქართველო მისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ ეტაპზე: „ქვეყნის შინაგანი სისუსტე ყოველთვის ძლიერ მტერთან შეტაკებისას იჩენს ხოლმე თავს, კარგი და უზრუნველი ცხოვრება ერის ღონეს შინაგანად ასუსტებს, წინააღმდეგობის გაწევის უნარს უდუნებს და უჩლუნგებს“. ასე განსჯის თორელი და მკაცრად გმობს ურთიერთობათა იმ წყობას, რომელიც ადრე მისთვის ნორმა და ყოველდღიური ყოფა იყო: გმობს ფეოდალების სიხარბესა და ეგოიზმს, მმართველების ჭკუამჩატობასა და შეზღუდულობას, ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფას, ხალხის ჩაგვრას. ამასთან ერთად ჩნდება საკუთარი დანაშაულის განცდაც, მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის გააზრებაც. უკვე მარტო თორელი კი არა, მისი მეგობრებიც — თორელი მათ ხვდება საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, როცა ჯალალ-ედ-დინიც დამარცხდა — ისინი, ვინც ადრე მხოლოდ ლხინსა და მხიარულ თავშექცევაში ხვდებოდნენ ერთმანეთს, ნაღვლიანად ფიქრობენ, მსჯელობენ სამშობლოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. აზროვნებისმიერი, სულიერი საწყისი რომანში თანდათან უფრო მკვიდრდება, მაგრამ არა ემოციურის, დრამატულის საზიანოდ. ფინალურ თავში თორელი და დიდებული ავაგი, ძალაუფლებიანი პიროვნებანი, უკვე უბრალო მოლაშქრეებისაგან, ხალხის პირიდან ისმენენ უმძიმეს საყვედურს: „ჩვენი რა ბრალია, მათ უნდა რცხვენოდეთ, ვინც ეს ურჯულოები ჩვენს ქვეყანაში ჩამოათესლა... თავად უომრად კარი გაუღეს, თავი მონის უღელში გაგვაყოფინეს და პასუხსაც ჩვენ გვთხოვენ!“

შეძრწუნებული პოეტი ეუბნება თავის დიდგვაროვან მეგობარს. „მათი პირით ჩვენი ერის დღევანდელი და მომავალი ერთად გვდებდა ბრალს და გვამუნათებდა“. და კიდევ ერთი გასაუბრება ხდება თორელსა და ჯალალედინის ბრძანებით თვალდათხრილ მხატვარ ვაჩეს შორის, ფერფლად ქცეულ პოეტის ნასახლარზე: „ჩვენ ქართველთა მოდგმის ყველაზე უბედური თაობა ვართ, რომელიც საქართველოს ყველაზე დიდ ბრწყინვალებასაც მოესწრო და ყველაზე დიდ უბედურებასაც. ჩვენ სუსტნი და უღონონი აღმოვჩნდით დაგვეცვა, შთამომავლობისათვის გადაგვეცა საქართველოს თავისუფლება და ძლიერება“.

უმწარესი დასკვნაა, შეუწყალებელი თვითგასამართლებაა... მაგრამ სწორედ ამ საკუთარ შეცდომებთან ტანჯვით მიღწეულ შეურიგებლობაში კრთის იმედი, იმალება მარცვალი შორეული, მაგრამ გარდაუვალი აღორძინებისა.

3.

როგორც ვხედავთ, რომანისტის ვაჟკაცობა, რომელიც მან ურთულესი კოლიზიების არჩევით გაამჟღავნა, დასტურდება დიალოგიის დამამთავრებელი უწყალოდ მკაცრი გადაწყვეტითაც. გრ. აბაშიძე სრულიადაც არ არბილებს თავისი გმირების ხვედრის უსასოობას, სახელმწიფოს ბედის სისასტიკეს. მაგრამ ასეთივე დამარწმუნებელი სიცხადით მოხაზავს იგი იმ ძალების ორგანულ სიმტკიცესაც, რომლებიც ხალხში ცოცხლობენ და მის უძლეველობას განაპირობებენ: „ძნელი და შეუძლებელიცაა მთელი ერის მოსპობა“, დარწმუნებულად ეუბნება თორელი ნესევის, რომელიც ცდილობს მის დაშინებას, და მისი სიტყვების ჭეშმარიტება ამ

დროისთვის უკვე რომანში აღბეჭდილი რიგი მოვლენებით დასტურდება.

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ გმირულ საქმეთა და სიტყვათა ეს ჯაჭვი გვახსენებს რუსი ვაჭრის ტიხონის გმირობას, ვინც სიკვდილი არჩია მონღოლებისთვის კიევის რუსეთისკენ მიმავალი გზის ჩვენებას. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ძლიერდება წყვდიადი „დიდი ღამისა“, სულ უფრო და უფრო ბრწყინდება იმათი გმირობა, ვინც სიცოცხლის ფასად იცავდა მამულის ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

აქ არიან უსახელო გმირები, რომლებიც მცირე-მცირე რაზმებად ესხმოდნენ ჯალალ-ედ-დინის არმიას. აქაა შალვა ახალციხელიც, ვინც მიაფურთხა სიმდიდრეს, რითაც სულთანი მისი გულის მოგებას ცდილობდა. აქაა დაჭრილი ვაჩეც, რომელიც უკანასკნელი ძალების დაძაბვით ცდილობს, რომ დამპყრობლებს როგორმე ერთი ისარიც ესროლოს. აქაა შესანიშნავი მუხასძეც, რომელიც იღუპება მისი ხელით აგებულ სასახლესთან ერთად. აქვეა უმწეო, დავრდომილი, მაგრამ სულით ძლიერი პავლია, რომელიც იწვის მისთვის, მთელი კაცობრიობისთვის ძვირფასი წიგნების კოცონზე, აქვე არიან უსახელო სომეხი და ქართველი მოჭიდავეები, რომლებიც აკუწეს, რადგან არ ისურვეს თავიანთ მეტოქე მონგოლების წინაშე მუხლის მოყრა, ნებით წაქცევა და აქვეა თორელიც, რომელმაც სასიკვდილო რისკი გასწია, ოღონდ კი დამტკბარიყო წამიერი ზეიმით დამპყრობლების ამ ძლევის გამო. იგი მაგრად სცემეს გამძვინვარებულმა მაყურებლებმა, რის შედეგად სამუდამოდ დაკარგა ჯანი, მაგრამ მისმა ოცნებამ ხორცი შეისხა: „მარტო იმ ორი ვაჟკაცის სიცოცხლედ კი არა, ჩვენი ხალხების სიცოცხლედაც ღირდა გამარჯვების ის ერთი წამი“.

მას ურყევად სწამს, რომ სიმამაცე ორი უბრალო მოჭიდავისა, რომლებმაც მონობაზე უარი არა თქვეს, „დიდ ბრძოლაში გამარჯვებაზე მეტს ნიშნავდა“.

და ამჯერად ყველაფრის, ყოველგვარი ადამიანური ნაბიჯისა და საქციელის უტყუარ საზომად გრ. აბაშიძეს ესახება ღირსება, სიმამაცე, თავისუფლების მოყვარეობა, კეთილშობილური სიამაყე პატრიოტისა. ომებით, ორთაბრძოლებით, სიკვდილით, გაქცევით, ხანძრებით აღსავსე მისი დილოგიის ცენტრად რჩება ზნეობრივი, სულიერი, შემოქმედებითი ძალები. ღირსებისამებრ დავაფასოთ ის გარემოება, რომ რომან „დიდი ღამის“ პირველსავე გვერდზე ჩნდება წიგნი — ვაჩეს მიერ დასურათებული პატარა ტომი თორელის ლექსებისა, ხოლო ჯალალ-ედ-დინის ტყვედ ჩავარდნილ პოეტს გადაარჩენს უბეში ნადები არაბული და სპარსული ლექსების წიგნი, ნესევი კი, რომელიც სამუდამოდ ეთხოვება თავის მეგობარს, მას უკითხავს რუსთაველის სტრიქონებს. ხოლომდე თქმული სიმღერა აქ პიროვნების სიდიადეს მოწმობს, ხოლო შალვა ახალციხელის სადიდებლად შექმნილი „ქება“ თორელისა მას ხალხის სიყვარულსა და მეფის სასახლის უკმაყოფილებას უხვევს. დავრდომილი პავლია წიგნების გამოიღუპება. შორეულ მონგოლთა დედაქალაქში კი განათლებული იტალიელი და ქართველი ისმენენ სადა და ამაღლებულ სიმღერებს, ბაასობენ პოეზიაზე... ჰუმანისტური კულტურის ალი ანათებს რომანის ყველაზე პირქუშ სტრიქონებს.

ასე, ნატიფი სისადავითაა აგებული „XIII საუკუნის ქრონიკა“, აქ მაგრადაა შენასკვული ძაფები, აბურდული ადამიანური, სოციალური ურთიერთობები დანახულია, გაშუქებულია სხვადასხვა მხრიდან... ამის ნიმუშია ლაშარელასა და ლილეს — ლუხუმის ცოლის ამბავი. მეფემ მომაკვდინებელი შეურაცხყოფა მიაყენა თავის ერთგულ მცველს, ოჯახი დაუნგრია მას, ერთი სიტყვით, აუგად მოიქცა, მაგრამ, ამ დროს იგი ქვენა ჟინს კი არ იყო აყოლილი, არამედ მაღალ, ძლიერ, დაუოკებელ გრძნობას — ჭეშმარიტ სიყვარულს შეემსჭვალა და ეს სიყვარული უპასუხოდ არ დარჩენილა. ლაშა და ლილე ერთმანეთისთვის იყვნენ დაბადებულნი — სულიერი სიახლოვე იყო ამის საწინდარი.

მაგრამ ყოველივე ეს მეფის დანაშაულს ვასალის წინაშე ვერ გაამართლებდა. აი, ამიტომაა, რომ როცა ეკლესია ლაშასა და ლილეს კანონიერ ქორწინებას არ დაუშვებს და მიჯნურთ თავზე დოგმებისა და ცრურწმუნების უსაშველო სიმძიმე დააწვება, ისინი ერთდროულად მსხვერპლნიც არიან და დამნაშავეებიც— თანაგრძნობასაც იმსახურებენ და გაკიცხვასაც. არა, მხოლოდ ღვარძლიანი კათალიკოსი, პატიოსანი სარდალი შალვა ახალციხელიც, მხოლოდ ეპისკოპოსები კი არა, უბრალო მეომრებიცა და გლეხებიც აღშფოთებული არიან ლაშას საქციელით. და მეფის მოხუცი მოძღვარი ჩალხიაც კი ეშვება მთიდან და სასახლეში მოდის, რათა ამხილოს მისი აღზრდილი და შეახსენოს იგავი ერთი მდიდარი კაცისა, ვინც ერთადერთი ცხვარი წაართვა ღარიბ ბოგანოს... მეფეს გმობენ სახელმწიფოს ინტერესების პოზიციიდან; მის წინააღმდეგაა ხალხში ფეხმოდგმული ზნეობრივი პრინციპებიც. ამიტომაც ლაშასა და ლილეს სიყვარული განწირულია, კვანძს ხსნის ლილე, რომელიც მონაზვნად აღიკვეცება მონასტერში და ეს თავშეწირული ნაბიჯი აკეთილშობილებს, აღამაღლებს ახალგაზრდა ქალს. მეფე კი, სწორედ ისეთი ხდება, მის დიდგვაროვან მოხელეებს რომ ეწადათ: „ნებისყოფა დაკარგული, ყველასა და ყველაფრისადმი განურჩეველი“.

დიახ, სიყვარული და პოლიტიკა, პიროვნების ცხოვრება და საზოგადოების ცხოვრება უმჭიდროესად დაუკავშირდა ერთმანეთს... საზოგადოებრივი ზნეობის არადჩამგდებმა მბრძანებელმა ამით თავისი საკუთარი ხელისუფლების საფუძვლებიც შეარყია. ამან კი, თავის მხრივ, მთელი სახელმწიფოს შესუსტებაც გამოიწვია, რამაც განსაკუთრებით მძიმედ იჩინა თავი შემდგომ ათწლეულებში, უცხოელთა შემოსევის დროს.

„დიდი ღამის“ მოქმედი პირები ზოგჯერ კეთილად იხსენებენ ადრე გარდაცვლილ ლაშას, გულდაწყვეტილი არიან, რომ სახელმწიფოს ის კი არა, მისი და რუსუდანი მართავს. მაგრამ მკითხველმა იცის, რომ ახალგაზრდა მეფესაც ბრალი მიუძღვის საქართველოს, ხალხის წინაშე.

ისტორიული განვითარების წინააღმდეგობათა ზუსტად და პლასტიკურად დახასიათების უნარი ვლინდება ჯალალ-ედ-დინის დახატვაში, ვინც პირველმა ჩასცა ლახვარი საქართველოს სამეფოს. ჩვენს წინაშეა რელიეფური, დინამიკური პორტრეტები მამაცი და სასტიკი, ჭკვიანი და ხარბი, ნიჭიერი და შეზღუდული დამპყრობელისა. იგი შესანიშნავი მხედართმთავარია და ხელმოცარული პოლიტიკოსი. ბრწყინვალე ტაქტიკურ აღმოჩენებს იგი სტრატეგიული შეცდომებით აქარწყლებს. ფილოსოფოსი ნესევი დაიმეღებულია, ხორეზმის სულთანი ბოლოს და ბოლოს დაამარცხებსო მონგოლებს, ჩინგისხანს და ცდილობს, რომ თავის მბრძანებელში მარტო სიმამაცე კი არა, გულმოწყალებაც დაინახოს, მაგრამ მალე რწმუნდება თავისი ილუზიების უნიადაგობაში. თვით ჯალალ-ედ-დინსაც სრული კრახი არგუნა ბედმა: იგი ჩინგისხანთან შებრძოლებაზე ოცნებობს — ჩემი ღირსეული მეტოქე ეგლაო. — სიკვდილამდე ეს ადარდებდა, თვითონ კი უბირი ყაჩაღის ხელით განიგმირა ერთ უბადრუკ ქოხში.

აქ კვლავ და კვლავ შეინიშნება თავზარდამცემი უპირატესობა მონგოლებისა, მათი სარდლებისა, რომელთაც ვერ დაუპირისპირეს დაშხვდურებმა „ვერც პირადი გმირობა, ვერც გონიერება და ვერც გამჭრიახობა“.

მაგრამ მონგოლთა მტკიცედ შეკრულ, პირსისხლიან უფლებამოსილებასაც აქვს თავისი ბზარები, რომლებიც თანდათან ფართოვდება „მონგოლებმა იმოდენას მოხვიეს ხელი, იმოდენა მიწაწყალი დაიპყრეს, რომ ვერ გასწვდებიან. ჩინგიზის მემკვიდრეებს ერთმანეთში შუღლი აქვთ, ამოდენა ნადავლის გაყოფაზე საბოლოოდ ერთმანეთს აეშლებიან და დაერევიან, დღეს თუ არა, ხვალ ერთმანეთზე აღსდგებიან. მაშინ დაპყრობილი ხალხებიც აჯანყდებიან და მონგოლთა უღელს მოიშორებენ. აი, იმ დროისათვის უნდა შემოვინახოთ თავი და მაშინ უნდა დავკრათ მტერს, როცა ჩვენი ხმალი ნამდვილად გასჭრის“. ეს სიტყვები „დიდი ღამის“ ერთ-ერთ ბოლო ფურცელზეა თქმული. ... რომანის გმირებს არცა ჰქონდათ ასეთი შორსმჭვრეტელობის უნარი, მაგრამ დილოგიის სახეობრივ ლოგიკას მივყავართ ზემოთქმულ ჭეშმარიტებამდე.

მწერალს არ აშინებს ისტორიული პროცესის წინააღმდეგობები, არამედ წვდება მის არსს — ამ წვდომისთვის გასაღებს მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაში პოულობს —გზას იხსნის შთამბეჭდავი, ღრმააზროვანი სახეების შესაქმნელად, რომლებიც გადმოსცემენ საზოგადოებრივ ძალთა და მისწრაფებების რთულ ურთიერთზემოქმედებას. ჯალალ-ედ-დინი თბილისის საძარცვავად რომ მიდის, ხმას ავრცელებს, ვითომ „სარწმუნოებაზე ფიქრობს და არა ოქროზე“. რომანში ასეა ნათქვამი. ერთ-ერთ ახლო გვერდზე კი იმის მტკიცებაა, რომ „მშვენიერება ერთად ერთი წარუვალი ღირებულებაა ამ ქვეყნად“. აი, თუ გნებავთ თხრობის ორი ყველაზე უკიდურესი, ურთიერთდაპირისპირებული ზღვარი —უმდაბლესი და უმაღლესი. ამათ შუა კი მშფოთვარებაა ათასი ჯურის ვნებებისა, დრამატული ეპიზოდების ხლართია, რომელშიც მწერლის მახვილი თვალი ამჩნევს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერ მდინარებას. მხატვარი და ისტორიკოსი შეთანხმებულად მოქმედებენ, მხარში უდგანან ერთმანეთს.

4

აზრებისა და სიტყვიერი ფერების ჰარმონიას ძალუძს, რაგინდარა გარეგნული სახით მოგვეელინოს წარსულისა და დღევანდელობის ამსახველ ნაწარმოებებში, პოეზიაშიც და პროზაშიც, რომანებშიც და მოთხრობებშიც. გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებაში სახეობრივი და სოციალური კვლევის ეს მიმართება ნაირგვარად ვლინდება. ერთ ლექსში იგი წერს:

ხედვად ქცეული, ფიქრად ქცეული
სარკმელს გაჰკვრია ვაჟა-ფშაველა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსის ავტორისთვისაც ბევრს ნიშნავს ეს ერთობა „ფიქრისა და ხედვისა“. და არც თუ ამაოდ: იგი სიერცეებს შლის მხატვრის აზროვნებისთვის, მრავალმხრივ გასაქანს აძლევს მას. ამის დაღასტურებაა ყოველივე საუკეთესო, რაც გრ. აბაშიძეს პოეზიასა და პროზაში შეუქმნია.

მოთხრობა „სისასტიკის გაკვეთილი“ შეიძლება რომან „დიდი ღამის“ ესკიზად მოგვეჩვენოს. აქ შიგნიდანაა ნაჩვენები მონგოლი დამპყრობლების ბანაკი, ხოლო მთავარი მოქმედი გმირია ჩინგისხანი, რომელიც დილოგიაში არაერთგზის იხსენიება, მაგრამ მის ფურცლებზე არ მოქმედებს. დიახ, ფაქტიური მასალის ერთგვარობა ცხადია და მაინც „სისასტიკის გაკვე-

თილი“ სავსებით დამოუკიდებელი, დასრულებული ნაწარმოებია და იგი დილოგიას ენათესავება (ისევე როგორც სხვა ნაწარმოებები მწერლისა — აი, ესაა ძალზე მნიშვნელოვანი!) თავისი სხვა, გაცილებით უფრო არსებითი და სიღრმისეული თვისებებით — ზნეობრივი და პოლიტიკური პრინციპების ურთიერთმიმართების ჩვენებისკენ ლტოლვით, მათი განუყოფელი და რთული სიახლოვის ბუნებრივი გახსნით.

მძვინვარე ჩინგისხანი დასტირის ბამიანის ციხის ალყისას დაღუპულ თავის შვილიშვილს მუტუკენს... დამპყრობელისთვის ამგვარი ტკივილი არასოდეს არავის სიკვდილს არ მიუყენებია! მაგრამ როგორ ამეღავნებს იგი თავის მწუხარებას, საითკენ უბიძგებს იგი სარდალს— სიკეთისკენ თუ სიავისკენ? როგორია მისი გულის ძგერა? — ხომ საინტერესოა! ჯერ ერთი, ჩინგისხანი მთელ თავის ლაშქარს ციხე-სიმაგრეს მიუსევს, მიწასთან ასწორებს მას და მთელ მოსახლეობას ამოქლეტს — „იქ, სადაც გუშინ სიცოცხლე დუღდა, სიკვდილი დაემკვიდრა სამუდამოდ“.

მეორეც, მუტუკენის სიკვდილს რომ ატყობინებს მამამისს, თავის შვილს ჩაღატას უბრძანებს „არ იდარდოს და ცრემლი არ ღვაროს“.

ჩაღატა, სიკვდილის შიშით, ცდილობს ცრემლი არ წასცდეს და ახერხებს კიდეც ამას...

„გაკვეთილის“ სცენა დაწვრილებითაა გადმოცემული. შემდეგ კი მხოლოდ მოკლე ცნობა გვაუწყებს, რომ, „როცა მიმხცოვნებულმა ჩინგიზყაენმა თავის ოთხ შვილს ვალდებულება გაუნაწილა, ჩაღატაის, როგორც ყველაზე სასტიკს, თავისი „იასის“ ანუ კანონების დაცვა დააკისრა. გამოდის, რომ სასტიკმა აღმზრდელმა თავისას მიაღწია: მის მიერ მომარჯვებულმა ჭეშმარიტად არაადამიანურმა მეთოდებმა სასურველი ნაყოფი გამოიღო. ყველაზე ნიშანდობლივი ისაა, რომ აქ გაუკუღმართებულია ყველაზე ბუნებრივი, ნათელი სწრაფვანი — პაპისა და მამობრივი სიყვარული, ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. ცხადი ხდება: ზნეობრივ გულისწადილზე მართებულად ვერ იმსჯელებ, თუ მას წარმოიდგენ განყენებულად, თანამედროვე მისწრაფებებისგან, საზოგადოებრივი წინამძღვრებისაგან მოწყვეტილად. მისი ნამდვილი ღირებულება მხოლოდ რეალურ ცხოვრებისეულ გარემოებებთან კავშირში ვლინდება.

არა მხოლოდ დიდმასშტაბური მოვლენებისა და პიროვნებების ჩატვისას მეღავნდება ფართო სოციალურ-ისტორიული მიდგომის ნაყოფიერება, არამედ იმ ნაწარმოებებშიც, სადაც საუბარია უბრალო, რიგით ადამიანებზე, ყოფით ამბებზე, რომლებიც მხოლოდ ამ ამბების უშუალო მონაწილეებს შეეხება. ამის ნათელყოფაა „უკანასკნელი გაჩერება“. აქ მოთხრობილია სამწუხარო თავგადასავალი ახალგაზრდა ქალის — ჟუჟუნასი, რომელიც რამდენიმე წლის განშორების შემდეგ ხვდება თავის ქმარს არჩილს, დავრდომილ, უკვე განწირულ კაცს. ამ დამამწუხრებელი ოჯახური სიუჟეტის განვითარებაში ჩართული არიან სრულიად უცხო ადამიანები, რომლებიც ჭირში ჩავარდნილ ქალს სრულიად შემთხვევით შეხვდებიან და ცოტა ხნის შემდეგ სამუდამოდაც დაცილდებიან მას, მაგრამ მის მეხსიერებაში კი სამუდამოდ ტოვებენ კვალს თანამგზავრი გენერალი, ვისი მეოხებითაც ჟუჟუნას ადგილს აძლევენ თვითმფრინავში, მკაცრი დედაბერი კუზმინა, ვინც დედაშვილურად ეკლება თავს უბედურ, დაუძლურებულ არჩილს, ვაგონის გამყოლი ვარვარა, რომელიც ჟუჟუნას ეხმარება მკვდრის დამარხვაში, ანუგეშებს მას ახალგათხრილ სამარესთან... ყველა ეს ჭეშმარიტად კეთილი საქმე მთავრდება უბრალოდ, ყოველგვარი აფექტაციის გარეშე, როგორც თავისთავად ნაგულისხმევი რამ. ამის მიღმა შეიცნობა საერთო ადამიანური ურთიერთობების ბუნება, ისახება ის ზნეობრივი გარემო, რაც განაპირობებს ამ ურთიერთობებს.

ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ უიმედობა და განწირულება როდი ეუფლება ახალგაზრდა ქალს, ვინც წრფელი გულით დასტირის დიდი ხნის შემდეგ შეყრილს და მაშინვე დაკარგულ საყვარელ ადამიანს. კეთილი ადამიანები მას შველიან, ცხოვრების რწმენით აღავსებენ, რომ გულში სათუთად შეინახოს ყოველივე კარგი, რაც ადრინდელი არჩილისგან ახსოვს. „სიცოცხლეს რა აზრი აქვს, თუ სიკეთეს არა სთესავ და ბოროტებას წინ არ აღუდგები? ცოცხლებს ამის შესაგნებად სჭირიათ მიცვალებულები, მათი გამოცდილება, მათი გარდასული შფოთი და ვნებანი. ქვეყნად თურმე არავინ არ კვდება. „აი, მგლოვიარე ჟუჟუნას გაწამებული ფიქრები. „დე ამ ძნელი გზის გავლა მარტოს მოუხდეს ჟუჟუნას... თუმცა რატომ მარტოს. მას მხარში ამოუდგებიან სხვებიც... არჩილიც დაეხმარება“, მძიმე ჟამს შეთვისებული სიბრძნე ახალგაზრდა ქალს გაუნათებს სიცოცხლის მომდევნო წლებს. გადატანილი მწუხარება მას სულიერად ამაგრებს, უფრო აკეთილშობილებს. სულიერი, მოქალაქეობრივი მომწიფების დიალექტიკა მოითხოვს ასეთ ფერიცვალებას.

მოთხრობაში ეს რთული ურთიერთობები მკაცრად შემოზღუდულ სივრცეში იშლება. რომანში დასაშვებია უფრო შენელებული, აუჩქარებელი მდინარება თხრობისა. მაგრამ გრ. აბაშიძე უარს ამბობს ამ „შეღავათზე“. მის ვრცელ, გაშლილ ნაწარმოებშიც გვიზიდავს სიუჟეტური დაძაბულობა, რომლის ძაფებიც ადამიანს ადამიანთან, მოქმედებას მოქმედებასთან აკავში-

რებს. ასე იყო „XIII საუკუნის ქრონიკაშიც“ და ასეა რომან „ყორნალშიც“, რომლის მოქმედებაც ჩვენს დღეებში ხდება.

მკითხველი ჯერ ამ რომანის მხოლოდ პირველ ნაწილს იცნობს, რომელმაც სხვა სამ მოთხრობასთან ერთად შეადგინა პროზის წიგნი (გამომცემლობა „მერანი“, 1971 წ.). ჯერ არ ვიცით — როგორ შესძლებს, ან საერთოდ თუ შესძლებს უფროსი გამომძიებელი ოთარ გამრეკელი, რომ თვითონაც დარწმუნდეს და სხვაც დაარწმუნოს გიგა ავალიანის უცოდველობაში— მას მძიმე ბრალი ედება — ახალგაზრდა კაცის წინააღმდეგაა ძალზე საბუთიანი სამხილები. მაგრამ კვანძის გახსნის მოლოდინში, რომლის წინასწარ მიხვედრაც უბრალოდ შეუძლებელია, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ, თუ როგორაა ახლართულ-ჩახლართული, ერთმანეთს დაკავშირებული ორი თაობის ურთიერთობების გზები! შემთხვევამ, რომელმაც ჩრდილი მიაყენა გიგას, იმავდროულად უცნაურად მოუტანა ბედნიერება გიგას მამის მეგობარს — ლევან გაფრინდაშვილს — ავადმყოფის ქალიშვილის სამკურნალოდ აუცილებელი ფულები აშოვნინა მას! რა თვალსაჩინოდ იკვეთება ამ ოჯახური, მეგობრული, სამსახურებრივი, ყოფითი და ბოლოს, სამართლებრივი მოტივების მიღმა უფრო ღრმად დაფარული კოლიზიები: ოდითგანვე ადამიანების მაღელვებელი პრობლემა ბრალიანობისა და პასუხისმგებლობისა აქ, უნდა ითქვას, ყველაზე ცხადადაა გამოკვეთილი და ეს პრობლემა უმთავრესად ლევანის პიროვნებასთანაა დაკავშირებული... ჯერ კიდევ ბავშვი იყო ლევანი, როცა მისი მიზეზით ორი ადამიანი დაიღუპა (გოგონას აჩუქა ტყეში მოკრეფილი სოკოები, ის სოკოები კი შხამიანი გამოდგა); ახლაც, თავისდაუნებურად, მან დამნაშავედ „აქცია“ შესანიშნავი ჭაბუკი, — გზაზე იპოვა ფული, რომლის მოტაცებაც საწყალ გიგას დაბრალდა...

სისხლის სამართლის საქმე მსოფლიო ლიტერატურაში პირველად როდი პოულობს ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, ზნეობრივ ახსნასაც! აქ მწერალს მოეთხოვება განზოგადებათა ღრმააზროვანება, ფაბულური ქარგის საბუთიანი მოტივირება, ხასიათებისა და გარემოებების ცხოვრებისეული სისავსე. გრ. აბაშიძეს თავისი ჩანაფიქრი ჯერჯერობით ბოლომდე არა აქვს გაშლილი. წინაა არა მარტო სიუჟეტური კვანძების გახსნა, არამედ მოვლენების გამსჭვალავი მთავარი იდეის წარმოჩენაც. მაგრამ პირველი ნაწილიც გულზე მარტო იმით როდი გვხვდება, რომ გვაინტერესებს პერსონაჟების შემდგომი ცხოვრების განვითარება, არამედ იმითაც, რომ ვგრძნობთ მთხრობელის ნებისყოფას, გულდასმით ჩაიდუმალებულს, განფენილს დინამიურ, მომხიბვლელ ამბავში, ვგრძნობთ ავტორის სულიერ მომთხოვნელობას, მის აზრიან, ნამდვილ ადამიანობას. ადამიანობა მსჭვალავს ნაფეტლიან და მხიარულ, პირქუშ და ნათელ სურათებს, რომლებიც ქმნიან რომანს. ეს გადასვლები მოულოდნელია, ზოგჯერ მკვეთრიც კი: როგორც სხვა თავის ნაწარმოებებში, აქაც გრ. აბაშიძე ახალი, მოულოდნელი თვალთახედვით აშუქებს ხოლმე ჩვენთვის ადრეც ცნობილ მოვლენებს. სწორედ ეს გაბედულება განგვაცდევინებს თხრობის ცხოვრებისეულობას, მასში განფენილ, შეფარულ აზრს.

— დიახ, — შეპირისპირება, შეკავშირება, ურთიერთგადაჭდობა — ამ შემოქმედებითი პრინციპის ერთგული რჩება მწერალი ყველგან და ყოველთვის. ამ პრინციპის ერთგული იყო იგი ათწლეულების მომცველ დილოგიაში და ამისივე ერთგული რჩება იგი მოთხრობაში, რომელიც ერთი ადამიანის ცხოვრების სულ რამდენიმე საათს გადმოსცემს. თუ როგორ და რატომ აკეთებს ამას, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როცა წავიკითხავთ ნოველას „ქვევრი“. ქვევრში ჩასული ბერიკაცი ელიზბარი, საკუთარ თავთან განმარტოვდებოდა, იმ მეორე სამყაროს ჩაუკვირდებოდა, რომელსაც მის მეტი სხვა ვერავინ ხედავდა, მაგრამ, რომელიც მის არსებასა და ფიქრებშივე იყო მომწყვდეულიც და გაშლილიც, ეს სამყაროც იმ დიდი სამზეოს ნაწილი იყო, მასავით რთული და მრავალფეროვანი“. ეს სიტყვები, ნამდვილად, შეიძლება გრიგოლ აბაშიძის შემოქმედების ფორმულადაც ჩავთვალოთ — ეს ფორმულა განუწყვეტლივ ახლდება, მრავალფერად ჰყვავის პროზის აბზაცებში თუ ლექსის სტრიქონებში.

5.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა, რომელმაც დაგვარწმუნა, რომ გრიგოლ აბაშიძის ლექსებიც მრავალფეროვანია. მათში სხვადასხვაგვარად შერწყმულია ფიქრი და განცდა, ფანტაზია და დაკვირვება, რეალური ფაქტი და წარმოსახვა. შეიძლება გამოვყოთ განსაკუთრებული წყებაც ლექსებისა, რომლებშიც გამოკვეთილად, პირდაპირაა გაცხადებული პოეტის ძირითადი რწმენები, მისთვის ეგირფასი პრინციპები, რომლებიც პოეტის სულიერი ცხოვრების ნაწილად ქცეულა. ყოველი მათგანი გამოცალკევებულად, დამოუკიდებლად არსებობს.

ძალითაც რომ დაგიხუჭონ, გაახილე თვალი
მოასწარი ქვეყნის ნახვა წილად შეგხვდა
ერთხელ.

ასეა თქმული წუთისოფელზე, საკუთარ თავთან და სინამდვილესთან ურთიერთობაზე.

დააცადე, ლექსმა გულში კიდევ
დაიზამთროს ...

ეს ნათქვამია პოეზიაზე და იმაზე, რაც ამ პოეზიას ქმნის.

ვიაროთ ასე ლექსის ლელომდე,
სხვაგვარი ყოფა ჩვენთვის უქმია...

ეს შრომის, სიმღერების, სიყვარულის უწყვეტელ ესტაფეტაზეა ნათქვამი.

ქვეყანას გასწვდი, თუმცა დიდია,
ერთ წვეთში ჩასვი, ერთ ნატამალში...
ოღონდ სულ გქონდეს ხილვა ნათელი,
ქვეყნად რად გინდა შენ სხვა ქონება...

ეს კვლავ სახეობრივ შემოქმედებაზე, მის მაღალ ამოცანებზე ითქვა.

ეს ჰეშმარიტებები, თითქოს წყდება პოეტის ბაგეთ, ისინი აღბეჭდავენ წამიერ გაცისკროვნებას... მაგრამ ფიქსირებული ეს წამი შემდეგ იკვეთება წარუვალი მნიშვნელობის სიტყვად, სულმუდამ მოქმედად იმათთვის, ვინც უსმენს პოეტს და თვით პოეტისთვისაც.

„დარკვეთის მთვარე" ლექსია სიყვარულზე, სატრფოს მღელვარე მოლოდინზე.

მე უშენობით სასოწარკვეთილს,
შავად მერტყმოდა ღამე დარკვეთის

ასე თავდება ლექსი. მაგრამ ეს ლექსი ოდესღაც გადაქუხებულ ბრძოლაზეცაა, ოდინდელ ციხე-სიმაგრესა და ცის მნათობზეცაა. ისინი შემთხვევით როდი ეტმასნებიან სახეთა ქსოვილს, არამედ ორგანულად ერწყმიან და თავს იყრიან უშველებელ მეტაფორაში:

მე დაქცეული „მოდინახე" ვარ,
შენ — გავსებული მთვარე დარკვეთის

ასეთი გულუხვი დითირამბით ამთავრებს პოეტი თავის აღსარებას. სრული უფლებით წარუმძღვარა პოეტმა ამ ლექსს ბრძნული სიტყვები გოეთესი:

რაღაც ამ ფოთლის მსგავსი, ორად
განკვეთილი ერთარსება.

ახლავე გავუსვათ ხაზი: გაორებული, ფენოვანი მთლიანობა გრიგოლ აბაშიძის ბევრ სხვა ლექსშიც იჩენს თავს. ლექსში „ზეაახ პიტიახშს", სადაც ერთმანეთს შერწყმულია გულის ფეთქვა და ხსოვნა გარდასული საუკუნეებისა... „ხოშკაკალაში", სადაც სტიქიის სიშმაგე და პოეტური სტრიქონების დაუოკებლობა ერთმანეთსაა შეპირისპირებული... „ახალშენში", სადაც სიმართლის დამცველი ჯარისკაცის გმირობა ვაზის ყვავილობას ესადაგება.

ლექსის ყოველ ასეთ მიმოქცევაში ეცხადება ავტორის მიერ განცდილი მთლიანი ცხოვრებისეული სახე, ხოლო ვრცელ ლექსში „მთები და კლდეები" ამ მთლიანობის ნაწილად, ნაწარმოების ერთ-ერთ მოქმედ პირად თვით მხატვარი გვევლინება. იგი აქ მისი მშობლიური კუთხის დიადი და სასიკეთო ძვრების მღელვარე მოწმეა:

მე ჯერ პატარამ ვიხილე დიდი
სამყაროს ძვრა და ჯაჭვების ლეწვა.

იგი ამბობს, რომ ამ მთებისგან სწავლობდა სიმაღლეებისკენ, სინათლისკენ სწრაფვას, ფეხდაუდგმელი მწვერვალების მოვალედ თვლის თავს და ამ ვალის გადახდას მხოლოდ ლექსებით იმედოვნებს, სულის სიღრმიდან ამოსული ლექსებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, გრიგოლ აბაშიძის პოემებში ნაირგვარი მოტივები გვხვდება, ერწყმის ერთმანეთს. „ძლევის ქედის" ფურცლებზე იყურებიან დიდი სამამულო ომის მეომრები და ლეგენდარული რაინდები, მევენახეები და არტილერისტები, თვალწინ იშლება ბრძოლის ველი და ოქროდ დაღვრილი ყანები. და ყველა ეს მოტივი მიმართულია პოემის ცხოვრებისეული ცენტრისკენ — ჯარისკაცისა და კოლმეურნის — გიორგის ხვედრისკენ, რომლის ორი ფეხიც ყურძნის ხვავს ორი შუბივით ჩასობია. თითქოს ზღაპრული ამირანი ფეხქვეშ თელავდეს დევებს... და აქ ორმხრივი ხილვაა, ორმხრივი დახასიათებაა მოვლენისა!

პოემა „ზარზმის ზმანებაში" თემები ასე სწრაფად, ასე თვალშისაცემად არ იცვლება. მას შეიძლება ვუწოდოთ პოეტური ამბავიც იმისა, თუ „როგორ დაბრუნდა ომიდან ჯარისკაცი გოლეთიანი, რომელსაც ყველა, თვით მშობელი დედაც კი დაღუპულად თვლიდა; ესაა ამბავი კაცისა, რომელმაც შეიტყო, რომ მისი ყველა თანასოფლელი ზარზმას გადასახლებულა, თვითონაც იქ ჩავიდა და სიხარულით შეეყარა დედასა და ცოლს, ახლობლებსა და მეგობრებს, სიუჟეტი დრამატულია, თუმცა რთული არაა... მაგრამ გრ. აბაშიძე ართულებს, ამდიდრებს მას, დამატებითი, თანამდევი კოლიზიებით ტვირთავს. დედას შვილის სიკვდილი შეუტყვია, სევასტოპოლშია დამარხულიო, აგრე უთქვამთ მისთვის.

დედამ ზარზმიდან ყირიმი მოვლო,
შვილის ცხედარი ჩამოასვენა.

ახლა, როცა კვალდაკარგული შვილი გამოჩნდა როცა აღფრთოვანების პირველმა საათებმა

განვლო, დედა იხსენებს იმ მეორე დედას, ვისი შვილიც მართლა დაეცა მამულისათვის. მას სტანჯავს იმის ფიქრი, თუ როგორ გამოისყიდოს დანაშაული ომში ნამდვილად დაცემული იმ გმირის წინაშე, რომელიც მან შეცდომით ზარზმას გადმოასვენა და დედის ცრემლი დაუკარგა.

ეს ფიქრი აწამებს ქართველ დედას, რომელმაც სულ ამ რამდენიმე საათის წინ შვება ჰპოვა შვილის დაბრუნებით. მისი სიყვარული ეგოიზმისგან თავისუფალია, გადატანილმა მწუხარებამ იგი სხვა დედებთან დაანათესავა. და ქალი მიდის ხოლმე საფლავთან, რომელშიც წევს უცნობი ჯარისკაცი და დასტირის მას:

ვინ იცის, უცხო ვაჟკაცს რა ჰქვია,
ვის სტირის დედა მარტო მისული,
იქნებ მას მოხვდა ანაზდად ტყვია —
მისი შვილისთვის გამომიზნული.

სწორედ განცდათა ამ ერთობაში, სხვათა ჭირვარამის საკუთარივით განცდის უნარშია კეთილშობილური აზრი პოემისა.

მკითხველს ესმის, გრძნობს, რომ მტკიცეა, წმინდაა, ძლიერია ხსოვნა ადამიანებისა, რომელთაც ჩვენივე მსგავსი ფიქრები, განცდები და ხვედრი აქვთ.

კიდევ უფრო მძიმე გამოცდის წინაშე დააყენა ბედმა მეორე დედა — დრამატული პოემის „ციხის ლეგენდის“ გმირი, რომელმაც შვილი მშობლიური ქალაქის დაცვას შესწირა. პოეტს აქ გადავყავართ ლეგენდარული ვახტანგ გორგასალის ხანაში, თბილისის დაარსების დროში. მაგრამ რარიგ თანადროულია სოციალისტური საქართველოს პოეტის მიერ ძველისძველი ლეგენდის „გარდათქმა“. თუნდაც გაიხსენეთ ბედკრული დაჩის საუბარი მის ძაღლთან. დაჩიმ ციხე-სიმაგრე ააგო, მაგრამ საბედისწერო ჟამს ულირსად შეარცხეს და მოჰკლეს ციხის დამცველებმა, ეს დამცველები კი ქალები იყვნენ და მათში დაჩისავე დედა ერია. მისი ხვედრის ტრაგიზმი ღრმავდება, როცა გაირკვევა, რომ დაჩის ცილი დასწამეს და მას შეგნებულად კი არ ულალატნია ქალაქისთვის, არამედ ტრფობით თავდაკარგულს უნებლიედ მოუდუნებია სიფხიზლე. რაოდენ მკაცრი ვითარება იყო, რა ბევრი რამ უნდა გაეღოთ მსხვერპლად ადამიანებს, რამხელა უყოყმანო თავგანწირვა იყო საჭირო! ამიტომაა, რომ პოემის ეპილოგში ჭაბუკი მოქალაქე მადლიერებით ლაპარაკობს იმაზე,

ვინც ეს ქალაქი მკლავით აშენა,
ვინც ის მტრებისგან დაიცვა მკერდით.

პოემას სწორედ ეს ახალი თაობა აგვირგვინებს, დაღუპულმა გმირებმა ხომ იმისთვის შეღებეს სისხლით ველები, რომ თქვენ გეჭირათ ჭრელი პეპლები, რომ თქვენ გეკრიფათ ყაყაჩოებიო, — მიმართავს ახალი თბილისელი მოქალაქე, ამ ქალაქის ნორჩ მკვიდრთ.

თვალუწვდენელი დაბლობები და ცალმხიდული კლდეები — რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ გვერდიგვერდ დააყენა გრ. აბაშიძემ ციკლში „რუსეთის ველებზე“. ახლა იმისთვის, რომ გონებითა და გულით მოიცვას ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენელი სივრცეები, კიდევ ერთხელ შეიგრძნოს, რომ რაც არ უნდა შორს უსასრულოდ იყოს იგი გადაშლილი, რაც არ უნდა სხვადასხვაობდნენ მისი მხარეები, მაინც ერთიანია, განუყოფელია იგი.

პეიზაჟებს შემდეგ — ხელოვნების ნაწარმოებნი, ბუნების შემდეგ ისტორია, რუსული სუზდალი და ქართული გელათი, — ბათო-ყაენის ურდოების სისასტიკისა და ჰულაგუს ლაშქრის მძვინვარების (მან მოაოხრა ირანი, ამიერკავკასია) მხილველნი, ამაყად, სასწაულებრივ დგანან და პოეტი თანაბრად ტკბება მათი მშვენებით. მათი ხელთუქმნელი, მომხიბვლელი ძეგლები პლასტიკური და გასულიერებულია (ისინი ხომ ადამიანის ხელებისა და სულის შექმნილია!), ისინი გადმოგვცემენ ისტორიული ბედ-იღბლის, ხალხების მისწრაფებებისა და კულტურული ტრადიციების მსგავსებას.

აქვეა მადრიგალი შესანიშნავი ნერლის ტაძრისადმი, რომელიც შესაძლოა ეკლესია სულაც არ იყოს, იქნებ იგი

საყდარი კი არა, თეთრი ღრუბელია,
ცაში რომ დიდხანს, დიდხანს უფრენია.

ესაა კიდევ ერთი შეხვედრა, მოძმე კულტურის ბრწყინვალე ქმნილებასთან, ოცნებაა, ქვით ამეტყველებული, ხორცშესხმული აღმაფრენაა სულისა...

მოგზაურობის შთაბეჭდილებების გადმოცემისას ნაყოფს იძლევა ფიქრების, განცდებისა და დაკვირვებების სინთეზი. უნდა ითქვას, — მოგზაურული ლექსები მუხანათი რამაა, რთული ჟანრია. ახალ, შორეულ მხარეებში მოხვედრილ პოეტს ზოგჯერ ცდუნება სძლევს, რომ შემოიზღუდოს „ცნობებით“ პირველად ხილულ საგნებზე, ანდა, მოსაზრებებითა და მსჯელობებით. ასეა დაწერილი, ვთქვათ, გრ. აბაშიძის ლექსი „მოლდავეთში“.

ქვეყნის სულს, მის სულიერ ცხოვრებას იხილავს მხოლოდ თვალი მაძიებელი, გამჭრიახი, დროის მდინარების, მოვლენათა, ბიოგრაფიების მწვდომელი, რა დაინახა გრ. აბაშიძემ „კონსტანცაში?“

დუნაის ველები, სიცივე, უცხოეთი...

მაგრამ ამასთანავე, სულისმიერი მზერით მან იხილა რომის მიერ დევნილი პოეტი, რომლის

ხვედრიც ასორმოცდაათი წლის წინათ აწუხებდა პუშკინს. იხილა

როგორ ლხენით სტოვებს
სხეულს მისი სული
და ცისკენ
მუზების ლაღი ფრთით მიფრინავს.

და ერთ ქალაქზე დაწერილი ლექსი იქცა ქმნილებად ხელოვნების სიდიადეზე, მხატვრის გმირობაზე.

ამდაგვარი მეტამორფოზები ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხდება, როცა კი ქართველი პოეტი ეხება იმას, რაც ჰბადებს, მისივე სიტყვებით, ძლიერ, მძაფრ გამოძახილს.

ასევე ელამუნება მას სახეზე სუნთქვა ელადის მარმარილოსი, რომელიც ნათელფენილია მუზების ბრძნული ღიმილითა და დამხობილი ტიტანების ტანჯვით და მანოლის გლეზოსის ხელით აღმართული წითელი დროშით.

პოეტი იხსენებს მძიმე, ტრაგიკულ ხვედრს მამელუკებისა — სამშობლოდან გატაცებული ქართველი ბავშვები ისლამის ფანატიკოსებად ქცეულან და სიბრალულით იმსჭვალება მათდამი, რამეთუ

არც ურჯულობა, არც გარდახვეწა,
მათ თავის ნებით არ უკისრიათ.

და სწყევლის იმათ, ვინც

მამელუკობა თვითონ ინდომა
და თვით ირჩია ყიზილბაშობა.

სფინქსის პირისპირ მდგარი პოეტი მიმართავს მას:

ღღეს ღამე მოსდევს, ნათელს — ჩრდილები
და არ თავდება ქამის თარეში,
დროს მხოლოდ შენ არ ემორჩილები,
მხოლოდ შენ დგახარ დროის გარეშე.

აი, რა „ჩამოაქვს“ პოეტს მოგზაურობებიდან: ფიქრები და განცდები, რომლებიც არამცდაარამც არ ამოიწურება პირდაპირი დაკვირვებებით, უშუალობითა და გატაცებითაა აღბეჭდილი, რაც ასე ბევრს ნიშნავს ხელოვნებაში. გამოცდილება ბევრი ჩვენი თანამედროვისა — სმელიაკოვიდან ზაბოლოცკამდე, მარტინოვიდან მარცინკიავიჩიუსამდე, ყულიევიდან ვინოკუროვამდე — იმას მოწმობს, რომ აზრობრივი საწყისის მომძლავრება, აღმავლობა ლექსში სულაც არ ასუსტებს პოეტური განცდის ძლიერებას. ამაში საკვირველი არაფერია: საკმარისია გავიხსენოთ სიბრძნე „იგორის ლაშქრობის ამბავისა“ და „ვეფხისტყაოსნისა“. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს მაღალი ტრადიცია გააზრებულად შეითვისეს ჩვენი პოეზიის ოსტატებმა და ამკვიდრებენ მას. აქ, რაღა თქმა უნდა, თავს იჩენს სოციალიზმის იდეების, თავად სოციალისტური სინამდვილის ზემოქმედებაც. ნიკოლოზ ტიხონოვი საქართველოზე დაწერილ ერთ ლექსში ამბობდა: ზედაზენის მთიდან დროთა მორევის თვალით დანახვა შეიძლებაო. ამ სიტყვების მოულოდნელი სიზუსტე მეტი განზოგადოების საშუალებასაც იძლევა: დროთა მორევს, დროთა ურთიერთკავშირს თვალი მარტო მთის მწვერვალიდან კი არ ხედავს, მარტო აქედან როდი შეიცვლება მისი წვდომა, არამედ გონების, ცოდნის, იდეების სიმაღლიდანაც. ამიტომაა, რომ გრ. აბაშიძეს ძალუძს ასე თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად გვიჩვენოს აწმყოში გაგრძელება წარსულისა, განვითარება გარდასულისა, ხოლო წარსულში — ნერგები აწმყოსი და მომავლისა, გაკვეთილები, რომელთაც სადღეისდღეოდაც აქვს მნიშვნელობა... და ცხოვრების ამ დაკინებულ ღრმა წვდომაშია ტკბობა მისი გმირული მშვენიერებით, ადამიანური ბედნიერებით, რაც შრომასა და ბრძოლაში იბადება.

ბედნიერია ბრმად ვისაც უყვარს
და მორწმუნენი ნეტარ არიან. —

თქვა ერთხელ გრიგოლ აბაშიძემ. ამ სიტყვების ჭეშმარიტება მისივე პოეზიითა და პროზით დასტურდება.

ჟურნალი „ნევა“, № 6, 1972 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ლომიძე

ლ. ს. ვიგოტსკის მოძღვრება კათარზისის შესახებ

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი საბჭოთა ფსიქოლოგის ლ. ს. ვიგოტსკის ნაშრომი «Психология искусства» პირველად მხოლოდ 1965 წელს გამოიცა, ავტორის გარდაცვალებიდან 31 წლისა და მისი შექმნიდან 40 წლის შემდეგ. ნაშრომმა მეცნიერთა და მკითხველთა ფართო წრეების ყურადღება მიიპყრო, რამაც გამოიწვია მისი ხელახალი გამოცემა 1968 წელს. უნდა ითქვას, რომ ლ. ს. ვიგოტსკის კარგა ხანია მოპოვებული ჰქონდა მსოფლიო აღიარება ნაშრომებით ფსიქოლოგიაში, ფსიქიატრიაში, დეფექტოლოგიაში, პედაგოგიკაში, პედოლოგიაში. „ხელოვნების ფსიქოლოგიას“ დართულ კომენტარში, რომელიც ვიაჩ. ვს. ივანოვს ეკუთვნის, მოყვანილია ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის ბერნსტაინის სიტყვები, რომ ვიგოტსკის ნაშრომთა გაგრძელება-განვითარებას მეცნიერებისათვის, შესაძლოა, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე გენეტიკური კოდის ახსნას.

ახლებური შეხედულება კათარზისის შესახებ, რომელიც გამოთქმულია „ხელოვნების ფსიქოლოგიაში“, მხოლოდ პოტენციალურად იმსახურებს „მოძღვრების“ სახელწოდებას. ეს შეხედულება, ნაშრომის დროულად გამოქვეყნების შემთხვევაში, უეჭველია, განვითარებას ჰპოვებდა და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში მართლაც მწყობრი მოძღვრების სახით წარმოგვიდგებოდა. იმ განსაკუთრებული ბედის გამო, რომელიც ამ წიგნს ხვდა წილად, მეცნიერთა თანამედროვე თაობას ეხება ვიგოტსკის სიტყვები: „კათარზისის ამ ფორმულის ახსნას ჩვენ შემდგომ ვაპირებთ, რადგან ამან ნაშრომთა მთელი რიგი უნდა მოიცვას“[1].

ჩვენი მიზანია კათარზისის შესახებ ლ. ს. ვიგოტსკის შეხედულებათა განხილვა, ამიტომ საკითხის ისტორიას თითქმის არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ტერმინი „კათარზისი“ (განწმენდა) ესთეტიკის მეცნიერებაში არისტოტელემ შემოიტანა. ვრცელ ლიტერატურაში, რომელიც ამ ტერმინის შინაარსის გაშუქებას ეძღვნება, აზრთა უთანხმოება შეინიშნება. სხვადასხვა მეცნიერის მიერ კათარზისი განხილულ იქნა ესთეტიკურ-ეთიკური, სამედიცინო-ბიოლოგიური, ეთიკური, რელიგიური თუ სხვა პოზიციიდან.

არისტოტელე კათარზისს ახსენებს ტრაგედიის განსაზღვრასთან დაკავშირებით: „...ტრაგედია არის ასახვა დიადი და დასრულებული მოქმედებისა... რომელიც შეცოდებისა და შიშის აღძვრის საშუალებით ამგვარ ვნებათაგან განწმენდას აღწევს“[1].

ასე ეღერს არისტოტელეს სიტყვები პროფ. ს. დანელიას მიერ შესრულებულ თარგმანში. როდესაც ეს ციტატი შევადარეთ ვ. გ. აპელროტის მიერ რუსულად თარგმნილ „პოეტიკას“, აღმოჩნდა ერთგვარი განსხვავება: «..трагедия есть подражание действию важному и законченному... совершающее путем сострадания и страха очищение подобных аффектов»[1].

პირველ ციტატში ლაპარაკია „ვნებათაგან განწმენდის“ შესახებ, მეორეში — ვნებათა განწმენდაა ნახსენები. ეს განსხვავება საკმაოდ არსებითია და კათარზისის ორ განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს. ქართული თარგმანის კონტექსტი არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ არისტოტელეს ამ ციტატში ესთეტიკური ემოციის განსაკუთრებულობა, სხვა ემოციებისაგან გან-

---

[1] Л. С. Выготский, «Психология искусства», Москва, 1968, стр. 275.

[1] არისტოტელი, პოეტიკა, თბილისი, 1944, გვ. 14.

[2] Аристотель, Поэтика, Москва, 1957, стр. 56.

სხვავებულობა ჰქონდა მხედველობაში, ხოლო რუსულ თარგმანს სწორედ ესთეტიკური ემოციის სპეციფიკურობა, მისი „განწმენდილობა“ აქვს ნაგულისხმევი. აღსანიშნავია, რომ პროფ. ს. დანელიას შეხედულება კათარზისის შესახებ შეესაბამება მის მიერ შესრულებულ თარგმანში მოცემულ კათარზისის განსაზღვრებას, ე. ი. „ვნებათაგან განწმენდას“.

ვინაიდან ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ საკმარისად დამაჯერებელი საბუთები გვიჩვენა საამისოდ, ჩვენ კათარზისად სწორედ ვნებათა განწმენდა მივიჩნიეთ. შესაძლოა, კათარზისის ასეთი გაგება არ ეთანხმებოდეს არისტოტელესეულ გაგებას (თუ მისი ქართული თარგმანი აბსოლუტურად ზუსტია), მაგრამ მის სასარგებლოდ, როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, საკმარისი საფუძველი გვაქვს.

ლ. ს. ვიგოტსკიმ თანმიმდევრულად განიხილა არაკის, ნოველისა და ტრაგედიის ნიმუშები და თვით მხატვრული ნაწარმოების ბუნებაში მონახა ობიექტური კანონზომიერება, რომელიც, მისი აზრით, კათარზისს წარმოშობს ადამიანის ბუნებაში: „ზემოთ ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოები — არაკი იქნება ის, ნოველა თუ ტრაგედია — აუცილებლად შეიცავს აფექტურ წინააღმდეგობრიობას, იწვევს ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციებს და დაჰყავს ისინი მოკლე ჩართვასა და განადგურებაზე“[1].

აქვე ვიგოტსკი მიუთითებს ამ აფექტური წინააღმდეგობრიობის მიზეზს: მხატვრული ნაწარმოები იწვევს, ერთი მხრივ, მისი **შინაარსით**, ხოლო, მეორე მხრივ, მისი **ფორმით** განპირობებულ ემოციებს. ვიგოტსკის ეს აზრი გამოვიყენეთ, როგორც გამოსავალი დებულება შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, ზემოქმედებს აღმქმელი სუბიექტის ინტელექტზე. ასეთია სიტყვის ბუნება, რაც ჯერ კიდევ კარლ მარქსმა აღნიშნა („სიტყვა — აზრის უშუალო სინამდვილეა“). ამის შემდეგ ფსიქიკაში წარმოიშობა გარკვეული შეფერილობის — დადებითი ან უარყოფითი — ემოცია, რომელიც წაკითხულის მიმართ მკითხველის დამოკიდებულებას ასახავს. ლიტერატურული ნაწარმოების აღქმის პროცესში ამგვარი ემოციების კალეიდოსკოპს წარმოშობს.

ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსის სუბიექტის ფსიქიკაზე ზემოქმედებით გამოწვეული ემოცია, უეჭველია, ცნობიერი ემოციაა. სხვა რომ არა იყოს რა, მის წარმოშობას ინტელექტუალური პროცესები უძევს საფუძვლად. ახე რომ, ეს დებულება თითქმის აქსიომატური ხასიათისაა. ასევე, არგუმენტაციას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი და მისი შესაბამისი ესთეტიკური ემოცია ერთნაირი შეფერილობისაა.

განსხვავებული თვისებებით გამოირჩევა ლიტერატურული ნაწარმოების **ფორმის** ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების „მექანიზმი“. რა მძიმე განცდებსაც არ უნდა იწვევდეს ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი, თუ მოცემული ნაწარმოები ჭეშმარიტად მაღალმხატვრულია, ის ყოველთვის სიამოვნებით იკითხება, შინაარსის მიერ გამოწვეულ, ვთქვათ, შიშს ან სიბრალულს (არისტოტელეს მიერ ნახსენები ემოციები) თან ახლავს ერთგვარი სიამოვნების განცდა. „ესთეტიკური“ სევდა არის სიამოვნებანარევი სევდა, შიში — სიამოვნებანარევი შიში და ა. შ. ამასთან, მხატვრული ნაწარმოებით გამოწვეული ტკბობა უმაღლეს წერტილს აღწევს მაშინ, როდესაც მისი შინაარსით გამოწვეული უარყოფითი ემოცია მაქსიმალურია, ე. ი. როდესაც, ვიგოტსკის თქმით, შიშისაგან თმა ყალყზე გვიდგება, ტანჯვისაგან სუნთქვა გვეკვრის, ან სიბრალულისაგან ვტირით.

ცხადია, სიამოვნების ეს განცდა არ არის დაკავშირებული ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსთან, უფრო მეტიც, ის ლოგიკურ წინააღმდეგობაშია მასთან, მართლაც, რა უნდა გვახარებდეს მაშინ, როდესაც ლიტერატურული ნაწარმოების გმირი ათას ვაი-ვაგლახს განიცდის? მაგრამ ხომ უეჭველია სიამოვნება, რომელსაც, მაგალითად, შექსპირის ტრაგედიები გვანიჭებს? შემთხვევითი მოვლენა ხომ არაა, რომ ოდითგან არსებობს გამოთქმა — „ხელოვნების ნაწარმოებით ტკბობა“?

აი უფრო უხეში მაგალითიც: ცნობილია, რომ მკითხველთა ერთი ნაწილი გატაცებულია დეტექტიური ნაწარმოებებით, რომლებშიც ერთ ბოროტმოქმედებას მეორე მოსდევს, ერთ საზარელ სურათს — მეორე ცვლის და, მიუხედავად ამისა, მათ აშკარა სიამოვნებით კითხულობენ. ამ სიყვარულსა და სიამოვნებას ვერ დავაბრალებთ მკითხველთა დაბალ გემოვნებას, რადგან მსგავს ნაწარმოებებში შეიძლება მსოფლიო კლასიკის ნიმუშებიც ვიპოვოთ. შეიძლება, გვიპასუხონ, რომ ეს სიამოვნება სხვა არა არის რა, თუ არა მძაფრი სიუჟეტით გამოწვეული ინტერესი, მაგრამ მაშინ მივდივართ იმ დასკვნამდე, თითქოს უსიუჟეტო ნაწარმოებები არ იყოს ესთეტიკური ტკბობის საგანი. ცხადია, ეს მცდარი მსჯელობაა.

ლიტერატურული ნაწარმოების ფორმით განპირობებული განცდა, მისი შინაარსით განპირობებული განცდისაგან განსხვავებით, არაცნო-

[1] Л. С. Выготский, Психология искусства, стр. 270.

ბიერი ხასიათისაა, რადგან ცნობიერად აღქმულ ინფორმაციასთან (რომელსაც შინაარსი გვაწოდებს) არავითარი კავშირი არა აქვს.

საინტერესოა, რომ ეს ემოცია მთლიანად არაცნობიერია მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების სუბიექტის ფსიქიკაზე პირველადი ზემოქმედების დროს, როდესაც მის ცნობიერებაში შინაარსით განპირობებული ემოცია არის გაბატონებული. ლიტერატურული ნაწარმოების ხელახალი ზემოქმედებისას, როდესაც სუბიექტის ცნობიერება „ადაპტირებულია" შინაარსის მიმართ, ფორმის ზემოქმედება უკვე ნაწილობრივ ცნობიერებაზეც ვრცელდება, გაცნობიერდება და ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მხატვრული ნაწარმოების ფორმის შესწავლა. ფორმა რომ მხოლოდ არაცნობიერებას უკავშირდებოდეს, მხატვრული კრიტიკის, ლიტერატურის თეორიის, ესთეტიკის და ბევრი სხვა მეცნიერების არსებობა წარმოუდგენელი იქნებოდა.

ანალოგიურია ერთი ფაქტი შემოქმედების ფსიქოლოგიიდან: ხელოვანის მომავალი ქმნილების პირველი ვარიანტის შექმნაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მისი ფსიქიკის არაცნობიერ ნაწილს მიუძღვის, როდესაც პირველ პლანზეა „შთაგონება" და არა ცივი განსჯა. მეორადი გადამუშავების დროს ხელოვანი ცნობიერად ეკიდება უკვე შექმნილს და ამ დამოკიდებულებაში უეჭველად ვიპოვით კრიტიკულ ელემენტს (არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთმანეთისაგან ამგვარ უხეშ მოწყვეტას წმინდა პირობითი ხასიათი აქვს).

ახლა შესაძლებელი ხდება იმ ფაქტის ახსნა, რომ ესთეტიკური რეაქციის სახელწოდებად არისტოტელემ კათარზისი — განწმენდა მიიჩნია და არავინ შედავებია, თუმცა ყველა თავისებურად ცდილობდა ამ საკმაოდ ბუნდოვანი ტერმინის ახსნას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხატვრული (ლიტერატურული) ნაწარმოების აღქმა ადამიანის ფსიქიკაში წარმოშობს ცნობიერსა და არაცნობიერ ემოციებს. არაცნობიერი ემოცია ჩვენი „მე"-ს წიაღში წარმოიშობა, სადაც თვით „მე"-ობის განცდა აღარ არსებობს. ეს გარემოება მას განწმენდილ, განზოგადებულ, არაპირადულ, არაკერძოობით ხასიათს ანიჭებს. ამიტომ ესთეტიკური განცდა მთლიანად, როგორც ცნობიერი და არაცნობიერი ემოციების ერთიანობა, განწმენდილი, კათარზისული ბუნებისაა.

ამგვარად, კათარზისი წარმოგვიდგება, როგორც მხატვრული ნაწარმოების ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების პროცესი, რომლის დროს ნაწარმოების შინაარსსა და ფორმასთან დაკავშირებული ცნობიერი და არაცნობიერი ემოციები რთული ურთიერთმოქმედების შედეგად „განწმენდილ", „ამაღლებულ" ელფერს იძენენ.

კათარზისის პროცესში არის განსაკუთრებით საინტერესო მომენტი, რომლის ინტენსიობა ისეთია, რომ გვეჩვენება, თითქოს მხოლოდ მაშინ ხდება ფსიქიკის „განწმენდა". ეს მოჩვენებითობა იმდენად ძლიერია, რომ თვით ვიგოტსკიც შეცდომაში შეიყვანა. ამიტომ „ხელოვნების ფსიქოლოგიაში" კათარზისის ორგვარ განმარტებას ვხვდებით" **«...закон эстетической реакции один: она заключает в себе аффект, развивающийся в двух противоположных направлениях, который в завершительной точке как бы в коротком замыкании, находит свое уничтожение.**

Весь этот процесс мы и хотели бы определить словом **катарсис»**[1].

ამ შეხედულებას ეწინააღმდეგება მისივე სიტყვები «...трагедия действительно вызывает к жизни наши самые затаенные страсти, но она заставляет протекать их в гранитных берегах противоположных чувств и эту борьбу она **заканчивает разрешающим катарсисом»**[2] (ხაზგასმა ჩემია — თ. ლ.).

უნდა ითქვას, რომ ეს შეხედულება კათარზისზე როგორც მომენტზე და არა როგორც პროცესზე შემთხვევითია ვიგოტსკისთან, რადგან ერთადერთ მაგალითს წარმოადგენს.

საყურადღებოა ვიგოტსკის აზრი იმის შესახებ, რომ კათარზისის ბოლო მომენტში ხდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციის „მოკლე ჩართვა", რასაც აგრეთვე „აფეთქებას" უწოდებს.

ამ აფეთქების მომენტში მთავრდება, ჩვენი აზრით, მხატვრული ნაწარმოების ფორმის აღქმის პროცესის მსვლელობა არაცნობიერების სფეროში და ეს პროცესი გზას იკაფავს ცნობიერებისაკენ, მხატვრული ნაწარმოების ფორმა ადგილს იმკვიდრებს ადამიანის ცნობიერებაში, ნაწილობრივ მაინც. მთავარი ისაა, რომ ამ მომენტში ფსიქიკის არაცნობიერი ნაწილის საზღვრების ერთგვარი გარღვევა ხდება და... კათარზისი მთავრდება, „ფეთქდება".

კათარზისის კერძო შემთხვევა (თ. დოსტოევსკის ნაწარმოებების განხილვასთან დაკავშირებით) გაიხადა მსჯელობის საგნად გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა მ. ბახტინმა. მისი აზრით, დოსტოევსკის ნაწარმოებების მიმართ ვერ გამოვიყენებთ ტერმინ „კათარზისს", მისი არისტოტელესეული გაგებით: „...ტრაგიკული კათარზისი (არისტოტელეს გაგებით) დოსტოევსკის მიმართ არ გამოდგება. კათარზისი, რომელიც დოსტოევსკის რომანებს ასრულებს, შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, არაადექვატურად და რამდენადმე რაციონალისტურად — ამგვარად

---

[1] Л. С. Выготский, «Психология искусства», стр. 272.

2 იქვე, გვ. 296.

გამოგვეხატა: არაფერი დამამთავრებელი სამყაროში ჯერ არ მომხდარა, უკანასკნელი სიტყვა სამყაროს მიერ და სამყაროს შესახებ ჯერ არ თქმულა, სამყარო ღიაა და თავისუფალი, ყველაფერი და ყოველთვის მომავალში იქნება"[1].

მ. ბახტინი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არისტოტელეს ნათქვამს, რომ „დასრულებული მოქმედება" იწვევს კათარზისს, რომ უარყოფს დოსტოევსკის ნაწარმოებების „განწმენდ" ზემოქმედებას. ჩვენი აზრით, მთავარი მომენტი კათარზისის არისტოტელესეულ განსაზღვრებაში ისაა, რომ ეს არის „განწმენდა" და არა ის, რომ დასრულებულ მოქმედებას გულისხმობს, ამიტომ უმართებულოდ გვეჩვენება მ. ბახტინის მტკიცება, თითქოს თ. დოსტოევსკის, მსოფლიო ლიტერატურის ამ ბუმბერაზის, ნაწარმოებები კათარზისულობის თვისებას მოკლებული იყვნენ. მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ (იძულებული ვიქნებით, ვაღიაროთ), რომ მათ მხატვრული ფორმა არ ჰქონიათ და, ესე იგი, საერთოდ არარაობა ყოფილან. განა შესაძლებელია ამის მტკიცება, განსაკუთრებით იმ ბრწყინვალე ანალიზის შემდეგ, რომელიც დოსტოევსკის ნაწარმოებების ფორმალური მხარის მიმართ გვიჩვენა თვით მ. ბახტინმა.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ კათარზისის ვიგოტსკისეული ფორმულის განვითარებისას მხედველობაში გვქონდა ის ფაქტი, რომ ყოველი ადამიანის სუბიექტური თავისებურებები განაპირობებს ერთი და იმავე ლიტერატურული ნაწარმოების ზემოქმედების, და, მაშასადამე, კათარზისული პროცესების განსხვავებულ მიმდინარეობას მათ ფსიქიკაში.

ჩვენ კათარზისის ეს ფორმულა მხატვრული ლიტერატურის მიმართ გამოვიყენეთ. უეჭველია, რომ ხელოვნების სხვა დარგების მიმართ ის გამოიჩენს როგორც ანალოგიურ თვისებებს, ასევე — ხელოვნების ყოველი დარგის მიმართ — სპეციფიკურ თავისებურებებს.

დასასრულს, აღვნიშნავთ თვით „ხელოვნების ფსიქოლოგიის" ერთ თავისებურებას. ეს ნაშრომი, შეიძლება ითქვას, კონსპექტური ხასიათისაა. დაკვირვებული მკითხველი მასში ბევრ საინტერესო, მაგრამ განუვითარებელ იდეას იპოვის. სრული აღიარება „ხელოვნების ფსიქოლოგიას" მომავალში ელის.

[1] М. Бахтан, Проблемы поэтики Достоевского, Москва, 1963, стр. 223.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ კიკნაძე

გალაკტიონ ტაბიძის თეატრალური სამყარო

დიდი იყო გ. ტაბიძის თეატრალური სამყარო. მის პოეზიაში უხვად არის განფენილი თეატრალური სახეები, თემები, პარალელები. პოეტისათვის თეატრი ხშირად გამხდარა შთაგონების წყარო. მისი ლექსების ლირიკული გმირის ფიქრები, აღმაფრენა თუ სევდა მოკლებული როდია თეატრალურ სახიერებას. სამყაროს მისეული განცდა მეტწილად დიდი არტისტიზმით არის გამოხატული.

ვირტუოზული ოსტატობით დაწერილ ზოგიერთ ცნობილ ლექსში სინამდვილის უშუალო განცდა ე.წ. „მეორე პლანშია“ გადატანილი. მისი გამოხატვის ფორმაში იგრძნობა მეორადი სინამდვილის პირობითი თეატრალური მანერა. აქ თითქოს მაყურებლის თვალით არის დანახული მხატვრული სურათი.

საერთოდაც, მეოცე საუკუნის დასაწყისისა და ოციანი წლების პოეტების ლექსიკონში, მათ პოეტურ ხილვებში დიდი ადგილი უჭირავს თეატრალურ სახეებს, არტისტულ ხვავილებს, ბოჰემას... სამყარო თეატრალური ილუზიაა, უჩვეულო, შეუცნობელი, ფარდის მიღმა დაფარული სინამდვილის პოეზია, მისი პირობითი ფორმა და ცხოვრების ნიღბების გათამაშება, — ზოგჯერ ამ პოეტისათვის წარმოადგენდა სიმბოლოს თვით ცხოვრებისას. მათთვის იგი იყო ისევე წამიერი, წარმავალი, მოძრავი და შეუცნობელი, როგორც ფარდის იქით წარმოდგენილი სინამდვილე ესახებოდათ.

ამ პარალელში ხედავდა ცხოვრებისა და თეატრის მსგავსებას ბევრი პოეტი ჩვენშიც, ევროპაშიც. მათთვის არსებული სინამდვილე თავისებური თეატრია, დედამიწა თავისი პეიზაჟებით ბრწყინვალედ ასრულებს მსატვრის ფუნქციას, ადამიანები კი თამაშობენ სხვადასხვა როლებს, ზოგი ავისას, ზოგი კარგისას, კონფლიქტები, კოლიზიები, სიუჟეტები მოგზაურობენ ამ ფართო დეკორატიულ სამყაროში...

ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა; „თეატრი არის მინიატურა დედამიწის... ის ნამდვილი სიმბოლოა ჩვენი მშვენიერი და საშინელი ცხოვრების... თეატრი არის ცხოვრების ნიღაბი“ „ცისფერ ყანწელების“ პოეტურ არსენალში თეატრმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. მაგრამ არა მარტო ისინი, — ამ პერიოდის თითქმის ყველა პოეტი იყო გატაცებული თეატრით. „ჩვენ ფარდის მარადი რომანტიკოსები და რაინდები ვართ“. ამბობდა ვ. გაფრინდაშვილი და ეს თითქოს ქართველი პოეტების მანიფესტი იყო. შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ კორპორაცია „დურუჯს“ მხარში ამოუდგნენ ქართველი მწერლები. პირველ რიგში ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ბ. ჟღენტი, შ. აფხაიძე და სხვები. როგორც ყოველ ბუნტარულ აფეთქებას, რომელიც მიმართულია ძველისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ — „დურუჯსაც“ ჰქონდა თავისი უკიდურესობანი, მაგრამ ძირითადად მან დიდი როლი შეასრულა თავის დროზე თეატრის შემოქმედებით და ორგანიზაციულ ცხოვრებაში. იგი გამოვიდა ქართული მწერლობისა და თეატრის დამაკავშირებლის როლში. ამ ორმოცი წლის წინათ (1926 წ.) ბ. ჟღენტი წერილში „დურუჯის დღისათვის“ წერდა: „არა ერთი ტრაფარეტული ტრადიცია მივეცით ჩვენ დარღვევასა და დავიწყებას, არა ერთი ავტორიტეტული რუტინა შევარყიეთ. მაგრამ არის ტრადიციებიც, რომელთაც ჩვენ ვიცავთ, ვაგრძელებთ და ვამაღლებთ. ტრადიციები, რომლებიც იცოცხლებენ პოეზიაში, ციდრე არსებობს თვითონ პოეზია. მათ შორის ტრადიცია თეატრის სიყვარულისა და მასთან სიახლოვისა... ჩვენი თანაგრძნობა უდაოდ ეკუთვნის „დურუჯს“... ქართულმა

დრამამ თავი დააღწია პრიმიტიულობას და მსახიობის კულტურასთან ერთად ჩაიბარა თეატრალური გემოვნების ევროპული კულტურა“..

მწერლობისა და თეატრის ურთიერთობის ნიმუში იყო ილიასა და აკაკის მოღვაწეობა, შემდეგ ეს ტრადიცია განაგრძეს ახალმა თაობებმა, მაგრამ ყველაზე დიდი აქტივიზაცია ამ ურთიერთობისა დაკავშირებულია ახალ ლიტერატურულ და თეატრალურ ძიებებთან. პირველ რიგში იმ ეტაპთან, როცა მწერლობაცა და თეატრიც „სულიერი რეალიზმის“ სფეროში ეძებს ახალ ფორმებსა და საშუალებებს. ადამიანის სულის შინაგანი დინება, მისი ფსიქოლოგიური სამყარო იქცა ბევრი მწერლის ძირითად თემად: ბურჟუაზიული ურთიერთობის წარმოქმნა, რომელმაც უფრო გაამძაფრა კონფლიქტი ადამიანსა და საზოგადოებას შორის, ნაყოფიერი ნიადაგი იყო ფსიქოლოგიური რეალიზმის განვითარებისათვის. იბადება ახალი დრამა, რომელიც თეატრში მოითხოვს შესაბამის ცვლილებებს. ამ ტენდენციას მწერლობიდან მხარს უჭერენ პირველ რიგში დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯავახიშვილი...

მრავალმხრივ ერთნაირი პროცესები ხდება ქართულ მწერლობასა და თეატრში. ეს გასაგებიც არის. ისინი ერთად არიან, ერთად განიცდიან ტკივილსაც და სიხარულსაც. მათ დიდი ისტორიული მისია ხვდათ და ეგი ერთად, ერთიანი ძალით შეასრულეს. მე-19 საუკუნის 60-70-იან წლების შემდეგ, ისე ახლოს არასოდეს არ ყოფილა მწერლობა და თეატრი, როგორც ეს მოხდა ოცდაათიან წლებში: გ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. გამსახურდია, გ.ლეონიძე, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი შ. დადიანი ტ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ბ. ჟღენტი, პ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, ალ. მირცხულავა, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, შ. აფხაიძე და სხვები, მეორეს მხრივ კ. მარჯანიშვილი ს. ახმეტელი, ა. ხორავა, უ. ჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, შ. ღამბაშიძე, თ. ჭავჭავაძე, ს. ზაქარიაძე, ვ. გოძიაშვილი...

ეს არის ახალი საუკუნის დიდი მწერლობა და დიდი თეატრი (ახალი დროის კლასიკოსია აქ ბევრი მათგანი!) ისინი ერთმანეთზე ახდენდნენ ზემოქმედებას, ერთად ქმნიდნენ ახალ ქართულ კულტურას. ძნელი არ არის დავინახოთ ამ მწერლობის როლი თეატრში და თეატრისა მათ შემოქმედებაში. **ამ პერიოდის თითქმის ყოველი პოეტისა და პროზაიკოსის შემოქმედებაში იგრძნობა ინტენსიური თეატრალური აზროვნება.**

ყველაზე უფრო კი გალაკტიონის თეატრალური სამყაროა გამორჩეული, თუმცა, გ. ტაბიძე არ ყოფილა თეატრალური მოღვაწე, უფრო მეტიც, იგი თითქოს ჩვენი პოეტებიდან ყველაზე შორს იდგა თეატრისაგან. მას პირადად არ გადაუტანია ქართული თეატრის ჰირვარამი (მსგავსად ილიასა და აკაკისა), არც ბევრი სტატიები უწერია თეატრის პრობლემებზე, მაგრამ მაინც დიდია თეატრის როლი მის პოეტურ სამყაროში.

რადგან ჩვენი წერილი პირველი სპეციალური სტატიაა ამ საკითხზე, ბუნებრივია, მას ნაკლიც ექნება და სადაოც, მაგრამ საერთოდ იმდენი რამ არის დაწერილი გალაკტიონის შესახებ (კარგიცა და სუსტიც!), რომ შეიძლება კაცს სურვილი აღეძრას შესწავლილი იქნეს პოეტის შემოქმედების თეატრალური სფეროც.

... გ. ტაბიძეს აქვს ლექსი „საახალწლო ეფემერა“, სადაც გამოხატულია, თუ რას განიცდის პოეტი თეატრში. იგი დაკავშირებულია მუსიკის ჯადოსნურ მელოდიასთან, არტისტი ქალის მშვენიერებასთან, დარბაზში გარინდებულ მაყურებლის სულთან, ფარდის იდუმალ შრიალთან.

მრავალ წამწამებს და მრავალ ისარს
გრძნობს დაღალული თვალი თეატრში
და ედარები მზეს ნამაისარს,
მაღალ ლოჟიდან შენ, ბეატრიჩე!

პოეტი მღელვარებით უყურებს მას და თეატრს შეუმჩნევლად მიჰყავს იგი ბუნდოვანსა და შორეულ მხარეში. პოეტი „თითქოს ქაოსის ნისლში“ შევიდა, და ამ მშვენიერ თეატრალურ ილუზიებში ქანაობს. იგი ხედავს „კარგი ქალების სიცილს უდარდელს, ელვარე ლალებს და ყელსაკიდებს“. ეს არტისტული სამკაული ლამაზი ქალისა იმონებს მის სულს, და როცა ფარდა ეშვება, „თეატრი ხდება ლურჯ გაზონებით უდაბნო ყვავილით ნასამუმარი“.

გალაკტიონისათვის დაუვიწყარია ეს დღე, რომელმაც დაიმონა იგი.

„კვლავ მონად ვყავარ თეატრის ვარდებს,
ღამეს, სითეთრეს, ვაზას, მაგიდებს“.

თეატრალური აქსესუარები აქ განსაკუთრებულ ინტიმს იძენენ. პოეტის სული, მისი ემოცია, ფიქრი და დამოკიდებულება ითბობს და ჩვენთვის ახლობელს ხდის საგანს, ლამაზი ქალის ხელი რომ ეხებოდა. ის ღამეც და სითეთრეც, პოეტი რომ ამბობს, თეატრის ღამეა, სცენის თეთრი სინათლეა. თეატრი ხომ ისევე ადვილად ეგუება მოგონილს, როგორც ელექტრონის სინათლე იძლევა სცენაზე მზის სხივის ილუზიას.

გალაკტიონის პოეტური განცდა და თეატრალური ილუზია ლექსში აღიქმება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი. პოეტურია თეატრის მიერ აღძრული ემოციები, მშვენიერია ის სახილველი, რომელიც პოეტში ამდენ სევდასა და სიხარულს იწვევს. თეატრალური

გარემო (სცენა, პარტერი, ლოჟა) პოეტისათვის მომჯადოებელი სამყაროა, რომელიც მაშინ ქრება, როცა თეატრის პატრონი „აბნელებს სანთლებს, ალაგებს დარბაზს“ და მშვიდად მიდის.

თეატრიდან მიღებული შთაბეჭდილება იმდენად ძლიერია, რომ გალაკტიონში ბადებს ახალსა და ძლიერ მეტაფორულ სახეებს, აღძრავს აქტიურ ემოციას.

თეატრი შთაგონების წყაროა არტურ რემბოსათვისაც. მისი გახსენება კოსმიურ მოვლენის პარალელს წარმოშობს რემბოსთან („მთვრალი ხომალდი“). გალაკტიონის სურათიც ბუნების სამყაროშია განფენილი. ჩვენ თითქოს ვხედავთ როგორ „ნაფოტივით ტივტივდება კლავიში სცენაზე. ეს ნაფოტივით ატივტივებული კლავიში წარმოქმნის მუსიკის მომჯადოებელ ჰანგებს და „თეატრს ვით სატკივარი“ ისე ედება. გალაკტიონისათვის ზღვის სივრცე და მისი ხმა, სცენაზე წარმოქმნილი მუსიკალური მელოდიის შესატყვისია. რემბოსთან კი მზის ამოსვლა (რომელიც „იდუმალ ბურუსს არღვევდა“) და ზღვის ღელვა თავისი გრანდიოზულობით ანტიკური თეატრის ასოციაციას იწვევს.

„მე დავინახე, მზე იდუმალ ბურუსს არღვევდა.
იისფერ ზოლად დაფენილი ენთო დასავლეთი,
ანტიურ დრამის მსახიობთა მსგავსი ტალღები
იგრაგნებოდნენ ზღვის კიდესთან შავ
ფარდასავით

(თარგმანი გ. გეგეჭკორისა)

რასაკვირველია, აქ „მსახიობთა მსგავს ტალღებზე“ როდია ლაპარაკი. ანტიკური თეატრი გამოირჩეოდა თავისი დიდი ტემპერამენტით. ვნებით, მსახიობთა ბობოქარი სულით. ცხადია, აქ ლაპარაკია ღია ცისქვეშ წარმოდგენილი სპექტაკლის (რომელიც ათასებისათვის იყო განკუთვნილი!) მასშტაბებზე.

გალაკტიონის ლექსებში თეატრისაგან აღძრული ფიქრები და ემოციები დიდ მხატვრულ სახეებში იხატება. ადვილი წარმოსადგენია გლოვისა და მწუხარების სიღრმე, როდესაც ჩვენ ვკითხულობთ „მერის“ უკანასკნელ სტრიქონებს.

„და მე ავტირდი — ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული“.

ძალზე ხატოვანია და კონკრეტული ეს სურათი, რომელიც მკითხველში მეფე ლირის ტრაგედიის მთელ შინაარსს იტევს. მეფე ლირის ტრაგედიის პარალელი პოეტის განცდებთან ზუსტად გამოხატავს სულიერი ობლობისა და მარტოობის გრძნობას. ბევრ პოეტს თავისი სევდიანი ცხოვრება მოსაწყენი და მელანქოლიური სპექტაკლისათვის შეუდარებია. გალაკტიონთან ტკივილი კი აქტიური, მძაფრი და ღრმა ტკივილია. მისი სულიერი დეპრესია თავისუფალია ინდიფერენტიზმისაგან, როცა იგი ახსენებს სწორედ ლირსა და არა სხვას — უკვე ადგილი აღარ რჩება მონოტონური სევდისათვის. სულ სხვაგვარ სურათს იძლევა შარლ ბოდლერი, როცა იგი შესცქეროდა „ქვეყანას სადაც წუთისოფლის ზარები რეკდა“. როცა „ბედის წერის საფეხურებზე“ თამაშობდნენ „მარადიული შეცოდების მოსაწყენ სპექტაკლს“. „მოსაწყენი სპექტაკლის“ ცნება თავისთავად უკვე განსაზღვრავს პოეტური ასოციაციის ხასიათს.

დიდი მსახიობის სარა ბერნარის სიკვდილს ღრმა გულისტკივილით შეხვდა გ. ტაბიძე. პოეტი იგონებს მსახიობის განვლილ გზას. მის დაუდეგარ ბუნებას, მის გრიმს, უჩვეულოსა და ეფექტურ გრიმს, პლასტიკას, მის მიმიკას. ერთი სიტყვით არტისტულ პალიტრას უხვსა და მრავალფეროვანს.

და შემდეგ:

„მაგრამ... იწყება, ასწიეს ფარდა —
ბის წინ კარპიის არის ცხედარი:
ქალის თვალებში იშლება ვარდი,
გრძნობათა ცეცხლი გაუბედარი.
იდგა მუხლმოყრით და ცრემლებს ღვრიდა
სასოწარკვეთა და გრძნობა ძველი,
იგი ოცნება, ხან მარგარიტა,
ხან კლეოპატრა — ნილოსის **გველი.**
რა ფერებია? გრძნობათ სეირად
და ისე, როგორც მწვანე სურათებს
ხატავს დეორდანო და რიგეირა“.

ლექსის უკანასკნელ სტრიქონებს გალაკტიონი ქართულ თეატრს უკავშირებს.

„აჰ, გრიმი, გრიმი, ლევკოვებს ისე
აღარ აღელვებს გრძნობათა ქარი,
იქნება მშვიდი ნინო ჩხეიძე
თუ ანთებული სარა ბერნარი“

ისევ გრიმი, ისევ ანთებული არტისტული ცხოვრება!

გალაკტიონმა რამდენიმე ლექსი უძღვნა მსახიობ ქალებს. მისთვის მსახიობის პროფესია უდიდესი **პატივისა და დიდების საქმეა.** პოეტი მზად არის ძეგლი დაუდგას მსახიობს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ხელოვნებას შესწირა.

„ოჰ, რა რიგ მინდა მაშინ ძლევის დაგიდგა ძეგლი,
გულწრფელ სიტყვებში გამოვხატო ეს გრძნობა მცირე.
— ძეგლის ღირსი ხარ, რადგან სული უკანასკნელი
შენს ერთ სიყვარულს, ხელოვნების ტაძარს შესწირე“.

(„მსახიობ ქალს“)

ეს არის 18 წლის ჭაბუკის სურვილი. ახალგაღვიძებული პოეტური გენიის (ლექსი 1909 წელსაა დაწერილი) პირველი თეატრალური ოცნება. ამ პერიოდში ჭაბუკი პოეტი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ხელოვნებისადმი. ლექსებს უძღვნის მუსიკას, მსახიობს და საერთოდ ხელოვნებას. მან იცის, რომ ხელოვნების სამყარო რთულია, ღრმა და ზოგჯერ შეუღწეველი, აღუვსებელი. ეს არის „ოქრო მიწის გულში დამარხული", ამასთანავე, „არის საღვთო ბილიკები ამ სივრცისკენ მიმავალი". მაგრამ მას იქით კაცის გრძნობა და გონება ვერ სწვდება" („ხელოვნება"). ასე რთულ და იდუმალებით მოცულ სამყაროდ ესახებოდა პოეტს ხელოვნება.

მსახიობის ხელოვნების მებრძოლი ბუნება გამოხატულია ლექსში „მსახიობის დღიურიდან".

„ვინ რას დამაკლებს?! ჩემში ძალაა
ფრთაგაშლილი და დაუთრგუნველი!
დეე კვლავ ეჭვით დამხარხარებდეს
მტერთ ურცხვი გუნდი, ბრბო უზრუნველი"
(1910 წ.)

ამ ლექსის დაწერიდან 45 წლის შემდეგ გალაკტიონი კვლავ, უბრუნდება თეატრს, როგორც მებრძოლი ხელოვნების თემას.

„ხელთ აუღია
თეატრს
უზარმაზარი
ქნარი"

წერს იგი და ეს „უზარმაზარი ქნარი" პოეტისათვის დიდი მხატვრული ძალაა.

ქუხს ტრომბონის ხმა,
ჩანგი,
ბუკი და
პიანინო.
ხმა ორკესტრის და
სცენის
გრიგალს მიჰყივის
თანა"

სწერს იმავე ლექსში „ო, ნანა, ნანა, ნანა".

გალაკტიონი რამდენჯერმე მიმართავს შექსპირულ სახეებს. აქ უნდა გავიხსენოთ მისი „ჰამლეტის ქნარით". ეს ლექსიც სიჭაბუკის წლებშია (1911 წ.) დაწერილი. დაწერილია დიდი ექსპრესიით.

ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთი-
სოფელია.
წადი... წადი მონასტერში, მონასტერში
ოფელია!
ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს
აჩვენე,
დამაშვრალი სული, გული მონასტერში
მოასვენე!
მაშ, შორს მტვერი, შორს, შორს მიწას — ის
ცის უარმყოფელია.
წადი, წადი მონასტერში, მონასტერში
ოფელია!...

როგორც შემდეგ დავინახავთ, ლექსი თავისებურ გამოძახილს პოულობს გალაკტიონის წერილში „თეატრები."

თეატრის სული, მისი არტისტული ცხოვრების სითბო, ვნება და კოლორიტი ნაგრძნობია ლექსში „სცენა-სუნთქვაა გახშირებული" .აქ შესანიშნავად არის დაჭერილი წარმოდგენის მზადების რიტმი, გადმოცემულია სცენური ატმოსფერო.

დეკორატორი ამზადებს ფარდებს,
სდგამს ტყეს და იქით ქოხებს თოვლიანს
შენ ამ პიესის მითხარ, რა გმართებს
ან მანფრედები როსმე მოვლიან?
სცენა — სუნთქვაა გახშირებული,
საწამლავები იღვრება ჭიქით
რამდენი მახსოვს ატირებული
ამ დერეფნებში ამ ფარდებს იქით.

ასე ძლიერია პოეტისათვის თეატრალური სინამდვილე, ეს სინამდვილე იჭრება მაყურებლის სულში და იქმნება გრძნობათა და ფიქრთა ჰარმონია. და იგი იქმნება იმ ცრემლის გამო, რომელიც სცენაზე დაიღვარა და რომელმაც მაყურებელშიც იგივე განცდა გამოიწვია.

ამ თემას აგრძელებს პოეტი სხვა ლექსშიც („კარგი პიესა"). სცენა გაგებულია, როგორც ცხოვრების ექვივალენტი. სცენაზეც ყველაფერი ხდება მსგავსად სინამდვილისა. აქ არის შურიცა და მტრობაც, სიყვარულიცა და სიძულვილიც. ერთი სიტყვით, მისთვის არაფერი ადამიანური არ არის უცხო. მაგრამ სცენაზე წარმოსახული მთელი ცხოვრება სანახაობაა.

ეს არის მოქმედი და მოძრავი სანახაობა, მისთვის უცხოა რუტინა. გალაკტიონი თეატრის მშვენიერი ფარდის მიღმა განცდილ სინამდვილეს მის განუწყვეტელ მოძრაობაში ხედავს. პოეტი გრძნობს თეატრის შინაგანი ბუნების თავისებურებას.

სცენაზე მიდის
ადამიანთ შური და მტრობა:
ხან სიხარულის,
ხან ტირილის გულღვარძლი გრძნობა —
სანახაობა!
ყველაფერი რუტინის გარდა,
არ გვაშორებს მას
მშვენიერი თეატრის ფარდა.

გადის წლები და გალაკტიონის წარმოსახვაში უფრო მრუმე ფერს იძენს თეატრალური სა-

ნახაობა. იგი უახლოვდება მის წარმოდგენას ცხოვრებაზე, მის წინააღმდეგობებზე.

რაღაც სიზმარეულ ილუზიაში ეხვევა მისი თეატრი და პოეტი გლოვობს ამის გამო. მას ეჩვენება, რომ თითქოს ამ ქვეყნად იგი ისე დადის თეატრიდან თეატრში, როგორც მწუხარე სანახაობიდან სანახაობაზე. აქ თეატრი არსებითად ცხოვრების ტოლფასოვან შინაარსს იძენს.

ღრმა მწუხარება აღარც მანებებს,
ისევ უფსკრულში გადამაქანებს
როდემდე ვივლით
ასეთ ტკივილით?
როდემდე უნდა მივყვეთ ზმანებებს
ყოველდღიური სიზმრების ნატვრით,
ერთ თეატრიდან, ან სხვა თეატრით
როდემდე ვივლით
ასე ტკივილით?

რა სატკივარი და საფიქრალი გასჩენია პოეტს? თეატრის ილუზია რატომ აღძრავს მასში ამდენ სევდას? იქნებ იმიტომ ხდება ასე, რომ ცხოვრებისა და თეატრის ერთიანობის განცდა დაეუფლა პოეტს? და თუ ცხოვრება ისევე წარმავალია, როგორც წარმავალია თეატრის სპექტაკლი, მაშინ საფუძველი ჰქონია პოეტს ღრმა სევდისათვის. მას უკვე შეეძლო თავისი განვლილი დღეები თეატრის გარდასულ სპექტაკლებისათვის დაეკავშირებინა .

ან წარსულ დღეებს რატომ შევნატრით,
სარაჯიშვილი როცა მღეროდა;

სარაჯიშვილის სახელს იგი ხშირად უბრუნდება („ოპერის თეატრთან", „მწუხარება" და სხვა) მის ხსოვნას უძღვნის ლექსებს.

ოპერის თეატრს გავუვლი ახლო
და გული კვდება საამოებით,
გახსოვს თუ არა, მაღალო სახლო,
ჩემი მქუხარე საღამოები?

მაგრამ სარაჯიშვილის გახსენება, მარტო გარდასულ დღეებს როდი აგონებს, იგი არის ერთხელ განცდილი ესთეტიკური სიამოვნების გამეორების წყაროც. პოეტი მიმართავს მომღერალს, რომ „ჩამოხსნას დღეებს შავი ზეწარი" და უკვე აღარ ესმის მომღერლის ქვითინი.

და მაინც ამის მიუხედავად, მიუხედავად პოეტის განცხადებისა, „ბევრი რამ მწარე" მახსოვს, მაგრამ არ დავღონდებიო — ლექსი უთუოდ დაეპვებული კაცის კითხვით მთავრდება

ძნელი არ არის ღვივოდეს რწმენა,
აუხდენელი მომავლის ზღაპრის?

ვ. სარაჯიშვილი აღარ არის.. წლები არ ბრუნდებიან. არ ბრუნდებიან ის თაობებიც, რომლებიც ამ წლებს გაყვნენ და პოეტიც სევდიანად გასცქერის იმ გზას...

სულ სხვაგვარ ინტონაციას იძენს სევდა სხვა ლექსში. იგი თითქოს უკიდურესობამდე გამძაფრებულია. მაგრამ ოდნავ ირონიითაა შეფარული.

ორკესტრის ხმაში — ტყის ნაპირია,
წყაროვ და ველო, ქალი და ვაჟი
ოცნების რაში ვის რათ სჭირია,
ვის რათ სჭირია ეხლა მირაჟი?

პოეტს აწუხებს კითხვა — არის კი საჭირო მირაჟი? სჭირდება ვინმეს იგი? კითხვა იმგვარია, რომ თითქოს იგი პასუხსაც შეიცავს, მაგრამ ბოლო სტრიქონებში კატეგორიული ტონი იცვლება და ერთგვარი განელება ხდება მისივე კითხვისა.

გ. ტაბიძემ ლექსი უძღვნა ქართული სცენის დიდოსტატს ვასო აბაშიძეს. პოეტი იგონებს დიდ მსახიობთან ერთად გატარებულ დღეებს, მის მყუდრო ბინას, სადაც არა ერთხელ განუცდია სიხარულით სავსე წუთები. მოგონებას ერთგვარი სინანულის იერი დაჰკრავს. პოეტის განცდაში არის სინანზე და სითბო. არის დაფარული სევდაც, რომელსაც სიჭაბუკის გარდასულ დღეთა მოგონება წარმოშობს ხოლმე.

მე მახსოვს მისი პატარა ბინა
იქ უფრო ადრე ვცხოვრობდი წინათ.
რაღაც პატარა, რაღაც ფარული.
ო, შესახვევი თეატრალური.

გადაიშალნენ გზები სხვადასხვა.
ცხოვრებამ ბევრი წაიღო სასო,
რა კარგად მახსოვს ძვირფასო ვასო ,
რა კარგად მახსოვს მგზნებარე საშა,
რა კარგად მახსოვს მქუხარე ვაშა,
რა კარგად მახსოვს პატარა ბინა,
და ორი თასი რომ გვედგა წინა.

პოეტისა და მსახიობის მეგობრობა შესანიშნავად არის გადმოცემული ამ გულწრფელ სტრიქონებში. პოეტი იგონებს მისი ბიოგრაფიიდან დასამახსოვრებელ დღეებს, რომელიც მსახიობის წარმატებასთანაც არის დაკავშირებული. პატარა ქუჩისა და პატარა ბინის სითბო და იდილია რაღაც განსაკუთრებულ ინტიმს იძენს, როცა პოეტს აგონდება „ორი თასი". ჩვენ თითქოს ვხედავთ პოეტსა და მსახიობს ერთად მაგიდასთან შემომსხდრებს, ვხედავთ მათ სახეებს, გვესმის მათი სიტყვები...

ლექსში ნახსენებია „მგზნებარე საშა." ძნელია კატეგორიულად ვამტკიცოთ თუ ვის გულისხმობს პოეტი. შესაძლოა იგი იყოს საშა (ალექსანდრე) იმედაშვილი ან საშა (სანდრო) ახმეტელი. ორივეს დამშვენდებოდა „მგზნებარის" ეპითეტი!

ლექსი დაწერილია 1958 წლის 3 ოქტომბერს ამავე დღეს დაუწერია მეორე ლექსიც

„ტასო აბაშიძე". „დიდი მსახიობების შვილი" სადმი მიძღვნილი ლექსი ორი სტროფისაგან შესდგება და თითქოს ექსპრომტის ხასიათისაც უნდა იყოს.

გარედ არეა წვიმის,
აქ კი ოთახი გრიმის,
მსახიობ ქალთან ცალკე
საუბრობს მისი სარკე.
სარკე: მზადა ხარ, ტასო?
ტასო: სიცოცხლის ფასო!
კართან როლების გროვა
სცემს, ტასო, დროა, დროა!

როგორც გ. ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ანალიზიდან ირკვევა, პოეტს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ფიქრი თეატრზე. იგი ხშირად მიმართავდა დრამატურგიულ ფორმებს. მისი ლექსები და დღიურებში გამხელილი ფიქრები ნათელს ხდის თუ რაოდენ დიდი იყო გალაკტიონის თეატრალური სამყარო. მისი ინტერესების სფეროში შედიოდა მსახიობის ხელოვნება, თეატრალური მხატვრობა, თეატრალობის ბუნება, მუსიკა, ორკესტრი. სწერდა პერსონალურად მსახიობებისადმი მიძღვნილ ლექსებს. იშველიებდა თეატრალურ და დრამატურგიულ სახეებს, დეტალებს იტაცებდა დიალოგის ფორმის ლექსები და განსაკუთრებით შინაგანი მონოლოგები. დიდი სურვილი ჰქონდა დაეწერა პიესები. ჰქონდა თეატრალური ჩანაწერები, წერილები. ერთი სიტყვით, ნამდვილი თეატრალი იყო. თეატრისადმი ეს სიყვარული სიჭაბუკის წლებიდან მოსდევდა.

* * *

გალაკტიონ ტაბიძეს მოსკოვში ჰქონდა დამთავრებული სარეჟისორო კურსები (1928 წ.) მოისმინა ლექციები რეჟისურის, თეატრის ისტორიის. გრიმის, მეტყველებისა და სხვა სპეციფიკური თეატრალური დარგების შესახებ. იგი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო მუსიკით. დიდი სურვილი ჰქონდა, გამხდარიყო ნ. სულხანიშვილის გუნდის წევრი, საამისოდ გამოცდაც ჩააბარა. ერთერთ დღიურში (№ 12 დ. 02 1370-394) პოეტს აღწერილი აქვს, თუ როგორ მოხვდა სულხანიშვილის გუნდში. დღიურში წერია: „1910 წელი. ერთ ერთი სახლის დარბაზი... დარბაზის ერთ კუთხეში დგას როიალი. როიალთან ზის ნიკო სულხანიშვილი. მას ხელი კლავიშზე უდევს. დიდი კომპოზიტორის სახე გამოხატავს შემოქმედებით ზეშთაგონებას და მისი თვალები აღტაცებით მომჩერებია. კომპოზიტორი ამოწმებს ჩემს ხმას. — დავიწყოთ ხელახლა, შეუბნება ნიკო სულხანიშვილი. აბა აჰყევით. ნიკო იღებს გამას, სრულიად უბრალო გამამას დო... რე... მი.. მე ვყვები ჯერ სრულიად უბრალოდ. შემდეგ გადადის ვარიაციებზე და ჩემი ხმა უმაღლეს ნოტიდან გადმოდის დაბალზე, დაბლიდან მაღალზე. და შემდეგ, დიდხანს, უკანასკნელი აკორდი მისწყდა. გამოცდა დამთავრდა.

— რა სუფთა ალტია, გასაოცრად წკრიალა ალტი, უნაზესი ლირიკაა! რამდენი წლის ხართ? თხუთმეტის ბ-ნ ნიკო! როდესაც ოცის გახდებით თქვენი ალტიც ბარიტონათ იქცევა. დარჩით ჩემს გუნდში ვიმღეროთ ერთად.

ასე გავხდი სულხანიშვილის გუნდის წევრი".

მუსიკისადმი ინტერესი არასოდეს განელებია გალაკტიონს. იგი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი საოპერო თეატრის სპექტაკლების, უდიდეს პატივს სცემდა ზ. ფალიაშვილს, თეატრისათვის განკუთვნილი ხარჯები საკმაოდ სოლიდური იყო მის ბიუჯეტში. როგორც მისი დღიურებიდან ჩანს, პოეტი ხშირად განიცდიდა ეკონომიურ გაჭირვებას. ხშირად წუხდა, ჩიოდა, ზოგჯერ პირდაპირ გოდებდა ამის გამო. ვერ იქნა და ვერ აეწყო მისი საქმე ამ მხრივ. 1929 წ. 14 თებერვლის თარიღით ხელოვნების მთავარ სამმართველოს წერს, რომ დაწერილი მაქვს 5 ათასამდე ლექსი და წერილი, ვითვლები პირველხარისხოვან პოეტად, „მაგრამ ფიზიკურად დაავადმყოფდი, არა მაქვს ბინა, განვიცდი აუტანელ სიღარიბეს... შიმშილმა, უბინაობამ. უტანსაცმელობამ სრულიად გამანადგურა", გთხოვთ დახმარებასო. კითხულობთ დღიურებს და პირდაპირ თვალებს არ უჯერებთ, თუ როგორ ტრაგიკულად განიცდის პოეტი ხელმოკლეობას. ეკონომიურ მდგომარეობიდან გამოუვალობის გრძნობა მასში ბადებს შიშსა და ურწმუნოებას. ზოგჯერ იგი ცდილობს გაექცეს მას და თავი შეაფაროს სადღაც.

ამგვარი ეკონომიური და სულიერი მდგომარეობის დროს იგი ხშირად მიდის თეატრში. თეატრი მისთვის გართობაც არის და ზოგჯერ დროის მოკვლაც, უფრო მეტად კი მისი იდუმალი ბუნება იტაცებს.

1946 წლის ერთერთ საოჯახო ხარჯთაღრიცხვაში წერია: „სულ გვაქვს 400 მანეთი აქედან 20 პაპიროსს, 20 თეატრს, 7 კინოს"... ერთობ ბევრია თეატრის ბიუჯეტი. დღიურებში ხშირად ვკითხულობთ: „დავესწარი „გორდას" — გადამრია სცენამ ზღვის ღელვისამ, მშვენიერმა ადგილებმა ჯვრის მონასტრისა და სვეტიცხოვლისამ. „გორდა" უდიდესი მიღწევაა ქართული ხელოვნების".[1]

..."ვიყავი მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. დავესწარი „შესაფერ ჯილდოს" გ. ქელბაქიანის. სადაც გ-ნის წიგნები ორჯერ

[1] დღიურებიდან ჩვენს მიერ მოტანილი მასალა ქვეყნდება პირველად.

მარჯვე (ძლიერ) ადგილასაა ნახსენები. აღფრთოვანებული დავბრუნდი შინ. რა ღრმად და ლამაზად არის ქართველი ინტელიგენტების მიერ გ-ნის ბუმბერაზობის შეგნება, გაგება. სდგამენ სომხური, მოზარდი და სხვა თეატრებიც, თვითონ პიესა საუკეთესო აგიტაციაა ოჯახის — სახელმწიფოს პირველი უჯრედის შესახებ“.

ჩვენ არ გვიკვირს პოეტის ბავშვური აღტაცება იმის გამო, რომ მისი წიგნები ახსენეს სცენაზე. თავად კარგად იცოდა, რომ დიდი პოეტი იყო, მაგრამ გაფაციცებით უგდებდა ყურს სხვის ნათქვამს.

...„ვიყავი „აკაკი ვასაძესთან“ სწერია ერთ დღიურში, თეატრის პროგრამაზე მიუწერია „დიდებულია „პიკის ქალი“. მეორე მოქმედების დეკორაცია, განათება, სივრცე, სტუმრების განლაგება მარჯვნივ და მარცხნივ“.

... გარდაიცვალა შალვა ღამბაშიძე, დღეს ასაფლავებენ... ეჰ... 1955 წ. 19 მაისი“. მეიერჰოლდის თეატრში ლოჟა არაა“.. „ოპერაშე შემოვიდა...“ დასწრებია რომელიღაც ისტორიულ თემაზე დაწერილ პიესას „მოქმედი პირები (ისტორიული), იშვიათი გვარები. მე ქართულ მწერლობაში არ შემხვედრია. გასახარელია რომ ასე დიდ როლს თამაშობენ ქალები. არა თუ მართლა!..“ ხშირად არის ჩანაწერები მსახიობების ნაამბობიდან. არის შთაბეჭდილებები თეატრალურ საღამოებზე „ვალერიან გუნიას მოსაგონარი 15 წლისთავი ჩატარდა ხელოვნების სახლში, კარგი იყო ტასო აბაშიძის და შალვა დადიანის გამოსვლა პრესაში...“

... „ჩვენი პოლიკარპე დინჯი, გონიერი ადამიანია, ერთის შეხედვით ბევრს ეგონება რომ არაფერს არ აკეთებს და იმის გამო, რომ სულ დაფიქრებულია. სადაც არ უნდა შეხვდეთ ერიდება ზედმეტ ლაპარაკს, ყბედობას. ვინაიდან ის არა სიტყვის, არამედ მოქმედების ადამიანია. ქმედება, საქმის გაკეთება, ნამდვილად, საფუძვლიანად. აი მისი სტიქია. და ეს მოქმედება ხშირად იქცევა „საბრძოლო“ მოქმედებათ... მე ვთქვი „საბრძოლო“ მოქმედება — საიერიშო მოქმედება. მისი ასეთი მდგომარეობა ხშირად აღძრავს, ამუშავებს დიდს და რთულ მექანიზმს. იტყვიან რომ მანქანა მუშაობს. ამუშავებულია მთელი ძალით. ამგვარი მუშაობა ხშირად გაფიქრებს... ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვას მოქმედება, მოქმედება, მოქმედება, მოქმედება. ამგვარად შეიქმნა კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“. მოქმედების ადგილია თეატრი, სცენა მშვენიერი პიესაა. ეს ყვარყვარე თუთაბერი ტიპია. პ. კაკაბაძე ამ პიესით ერთი ფუძემდებელთაგანია თანამედროვე ქართული დრამატურგიის“.

1950 წლით არის დათარიღებული ეს ჩანაწერები. ამავე წლის 31 იანვარს პოეტს გახსენებია ძველი ამბავი. „ცილინდრი ზღვაზე“ ჰქვია მას. ერთხელ გალაკტიონს ვ. არაბიძისათვის შეუჩივლია, წვიმის გამო თუ როგორ ჩაეშალა საღამო აფხაზეთში.

— ეგ რაა იმასთან შედარებით, ჩვენ ერთმ გვემართებოდა, მსახიობებს — ჰყვება ვასო არაბიძე — ერთხელ კოტე მესხი შემეხვეწა ჩემი იუბილეა აფხაზეთში და წამომყევითო. ჩვენც დაახლოებით ათი ქალი და კაცი დავეთანხმეთ. ჩავსხედით და ოჩამჩირისაკენ გავწიეთ. კოტე მესხს თან ჰქონდა მაღალი ცილინდრი, ქაღალდის რგვალი კოლოფითა. რაღაცაზე სჭირდებოდა პიესაში. ცილინდრი დათიკო მგალობლიშვილს (სოფრომ მგალობლიშვილის ვაჟს) ჩააბარა და უთხრა „მას გაუფრთხილდიო.“ ზღვაზე ღელვა ატყდა. დ. მგალობლიშვილს ხელიდან გაუვარდა ცილინდრი და ზღვაში ჩავარდა.

— აბა დაიჭით, აბა დაიჭითო ჩემი ცილინდრი — გაიძახოდა კოტე მესხი, მაგრამ ზღვა უფრო და უფრო ღელავდა და კარგა დიდი მანძილით დააშორა ნავსა. გულდაწყვეტილი დათიკო უცქეროდა როგორ ირონიული მალაყებით გადადიოდა ტალღიდან ტალღაზე ცილინდრი.

— ეგ რა ჰქენი — ამბობდა კოტე! აბა, ჩავიდეთ ოჩამჩირეში და შენ გაყურებიებ შენ სეირსო... შემდეგ არაფერი ტყავი არ გაუძვრია დათიკოსათვის. წამოსულა საშინელი წვიმა. იუბილე ჩაიშალა.

— ეჰ, ბოჰემა, — უმატებს ვასო არაბიძე — არტისტის ცხოვრება იგივე იყო, რაც ცილინდრის მოგზაურობა ზღვაზე“. ერთ-ერთ დღიურში აღწერილია პოეტის კონფლიქტი „დრუჟინიკებთან“ ძველ ქუთაისში. გალაკტიონი დასწრებია „მეფე ლირს“. ლირს ლადო მესხიშვილი ასრულებდა. კონფლიქტიც ამ სპექტაკლზე მომხდარა. გალაკტიონი აქტიურად ჩარეულა. მერე საქმე კეთილად დამთავრებულა.

1940 წლის 27 მაისს დასწრებია მ. კალინინთან შეხვედრას მარქსიზმ-ლენინიზმის ფილიალში. „შეხვედრაზე იყვნენ არტისტები მარჯანიშვილის თეატრიდან“ — წერს დღიურში.

არის სხვა თეატრალური ჩანაწერებიც, ყველგან იგრძნობა პოეტის აფორიაქებული სული, აწეწილი, დაულაგებელი ცხოვრება. „თეატრალური დღიურები“ უფრო გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ გალაკტიონის ერთ მეტად საყურადღებო წერილსა და რამდენიმე პიესის ჩანაფიქრს.

* * *

1919 წელს ჟურნალმა „თეატრი და მუსიკა“ (№ 1) გამოაქვეყნა გალაკტიონის წერილი „თეატრები“. წერილი დიალოგის ფორმით არის დაწერილი. იგი ეხება სინთეტიკური თეატრის პრინციპებს და კარგად გამოხატავს იმჟამინდელი ქართული თეატრის სტატუსს.

1919 წელს ქართულ თეატრში რთული პროცესები ხდებოდა. თეატრს ჰქონდა ღრმა კრიზისული მოვლენები. უყურადღებოდ იყო მიტოვებული ქართული დრამა. მწვავე ბრძოლა ჰქონდა გამართული ქართულ რეჟისურას. პროფესიონალური რეჟისურა იმტკიცებდა პოზიციებს. მსახიობსა და რეჟისორს შორის გამართული ბრძოლა, რომელიც ევროპისა და რუსეთის თეატრებს არსებითად უკვე გადატანილი ჰქონდათ, საქართველოში ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო. ეს იყო ამასთანავე სინთეტიურ თეატრისათვის ბრძოლაც. გალაკტიონის წერილი სწორედ ამ მხრივაა საყურადღებო, წერილი დიდი არაა, მაგრამ მნიშვნელოვანია და ამიტომ მოგვყავს მთლიანად.

რ ე ჟ ი ს ო რ ი — პიესა ჩატარდა ისე, როგორც შეფერის გამოცდილ რეჟისორს.

ჰ ა მ ლ ე ტ ი — არა, პიესა ჩატარდა ისე, როგორც შეფერის დახელოვნებულ მსახიობებს.

რ ე ჟ ი ს ო რ ი — თქვენო უდიდებულესობავ.

ჰ ა მ ლ ე ტ ი — ასეა: მსახიობობა იბადება ზეშთაგონებიდან და არ საჭიროებს არავითარ ტექნიკურ შენობას, უმაღლესი მიზანი თეატრისათვის არის სცენური იმპროვიზაცია.

რ ე ჟ ი ს ო რ ი—თქვენო უმაღლესობავ... ავტორი?

ჰ ა მ ლ ე ტ ი — გაერთიანება შემოქმედების დროს ავტორისა და აქტიორის იდეების: აი კიდევ უდიდესი მიზანი.

ო ფ ე ლ ი ა — ჩემის აზრით ეს კითხვა (რეჟისორი თუ ავტორი?) არ არსებობს. ეს მხოლოდ გაუგებრობაა.

ჰ ა მ ლ ე ტ ი — შეიძლება თქვენ აგვიხსნათ ეს გაუგებრობა?

ო ფ ე ლ ი ა — სცენაზე ვარ და არ მახსოვს შემთხვევა, რომ პიესა ჩატარებულიყოს თეატრალური მოწყობილობის გარეშე.

ვერც ერთი მსახიობი მაშინ როლს ვერ შექმნიდა. თქვენო აღმატებულებავ! რა იქნებოდა ჰამლეტი, რომ არ ყოფილიყვნენ დეკორატორები, ბუტაფორები, კოსტუმიერები სცენარიუსები, ან სუფლიორები? რეჟისორი მოწოდებულია...

ჰ ა მ ლ ე ტ ი — მოწოდებულია სცენარიუსებისა და დეკორატორებისათვის!

რ ე ჟ ი ს ო რ ი — აგრეთვე ჰამლეტისათვის.

ო ფ ე ლ ი ა — ყველასათვის, თქვენო უმაღლესობავ? აი ოსკარ უალდის სიტყვები წიგნიდან „ნიღაბთა ჰეშმარიტება". „თითოეულ თეატრალურ ორგანიზაციაში გაყვანილი უნდა იყოს განაწილება შრომისა და არა მონებისა: ფონი უნდა დარჩეს ფონად, ფერები კი ეფექტს უნდა დაუმორჩილდეს. ამას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც წარმოდგენას ხელმძღვანელობს მხოლოდ ერთი პიროვნება. ხელოვნების განათება მრავალგვარია, მაგრამ მთავარი ძალა მხატვრული ეფექტიანობისათვის მხოლოდ გაერთიანებაშია. ნამდვილი მხატვრული დადგმა ერთი შემოქმედის სულით უნდა იყოს გაჟღენთილი"...

ჰ ა მ ლ ე ტ ი — „ოფელია, წადი მონასტერში!"

ო ფ ე ლ ი ა — მე მინდა ვსთქვა, რომ უმთავრესი პიროვნება თეატრში არც რეჟისორია და არც აქტიორი. ყველაზე უმთავრესი ჩვენი ძვირფასი თეატრია. უნდა ამაღლდეს იგი მაღალ ხელოვნებამდე, აი რას ვუსურვებ მათ ყოველი ახალი სეზონის დასაწყისში".

როგორც რეჟისორის, ჰამლეტისა და ოფელიას დიალოგიდან ვხედავთ, პოეტი სინთეტიური თეატრის იდეას იცავს. ყველა კომპონენტის ჰარმონიული შერწყმის თემა თავისებური რეაქციაა რეჟისურის დიქტატურის წინააღმდეგ. არ შეიძლებოდა გალაკტიონს არ სცოდნოდა, რომ რუსეთში კ. სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს ავტორიტეტმა, აგრეთვე, ევროპის თეატრებში რეჟისორთა პიროვნების წამოჩინებამ საერთოდ მსახიობთა ერთგვარი გაღიზიანება გამოიწვია. ბევრს ეგონა, რომ რეჟისორი მოკლავდა მსახიობს, წაართმევდა მას პირველობას. „მსახიობები, —წერდა კოტე მარჯანიშვილი, — რეჟისორს ისე უცქეროდნენ, როგორც მათი არტისტული თავისუფლების მოძალადეს, როგორც დესპოტს, რომელიც თითქოს ართმევდა მათ მხატვრული შემოქმედების დამოუკიდებლობას. „იმ ხანებში მოწოლებული ვიყავით დაგვეცვა და მოგვეპოვებინა რეჟისორის მდგომარეობა თეატრში. ხშირად გვიხდებოდა ჩხუბი არა მარტო მსახიობებთან, არამედ დირექციასთანაც".

ასეთი იყო სინამდვილე. გალაკტიონისათვის მიუღებელი გახლდათ თვით საკითხის დასმაც კი, თუ ვინ არის თეატრში უპირველესი. მისი აზრით კამათი — დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი თუ მხატვარია უპირველესი, არ შეესაბამება თეატრის საერთო ინტერესებს.

მაგრამ კამათი მაინც არსებობდა. იგი გაგრძელდა დიდხანს. თეატრის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა აქცენტებს იძენს ამა თუ იმ კომპონენტის უპირატესობის საკითხი. გალაკტიონი გრძნობს, რომ ეს მეტად ღრმა და სერიოზული საკითხია და ამიტომ საკმაოდ სოლიდური არგუმენტაციაც მოაქვს თავისი აზრის ნათელსაყოფად დიალოგის თითოეულ მონაწილეს. „ყველაზე უმთავრესი ჩვენი ძვირფასი თეატრია". ამბობს ოფელია და აქ ვლინდება ავტორის პოზიციაც.

გალაკტიონი არა იშვიათად მიმართავდა ხოლმე თავისი ნააზრი დიალოგის ფორმაში გადმოცემის ხერხს. როგორც ჩანს, მასაც დიდხანს აწუხებდა დრამატურგობის ეინი. ამ

მხრივ იგი გამონაკლისი არ ყოფილა. მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი პოეტი და პროზაიკოსი ოცნებობდა დაეწერა პიესა, გამხდარიყო დრამატურგი. ვიღამ არ სცადა პიესის დაწერა ჩვენშიაც და სხვა ქვეყნების მწერლობაშიაც, მაგრამ ძალიან ცოტას თუ გაუმართლა ბედმა. ვის არ უოცნებია ამოეხსნა თეატრალური სამყაროს საიდუმლოება, ჩასწვდომოდა მის არსს და თავადაც გამხდარიყო სპექტაკლის შექმნის მონაწილე.

გალაკტიონსაც ბევრჯერ გამოუთქვამს სურვილი დაეწერა პიესა, ერთხელ მარჯანიშვილის თეატრში საზეიმო შეხვედრაზე მან თავის მომავალ პიესაზე ილაპარაკა საჯაროდ. დღიურებში ხომ საკმაოდ ბევრია ასეთი განაცხადები.

...„მოქმედი პირნი“ — ბუბა, შიუკა, კვარიკი, მარალა, ასარ-ბასარი, ლოღა, სასტუმროს პატრონი და სხვ. მოქმედება სწარმოებს, 1921 წ. თებერვალში, ტფილისის მიდამოებში...“

აქ მეტი არაფერი! ახლა სხვა ჩანაწერი:

...„მთელი მოქმედება სწარმოებს ძველი ტფილისის ფონზე. ძველი ტფილისი, ეხლა ინგრევა — შენდება, ახალი შენობები — აი, ამ ნგრევა-შენების საფუძველზე აიგება მთელი პიესა. სიუჟეტი: ანგრევენ ერთ ძველ სახლს, რომელშიაც მოთავსებულია ძველი ოჯახი — ეს არ არის რევოლუციური ნგრევა ეს არის მშენებლობითი ნგრევა“.

(საინტერესო დამთხვევაა. მარიკა ბარათაშვილმა ამ თემაზე დასწერა პიესა „სართულები“. დაიდგა ობილისის სომხურ თეატრში.)

კინოსცენარის დაწერაც უცდია პოეტს. სურვილი ჰქონია და ჩაუწერია ერთი ტიპის რვა თვისება. „თვალები დახუჭა, მის ოცნებაში გადაირბინა მთელმა მისმა ცხოვრებამ“ ვინ რას ეძახდა. ძაღლის ლეკვი — ასე უწოდებდნენ დაბადებიდან. ვირი — ნაცნობ-მეგობრები“ და ა. შ.

და კიდევ ერთი ჩანაწერი. პიესა ომის თემაზე. „რამდენიმე მტრის მზვერავი გამოდის, რომ დაზვეროს“... ხუთიოდე სიტყვა. ხუთიოდე შტრიხი!...

ძნელია გადაჭრით ლაპარაკი არ არსებულ პიესებზე, მაგრამ ჩანაწერების დიდი ნაწილი ისეთია, რომ შეიძლება ვთქვათ, პოეტს კომედიების დაწერა ჰქონდა განზრახული. ყველაზე სრული ჩანაწერი (021371-37) ვოდევილს ეკუთვნის. „ივანე ნაპოლეონად იქცა“ ასეთია ვოდევილის სახელწოდება, შემდეგ ქვემოთ მინაწერი აქვს „ვოდევილი I მოქმედება გ. ტაბიძისა“. დაწერის თარიღი გაურკვეველია. არც ვოდევილია დამთავრებული. მართალია, ვოდევილი მაინცდამაინც არ ბრწყინავს გალაკტიონის საკადრისი გონებამახვილობითა და ნიჭიერებით, მაგრამ დიდი პოეტის ყოველი თეატრალური ინტერესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს.

ვოდევილში სამი მოქმედი პირია: ივანე, მისი ცოლი თებრონე და კარისკაცი. თუმცა მოქმედ პირთა დასახელებაში შეიტანეს ნახსენები, მაგრამ მოქმედებაში ისინი არ ჩანან.

მოქმედება მიმდინარეობს ივანეს ბინაში. იწყება იმით, რომ ივანე გაზეთს კითხულობს, სადაც აღწერილია „კავკასიელი ნაპოლეონის“ ივანე კვახაძის (ზოგჯერ კვახპირველი) გმირობა. ივანე უმალვე იხმობს კარისკაცს და უბრძანებს. რომ ყველას აუწყოს ივანეს ნაპოლეონად გადაქცევა. კარისკაცი ჯერ დაიბნევა. გათამაშდება ამ დაბნეულობის სცენა, ნაჩვენებია ივანეს რეაქცია კარისკაცის საქციელზე, შემდეგ გონსმოსული კარისკაცი იწყებს ყვირილს. რომ ივანე ნაპოლეონად იქცა.

ივანე კვლავ მოუხმობს კარისკაცს და გაზეთს მიაწვდის, წაიკითხე რა სწერია, მაგრამ გაზეთს ისევ ივანე უკითხავს. შიგ სწერია: „ქართველი თავადაზნაურები თავის კანში ვეღარ მაგრდებიან, ბედაურებს თავს ვეღარ უკავებენ და მამა-პაპური სულით და ადათით გაღენთილნი გმირულად მოიწევენ ბრძოლის ველისაკენ“. მომდევნო სურათს აკლია რაღაც. ლოგიკური განვითარება არ ხდება. შემდეგ არის ჩანაწერი. ივანე კარისკაცს ეუბნება, ხომ არ დაივიწყებთ, რომ მე ნაპოლეონი ვარ, არაო? მაშ კარგი, ამისათვის გჩუქნით საქართველოს თავისი ლამაზი ქალებით. „საუცხოო ქალები არიან იმერეთში, — უფრო კარგები გურიაში და სულ უკეთესი სამეგრელოში“. ყველა მიჩუქნიაო. ამას მოსდევს მოქმედებაში თებროლეს შემოსვლის სცენა. ივანე მას ეროზეფინას უწოდებს. ერთმანეთს მიუალერსებენ „ნაპოლეონი და ეროზეფინა“. კარისკაცი შეახსენებს ნაპოლეონს, რომ საჭიროა რეფორმები და ივანეც იწყებს ოცნებას:

„რეფორმა! მაგალითად გავამრავლოთ სასწავლებლები? ავაგოთ მონასტრები? ავაგოთ ეკლესიები? შემოვიღოთ უფასო სწავლება. რა რეფორმა? საჭიროა ისეთი რეფორმა, რომ მტრებმა კრინტის დაძვრა ვერ გაბედონ. ოჰ, ჩემი მტრები, მართლა ეხლა გამახსენდა, საჭიროა ჯაშუში ვიყოლიოთ. თუ რას ამბობენ ჩემზე ჩემი მტრები, აუცილებლად ეს მე საშუალებას მომცემს უფრო დიპლომატიურად ვაწარმოო საქმე. დაუძახეთ კარისკაცს!“

ვოდევილიდან ჩანს, რომ პოეტს აწუხებდა ცრურაინდობის თემა, რომელიც შორს არ იდგა „ყვარყვარიზმისაგან“!

(გალაკტიონ ტაბიძე გაბაასების, დიალოგის ფორმას სხვა ლექსებშიაც მიმართავს (მაგ. „ქალაქ!“), მაგრამ მისი საყვარელი დრამატული ფორმა უფრო შინაგანი მონოლოგიაა, ვიდრე დიალოგი!).

გალაკტიონ ტაბიძეს სიკვდილამდე აწვალებდა ფიქრი, — თუ როგორ გამოეხატა თავისი

სათქმელი დრამატულ ფორმაში. ღრმა შინაგანი კონფლიქტი, რომელიც მის სულში არსებობდა, მართლაც და „ბედნიერი მასალა“ იყო დრამატული ჟანრისათვის. მსოფლიოს თითქმის ყველა დიდმა მწერალმა სცადა ბედი დრამატურგიაში, ბევრმა ამაოდ, **მაგრამ** მათი სულის ამ ლტოლვაში არის რაღაც შეუცნობელი და ამასთანავე თითქოს ადვილად გასაგები, — თუ რატომ იტაცებს ყველას თეატრალური სამყარო.

ადამიანი ისწრაფის გახსნას თავისი შინაგანი სამყარო სხვის სულში, — ამბობდა კოტე მარჯანიშვილი. ეს ძლიერი და ყოვლისმომცველი ვნება აწუხებდა ბევრ მწერალს ჩვენშიც. პიესებს სწერდნენ, ფიქრობდნენ მასზე ცნობილი მწერლები (მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი და სხვები).

ასე იყო მე-19 საუკუნეშიც. ყველა მწერალი თითქოს მოვალედაც სთვლიდა თავს ძალა ეცადა დრამატულ ჟანრში.

ნ. ბარათაშვილმა პიესა თარგმნა. დრამატულ ფორმაში დაწერა „ბედი ქართლისა“, „სუმბული და მწირი“, სხვა თეატრალური ინტერესებიც ბევრი ჰქონდა!

მაგალითების მოტანას ნუღარ გავყვებით, დაუსრულებელია იგი!

გალაკტიონი, უპირველესად, დიდი ლირიკოსია და თითქოს მის შემოქმედებაშიც მხოლოდ „ერთი მოქმედი პირია“, მაგრამ ეს არის მძაფრი დრამატული, მე ვიტყოდი, ტრაგიკული გმირი. მისი პიროვნება გახლართულია დრამატულ კოლოზიებში, იგი იბრძვის, ეძებს გამოსავალს და ეს მებრძოლი სული არასოდეს არ ასვენებს მას. პოეტი მარტო არ არის, მას ჰყავს თავისი პარტნიორი — მეორე სახე, რომელთანაც მუდმივ ჭიდილსა და წინააღმდეგობაშია იგი.

შუაღამისას, მარტოობის საშინელ ჟამად,
მეწვევა ჩემი იდუმალი მეორე სახე.
გამოუცნობი მღელვარებით ვდგევართ
პირდაპირ:
მშვიდი სიცოცხლე — რა ამაოდ მე განვიზრახე.
თვალწინ მეშლება დღეთ წარსულთა მწუხარე
რიგი
და უნაყოფო ჩემსა ბრძოლას მაგონებს იგი;
და მსურს მე ამ დროს, მსურს უსაზღვრო
თავისუფლება,
რომ ჩემს მახლობლად არ სუფევდეს წამების
ღმერთი,
მსურს არ დამდევდეს იდუმალი სახე მხილების
და ვიყო ერთი, ყველგან, მუდამ მსურს ვიყო
ერთი“

(„იდუმალი მეორე სახე“)

ორსახეობა, თუ სამსახეობა („მაგრამ უეცრად ვიღაც მესამე ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენ შორის“) პოეტის სულში ქმნის ღრმა დრამატიზმს. მოპირისპირე მხარეები „გამოუცნობი მღელვარებით“ დგანან პირისპირ და ეს შინაგანი დაძაბულობა უნდა შეიხსნას ერთეულ გამარჯვებით. გალაკტიონთან იმარჯვებს სინათლე, სიკეთე, მაგრამ „ცხოვრების დრამატული წინააღმდეგობანი მას ტრაგიკულის სიმაღლეზე აჰყავს“ (მ. კვესელავა), რევოლუციამდელი საქართველოს პირობებში წარმოქმნილი კომფლიქტი პოეტსა და მის გარემომცველ სინამდვილეს შორის იხსნება, როცა აფრიალდა „ალისფერი დროშა“, მაგრამ პოეტის პიროვნებაში დრამატული საწყისი მაინც არ ქრება. ეს უკვე სულ სხვა ხასიათის კონფლიქტია, მაგრამ იგი მაინც არსებობს.

გალაკტიონის პიროვნებაში მომხდარი რევოლუცია, მისი განვითარების ფსიქოლოგიური მხარე და პოეტის მიერ „საკუთარი ხაზის“ ძიების იდეა შესანიშნავად არის დანახული რ. თვარაძის შრომაში გალაკტიონ ტაბიძის შესახებ, რომელიც „ცისკარში“ გამოქვეყნდა.

რაკი ჩვენი წერილი გალაკტიონის თეატრალურ სამყაროს ეხება, გვინდა ერთ მომენტზედაც მივიქციოთ ჩვენი მკითხველის ყურადღება. შესაძლოა, აქ სადაოც ბევრი რამ იყოს მაგრამ ვფიქრობთ, რომ ლიტერატურათმცოდნეობისათვის ეს თავისთავადაც საინტერესო საკითხი უნდა იყოს. იმ მოტივებთან ერთად, რომლის შესახებაც რ. თვარაძე წერს, ჩვენ მნიშვნელოვან მომენტად მიგვაჩნია „ყოფნა არყოფნისა“ და „დროთა კავშირთა დარღვევის“ პრობლემა. გალაკტიონთან. დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ასპექტითა და ინტენსიობით ჩნდება ეს პრობლემა, რასაკვირველია, ყოველთვის ადვილად შესამჩნევი როდია იგი. ზოგჯერ შეფარვითი ფორმა აქვს მას, მაგრამ ასეა თუ ისე, იგი მაინც არსებობს.

გ. ტაბიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია შექსპირს. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. ალბათ არცერთ მწერალს ისე მძაფრად და ღრმად არ გამოუხატავს სიკვდილ-სიცოცხლის და საგრთოდ „ყოფნა არყოფნის“ პრობლემა, როგორც ეს გააკეთა შექსპირმა.

გალაკტიონის შემოქმედებაში და თვით პიროვნების ხასიათში (იქნებ მის ცხოვრებაში?!) არის რაღაც ჰამლეტისებური. მის სულს ჰამლეტისებურად სტანჯავდა ეჭვი და იგი სიკვდილამდე თან სდევდა მას. პოეტი გრძნობდა თავის სიდიადეს, მაგრამ ეჭვი ეპარებოდა, რომ მის „მთავარ ხაზს“ არ იცავდა ქართული პოეზია. დღიურებში ხშირად მიანიშნებდა ამ მომენტს. უნივერსიტეტის „პირველი სხივი“ რომ დაარსდა, ამ ფაქტშიაც კი თავის „მთავარი ხაზიდან“ გადახვევის საშიშროება დაინახა. ეჭვი ყველასა და ყველაფრის მიმართ დაუფლებოდა პოეტის მთელ პიროვნებას.

ერთ-ერთ ვრცელ დღიურში (ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში!) საოცარი სიზუსტით არის გადმოცემული მისი სულიერი მდგომარეობა. იგი აღწერს ერთერთ თავყრილობაზე თუ როგორ გამოიყვანეს სხდომის დარბაზიდან, მერე ვინ შეხვდა, — რა უთხრა, ვინ როგორი თვალებით შეხედა, დეტალურად აღწერს ყოველ ნიუანსს, ინტონაციასაც კი იმ მწერლებთან საუბრისა, რომლებიც ამ სხდომაზე და საერთოდ ამ დღეს შეხვედრია. პოეტს ეჩვენება, რომ ყველანი რაღაც საიდუმლოს ფარავდნენ, რაღაცას უმალავდნენ და ა.შ. თითქოს უბრალო, ყოფითი ადამიანური ურთიერთობის სფეროდან, თავისი საფიქრისა და სატკივარის ესოდენ რთულ განზოგადოებაში გადატანა მხოლოდ დიდ შემოქმედთ შეუძლიათ. ასეა გალაკტიონის მაგალითზეც.

რევოლუციამდელ პერიოდში გალაკტიონი ხშირად მიმართავდა სიკვდილ-სიცოცხლის თემას. ახალგაზრდა პოეტი თავსაც ეკითხებოდა და სხვებსაც; თუ რატომ იყო ეს ქვეყანა მოუწყობელი — გაუმარგლავი? ჰამლეტის დარად იგიც ხშირად გრძნობდა „შეურაცხყოფას ღირსეულის უღირსისაგან“ („ჰამლეტი“).

მაგრამ როგორ მოიქცეს? „იტანჯოს და აიტანოს მჩაგრავ ბედის“ განაჩენი „თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას“? („ჰამლეტი“)

და პოეტი არჩევს ბრძოლას.
ის ამბობს,

ყოველგვარ სახეს ვიცი ბოლო აქვს ქვეყანაზე“.

მაგრამ წამებას, ჩემს წამებას,
კი არ აქვს ბოლო:

რაკი ეს ასეა:

მე ვეძებ მასში თავისებურ
ბედნიერებას,
იგი სავსეა ძლიერებით,
ვით ცეცხლის ქურა...
რომ კვლავ შეეძლოს განმიახლოს
ძლევის სიმღერა,
რაც სინამდვილემ წამართვა და
გამინადგურა.

სინამდვილის უხეში ხელი შეეხო პოეტის ნაზ სულს, მაგრამ ამ ძალადობაშიც პოეტი თავისებურ „ბედნიერებას“ პოულობს. იგი აღვიძებს და ამძაფრებს ბრძოლის ენერგიას.

მაგრამ ათასი მტანჯველი კითხვებით, ტკივილით და სიზმარეული ხილვადობით არის აღსავსე ბრძოლის ეს გზა. და იწყება „გმირის შინაგანი ბრძოლა საკუთარ თავთან“ (ბელინსკი).

დრამატიული კოლიზია მოიცავს პოეტის მთელ შინაგან სამყაროს. ორი მხარე, ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ორი ასპექტი უპირისპირდება ერთ არსებაში.

12. „მნათობი“, № 1

პოეტი დრამატიულ ფორმაში წერს „მესაფლავეს“.

ეს არ არის უბრალოდ ლექსის ინსცენირება. დრამატურგიულ სტრუქტურაში ლექსის მოქცევის სურვილს განაპირობებს კონფლიქტის ხასიათი, ლექსის საკმაოდ ნათელ სიუჟეტური განფენილობა კი ქმნის საამისო საშუალებას. გალაკტიონი არ კმაყოფილდება მარტო „მესეფლავით“ და აქ სხვა ლექსებსაც იშველიებს, რომ უფრო განავრცოს თავის სათქმელი.

დრამატული რედაქცია ასე იწყება:

მ ე ს ა ფ ლ ა ვ ე — განვაგრძოთ თავო ჩემო, საქმე დაწყებული.

ისევ საფლავი, საფლავი, უკანასკნელი ბინა ადამიანის:

ბედს არ ვემდური, რომ ასე ვარ და მეძახიან
მესაფლავეს, რადგან სიცოცხლეში მეც საქმეს ვაკეთებ, საქმეს მადლით მოსულს, ბინას
ვუმზადებ ადამიანს ბინას.
მგზავრს წუთისოფლისას ნეტარს, თუმცა სამარეთ წოდებულს.
სიკვდილი უკანასკნელი სიტყვაა სიცოცხლის,
ჰო, ეს მჯერა,
უხილავო ძლიერებავ. ადამიანო, სიცოცხლეში მაინც ნუ მიეცემი დავიწყებას.
შენ კი ვინ მოგიგონებს... დარჩებით მეგობრად შენ და სამარე.

ეს მონოლოგი შორეულად, მაგრამ მაინც იწვევს „ჰამლეტის“ მესაფლავის ასოციაციას. ბინა, რომელიც გარდაცვლილისათვის მზადდება, გალაკტიონის მესაფლავეში კეთილ საქმედ არის მიჩნეული. მესაფლავე პირდაპირ ამბობს „ბედს არ ვემდური“, რომ მესაფლავის ხელობისა ვარ, რადგან მადლით მოსილს საქმეს ვაკეთებ — ბინას ვუმზადებ გარდაცვლილსაო.

შექსპირის მესაფლავეებიც მიცვალებულთათვის კარგი ბინის აგებაზე ფიქრობენ, მათ სჯერათ, რომ მესაფლავისაგან „გაკეთებული სახლი მეორედ მოსვლამდისა სძლებს“.

შექსპირის მესაფლავე თხრის საფლავს და მღერის.
ამისთანა ძვირფას სტუმრის
დასახვედრად თურმე კმარა,
თოხ-ნიჩაბი, ბნელი ორმო,
ფიცრის კუბო და სუდარა.

გალაკტიონის მესაფლავე არ მღერის, მაგრამ უცნაურად იღიმება. (აქ, ვერც შექსპირის მესაფლავე იმღერებდა, რადგან უკვე მიცვალებულის წინაშე დგას). მისი ღიმილი მკვდრის ღიმილივით ცივია, ოდნავ ირონიულიც. რადგან „იცის, იცის მესაფლავემ, როგორც უნდა... როგორც ხდება“. ყველაფერი წარმავალია, ყველაფერს დავიწყება უწერია...

ამის შემდეგ ხდება მეტამორფოზა. უკანასკნელ სიტყვას პოეტი ამბობს:

მაგრამ დღეს არ ღირს სიკვდილზე დარდი,
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.
და ბოლოს უფრო ხაზგასმული ოპტიმიზმი:
ამაღლდი სულ თეთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსით მქებელი,
დღეს ყველგან მზე და სილამაზე
სიკვდილთან ჩვენი შემრიგებელი.

„მესაფლავის“ პესიმიზმი გზას უთმობს იმედს, სიცოცხლის გამარჯვების იდეას. „მესაფლავეში“ უფრო ძლიერია ცხოვრების განახლების, სიცოცხლის გაგრძელების იდეა, ვიდრე პესიმიზმი ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ოპტიმიზმის „იდეური საყრდენი“, მესაფლავისა და პოეტის დიალოგის არსი მაინც „ყოფნა-არყოფნის“ მარადიული პრობლემის ასპექტშია დანახული. ეს პრობლემა აწუხებდა სიჭაბუკის წლებიდანვე გალაკტიონს და როგორც ავღნიშნეთ არც არასოდეს არ განთავისუფლებულა მისგან.

გალაკტიონს აქვს ლექსი, რომელსაც „ორი“ ჰქვია. აქაც იგივე ფიქრები, წუხილი, სევდა, იმედი, ლექსში, როგორც იტყვიან, ორი მოქმედი პირია. მათ სახელები არ გააჩნიათ. ისინი, უბრალოდ, ციფრებით არიან დასახელებული (პირველი, მეორე).

ფილოსოფიური დიალოგი მათ შორის — სიცოცხლის მდინარება, თაობათა მონაცვლეობა და დროის უსასრულო სვლა საუკუნეთა სიღრმეებში, ჭაბუკს ასეთ პოეტურ სახეში აქვს გამოხატული.

მახსოვს, მეც მახსოვს... როცა ყრმამ წყალში
მწუხარე სიტყვით ქვა გაისროლა —
უკვალოდ როდი გაჰქრა იგი ქვა...
ზღვა შეირყა. წყალმა დაიწყო თრთოლა,
რგოლი რგოლს მიჰყავს წყნარი ლივლივით,
დაჰყვა ზღვის სივრცეს დაუსრულებელს,
ნაპირს მიასწდა და გამობრუნდა,
ისევ დაადგა გზას უსაზღვროს, ვრცელს,
ეხლა არა სჩანს...

ასე წრიული, რგოლისებური განვითარება სიცოცხლისა და შემდეგ გაქრობა უსასრულობაში საკმარისი საფუძველია სევდისათვის.

მაგრამ ლექსი მაინც იმედიანი სტრიქონებით მთავრდება:

წელიწადები წელიწადს შეცვლის,
შთამომავლობას — შთამომავლობა...
ეჰ, მაგრამ სხვაა მაინც სიცოცხლე,
ვნებებს ხომ მარხავს მისი გაქრობა.

ჭაბუკი პოეტისათვის დაუთმობელია სიცოცხლე, რადგან მასთან ერთად ხომ ადამიანური ვნებებიც ქრებიან?!

თაობათა მონაცვლეობის უსასრულო გზა კვდომისა და განახლების გზაა. პოეტისათვის სიცოცხლის გაქრობა, ამქვეყნიური ვნებებისაგან განთავისუფლებას ნიშნავს. ხოლო მის იქით, მიღმა უცნობ სამყაროში რაღა შეიძლება იყოს?

მოვსპოთ სიცოცხლე... დავიძინოთ... რომ
დავიძინოთ,
მერე სიზმრად იქ ვნახავთ რასმე? ძნელი ეს
არის.
არ ვიცით მაშინ რა სიზმრები მოგვევლინება,
როს სიკვდილის ძილს მივეცემით და
მოვშორდებით
მოკვდავთ ცხოვრების მღელვარებას!

ამბობს ჰამლეტი. მან იცის, რომ „გაბედულებას მოსაზრება უსუსტებს შექსპირ“ და ნებისყოფას ადუნებს იგი, მაგრამ მას სწამს, რომ ამ ქვეყნად არავინ არის ისეთი, „რომელიც მონად ვნებათა-ღელვას არ გახდომია“.

გალაკტიონის რევოლუციამდელი პერიოდი, მიუხედავად პოეტის ნიჭის აღიარებისა, არაერთხელ გამხდარა დაყვედრების თემად ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ. ვითომდაო „დეკადენტური“, „მისტიკური“ ლექსების დიდ ნაკადს ხშირად უპირისპირებდნენ შემდეგი დროის იმ ლექსებს, რომლებიც სრულიადაც არ გამოხატავდნენ გალაკტიონის შემოქმედების არსს, მის მხატვრულ შესაძლებლობებს. როგორც ჩანს, პოეტი მწვავედ განიცდიდა ყოველივე ამას. იგი პირდაპირ წერს:

გამაგებინე: ჩემს წარსულში რაა ისეთი,
რომ ხელაღებით უარეყო დღეს, გავკიცხო,
დავგმო?
დაუნანებლად გულში ჩავსცე ბასრი ხანჯალი,
ავაქვითინო ჩემი იმ ხნის შემოქმედება.
განა არ კმარა, რომ შხამიან დროს იშვა იგი,
ბევრჯერ დაუხშო წრფელი გული ჯალათთ
ცენზურამ.

ძნელია უფრო ნათელი პასუხის გაცემა. მისი ცხოვრების დიდი დრამა, რომელიც მეუღლის დაკარგვის ფაქტში გამოიხატა, აღუსებელი დარჩა ბოლომდე.

ახალგაზრდობის ჟამი სულიერი კრიზისიდან განთავისუფლებაში პოეტს დიდი ოქტომბრის რევოლუცია დაეხმარა. მან იგრძნო, რომ „განახლდა გული“, და იგი ბედნიერი იყო. შექმნა ახალი შედევრები პოეზიისა. მაგრამ შემდეგ მეუღლის დაკარგვამ მის წინაშე კვლავ წამოჭრა ბევრი კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემა იმ დროს არავის შეეძლო. პოეტი ჩაიკეტა სულში და მისი ტკივილი უფრო დაფარული და დამუხტული გახდა. გა-

რეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე მისი ლექსების დიდი ნაკადი გამოხატავდა მოვლენების მხოლოდ ზედაპირულ მხარეებს, მის კონტურებს.

იქნებ პოეტი არ გრძნობდა ყოველივე ამას? მაგრამ იქნებ გრძნობდა და სწორედ ამიტომ იყო ასე დაეჭვებული თავისი „მთავარი ხაზის“ დამკვიდრების შესაძლებლობაში? რატომ უხაროდა ასე გადამეტებით ყოველგვარი შექება? ერთერთ დღიურში ვკითხულობთ: ა. თევზაძე შესულა ოპერის თეატრის ლოჟაში და უთქვამს: ბ-ნო გალაკტიონ, ახალგაზრდები ყველანი თქვენთან ვართო. გალაკტიონი აღფრთოვანებულა და გახალისებულა ამ ფაქტით. გალაკტიონს სცენაზე მისი ლექსის უბრალო ხსენებაც კი აღტაცებას გვრიდა. რას უნდა ნიშნავდეს ეს, და სხვა ამგვარი ფაქტები? ნუ თუ ეს მარტო ხასიათის უცნაური თავისებურებით უნდა აიხსნას? მაგრამ ხომ არ იქნება მეტისმეტი გულუბრყვილობა ამგვარი ახსნა? თუ კი ძველ ლექსებს დაუმცირებდნენ („გამაგებინეთ: ჩემს წარსულში რაა ისეთი“...) ხოლო ახალი ლექსების დიდი ნაწილი უმწეო იყო,— რა უნდა ეფიქრა პოეტს ამგვარ პირობებში?

ეჭვიანობის დემონური ძალა დაეუფლა მის სულს და უკვე შეუძლებელი იყო მისგან განთავისუფლება:

პოეტის ცხოვრების ფინალში თითქოს განმეორდა მისი ერთი ლექსის აზრი და განწყობილება.

აღარა ჰქონდა მოსვენება ჩემ სულს
ავადმყოფს.
და ჩემს გულშიაც შვების ცეცხლი აღარ
ღვიოდა.
გაივლის ჟამი და, ვინ იცის, იქნებ ზეცაზე
მწუხრის დემონმა ვერ დასტოვოს ის ძველი
ქვალი,
მაგრამ, ეჰ, სულო, ერთფეროვან
ბრწყინვალებაში,
თუნდაც ედემში რა იქნება შენთვის ახალი?

ამის შემდეგ „სხვა რაღა დარჩა? საუკუნე სიჩუმე მხოლოდ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ლუკაშვილი

შეხვედრა მაქსიმ გორკისთან

პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა. ფრონტზე საქმე ცუდად მიდიოდა, სამშობლოს გამარჯვებისათვის ნაკლებად თუ ვინმე ზრუნავდა. ტრანსპორტი მოშლილი იყო, ქალაქები და სოფლები უპატრონოდ იყო მიტოვებული. მოსახლეობას საქონლის საშინელი ნაკლებობა აწუხებდა. აღვირახსნილი სპეკულიაცია ბატონობდა, მწვავე ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა, კერძოდ, საქართველო. ამ დროს მე კახეთის კოოპერატივთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ვმუშაობდი. კოოპერაციის სხვადასხვა საქმეების მოსაგვარებლად გამგეობამ 1916 წლის მარტის პირველ რიცხვებში პეტროგრადს მიმავლინა.

პეტროგრადში ახალი ჩასული ვიყავი, როცა გაზეთებიდან გავიგე, რომ 5 მარტს (ძვ. სტ.) კალაშნიკოვის ბირჟის დარბაზში, საღამოს 8 საათზე იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო ალექსი მაქსიმეს ძე გორკის მონაწილეობით. დიდი ხანია მინდოდა ამ ბუმბერაზი ადამიანის ნახვა; მასთან დალაპარაკება ხომ ოცნება იყო ჩემი. და აი, საუკეთესო შემთხვევა მეძლეოდა. გათენდა 5 მარტი. ცივი დილაა. სველი თოვლი მოდის. საღამოზე ადრე მივედი. აიხადა ფარდა. სცენის მარჯვნივ დგას კეთედრა, ზედ დალაგებულია გრაფინი წყლით და ჭიქა, იქვე ძევს ფანქარიც. სცენაზე გამოჩნდა გორკი, მივიდა კათედრასთან, ამოიღო უბიდან წიგნი და კათედრაზე დადება ვერ მოასწრო, რომ იგრიალა ტაშმა. გორკის სახემ რატომღაც უკმაყოფილო ელფერი მიიღო, მწერალმა თავი დახარა, უმოძრაოდ დადგა, ტაში არ სწყდება, პირიქით უფრო და უფრო ძლიერდება. კონფერანსიე დარბის სცენაზე, ხალხის დამშვიდებას ცდილობს, მაგრამ ხალხი თავისას განაგრძობს. გორკიმ აზიდა თავისი გრძელი ხელი და ხალხისაკენ გაიშვირა. ამით დარბაზი გაჩუმდა, ტაში შეწყდა, ხოლო როცა სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, დაიწყო კითხვა. ხალხი სულგანაბული უსმენს. კითხულობს ძალიან მკაფიო გამოთქმით — რაღაც მკვეთავი ხმით. მე ვუცქერი მწერალს, რომლის თავგადასავალი მისი მრავალი მაღალმხატვრული მშვენიერი ნაწარმოებიდან ვიცი, უნდა გამოვტყდე, იმდენად ყურს წაკითხულს არ ვუგდებდი, რამდენადაც მის გარეგნობას, სახის გამომეტყველებას, ქცევის და მიმოხვრის თავისებურებას ვაკვირდებოდი. სცენაზე სდგას მრავალჭირნახული შემოქმედი და მოთხრობას გვიკითხავს. შევცქერი ჩემგან რამდენიმე ნაბიჯზე მდგომ დიდ ადამიანს, ის სადაა და უბრალო. აცვია არა სცენაზე გამომსვლელთათვის სავალდებულო სერთუკი, არამედ მუქი ყომრალი კოსტუმი, მაღალი ტანი აქვს, გამხდარია, ცოტა მკერდჩავარდნილია. აი, გაიღიმა მწერალმა, სინაზე და სათნოება გამოხატეს მისმა ცისფერმა თვალებმა. გულთბილი, სათუთი გრძნობების კაცია გორკი. ვფიქრობ ჩემთვის — ის გაბაასებაზე უარს არ მეტყვის, მაშ, სადარბაზო ბარათს გავუგზავნი და ვთხოვ რამდენიმე წუთი მაჩუქოს.

გაათავა კითხვა, იქუხა ტაშმა, სცენაზე პარტერიდან ნატყორცნი დაკეცილი და დახვეული ქაღალდები დაეცა. ყვავილების თაიგულიც გაგორდა ახოვანი მწერლის ფეხებთან. გორკის აღელვება არ ეტყობოდა, წყნარად იღიმებოდა, თავს უკრავდა აღელვებულ ხალხს, ბოლოს მადლობის ნიშნად დაბლად თავი დახარა, ოვაციები მაინც არ წყდებოდა. გავიდა სცენიდან: კულისებს მიეფარა. დარბაზში ტაში არა ცხრებოდა.

სცენაზე გამოჩნდა სერთუკში გამოწყობილი არტისტი ხოდოტოვი. კონფერანსიე არტისტზე

უთითებს და სცენიდან გადის. არტისტს მომღიმარი სახე აქვს, მოხდენილად ტრიალებს და ტაშზე ყველას თავს უკრავს. მალე მღიმარ სახეზე უმალ სიმკაცრის და რისხვის ელფერმა გადაჰკრა. არტისტი სულიერად აღიჭურვა „გრიგალს“ წასაკითხად. ის კითხულობს გატაცებით, იმედიანი აღტყინება ეუფლება მის სახეს და ხმას.

„გრიგალი, მალე იგრგვინებს გრიგალი!“ — ძლიერი, წინასწარმეტყველური ხმით ითქვა სცენიდან მტარვალთა კარზე მიმდგარი საბედისწერო განაჩენი. და მთელმა დარბაზმა იქუხა. დაიწყო აღტაცების ძლიერი ხანძარი, მის ჩაქრობას, შენელებას ამაოდ შეეცადა კონფერანსიე, იგრძნო თავისი უღონობა, გვერდზე დადგა და თვითონაც ტაშის კვრა იწყო, ხან კი, უღონოდ მდუმარე, ხალხს უმზერდა.

მკაფიოდ გაისმის: ვთხოვთ გორკის, ვთხოვთ გორკის.

მაგრამ მწერალი არ გამოდის, ხალხი კვლავ დაჟინებით მოითხოვს მის გამოსვლას. ბოლოს, როგორც იქნა არტისტ ე. ა. ტედურს მიეცა საშუალება წაეკითხა გორკის „შევარდენი“.

გათავდა პირველი განყოფილება. უბიდან სადარბაზო ბარათი ამოვიღე და დავაწერე: შორიდან ვარ მოსული თქვენი შემოქმედების ერთი პატივმცემელთაგანი, მინდა თქვენთან საუბარი და გთხოვთ რამდენიმე წუთით მიმიღოთ. სამწუხაროდ სადარბაზო ბარათზე ჩემი მაშინდელი თანამდებობა იყო აღნიშნული. ამ გარემოებამ კინაღამ ხელი შეუშალა მწერალთან ჩემს შეხვედრას. სადარბაზო ბარათზე დაბეჭდილი იყო ჩემი თანამდებობა: „კახეთის საკრედიტო შემნახველ-გამსესხებელი და სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე“. გორკის კახური ღვინით მოვაჭრეთა შეკავშირების თავმჯდომარე ვგონებოდი. ერთი ხანობა თურმე უარიც კი უნდოდა ეთქვა ჩემთვის, მაგრამ მაინც თავაზიანობამ სძლია და მობრძანდითო, — შემომითვალა.

კულისების მოსაზღვრე პატარა ოთახში კარისკაცი შემიძღვა. იქ გორკი იჯდა, გაზეთი ეჭირა და კითხულობდა. ჩემს შესვლისთანავე კითხვა შესწყვიტა, წამოდგომა უნდოდა, მაგრამ სწრაფად მივუახლოვდი და ვთხოვე, — ნუ სწუხდებით-მეთქი. მივესალმეთ ერთმანეთს. მწერალმა ახლო სკამზე მიმითითა „დაბრძანდითო“, მე მადლობა გადაუხადე და სკამზე ჩამოვჯექი.

— თქვენ ჩემი საყვარელი კუთხიდან მოსულხართ, წარმტაცი ქვეყანაა კავკასია, მიყვარს მისი ლამაზი პეიზაჟები. — გორკიმ გაიხსენა თბილისი და სხვა ადგილები. — სამჯერ ვიყავი კავკასიაში, პირველად ჩემი სურვილით, მეორედ ჩამიყვანეს როგორც პატიმარი, მესამედ კი ჩეხოვთან და ვასნეცოვთან ერთად ვინახულე თბილისი, ბევრი რამ საინტერესო ვნახე და კმაყოფილი დავბრუნდითო. დიდის სიამოვნებით ვიგონებ იქაურ მშვენიერ ბუნებას, შეიძლება, კიდევ როგორმე მოვახერხო წამოსვლა, შეიძლება... მე სიხარული გამოვთქვი მისი ასეთი სურვილის გამო და ვთხოვე სწვევოდა კახეთსაც. ვეცდებით ღირსეულად მიგიღოთ ძვირფასი სტუმარი-მეთქი.

— ვნახოთ, ვნახოთ... დღეს ხვალ, დიდი ცვლილებაა მოსალოდნელი, ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. რევოლუცია კარზეა მომდგარი, ბევრი საქმე გვექნება, ბევრი თავსატეხი საკითხი წამოიჭრება.

როცა გაიგო მიზეზი ჩემი რუსეთში ყოფნისა, დიდად დაინტერესდა ჩვენი კოოპერაციის საქმიანობით.

შემდეგ გორკი ლიტერატურის საკითხებს შეეხო.

— თქვენ წაიკითხეთ ჟურნალი „ლეტოპისი“? — მკითხა მან.

— დიახ, შევიძინე კიდეც. ბევრ დროს კი წაგართმევთ ჟურნალზე ზრუნვა, ალექსი მაქსიმეს ძევ?

— არც თუ იმდენს! გაზეთის გამოცემა მაქვს განზრახული, მაგრამ ვნახოთ.

იმ დროს მეც ვწერდი და ვაქვეყნებდი მხატვრულ ნაწარმოებებს, გორკიმ ეს გაიგო და შემეკითხა:

— ახლა რაზე მუშაობთ? რასა სწერთ?

— ეჰ, მოფიქრებული ბევრი რამ მაქვს, მაგრამ საქმიანობა, რომელიც თქვენ უკვე გაგაცანით, ძალიან მიშლის ხელს. სულ მუდამ ორომტრიალსა და ქოთქოთში ვარ.

— მერე რა ვუყოთ? სწერე, რასაც ხედავთ, ასახეთ ის, რაც თქვენ გარშემო ხდება. ნუ დაატანთ ძალას ფანტაზიას, ნუ ეცდებით გამოიგონოთ რაღაც გაუგონარი, განყენებული. სწერეთ, რაც გულმა გიკარნახოთ და გონებამ ძალდაუტანებლად განჭვრიტოს.

— ძვირფასია თქვენი დარიგება, მაგრამ საუბედუროდ დრო არ მრჩება წერისათვის.

— კარგია, მთავრობის სამსახურში რომ მაინც არა ხართ: ხალხს რომ ემსახურებით, ეს მოსაწონია. ხალხის სამსახური კაცს გაიტაცებს, მეტადრე ის საქმიანობა, რაც თქვენ თითონ წამოგიწყვიათ. ეს გაამდიდრებს თქვენს გამოცდილებას, ვრცელ სარბიელს მისცემს თქვენს დაკვირვებას.

— ეჰ, მე კი სულ იმას ვოცნებობ, როგორმე ისე მოვაგვარო ჩემი ცხოვრება, რომ მწერლობას მოვანდომო მთელი ჩემი დრო, მთელი ენერგია, მართალი უთქვამთ, არ შეიძლება ემსახურო ღმერთსაც და მამონსაც.

— სამწუხაროდ, თქვენ მართალი ხართ! თქვენ ისეთ დიდ საქმეს დაუტყვევებიხართ, ისეთი გატაცებით მელაპარაკებით ამ საქმეზე, რომ თქვენ წინდაწინვე უნდა იცოდეთ, რომ მწერლობისათვის არ გექნებათ მოცლა. თქვენი

უკეთესი წუთები ალბათ, კოოპერაციას ხმარდება.

— მართალი ბრძანდებით, ალექსი მაქსიმეს ძევ, ვოცნებობ ამ ტყვეობიდან თავი დავაღწიო.

— გისურვებთ გამარჯვებას, სხვა რა მეთქმის მწერალს!... და გაჩერდა. მე მის შუბლზე წავიკითხე, რომ ეჭვი ებადებოდა ჩემს გამარჯვებაში. — დიახ, ძნელია მწერლის გზა. — ჩაილაპარაკა და შემომხედა.

— საქმე იმაშია, რომ მე მატერიალური მდგომარეობა მაიძულებს ვიმსახურო და რაკი ეს აუცილებელია, ამიტომ მირჩევნია სახალხო საქმე ვაკეთო.

— თქვენში ბეჭდვითი საქმე ვერ დგას ალბათ თავის სიმაღლეზე, თორემ ჰონორარი უნდა მიიღოს მწერალმა.

— ჩვენში ცოტა წიგნი საღდება. წიგნი ზარალს იძლევა. მცირერიცხოვანი ერი ვართ ქართველები.

— ალბათ, მარტო ერის სიმცირით როდი აიხსნება ეს ამბავი, არიან მცირე ერები და პატარა ქვეყნები, სადაც წიგნების ტირაჟი მაღალია.

— მართალი ბრძანდებით. მაგრამ ქართველობაში წერა-კითხვის მცოდნენი ცოტანი არიან ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

— გასაგებია, მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რას და როგორ სწერენ. ხომ არ სწერენ იმას, რასაც ხალხი ვერ გაიგებს? ხომ არ ფანტაზიორობენ მწერლები გადამეტებულად?

— შეიძლება ეგეც არის მიზეზი, ყოველ შემთხვევაში დღეს დღეობით ჩვენში მწერლობა ღვთის ანაბარად არის მიტოვებული.

— მე კი გეტყვით, რომ კარგი იქნება, ჩვენმა და თქვენმა მწერლებმაც მიმართონ დიდ მასწავლებელს ღა მრჩეველს — ხალხს. ხალხური შემოქმედება. ხალხის ზეპირსიტყვიერება დედა და ფუძეა მრავალი უდიდესად მხატვრული დამწერლობითი ნაწარმოებისა, მრავალი რამ ღრმა, ნათელი, უბრალო შეუქმნია ხალხს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენშიაც და ალბათ, თქვენშიაც, მივიწყებულია ეს ძვირფასი განძი. ამიტომ გირჩევთ შეაგროვეთ ხალხური შემოქმედების მრავალად მიმოფანტული მარგალიტები. თუმცა თქვენ ახლა დატვირთული ყოფილხართ, მაინც შეგიძლიათ ეს აკეთოთ და ვალდებული ხართ ეს გააკეთოთ. დამერწმუნეთ არაფერს წააგებთ. ხალხის შემოქმედებაზე დაფუძნებული მხატვრული ნაწარმოები, რომელიც რუსეთში შემავალ ერთ-ერთი ერის ენაზე გამოქვეყნდება, მალე მიიქცევს ყურადღებას, ასეთი უნდა დაუყოვნებლივ ითარგმნებოდეს რუსულ ენაზე, იბეჭდებოდეს მაღალი ტირაჟით და ვრცელდებოდეს მთელ თვალუწვდენელ რუსეთში. თქვენ ისე კი ნუ გაიგებთ ჩემ ნათქვამს, ვითომდა მარტო შედევრები უნდა ითარგმნებოდეს რუსულ ენაზე, თქვენი მხატვრულად სრული ყოველი ნაწარმოები შეიძლება ითარგმნებოდეს და ვრცელდებოდეს რუსულ ენაზე.

ხელი გამომიწოდა და კეთილი დაბრუნება მისურვა სამშობლოში. შემდეგ თავის თანამგზავრები იხმო, წასასვლელად მოემზადა, მეც აღარ გავსულვარ დარბაზში პროგრამის შემდეგი ნომრების მოსასმენად, მეტად კმაყოფილი ვბრუნდებოდი დიდ ადამიანთან შეხვედრით. წამოვიღე იმ საღამოს პროგრამა და ნაპარაკევიც უმალვე ჩავიწერე, მაგრამ ერთიც და მეორეც უკანასკნელ დრომდე დაკარგული მქონდა. როგორი იყო ჩემი სიხარული, როცა ამ რამდენიმე ხნის წინათ ორთავე ვიპოვნე, რაც საშუალებას მაძლევს გორკის პატივისმცემელ მკითხველებს გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილებები იმ დაუვიწყარი საღამოდან, რომლის მთავარი მონაწილე იყო უდიდესი შემოქმედი და უდიდესი ადამიანი — ალექსი მაქსიმეს ძე გორკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან ქეთელაურის მოთხრობები

მწვრილურ უმძიმეს გზებზე ახალ სილუეტთა გამოჩენა ყოველ ჟამს მოსალოცი იყო.

ცნობილია, უსაზღვრო გამბედაობის, სულიერი და ხორციელი ტანჯვითაც ძლივს მისაღწევი ხდება რაიმე სიახლის თქმა მწერლობაში.

მწერალმა ხომ სამყაროსაგან უმწველესად გადმონადენი რადიაციული სხივები თავისივე გოხება-ვხებებში მძაფრად არივ-დარიოს და, მძაფრ ფიზიკურ და ქიმიურ რეაქციის შედეგად ახალ ფერ და თვისება შეძენილი ქაღალდზე გადავიდეს.

სიტყვა და ჭაჭა ერთმანეთს ჰგვანან. მეტჯერ გამოხდილი სიტყვა თავისთვის გამოულეველი შესაძლებლობით სპირტულ დამათრობლობამდის მიისწრაფვის...

სამი რამ სჭირდება ჭაჭის გამოხდას: საარყე ქვაბი, ნელ-შემოუკლებელი ცეცხლი, მაღალი ხარისხოვანი მასალა. შემოქმედებაში საარყე ქვაბი — გულად იქცევა, მაღალხარისხოვანი მასალა — თემად. ცეცხლი — ენება-გონებად.

ასეთ გზებზე შემოგვხვდა სულხან ქეთელაურის მოთხრობათა კრებული „მახარობელი“.

თალალა თორღვას ქალი (მოთხრობა „ნახევარი დედა“) სოფლის თაეში ხვდება თბილისიდან დაბრუნებულ სტუდენტ ვაჟას. თალალას ბატკნები წამოეყვანა საბალახოდ, თალალა დაქალებულად ჩანდა ვაჟის თვალში: „ჩემს წინ დასრულებული ქალი იდგა, აღარც რამე აკლდა და აღარც ეჭარბა“. თავად თალალასაც შეუტყვია ეს სარკის წინ: „ჯერ შეკრთა, ისე შეკრთა, რომ ერთი ნაბიჯით უკანაც კი დაიწია. მერე გამბედაობა მოიკრიბა და უფრო კარგად დააკვირდა თავის ორეულს. დააკვირდა და სახსრებში. უცნაურმა ერჟოლამ დაუარა: იმოვნა დიდი ხნით იდუმალად ნაძებნი და ნალოდინევი, გული ცელქად შეუფრთხიალდა მკერდში, უფრო ახლოს მიდგა სარკესთან, სახით ზედ მიეკრა და თითქმის თავისდა უნებურად ჩურჩული წამოსცდა:

„მე ლამაზი ვარ!“

ახალგაზრდების პაემანს თალალას მამა — თორღვა წამოესწრება და მეხივით გაწყრება: „სწორ ფერს რიდ უნდა ჰქონდეს ერცხვისაი, ნდობას — სიყვარულს და ერთად ყოფნას არავინ დაუშლის, მაგრამ ხალხში. თვალხედვ, ჭირ-ლხინსა და ახალუხალში. ეს კი რაის ფერი ას? — მიფარ-მოფარებაი და მალულობაი, ციცეების საქმეი“.

თორღვას მთის ტრადიციების კერპ წარმომადგენელს არ მოსწონს „ბარული“ წესით გასიყვარულება. ქალსა და ვაჟს შორის კედელი აღიმართა, ქალი გაათხოვეს. ერთმანეთს შეეჯახა მთის ადათურობა და „ბარული“ სიყვარული. ვაჟი ნახევრად გაქალაქებულია, თალალა ბუნების წიაღისეულია, მაგრამ ქალის ბუნება, ეტყობა შედარებით, ყველას საუკუნეებს ერთნაირად ათბობს.

ქვრივ, სამშვილიან თალალას კვლავ ხვდება ვაჟი. ქალი იმ ჭალას გახედავს, სადაც პირველად ერთმანეთს შეხვდნენ და ღიმილით ჩაილაპარაკებს:

— წავიდა ის დრო... აღარ დაბრუნდების...

შეშდეგ ქალი იგონებს გარდაცვლილ ქმარს, როგორც შორეულ ამბავს. ვაჟი შეჰყურებს ქალის გულგრილ სახეს და ფიქრობს: „რა ქმნის ამ უსასრულო სიშორეს? აქედან ხომ არ მოდის ქმრის არდატირების უცხაური წესი?“

ვაჟი რატომღაც ეკითხება ქალს და ეს კითხვა უხეშ ხაზივით იჭრება სიფაქიზით დაწერილ სურათოვნებაში: — შვილები ხომ გიყვარს? ქალი გამწყრალი შეხედავს ვაჟს: — დიახ, მე მიყვარან ესენი. შვილებია და მიყვარან ყველაზე, ყველა დედაზე ძალიან მიყვარან. მებრალებიან და მიყვარახ... გულს მიკლავ, ის არა ვარ, რაიც უნდა ვიყვ... ზოგჯერ არც კი მგონავ, თუ ჩემი არიან, თითქოს სხვაგნით მავიდის და შამამეხიზნეს... ვიცი არ ვარ მართალი, არ ვარ სრული... ნახევარი დედაი ვარ... წარღვნის უკახასკნელი აკორდივით გაისმის დედის ხმა და სამივე შვილს მკერდში იკრავს. ძნელია დავრწმუნდეთ თალალას ნახევარდედობაში, ჩვენ, მის ბუნებრივ მოქმედებას უფრო უჯერით...

სასიამოვნოა მხატვრობის ძალოვანება: „თა-

სულხან ქეთელაური, „მახარობელი“, „საბჭოთა საქართველო“, 1971.

ლალას (მამის შიშით) უფრო აუთამაშდა კაბის ბოლო“.

ახდა: „ფეხის ერთი გადაბოტებით (გაჯავრებულმა თორღვამ) გადაალაჯა სერზე. სერი თითქოს დაიზნიქა ფეხქვეშ და მერე ნელ-ნელა ამოიბურცა ზურგს უკან“.

უსიამოვნებას გვიტოვებს ასეთი იოლობა: „სიგარეტს მოვუკიდე და ზედიზედ დავკარი ნაფაზები“... აქ საჭირო იყო მძაფრი მოლოდინის სინონიმად უფრო მძლავრი, ჯერ უხმარი ფრაზა. რაკი ნაწარმოები ბედნიერი შემთხვევით გამოვა ჯანსაღ ადამიანივით ცოცხალი, მისი ყოველი სიტყვა „სოფლის სასწორზე“ აწონილი უნდა იქნეს.

ამ მოთხრობაში თორღვას, თალალას სახის სრულყოფილება გვიზიდავს. თალალას ულამაზესი სევდიანი ლანდი უნებურად აგემგზავრება, რომანტიული ბურუსით შებურვილი მისი ტან-სახე დაჯანღულ მთებიდან გამოკრთომას ჰგავს.

ჯარჯივ, ნუ მისდევ ჯიხვებსა,
გიღალატებენ ტიალნი.
არ დაიჯერა ჯარჯიმ,
— ჯიხვ უნდა მოვკლა რქიანი!

ჯარჯი სინდიაურისძემ (მოთხრობა „მონადირის ნაამბობი“) დედის მუდარა უარყო, საჯიხვეებში წავიდა, ღამეს ეხში ათევს. სიზმარში ულამაზესი ქალი სიკეკლუცით გამოეცხადა. ჯარჯის შეუყვარდება ეს მოჩვენება. დღისით ჯიხვი ნიშანში ამოიღო, ის ქალი აეფარა ჯიხვს, ჯიხვს ეფერება. ჯარჯი დაიბნიდა .შემდეგ ჩიხში მომწყვდეულ ჯიხვებს დაედევნა ჯარჯი, ერთი ხარჯიხვი დათოფა. თოფის ქუხილში ქალის კივილი აირია. კლდიდან გადაჩეხილ ჯიხვს ის ქალი ეხვეოდა: „მხოლოდ ერთხელ შემოხედა მოხადირეს: აღარ იღიმებოდნენ ლაჟვარდა თვალები, წყევლა-კრულვის ნაპერწკლები კიაფობდა შიგ. მერე მწყრალად შეაქცია ზურგი, ისევ შემოაჭდო ნადირს ხელები კისერზე და ისე გულშემზარავად აკივლდა, რომ კლდეებიც კი შეაკრჭოლა“.

გრძნობა დაკარგული მონადირეც „ჯიხვის თავ-რქაზე დაენარცხა“.

ნადირთა მფარველი ეს შოარული სიუჟეტი ბევრგან გვხვდება. ზემო იმერეთში მსმენია: გახთქმული მონადირე ნინიკა ინასარიძე ტყეს შეერია სანადიროდ. იხილა: ფურ-ირემს ულამაზესი ქალი ტაგანით ხელში ირემს წველის, ირემი არ ემორჩილება. ქალმა დასწყევლა: — შენაძც მოგხვედრია ნინიკა ინასარიძის თოფი — თოფიც გავარდა, ირემი დაეცა. მოესმა ქალის ხმა — შე მარჯვენა შესახმობო, ახლავე არ მოგეკლა, მერეც ხომ შენი იქნებოდა — შინ მობრუნებულ ნინიკას მარჯვენა შეახმა. ის ქალი ნადირთა მფარველი ანგელოზი იყო.

ცხადია ხევსურული ვარიანტი ამაღლებული და მოხდენილია. მწერალს „ყუჯა ულვაშებიანი ძველი მონადირე ჩუნთია კიბილაური“ უყვება ამ ამბავს. აი, მათ შორის დიალოგი:

— მიუვალი ას სინდიაურისძის მაღალი, ფეხდაუკარები.

— აბა, თვითონ როგორ ავიდა?

— თავად როგორ ავიდა?!.. —კითხვით მომმართა ჩუნთიამ და მტკიცე რწმენით მითხრა— თავად სურვილმა აიყვანა...

ჩემთვის პირადად მოთხრობა აქ მთავრდება, ამ ამაღლებულ წერტილთან. ამის შემდეგ აღწერილია დედის ღრმა ტანჯვა და მოქმედება, მაგრამ მკითხველი დაუწერლადაც ვიგრძნობდით, ვიგრძნობდით, რადგან წინ დახატული დედის ხატი ამის შესაძლებლობას იძლევა და ვხედავთ ლეგენდის სარკე დედის ტრაგიკულ განცდათა ჩარჩოშია ჩასმული.

სამხედრო ფორმიანი კაცის თავგადასავლის ზოგიერთი ნაწილი (მოთხრობა „გზაში“) სახარბიელოდ არის დაწერილი. სათბილისო ავტომახქახის მოლოდინში: „ის სამხედროფორმიანი კაცი იჯდა გზის პირას სასადილოს წინ, ცაცხვების ჩრდილში. ახალგაზრდა კაცი იყო“. მგზავრთა ყოველ შეკითხვაზე უგულოდ და ნაძალადევად იძლეოდა პასუხს: „რომელსაც ნახევრად დადორბლილი გაზეთში გახვეული პაპიროსი ეჭირა და ტყით შექოჩრილ გორებს გაჰყურებდა“. ის კაცი გავდა ცხოვრებისგან გარიყულ-განმარტოებულს.

სასადილოდან მედოლეს ხრინწიანი ხმა გაისმა:

კაცი არ ვარგა უფულო, არც არა
ფულმორეული,
კაცი არ ვარგა უცოლო, არც არა
ცოლმორეული.

სამხედროფორმიან კაცს მოუსვენრობა დაეტყო: „გეგონებოდათ ნემსი უჩხვლიტესო“. მგზავრებმა დუშეთამდე ჩაიწიეს და ლოდინი იქ გააგრძელეს. ჩამობნელებისას კოცონი დაანთეს და ხუთივე მგზავრი ჩამოსხდნენ: „საუბარში თანდათან ახლო გავეცანით ერთმანეთს, უფრო კარგად შევხედეთ და თითქმის გავშინაურდით კიდეც. ერთი სამხედროფორმიანი კაცი იდგა კვლავ განზე, გაქვავებულივით იჯდა კოცონთან. ნახევრად ზურგშექცევით, ზედიზედ ახვევდა მყრალ წეკოს გაზეთის ნახევში. მერე, ნელა, აუჩქარებლად ქაჩავდა და სიბნელეში რაღაც უჩინარს აშტერდებოდა. სახეზე მოთენთილობისა და დაუოკებელ შურისძიების იერი დაჰკრავდა, კარგად ჩანდა, მისი გამხდარი, მაგრამ გოლიათური მკვრივი აღნაგობა არც რაიშესლა იძენდა და არც ერთხელ შეძენილს და ათვისებულს ჰკარგავდა“. ეს უკანასკნელი ფრა-

ზა მეტად ხაზგასმელია ამ კაცის ფსიქოლოგიური პორტრეტის გასამეღავნებლად. უნდა ვთქვათ ისიც, რომ აქ, გარდა ამ ნასაშხედრალისა, სიტყვის მომჭირნეობით, მწერალმა გამოკვეთა ის ორი დედაკაცი და ის ქალაქელი კაციც. აი, რას ამბობს მწერალი: „გამოხედვა ჰქონდა შესამჩნევი, — ცბიერი და, ეტყობოდა, ეს იყო მისი არსებობის ერთად-ერთი მიზანიც. იგი იცინოდა არაფრისათვის, იღუშებოდა არაფრისათვის და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს კაცი გაჩენილი იყო არაფრისათვის“.

იმ ორმა დედაკაცმა სამხედროფორმიანი კაცი დიდი გაჭირვებით საუბარში აიყოლიეს: „ორნი ძმანი ვიყავით, ორი უთვისტომო ობოლი. დედმამა მე სიზმარივით მახსოვს. შვიდი წლისა ვიყავი, ჩემი ძამიკო კი ორი წლისაც არ იყო. სოფელი გვზრდიდა სამადლოდ. თავისიანი არავინ გვყავდა. შეზობლები შორიგეობით გვაჭმევდნენ და გვაცმევდნენ. მე რომ სოფლის თავში ვიყავი, ჩემი ძამიკო სადღაც სოფლის ბოლოში იყო და ძმები ხშირად თვიდანთვემდე ვერ ვნახულობდით ერთმანეთს. გაჭირვებამ და სხვათა კარზე ყოფნამ ცხოვრება ადრე მასწავლა. ჯერ თხუთმეტისაც არ ვიყავი მაშისეულ კერას მივაკითხე და შეზობლებისავე დახმარებით დავბინავდი. რა თქმა უნდა ძმაც შინ დავაბრუნე. ძმა სოფლის სკოლაში მივაბარე, თვითონ ერთ ხელოსან შეზობელს დავუდექი შეგირდათ და ერთ წელიწადში მშენებელი გავხდი“. ამ ვრცელი ამონაწერის მიზანი ერთია. ეს საფუძველია, რაზედაც დაუშენებია დიდი სიმძიმე, მაგრამ ბალავარი ვერ უძლებს.

ამ კაცს ცოლი შოუყვანია. მალე ომშიც წასულა. შინ მობრუნებულს არავინ დახვედრია. ძმას ძმის ცოლი შეურთავს და იმ ადგილიდანაც გარდახვეწილან.

ამბავი შემაზრზენია. ლიტერატურის ისტორიამ უარესი ფაქტებიც იცის. ქალალდს უფრო შემზარავი სისხლის აღრევები აუტანია, აუტანია მწერლურ გენიის ცხოველმყოფელობით. და რა თქმა უნდა ასე ნატურალისტურად მოყოლილი ეს სიმძიმე ვერავითარ მხატვრულ-ესთეტიურ სიმაღლეებს მიაღწევდა.

დღევახდელობისათვის ერთერთ საჭირბოროტო საკითხს (მოთხრობა „ჭირისუფალი“) მწვავედ გამოეხმაურა სულხან ქეთელაური. ამ მოთხრობაზე შეჩერება იმიტომაც ღირს, რომ მწერლის ნიჭიერებას სარკაზმული წახნაგიც წამოეზარდა.

თვით სიკვდილისგან მივიწყებულ ბებო ნუშოს გარდაცვალებას ხალხმა შვილის დიდკაცობის გამო მიაქცია ყურადღება. დიდი თანამდებობის შვილმა საჭირო თადარიგი გასწია. არავინ დარჩენია დაუპატიჟებელი. ამოდენა საქმის გაძღოლ-გამოძღოლა მლიქვნელმა ხელქვეითებმა იკისრეს. ხალხი განსვენებულისკენ დაიძრა. გზაზე დაწყებული მითქმა-მოთქმა, ჭორები და ღიმილი მხოლოდ ჭიშკართან წყდებოდა და იწყებოდა რაღაც ბანალური თეატრალურობა.

აი სურათი საფლავთან: „ზურნის ჭიჭყინი განსაკუთრებით ამაზრზენად გაისმა მოთხრილი, ღია სამარის შავ ფონზე, თითქოს მიწის ბხელი ხახა ზეიმობდა სიცოცხლეზე გამარჯვებას და თავის სიხარულს ამ ველური წივილით გამოხატავდა“.

მედოლე ბაიათს გაჭკივის: „მაგ შავ თვალებს ახლა მიწა შაგიჭამს“ მაგრამ რა ხდება; „სწორედ ამ დროს, თითქოს სირცხვილის დასაფარავად, ცაცხვის ხეს გაყვითლებული ფოთოლი მოსწყდა ტრიალ-ტრიალით დაეშვა თავქვე და მიცვალებულს თვალებზე დაეფარა“.

შემდეგ შინ დაბრუნდა. ღვინით გალეშილთა ბარბაცი და ხმაური. შვილიშვილი აივანზე მდგარი მწარე ტკივილით ფიქრობს: „ასეთი ხომ არ არის ყველა მშობლის ხვედრი?

მწერალმა განსვენებულისადმი უპატივცემლობის მეტად სავალალო სურათი წარმოგვიდგიხა. მეც ბევრგან წავსწრებივარ ასეთ „სეირს“. მართალი უნდა მოგახსენოთ, ჩვენამდე ჩავლილი ვერცერთი საუკუნე ვერ აიტანდა მკვდრის წინაშე ასეთ უპატივცემულობას. ეტყობა სხვა წესრიგი იყო...

დღეს ხშირად ქვეყნდება საზოგადოებრივი აზრი განსვენებულთა ასამაღლებლად.

მძლავრად დაწერილ ამ მოთხრობასაც შეეტანოს თავისი წვლილი...

კვირისა — შუახნის მანძილა ხარი (მოთხრობა „ხარის ცრემლი“) ნახირში გამოირჩეოდა მკუთა და მძლავრი ფიზიკური მონაცემებით: „გზის დასაწყისში შესდგა, რქითა და ჩლიქით მიწა მობუღრა და ტყიან გორებს ხმამაღლა გაჰყვირა, თითქოს მთა-ბარს თავისი ველად გამოსვლა ამცხო“.

კვირისა ნახირთა უფროსობას იჩემებდა და შეჰფეროდა კიდეც. დასასვენებლად დაყრილ ნახირს კვირისამ თავი დაუარა და სერზე წადგა მოსალოდნელ ხიფათს წინ რომ აღსდგომოდა. მწყემსი ბავშვები ორ ბანაკად იყოფოდა: ზოგი ამბობდა დიდ ხეს ძირიანად ამოაბრუნებსო. ზოგი ამბობდა: მგელს მაინც ვერაფერს დააკლებსო. მართლაც მოხდა მგლისა და კვირისას სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლება. კვირისას „ვაჟკაცური დამარცხება-გამარჯვება ჰქონდა მიზნად და მსხვერპლით არასოდეს მთავრდებოდა. აქ კი, სწორედ მსხვერპლი იყო საჭირო და, რა თქმა უნდა, ასეთი ბრძოლისა კვირისას არა გაეგებოდა რა, — არც გამოცდილება ჰქონდა და არც ჯიშად მოსდგამდა“.

აი, გამარჯვებული კვირისას მძლავრი ფერწერლური პორტრეტიც: „დაღადრული თავპირი სისხლითა და მიწით ჰქონდა დასვრილი,

სანთლისფერ რქებზეც სისხლი ეცხო და მგლის ბეწვები და გულ-ფილტვის პაწაწკინტელა ნაფლეთები ეკიდა. სველ, დატალღულ ბეწვზე ოფლის წვრილი, რთვილისფერი თქორი ეყარა და ორთქლის ხშირი ოხშივარი ასდიოდა. საქონელი თითქოს დაპატარავდა მის ირგვლივ. მარტო თვითონღა ჩანდა, — უძრავად იდგა. ქვის ქანდაკივით, მძიმედ ქშინავდა და საქონლის ერთობლივ ბღავილს, რომელიც უკვე აღფრთოვანებულ შეძახილს ჰგავდა, გულგრილად ისმენდა“,

გამარჯვებულ კვირისას კრძალვითა და ქებით ხვდება დიდი და პატარა: „უკვე მშვიდად სუნთქავდა და იმ წუთში მართლაც ჰგავდა მტრის ხელით ნაკოდ, უჯაჭვუმუზარადო რაინდს“.

ყველაზე ლამაზი შესახედავი კვირისა ძაიხც უღელში იყო თურმე. შთამომავლობით ნაახდერძევ შრომას გულუხვად ეწეოდა და არასოდეს სახრეს არ დაირტყამდა. ვინც ვერ გაიგებდა კვირისას თვინიერ ხასიათს ყველა მეხრე მარცხდებოდა მასთან. კვირისას უყვარდა, როცა „კაცის ენით“ ელაპარაკებოდნენ. ასეთი იყო მისთვის გაგა „ცხოვრება გამოთავებული ბერი კაცი“, რომელიც ხელახლად მოიწვიეს მეხრედ: „და იმ დაშრეტილ თვალშიც თითქოს ნათელი ჩასდგომოდა“.

კვალდაკვალ გუთნის ერქვანს ჩაჭიდებული გაგა ღიღინებდა:

— ხარმა თქვა, — ხარი ვერ მომკლავს,
თუ მეხრე შემხვდა ჭკვიანი...

კიდევ და კიდევ ხმა აუმაღლა:

ხარო; ხარი ვინ დაგარქვა,
ხარო სახენათლიანო,
კაცთა ძოდგმის მარჩენალო,
ქედმაღალო, მადლიანო.
ჰე-ჰე-ჰე, ქედმაღალო, მადლიანო.

კვირისას უჭირდა მეუღლე-ნიშას ტრაგიკული დაღუპვა (იგი ხემ დაიტანია) გუნება შეცვლილს ადამიანივით დაჩემდა განმარტოება. მწუხარებამ და ხანმა ჭაპასწყვეტა გადაავიწყა. კვირიშამ თავად აიღო ხელი ასპარეზობაზე. სოფლის თავკაცობამ გადაწყვიტა კვირისას ხორცდამზადებაში ჩაბარება. მტკივნეულია გაგას გამოშშვიდობება: ცრემლნარევი ხმა აქვს და თვალებზე კოცნის: „მშვიდობით ჩემო... ჭირიმე შეხი, ჰეჰე, წასულა დრო, წასულა... მეც მალე მოვალ იქ, მოვალ... შენთან...“

ეშშვიდობება გაგა კვირისას. კვირისა კი: „ტიროდა, ტიროდა და ხარულად... კურცხლები ნელა მოგორავდა წამწამებზე“.

ნუ დავამცირებთ და ნუ ჩავთვლით მათ ცრემლებს მარტო პირადულად... კვირისა სტირის მის გვარ-ტომთა ბედზე, გაგაც, ღამის მეხრეებზე, ტკბილ ჰოროველა-ურმულზე, რომელიც დედამიწაზე უიშვიათეს სამუზეუმო სანახავად იქცევა ალბათ...

მოთხრობები: „ხარის ცრემლი“ და „ტყის შვილობილი“ ერთმანეთს ეხმიანებიან და ერთმანეთს ავსებენ.

ძეცხვარეთა ძაღლი — ალმასა (მოთხრობა: „ტყის შვილობილი“) გოლიათური ტანისა გახლავთ, ყურები ძირამდე დაჭრილი აქვს, მგელი ვერ წაეტახება. ყელს უფარავს ალესილ კბილებიანი ფოლადის ჩანგალი.

ორ მწყემსს ქალაქში ოცდაათამდე ჭედილა მიყავთ საბარგო მანქანით. ადევნებული ალმასაც ქალაქში ჩაჰყავთ. ალმასა დაჰკარგეს პატრონებმა. ალმასამ ქალაქი დატოვა, ტყეს მიაშურა, რათა პირვანდელ ბინას დაუბრუნდეს. იწყება ალმასას ცხოვრების მწარე „ოდისეა“.

ალმასამ ერთ ძიტოვებულ ფარეხში დაიდო ბინა და მგელ დადევნებული შველი შეიკედლა და „ცხვირის წვერი რძეშეუშშრალ დრუნჩზე მიადო“ სიფრთხილის თადარიგი დაიჭირა. „მერე ფარეხში შევიდა და ახალ ხიზანს გვერდით მიუწვა, ნუკრმა თავი გადაადო და ორთავენი გაიტრუნენ“.

აქ ბუნებრივად დაირღვა ჯუნგლების მტაცებლური ადათ-წესები, ალმასამ სიკვდილამდე საოცარი მეგობრობა გაუწია შველს. ტყე შველის სამშობლოა, ალმას უჭირს ტყეში. ერთხელ გაქცევაც გაიფიქრა, მაგრამ „ფიქრისაც“ შერცხვა. ეს ხომ ღალატი იქნებოდა შველისადმი. ალმასამ პირველად ციყვზე ინადირა. გარეშომ ძაღლი უცებ გარდაქმნა. მალე მსუქანი მაჩვიც გაფატრა: „მასში შორეული წინაპრის ველური ძგლის სისხლიანმა ბუნებამ გაიღვიძა“. თანდათანობით ალმასა კარგავდა ძაღლურ თვისებებს, ყეფაც კი გადაივიწყა, რადგან ტყეში ყეფა ხელის შემშლელი აღმოჩნდა. იჩენდა იგი იმას, რაც აუცილებელი იყო სიცოცხლისა და არსებობისათვის.

მეგობრებმა მკაცრ ზამთრის პირობებში იძულებით ჩამოიკეს. ადამიანთა სადგომს უახლოვდებიან და მათი ტრაგედიაც იწყება. ალმასამ სოფლის განაპირას წისქვილს მიაკვლია: „ამდენი ხნის ნაშიმშილარს უზომოდ ეგემრიელებოდა თბილი, სურნელოვანი ფქვილი და უზომოდაც გაიხარა. ფქვილის გემომ მთელი წარსული თვალწინ დაუყენა. უცბად არსებულს მოწყდა და არ არსებულს დაუბრუნდა, ტყეში გატარებული მთელი დრო მთლიანად ამოვარდა მეხსიერებიდან და ადგილი მწყემსობის დროინდელ მოგონებებს დაუთმო. წისქვილის ხრიალში მწყემსების შეძახილი და ცხვარ-ბატკანის ბღავილი ესმოდა“... იმ სანეტარო წისქვილში ერთხელ ხაფანგი დაუგეს და მერე ადამიანიც გამოეცხადა. ძლივს გადარჩენილი ალმასა ადამიანის უღმერთობაზე ფიქრობს: „...და წამწამებზე ორი მსხვილი ცრემლი გადმოუგორდა“.

ალმასა მეგობრობისთვის იყო გაჩენილი და

კიდევაც ვაჟკაცურად შეაკვდა ნუკრის დამთოფავ მონადირეს.

მოთხრობის ბოლომდე და შემდეგაც გრძელდება იმ ორი მწყემსისა და ალმასას დაშორიშორებისგან გამოწვეული წუხილი. იმ ორი მწყემსისა და ალმასას გულწყვეტა უთუოდ სივრცეებში სადღაც ერთმანეთს სწვდებიან, მაგრამ ამაოდ.

მოთხრობა „ტყის შვილობილი“ მრავალ გაშაფრთხილებელ და დამაფიქრებელ ასოციაციებს აღგვიძრავს. მათ შორის ორ დეტალს აღვნიშნავდი.

პირველი: ალმასა ტყეში ფოლადის ჩანგლით ყელშეჯავშნული დადის, ტყიურებს შიშის ზარს ისე სცემს რკინის სუხი, როგორც თანამედროვე ადამიანს, თითქოს ცაში უხილავ ძაფზე დაკიდული ატომის ყუმბარა.

მეორე: კვირისას და ალმასას ცხოვრების უკანასკნელ ჟამს გადმონადენი ცრემლი ადამიანთა ცრემლზე მეტად მომქმედია, იქნებ იმიტომ, რომ ცხოველები იშვიათად იშველიებენ ცრემლს, ან იქნებ ზოგი ადამიანი აუვსებელი საწყაულის გამო გულქვა ნადირამდე დასვლას ეტანება, ხოლო ზოგი ცხოველი მისდაუნებურად ადამიანობისკენ სწრაფვას განიცდის.

ასეა თუ ისე, თალალას უხილავი, გულში ჩაწვეთებული, კვირისას და ალმასას გაძმობადენი ცრემლი ჩვენს უშეღავათო თანაგრძნობას და ხელის გაწოდებას ითხოვს...

ეხლა კი ვიკითხოთ რა „ყორისაგან“ ააგო მწერალმა ეს მოთხრობები?

სულხან ქეთელაურის ენა ჯავარიანი და მდიდრულია ხევსურულ დიალექტის ხარჯზე, რაც მყარ საფუძველს იძლევა იმისა, რომ უფრო სრულყოფილად მიაღწევს სიტყვის ბუნებრივ არტისტიზმს.

ხევსურეთში საუკუნეებით ნაპეკი მარავალ წახხაგოვანი და ვრცელ ჰორიზონტოვანი სიტყვა უიშვიათეს მეტყველ თვალებივით ჯდება საერთო დედაენის მოხალიჩებაში; მაგრამ საჭიროება ითხოვს ითქვას: წმინდა ნატურიდან აღებული სიტყვა, ფრაზა, იდიომური გამოთქმები და საერთოდ არსებული ენის კარგი ცოდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მწერლის ნამდვილ დამსახურებას. მწერლის დამსახურება მაინც ენის შექმნაშია, ახლის მიმატებაშია. როგორც ზემოთ ვამბობდი სიტყვას არაყივით უყვარს გამოხდა. საკუთარი მამულივით უნდა მოიშეხმოიჩრდილო სიტყვის ძალოვანი ულრანი ტყეები.

დიდმა ვაჟამ ქეთელაურების გვარ-ტომს უდიდესი რაინდობის ჯილა დაადგა...

„ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი.
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი“.

არ დავრჩებით ვალში თუ ვიტყოდით, ალუდა ქეთელაურის შორეულ შთამომავალ—სულხან ქეთელაურსაც; „სიტყვა მაუდის გზიანი“.

ზ. ლორთქიფანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალ „მნათობის“ 1972 წლის ნომრების შინაარსი

მოთხრობები, რომანები, პიესები, ნარკვევები, მოგონებები

ადამია ალიო — დიდი და პატარა ეკატერინე. რომანი. ნაწილი პირველი № 1, 2, 3, 4, 5.
არაბული შოთა — ბროლია. მოთხრობა. № 2.
ბეჟანიშვილი როსტომი — უკანასკნელი გადასარბენი. ამბავი. № 7.
ბუთხუზი გივი — ძაღლების გლოვა. მოთხრობა. № 5
გელაშვილი გიორგი — ადრეული სიბერე. მოთხრობა. № 8
გელოვანი აკაკი — ღმერთების დაისი. მოთხრობა. № 4
გემაზაშვილი ზურღანი — მგელთავა მეფე. მოთხრობა. № 5
გოთუა ლევანი — თრიალეთური ლანდები. მოთხრობა. № 9
გორგანელი ვახტანგი — ზღვის ერთი წვეთი. № 5.
გოგიავა კლიმენტი — მხოლოდ შეხვედრები. № 5
დემურხანაშვილი სოლომონი — გამოთხოვება. მოთხრობა. № 6
დუმბაძე ნოდარი — თეთრი ბაირაღები. რომანი. № 12
ვასაძე აკაკი — ყინულის მარწუხებში. მოთხრობა. № 6
იოსელიანი ოტია — ხარჯიხვი. სვანური ნოველა. № 9
კაკაბაძე პოლიკარპე — მეფე დემეტრე მეორე. პიესა. № 9
კვესელავა მიხეილ — ას ერგასის დღე. № 1, 3, 4, 5, 8
კლდიაშვილი სერგო — ორი მოთხრობა. № 3; მოულოდნელად ნაღვლიანი დასასრული. მოთხრობა. № 7
მაისურაძე გოგი — კაცრიელ თუთბერიძის სახლეულნი. ნაწყვეტები რომანიდან. № 3
მიქავა ნიკოლოზი — ჟამი დიდებისა. ნოველა. № 6
მრელაშვილი ლადო — გზები სავსეა მოულოდნელობით. მოთხრობა. № 2
სამადაშვილი შაქრო — ამბავი წარსულისა. მოთხრობა. № 2
ურჯუმელაშვილი ვანო — ფერიცვალება. რომანი. ნაწილი მეორე. № 7, 8, 9, 10, 11.
ქეთელაური სულხანი — სადღეგრძელო. მოთხრობა. № 7
შამანაძე ნოდარი — მზე დედაა ჩვენი. მოთხრობა. № 1
ჩიქოვანი გრიგოლი — ამორძალი. ოდიშური ციკლიდან. № 1
ჩიჯავაძე ოთარი — თვითმკვლელები. რომანი, ნაწ. მეორე. № 7, 8, 9, 10
ჭილაძე ოთარი — გზაზე ერთი კაცი მიდიოდა. რომანი. № 11, 12
ჭოხონელიძე ბადრი — მოხუცები და კუნძული. მოთხრობა. № 3
ხავთასი ტარიელი — თერთმეტი ბედნიერი რიცხვია. № 12
ხორგუაშვილი გიორგი — მოლოდინი. მოთხრობა. № 2

ლექსები და პოემები

აბულაშვილი ანზორი — ლექსები. № 9
ადეიშვილი ნოდარი — ლექსები. № 9
ამისულაშვილი შალვა — ფრონტული რაფსოდია. № 8
ასათიანი ლია — ლექსები. № 9
ასაევი რევაზი — ლექსები. თარგმნა შ. ამისულაშვილმა, მ. ფოცხიშვილმა და ბესიკ ხარანაულმა. № 4
ბერულავა ხუტა — ლექსები. № 2

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბოლქვაძე ზაური — ლექსები. № 7
გაბრიჩიძე ნელი — ლექსები. № 7
გაგუა ხუტა — ლექსები. № 8
გეგეჭკორი გივი — ლექსები. № 7
გიგაური გიორგი — ლექსები. № 3
დავითაძე ემენი — ლექსები. № 9
ვარშანიძე მამია — ლექსები. № 9
კახიძე მედეა — ლექსები, № 2
კანდელაკი ოთარი — ლექსები. № 6
კლდიაშვილი გურამი — ლექსები. № 6
ლებანიძე მურმანი — ლექსები, № 3; ლექსები. № 5
ლორთქიფანიძე ზურაბი — ლექსები. № 9
ლორთქიფანიძე შალვა — ლექსები. № 6
მებურიშვილი ტაგუ — ლექსები. № 6
მეტრეველი ბორისი — ლექსები. № 9
პეტრიაშვილი გურამი — ლექსები. № 6
როდოსელი აპოლონიოსი — არგონავტიკა. წინასიტყვაობა და თარგმანი აკაკი გელოვანისა № 10, 11, 12
სამხარაძე გიორგი — ლენინის სურათი. № 6
სამცხელი ვაჟა — ლექსები. № 11
შენგელია ალეკო — ლექსები. № 8; ლექსები. № 11
შერაზადიშვილი ზაქარია — ლექსები, № 9
შუა საუკუნეების ესპანეთში მოღვაწე ებრაელი პოეტების ლექსები. თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა. № 6
ფორჩხიძე შალვა — ლექსები. № 1; ლექსები. № 12
ჩარკვიანი ჯანსუღი — ლექსები. № 1; წუთისოფელი. № 10
ჩაჩავა ნიკოლოზი — ლექსები. № 1; ლექსები. № 6
ჩირაძე შალვა — ლექსები. № 6
ძნელაძე ვახტანგი — ლექსები. № 6
ჭანტურია ტარიელი — ლექსები. № 2
ხარაიშვილი ავთანდილი — ლექსები. № 9
ხურცილავა მურმანი — ლექსები. № 9
ჯავახაძე ვახტანგი — ლექსები. № 5
ჯანგულაშვილი თეიმურაზი — ლექსები. № 1; ლექსები. № 9
ჯანელიძე ჯანო — ლექსები. № 4
ჯგუბურია მურმანი — ლექსები. № 6

სსრკ 50

მოძმე რესპუბლიკების პოეზია

ავარსკი ალი — ლექსები. თარგმნა ბესიკ ხარანაულმა. № 12
გრაში აშოტი — ლექსები. თარგმნა ბესიკ ხარანაულმა. № 10
დურინი ლუდვიგი — დღე. თარგმნა ბესიკ ხარანაულმა. № 10
დილბაზი მირვარიდი — დრო და პოეტი. თარგმნა ლეილა ერაძემ. № 9
ვაჰაბზადე ბაჰთირი — სტუმარი. თარგმნა ლეილა ერაძემ. № 9
ვშტუნი აზატი — ლექსები. თარგმნა ბესიკ ხარანაულმა. № 10
თარბა ივანე — გზაშესაყართან. პოემა. თარგ. ვ. ჯავახაძემ. № 12
კორიუნი მკრტიჩი — ლექსები. თარგ. სტ. მხარგრძელმა. № 12
ლაჩინლი აღა — გზა ჩემი ცხოვრებისა. თარგ. ბესიკ ხარანაულმა. № 9
მაიაკოვსკი ვლადიმერი — მთელი ხმით. თარგ. ვახტანგ ჯავახაძემ. № 10
მარქარიანი არშალუისი — სიზმარი. თარგ. ბესიკ ხარანაულმა. № 10
მიქაელიანი ნანსენი — ჩემი ბუნება. თარგ. ბესიკ ხარანაულმა. № 10

მუშფიკი მიქაელი — ხიდი. თარგ. ბ ე ს ი კ ხ ა რ ა ნ ა უ ლ მ ა. № 9
რაფიბეილი ნიგარი — განშორება. თარგ. ლ ე ი ლ ა ე რ ა ძ ე მ. № 9
რაჰიმი მამედი — ოქტომბერი. თარგ. ლ ე ი ლ ა ე რ ა ძ ე მ. № 9
რზა რასული — გაზაფხული. თარგ. ლ ე ი ლ ა ე რ ა ძ ე მ. № 9
რუსტამხანლი საბირი — ჩემი იმედი. თარგ. ბ ე ს ი კ ხ ა რ ა ნ ა უ ლ მ ა. № 9
სარიველი ოსმანი — მომეცი ნება. თარგ. ბ ე ს ი კ ხ ა რ ა ნ ა უ ლ მ ა. № 9
ტარონცი სოლომონი — გაზაფხული. თარგ. ბ ე ს ი კ ხ ა რ ა ნ ა უ ლ მ ა. № 10
ქარამიანი მარტინი — ჩვენი თაობა. თარგ. თ. ჯ ა ნ გ უ ლ ა შ ვ ი ლ მ ა. № 10
ხაზრი ნიბი — დღითი დღე, თარგ. ლ ე ი ლ ა ე რ ა ძ ე მ. № 9
ბაქრაძე გ. — ამიერკავკასიის სოციალისტური ერების შრომითი თანამეგობრობა. № 9
ბრეგაძე გრიგოლი — სოციალისტური ერების საბრძოლო თანამეგობრობა. № 5
მაისურაძე დ. — ურღვევი ძმური კავშირი. № 10
მაზურკევიჩი ალექსანდრე — ფრაგმენტები უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურათა მეგობრობისა და ძმური ნათესაობის მატიანედან. № 12
სამხარაძე გიორგი — თავისუფალ ერთა კავშირი. ლექსი. № 12
რევიშვილი შოთა — საბჭოთა კავშირი და გერმანელი მწერლები. № 7
შერაზადიშვილი ზაქარია — ლექსები. № 12
ცერცვაძე მიხეილი — ბრძოლაში ნაჭედი მეგობრობა. № 7
ქვათაძე ე. — პარტიის 24 ყრილობა და საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის საკითხები. № 2
ხალვაში ფრიდონი — ძმა ძმისათვის. პოემა. № 11

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ

აბაშმაძე ვახტანგი — ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის საკითხები. № 3
ავალიანი გიორგი — საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებაში. № 6, რომანი საბრძოლო თანამეგობრობაზე. № 12
ავსაჯანიშვილი ეთერი — ალ. ყაზბეგის „მოძღვარის“ ხალხური წყაროები. № 8
ამირეჯიბი ნათია — ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო“, № 4
არველაძე ბონდო — იოსებ გრიშაშვილის ბიოგრაფიიდან. № 2
ბათიაშვილი გურამი — ნაზიმ ჰიქმეთი საბჭოეთში. № 8
გელოვანი ა., კუპრავა ვ. — აქა ამბავი პანთერისტყაოსნისა. № 1
გოგოჭური დ. — მცირე განმარტება. № 4
გოზალიშვილი შალვა — სახელოვანი მეცნიერი და მამულიშვილი. № 2
დონაძე ვ., კიღურაძე გ. — პარიზის კომუნა და იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობა. № 5
დოღონაძე ლამარა — ახალი დრამის საკითხისათვის. № 5
ზურაბაშვილი ავლიბი — პერსონოლოგიური პრობლემები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში. № 4
თავდიშვილი მურმანი — ნ. ბარათაშვილის პოეზიის ზოგიერთი საკითხი. № 7
თევზაძე ანდრო — სილიბისტრო რემონიძე. № 7
თოფურია აკაკი — კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია. № 6
კაკაბაძე ინგა — გიორგი ერისთავი და პოლონური მწერლობა. № 3
კალანდაძე ალექსანდრე — სტილის პრობლემა 60-იანი წლების პოლემიკაში. № 6
კერესელიძე ვასილი — იაკობ გოგებაშვილი და სოფელი ვარიანი. № 7
კიკვაძე მურმანი — გრძნობადობისა და აბსტრაქტულობის დიალექტიკა პოეზიაში. № 8
ლაშქარაძე დავითი — ევროპეიზმის პრობლემა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. № 9
ლომაშვილი ჯიბო — ჟალეთისა და ჩელეთის შესახებ. № 3
ლორთქიფანიძე ზურაბი — გურამ დოჩანაშვილის მოთხრობები. № 4
მეგრელიძე იოსები — სიახლეები კუმრანოლოგიაში. № 5
მელიქიშვილი გიორგი — ერთი „რეცენზიის“ გამო. № 2

მიშველაძე რევაზი — გალაკტიონ ტაბიძის პოემები. № 4, 9
მუშკუდიანი ქ. — ლეჩხუმის სახელწოდებისათვის. № 1
ნატროშვილი გიორგი — სიტყვა და დედამიწა. № 1
ნოზაძე შოთა — საბჭოთა საქართველოს კულტურული კავშირი საზღვარგარეთთან (1921—1937 წ). № 9
ულენტი ბესარიონი — მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი. № 10
როსტომაშვილი ელ. — თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის რეაქციული არსი. № 3
სიდამონიძე ვახტანგი — ისქანდერ მუნში საქართველოს შესახებ. № 5
ფრუიძე ლევანი — დიმიტრი ბაქრაძე და საქართველოს ეთნოგრაფია. № 2
ქაჯაია ომარი — ეგვიპტური ლიტერატურის განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ. № 8
ქუთათელაძე ვ. — ლენინური ეტაპი ესთეტიკაში. № 6
ღვინჯილია ჯანსუღი — სინათლით სავსე ქვეყანა. № 9
შაყულაშვილი გიორგი — ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობიდან. № 10
ჩაჩანიძე ვასო — ნიკო ფოროსმანიშვილი და ბესარიონ ქებურია. № 10
ჩაჩიბაია არჩილი — საბავშვო ლიტერატურის ახალი ფართო ჰორიზონტები და მხატვრული ოსტატობის საკითხები. № 5
ჩხარტიშვილი რევაზი — „არსენა მარაბდელის“ პერსონაჟთა ფსიქოლოგიური ანალიზი. № 4
ჭილაძე თამაზი — ტრადიცია და დრო. № 9., ნიკო ფიროსმანიშვილი. № 10
ჭიპაშვილი გიორგი — ირანის ქართველი მოსახლეობა. № 8
ჭიჭინაძე სირა — გიორგი მთაწმინდელის ანდერძის უცნობი ვარიანტი. № 1
ხაჩიაშვილი ქეთო — დიმიტრი მაჩხანელი. № 5
ჯანელიძე დავითი — ერეკლე და აღმოსავლეთი. № 4
ჯაოშვილი გივი — სოფრომ მგალობლიშვილის უცნობი ფსევდონიმები და წერილები. № 4
ჯაფარიძე რევაზი — ერის მოზარე. № 5
ჯაფარიძე ო. — კავკასიის უძველესი მოსახლეობის კულტურული და ეთნიკური ერთობის საკითხისათვის. № 3
ჯიბლაძე გიორგი — გონების ორგვარი უსასრულობის პრობლემა. № 7
ჯინჯიხაშვილი ნოდარი — ხელოვნების განვითარების ლოგიკისათვის. № 1
ქართული პერიოდიკის ფლაგმანი. № 1
ნახევარი საუკუნე მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის. (მასალა მოამზადა **გ. ჩაკნელიძემ**) № 1.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ბეგაშვილი ალექსანდრე — ღვაწლმოსილი მეცნიერი, ჩინებული მოქალაქე. № 12
ბერიძე გრიგოლი — ჯავახეთის გეოგრაფიულ სახელთა წარმოება № 11
ბერიძე თეიმურაზი — თაბორის ციხე. № 8
გოზალიშვილი გიორგი — კომნენოსთა დინასტიის ეთნიკური წარმომავლობის საკითხისათვის. № 8
კოპალიანი ვ. — „შირიმნის“, „შირიმთას“ ბრძოლისა და ადგილმდებარეობის შესახებ. № 7
პატარიძე რამაზი — ქართული ასომთავრული. № 1, 2, 3, 6, 7, 9
სირაძე რევაზი — ძველბულგარულ — ქართულ ლიტერატურული ურთიერთობათა საკითხები. № 10
სიხარულიძე ქსენია — არის თუ არა თორღვა სახალხო გმირი. № 10
ღამბაშიძე ირაკლი — ბერძენ და ლათინელ ავტორთა ამოუხსნელი ცნობები ძველ კოლხეთზე № 6
შანიძე აკაკი — ბგერათა ცვალება ენის ისტორიული განვითარების პროცესში და ორთოგრაფიაში. № 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნების მიმოხილვა

ანჩაბაძე ზ., ახობაძე ე. — წიგნი რომელიც იმსახურებს ყურადღებას. № 4
გოზალიშვილი შალვა — დიდი სამამულო ომის ნაკვალევზე. № 7
კახაძე ვახტანგი — „დილის ბიბლიოთეკის“ ფურცლებზე. № 7
მირიანაშვილი ანდრო — ზღვა—მწერლის შთაგონების წყარო. № 5
მშველიძე ზ. — ქართველი მეცნიერის საყურადღებო ნაშრომი. № 5
ნადარეიშვილი გიორგი — ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი. № 3
რუხაძე ნოდარი — „50 წელი საქართველოს მშენებლობებზე.“ № 9
ღლონტი ალექსანდრე — ქართული ლექსიკა რუსულ ენაში. № 8
ჩხაიძე მიხეილი — „კალევალას“ ქართული თარგმანის გამო № 5
ხავთასი გრიგოლი — ნაშრომი ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ. № 2
ჯაველიძე ელიზბარი — გამოკვლევა საიათნოვას შესახებ. № 7

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ